



ქართული აგიოგრაფიული ძეგლები

ნაწილი პირველი

კ ი მ ე ნ ი

ტომი II

გამოსცა კონ. კეკელიძემ

ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

The Rustaveli Institute of the History of Georgian Literature

Monumenta Hagiographica Georgica

Pars prima

K E I M E N A

Tom. II

Edidit Korn. Kekelidze

Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR

Tbilisi—1946

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт Истории Грузинской Литературы имени Руставели.

Грузинские агиографические памятники

Часть первая

К И М Е Н А

Том II

Издал Кори. Кекелидзе

Издательство Академии Наук Грузинской ССР

Тбилиси—1946

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით.

*Напечатано по распоряжению президиума
Академии Наук Грузинской ССР*

	გვ.
1. წინასიტყვაობა	1— 2
2. მარტვილობა ლუკიანოზის	3— 16
3. მარტვილობა პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და ზოყვასთა მისთა	17— 26
4. ელიანოსის მარტვილობა	27— 37
5. მარტვილობა ბოასი	38— 50
6. მარტვილობა არესი, პრომოსი და ელიასი	51— 58
7. წამება ლეონტისი	59— 63
8. საკითხავი დღესასწაულთათვის	64— 71
9. გამოცხადება იაკობისი, სვიშეონისი და ზაქარიასი	72— 78
10. წამება ევგენიასი	79— 85
11. ევსები კესარიელის ფრაგმენტები	86— 92
12. იაკობ მოციქულის წამება	93—100
13. ქებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ	101—107
14. წამება წმიდისა პროკოპისი	108—114
15. ცხოვრება საბა პალესტინელისა	115—225
16. PEZOMAS	226—229
17. საკუთარ სახელთა საქმებელი	231—238
18. Addenda	239

წინასიტყვაობა

1915 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ წინადადება მოგვცა ჩვენ გვეკისრა გამოცემა ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებისა, რომელთა მსოფლიო-მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა მაშინაც კარგად იგრძნობოდა. თანახმად ამ წინადადებისა ჩვენ წარვადგინეთ გეგმა გამოცემისა, რომლის შესახებ აკად. ნ. მარი სწერდა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას: «*план имеет за собою всю глубину моего сочувствия, я поддерживаю это новое предприятие, как более чем своевременное, давно уже назревшее в области грузиноведения*» (Протоколы ИФ Отдел. 1915 г. VII, § 120—123, стр. 61—73). გეგმა ითვალისწინებდა პირველ რიგში ისეთი ძეგლების გამოცემას, რომელნიც სხვა ენაზე ან სულ არ არიან ცნობილნი, ანდა განსხვავებული რედაქციით. გამოცემა ნავარაუდები იყო რვა ტომად, რომელთაგან გამოვიდა (1918 წლის დამდეგს) მხოლოდ პირველი ტომი. ამის შემდეგ, აკადემიაში მომხდარ ცვლილებათა გამო, ეს წამოწყება შეჩერდა და გამოცემლის პორტფელში თავმოყრილი მასალა შესაფერ დროს ელოდებოდა. ეს დრო დადგა: ჩვენ ველირსეთ ჩვენს საკუთარს ქართულს მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც ყველაზე მეტად შეშვენის გაგრძელება იმ სამეცნიერო წამოწყებისა ქართული ფილოლოგიის დარგში, რომლის საჭიროება შეგნებული იყო ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ ძველი რუსეთის აკადემიაშიც კი. მეორე ტომს ებეჭდავთ ახლად დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა სერიაში.

ძველი ქართული მწერლობა იმიტაც იზიდავს ამ უკანასკნელ დროს სპეციალისტთა ყურადღებას, რომ მას შემოუნახავს ისეთი შრომები ქრისტიანული ლიტერატურისა, რომელთა დედნები დღეს აღარ ჩანს და მეცნიერებისათვის საძიებელი გამხდარა. ჩვენი კვლევა-ძიებითი მუშაობა თავიდანვე, სხვათა შორის, ასეთი თხზულებების აღმოჩენასა და გამოქვეყნებასაც ისახავდა მიზნად; ასეთი მიზანი ამჟამადაც აქტუალურია ჩვენთვის.

წინამდებარე ტომში შესული აგიოგრაფიული ძეგლები ე. წ. კიმენური რედაქციისაა. ამათგან პირველი სამის გამოცემას ჩვენ ჯერ კიდევ 1912 წელს ვაპირებდით მეცნიერებათა აკადემიის ორგანო Христианский Восток-ში. მაგრამ სწოედ ამ წელს გამოვიდა აღწერილობა ერთი ქართული ხელნაწერისა, რომელიც Bodleianae Oxoniensis ბიბლიოთეკის კუთვნილებას შეადგენს და, სხვათა შორის, ამ სამ ძეგლსაც შეიცავს. აღწერილობის ავტორს, ორიენტალისტ P. Peeters-ს, ყურადღება მიუქცევია მათთვის და გადაუწყვეტია მათი გამოქვეყნება (in hisce Analectis edere constituimus). ამიტომ ჩვენ თავი შე-

ვიკავებ ჩვენი განზრახვისაგან როგორც მაშინ, ისე რამდენიმე წლის შემდეგაც, როდესაც გამოვიდა ჩვენი „კიმენი“-ს პირველი ტომი. ოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ეს მნიშვნელოვანი თხზულებები ჯერაც არ გამოცემულა (ყოველ შემთხვევაში 1939 წლამდე, როდესაც გამოვიდა უკანასკნელი, თბილისში მოსული, 57 ტომი Analecta-სი). ამიტომ ახლა ხელს ვკიდებთ დიდი ხნის განზრახვის განხორციელებას.

1941, VI, 20.

მარტვილობა ლუკიანოზისი

1. მახალღები ლუკიანოზის აგიოგრაფიისათვის. ლუკიანოზი სრულიად უცნობი პირია აგიოგრაფიაში: არც ერთი ქრისტიანი ერის მწერლობაში მისი სახელი მოხსენებული არაა. მხოლოდ ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები მის შესახებ. მისი ხსენება დადებულია იოანე-ზოსიმეს 956 წლის სენაქსარში 22 აგვისტოს; ვფიქრობთ, 23 აგვისტოს აქვე დადებული ხსენება ლუკიანოსი ამავე ლუკიანოზს უნდა გულისხმობდეს, ვინაიდან ამ სენაქსარში ერთისა და იმავე პირის ხსენება ხშირად ორს ერთიმეორის მომდევნო დღესაა ხოლმე განწესებული, მხოლოდ აქ ის, უეჭველია შეცთომით, ეპისკოპოსადაა წოდებული. ლუკიანოზის სახელით ის მოხსენებულია მიქელ მოდრეკელის „ყოველთა წმიდათა“ საგალობელში¹. მისივე სახელის დღესასწაულს ვხვდებით აგრეთვე 21 აგვისტოს გიორგი მთაწმიდლის აგვისტოს მინეონში²; აქაც მას ლუკიანოზი ეწოდება. ქართულ მწერლობაში, გარდა კალენდარულ-მინეოლოგიური ხსენებისა, ჩვენ მოგვეპოვება მთელი, საკმაოდ ვრცელი, „კიმენის“ რედაქციის მარტვილობა ლუკიანოზისა, რომელიც ორი ნუსხითაა შემონახული. ერთი მოთავსებულია A 95-ში (გვ. 1033—1046), ხოლო მეორე Bodleianae Oxoniensis ბიბლიოთეკის XI საუკუნის ხელნაწერში³. ტექსტი იბეჭდება პირველი ნუსხის მიხედვით, ვინაიდან მეორე ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის. ეს უკანასკნელი, P. Peeters-ის მიერ მოყვანილი (შეცთომებით) დასაწყისისა და დასასრულის გათვალისწინებით, უცვლელად უნდა იმეორებდეს პირველს. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ, მსგავსად გიორგი მთაწმიდლის მინეონისა, ხსენება მარტვილისა აქ დადებულია 21 აგვისტოს და თვით მარტვილს ლუკიოზი ეწოდება (ლუკიოზად იწოდება ის ხშირად № 95-შიაც).

2. მოკლე შინაარსი თხზულებისა. ივლიანე იმპერატორმა გამოსცა ბრძანება ქრისტიანთა წინააღმდეგ; ეს ბრძანება, სხვათა შორის, მიიღო ბალბაქის ან „მზის ქალაქის“ მთავარმაც, წარმართებმა მოახსენეს მას: აქ არის ერთი კაცი, რომელიც ჩვენს ღმერთებს, თაყვანისცემის მაგიერ, ავინებს, ჩვენ დაგვცინის და ჩვენს შვილებს, სანამ მათ აღკვეცდნენ ღმერთთა წინაშე, რომელთაღმისი იხილი შეწირულნი არიან, თვითონ ჰკვეცს თმას, სადაც და როდესაც მოახერხებს. მთავარმა ბრძანა მისი მოყვანება და დაუწყო გამოკითხვა. ლუკიანოზმა თამამად და უშიშრად აღიარა თავისი ვინაობა, სილიადე და ქეშმარიტება

¹ პ. ინგოროცვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 56, სტრფ. 223.

² К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 395.

³ P. Peeters, Analecta Bollandiana, XXXI, p. 314.

ქრისტიანობისა, მისი რაობა და უპირატესობა წარმართობის წინაშე, ამასთანავე განაცხადა, რომ მას ვერავითარი ტანჯვითა და წამებით ვერ აიძულებენ კერპებს მსხვერპლი შესწიროს. დაიწყო მისი წამება: ჯერ სცემეს „ძარღვთა ზროხისადათა კმელითა“, მერმე დაადევს ბორკილები და შეაყენეს საპყრობილენში, აქედან გამოყვანის შემდეგ კვლავ სცემეს „ჟურთხითა მუხისადათა“, შემდეგ გამოაბეს თოკი ფეხებზე და წაათრიეს ქალაქის გარეთ; გზაზე ზოგი კერპებით სცემდა მას, ზოგი ქვით ქოლვიდა, ზოგი დასცინიდა და შეურაცხყოფას აყენებდა. ქალაქის გარეთ ეს ჩამოაჰქიდეს ხეზე და ასო-ასო აკეპეს. მისი წამების დროს შემთხვევით იქ მოხვდა ერთი შეაქლემე, რომელიც სხვებს არ ჩანორჩებოდა: მან თავისი ხელით გამოიღო „შინაგანი ასონი“ მოწამისა და დაუწყობათ „ცოხნა კბილთა“, რისთვისაც მან ღვთისაგან შესაფერი სასჯელი მიიღო: ჯერ დაბრძვება და მერე სიკვდილი. ერთი ასოთგანი ლუკიანოზის აიტაცა ყორანმა და მიიტანა ქალ. სიღონში, სადაც ერთი მორწმუნე დედაკაცის კარების წინ ჩამოაგდო. დედაკაცმა აიღო ეს ასო, დიდი კრძალულებით გაწმინდა, შეახვია და შეინახა თავის სახლში. მერე ეს ამბავი მან აუწყა იქაურ ეპისკოპოსს, რომელმაც, დევნულების დაცხრომის შემდეგ, ააშენა იმ ადგილას შენეირი ტაძარი, სადაც დასვენა აღნიშნული ნაწილი მოწამისა. როდესაც ლუკიანოზის სხეულს ნაწილ-ნაწილად სჭრიდნენ, შემთხვევით იმ ადგილას გააიარა ერთმა მორწმუნე კაცმა. მან ჩუმად მოახერხა ალება მოწამის ერთი ნაწილისა, რომელიც წაიღო ქალაქ ემეწას ახლო მდებარე თავის სოფელ სამფსას. აქ ააშენეს ტაძარი, რომელშიაც დასვენეს ეს ნაწილი. დანარჩენი ნაწილები ლუკიანოზის გვაშისა აკრთა ღამით ქალ. ბალბაქის ერთმა მორწმუნე დედაკაცმა, რომელმაც ისინი თავის სახლში მიასვენა და დაკრძალა. დევნულების დასრულების შემდეგ ქ. ბალბაქის ეპისკოპოსმა კოდრატემ, გაიგო რა ეს, ისინი გადაასვენა სტეფანე პირველმოწამის ტაძარში, ხოლო მას შემდეგ, რაც ლუკიანოზის წამების ადგილას დიდებული ტაძარი ააშენეს, მისი ნაწილებიც, ამ ტაძარში დასვენეს.

3. თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა. ლუკიანე წარმოშობილი, მისი სიტყვით, „სოფლისაგან, რომელსა ეწოდების ტაფარდანონ“, ყოფილა „მკვდრი ქალაქისა ბალბაქისა, რომელ არს მზის ქალაქი“. ამ ქალაქში აწამეს იგი. ბალბაქი არის ბალ-ბექი ან ილიოპოლი. ასეთი სახელით ცნობილი იყო ორი ქალაქი: ერთი ეგვიპტეში და მეორე ლიბანის ფინიკიაში, პალესტინის ჩრდილოეთით, 80 კილომეტრით დამორეხული დამასკოდან. რომელი ილიოპოლი იგულისხმება ამ შემთხვევაში? რასაკვირველია, მეორე, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ქალაქი იყო ფინიკიისა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თხზულებით, მის მახლობლად არის ქალაქები სიღონი და ემეწა. თვით თხზულებაში პირდაპირ აღნიშნული, რომ ლუკიანოზი აწამა „უპატოსმან ფინიკის ლიბანისა მან“. ეს ქალაქი ცენტრალური პუნქტი იყო მთელი აღმოსავლური წარმართობისა, ის იყო ქალაქი წარმართთა დიდებული ტაძრებისა, კერძოდ აქ იყო ტაძარი ღვთაება ბალისა. მეოთხე საუკუნეში კონსტანტინე დიდმა, ეგვიპტის კესარიელის ცნობით, აქ დააარსა საეპისკოპოზო კათედრა, მას შემდეგ ეს ქალაქი შეიქნა ცენტრად აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელებისა, თუმცა მესხეთ

მაუწყენში, ეპისკოპოზის ნონეს დროს (451—457), აქ ჯერ კიდევ წარმართობა სჭარბობდა. ეს ილიოპოლი ცნობილია აგრეთვე როგორც ადგილი წმიდა ბარბარეს (4 დეკემბერი) და ედოკიას (1 მარტი) მოწამებრივი აღსასრულისა.

თხზულებაში აღნიშნულია, რომ იმაში აღწერილი ამბები მოხდა „პირველსა წელსა ივლიანე მეფისა უღმრთოვასა“, რომელსაც წინათ სწამდა ღმერთი ქეშმარიტი, „იკითხვიდა იგი საღმრთოთა. წიგნთა და უწყოდა ქეშმარიტებაჲ“, მაშასადამე, ივლისხმება იმპერატორი ივლიანე აპოსტატი. თხზულების ბოლოში უფრო ვრცელადაა ეს გარემოება აღნიშნული: „ეწამა წმიდა მოწამელ ქრისტესი ლუკიოს მეფობასა ივლიანეს უღმრთოვასა, ჯელმწიფებასა ჰატიონისსა ფინიქს ლიბანისასა“, რომლის სახელი თხზულებაში ნაჩვენებია არაა. ივლიანე მეფობდა 361 წლის 3 ნოემბრიდან 362 წლის 2 ნოემბრამდე. 361 წლის 11 დეკემბერს, როდესაც ივლიანე დასავლეთიდან კონსტანტინოპოლში შევიდა, მან გამოსცა რესკრიპტი, რომლის ძალით ა) კვლავ გააღეს წარმართთა ტაძრები, ბ) დაიწყეს იმათში ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვა, გ) წარმართთა სამღვდელოებას დაუბრუნეს დაკარგული პრივილეგიები, დ) ააშენეს მრავალი ახალი ტაძარი, ე) დროშებზე გამოაჩინეს წარმართული გამოხატულებანი. ეს რესკრიპტი აქვს მხედველობაში ჩვენი თხზულების ავტორს, როდესაც ის ამბობს: „პირველსა წელსა ივლიანე მეფის უღმრთოვასა განეფინა ბრძანებაჲ უღმრთებისა მისისაჲ ყოველსა ქუეყანასა, რაათა უგებდენ ცუდთა ღმერთთა და მრავლთა მოსწრაფებითა განეხუნეს ტაძარნი კერპონის და რაათა იდიდებოდინა ჯელთქმულნი და პატივეცემოდის ქურუმთა მათ კრპთმსახურთა, რომელთა უწოდდა მღვდელ, რომელ არა არიან მღვდელ“. ამ რესკრიპტის საფუძველზე აღიძრა ლუკიანოზის პროცესი, შეიძლება ივლიანეს ანტიოქიაში გადასვლასთან (362 წლის ივლისში) დაკავშირებით. მან გამოიწვია ქრისტიანების უღებტა ყველგან: ანტიოქიაში, ალექსანდრიაში, გაზაში. ილიოპოლში აწამეს ქრისტიანი ქალწულები, რომელთა გვამები ღორებს მიუგდეს შესაქმელად. ლუკიანოზის წამებისა ბალბაქის ეპისკოპოზად ყოფილა კოდრატე, რომელსაც ამ თხზულებით ვეცნობთ პირველად. სუსხი დევნულებისა შეხებია ამასაც: ავტორის სიტყვით, ის იყო „პირველი ქეშმარიტი, სამოციქულოჲ, აღმსარებელი“, ესე იგი—ოფიციალურად დაკითხული დევნულების დროს; მაშინ, „ეწამა მას დევნულებისასა, იყო იგი დამალულ“, როგორც ამას ჩვეულებრივ სხვა ეპისკოპოსებიც სჩადიოდნენ ხოლმე.

4. თხზულების ირივინალი და ქართული თარგმანი. ქართული ტექსტი თხზულებისა წარმოადგენს ბერძნულიდან მომდინარე თარგმანს (საკუთარ სხელთა ოხ დაბოლოება, ქარტა, ჰატიონის). ავტორი თხზულებისა აღნიშნულია თვით ტექსტში: „მე, პომფილიოს გლაზაკმან, რომელი შენდობითა და მიშუებითა ღმრთისაჲთა ვიქმენ ეპისკოპოს ქალაქსა ბალბაქს, შევაერთე ესე საწამებელი“-ო, ამბობს ის. ავტორის თხზულებისა არის, მაშასადამე, პომფილიოს ეპისკოპოსი, რომლის არსებობას მხოლოდ ამ თხზულებით ვტყობილობთ. ის ჩვენ თავისი შრომის წყაროსაც გვითვალისწინებს: „ძველისაგან ქარტისა, რომელსა შინა წერილ იყო ქსენებაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, გარდამოვიღე და შევაერთე ესე საწამებელი“-ო. მას ხელთა ჰქონია, მაშასადამე, „ძველი ქარ-

ტაძრე“, ესე იგი, სასამართლოში დაკითხვის უშუალო აქტები ან ოქმები. ეს აქტები მართლაც რომ მთლიანად „გარდამოუღისა და შეუერთებია“ მას, ეს ნათლად ჩანს თვით შრომიდან. როდის შეასრულა მან ასეთი საქმე, ესე იგი—როდის ცხოვრობდა ის? ავტორი, რასაკვირველია, არაა თანამედროვე მის მიერ აღწერილი ამბებისა, ამას გვაჩვენებს, სხვათა შორის, ფრაზაც: „ვიდრე აქამოდღე“, „ვიდრე ღღენღღლად ღღენღღღე“. ავტორი პირდაპირ გვეუბნება, რომ თავისი შრომა მან შეასრულა დიდი ხნის შემდეგ ამ ამბებიდან; ის ამბობს: „ძუელი-საგან ქარტისა გარდამოვიღე და შევავრთე“-ო, მაშასადამე, მის დროს წყარო უკვე „ძუელი“ იყო, ასე რომ, შესაძლებელია რამდენიმე საუკუნესაც განველოს ამ წყაროების გაჩენიდან. ქართული თარგმანი მისი უფრო ძველია, ვიდრე მისი შემცველი, ღღეს ცნობილი ნუსხები. მის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს ერთს სიტყვას, რომელიც იმაში გვხვდება. ავტორი ამბობს: ლუკიანოზს „მოშკრიდეს გელთა მისთა ტაბარძენებითა“. სიტყვა „ტაბარძენი“ საბასაც განუმარტავს თავის ლექსიკონში და თავის განმარტების ნათელსაყოფად მოუყვანია სწორედ ეს ადგილი ლუკიანოზის მარტილობიდან, მაშასადამე, ამ თხზულებას ისიც იცნობდა. მისი განმარტებით, „ტაბარძენი სპარსულია, უნაგირზე დასაკრავს ნაჯახს ჰქვან“. მართლაც, სიტყვა წარმოდგება სპარსული სიტყვისაგან „თაბარ“ („ტაბარ“), რაც ცულს, ნაჯახს ნიშნავს (Vullers), აქედან რუსული топор. „თაბარზინ“ ერთ-ერთი სახეა ამ ცულისა, — species securis, quam milites ad latus sellae equestris alligant (Vullers). ამ სიტყვის ქართულ ფორმაში, სხეციალისტთა სიტყვით (მ. ხუბუა), სპარსული გრძელი ნიშნითაა გადმოცემული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ თხზულება, რომელშიაც „ტაბარძენი“ გვაქვს, ქართულად უნდა გადმოთარგმნილიყო არა უგვიანეს მეცხრე საუკუნისა.

წ. ტექსტის ანალიზი. ნუსხაში A 95, რომლიდანაც იმეჭდება ტექსტი, არის გადაწერის დროს დაშვებული შეცდომები, მაგალითად: „კიდონდ“ „სიდონდ“-ის მაგიერ. ფონეტიკის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს უ-ნის სისტემატური შეცვლა ჯ-ნით, ბერძნული ოხ (დაბოლოება სახელისა) გადმოცემულია როგორც ოს და ოჲ. სიტყვა „მსწრაფლ“ იწერება უასო—ს-ნოდაც, მწრათლ.

მორფოლოგიაში თავს იჩენს არაკანონიერი ხმარება შ ასოსი. სახელობითსა და ნათესაობითს ბრუნვებში, აგრეთვე ზედშესრულთა შედარებითს ხარისხში მას სწორად ვერ ვხედავთ, სამაგიეროდ იმას ადგილი აქვს ხოლმე მიცემითს ბრუნვაში. ვხევდებთ ნათესაობითი ბრუნვის ორმაგი სუფიქსი: „ქრისტესისა მონისა“—სუტრადღებას იქცევს ზმნის ფორმა: ვიხილი, აღვილი, ცვილი, ვამხილი. სინტაქსშიაც გვაქვს თავისებურებანი, ასე მაგალითად: „აღმსარებელი სახელსა“ და არა „სახელისა“, „მოსწრაფმ მსახურებასა“ და არა „მსახურებისა“. „შეიქცა კრებული, რომელთა ქმნესა“; „კრებული იგი, რომელი დგა გარემოას, ღალადყვეს და რქუეს“, ჩანს, როდესაც „კრებულთან“ მოქმედება გარდამავალია, ზმნა მრავლობითშია, ხოლო თუ გარდაუვალია, ან მდგომარეობის გამომხატველი, მხოლობითში: „შეიქცა“, „შეკრბა“ „კრებული“.

ლექსიკიდან აღვნიშნავთ ზოგიერთ სიტყვას:

ახს—ახლავს.

გიფლე—უფლება მოგეცი.

ერისკაცი—ჯარისკაცი.

ვინაჲ—საიდან, როგორ.

ზორვა—მსხვერპლის შეწირვა.

იტყვებოდეს—მიიწვიდნენ.

მე—კითხვითი ნაწილაკი („ლმერთიმე
—განა ლმერთია?).

მესა შინა—იმწამსვე.

მიშვება—ნებართვა.

მომყმარი—მოწვიებული.

მუნქუსევე—მაშინვე.

ტაბარძენი—ცული, ნაჯახი.

უღები—დაუღევარი.

ვპატიოსნი—გამგე, მთავარ.

ქარტა—ქალაღი.

ქურუმი—წარმართთა მღღელი.

ლამშ—ლამით.

შებორკილონ—ბორკილი დაადონ.

წათები—შუბები.

ჰგიე—იყავი.

თხზულება საერთოდ შეიცავს ზუსტს ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს, იმაში არის საყურადღებო ყოფა-ცხოვრებითი დეტალები და ზემომქმედი სუ-
რათები, რაც მაჩვენებელია მისი ავტორის ნიჭისა და უნარიანობისა. საყურა-
დღებოა ერთი რელი: წარმართები თავიანთ ლმერთებს ბავშვებს სწირავდნენ
და ამის აღსანიშნავად მათ თმას შეაკრეჭდნენ ხოლმე. ხომ არ გვაქვს ჩვენ ასეთს
მოქმედებაში პროტოტიპი ქრისტიანთა პრაქტიკისა, რომლის მიხედვით მონა-
თღვის დროს (=ლეთისადმი განკუთვნა, შეწირვა) მოსანათლავს თმას ჰკრეჭენ
ხოლმე?

ახლა მოვიყვანთ მარტილობის თვით ტექსტს.

თთუესა ავჯსტოსსა კა

1033

სიგნე და მოღუაწებაჲ წმილისა მოწამისა ლუკიანოზისი, რომელი იწამა ქალაქსა შინა ბაღბაჰს

I. ვითარ უკუე არა უკვრდეს კაცთა ბუნებასა განგებაჲ იგი უფლისა
5 ღმრთისა და ძაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი სიმდაბლითა და
წორციელად მოსლევითა მისითა მოანიჭა ნათესავსა კაცთასა? რამეთუ არა და-
უშოთა და არცაღა თუ დაუტევა მცირცა ნაწილი ქუეყანისაჲ განუნათლებელად
ნათლითა მით მეცნიერებისა თვისსაჲთა. ვითარ მიცვალნა კაცნი საცთურისა-
გან მრავალღმრთეებისა გზასა მას ჭეშმარიტსა ერთღმრთეებისასა. ვითარ შე-
10 კრიბა მრავალმსახურებაჲ იგი უღელსა ქლემე ერთსა კეთილადმსახურებისასა.
ვითარ განდევნა სიბნელშ იგი საცთურისაჲ და განანათლა სიბრმშ იგი სულთა
მორწმუნეთაჲ. ვითარ იგი ჰმსახურებდეს დიდებათა და შუებათა და გემოთა
წორციელთა, მიუძღუა მათ განგებულებით დიდებათა მათ მიმართ და შეებათა
საუკუნეთა. ვითარ დაჰქსნა მრავალრჩულობაჲ იგი წარმართთაჲ და შეკრიბნა
15 ყოველნი შჯულსა შინა ერთსა საღმრთოსა და ჭეშმარიტსა. ვითარ აღიღო მსა-
ხურებაჲ იგი და მონებაჲ დაბადებულთაჲ და მიცვალა იგი დამბადებელისა. ვი-

თარ განაქარვა საცთორი იგი კერპთმსახურებისა და დაპწერვა და დაამტკიცა სნისსა ჩუენისა სარწმუნოება წმიდათა თუსთა მიერ.

II. პირველსა წელსა ივლიანე მეფისა უღმრთოდასა განეფინა ბრძანებად უღმრთეებისა მისისადა ყოველსა ქუეყანასა, რაათა უგებდენ ცუდთა ღმერთთა და მრავლითა მოსწარაფებითა განეხუნეს | ტაძარნი კერპთანი და რაათა ილი- 5 დემოდიან წელთქნულნი და პატივეცემოდის ქურუმთა მათ კერპთმსახურთა, რომელთა უწოდდა მღდელ, რომელ არა არიან მღდელ. და ყოველი ერი შეუდგა ბრძანებულსა მას შეგინებულსა მეფისა მის უშუალოდასა. ხოლო რომელნი წინააღუდგებოდეს და არა დაემორჩილებოდეს განჩინებულსა მას, მიეცემოდეს ივინი მოუგონებელთა და მწარეთა სატანჯველთა. მას ეამსა მოიწია გელმწი- 10 ფქ ვინმე ერთი ქალაქსა ბაღბაქს, რომელ არს მხის ქალაქ, ფრიად უკეთისი და ბოროტის მოქმედი, და შვეულსა საღმრთოსა წინააღმდგომი და ფრიად ერთგული და მოსწარაფქ მსახურებასა კერპთა უსულთასა, რომელმან მიიღო უღმრთეებისა იგი ბრძანებად და ესრჳთ მკვდრთა თანა ქალაქისთა წარუდგინნა მსხურპლნი და შესაწირანნი კერპთა უსახელოთა. იაშინ მოვიდეს მღდელნი იგი 15 საცთორისანი, რომელ არა არიან მღდელ, და ჰრქუეს გელმწიფესა მას ვითარმედ: «კაცი არს აქა, რომელი არა თაყუანის სცემს, არცა უგებს ღმერთთა ჩუენთა, და ჩუენ გუაგინებს და შვილთა ჩუენთა, შეწირულთა ღმერთთა მიმართ, თმასა, რომელი მათ წინაშე საკუეცელ არნ, სადაცა დაემთხვოს, მოჰკუეცეს პირველ კუეცადმდე მათა წინაშე ღმერთთა, საგინებელად მათა». ხოლო ვითარცა 20 ესმა ესე გელმწიფესა მას, ბრძანა მწარაფლ მოქყანებად მისი.

III. და ვითარცა მოიყვანეს წმიდად ლუკიოს, ჰრქუა მას მსაჯულმან მან: «რად უკუე არს სახელი შენი?» ჰრქუა მას წმიდამან ლუკიოს: «უკუეთუ საწუთროსა და წარმავალსა სახელსა ჩემსა ეძიებ, ლუკიოს მრქვან, ხოლო საუკუნოდა სახელი ჩემი არს ქრისტიანე». ჰრქუა მას მსაჯულმან მან: «რომლისა ქალაქი- 25 სადა ხარ შენ?» მიუგო და ჰრქუა მას წმიდამან ლუკიოს: «მ მსაჯულო, ჩუენ ქრისტესმსახურთადა ქალაქი ერთი არს, ზეცისა იერუსალსმი, რომლისა ხუროთმოძღუარ და შემოქმედ არს ღმერთი. ხოლო უკუეთუ ქუეყანისა ქალაქსა ჩემსა იკითხავ, ვარ მე სოფლისადა, რომელსა ეწოდების ტაფარდანონ, და მკვდრ ვარ მე აწ ამას ქალაქსა». ჰრქუა მას მსაჯულმან მან: «და რომლითა კადნიერებითა 30 ფქ ამას, რომელსა მოქალაქენი იტყვან შენთუს?» ჰრქუა მას ლუკიოს: «და რასა უკუე იტყვან ჩემთუს?» ჰრქუა მას მსაჯულმან მან: «ვითარმედ არა მსახურებ შენ ღმერთთა». ჰრქუა მას წმიდამან ლუკიოს: «მე ქრისტიანე ვარ და ღმერთსა ცხოველსა, მხოლოსა დამბადებელსა ყოვლისასა, უფალსა იესუ ქრისტესა, თაყუანის ვსცემ, და ეგევითართა ეშმაკთა შეგინებულთა არა უგებ, რომელნი დამარხულ არიან დღედ რისხვისა და სატანჯველთა მათ საუკუნეთა მორჩილთა მათთა თანა. და ვითარცა ვიხილი ესე ვითარი წინააღმდეგობად ქრისტეს სარწმუნოებასა კერპთმსახურთაგან, შური საღმრთოდა აღვილი და ესე ვყვი, რაათა ამით ვაჩუენო და ვაუწყყო ვითარმედ ქრისტიანე ვარ, და ვამხილი უღმრ- 35

1034

1031

გბრ. 11, 10

1035

2 პტრ. 3, 7

5 განეხუნეს.—10 მწარტთა.—13 მოსწარაფე.—14 ესრეთ.—15 მსხურპლნი.—26--27 ქრისტესმსახურთა.—27 ხუროთა.—36 დამარხულ.—37--38 ქრისტეს.

თეებად მათი. რამეთუ ესრე თქუა წინადასწარმეტყუელმან: «ღმერთა, რომელ-იერ. 10, 11-12
 თა ცაჲ და ქუეყანაჲ არა შექმნეს, მოისაზნედ იგინი პირისაგან ქუეყანისა, რამე-
 აჲ ყოველნი ჳერბნი წარმართთანი ეშმაკ არიან, ხოლო უფალმან ცანი შექმნა,
 აჲ მითნარა მე, ჳ მსაჯულო, უკუეთუმცა ღმერთთა მათთა ძალი. აქუნდა შემ-
 5 წედ ყრმათა მათთათჳს, რათამცა წინაშე მათსა მოიკუტუნეს თმანი მათნი, რაჲ-
 სამცა არა შურ იგეს მისგან, რომელმან იგი უქამოდ მოკუტუნის ყრმანი იგი,
 მათა შეწირულნი, და დაარღნის საკურთხეველნი მათნი? აჲ რომელნი თავთა
 მათთა შეწევნად ვერ შემძღებელ არიან, ვითარ უკუე ღმერთ ეწოდების მათ
 ესევეთართა?» ჰრქუა მას მსაჯულმან: «და შენ ვითარ უკუე ღმერთად თავყუანის
 10 სცემ კაცსა, შობილსა დედაკაცისაგან?» ჰრქუა მას ლუკიოს: «ჲე თავყუანის ვსცემ
 ამისთჳს, რამეთუ სიტყუაჲ არს ღმრთისა მამისაჲ, და ჩუენისა ცხორებისათჳს
 კაც იქმნა სულისა მიერ წმიდისა, იშვა ქალწულისა მარიამისაგან, და მშობელსა
 ქალწულადეჲ დადაღრა. ხოლო იგი ბუნებასა შინა თჳსა არა შეიცვალების და
 არცა იხილვების, რამეთუ ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ უხილავ არს და ვერ შესაძ-
 15 ბელ იყო გამოჩინებაჲ მისი შიშულად ღმრთეებითა დაბადებულთა უძლურები-
 სათჳს, უკუეთუმცა გორცნი არა შეემოსნეს. და კუალად მითვე გორცითა შეი-
 წყნარნა ვნებანი ჩუენთაჲს | და ძღვეაჲ გამოაჩინა და არს იგი ღმერთ მსგავ- 1036
 სებითა კაცთაჲთა». ჰრქუა მას მსაჯულმან: «არა უკუე გრცხუენისა კაცისაჲ სა-
 ხელდებაჲ ღმერთად, და არს იგი ჯუარცუმელ და მომკუდარ, ღმერთი-მე ჯუარ-
 20 ცუმული არნა, ვითარ ევე თქუნე იტყუთ უგუნურად? ჰრქუა მას ლუკიოს: «რა-
 მეთუ ქრისტემან შეიწყალა ნათესავი კაცთაჲ, რომელი ცთუნებულ იყო ეშმაკი-
 ნაგან, და ნეფსით თჳსით მისცა თავი იგი სიკუდილსა, და არა თუ იძლე-
 ბით, და სიკუდილსა ჯუარისასა, რათა განაქარვოს ყოველი ძალი მტერისაჲ
 25 და განათავისუფლნეს კაცი საცთურისაგან მისისა, ვითარცა გესმა, სიკუდილითა
 მისითა ესე ყო. აჲ უკუე განახუნე სასმენელნი შენნი და ყურადიღე, რამეთუ
 აღ-ცა-დგა იგი მკუდრეთით და აღვიდა იგი მამისა, რომელ არს ცათა შინა,
 და დაჯდა მარჯუენით მისა, და კუალად მოსლვად არს განშჯად ცხოველთა
 და მკუდართა». ჰრქუა მას მსაჯულმან: «ვინაჲ მიჩუენო მე ჳეშმარტებაჲ სიტყ-
 30 უსაჲ ამის?» ჰრქუა მას ლუკიოს: «უკუეთუმცა მიფჳ შენი გილიანე აჲა იყო და
 ეძიებდა ჳეშმარტებისა სიტყუსა და უნდა იგი, მამნცა ივინახა. რამეთუ ოდეს
 იგი ღმერთი მისთან იყო და ჰრწმენა იგი, ივითხვიდა იგი საღმრთოთა წიგნ-
 თა და უწყოდა ჳეშმარტებაჲ». ჰრქუა მას მსაჯულმან მან: «ვითარ უკუე შენ
 სოფლიო ხარ და ამას იმარხავ, ვინ უკუე გასწავა შენ ესევეთარი სიტყუსგე-
 მბაჲ. ჰრქუა მას წმიდამან ლუკიოს: «ქრისტჳ არს, რომელი ასწავებს კაცთა
 35 მეცნიერებასა და უგუნურთა მოსცის გონიერებაჲ». ჰრქუა მას მსაჯულმან: «შენ
 უკუე უგუნური ხარა?» ჰრქუა მას ლუკიოს: «ვეყავ უწინარჳს ევრე, ხოლო აჲ
 ქრისტჳს ღმრთისა ჩემისა მიერ ყოველსა მეცნიერ ვარ, რამეთუ ჰრქუა მოწა-
 ფეთა თჳსთა, ვინაჲთგან უწყოდა მან წინადასწართა ცნობითა თჳსითა ყოველი
 ესე, რომელი შენთხუეჲდ იყო მონათა მისთა და აღმსარებელთა სახელსა წმი-

მთ. 10,
18—20
1037

დასა მისსა: მეფეთა და ჯელმწიფეთა წინაშე წარსდგეთ სახელისა ჩემისათს სა-
წამებლად მათა და ყოველთა წარმართთა; და ოდეს მივცენ თქუენ, ნუ ჰზრუ-
ნათ, რასა უკუე იტყოდით, რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ
სული იგი მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ მიერ». | ჰრქუა მას
მსაჯულმან: «უწყოდე, რამეთუ მრავალი თავსმიდებთს მე შენგან და ამისთს 5
გიფლე შენ სიტყუსგებად, რადთა პირველი იგი უგუნურებით კანდიერებაჲ გა-
ნისორო. აწ უკუე უგებ და აღასრულებ ბრძანებასა მეფისასა ანუ არა და ნუ
უკუე გიცნობისცა, რად იგი განბჭობაჲ უბრძანებთს ურჩთა და განდგომილ-
თათს?» ჰრქუა მას ლუკიოს: «მე ქრისტიანე ვარ, და სასოებაჲ ჩემი, ქრისტე,
ძმ ღმრთისაჲ არს, და არაოდეს უგებ ჰვათა და ძელთა, რამეთუ ქმნულნი არი- 10
ან ჯელთა კაცთანი უსულონი». ჰრქუა მას მსაჯულმან: «ვერღარა თავსვიდებ
შენსა, უკეთუ არა აღასრულო ბრძანებაჲ ივლიანე მეფისა თუთმყრობელისაჲ,
არღარა დავითმო, არამედ შთავადო შენ სატანჯველთა მტკივანთა და უწყა-
ლოთა, რომელთა მიერ ბრძენ იქმნე არღარა წინააღმდეგობად ჯელმწიფეთა.
და რამეთუ მე სულგრძელ გექმენ და თავსვიდეგ შენგან ესე ყოველი, რადთა 15
მოგაქციო და დაგაჯერო მორჩილებად ღმერთთაჲ და მეფეთაჲ. და კუალად
უკუეთუ მე უდებ ვყო ბრძანებაჲ მეფეთაჲ შენისა წყალობისათს, მეშინის, ნუ
უკუე ბოროტი რადმე შემემთხვოს მე». ჰრქუა მას წმიდამან ლუკიოს: «ვითარცა
იგი შენ გეშინის და მოსწრაფე ხარ აღსრულებად ყოველსა ბრძანებასა მეფი-
სა შენისასა, ეგრესთვე მე მოსწრაფე ვარ, რადთა არასდა უარვეყო ღმერთი ჩე- 20
მი და მეშინის შეურაცხყოფად მეუფისა მის ჰეშმარტისაჲ, ნუ უკუე მივეცე მე
ცეცხლსა მას საუტუნესა და ბნელსა გარესენელსა წყუდიადისაჲ. ხოლო ესე
უწყოდე ვითარმედ მეფე შენი მძლე არაოდეს ყოფილ არს, რომელსა შენ თუ-
თმყრობელად უწოდდი, რამეთუ ეშმაკთა წარმწყმედელთა ჰმსახურებს, რომელნი
დაჰქსნან და განაქარვნა და მოაუძღურნა ღმერთმან ჩემმან იესუ ქრისტემან და 25
შთასხნა ივინი ზლუსა და განაქარვა ძალი მათი. და ვითარ ივინი განიდეგნ-
ნეს ქრისტეს ჩემისაგან, ეგრესთვე შენ და მეფე შენი იძლინეთ მონათა მისთა-
გან და მოუძღურდეთ».

1038

IV. | მაშინ განრისხნა მსაჯული იგი და ბრძანა გუემად მისი ძარღვთა
ზროხისადაჲ ჯმელითა და, რაჲჲს განიპყრეს მტარგელთა მათ და იწყეს გუე- 30
მად, აღიხილნა თუალნი თუნნი ზეცად წმიდამან, ლაღაღყო და თქუა: «ქრისტე
ღმერთო ჩემო, შემეწიე მონასა შენსა ლუაწლსა ამას შინა წმიდასა! ჰრქუა მას
მსაჯულმან: «უგე ღმერთთა და წარვედ ვიდრეცა გნებავს და, უკუეთუ არა, შე-
მეგალხარ უძრესთა სატანჯველთა ამის ყოფილისაჲ. ჰრქუა მას წმიდამან ლუ-
კიოს: «ამისთს მოსწრაფე ვარ, რადთა ვილუაწო ვნებთთა გუამისა ჩემისადაჲ 35
და ვიქმნე მე მკვლარ სასუფეველსა ცათასა; ყავ უკუე აწ რომელი გნებავს, რა-
მეთუ ქრისტე შემეწიე ჩემდა არს, და შეურაცხვეყო სატანჯველთა შენთა. რამე-
თუ მან თქუა, მოძღუარმან ცხორებისამან, ვითარმედ ნუ გეშინინ მათგან. რო-
მელთა მოწყვდენენ ჯორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძღებელ არიან მო-

მთ. 10, 28

წყუედად, არამედ მისა გეშინოდენ, რომელსა ჯელმწიფებდა აქუს სულისა და
 ვორცთა წარწყმედად გეჭენიასა შინა ცეცხლისასა. და კუალად: რომელმან აღ-^{მთ. 10.}
 მაროა მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა.
 და ამისთჳს არა დაუტევებ ღმერთსა ჩემსა და არცა თაყუანის ვსცემ ეშმაკთა
 5 შეგინებულთაჲ. ჰრქუთ მსაჯულმან მტარვალთა მათ: «უფროსრე უწყალოდ გუე-
 მეთ ეგე და ვიხილოთ, უკუეთუ მოვიდეს ღმერთი მისი შეწყენად მისაჲ. ჰრქუთ
 წმიდამან მოწამემან ლუკიოს: «არა მეშინის მე სატანჯველთა ამათგან შენთა
 და, უკუეთუ უძრ.ღსნი არიან შენ თანა, მოაწიენ ივინიცა ჩემ ზედა. რამეთუ
 მრწამს მე ქრისტესი, შემწისა მის ჩემისაჲ, რათა არა ვგარბობდე მე წყლუ-
 10 ლებათა ტანჯვისა შენისათა; რამეთუ აქამომდე, ვითარცა მახული, დამეცემის
 ჩემ ზედა და არას ვჰზარუნავ». და ვითარცა ესე თქუა წმიდამან მან მოწამემან,
 უბრძანა მსაჯულმანი, რათა დააცადონ გუემად მისი და შეუბორკილონ იგი და
 შეაყენონ საპურობილესა, ნუ უკუეთ ესრეთ შეცვალონ განზრახვად თჳსი და ის-
 წრაფოს მსახურებდა ღმერთთაჲ.

15 V. და ვითარცა მიჰყვანდა წმიდად იგი მოწამს საპურობილედ, ჰრქუთ თაყ-
 სისა თჳსისა: «ისწრაფე, ლუკიოს, ნაწილსა მის, რომელი განგეზხადა». | და ეი-¹⁰³⁹
 თარცა შეიყვანეს იგი საპურობილესა, განვლო ღამს იგი თაყუანისცემით და გა-
 ლობით, აღიდებდა და ჰმადლობდა ღმერთსა ყოფილსა ამის ზედა. და ვითარ-
 ცა შევადამს იყო, ცრემლნი გარდამოსთხინა და თქუა: «ჲ უფალო ღმერთო ჩე-
 20 მო, მკნენლო და მაცხოვარო, იესუ ქრისტე, ნუგეშინისმცემლო მწუხარეთაჲ.
 და შემწეო შეუწყენელთაჲ, მოთმინეთა და მოღულაწეთაჲ, რომელნი სახელსა
 შენისათჳს იგუემებინან ნუ შეურაცხყოფ სიმდაბლესა მონისა შენისასა, არამედ
 შომეც მე ძალი და მოთმინებდა ვიდრე აღსასრულადმდე, რათა არა თქუას
 მტერმან ჩემმან ვითარმედ «მძლე ვეყავ მას». და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ
 25 ესე, გარდამოჴდა ანგელოზი უფლისაჲ ზეკით და შეახო მას და მუნქუესევე გა-
 ნიკურნა გუამი მისი გუემულეებისაგან. და ჰრქუთ მის: «მწენ იყავ და განძლიერ-
 დი, რამეთუ მე შენთანა ვარ, იტყჳს უფალი». და ხვალისა აღე კუალად დაჯ-
 და მსაჯული იგი საყდართა ზედა სამშჯავროსა და კრებული მრავალი საკუ-
 თართა მისთაჲ გარემოს მისსა. მაშინ ბრძანა მოყვანებად ახოვნისა მის ქრის-
 30 ტსისა წმიდისა ლუკიანოსა.

VI. და ვითარცა წარადგინეს წინაშე მისსა, მიჰხედა მსაჯულმან მან და
 ჰრქუთ მას: «რასა უკუე იტყჳ, ჰ ლუკიანოს, განჰბრძნდია უფუნურებისაგან შე-
 ნისა ანუ მსვე უკეთურებასა ზედა ჰგიე ვიდრე აქამომდე და გენბავს ბორო-
 ტად წარწყმედად თავისა შენისაჲ? აღიარენ აწ უკუე ღმერთნი და ჩემგან პა-
 35 ტიეცემულ იყო». ჰრქუთ მას წმიდამან მოწამემან ლუკიოს: «არა მეშინის მე სი-
 ქადულისაგან შენისა, არამედ რომელსა იგი გეტყოდე, კუალადცა მსვე გეტყჳ,
 აწ, ვითარმედ ქრისტიანე ვარ და არა თაყუანისცემე კერპთა უსულთა და
 არცა დაუტევებ ღმერთსა, დამბადებელსა ცისა და ქუეყანისასა, ზღუსა და ყო-
 ველი, რაჲ არს მათ შინა. ხოლო ესე რომელ პატრიე აღმითქუ და ღმერთთა
 40 შენთა შეწყალებდა, რათა უკუე ვცნა ამისი სიმტიცს, არათუ მრქუან მე პირს-

1040. პირ, თუ რომელსა მოსაგებელსა მომაგებენ მე აქა და მერმესა მას, და მაშინ-
 და თაყუანისესცე მათ ზორებითა». ჰრქუა მას მსაჯულმან: «ესენი | არა | ვის
 ჰზრახენ კეთილსა, გინა თუ ბოროტსა». ჰრქუა მას წმიდამან ლუკიოს: «შ
 უღმრთოო და შვილო ეშმაკისაო! და რაჟსა უკუე მიბრძანებ მე მსახურებად
 ყრუთა და უტყუთა?» ჰრქუა მას მსაჯულმან მან: «აჰა ესერა შეგემთხვა, რაჟ 5
 იგი შეგემთხვა, და შენ მასველა სიციოფესა და უღუნურებასა ზედა ჰკიე; უგე
 ღმერთთა და განერი სატანჯველთა და განსაცდელთაგან წინამდებარეთა!» ჰრქუა
 მას წმიდამან ლუკიოს: «ყოველნი სატანჯველნი, რომელნი მოაწინე ჩემ ზედა,
 —ღმერთი ჩემი შემწე ჩემდა არს,—და მე მიღობით მივითულავე, რაჟთა ცნან
 ყოველთა: რომელნი ქრისტესა ჰმსახურებენ უძლიერეს არიან ძალსა მამისა თქუე- 10
 ნისა ეშმაკისასა და კერპთა თქუენთა შეგინებულთასა, და ჰრწმენეს უღმრთო-
 ცადა, ვითარმედ ღმერთი ქეშმარიტი ჩუენთანა არს». და ვითარცა ესე თქუა
 წმიდამან მოწამემან, კრებულნი იგი, რომელი დგა გარემოჲს მსაჯულისა მის,
 ღაღადყვეს და თქუეს: «ალოღ ესე, მტერი ღმერთთა ჩუენთაჲ, ალოღ დამარ- 15
 ლოვეელი საკურთხეველთა ჩუენთაჲ და მომკუეთელი თმასა შვილთა შეწირულ-
 თასას!» მაშინ ერისკაცთა მათ დაადუმეს კრებული იგი. ჰრქუა მსაჯულმან მან
 ნეტარსა მას: «ვიდრემდის კადნიერ ხარ და არა თავსიდებ მსახურებასა ღმერთ-
 თასა და არცა ბრძანებასა თუთმპყრობელისასა?» მაშინ ჯმაყო მოწამემან ქრის-
 ტსმან და ჰრქუა მსაჯულსა მას და კრებულსა: «მე ქრისტსს აღსარებისათჳს 20
 მოსწრათუ ვარ შეწყნარებად ყოველთა სატანჯველთა თქუენთა და ამით მოვე-
 ლი გარგვსა ზეცისასა. ხოლო თქუენ რაჟ უკუე სასოებაჲ გაქუს კერპთა მიმართ
 უსულთა, რომელნი ზარაჲ არიან, ამაოდ ჰმსახურებთ და ხართ თქუენ თა-
 ნაზიარ წარწყმედლასა მათსა».

1041. VII. მაშინ განრიხნა მსაჯული იგი და ბრძანა გუემეჲ მისი კუერთხითა
 მუხისათა და უბრძანა მცუელთა მათ: «ეტყოდეთ მეგას, რაჟთა არა ჰკომო- 25
 დეს ღმერთთა». ჰრქუა წმიდამან: «რაოდენ განამრავლენ სატანჯველნი ჩემნი,
 ეგოდენცა განმიშუენო გზრგვნი | მოლუაწებისა ჩემისაჲ!» და ვითარცა იხილა
 მსაჯულმან მან, რამეთუ შემუსრეს იგი ფრიად გუემითა მით, უბრძანა მტარ- 30
 ვალთა მათ დაცადებაჲ გუემისაჲ და ჰრქუა წმიდასა მას: «შ სამგზის საწყალო-
 ბელო! გხედავ, რიმეთუ მოჰკუდები და ესრეს სიტყუას მიგებ და არა სწყა- 30
 ლობ თავსა შენსა, რაჟთამცა დაიჯერე მსახურებაჲ, და არცა გეშინის სატან-
 ჯველთაგან; წარმო-უკუე-დევ და უგე ღმერთთა და განგიტეო შენ, და უკუე-
 თუ არა, უფროჲსლა გუემითა განგიკითხო შენ და ბოროტსა სიკუდილსა მიგ-
 ცე შენა. ჰრქუა მას წმიდამან ლუკიოს: «არაჲა მეურგების მე სიქადულთა შენ- 35
 თათჳს და არცა სიკუდილისათჳს მოუძღორდები და არცა ვისწავლი გებასა და
 არცა ვიცი ღმერთნი შენნი ვინ არიან, არამედ ვიცი მე ერთი ღმერთი, უფა-
 ლი იესუ ქრისტს, რომელმედ ესე ცხორებაჲ მომანიჭა, და მას მხოლოსა ვჰმსა-
 ხურებ». და ვითარცა იხილა მსაჯულმან მან სიცრუისამან, რამეთუ კრებული
 იგი მოქალაქეთაჲ მისთანა არს და ვერ განმადლარ არიან სატანჯველთა მათ-
 გან, რომელნი შეამთხვნეს წმიდასა მას, მაშინ უბრძანა მათ ვითარმედ: «რო- 40

მელმან დაასხნეს კელნი მისნი მოსიკუდიდ ლუკიოსას ზედა, უშიშარ არს იგი პატიუთაგან საჯელმწიფოთა ამისთჳსა.

VIII. მაშინ ვითარცა ესმა ერსა მას მიუშეზა მსაჯულისაჲ, შეკრბა მის ზედა კრებული ურიცხვ და შეიპყრეს ახოვანი იგი მოწამულ ქრისტესი, ვითარცა მკეტო განძნებულთა, რაჲთა განძღენ იგინი უფრისგებითა, რომელი დაენერგა მათ შორის უკეთურსა ეშმაქსა წმიდისა მისთჳს, და განწირნეს იგი სიკუდიდ. და მოაბეს საბელი ფერკთა მისთა და განითრევდეს მოლუაწესა მას გარეშე ქალაქსა და სცემდეს მას რომელნიმე მათგანნი კუერთებითა და რომელნიმე ქვითა ქოლვიდეს, მი-რაჲ-ფთრია იგი. და ჰბასრობდეს შჯულსა კეთილად-მსა-ზურებისასა და ითრევდეს სადავე და ქეასა დაჰკრებდეს უწყალოდ, ვითარცა ძალდნი მომეზმარნი საკმელსა ზედა იტევეზოდეს სიკუდიდ წმიდასა მას. 1042.

ხოლო წმიდაჲ იგი ახოვანი ქრისტესი ლუკიოს ვითარცა იყო ამას შინა, აღიხილნა ზეცად და სულთითქუნა და თქუა: «შ უფალო ღმერთო ჩემო, რომელი ხარ შემოქმედ საუკუნეთა, რომლისა მოზართ მოვივლტოდე მე სიყრმითა ჩემითაგან, რომელმან მომანიჲ მე მოთინებდა ვიდრე აღსასრულადმდე, ნავთსაყუდელი დან-თქმულთაო, სასოო განწირულთაო, შეივედრე სული ჩემი მშჯლობით და შეპრთე იგი მონათა შენთა თანა წმიდათა, რაჲთა მათთანა ღირს ვიქმნე სასუფეველსა ცათასა და ცხორებასა საუკუნესა, რამეთუ ზენი არს სუფევი, ძალი და დიდებაჲ, მამისა და ძისა და. წმიდისა სულისაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადადმდე. ამჲსა».

IX. და ვითარცა აღასრულა წმიდამან მან ლოცვაჲ თჳსი, დამოკვიდეს წმიდაჲ იგი და პატიოსანი გუამი მისი ზე, მკირედ აღშორებულად ქუეყანისაგან, უღმრთოთა მათ და უკეთურთა. და რომელნიმე მათგანნი მოშპრიდეს ფერკთა მისთა წათებითა, და რომელნიმე კელთა მისთა რაბარძენებითა; და მოჰკრილთა მათ ასოთა მისთა დაჰქერიდეს ქუეყანასა. და ვითარცა ესე ყვეს უშჯულოთა მათ, მაშინ კაცმან მან ღმრთისამან, მოლუაწემან ჰეშმარტებისამან, წმიდამან ლუკიოს კეთილითა აღსარებითა აღასრულა წამებაჲ იგი თჳსი და შეჰვედრა სული თჳსი კელთა ღმრთისათა მშჯლობით.

X. მას ჟამსა კაცი ვინმე მეაქლემჲ შოადგა ზედა უღმრთოთა მათ, რომელნი იგი მოშპრიდეს მოწამესა წმიდათა ასოთა მისთა. და ვითარცა იხილა ესე ყოფილი, მიემსგავსა იგი უგუნურებასა და შანჯავრებასა განბოროტებულთა აქლემთასა, რომელთა იგი წინაუძღოდა. და იგადა მახვილი თჳსი და იწყო მანცა განაწილებად წმიდათა მათ ასოთა კრავისა მის ღმრთისათა და მძენვარებისა მისგან, რომელ მოიპოვა, იწყო მან გამოღებად კელითა თჳსითა შინაგანთა ასოთა უბიწოჯსა მის მსხუერპლისათა ცოხნად კბილითა. მას ეჟმსა მეყსა შინა მიიღო მან მისაგებელი, მსგავსი საქმეთა მისთაჲ, რამეთუ მუნქუესე წარმოსცევს თუალნი მას და ყოველთა აქლემთა მისთა, დაისხნეს ქუეყანასა ზედა, ვითარცა მახვლითა აღმოვდილნი, და დაშთეს იგინი ბრმად. და ვითარცა იხილეს ესე უღმრთოთა მათ, დაუკვრდა ფრიად საკვრეველებისა მისთჳს, რომელნი 1043

მელი იქმნა მეაქლემესა ზედა. მაშინ ერთმან ნათანმან მოიბნა აქლემნი იგი და მეაქლემს და შეჰყვანდა ქალაქად. და ვითარცა მიიწია კართა ქალაქისათა, დაცუა მეაქლემს იგი და სულნი წარჰკდეს საქებელად და სადიდებლად ღმრთისა და სავსენებლად წმიდისა მის მოწამისა, რომელთა იხილეს იგი.

XI. მაშინ განგებითა ღმრთისადათა ყორანმან აღიტაცა ერთი ასრთავანი წმიდისა მის მოწამისა და მიიღო იგი უენებელად სიღონდ ქალაქად. რომელ არს კიდესა ზღუასა, და შაამოაგდო იგი კართა წინაშე დედაკაცისა ვისამე მორწმუნისა სიღონელისათა. ხოლო რაჟამს იხილა დედაკაცმან მან წმიდა იგი ნაწილი მოწამისა მის ქრისტესისა და რამეთუ იყო იგიცა ქრისტიანი, განათლდა იგი ღმრთისა მიერ და აღიესო სინარულითა და აღიღო პატიოსანი იგი ნაწილი მოწამისა და ჰრწმენა მას და თქუა ვითარმედ «ესე არს ასრთავანი წმიდათა, რომელნი იწამებინ ქრისტესათჳს». მაშინ განბანა იგი ღვინითა და შემურა სულნელითა და შეხუა სამოსელსა წმიდასა და დაჰკაძალა იგი სახლსა შინა თჳსსა. და მეორესა ღამესა გამოეცხადა მას წმიდა იგი მოწამს ქრისტესისი და ჰრქუა: «მე ვარ ლუციოს, რომელი აღსარებისაჲჳს ქრისტესისა ფრიად ვიგუემე ქალაქსა შინა ბალბაკს, არამედ გრწმენინ და ვითარცა ქრისტეს-მორწმუნისა თანა იყავნ ნაწილი ეგე ასრთა ჩემთა და მარხულ შენთანა». ხოლო მან შეიწყნარა და ჰრწმენა ჩუენებაჲ იგი, რამეთუ მორწმუნე იყო და ღმრთის-მოშიშ. და დაჰმარხა ნაწილი იგი წმიდისა მის სახლსა შინა თჳსსა მრავლითა პატივითა და კეთილითა მსახურებითა და არავის კაცთაგანსა გამოეცხადა მის-თჳს, რამეთუ ქალაქი იგი იყო ჟამსა მას მსახურებასა კერობასა. და შემდგომად მცირედისა ჟამისა დასცხრა მცირედ დევნულებად იგი ქრისტიანეთად და ეუწყა ნაწილისა მისთჳს წმიდისა წმიდასა ეპისკოპოსსა, რომელი იყო ჟამსა მას ქალაქსა სიღონს, და განაძლიერა იგი ღმერთმან დიდებულმან, რომელი იორალის აღიდებს წმიდათა თჳსთა, და აღუშშნა მას ტამარი შუენიერი სადიდებულად ღმრთისა და საქებელად მოწამისა მის. და დადვა მას შინა პატიოსანი იგი ნაწილი და მრავალთა სნეულთა უძლურებანი მის მიერ განიკურნებოდეს და სულნი უკეთურნი განესხმოდეს მიერითგან ვიდრე აქამომდე. ესე უწყებაჲ არს ერთისა მის ნაწილისაჲ წმიდისა მის მოწამისაჲ. ხოლო მე კუალად-ვიქვე აწ პირველსავე მას სიტყუასა და გაუწყო თქვენ და შთომილი იგი მის-თჳს ჰამბავი ყოფილთაჲ.

XII. და ვითარცა მოშჳრნეს წმიდანი იგი ასონი ახოვანსა მას მოწამესა. ქრისტესსა, იპოვა მუნ ჟამსა კაცი ვინმე მორწმუნს გზასა მას წარმავალად და, ვითარცა მიეხლა ადგილსა მას, სადა იგი ასონი. მართლისანი განეჰრნეს, გარდამოვდა იგი საწედრისაგან თჳსისა და იხილა მან ყოფილი იგი და დიდისა მისგან სარწმუნოებისა, რომელი აქუნდა მონათა მიმართ ქრისტესისათა, აღიღო ერთი ასრთა მათგანი წმიდათაჲ მოკუეთილი და მიიწია სოფლად თჳსა. რომელსა ეწოდა სამფსას, რომელი ახს ქალაქსა ემეწასა ათორმეტით მილიონით. და ესე ინება. ღმერთმან, რამეთუ კაცნი მის ადგილისანი იყვენეს ქრისტესს მოყუარენნი,

რომელთა საღმრთოდ შური აქუნდა და მრავლითა მოსწრაფებითა გულსმოდ-
გინედ აღაშშენს ტაძარი სალოცველი ადგილსა მის სადიდებელად ღმრთისა და
საქებელად წმიდისა მოწამისა, და ვითარცა საფასჲ მოუკლებელი, წმიდა იგი
ნაწილი დიდითა დიდებითა და მრავლითა პატივითა დაპყრძალეს მას შინა.
5 და განითქუა მისთვის გარემოვს ყოველთა მკვდრთა მის ქუეყანისათა და მრავალნი
სასწაულნი და კურნებანი იქმნებიან წმიდისა მის მიერ ვიდრე დღენდელად
დღედმდე ადგილსა მას |.

XIII. იყო ვინმე დედაკაცი ბრძენი, ფრიად მორწმუნჲ და მოშიში ღმრთისაჲ,
10 რომელი მკვდრ იყო ერთსა ბურჯთაგანსა შინაგანით ზღუდესა ქალაქისა
მის ბალბაქისსა. და ოდეს იგი უღმრთონი დაშკრიდეს ჯორცთა მათ მოწამისა
ლუკიანოსისთა, ჰხედებდა იგი სარკუმლით თვისით რომელი იგი ექნა. და ვითარცა
15 შეიქცა მიერ კრებული იგი სიცრუეისაჲ, რომელთა ქმნეს საქმჲ იგი უშჯულოებისაჲ,
მაშინ აღევზნა დედაკაცი იგი ცეცხლთა საღმრთოვსა შური-
სათა და შეიმოსა მან ძალი და სიმეწჲ მამაკაცებრი და განძლიერდა სარწმუნ-
20 ნობითა. და წარიყვანა მის თანა ღამჲ ორნი ვინმე მორწმუნენი და ღმრთის-
მოშიშნი კაცი და მიიწინეს ადგილსა მას და შეკრიბნეს პატიოსანნი იგი ასონი
წმიდისა მოწამისანი განბნულნი ერთად და წარმოიხუნეს აგინი სახიდ მის დე-
დაკაცისა. და განბანა იგინი ღვინითა და სულენლითა შემურნა და წარპკრაგანა
იგინი ტილოსა წმიდასა და დაპყრძალნა ფარულად სახლსა შინა თვისსა.

XIV. და ამისსა შემდგომად, ვითარ იგი დასცხრა დევნულებად იგი, მოვიდა
კოდრატოს ეპისკოპოსი, რომელი იყო ჟამთა მათ ქალაქსა ზედა ბალბაქს.
კაცი კეშმარტი, სამოცაქულოა, აღმსარებელი ქრისტისა, რამეთუ იყო იგი
დამაღულ ჟამსა მის დევნულებისასა. და ეუწყა მას საქმჲ და სიმხნით მოღუა-
წებაჲ წმიდისა მოწამისა ქრისტისისა ლუკიანოსისი და სადა იყენეს წმიდანი
25 იგი ნაწილნი მისნი დაფარულ. და მუნქუსევე შეკრიბნა მღვდელნი თვისნი და წარი-
ხუნა წმიდანი იგი ნაწილნი წმიდისა მოწამისანი გალობითა და შესხმითა სუ-
ლიერითა და დაპყრძალნა იგინი ტაძარსა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა-
სა. და ოდეს ენება სახიერებასა ღმრთისასა, აღეშენა ტაძარი დიდებული და
ქებული და შეიმკო იგი ღუაწლითა და მოღუაწებითა წმიდისა ახოვნისა მო-
30 წამისათა | ადგილსა მას, სადაცა დაიჭრნეს პატიოსანი ასონი მისნი და მრავ-
ლითა დიდებითა მიცვალნეს ღუაწლითემოსილნი იგი ნაწილნი მიერ და დაპყ-
რძალნეს მუნ შინა დღესა მას აღსრულებისა მისისასა. და მრავალნი საკრვე-
ლებანი და კურნებანი ურიცხვნი იქმნებიან წმიდათა მათგან ნაწილთა ვიდრე
დღენდელად დღედმდე.

XV. ეწამა წმიდა მოწამჲ ქრისტესი ლუკიოს ქალაქა შინა ბალბაქს, მე-
ფობასა ივლიანჲს უღმრთოვსასა, კელმწიფებასა ჰპატიოსნისსა ფინიკჲს ლიბანი-
სასა, თთუესა ავსტოსსა ოცდაორსა, ხოლო მეუფებასა ცათა და ქუეყანისა უფ-
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომლისაჲ არს დიდებად და პატივი მამისათა-
ნა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამჲნ.

8 მორწმუნე.—10 დაპყრდეს.—11 სარკუმლით.—14 სიმეწე.—17 წარმოიხუნეს.—22 ქრის-
ტესი.—24 ქრისტესისა.—25—26 წარიხუნა.—33 ურიცხვნი.—35 ქრისტესი.—36 ივლიანეს.—
36 უპატიოსნისა ფინიკჲს.—37 თთუესა; ქუეყანისასა.—38 ქრისტესსა.

მე, პომფილიოს გლაზაკმან, რომელი შენდობითა და მიშუებითა ღმრთი-
სადათა ვიქმენ ეპისკოპოს ქალაქსა ბალბაქს, ძუელისაგან ქარტისა, რომელსა
შინა წერილ იყო ვსენებაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, გარდამოვიღე და შევერ-
თე ესე საწამებელი სადიდებელად წმიდისა მის მოწამისა და საქებელად ახო-
ნად მოღუაწებისა მისისა და სარგებელად ყოველთა მკითხველთა და მსმენელ- 5
თა. რამეთუ არამცირედ დაკლებად ვიხილე ესევიტართა მოღუაწეთა სიმკნით
ახოვნებათა მათთა მოთხრობისა დაფარვად, არამედ ყოველითა მოსწრაფებითა
წადიერად მივითხარ თქუნ მსგავსად ძალისა ჩემისა, საყუარელნო!

მარტვილოზა პავლა, ბილოს, თეონ, ირონ და მოყვასთა ვათთა

1. მასალები მათი ავთოგრაფიისათვის. პაულე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყვასნი მათნი იყვნენ ეგვიპტის ქალაქ თანისიდან, ამიტომ სიმოკლისათვის მათ თანისელ მოწამეებს ეუწოდებთ. ამ მოწამეთა შესახებ არც ბერძნულ, არც სხვა ქრისტიან ერის მწერლობაში არავითარი ცნობა დღესდღეობით არ მოგვეპოვება, არც კალენდარული, არც მარტვილოლოგიური. მხოლოდ ქართული მწერლობის საშუალებით შემოდიან ისინი ახლა მეცნიერებაში. ქართულ ენაზე არსებულ მასალებში მათი ხსენება მოცემულია 2 ივლის იოანე-ზოსიმეს 956 წლის სვინაქსარში; გარდა ამისა ქართულადვე შემონახულა მათი ხსენება გიორგი მთაწმიდლის ლიტურგიკულ მინეონში, სახელდობრ, 1049 წელს ვიოაც მიქაელის მიერ გადაწერილ ნუსხაში¹. მოხსენებულნი არიან ისინი მიქელ მოდრეკელის მიერ შეთხზულს „ყოველია წმიდათა“ საგალობელში². ქართულადვე ჩვენ მოგვეპოვება ვრცელი, „კიმენის“ რედაქციის მარტვილობა მათი, რომელიც ოთხი ნუსხითაა ამთავად ცნობილი. პირველი ორი, ქრონოლოგიურად უძველესი (X ს.), ნუსხა მისი ჩვენ გვაქვს A 95-ში (გვ. 953—963) და სინას მთის ხელნაწერში № 62 (H. Marr, Описание груз. рукоп. Синайск. монастыря, стр. 119); მესამე, მეოთხემეტე საუკუნის ნახევრის, ნუსხა მოთავსებულია Bodleianae Oxoniensis ბიბლიოთეკის ხელნაწერში³; მეოთხე ნუსხა მოიპოვება A 382-ში⁴. ტექსტს ჩვენ ვსცემთ პირველისა (C) და უკანასკნელი (L) ნუსხის მიხედვით, მეორე ამჟამად ჩვენთვის ხელმოუწვდომელია; დასაწყისისა და დასასრულის მიხედვით, რომელიც მოცემულია P. Peeters-ის აღწერილობაში, ის იმათი უცვლელი პირი უნდა იყოს.

2. მოკლე შინაარსი თხზულებისა. როდესაც მაქსიმიანოს მეფე ქალ. თესალონიკეს დაემკვიდრა, მან ყველა „მთავრის“ სახელზე ვასცა წერილობითი ბრძანება, რომლითაც მათ ევალეზობდა „ბოროტითა და მრავალფერითა სატანჯველითა“ აღმოფხვრა და მოსპობა ქრისტიანობისა. ბრძანებამ თავისი ქნა: დაიწყო საშინელი დევნულება და რბევა მორწმუნეებისა. ამ დროს ეგვიპტეში მსაჯულად იყო ვინმე ამპელიანოსი, რომელიც დაჯდა საყდარსა ზედა თვისისა

¹ К. Кекелидзе, Литургические груз. памятники, стр. 397.

² პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 660, სტრფ. 222.

³ Analecta Bollandiana, t. XXXI, p. 301—318.

⁴ არსებობს კიდევ მათე საუკუნის ნუსხა სინას მთაზე, რომელიც გადაწერილი ყოფილა პალავრას (ცაგარლის აღწერილობით № 50, ჯავახიშვილის № 11).

და მოატანინა ტანჯვის სხვადასხვა იარაღი. მათმა დანახვამ ბევრს თავხარი დასცა, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელნიც თვითონ გამოცხადდნენ მსაჯულთან და უთხრეს: ჩვენ ქრისტიანენი ვართ და 'შენი სატანჯველის არ გვეშინიან; მათ გამოჰკითხეს ვინაობა და კვლავ იგივე მოისმინეს, ამისთვის მსაჯულმა არ აკმარა მათ ცემა¹ და სხეულის დაგლეჯა: შებორკილები მან გაუგზავნა ისინი განსაკითხავად თესალონიკეს თვით მაქსიმიანოსს შესაფერისი წერილით. მაქსიმიანოსმა ისინი ჯერჯერობით ციხეში ჩასვა, მერე 32 კაცი მათგან მოაკვლევინა (ისინი ერთმა ქრისტიანმა, სახელით ევსებიოს, იღუმალ დაფლა), ხოლო ოთხი, ნაკლებად გვემუღი,—პავლე, ბილოს, თეონ და ირონ,—დაიბარა თავისთან. მოაწყვეს დაკითხვა მათი, რომლის დროს გამოირკვა, რომ ისინი არიან ეგვიპტელები, ქალაქ თანისის მცხოვრებნი, რომელთაც არაფერად არ მიაჩნიათ მეფის ბრძანება და არც ემინიათ იმისი. დაიწყო ნაირნაირი ტანჯვა მათი: ძელზე ჩამოკიდება და რკინის ფოცხით ხვეტა მათი გვერდებისა, ფეხებს ქვეშ ცეცხლის შენთება, თეატრონში მათზე ლომების მისევა. არაფერი არ მოქმედობს: ცეცხლი გაქრა, ლომები კუდის ქნევით აგრილებდნენ და ლომნიდნენ მათ. ხალხმა რომ ეს დაინახა, მოითხოვა მათი განთავისუფლება. ამისთვის ათასი კაცი იქვე მოკლეს და მათი გვამები ლომებს მიუყარეს შესაჭმელად. ლომებმა მათ პირიც არ ახლეს, რისთვისაც ისინიც მახვილით დახოცეს. მაქსიმიანოსმა გამართა თათბირი: რა უყოთ ამ ოთხ ეგვიპტელს, რომელნიც ასე აღვლევებენ ჩვენს მყუდროებასო? ვადასწყვიტეს—თავი მოჰკვეთონ მათ. მართლაც ისინი გაიყვანეს ქალაქს გარეთ და ივლისის ორს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. ერთმა იქ დამსწრე ქრისტიანმა, რომლის სახელი იყო პანეს, შეისყიდა მტარვალთაგან წამებულთა გვამები და დაფლა მიუვალ ადგილს, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ვადასვენა ეგვიპტეში, ქალაქ თანისში, და იქ შესაფერი პატივით დაკრძალა ისინი.

3. ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა თხზულებისა. მარტვილთა საცხოვრებელი ქალაქი ყოფილა თანისი ეგვიპტეში; აქ დაწყებულია მათი დაკითხვა, ხოლო ტანჯვასა და აღსასრულს ადგილი ჰქონია ქალ. თესალონიკეში. აქედან ისინი ეგვიპტეში ვადმოუსვენებიათ და საბოლოოდ თანისში დაუკრძალაეთ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თანისს თხზულებაში „ქალაქი—ხერთვისი“ ეწოდება, ის მდინარე ნილოსის დელტაში უნდა ვეძიოთ¹. მართალია, მოწამეთა სახელები თითქოს ბერძნულია, განსაკუთრებით თეონ და ირონ, მაგრამ ამის მიხედვით დაჯინებით თქმა იმისა, რომ ისინი წარმოშობითაც ბერძნები იყვნენ, ძნელია: ბერძნულ-ქრისტიანული სახელი შეიძლება ადგილობრივს მცხოვრებსაც, ეგვიპტელ ქრისტიანსაც, რქმეოდა.

მოწამეთა ტანჯვა-წამების დროს ეგვიპტის „მსაჯულად“ ან „მთავრად“ დასახელებულია ვინმე ამპელიანოსი, რომელიც თავის თავს უწოდებს „მეგვტელთა კელმწიფეს“, ხოლო თავის საგაშვებლოს—„საწვლმწიფოსა“ და „საბრძანებელს“. ის უშუალოდ ექვემდებარება მაქსიმიანოსს „მეფეს“, რომელიც იმჟამად ქალ. თესალონიკეში იმყოფება. ამპელიანოსის ვინაობა არ ვიცით, ამიტომ

¹ ეს სახელი სინას მთის ნუსხაში მოცემულია როგორც „თინისა“.

შისი სახელი დასათარიღებელ საბუთს არ იძლევა. თხზულებაში მოხსენებულია ერთი მარტივილი, სახელით ანთიმოზ. მაქსიმიანოსი ეუბნება მოწამეებს: „გიცნობიყსა რაჲ იგი დაიამინა ანთიმოს მოხუცებულმან?“ ისინი უპასუხებენ: თუ ისეთმა მოხუცებულმაც კი, როგორც ანთიმოსი იყო, იმდენ ტანჯვა-წამებას გაუძლო, მით უფრო გადავიტანთ ყველაფერს ჩვენ, „რომელნი ესე ვართ გუამითა ჭაბუკ“. ანთიმოსის მარტივილობა, ჩანს, სულ ახალი რაღაც ამბავია. თუ ამ შემთხვევაში შედეგულობაში ჰყავთ ანთიმოზ, ნიკომიდის ეპისკოპოსი, რომელსაც თავი მოჰკვეთეს 305 წლის მახლობლად (მის წამებას სდებენ 303—311 წლებში), მაშინ თანისელთა წამებას 305 წელზე ადრე ვერ დავდებთ. ამ შემთხვევაში მაქსიმიანოს მეფედ, რომელიც იმჟამად თესალონიკეში იმყოფება, უნდა ვეკუთაროდოთ მაქსიმინე გალერი (292—311), რომლის დროს ქრისტიანების რბევა-ჟაღრტა მძვინვარებდა, სხვათა შორის, ეგვიპტესა (ეგვიპტე კესარიელი—De martyribus Palaest. 4,) და თესალონიკეში (დომიტრი სოლუნელი). ასე რომ თანისელი მარტივილები ეწამნენ 306 წლის მახლობლად.

თხზულება წარმოადგენს ნათარგმნ ძეგლს. ექვმიუტანელი, ნიშანდობლივი მონაცემები დედნის გასარკვევად თხზულებაში არ მოიპოვება, მაგრამ, თუ შედეგულობაში გვექნება საკუთარ სახელთა ბერძნული დაბოლოება ოს (მაქსიმიანოს, აპველიანოს, ეგსებიოს, ანთიმოს, ბილოს,—ეს უკანასკნელი ბერძნული აკუზატიური ფორმითაც, ბილონ, იხმარება) და სიტყვა „თეატრონი“, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თხზულება ბერძნული ენიდინაა გადმოღებული.

ხელოსაკიდ რამეს იმის გასარკვევად, თუ როდისაა ბერძნული დედანი დაწერილი, თხზულება არ იძლევა. ერთი კია, რომ ის მაშინვე, მარტივლთა წამების შემდეგ, არ უნდა იყოს დაწერილი, ყოველ შემთხვევაში ბოლოში აღნიშნულია, რომ თესალონიკედან მოწამეთა გვაგები „შემდგომად რავედნთიმე წელთა“ გადმოსავენეს ეგვიპტეშიო, თხზულება კიდევ ამის შემდეგ დაწერილა. აქვე, ბოლოში ავტორი შენიშნავს, რომ მოწამეთა ნაწილთაგან „ვიდრე დღენდელად დღედმდე აღმოეცენების კურთხევაჲ ქალაქსა იანისის“. მაგრამ გამოთქმა „დღენდელად დღედმდე“ აგიოგრაფიულ მწერლობაში ყოველთვის არ უჩვენებს, რომ ავტორი ისანმედროვეა მის მიერ აღწერილი ამბისა, ასეთს გამოთქმას ადგილი აქვს თხზულებაშიც, რომელიც მომხდარი ამბავიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაა დაწერილი. ყოველ შემთხვევაში მარტივილობა დაწერილი უნდა იყოს დიდი ხნით ადრე, ვიდრე ქართული „მრავალთავი“ ჩამოყალიბდებოდა, ესე იგი, მერვე საუკუნის გასვლამდე, რადგანაც ის ამ „მრავალთავში“ მოხვედრილა. ავტორი მისი უნდა იყოს მცხოვრები ქალ. თანისისა.

როდის ითარგმნა ქართულად თხზულება? თხზულება მოთავსებულია იმ „მრავალთავში“, რომლის შინაარსს შეადგენს სეითის მიერ გადმოთარგმნილი აგიოგრაფიული ძეგლები. სეითი კი მოღვაწეა მერვე საუკუნის გასულის თუ მეცხრის დამდეგისა¹; მაშასადამე, ამ დროს უნდა მიეკუთვნოთ დაახლოებით ამ ძეგლის გადმოთარგმნაც.

4. ნუსხის თვისებურებანი. C. ნუსხაში, რომელიც საფუძვლად უდევს

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I², 119.

ჩენს გამოცემას, მორფოლოგიურ საგანგებო მოვლენებს ვერ ვხედავთ; შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს შემდეგი მოვლენა: ა) შერყეულია კლასიკური ნორმები მ-ს ხმარებისა, ხშირად იქ ვხედავთ, სადაც არ უნდა იყოს, ხოლო არ არის იქ, სადაც უნდა იყოს; ბ) არის შემთხვევა ნათესაობითი ბრუნვის ორმაგი სუფიქსისა, მაგალითად, „სახელისათჳს ქრისტსისა“ და არა „ქრისტსა“; გ) ზოგს შემთხვევაში ზნნათა პირველი პირის აღსანიშნავად მრავლობითში იხმარება პრეფიქსი მ გ-ს მაგიერ: „ჩუენ არა მეშინის“, „აღმითქუამ ჩუენ“. სინტაქსურად საყურადღებოა ასეთი შეთანხმება: „მსახურნი უმსახურებელსა მას შუჴულსა ქრისტეანეთასა“ და არა „უმსახურებელისა შუჴულია“, „ისწრაფეს მოთმინებასა სატანჯველთასა“ და არა „მოთმინებალ“.

თხზულების ლექსიკაში შეიძლება ხაზი გაესვას შემდეგს სიტყვებს:
 ამულა—რკინებიანი, ჯაჭვიანი საგვე-
 მელი (საბა).
 ასპარეზი—მოედანი, სტადიონი.
 აღჳფხურნეთ—აღმოფხვრათ.
 განბჳე—გაუჩინე, მიუსაჯე.
 განებასრეთ—განვკიცხეთ—
 განვგმეთ—დავგმეთ.
 განერე—თავი დაახწიე.
 განსუმული—გაღებული.
 გება—უგოთ, მსხვერპლის შეწირვა.
 გრძნება—ეშმაკობა, მანქანება.
 დაშურეს—დაილაღნენ, დაიქანცნენ.
 ვინაჲცა—საიდანაც.
 თიატრონი—სახეღველი, სანახაობის
 ადგილი.

მეინახე—გვერდით მჯდომელი.
 მომლოცება—დაცხრომა, დამშვიდება.
 მოხუჳა—მოტანა.
 მუნქუსევე—მაშინვე.
 რომელმანძი—აბა ვინ?
 სიცბილი—მოცთუნება.
 ტენება—მიდგომა, მიწოლა, ჯრა (საბა-
 თი VII თ. 17 მუხ. 4 მეფ., მავრამ.
 აქ ეს სიტყვა არაა).
 უკომიდეს—უწიავებდნენ.
 ფუტხვი—ფოცხი, „კავკოედი, რკინა, ქვა-
 ბით ხორცთა ამოსაღები“ (საბა).
 შეუგზნიან—შეუთნიან.
 ხერთვისი—კუნძული, ან ნახევარკუნძულ-
 ხუტლენ—ფხეკდენ.

C 953
 L 27b

თთუქსა ივლისსა გ

წამებაჲ კათილად-ქალეთა წმიდათა გოწამეთაჲ:
 პავლე, ბილოს, თეონ, იროს და მოჳშასთა მათითაჲ

C. 954

I. მეფობასა უღმრთოესა და მაცთურისა მაქსიმიანოსისსა მრავალთა შე-
 ურაცხევეს ცხორებაჲ ესე საწუთროსად სიყუარულისათჳს ღმრთისა და სარ-
 წმუნოებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტსა, რაითა დაიმკვდრონ მათ ცხო-
 რებაჲ საუკუნოდ სასუფეველსა ღმრთისა ჩუენისა უკუდავისასა | ხოლო რომელ-
 ნიმე ივლტოდეს პირისაგან ეშმაკთ-მსახურთა ჟამისა მის კელმწიფეთა და დაი-
 მალვოდეს უდაბნოთა, მათა და ნაპრალთა ქუეყანისათა და ესრეთ აღესრუ-

6 უფლისა| ღმრთისა C.—8 ეშმაკისა L; კელმწიფეთაგან C.—8—9 დაიმაღებუდეს L.
 —9 ეგრეთ C.

- ლებოდეს მრავლითა ჭირითა დღეთა ცხოვრებისა მათისათა იწროებასა შინა. ხოლო რომელნიმე ქალაქთა შინა წინააღმდეგობდეს ბრძანებასა მთავართასა არა მსახურებად შეგინებულთა კერპთა და იგუემებოდეს მრავლითა სატანჯველითა და ესრეთ შესწირვიდეს სულთა მათთა მსხურებლად ცხოველად სათონოდ ღმრთისა და აღასრულებდეს მოლუწვებით ჟამთა მათთა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისათჳს უბიწოდ. და ესე კეთილი იქმნებოდა ჟამთა მათ, რამეთუ მოლუწვნი განოჩნდებოდეს და ახოვანნი იხილვებოდეს, და მწენნი იქებოდეს და მოთმინენი გვრჯუნობან იქმნებოდეს და მძლენი ცხოვრებასა მას საუკუნესა იჩინებოდეს.
- 10 II. მას ჟამსა მაქსიმიანოს უკეთუური დაემკვრა თესლორიცეს და გელსი-
 იდგინა ძლიერად ბრძოლად სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა, წმიდასა და უბი-
 წოსა. მაშინ ისწრაფეს მწვედართა მათ ქრისტესთა უძლეველთა სიძენით მოთმი-
 ნებასა სატანჯველთა მათ უშჯულოთასა. და რაჟამს დაჯდა მძლავრი იგი უშ-
 15 ჯულოდ მაქსიმიანოს საყდართა თჳსთა, განსცა წიგნები ყოველთა მთავართა და
 შერაცხილთა მისთა, რომელსა წერილ იყო ესევეთარი რამეთუ იმოიწია ს-
 სმენელთა ჩუენთა ჰამბავი, რომელმან უფროსად აღძრა გულისწყრომამა რის-
 ხუსა ჩუენისაჲ. მესამა, ვითარმედ კაცი იგი, რომელსა ეწოდა იესუ, შობილი დე-
 დაკაცისაგან ჰურიისა, რომელსა ერქუა მარიამ, ესე თაყუანის-იციებების და იდი-
 20 რედ დამიბდა ესე ჩუენ ზედა. ამისთჳს ვიძიულე ! მიწერად თქუენდა და ამას
 გბრძანებ ყოველთა, რომელნი ხართ მორჩილნი გელმწიფებისა ამის ჩუენისა
 უძლეველისანი, რაჟამა აღჰხურნეთ და წარსწყმინდეთ ბოროტითა და მრავალ-
 ფერითა სატანჯველითა ყოველნი, რომელნი იპოვნენ საბრძანებელსა ჩუენსა
 მსახურნი უმსახურებელსა მას შჯულსა ქრისტეანეთასა. და კუალად უკუეთუ
 25 მოიქცენ და აღიარონ ღმერთთა უფლებამ, შეცვალეთ გინებამ იგი მათი დი-
 დებად და შეურიცხებამ პატივად, და ცოცხლებით იყვენითა.
- III. და ვითარცა განსცა წიგნები ესევეთარი მაქსიმიანოს უღმრთომან ყო-
 ველთა გელმწიფეთა, რომელნი არიან მზესა ქუეშე, და ამით ენებამ აღვცაჲ
 ყოველთაჲ, რომელნი ჰხადოდეს სახელსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, მა-
 30 შინ იყო ვინმე ეგვპტეს გელმწიფედ კაცი, რომელსა ეწოდა ამპელიანოს, მსა-
 ხური ეშმაკისაჲ. დღესა შინა ერთსა დაჯდა იგი საყდართა თჳსთა და ბრძა-
 ნა მოხუბამ | და დაგებამ მის წინაშე ყოველთა ფერად ფერადთა სატანჯველ-
 35 თა და მით განკითხვამ ქრისტეანეთაჲ. და რომელთა ესმა ესე, მრავალნი მათ-
 განნი შეძრწუნდეს და შეწუხნეს ფრიად. ხოლო რომელთამე მოწამეთა ქრის-
 ტეს ღმრთისა ჩუენისათა თავით თჳსით კანდიერად მისწრაფეს წინაშე მსაჯუ-
 ლისა მის, ლალდაყეს და თქუეს: «ჩუენ ქრისტეანენი ვართ და სიქადულთა და
 სატანჯველთა შენთაგან არა მეშინის, მსახურო ეშმაკისაო!» ვითარცა ესმა ესე
 • მსაჯულსა მას, მოწუწოდა მათ და ჰრქუა: «ვინანი ხართ თქუენ, ამის ქუეყანისა-
 ნი ხართ ანუ მწირობით უცხონი მოსრულ ხართ აქაშ» მიუუეს წმიდათა მათ და
 40 ჰრქუეს: «ჩუენ ნათესავით ამის ქუეყანისანი ვართ, ხოლო სარწმუნოებითა და

C 955

L 28a

C 956

შეჯულითა ქრისტიანენი ვართ». მიუგო მათ მსაჯულმან მან და ჰრქუა: «არა უკუე-
გესმა ბრძანება გამოსრული და განჩინება განბჭობილი | მეფეთაგან მათოჲს,
რომელნი ამას სარწმუნოებასა ჰჰსახურებენ ქრისტიანეთასა?» მაშინ ლალადყვეს
წმიდათა მათ ყოველთა ერთითა ჳმითა და ჰრქუეს მსაჯულსა მას: «ჰე, გუესმა-
და შევრაცხეთ იგი სიციბილად და განვეგმეთ და განვბასრეთ ბრძანება იგი ცო- 5-
ფი უღმრთოჲსა მეფისა შენისა მაქსიმიანოსისი და კულად ვეცინით შენსაცა
უგუწურებასა და ღონის-ძიებათა ამათ ეშმაკისათა ძეთა შორის განდგომილთა-
სა, რომელთაჲ შენ ხარ თავ და მთავარ მათა». ჰრქუა მათ მსაჯულმან მან:
«ესოდენ კადნიერ ექმნეთა, ვიდრემდის ჰყავთ ბრძანება მეფისაჲ სიცოფე და
სიციბოლ? ვფუცავ ღმერთთა ყოველთა, რამეთუ გამოვიძინე საქმენი თქუენნი და
ცეუმენე ჳორცინი თქუენნი შრავლითა სატანჯველითა». და მუნქუესუე უბრძანა
იქმად მათა კურთხითა ფიცხლად და თქუა: «მო-უკუე-ვედინ აწ ქრისტე იგი
მათი შეწუნად მათა!» და ვითარცა დაშურეს მცემელნი იგი, ჰრქუეს წმიდათა
ძათ მსაჯულსა მას: «ესე სატანჯველნი, ჰ ამჰელიანე, არაჲ არიან ჩუენთანა!»
მაშინ უბრძანა მტარვალთა სხუათა, რაჲთა გუემენე იგინი ამუღებთა. და ვი- 15-
თარცა მოჰყარნეს ჳორცინი მათ წმიდათანი, ჰრქუეს მას: «წარგწყმიდენ შენ
ღმერთმან, ჰ ნაშობო ეშმაკისაო, რამეთუ ჰგუემე მონათა მისთა უმშჯავროდ!»

C 957

IV. მაშინ განრისხნა მსაჯული იგი და თქუა: «აღწერენით სახელნი მათ-
ნი, რაჲთა შეებოკილნეთ ყოველნი ასონი მათნი და წარვსცნეთ იგინი მეფისა
მაქსიმიანსა, და ვითარცა ენებოს, განიკითხნეს ეგენი». მაშინ მიწერა მან მე- 20-
ფისა ესრტ: «მაქსიმიანოსისა მეფისა თუმჰყობელსა ამჰელიანოსიგან, მე-
ფეპტელთა ჳელმწიფისა, მშვდობაჲ შენთანა! ბრძანებაჲ დაწყნარებულებისა შენი-
საჲ შევიწყნარე, რომელი გებრძანა ყოველთათჲს, რომელნი იპოვენე აღმსარებე-
ლად ქრისტესა ღმერთად, | შიციემად იგინი სატანჯველთა უთმინოთა; და ამის- 25-
თჲს ყოვლითა გულსმოდგინებითა მოსწრაფედ აღვიხილეთ ყოველი საჯელმწი-
ფოჲ ჩუენი და ვპოვეთ ყოველი ერი საბრძანებელისა ჩუენისაჲ მსახურად და
თაყუანისმცემელად დიდთა ღმერთთა და მორჩილად სიმშჯდისა თქუენისა. არა-
მედ ესე საწყალობელნი ხოლო ვპოვენით მაგინებლად ღმერთთა და შეურაც-
ხის-მყოფელად | და არა შემწყნარებლად ბრძანებისა თქუენისა. აწ უკუე წარ-
მომიცემიან ეგენი წინაშე მეფობისა თქუენისა, რაჲთა ნებისაებრ თქუენისა უბი- 30-
წროსა განიკითხნეთ იგინი, და მშვდობაჲ იყავნ თქუენ თანა!»

L 28b

V. და წარიყვანეს მკედართა წმიდანი იგი, ვითარცა უბრძანა მათ მთა-
ვარმან მან, და მიიწინეს ქალაქად თესლონიკედ. და რაჲთაჲს იგი მეფე მისრულ
იყო ტაძრად კერპთა თაყუანისცემად და მსახურებად მათა, წარუდგინნეს მკე-
დართა მათ წმიდანი იგი და ჰრქუეს მას რამეთუ «ესენი ვპოვენით არაშემწყ- 35-
ნარებლად ბრძანებისა თქუენისა და შეურაცხის-მყოფელად ღმერთთა და წარ-
მოვადგინენით ეგენი წინაშე თქუენსა, რაჲთა თუთ განიკითხნეს ჳელმწიფება- • •

1 ქრისტიანე L.—2 განბჭობილი L.—6 მაქსიმიანოს მეფისა შენისა L.—7 ამათ <C>
—11 იგუემენე ჳორცინი თქუენნი <C>.—12 ცემაჲ მათი L.—12 მოუკუევიდეს L.—14 აჰელიანე C; არა
L.—17 მისთა უმშჯავროდ L.—26 მსახურებად C.—27 მორჩილებასა C.—27 თქუენისასა CL.
—28 ვპოვენით <L>.—29 უკუე <C>.—31 იგინი ეგე L; და მშვდობა იყავნ თქუენ თანა <L>
—36 ბრძანებასა თქუენსა L.

მან თქუენმან!» და მისცეს წიგნიცა იგი მთავრისაჲ მის. მაშინ ბრძანა მეფემან შეყენებაჲ მათი საპყრობილესა, ვიდრემდის იკითხოს მათთჳს. და იყვენს ჯორცნი წმიდათანი მათ დაქსნილ სატანჯველთა მათგან, რომლითა გუმენა იგინი ამბელიანოს მსაჯულმან ეგვტეს. მაშინ აუწყეს მვედართა მათ მეფესა და ჰრქუეს

5 ვითარმედ «კაცი ესე, რომელ ამბელიანოს წარმოსცნა, ვუმეულ არიან ფრიად და მისგან ვერ შემძლებელ არიან წარმოდგომად წინაშე სუფუევისა შენისა უბრწუნელისა». მაშინ ბრძანა მეფემან ფრიად მოუძღურებულთა მათგანთაჲ მოსრებაჲ მახვლითა და მცირედ მოუძღურებულთაჲ მათ უბოროტესადრე გუმემაჲ და ესრჳთ შეყენებაჲ საპყრობილესა. | და ვითარცა მიიღეს მტარვალთა მათ ბრძა-

10 ნებაჲ | ესე მეფისაგან, მეყსეულად აღასრულეს განჩინებული იგი უღმრთოჲსა, L 29a მის ხოლო წმიდათა მათ შეპყვდრნეს სულნი მათნი ჯელთა შინა ღმრთისათა. და იყო რიცხვ მათი, რომელ მოისრნეს, ოცდაათორმეტ, და რომელნი დაშთეს მათგანნი საპყრობილესა შინა ოთხნი კაცი წმიდანნი, რომელთაჲ სახელები ესე არს: პავლე, ბილოს, თეონ, ირონ. იყო ვინმე კაცი ერთი ქრისტეანე, რომლი-

15 სა სახელი ევსებოჲს; ვითარცა ესმა მას გუამთა მათთჳს წმიდათა მოწამეთა, წარიყვანნა მის თანა მოყუასნი მისნი და წარმოიხუნა იღუმალ გუამნი იგი წმიდათა მოწამეთანი და დაჰტლნა იგინი ქუეყანასა და წარვიდა, და ესრჳთ აღესრულა წამებაჲ მათი კეთილითა აღსარებითა.

VI. და ვითარცა ზვალისა დღჳ იყო, დაჲდა მეფჳ საყდართა თჳსთა ზე-

20 და და ბრძანა მოწოდებაჲ წმიდათაჲ მათ. და ვითარცა მოვიდეს, ჰრქუა მათ: «რომლისა ქუეყანისანი ხართ და რაჲ არს სახელები? თქუთ!» მიუგო წმიდამან მოწამემან ქრისტესმან პავლე და ჰრქუა მას: «მე პავლე მრქვან, ხოლო ამით ჩემთანთაჲ ძმთა თეონ, ბილონ, ირონ; და ვართ ჩუენ ხერთვისისა ერთისანი, რომელსა ეწოდების თანისი ქალაქი». ჰრქუა მას მეფემან: «არა გესმა ბრძანე-

25 ბაჲ ჩემი მათთჳს, რომელთა ჰრქვამს ქრისტჳ. ვითარ იგი იტანჯებიან, რომელ დამტკიცებულ არიან ამას სარწმუნოებასა ზედა და წარწყმდებიან და დაქლებულ იქმნებიან ცხოვრებისაგან ტკბილისა ამის ქუეყანისა?» მიუგეს წმიდათა მათ და ჰრქუეს: «გუესმა სიცოფისა შენისა ბრძანებაჲ და განგმეთ ცნობა-ნაკლულევიანებაჲ შენი!» ჰრქუა მათ მეფემან: «იკადრეთა ბრძანებათა ჩემთა თქუმად.

30 სიცოფედ? ვფუტავ ღმერთთა ცხოველთა, აწვე წარწყმიდენ ვერცნი თქუენნი სატანჯველთა უწყალოთა». | მაშინ ემაყეს წმიდათა მათ ერთთა ჯმითა და C 959 თქუეს: «მოიხუნ აწ, ჟამსა ამას, სატანჯველნი, რომელთა აღმითქუამ ჩუენ, რამეთუ ჩუენ განმზადებულ ვართ ყოველთა სატანჯველთა შენთა დათმენად ქრისტჳს ღმრთისა ჩუენისათჳს». ჰრქუა მათ მეფემან: «ვიცნობიესა რაჲ იგი დაით-

35 მინა ანთიმოს მოხუცებულმან?». ჰრქუეს წმიდათა მათ: «იხილენა რაჲდენნი ენეხანი თავს-ისხნა ეგევითარმან მან მოხუცებულმან ქრისტჳსთჳს და არა მოუძღურდა და არცა დაჰჳნდა, არამედ მრავლითა სიხარულითა და გონებითა მტკიცითა განძლიერდა ქრისტჳს მიერ და მისთჳსცა მისცნა ჯორცნი თჳსნი სი-

1 იგი <L; მეფემან<C. 7-6-7 უბრწუნელისა<C; მათგანთაჲ მათ C.—9 შეყენებაჲ C. 15 გუამთაჲ გუმემათა L—22 პავლე და ჰრქუა მას მე<L.—27 ტკბილისაჲ+და C.—31 უწყალოთაჲ უძღვევლითა C.—32 სატანჯველთა CL.—33 შენთა<C.

კუდილსა წამებისასა. რადენ უკუე ჩუენდა ჯერ არს და გვიღის, რომელნი ესე ვართ გუამითა ჭაბუკ, რაათა სიმენით და ძლიერებით თავს-ვისხნეთ და მოვითმინეთ სატანჯველთა სიმძაფრენი, რაათა ღირს ვიქმნეთ გვრჯვსა ძლევისასა და ვიშუებლეთ სიხარულსა შინა საუკუნესა». მაშინ ვითარცა ესმეს მეფესა სიტყუანი ესე წმიდათა მოწამეთაგან და იხილა მტკიცე იგი სარწმუნოებამა მათი და უქცევლი გონებამა, ბრძანა, რაათა დამოჰკიდონ წმიდანი იგი ძეოსა და ხუეტდენ გუერდთა მათთა ფუცხვთა რკინისათა და რაათა შეუგზან ალი ცეცხლისამა ქუემე ფერჯთა მათთა. და ვითარცა ესე ყვის, მაშინ აღიხილნეს წმიდათა მათ თუალნი მათნი ზეცად მიმართ და სიმენით მოითმენდეს სატანჯველთა მათ და მადლობსა შესწირვიდეს ღმრთისა მიმართ, გალობდეს და იტყოდეს: «ჲ უფალი იესუ ქრისტე, ვითარცა იგი შეეწიე წმიდათა მათ სამთა ყრბითა საგუმბოსა მას შინა ცეცხლისასა, ეგრძეთე შეგუწიენ ჩუენ ცოდვილთა და მოგუანიჲე ჩუენ მადლობით მოლუაწებამა სახელისა შენისათჳს წმიდისა!»
 C 960 მაშინ გამოეცხადა მათ ქრისტე და ჰრქუა: «ნუ მწუხარე ხართ, | მოლუაწენო ჩემო ახოვანო, და ნუცა შესძრწუნდებით, რამეთუ მე თქუენთანა ვარ!» და ვითარცა ესე ჰრქუა, მუნქუესვე დაჰჴსნდეს კელნი მტარვალთან მათ და დაშრტა ალი იგი ცეცხლისამა.

VII. და ვითარცა იხილა მეფემან ყოფილი იგი, ჰრქუა მათ: «რომელი გრძნებამა ჰქმენით, რომლითა დაშრიტეთ ალი ცეცხლისამა და მოაუძღურენით კელნი მტანჯველთა თქუენთან იამსა ამას?» მიუგეს მოწამეთა მათ ქრისტესთა და ჰრქუეს: «ჩუენ გრძნებამა არა ვიცით, არამედ ძალი და ძლიერებამა ჩუენი არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, რომელმან ალი ცეცხლისა შენისამ დაშრიტა და მტარვალთა შენთა კელნი მოაუძღურნა!» მიუგო მათ მეფემან და ჰრქუა: «უკუეთუ მრავალფერითა და ბოროტითა სატანჯველითა ძვრ-ძვრად გგუენმე თქუენ, უგოთა ანუ არა?». ჰრქუეს მას წმიდათა მათ: «უკუეთუ შენ მრავალფერნი და ბოროტნი სატანჯველნი მოაწინე ჩუენ ზედა, ეგრძეთე ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან უფროსს განმძლიერნეს ჩუენ მოთმინებად». მაშინ განრისხნა მეფე და ბრძანა შეკრებამა ყოველთა მცვეთამა, რაათა მათ მიერ წარწყმიდნეს წმიდანი იგი. და განჰმზადნეს მცველი იგი თიატრონსა შინა და მოიყვანნეს წმიდანი იგი. მოვიდა მეფესა და ჰრქუა მათ: «იხილენით მცველი ესე, რომელ განმძმადებთან თქუენთეს! | აწ უკუე ისმინეთ ჩემი და მოაქეციო და გიწყალოდენ შეუნიერებად სიჭაბუკისა თქუენისამა და უგეთ ღმერთთა უკუდავთა, რაათა არა ბოროტად მოკუდეთ, ვითარცა სხუანი იგი, რომელნი პირველ თქუენსა მოსწყედეს». მაშინ ჰრქუეს მას წმიდათა მათ მოწამეთა ქრისტესთა: «ჲ სავეგო ყოვლითა ზაკულებითა და უკეთურებითა! გნებავსა დათესვად ჩუენ შორის სულმოკლეობამა და მოწყინებამა სიკუდილისამა, არამედ უფროსდსა განმძლიერებ ჩუენ სა-

L 29b

1 წამებისასა <C; რადენ] რადენ L.—5 მტკიცე იგი სარწმუნოებამა] სმტკიცე იგი და სარწმუნოებამა C.—11 §] ორ C.—16 მათ <L.—20 მტანჯველთა..... ამას] მტოვალთან C.—23 და ჰრქუა <C.—23—24 უკუეთუ..... ანუ არა] უკუე მრავალფერნი და ბოროტნი სატანჯველნი მოაწინე თქუენ ზედა და უგოთ C.—25 მათ <L; მრავალფერნი] მრავალი L.—27 უფროსს] უძლიერეს L; ჩუენ მოთმინებად] მოთმინებასა [C.—29 თიატრონსა C.—33 რომელ L.—34 მაშინ] მიუგეს და L.—35 ჩუენ]—ამით L.

- ტანჯველთა შენთა აღთქუმიტთა, რამეთუ რომელმან იგი დაშრიტა ცეცხლი შე-
ნი და მოაუძღურნა ველები | მტარვალთა შენთანნი, იგივე შემძლებელ არს მომ- C 961
ლოვრებდა მძენვარებასა მვეცთა შენთასა». ვითარცა ესმა ესე მეფესა, ბრძანა
მოყრად მათი მვეცთა და მაშინ მისწრაფეს ყოველთა მკვდართა ქალაქისათა თი-
5 ატრონად, რაათა იხილონ აღსასრული იგი წმიდათა მოწამეთა. და დაჯდა
მეფემ ასპარეზსა მას და უბრძანა მიტევიება ყოველთა მვეცთა. და ვითარცა
მიუტევენს ლომნი იგი, კუდითა უკუმიდეს პირთა წმიდათა მათ, ხოლო ძუენი
ლომნი ენითა ლომნიდეს ფერკთა მათთა. ხოლო სხუანი იგი მვეცნი იბრძოდეს
და უხდებოდეს ერთი-ერთსა ტენებით, რომელმან-ძი მოგანმან უსწროს და შე-
10 ეხოს წმიდათა მათ, რაათა ღირს იქმნენ მათგან კურთხევისა; და შეეხებოდეს
და ეგრეთ უკუნიტეოდეს კულასა თვსსა და წარვიდოდეს. მაშინ ვმაცო ყოველ-
მან მან კრებულმან ვმითა ძლიერითა ერთობით და თქუეს: «დიდ არს ღმერთი
ქრისტეანეთა. განუტევენ უკუე აწლათუ წმიდანნი ესე მოწამენნი!» მაშინ ვითარ-
ცა ესმა ესე მეფესა ერისა მისგან, განრისხნა მათ ზედა და უბრძანა მუნქუესვე
15 მვეცთა თვსთა მოსრება მათი. და მოსწყდა დღესა მას შინა სახელისათვს ქრის-
ტსისა ერისა მისგანი ვითარ ათასი კაცი; და მიუყარნეს გუამნი მათნი მვეც-
თა მათ შესაქმელად, ხოლო მვეცნი იგი ყოვლადვე არა შეენხნე მათ, რამეთუ
სახელისათვს ქრისტსისა მოისრნეს იგინი. მაშინ განრისხნა მეფემ მვეცთა მათ-
თვს და ბრძანა მოწყუედა მათ ყოველთა პირითა მახვლისათა, რამეთუ არა
20 ინებეს ჰამად ვორცთა მათგან კაცებისა მის, რომელ მოისრნეს, და არცა შეეხ-
ნეს წმიდათა. მათ. და მოსრნეს ყოვილნი იგი მვეცნი დღესა მას. ხოლო წმიდა-
ნი იგი მოწამენი ქრისტსნი ჰმადლობდეს ღმერთსა და იტყოდეს: «გმადლობთ
შენ, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რამეთუ არა ხოლო თუ ნათესავნი
კაცთანი ოდენ მოწყუებიან სიყუარულისათვს სახელისა შენისა წმიდისა |, არა- C 962
25 მელ მვეცთაცა აღირჩიეს სიკუდილი ვიდრე არა შესებასა ვორცთა მონათა შენ-
თა». მაშინ დაჰვლნეს ქრისტეანეთა იღუმალ გუამები იგი მომწყდართა მათ.
და ბრძანა მეუმიან, რაათა განკუეთონ ქუეყანად და მას შინა შთაყარნენ გუა-
მები იგი კაცებისა მის და ვორცნი იგი მვეცთანი ერთად და დაფარნენ იგინი
მიწითა მას შინა.
- 30 VIII. მაშინ განრისხნა მეფე იგი და ჰრქუა ვარემდგომარეთა მათ: «რა-
დ უკუე უყოთ უკეთურთა ამათ, რამეთუ გრძნებთა მათითა დააჯერეს მრ-
ავლსა | კრებულსა, რაათა განდგენ მსახურებისაგან ღმერთთა ჩუენთასა?» ჰრქუეს
მას მეინავეთა: «შ მეფე, განბჭე მათ ზედა სიკუდილი, რაათა განისუენო მათ-
გან და განერე შფოთთაგან დლითი-დღედთა!» მაშინ განბჭო მეფემან მათ ზედა,
35 რაათა მოწყვდნენ იგინი მახვლითა და წარიყვანნეს იგინი მვედართა ვარემ
ქალაქსა და მივიდოდეს წმიდანნი იგი სისხარულით, აღიდებდეს ღმერთსა და

4—5 თიანტრონად C.—7 უკუმიდეს| უხმიდეს L.—7, ძუენი C.—8 ჰლამნიდეს C.—9 რო-
მელმან C.—11 და წარვიდოდეს < C.—18—19 მათთვს| მათ ზედა L.—19 რამეთუ| რაეამს CL.
—20 მოისრნეს| ყოვილნი მვეცნი მას დღესა შინა CL.—21—22 და არცა შეენხნეს... დღესა მას
< C.—32 ღმერთთა ჩუენთასა| ღმერთთასა C.—33 მეფემ C.—34 დღედთა| დღე C.—35 ვარემ
C.—36 და| ვითარცა L.

იტყვიდეს: «გმადლობთ და გადიდებთ იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველი-
საო, რამეთუ ღირს მყვენ ჩუენ აღსრულებად საწადელსა ჩუენსა, და კუალად
აწცა ვითხოვთ სახიერებისაგან შენისა, რაათა მშუდობით შეივედრნე სულნი
ჩუენნი და ღირს ჰყვენ იგინი დამკვდრებად შენსა ზეცისა სასუფეველსა ყოველ-
თა თანა წმიდათა შენთა, რომელნი საუკუნითგან სათნო გეყვენს შენ». მაშინ 5.
L 30a ბილოს! აღსრულებულ არს საწადელი თქუენი და განხუმულ არიან თქუენდა
ბჳენი ცათანი და მიცემულ არს თქუენდა მაღლი კურნებათაჲ, რაათა განჰკურ-
ნებდეთ კაცთა, რომელნი სახელითა თქუენითა ითხოვენ კურნებასა». მაშინ
C 96b ევედრნეს წმიდანი იგი მოწამენი მჳედართა მათ, რაათა მსწრაფლ აღასრულონ
| ბრძანებული მეფისაჲ. და ესრჳთ აღესრულა წამებაჲ წმიდათა. მოწამენი
კეთილითა აღსარებითა თითუესსა ივლისსა ორსა.

IX. და იყო ვინმე კაცი ქრისტეანჳს, რომელსა ეწოდა პანეს, ნათესავით
მეგვბტელი; ამან მისცა საფასჳ დიდძალი მჳედართა მათ, რომელთა მოსწყუდ-
ნეს წმიდანი იგი მოწამენი, და მოითხოვნა გუამნი იგი მოწამეთანი და წარი- 15
ხუნა იგინი და შემოსნა სამოსლითა პატროსნითა და მრაველითა სულნელითა
შეპურნა იგინი და დაჰკრძალნა ადგილსა ფარულსა შიშისათჳს უშჯულოთა მათ
მეფეთა კრპთმსახურთაჲსა. და შემდგომად რავდენთამე წელთა კაცმან ამან
ღმრთისმოყუარემან აღმოიხუნა მიერ გუამნი იგი წმიდათა მოწამეთანი, სადა
იგი დაეკრძალნეს, და მრაველითა პატრითა მოიხუნა იგინი ეგვბტედ, ქალაქად 20
თჳსად თანისდ, ვინაჲცა იყვნეს კეთილად-მძლენი წმიდანი მოწამენი, და დაჰ-
კრძალნა აგინი ადგილსა დიდებულსა, ვითარცა შეჰგავს მათა, რომელნი ილუ-
წიან სახელისათჳს ქრისტჳსისა. და მოიღეს წმიდათა მოწამეთა ნიჳი იგი საღ-
მრთოჲ, მაღლი კურნებათაჲ ზეგარდამოჲ, და მისცემენ უხუებით მათ, რომელ-
ნი მოვლენან მათა სარწმუნოებით, და აღმოეცენების მათ მდიდარი კურნებაჲ 25.
ნაწილთა მათგან წმიდათა, ვიდრე დღენდელად დღედმდე, ქალაქსა თინისს. და
ადიდებენ და აქებენ მომცემელსა მაღლისასა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რამე-
თუ მისი არს დიდებაჲ, პატრივი და თაყუანისცემაჲ მამისა ღანა სულით წმიდი-
თურთ აწ და მარადის და უკუნიით უკუნისადმდე. ამჳნ.

15 მოწამენი<L.—და მოითხოვნა... მოწამეთანი<C.—15—16 წარმოთხუნა C.—18 რაო-
დენთამე L.—27 და ადიდებენ და აქებენ] და აქებენ და ადიდებენ L.

ელიანოსის მარტვილობა

1. მასალები ელიანოსის ავოგრაფიისათვის. ელიანოსის მარტვილობას სხვა ქრისტიან ერთა მწერლობაში დღეს ვერ ვხვდებით, არამც თუ მარტვილობა, სახელიც კი არ შენახულა მისი არსად. მხოლოდ ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები მის შესახებ. ელიანოსის სხენება დადებულია ქართულ ძეგლებში 10 აგვისტოს (A95), 11 აგვისტოს (Bodleian-Oxonians.) და გიორგი მთაწმიდლის მინეონში (К. Кекелидзе, Литург. груз. рукоп., стр. 394) ის უნდა იხსენიებოდეს ელია მოწამის სახელით 8 აგვისტოს იოანეს-ზოსიმეს 956 წლის სვინაქსარში, აგრეთვე ჩვენ მიერ გამოცემულს „იერუსალიმის განჩინებაში“ (Иерусал. Канонарь VII в., стр. 123). ის მოხსენებულია აგრეთვე მიქელ მოდრეკელის „ყოველთა წმიდათა“ საგალობელში (პ. ინგოროყეა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. სნმ, სტრ. 225). გარდა უბრალო, კალენდარული სხენებისა, ქართულად შემონახულია „კიმენის“ რედაქციის მთელი მარტვილობა ელიანოსისა, რომელიც ორ ხელნაწერში გვაქვს: A 95 (გვ. 1023—1033) და Bodleianae Oxoniensis ბიბლიოთეკისაში (გვ. 363—368). ეს თხზულება ხელთა ჰქონია თავისი ლექსიკონის შედგენისას საბა-სულხან ორბელიანს, რომელსაც იქიდან ორი ციტატი მოუყვანია, სახელდობრ, სიტყვების „ქოქის“ და „ტალანას“ ახსნისას: „უბრძანა ქოქითა ცემაჲ“, „ბოსტანსა მას, რომელსა ტალანა ეწოდებინა“. ტექსტს ჩვენ ვსცემთ A 95-ის მიხედვით, მეორე ნუსხა ამჟამად ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. დასაწყისისა და დაბოლოების მიხედვით, რომელიც მოყვანილია P. Peeters-ის აღწერილობაში (Analecta Bollandiana, p. 314), მეორე ნუსხა უცვლელი პირი უნდა იყოს პირველისა.

2. მოკლე შინაარსი თხზულებისა. როდესაც რომის იმპერიაში გამეფდა დეოკლიტიანე, მაქსიმოს მთავარმა მიიღო მისგან ბრძანება და გაეწარა პრატების ქალაქ ამანში. აქ თავი მოიყარეს როგორც ქალაქის მცხოვრებლებმა, ისე. ახლო-მახლო ადგილებიდან მოსულებმა; დაიწყო ნამდვილი აჯანყება იმის გამო, რომ საზრდელი არ ჰქონდა ხალხს, რომელიც მაქსიმოსისა და მის ჯარისკაცებს ქებასაც კი ესროდა. მაქსიმოსის ბრძანებით „მთავარნი და წარჩინებულნი“ ქალაქისანი დაატუსაღეს და ციხეში ჩასვეს. სატუსაღოში თავისი საკუთარი ნებით შევიდა და პატიმართ შეუერთდა ერთი ახალგაზრდა, შესახედავად წარმოსადგევი ქრისტიანი ჭაბუკი, სახელით ელიანოსი, რომელიც ქსეულის მქსოველი იყო; ის ტუსალებს ქრისტიანობას უქადაგებდა მათი მოქცევის მიზნით. თანხმად მაქსიმოსის ბრძანებისა, ქალაქის შუა ნაწილში, სადაც კრო-

ნოსის კერპი იდგა, განამზადეს მისთვის საჯდომი და შეკრიბეს ხალხი კერპისადმი მსხვერპლის შესაწირავად. მაქსიმოსს მოაგონეს პატიმართა შესახებ, რომელნიც, მისი ბრძანებით, მოყვანილ იქნენ აქ. თანახმად შეკრებილთა მოთხოვნისა, „მთავარნი და წარჩინებულნი“, როგორც წარმართნი, განთავისუფლებულ იქნენ, ხოლო ელიანოსი გააცალკევეს და დაიწვეს მისი განკითხვა. მისგან მთავარი მოითხოვეს ქრისტიანობაზე ხელის აღებას, ელიანოსი უარზეა, მედგარად იცავს თავის რჯულს, აგინებს და ამცირებს წარმართთა ღმერთებს, კერძოდ კრონოსს; ამისთვის მას სცემენ, სტანჯავენ, მაგრამ ქრისტიანობაზე ხელს ვერ აღებინებენ. ბოლოს მას მიუსაჯეს ცეცხლში დაწვა. გაიყვანეს ქალაქიდან, ცოტა გაიარეს და შემოხვდათ ერთი ქალი, რომელსაც შემის კონა მიჰქონდა სახლში. მტარეალემა მას წაართვის შეშა, რათა კოცონი გაეჩაღებიათ ელიანოსის დასაწვავად. შეწუხებულ დედაქაცს ელიანოსი ანუგეშებს და ფულს მისცემს, შეშას თვითონ აიკიდებს ზურგზე და დანიშნულ ადგილას მიიტანს. აქ მას დასწვავენ. მისი გვამი მორწმუნე ქრისტიანებმა გახვიეს ზეწარში, ჩუმად წაიღეს ერთს მთაზე და იქ გამოქვაბულში დაკრძალეს. ელიანოსი აღესრულა 28 ნოემბერს.

მ. თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზი. სად ეწამა ელიანოსი? თხზულების სათაურში ვკითხულობთ, რომ ელიანოსი „იწამა არაბიას, ქალაქსა შინა ამანს ბალკანისასა“. მისი მტანჯველი „განვიდა არაბიად და მიიწია ქალაქად ამანდ“, სადაც მოხდა წამება მისი. ერთი სიტყვით, წამება მოხდა „არაბიას“, ანუ არაბეთში, „ქალაქსა შინა ამანს ბალკანისასა“. ჩვენ რომ ვიცოდეთ, რას ნიშნავს „ბალკანისასა“, რომელი ადგილი აღინიშნება ამ სახელით, მაშინ ადვილი იქნებოდა ამანის მოძებნაც. ისე კი „არაბეთად“ იმდენად დიდი და ნაირნაირი ტერიტორია იგულისხმებოდა, რომ ძნელია ნიშანდობლივად ჩვენება ემელიანოსის წამების ადგილისა. მარტილობიდან ჩანს, რომ ქალაქ ამანში ელიანოსის წამებისას ქრისტიანეთა საზოგადოება არსებობს, რომ მალე აქ შესაძლებელი ვაშდარა ელიანოსის სახელზე „სალოცველი ტაძრის“ აშენება. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, არაბეთად ვერ ვივარაუდებთ სამხრეთ არაბეთს და მის ქალაქ იამანს, რადგანაც აქ ქრისტიანობის პირველს, ცოტად თუ ბევრად შესამჩნევ, სიბერეს მხოლოდ თეოფილე ჰინდოს, მეოთხე საუკუნის მერორე ნახევარში ვხედავთ¹. თხზულებაში უნდა იგულისხმებოდეს სირია-პალესტინის არაბები, რომელთა შორის ქრისტიანობას ვაცილებით უფრო ადრე შეეძლო გზა გაეკაფა. ამანის გარკვევისას შეიძლება რამდენიმე ასეთი სახელი მოვიფიქროთ. 1) ამანი, რომლის ნანგრევები ცნობილია მკვდარი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირზე, მდინარე იორდანიდან 38 კილომეტრით დაშორებული. 2) კესარიის მახლობლად (პალესტინაში) ზღვის პირას მდებარე ქალაქი იამანი, resp. იამნა. 3) ფინიკიის საზღვრებში ზღვის პირსავე ცნობილი იამნია, resp. იამნა ქალაქი (Migne, PG. XX, col. 1443, not. ვ). 4) ცნობილია აგრეთვე ამანის მთა—ანტილიბანის მწვერვალი, პალესტინის ჩრდილოეთით, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთით, აქ მოღვაწეობდა სევირონ ძველი (IV ს.).

¹ Проф. В. Болотов, Лекции по истории древней церкви II, 263—65.

როდის ეწამა ელიანოსი? ამის შესახებ თვით თხზულებაში ვკითხულობთ: „რაცამს იგი დაიპყრა მეფობად პრომისად დიოკლიტიანე უღმრთომან, გამოვიდა მაქსიმოს მთავარი“, რომელმაც აწამა ელიანოსი. ამრიგად, წამება დაკავშირებულია დიოკლიტიანეს (284—305) მეფობასთან. ძნელია, რასაკვირველია, ექვმიუტანელად იმისი თქმა, თუ რომელი „მთავარია“ ეს მაქსიმოსი; შესაძლებელია დავუშვათ, რომ ეს იგივე მაქსიმოს მთავარია, რომელიც (ცნობილია დიოკლიტიანეს მეფობის უკანასკნელ წლებში ტრაქოს, პრობოს და ანდრონიკეს მარტივობით (ეწამნენ 304 წელს)¹. ერთი სიტყვით, ელიანოსის წამება უნდა მომხდარიყოს 304 წლის მახლობლად.

ორიგინალური ან თუ ნათარგმნი თხზულება? თხზულება წარმოადგენს თარგმანს, რომელიც ბერძნული ენიდან უნდა მომდინარეობდეს. ამას გვიჩვენებს როგორც საკუთარ სახელთა ბერძნული დაბოლოება ის (ავგუსტოს, დომენტიოს, მაქსიმოს, ანტონიოს, ოქსინიოს, ვალერიოს, ელიანოს, პრეკონოს, კრონოს). ისე ზოგიერთი ტერმინი; ასეთია: 1. **პრეტორიონ**—*πραιτωριον* (praetorium)—*aula sev palatium praetoris, vel rectoris provinciae*, გინა თუ *auditorio seu tribunali proetoris vel rectoris provinciae*². 2. **სალოტარია**—მისაღმების, მისაოები ან განკარგულების ვასაქემი დარბაზი მეფეთა თუ დიდებულთა (*Saluto, Salutatio, Salutator*). 3. **მოლი**—*μολις, πρυγιος, porro, seu turriculam vocabant. Μόλιος vero turriculam recentiores Graeci appellarunt*³. ქალღმერთ კიბელას თავზე გოდოლივით გვირგვინი ედგა. 4. **ქანტერიონი**, საბას ლექსიკონში—ქანტერიონი,—ასისთავი, ქართული გამოთქმა ბერძნული *κενταυριαν-ისა*, ლათინური *centurio*⁴. 5. **პრეკონოსი**, resp. პრეკონი—*πραινας* (praeco), რაც უდრის *Крѣпсѣ-ს*, ქადაგი, პეროლდი, მაუწყებელი⁵. 6. **პალატი**—*παλατιος*, სასახლე. 7. **ენჭერი**—ხელსახოცი ან პირსახოცი—*ενχρησιος*, ნივთი, რომელიც ლიტურგიკულ ხმარებაში იყო⁶. თხზულების ბერძნულიდან მომდინარეობას უნდა უჩვენებდეს აგრეთვე ისეთი რეალიები, როგორიცაა, მავალითისათვის, „კუერთხი არაბული“, საგანგებო აღნიშვნა იმისა, რომ გვემის იარაღად გამოყენებული იყო „არაბული“ კვერთხი. თხზულება რომ, ვთქვათ, არაბის მიერ არაბულად ყოფილიყო დაწერილი, ის ამ აზრს სხვანაირად გამოთქვამდა. რადგანაც არაბულზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა შევნიშნოთ, რომ სახელში „ჯერასანი“ ჯ. არის არაბიზირებული ბერძნული Γ, მაგრამ ეს არაბულის ორიგინალის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება, რადგან ასეთ მოვლენას ჩვენ ვხვდებით უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარე ტექსტებშიაც. რასაკვირველია, არაბული ორიგინალის სასარგებლოდ ვერც იმას გამოვიყენებთ, რომ ელიანოსის წამების ადგილი იყო არაბეთის ქალაქი ამანი და, შეიძლება ის არაბიც იყო წარმოშობით.

¹ A. Harnack, Geschichte der althristlichen Literatur bis Eusebius, B. II, Th. 2, S. 480, Anmerk.

² Du-Cange, Glossarium I, 1219.

³ Ibid. I, 942.

⁴ Ibid. I, 634.

⁵ Ibid. I, 1216.

⁶ Проф. А. Дмитриевский, Ставленник, стр. 115, прим. 1, Киев 1904.

ავტორი თხზულებისა და დრო მისი დაწერისა: ვინ არის ავტორი, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის თანამედროვეა ელიანოსისა და მის მიერ აღწერილი ამბებისა. ეს ჩანს მისი გამოთქმებიდან: „გუაში მისი გამოჯგუნდა ჩუენ, ყოველთა მონათა ქრისტსთა, რომელნი შეუღდევი მას ჟამსა. და ვითარცა მწუხრი იყო, მოვედით იღუმალ და წარვიღეთ და შთავდევით იგი ზეწარსა წმიდასა... და მოვხარეთ შიგნით შიგანსა ქუბასა... და მუნ დავდევით გუამი იგი... და მივაგორეთ ლოდი დიდი კარსა მას ქუბისსა შესავალსა. რაათა გუე-ქმნეს ჩუენ მეოხ“. აქედან, მაშასადამე, თხზულება დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეოთხე საუკუნის პირველი მეხუთედისა, ასე რომ ის ერთ-ერთი უძველესი აგიოგრაფიული ძეგლია, რომელშიაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს საყოფაცხოვრებო სურათები, მაგალითად, ლარები დედაბერის მიერ შემის ტვირთვა, განსაკუთრებით იმ აჯანყების აღწერილობა, რომელიც ამანში მომხდარა ეკონომიურ ნიადაგზე. უმნიშვნელო არაა არც იმ ჩუეულების აღნიშვნა, რომლის მიხედვით გამოტანილი განაჩენის „საწამებელად“ მსაჯული „კალამს შემუსრავდა“ ხოლმე.

როდისაა შესრულებული ქართული თარგმანი? თხზულება მოთაქმებულია „მრავალთავის“ ტიპის კრებულებში, რომელთა ჩამოყალიბება ჩვენს მწერლობაში VIII საუკუნის გასულს დაწყებულია. ეს გარემოება თხზულების გადმოდარგმნის ante quem-ადაც გამოდგება. ასეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტსაც, რომ ელიანოსის ხსენება გვაქვს „იერუსალიმის განჩინებაში“, რომელიც ქართულად ითარგმნა არა უადრეს VIII საუკუნის მეორე ნახევრისა¹. არც ის მოვლენა უნდა იყოს უმნიშვნელო ამ შემთხვევაში, რომ სახელში „ჯერასინ“ ჯგ არის არაბიზირებული ბერძნული I: ასეთი რამ მერვე საუკუნეზე ადრე მოსალოდნელი არაა, მეცხრე საუკუნის ძეგლებში კი ის უკვე ფაქტია. მართლაც, თუ „დღდაჲ“ მეათე საუკუნის „მრავალთავის“ № 95 (A), რომელშიაც ეს თხზულება გვაქვს, გადამწერმა „იშხნით მოილო“², ეს უკანასკნელი საფიქრებელია, მეცხრე საუკუნის მაინც იქნებოდა. ასე რომ თხზულება გადმოთარგმნილი უნდა იყოს არა უადრეს მერვე საუკუნის მეორე ნახევრისა და არა უგვიანეს მეცხრე საუკუნისა. ასეთს დათარიღებას არ ეწინააღმდეგება, პირიქით, აძლიერებს კიდევაც შემდეგი გარემოება. თარგმანში ჩვენ გვაქვს სიტყვა „ქულბაგი“, საწყობი, საუკუნაო, ქოხი, საუკრო სახლი, შემდეგი, მოგვიანო დროის გამოთქმით — „ქულბაჲ“³. აგ სუფიქსიანი ფორმით არსებობა ამ სიტყვისა უძველეს თარგმანში მაჩვენებელია, სპეციალისტის დაკვირვებით (მ. ხუბუა), იმისა, რომ თარგმანი მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარზე უგვიანეს ვერ იქნება, რადგანაც ასეთი ფორმით სიტყვა ფალაურთან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ, ახალ-სპარსულში ფალაური გ ბოლოში დაიკარგებოდა და გვექნებოდა ქულბაჲ | ქოლბაჲ.

4. მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური მხარე თხზულებისა. მორ-

¹ К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII в., стр. 26.

² Ф. Жордания, Описание рукописей I, стр. 113.

³ შდრ. გეოგრაფიული სახელი „ნაქულბაქევი“, გეოგრაფია ვახუშტისა, გამოც. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილისა, გვ. 55.

ფოლოგიური მხარე ტექსტისა ყოველთვის არაა „კლასიკურად“ გამართული, განსაკუთრებით ლ და ჰ ხმოვების ხაზით, ამის გათვალისწინება ტექსტს ქვეშ მოთავსებული შენიშვნებიდან შეიძლება. გრამატიკული ფორმებიდან ყურადსაღებია: სახელი მოწამისა წოდების ბრუნვაში იხმარება როგორც „ელიანეს“, ისე „ელიანე“ სახით. სახელი „კრონოს“ იხმარება აგრეთვე როგორც „კრონე“, ენაიდან ერთს შემთხვევაში მიცემითი ბრუნვა მისგან არის „კრონეს“. ზმნის მასდარულ ფორმასთან დამატება გვაქვს როგორც სახელობითში („შეპყრობად კაცნი“), ისე მიცემითში („სმენად სახელსა მისსა“, „აღსრულებად ბრძანებასა მთავრისასა“). სხვის ნათქვამს ბოლოში ო ემატება ხოლმე: „რომლისასა იტყუან ვითარმედ მონა არს იგი იესუ ქრისტეს ნაზარეველისაო“.

ლექსიკის გასათვალისწინებლად მოგვყავს შემდეგი ნიშნები:
 აუგეან ყვეს—შეურაცხვეს. მღღევარი—ყოველდღიური.
 ბასრობა—დაცინვა, კიცხვა. მებოძირი—გზაჯვარედინი.
 ბოსტანი—ამ ტექსტის გარდა ეს სიტყვა გვხვდება ბიბლიაში (2 გზრა II, 8) და სინას მთის (X ს. ხელნაწერში № 50); ამიტომ შესწორება სჭირდება ნ. მარის აზრს, რომ ეს სიტყვა XIII—XIV სს. ადრე მოსალოდნელი არააო (პეტრე იბერიელის ცხოვრება, გვ. XXI).

გამოიწულილვა—დაწვრილებით გაიგო.
 გამოიხურვა—გაიწრთო ლითონივით.
 განბჭობა—განჩინება.
 განსიბიპენით—გაჭიმეთ, დაჭიმეთ.
 განცაერეს—თავი დაახწიოს.
 გუნდი—მხედართა რაზმი.
 დაგუაშურენა—დაგვლდა.
 ენჭერი—ხელსახოცი.
 ერი—ერისკაცი, ჯარისკაცი, გვხვდება „მგვლადრიც“.
 თვსა—თვსაგან, —განკერძოებით.
 ეხლა მოვიყვანთ თვით თხზულების ტექსტს.

მოდო—გოდოლი, იხ. ზემოთ.
 მოურეწე—მოუპოვე, უშოვე.
 მტარვალი—ჯალათი, მტანჯველი.
 პალატი—დარბაზი, იხ. ზემოთ.
 პრეკონოსი—ქადაგი, იხ. ზემოთ.
 პრეტორიონი—სამსჯავრო დარბაზი, იხ. ზემოთ.
 სალოტარია—იხ. ზემოთ,
 საუტრება—საკვირველება.
 სისრაჲ—სროლა, ტყორცნა.
 სიურცხუნე—ურცხვინეობა, მოურიდებლობა.
 უგე (სიტყვისაგან „გება“) —მსხვერპლი შესწირე.
 ფიქალი—ქაფენილი.
 ქანტერიონი—ასისთავი, იხ. ზემოთ.
 ქოქი—ეკალი ჩირვოვანი (საბა).
 ქულბავი—იხ. ზემოთ.
 შიგნის შიგანი—უშინაგანესი.
 წარედ—წარევედ, წადი.

1023

წამებაჲ წმიდისა მოწაჲისა ელიანოსისი,
რომელი იწამა არაბიანს, ძალაჲსა შინა აჲანს ბალკანისასა

1024

I. რაჲჲსა იგი დაიპყრა მეფობაჲ ჰრომისაჲ დიოკლიტიანე | უღმრთოჲან, გამოვიდა მაქსიმოს მთავარი სალოტარიადო, მოილო ბრძანებაჲ შეფისაგან და განვიდა არაბიად და მიიწია იგი ქალაქად აჲანდ. და დადგა იგი სადგურსა, რომელსა ეწოდების პეტრორიონ! და შეკრბეს მის წინაშე ყოველნი მკვდრნი ქალაქისა აჲანისანო, და უცხონი და მწირნი, ვინაჲთვე მოსრულნი მრავლითა მოსწრაფებითა; და შფოთმან მიუწლომელმან დაიპყრა ქალაქი, რამეთუ ყოველნი ურთიერთას წუევითა მოიწინეს ცხორებისათჲს მათისა და განგებისათჲს ქალაქისა. რამეთუ ჟამსა მას საზრდელი მათი ფრიად ნაკლულევანებით იყო ქალაქსა შინა და გარემოჲს, და ლალადებდეს ამისთჲს. მაშინ ჰრქუა მათ მთავარმან მან: «დადუმენით ამისთჲს აწ ოდენ და ხვალისა დრქ კუალად შეკერბით ჩემ წინაშე და მოიღოთ ამისთჲს განჩინებაჲ». მაშინ მკვდრნი იგი ქალაქისანი დროებისა მისთჲს შეიწრდეს და შეშფოთნეს და იწყეს რომელთამე მათგანთა ქვითა სისრაჲ მთავარისა და ერისა მისისაჲ. მაშინ უბრძანა მთავარმან მაქსიმოს გუნდსა თჲსსა, რაჲთა შეიპყრნენ მთავარნი და წარჩინებულნი ქალაქისანი და შესთხინენ საპყრობილესა. და ყვეს ეგრე.

1025

II. იყო ვინმე კაცი ერთი მოქალაქე, რომელსა სახელი ერქუა ელიანოს, მსახური ღმრთისაჲ კეთილითა სარწმუნოებითა; და ჯელთსაქმრად მისა იყო ქსოვად სელისაჲ. და იყო ქელბავი მისი კართა თანა ქალაქისთა, რომელთა ჰრქვან ჯგრაისნი, მახლობელად წმიდასა იკლესიასა, რომელი შშნ იყო მუნ. და ვითარცა ესმა მას ყოფილი იგი, რომელი იქმნა ქალაქსა შინა, გამოიწულილვა მრავალთაგან და გულსგმა ყო მიზეზი იგი და ცნა, რამეთუ რომელნი იგი შეიპყრნეს და შესთხინეს საპყრობილესა კაცნი, იყენეს მყუდრონი და მშუღობისა მეძიებელნი, რომელნი დახუდეს ჟამსა მას შფოთისასა და შეცვეს ჯელთა ერისკაცთასა. ხოლო ესე ელიანოს რამეთუ ღმრთის-მოუყარე იყო და სძულდა მას ბოროტი სიყრმით თჲსითგან, აღიშურვა მან შერი საღმრთოჲ | და მიისწრაფა საპყრობილედ და შევიდა და ჯდა მათ შორის; ნუგეშინის სცემდა და განამტკიცებდა მათ და ასწავებდა სიტყუათა ღმრთისათა და სარწმუნოებასა.

III. მაშინ მაქსიმოს მთავარმან მოუწოდა ერსა თჲსსა და უბრძანა, რაჲთა განუშზადონ მას საჯდომი შორის ქალაქსა მეგობირთა თანა გზისათა, ადგილსა, რომელსა იყო ფიქალი ფრიად დიდი განფენილ მრგულად და მას ზედა იყო კრონოს, კერპი სპილენძისაჲ, მდგომარქ სუეტსა ზედა სპილენძისასა, და თაჲსა მისსა ედგა ქუდი, ვითარცა მოდი დიდი. მაშინ ბრძანა მაქსიმოს, რაჲთა დადგან ადგილსა მას საკურთხეველი საგებელად კერპთა, რომელსა ზე-

და აღასრულუნენ შეგინებულნი იგი მსახურებანი მათნი და მუტლმოდრეკით თა-
 ყუანის სცენ მათ, რომელნი მათა ღმერთ არიან კერპნი იგი უსულონი. მაშინ,
 ვითარცა განმზადეს, შეკრბა ადგილსა მის სიმრავლქ მიუწოდომელი ყოველთა
 5 კაცთა და განმზადნეს აღსრულებად ბრძანებასა მთავრისასა. მას ჟამსა აღ-
 და მსახურის მთავარი განთიად, ვიდრე ბნელა იყო, და განმზადა მისლვად
 ადგილსა მის. და ვითარცა განთენა, გამოვიდა იგი მრავლითა საუცრებითა და
 სიმრავლითა მკვიდართადათ. და იყენეს ყოველნივე შემოსილ სამისლითა ბრწყინ-
 10 ვალითა კრებულად ხილვითა, რადთა აღასრულოს მან დღესასწაული იგი ღმერთ-
 თა მათ შეგინებულთა. და ვითარცა დაჯდა იგი საჯდომსა მის, რომელი გა-
 ნემზადა მისთჳ წინაშე კერპისა მის, მაშინ მოვიდეს ერისკაცნი და ჰრქუეს მას:
 «გუჴინ ბრძანა ძლიერებამან გელმწიფებისა თქუენისამან შეპყრობად კაცნი იგი,
 რომელთა შფოთისა ყოფად იკადრეს წინაშე შენსა და ქეთა ისროდეს, და შე-
 15 ნხმად საპყრობილესა, და იქმნა უძლეველი ბრძანებად თქუენი, და არიან იგო-
 ნი შეყენებულ საპყრობილესა შინა აქამომდე. და კულად კაცი ვინმე სხუად,
 რომელსა ჰრქვან ელიანოს, თავით თჳსით შევიდა საპყრობილედ და დადგა მათ
 თანა | და ღამქ ყოველ ილოკაცს ღალადებით და ასწავებს მათ სწავლასა მის,
 რომელსა ჰრქვან «იესუ ქრისტესი», და შეუტოუნებთან ყოველნი. მაშინ ბრძა-
 20 ნა მაქსიმოს მთავარმან, რადთა მოიყვანენ ყოველნი იგი პყრობილნი ელიანო-
 სითურთ წინაშე მისსა; და წარმოადგინნეს იგინი მრავლითა მოსწარაფებითა.
 თუ თქუა ანტონიოს ქანტერიონმან: «შ უფალო ჩემო მაქსიმოს, რომელი შიშით
 და შენითა ვჴმსახურებ ერსა შენსა, მომიყვანებთან კაცნი იგი მეშფოთენი და
 ელიანოსცა მაცთური თქუენ წინაშე, რომლისასა იტყვან ვითარმედ მონა არს
 იგი იესუ ქრისტეს ნახარველისაო, და აჴა ესერა მდგომარე არიან წინაშე გელ-
 25 მწიფებისა შენისა». მაქსიმოს თქუა: «განადგინეთ ელიანოს თჳსა მაგათგან და
 წარმოადგინეთ ეგენი, რომელთა შურაცხყევს საჯდომი ჩემი უგუნურად გან-
 ჴარაბეთა მათითა და მაგინეს მე პირითა მათითა შეგინებულთა». ხოლო მათ
 ყვეს ეგრეთ.

1026-

IV. მაშინ მიუგო მაქსიმოს კაცთა მათ პყრობილთა და ჰრქუა: «მითხართ-
 ლა მე, შ საწყალობელნი, ძიხეზი კადნიერებისა თქუენისაჲ გუჴინდელი, სიკო-
 30 ფით შეგემთხუა ანუ სიმთვრალით?» მიუგო და ჰრქუა ოქსინიოს მთავარმან:
 «გვეედრებით, მსაჯულო, რადთა ღმობიერ და ჰოწყალე მექმნე ჩუენ, მონათა
 შენთა, და უფროასლა დღესასწაულისათჳს დღენდელისა და მსახურებისათჳს
 ღმერთთაჲსა». თქუა მაქსიმოს მთავარმან: «კაცნი ესე საწყალობელნი, რომელ-
 35 თა აუგეან ყვეს დღესასწაული ღმერთთაჲ და კადნიერ ექმნეს გელმწიფებასა
 ჩემსა, განსხირპენით და ჴურთხითა სხვლითა არაბულითა გუემენით ძღერად». და
 დადაცყვეს პრეკონოსთა: «ნუ სამართალსა ღმერთთაჲსა და მეფეთასა შეურაცხ-
 ჴყოფთ და ნუცა ჰბრძავთ გელმწიფეთა ძლიერთა». მაშინ წმაყვეს ყოველთა
 მკვდრთა ქალაქისათა და ჰრქუეს: «ღმერთნი წყალობის-მოყუარენი არიან და
 მეფქ ღმობიერ არს | და მთავარი სამართლისა. ბჴე არს, და ჩუენ გვეედრე-
 40 ბით, მოგუანიჭენით საწყალობელნი ესე ყოველსა ამას ქალაქსა». მაშინ ღმო-

1027

ბიერ იქმნა მაქსიმოს ამის სიტყვსათჳს და ეგრევე ვალერიოს, თანამზრახველი მისი, და იძლია მოწყალეებითა და უბრძანა განტეეებად მათი.

V. მაშინ მოვიდა დომენტიანოს და ჰრქუა მთავარს მას ვითარმედ ესე ელიანოს, რომელი სახელიდებს სახელსა თჳსსა ქრისტეანედ, რომელმან თავი თჳსი შეჰრთო შეტოდებულთა მით თანა, და ჰბრძანე მისი თჳსავან განდგინებად, ესერა მდგომარე არს წინაშე კელმწიფებისა შენისა». ჰრქუა მთავარმან მაქსიმოს: «წარმოადგინე მტერი ეგე უკეთური ელიანოს, რომელი სთქუ». მაშინ ოთხთა მტარვალთა შეპყრობით წარმოადგინეს იგი წინაშე მისსა. ჰრქუა მას მაქსიმოს: «რად ხარ შენ ანუ ვინად ხარ?» ჰრქუა მას ელიანოს: «მე მონა ვარ ქრისტესი!» ჰრქუა მას მაქსიმოს: «თქუ, რად არს სახელი შენი! ბრა უფ-10 ლისა ღმრთისა შენისათჳს გკითხავ შენ და არცა გუწებავს ცნობად მისი». ჰრქუა მას ელიანოს: «და არცა ღირს ხარ სახელსა მისსა სმენად, კეთილად განაზო- რე თავი შენი მისგან, ამისთჳს სახელი ჩემი ჯორციელი ისმინე: ელიანოს მყ- წოდების და ნათესავით ვარ ამის ქალაქისაჲ». ჰრქუა მას მაქსიმოს: «სხსა სა- ხისათჳს ნუ მომიგებ მე და ჰგონებ ბასრობასა, შ ელიანე!» ხოლო წმიდად ელი- 15 ანოს ღუმნა ჟამ რადენმე და მერმე აღიხილნა ზეცად და თქუთა თავით თჳსით: «შ უფლო, მიშაო ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესო! მომივ- ლინე მე მსგავსად შენდა თაყუანის საცემელი სული წმიდაჲ, რადთა მის მიერ მივსკე პასუხი მსაჯულსა ამას უშჯულოსა, შვილსა ეშმაქისასა განდგომილსა». მაშინ განრისხნა მისთჳს მაქსიმოს, ღუმილისა მისთჳს ელიანოსისა, და უბრძა- 20 ნა მტარვალთა გუემად მისი ქოქითა უწყალოდ. ჳმაყო პრეკონმან და თქუა: «უგე ღმერთთა, შ საწყალობელო | ელიანე, და განეყენე სილაღესა მავას და უგუწურებასა შენსა!» ხოლო ელიანოს არარაჲ მიუგო, არამედ ზეცად მიმართ ჰხედვიდა, რამეთუ გონებაჲ მისი ღმრთისა თანა იყო.

VI. და ვითარცა იხილა ვალერიოს, თანამზრახველმან მსაჯულისამან, მო- 25 წამქ ქრისტესი მღუმრთიად, ჰრქუა მთავარსა: «მომკუდარ არს უშჯულოჲ ესე და არა ჯერ არს გუემად მკუდრისაჲ». მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან, რადთა დააცადონ გუემად ჩისი». და ჰრქუა წმიდას მას ელიანოსს: «აჰა ესერა შეგი- წყალე შეუნიერებისათჳს სიჰაბუქისა შენისა, რამეთუ ყოვლად შუენიერ ხარ შენ პირითა». მიუგო წმიდამან და ჰრქუა: «მტანჯე მე, შ მსაჯულო, და გუემითა 30 შენითა მაზირთე მე უფალსა ღმერთსა ჩემსა იესუ ქრისტესა. და ესე უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ მე არაოდეს უგო ღმერთთა შენთა უსულოთა, ბრამათა ყრუთა და უტყუთა, რომელთა არა აქუს ძალი, არცა სასოვებაჲ, არცა აქა და არცა სონავალთა მათ ჟამთა». ჰრქუა მას მაქსიმოს: «უკეთუ არა გნებავს შენ გებად ღმერთთა ყოველთაჲ, ამას ხოლო უგე, რომელსა ესე ჰხედავ, კრონეს, 35 მამასა ღმერთთასა საშინელსა და პატრიოსანსა, ვითარცა ყოველნი ესე მოსრულ- ნი, რომელნი უგებენ, უგე შენცა და შეწირე». მაშინ განძლიერდა წმიდად ელი- ანოს მადლითა უფლისა და ღმრთისა ჩუენისადა, შეურაცხყო მსაჯული იგი და ჰრქუა: «ღმერთი ესე შენი, შ მაქსიმოს, რომლისათჳს იტყჳ ვითარმედ მამა

არს ღმერთთა შენთა შეგინებულთა და არალირისთა, გარდამოჴედინ სუეტიო
 და ჴამენ მსხუერპლთა ამთგან შეგინებულთა, მდებარეთა წინაშე მისსა, და
 კუალად იქეციენ მუნვე ადგილად თჳსა, და ოდეს ესე ყოს, ვერცაღა ამით სას-
 წაულთა განმამოროს მე ღმერთსა ჩემსა იესუ ქრისტესა უჴუნისადმდე». მაშინ
 5 აღეტყინა მაქსიმოს ამისთჳს გულისწყრომითა ფრიად და უბრძანა, რათათა სცენ
 მას კუერთხითა არაბულთა უწყალოდ და მოსწუნენ გუერდნი მისნი ლაზრითა
 აღნთებულთა და მუცელსა | ქუეშე აღუნთონ და ჴურგსა სცემდენ მყოვარ 1029
 ჟამ. ხოლო წმიდად ელიანოს განძლიერდა უფლისა მიერ იესუ ქრისტესა და
 სიმზნით თავს იღვა ესე სატანჯველი; ლაღდებდა და იტყოდა: «ჴ უფალო და
 10 ღმერთო ჩემო იესუ ქრისტე, რომელმან სთქუე: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა
 მოწყვდენენ გორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუე-
 დად, არამედ მისა გეშინოდენ, რომელსა ტელმწიფებამა აქუს სულთა და გორც-
 თამა წარწყმედად გეჴენიასა შინა ცეცხლისასა. მე მონა შენი ვარ და ძე მკველი-
 15 სა შენისა, გამაჴინენ, უფალო, ჩემზედა ძალი შენი და ჴეშმარიტებამ. მომეც
 მე, ღმერთო, წინააღდგომამა მსაჯულსა ამას უშჯულოსა და ერსა მისსა უკეთურ-
 სა, რათათა არა თქუან: სადა უკუე არს ღმერთი იგი მისი». მაშინ გამოუჩნდა
 მას ანგელოზი უფლისამა და ალი იგი ცეცხლისამა დაშრიტა და ძალი მტარვალ-
 თამ მათ დაჴსნა, და დაეცნეს იგინი ქუეყანასა ზედა, ვითარცა მკუღარნი, და
 20 კრულეზბანი იგი საკრველთა მისთანი ცეცხლითა დაწუნეს და განიგნენეს წმიდი-
 სა მისგან.

მთ. 10:
28

VII. მაშინ წმიდამან მოწამემან ელიანოს, ღმერთისა ახოვანმან მოღუაწე-
 მან, მიუგო და ჴრქუა მსაჯულსა მას: «ჴ უღმერთოო და ურცხუროო, სადა უკუე
 არს აჴ ძალი მამისა შენისა ეშჳაკისამ და სიქადული შენი, ძალისა მყეფარი-
 25 სადამ? ვითარცა ესამ ესე მაქსიმოს მსაჯულსა, ჴრქუა ვალერიანოსს, თანამზრ-
 ხელსა მისსა: «დაგუაშურენა სიურცხუნემან ელიანოს უღმერთოსამან, და ჴგო-
 ნებს, თუ ამით იქებოდეს ქრისტეანეთაგან და გან-ცა-ერეს იგი სატანჯველთა
 ამთგან, განმზადებულთა მისთჳს, და არღარა შეეძინოს მას გუემად. აჴ უკუე
 30 რად ჴერ არს ამისა ყოფამ, რასა იტყუ?» ჴრქუა თანამზრახელმან მისმან ვალე-
 რიანოს: «არარად სხუამ ეგების ამისა ყოფად, რამეთუ ესე, ვითარცა სხსა |
 30 გორცითა მოითუალავს მოწვეწულთა ამით სატანჯველთა მას ზედა». მაშინ ბრძა-
 ნა მსაჯულმან, რათათა შეიყვანონ წმიდად იგი საპურობილესა. ხოლო მტარვალ-
 თათ მათ წარიყვანეს წმიდად ელიანოს და შუაყენეს საპურობილესა. ხოლო იგი
 ილოცვიდა და მძაღლობდა ღმერთსა გულთა ლმოზიერათა და სულათა მო-
 სწრაფითა აღიდებდა ქრისტესსა, რომელი მკვდრ იყო მის თანა.

1030

VIII. და ვითარცა იყო ხელისა დღჳ, კუალად დაჯდა საყდართათ თჳსთა
 მაქსიმოს შორის ქალაქსა; და იყო იგი განცკბრებულ წმიდისა ელიანოსისთჳს
 და იკითხა მისთჳს თუ ცოცხალა არს აქამომდე? და აუწყეს მას მტარვალთა
 მათ, მცველთა საპურობილისათა, ვითარჴედ ცოცხალ არს. მაშინ უბრძანა მო-
 ყვანებამ მისი, და ვითარცა მოიყვანეს, ჴრქუა მას: «გონიერ იქმენა, ჴ ელი-

2 მდებარეთამ.—3 კვლად.—6 მოსწუნენ.—7 ქუეშე.—8 ქრისტესა.—12 აქეს.—18 მკ-
 ვდარნი.—19 დაწუნეს.—29 სხუამ.—35 კვლად.

ნოს, ანუ მასვე ურჩებასა ზედა მდგომარე ხარ ვიდრე აქამომდე და სიცოცხესა-
ვე შენსა ზედა დამტკიცებულ ხარ?» მიუგო წმიდამან ელიანოს და ჰრქუა: «აწ
უფროას პირველისა შეურაცხვეყოფ ღმერთთა შენთა, რომელ არიან მიწანი და
ნაცარნი ბილწნი და შეგინებულნი». მაშინ, ვითარცა იხილა მსაჯულმან მან ვი-
თარმედ არააჲდ სარგებელ ეყოფის, არამედ უფროასლა დაამტკიცებს სარწმუ-
ნოებასა, განაჩინა მის ზედა განბჭობაჲ ესე და თქუა ესრეთ: «ელიანოს კად-
ნიერი, რომელი დაემტკიცა განზრახვასა თვისსა ზედა ბოროტსა და ისწრაფა
შეურაცხყოფაჲ ღმერთთა უკუდავთაჲ და ბრძანებასა მეფისასა არა დაემორჩი-
ლა და მჩრობლ განაძუნა გულისწყრომაჲ ჩუენი, ამისთჳ ვბრძანეთ მისი ცეცხლ-
სა მიცემაჲ». და დაწერა ესე განბჭობაჲ და შემუსრა კალამი იგი საწამებელად.

1031 IX. მაშინ შეიპყრეს მტარვალთა წმიდაჲ იგი მოწამს ქრისტესი ელიანოს
ადგილისა მისგან სამშჯავრომასა უშჯულოთაჲსა და მოიყვანეს იგი კარსა თა-
ნა, რომელსა ეწოდების კარი მადაბისაჲ. და ვითარცა განიყვანეს მიერ, შეემ-
თხვა მათ დედაკაცს ვინმე ბერი, რომელსა ზეეკიდა კონაჲ ერთი ნახსლვევი ვე-
ნაქისაჲ, რაჲთა განყილოს იგი შეშად. და ვითარცა იხილეს იგი მტარვალთა
15 მათ, აიძულეს მათ იძულებით, რაჲთა წარიყვანონ იგი მათ თანა შემითურთ
ადგილსა, რომელსა აღესრულებოდა წამებაჲ წმიდისა მოწამისა ელიანოსისი, ხო-
ლო ვითარცა იხილა დედაკაცმან მან, რამეთუ წარუღებენ შეშასა მას, ტირო-
და იგი მწარედ, ღალატებდა და იტყუა: «უკუეთუ წარძიკუეთიეს სასოებაჲ ჩე-
მი შეშისა ამის ჩემისაგან და მისისა სარგებლისაგან, რაჲთამცა შევითა ჩემთა
20 საზრდელი მდღეერი მოურერიწუ, რასა უკუე შრომასა შემამთხუვეთ მე? მიიღეთ
და ვილოდეთ!» მაშინ წმიდამან ელიანოს, ახოვანმან მოლუაწმან, დამტკიცე-
ბულმან სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, რომელმან ყოველივე თავსიღვა კე-
თილითა სასოებითა და მღუძარედ მოსწრაფებითა ევედრა მტარვალთა მათ და
ჰრქუა: «ნუ შრომასა შეამთხუვეთ დედაკაცსა ამას გლახაკსა». მაშინ გამოიღო
25 ვეცხლი თვისი, რომელი იყო ენქერსა მისსა, რომელიცა აქუნდა სამსახურებელად
საქმარისათჳს, და მისცა იგი დედაკაცსა მას და ჰრქუა: «წარუდ, ჰ დედაკაცო,
უზრუნველად და ამით მოიყიდე შევითა შენთათჳს საწმარი; აჰა ესერა მიგი-
ღებდეს შენ ფასი შეშისა შენისაჲ და საქმს კეთილი მომაგე მე!». და აღილო
წმიდამან ტურთი იგი შეშისაჲ და აღიღვა იგი მკართა თჳსთა ზედა; და მიემ-
30 სგავსა იგი ქრისტესა, უფალსა თჳსსა, და ნაყოფიერ ყო სულღი თჳსი საღმრ-
თოჲთა ნაყოფიოთა.

1032 X. და ვითარცა განვიდეს იგინი კარსა ქალაქისასა და მიიწინეს იგინი
ბოსტანსა მას მცირესა, რომელი იყო მტილსა მას შინა, რომელსა ეწოდა ტა-
ლანა, რამეთუ იყო იგი მახლობელად ზღუდესა ქალაქისასა და ეზოსა | პალა-
35 ტისასა, მაშინ დადვა წმიდამან ელიანოს შეშაჲ იგი და ცეცხლი და ევედრა
მტარვალთა მათ, რაჲთა მცირედ დააცადონ მას და ილოცოს ღმრთისა მიმართ;
ხოლო მათ დააცადეს და ილოცა. მაშინ დაიბეჭდა ჯუარაი ქრისტესი და აღი-
პყრა გელნი თჳსნი ზეცად და თქუა: «ჲ მეუფეო საუკუნეო, გელთა შენთა შეე-

3 ვედრებ სულსა და ვოროცთა ჩემთა! და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ ესე, და-
 იწერა ჯუარი და კანდიერად შევიდა იგი ცეცხლსა მას და შეჰვედრა სული
 თვისი გელთა დამბადებელისა თვისისათა. ხოლო გუამი მისი პატიოსანი არა და-
 იწუა, არცა დაივსნა სიტყუსა მისეზრ მსაჯულისა, არამედ გამოიჭურვა და უფ-
 5 როდს ჭოქროდსა განწმინდა და გამოგზინდა ჩუენ, ყოველთა მონათა ქრისტეს-
 თა, რომელნი შეუდევით მას ჟამსა. და ვითარცა მწუხრი იყო, მოვედით იღუ-
 მალ და წარვიღეთ და შთავდევეთ იგი ზეწარსა წმიდასა. და ვითარცა წარვი-
 ლეთ ზეწარსა წმიდასა წარგრაგნილი მთასა მას, რომელი იყო მახლობელიად,
 რომელ არს აღმოსავალით ქალაქსა, და მოვთხარეთ შიგნის-შიგანსა ქუაბსა, რა-
 10 მეთუ იყო გარეშე მისა ქუაბსა ორი სხუად შესავალი, და მუნ დავდევეთ გუამი
 იგი პატიოსანი წმიდისა მოწამისა ელიანოსისი ძლევაშემოსილისაჲ. და მივა-
 გორეთ ლოდი დიდი კარსა მას ქუაბისა შესავალსა, რადთა გუეჰმენეს ჩუენ მე-
 ოხ წინაშე ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, მონათა მისთა, რამეთუ წინაშე ღმრთისა
 აქუს მას კანდიერებაჲ და მეოხ არს მარადის სულთა ჩუენთათჳს აწ და უკუ-
 15 ნისადმდე.

XI. აღესრულა წმიდაჲ მოწამე ელიანოს კეთილითა აღსარებითა და სრუ-
 ლითა სარწმუნოებითა მივიდა წინაშე ქრისტესა თთუესა ნოენბერსა ოცდარვა-
 სა. და ოდეს აღუშწნეს მას ტაძარი სალოცველი და მას შინა დაჰკრძალნეს გუა-
 მი მისი, განეწესა | საჯსენებელი დღესასწაულისა მისისაჲ თთუესა ავსტოსსა
 20 ათსა სადიდებელად ღმრთისა სამგუამოგნისა, მამისა და ძისა და წმიდისა სუ-
 ლისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისადმდე. ამჲნ.

1033

მარტვილოზა ზოასი

1. მასალები ზოას აგიოგრაფიისათვის. ასეთი სახელის მატარებელი წმიდანი აგიოლოგიაში არ გვხვდება; სახელი მეტად თავისებური და საყურადღებოა. მისი ეტიმოლოგიის გარკვევის მიზნით, ყურადღება უნდა მივაქციოთ თხზულების შემდეგს ადგილებს. დასაწყისი ფორმა სახელისა არის ზოაჲ, ნათესაობითი ბრუნვა—ზოაჲსი, მიცემითი—ზოას. „მშობელთაგან ზოა წოდებულ არს ჩემდა“, ეუბნება ის მსაჯულს დაკითხვისას. მსაჯული ეკითხება: „შენ ბუნებით კაცი ხარ, ვითარ პირუტყუსა საცხოვარისა სახელი გრქვან?“ მერე—„სამართლად გეწოდა შენ სახელი ზოა; ვითარ ვხედავ, გონებად ურჩისა პირუტყუსად გაქუს და უჯერებლობაჲ“. ზოამ მიუგო: „მე დაღაცათუ პირუტყუსა სახელი მრქვან, არა პირუტყუ ვარ“. უფალო“, ლოცულობს ის, „მოეც თხოვად ესე სახელსა ამას პირუტყუსა ცხოველისასა“. როგორც ვხედავთ, სახელი ზოა ყოფილა პირუტყვის აღმნიშვნელი, მაშასადამე, აქ ჩვენ გვაქვს ბერძნული *ζῷον*—*ζῷον*, რაც ხარს ნიშნავს. საფიქრებელია, ეს „წმიდანი“ ქრისტიანთა შორის მიჩნეული ყოფილა ოდესღაც მფარველად არა მარტო ადამიანთა, არამედ პირუტყვებისაც, ამის გამოძახილი ისმის იმ ლოცვაში, რომელსაც ზოა წარმოთქვამს წამების წინ: „ყოველმან, რომელმან მოივსენოს სახელი ჩემი გლახაკისა ზოაჲსი, მოეც მათ... ნაყოფიერაბაჲ ქუეყანისაჲ და სიმრთელჲ და შეუება პირუტყუთა მათ... რამეთუ კაცსა და საცხოვარს აცხოვნებ შენ, უფალო... ნუ შეეხებინ ნაწილსა ძუალთა ჩემთასა სული ბოროტი, მავნებელი კაცთაჲ და პირუტყუთაჲ“. ამის საპასუხოდ ღმერთი ეუბნება მას: „სადაცა ითქუმოდის სახელი შენი და იყოს ნაწილი ძუალთა შენთაჲ, ივლტოდეს შენი თ ყოველი ყნებაჲ კაცთაჲ და პირუტყუთაჲ“. საბერძნეთსა და საქართველოში მიღებული ყოფილა სხვადასხვა ლოცვა პირუტყვთა შენახვისა და დაცვისათვის, მაგალითად: *Εὐχὴ ἐπὶ μὴναι ζῳων*¹, ლოცვაჲ სამწყსოსა ზედა². საკვირველი არც ის უნდა იყოს, რომ ყოფილა მათი მფარველი „წმიდანიც“. ისე, როგორც იყო სოფლის მეურნეობის (ყანის, ვენახის, ბოსტნის) მფარველი წმიდანი ტრიფონი [Τριψωνος—ტკრიფონი], რომელიც ბერძნული ლიტურგიკული ძეგლებით ლოკალიზებულია *ἐν ἁσμῶν τῶν λαμψάκων*, *ἐν τῇ ἐπαρχίᾳ τῆς Φρυγίας*³, ხოლო ქართულით „კამფსად“-ში⁴, რაც

¹ Проф. А. Дмитриевский, Описание литургических рукописей, т. II, стр. 113.

² К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 142.

³ А. Дмитриевский, Ibid., стр. 964.

⁴ К. Кекелидзе, Ibid., стр. 120.

იგივე ლამაზად უნდა იყოს, მხოლოდ დამახინჯებული ფორმით („ლამფსაკის“ მაგიერ „კამფსადს“ კითხულობს სლავური „პროლოგი“ და ნიკოდიმე). ბოას საკითხთან დაკავშირებით უმინშენელო არ უნდა იყოს, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, ის გარემოება, რომ ტრიფონიც ლოკალიზებულია ფრიგიაში.

ბოა მარტილის სახელი ქართულ მწერლობას, და მხოლოდ მას, დაუცავს; პირველყოფილისა, იოანე-ზოსიმეს 956 წლის სენიაქსარს, სადაც 31 დეკემბერს დადებულია „საქსენებელი წმიდისა ბოჰაჰისა“. მაგრამ ქართულ მწერლობაში შენახულია არა მარტო სახელი ბოასი, არამედ მთელი, საკმაოდ ვრცელი, მარტილობა მისი, კიმიენის რედაქციისა, რომელიც დღესდღეობით ცნობილია ერთადერთი ათონური ნუსხით № 57 (ხელთა გვაქვს როტოგრაფიული პირი მისი, რომელიც დაამზადებინა ჩვენთვის 1914 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ).

2. მოკლე შინაარსი თხზულებისა. შინაარსი თხზულებისა მარტივია. ბოა იყო „შვილი აზნაურთა და ესხნეს მას მამა-დედანი წარჩინებულნი ქალაქისანი, ფრიად მდიდარნი კაცნი, მორწმუნენი ქრისტიანენი“, რომელთაც თავიანთ შვილს შესაფერისი აღზრდა მისცეს და ღვთისნიერობა ჩაუნერგეს გულში. შობლების გარდაცვალების შემდეგ ბოას დარჩა, მემკვიდრეობით, მთელი მათი სიმდიდრე, რომელიც მან „განუყო ობოლთა და მშვიერთა და უღონოთა“, თვითონ კი ლოცვა-ვერდებში ატარებდა ღმრის. მას დაეებდა საუკონი მიბაძოს ქრისტეს მოწამეებს და მათ მსგავსად, დაითმინოს სიკვდილი. ან ღმრის გამოვიდა ბრძანება რომის იმპერატორის ავრელიანოზისა: ის ქრისტიანები, რომელნიც ხელს არ აიღებენ თავის რჯულზე და კერპებს მსხვერპლს არ შესწირავენ, უნდა გაწყვეტილ იქნენ. ეს ბრძანება მივიდა იმ ქალაქშიც, სადაც ბოა ცხოვრობდა. იქაურმა „მთავარმა“, რომელსაც საკუნდოტ ერქვა, ის დაიბარა და გამოკითხა ვინაობა, თან წინადადება მისცა ქრისტიანობას გადადგომოდა და კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირა. ბოა სასტიკ უარზეა. მთავარი მას ეუბნება, რომ ის ეურჩება „თვთმპყრობელის“ ბრძანებას; ბოა უპასუხებს: „თვთმპყრობეთი იგი კაცივე არს მოკუდავი და მცირედთა ჯამთა აქუს ღიდებდა ქუეყანასა ზედა“. იგი უმტიკეებს მთავარს ქრისტიანობის ქეშმარიტებას და კერპების არარაობას. თუ შენ გინდა იცოდე, ვინ არიან ქეშმარიტების მიმდევარნი და ვინ შემცთარნი, ეუბნება ის მთავარს, შენ თვითონ მოიქეც და სცნობ ამასო. რადგანაც მთავარი ვერას გახდა, მან ბრძანა ჩისი ცეცხლში დაწვა. ჯარისკაცებმა ის გაიყვანეს ქალაქს გარეთ, სადაც დააყენეს ფეხზე, გარშემო შემოაწყვეს შეშა და გააჩაღეს ცეცხლი, რომელმაც შთანთქა ბოა.

3. ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა თხზულებისა. როდის ეწამა ბოა? ამაზე თვით თხზულებაში ვაპოულობთ გარკვეულ პასუხს; აქ ნათქვამია, რომ ის ეწამა მაშინ, როდესაც „უშჯულომან ავრელიანოზ დაიპყრა მთავრობაჲ პრომთა მეფობისაჲ“, ესე იგი, 270—275 წლებში. თხზულებაში უფრო ზედმიწევნითი თარიღიცაა მოცემული: ბოას განცხადებაზე, რომ ეს ქვეყანა ქრისტემ შექმნაო, მთავარი საკუნდოტი ეკითხება მას: „ჩემდა სმენილ არს ვითარმედ ქრისტე ორას ორმოცისა წლისა წინა გამოეცხადა სოფელსა, და შენ ვითარ დაამტიკეც ამას, თუ ყოველივე ზეცისა და ქუეყანისაჲ ქრისტემან შექმნაო?“

ბოა უბასუხებს: „ეგრძე არს, ვითარცა სიქუ: პირველ წინა ორას ორმოცისა წლისა გამოცხადა კაცთა და იქცეოდა მათ შორის, არა არს ტყუვილ, არამედ ჭეშმარიტ შენიერი ეგე თქუმილი“. თუ ამ სიტყვებს ზუსტად გავიგებთ, ბოას წამებას ადგილი ჰქონია 240 და არა 270—275 წლებში. მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს ან ავტორის უნებლიეთი lapsus-ი, ანდა, უფრო სწორად, ისეთი ქრონოლოგიური სისტემა, რომელიც ქრისტიანული ერას annus nullus-ად იღებდა არა ქრისტეს შობას, არამედ მის ჯვარცმა-აღდგომა-მალღებას; ამ ანგარიშით კი ჩვენ მივიღებთ 271—4 წელს, ავრელიანოზის მეფობას. დომიცი ავრელიანე მეტად მამაცი და ზომიერი ცხოვრების იმპერატორი, თავდაპირველად სამართლიანად რომ იბეჭეტოდა ექცეოდა ჭრისტიანებს, მაგრამ თავისი მეფობის მიწურულში შეიცვალა პოლიტიკა. ეგებში კესარიელი თავის „საეკლესიო ისტორიაში“ (Migne, PG. XX, col. 720 B) არბილებს ამ ფაქტს, როდესაც ამბობს, რომ ის აპირებდა ქრისტიანების წინააღმდეგ რესკრიპტის გამოცემას, მაგრამ მოკლულ იქნა საკუთარი მწიგნობრის მიერ და ვერ მოასწრო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა. უფრო მართალი უნდა იყოს ლ ა კ ტ ა ნ ც ი ს, ცნობა, რომ ავრელიანემ გამოსცა cruenta edicta (სისხლიანი ედიქტი), რომლის საფუძველზე ყველა ქრისტიანს უნდა ეთქვა უარი თავის რჯულზე და შეეწირა მსხვერპლი კერპებისათვის. ამ ცნობას მხარს უჭერს როგორც ჩვენი ძეგლი, ისე ის ფაქტიც, რომ მის მეფობაში ცნობილი არიან მოწამენი გალლიასა და რომში (წმ. საბა).

სა დ ე ვ ა მ ა ბოა? ბოა ცხოვრობდა და ეწამა „ქუეყანასა ბორგილთასა, ქალაქსა იარაპოლისასა“. ისტორიაში მხოლოდ ორი ქალაქია იარაპოლის სახელით ცნობილი. ერთი ფრიგიაში, განთქმული თუვისი ცხელი წყაროებითა და ღმერთ-ქალის კბელას, resp. რეის კულტით; ქრისტიანობა აქ უქადაგნიათ ჯერ კიდევ მოციქულებს (კოლს. II, 8—8, IV, 12—12). ეგებში კესარიელის ცნობით (Hist. eccles. III, 31), აქ აღესრულა ნოციქული ფილიპე; აქაურ ეპისკოპოსთაგან ცნობილი არიან პაპი (I ს.), ამბერკი (II ს.), აპოლინარი (II ს.), ფლავი (IV ს.) და ამბერკი (V-ს.). მეორე იარაპოლი ცნობილია სირიაში (მაბოგ სირიულად); ის იყო რეზიდენცია მართლმადიდებელი მიტროპოლიტებისა და სამოღვაწეო არენა. მონოფიზიტთა ეპისკოპოზის ფილოქსენისა. მეექვსე საუკუნეში, იმპერატორი იუსტინიანე დიდის დროისათვის, იმას მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა. რომელი იერაპოლი იგულისხმება ამ შემთხვევაში? ეს იერაპოლი ყოფილა „ქუეყანასა ბორგილთასა“, მაგრამ რა ქვეყანაა ეს „ბორგილთა ქუეყანა?“ ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს იმ ქვეყანასთან, სადაც, გიორგი ათონელის ცხოვრებით, „მკვდრ არიან ბორღალნი, რომელოა სკლავ ეწოდების“¹, ესე იგი—ბოღგარეთი. მაგრამ ისტორიული ბოღგარეთის ტერიტორიაზე ქალაქი იერაპოლი არ ყოფილა, თან შესაძლო საუკუნეში ბოღგარეთი, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არსებობდა. ჩვენ გვგონია, რომ „ბორგილი“ არის არა ეთნიკური სახელწოდება, არამედ რაღაც თვისების აღმნიშვნელი, მიმღებობის ფორმა ნასახელარი ზმნის ბორგა-ბორგვა. ამით აიხსნება,

¹ ათონის კრებულები, გვ. 305; ეკვთიმე ათონელის ცხოვრებით—ბურღალნი (იქვე, გვ. 47)

რომ ნ. მარმა, რომელმაც აღნიშნა ამ თხზულების არსებობა ათონის ხელნაწერში № 57, ეს სიტყვა დაუკავშირა ალბათ, „ბრგუ—ბრკუ“-ს და „ქუეყანასა ბორგილთასა“ ვადათარგმნა როგორც „в стране кочоязычных“¹. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩვენ „кочоязычный“-სთან საქმე არ გვაქვს. „ბორგვა-ბორგა“ ნიშნავს უარესად აღზნებულ, ეგზალტირებულ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი ერთ ადგილზე ვერ ჩერდება და „ტოკავს“, ხან აქეთ ეცემა, ხან იქით, ისეთს მდგომარეობას, როდესაც ის თითქოს შემცდარია ჭკუაზე, თავის გონებით კი არ მოქმედობს, არამედ შეპყრობილია (აქედან ქართული ბორკილი, დაბორკილი) რაღაც გარეშე, დემონიური ძალით. აი შემთხვევები ამ სიტყვის ხმარებისა, რომელიც ჩვენ უძველეს ძეგლებში ვიცით: „ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჰბორგუ“ (საქ. მოც. XII, 15), რაც ნიშნავს: *მაჲ აჲ, с ума сошел?* „ჰბორგო“ (I კორ. XIV, 23)—*მაჲ ვესჲ, беснуется.* „ბორგა სახლსა შინა ღმრთისასა დაამტკიცეს“ (ოსე IX, 8)—*მაჲსჲ, ცხლჲჲპ.* „და ცნა, რამეთუ მარონიტელთა წვალებითა ბორგდეს“². ქრისტიანები ასეთს მდგომარეობაში მყოფად სთვლიდნენ ე.წ. „ეშმაკულებს“ და მცდარი მოძღვრების, —წარმართობისა და მწვალებლობის, —მიმდევართ. თუ ყველაფერი ეს გვექნება მხედველობაში, „ბორკილთა ქუეყანად“ უნდა მივიჩნიოთ აკვანი წარმართთა და მწვალებელთა ბორგვისა ფაიგია. ეს ქვეყანა იყო აკვანი ქალ-ღმერთის კიბელას ორგანისტული კულტისა მისი ეგზალტირებული, თითქოს ცოფორიული სამღვდელოებით და ადექტებით, რომელნიც უმაღლესი ეგზალტაციის მდგომარეობაში თავს ისახინებდნენ კრილობათა მიყენებით, როგორც ჭკუაზე შემოილინი³. შეიძლება მთავრის სიტყვები ბოასადმი: „პლოტონოზს საზღვარნი ქუესქნელისანი უპკრიან“. ნაკარნახევი იყოს იერაპოლის მახლობლად ცნობილი „პლოტონიონ“ გამოქვაბულით, რომლიდანაც ისეთი სულისშემხუთველი ორთქლი ამოდიოდა, რომ.) გარდა ქალღმერთის ქურუმებისა, იმას სხვა ვერაინ იტანდა. ნონეს (VI ს. კომენტარიებში, რომელიც მან გრიგოლ ნაზიანზელის (330—390) თხზულებებს გაუყვია, ქალღმერთის რეის კულტს ძართლაც „სინოროგილ“ ეწოდება. აი შესაფერისი ადგილი ეფრემ მცირის თარგმანით: „ფრუკ[ქ]ელნი ჰმსახურებდეს რეის, კრონოასსა უუერ ცოლსა, ხოლო სხუათა ღმერთთა დედასა... რომელსა, რაჟამს უბორვიდენ ფრუკველნი, მვართა და წელთა თჳსთა მახლლითა იკრიან, ხოლო სხუანი იმღერიან და განსცხრებიან ნესტუებითა და ქნარებითა, რადთა ვმათა მათთა გემოვნად და უტკივარად თავს ისხნენ წყლულებანი და უფროსად განმწნობილ იქმნენ. და დაჭრათა მიმართ ამას ნესტუებითა პატის სცემენ ტრფიალსა მისსა ატისს. და შემდგომად წყლულებათა მათ არაწმიდებით გელჳყოფენ აღრვეად დედათა. ხოლო წარმართთაგანნი ვინმე უგუნურნი ძუელსა მას ჩუეულებასა აწცა იპყრობენ ადგილთა შინა მთისა კარიკასათა და ასოთა თჳსთა მახლლითა დაიპყრიან. ესრეთ სი ბ ო რ გ ი ლ ე დ უწოდს მოღლუარი რეაგასთჳს მა-

¹ Агиографические материалы по грузинским рукописям Извѣра I, 160.

² ქ. კველიძე, ცხოვრება ტიმთე ანტიოქელისა, გვ. 59, 17—18.

³ Предшественники христианства (Восточные культы в римской империи), стр. 47

ხვლითა დიქრასა და სიბორგილესა მას ზორვათა შინა მისთა აღრევითა დელათათაჲ¹.

მეორე მხრით, ფრიგია ცნობილია როგორც ცენტრი ქრისტიანული სექტის მონტანიზმისა. ამ სექტის შემქმნელი იყო ვინმე მონტანი, თავდაპირველად საკურისი და ქურუმი კიბელა—რეასი. გაქრისტიანების შემდეგ მან მიიქცია ყურადღება ექსტაზით, ცოფმორეულობით და უცნაური სიტყვების წამოთქმით. მონტანს შეუერთდა ჯერ ორი „წინასწარმეტყველი“ ქალი (პრისკილა და მაქსიმილა), მერე წრე მისი მიმდევრებისა თანდათან ფართოვდება და მოძრაობა მალე მთელ ფრიგიას მოედება, რამდენიმე ხნის შემდეგ ის ფრიგიის საზღვრებსაც გასცილდება². ექზალტირებული ქალები და კაცები, დიდები და პატარები, მეორედმოხსელის მოლოდინსა და „ახალი იერუსალიმის“ ძიებაში, ერთი აღვილიდან მეორეზე ვადადიოდნენ, „წინასწარმეტყველებდნენ“ და უაღრესად რიგორიულ-ასკეტიკურ ცხოვრებას ქადაგებდნენ. მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს მოძრაობა მერვე საუკუნემდე არ შეწყვეტილა, 724 წელს ლეონ ისაერიელმა გამოცა მის წინააღმდეგ უკანასკნელი დეკრეტი³.

თუ ყველაფერი ეს იქნება გათვალისწინებული, ფრიგია, როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული მხრით, მართლაც რომ „ბორგილთა“ ქვეყანად შეიძლება აღიარებულ იქნეს. მონტანიზმის მიმდევართ, მართლმადიდებელთაგან განსხვავებით, ახასიათებდა უაღრესი, რიგორიზმი და ასკეტიზმი: ქონებაზე ხელის აღება, მოწამებრივი სიკვდილის შეგნებული ძიება, ქორწინების უარყოფა. ეს მოტივები საკმაო სიმძაფრითაა ხაზგასმული ბოას „მარტვილობაშიც“, ამიტომ შეიძლება დაისვას საკითხი: ხომ არ იყო ბოა მონტანისტთა ერთ-ერთი მოწამე და აქედან ამ „მარტვილობაში“ ხომ არ გვაქვს მონტანისტური ლიტურაატურის ერთ-ერთი ნაშთი, რომელიც ქართულ თარგმანში გადარჩენილა მხოლოდ?

როდის უნდა იყოს დაწერილი თხზულება? ის გარემოება, რომ ფაქტიური მასალით თხზულება საკმაოდ ერთფეროვანი და ღარიბია, მაჩვენებელია იმის, რომ ის დაწერილია მასში აღწერილი ამბების შემდეგ, საგრძნობლად დაშორებით მათგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხზულებაში ქრონოლოგიური გამოანგარიშებისას გამოყენებულია ისეთი სისტემა, რომელიც გამოსავალ წერტილად იღებდა არა ქრისტეს შობას, არამედ მის ვნებას, ესე იგი Chronicon Paschale-დან მომდინარე ერა, Chronicon Paschale კი შედგენილია 630—640 წლებში⁴. მაშასადამე, მეშვლდე საუკუნეზე ადრე თხზულება ვერავი-

¹ გამოცემა ილ. აბულაძისა, ენიმკის მოამბე, X, 13—14.

² ინგლისელი მეცნიერი Conybeare ფიქრობდა, რომ ნინომ ქართლში იქადაგა მონტანისტური ფრაქციის ქრისტიანობა; ამის სასარგებლოდ ის რამდენიმე ადგილს უჩვენებს ნინოს შატბერდულ „ცხოვრებაში“, თუმცა იმ ადგილებში არაფერი სპეციფიკური მონტანისტურია არაა (Life of St. Nino, Oxford, 1900).

³ Проф. В. Болотов, Лекция по истории древней церкви, II, 348—467. Л. Дюшан, История древней церкви, т. I, стр. 180—190, перевод с французского проф. И. Попова и А. Орлова.

⁴ F. Ginzell, Handbuch der mathematischen und technischen Chronologie, III, 291.

თარ შემთხვევაში ვერ დაიწერებოდა. მეორე მხრით ყურადღება უნდა მიექცეოთ შემდეგს გარემოებას. სიკვილის წინ ბოა ლოცულობს: „სადა იპოოს ნაწილი ძულთა ჩემთაჲ, ნუ შეგებინ მათ სული ბოროტი“. პასუხად მას ზეცით მოესმა ხმა: „სადაცა ითქუმოდის სახელი შენი და იყოს ნაწილი ძულთა შენთაჲ, ივლტოდეს მუნით ყოველი ვნებაჲ კაცთაჲ და პირუტყუთაჲ“. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია გარკვეული ტენდენცია ავტორისა, მიმართული წმიდანების, მათი სახელისა და ნაწილების თაყვანისცემისა და განდიდებისაკენ. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით აქტუალური უნდა ყოფილიყო გარკვეული დროიდან, სხვათა შორის, ფრიგიაშიც, ვინაიდან ფრიგიის ეპისკოპოსი კონსტანტინე ხატების თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო, რისთვისაც 754 წელს იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმმა ის კონსტანტინოპოლის პატრიარქადც კი დააყენა. ეს გარემოება გვიჩვენებს საბოლოო განმარტების ადგილს—დამტკიცების ეპოქასთან კავშირს, ესე იგი მეშვიდე მსოფლიო კრების (787 წ.) და მისი მომდევნო წლების უშუალო გამოძახილს; ასე რომ თხზულება დაწერილი უნდა იყოს მერვე საუკუნის გასულს თუ მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში.

ქართული თარგმანი თხზულებისა. ეს თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ბერძნული ტექსტიდან; ამას ადასტურებს ბერძნული ფორმა სახელებისა: იარაპოლის, ავრელიანოზ, საკუნდოტ, პორდონოზ (პოსეიდონოს), პლოტონოზ (პლოტონ), აგრეთვე ზოგიერთი ლექსიკური მოვლენა, მაგალითად, „სტრატიონა“. ნუსხა № 57 გადმოწერილია სხვა ნუსხიდან. ეს ჩანს იმ შეცდომებიდან, რომელიც გადაწერის პროცესშია შესაძლებელი (რომელსა—რა, ყოვლადვე—ყისდევ, კულად—კლა). იცნობდა ბოას მარტილობას ალბათ იოანე-ზოსიმეც, როდესაც ის 956 წელს (ამ წელს № 57 ათონისა ჯერ არ იყო) თავის სენაქსარს სწერდა. ასე რომ თხზულება შეიძლება ნათარგმნი იყოს მეცხრე საუკუნის გასულს თუ მეათის დამდეგს. ასეთს დათარიღებას არ ეწინააღმდეგება არც სტილი და ლექსიკა მისი.

4. ტექსტის ანალიზი. ფონეტიკის მხრით ყურადღებას იპყრობს:

მ—ნ: ცხომდებოდა, ცხომდებოდის, ცხომდების და სხვ. სისტემატურად.

რ—ლ: მარტური, მარტურთა, სამარტურს და სხვ. სისტემატურად.

ვ-ს ჩამატება სისტემატურად სიტყვაში: თავყუანის სცა, თავყუანის ცემა და სხვ.

ს-ს დაკარგვა სიტყვაში „წრაფვა“, „იწრაფდა“ (არის ორი მხოლოდ შემთხვევა მისი შენარჩუნებისა).

ც-ს ხმარება სიტყვებში: ქრისტსანე, სოდომსლთა.

3 ზოგჯერ უადგილო ადგილას გვხვდება: დაჰშჯად, დაჰშჯაჲ.

მორფოლოგია-სინტაქსის მხრით ტექსტს ახასიათებს: ა) ორმაგი პრეფიქსის ხმარება სუბიექტ-ობიექტის მაჩვენებლის ბოლოში: ჰსძლო, ჰსცენ, ჰსდვა. მიჰსდევენ. ბ) თავისებური შეთანხმება განმსაზღვრელისა და განსაზღვრულისა, როდესაც ერთი მათგანი მრავლობითშია, მეორე მხოლოდობითში: „წინაშე თუალთჳ კაცთასა“, „სიტყუათა მოციქულთასა“.

შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი ლექსიკური ფაქტიც:
 გარეწარგუქდა—გვერდი აგვიარა, აგვე- ვიეთინი—რომელნიც.
 ცილდა. ზორება—მსხვერპლის შეწირვა.
 გებად—მსხვერპლის შეწირვა. მეღვრობა—მზაკრობა, ძვირისმგონე-
 ეციცხვედა—დასცინოცა. ბლობა.
 ვიეთ—ვინც, რომელთაც. პასუხება—პასუხის მიცემა.
 ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ წარმოვადგენთ თვით ტექსტს თხზულები-
 სას.

თუქსა ღეკენბერსა ლ

წამებაა წმიდისა მოწაჲისა ბოაჲნი ჟუჲჲანსა ბოკმილთასა,
ქალაქსა იარაკოლისასა

139b

I. იყო წმიდაჲ ესე ნეტარი ბოა კაცე მართალი, ღმრთის-მსახური და ღმრთის-მოშიში, და ცხომდებოდა იგი სიწმიდითა. იყო იგი მშუდ და მყუდრო 5 და იქცეოდა იგი სიმდაბლით და შემკულ იყო იგი ყოვლითა საქმითა კეთილითა და საესე იყო მადლითა სულისა წმიდისაჲთა, იმარბენ ყოველთა დღეთა და ილოკავენ დაუცადებულად. და იქცეოდა უბიწოდ სიქრმიოთგან ვიდრე მოწვე- 10 ნადმდე ჰასაკსა მამაკაცებისასა. და იყო იგი შვილი აზნაურთაჲ, და ესხნეს მას მამა-ღედანი წარჩინებულნი ქალაქისანი, ფრიად მდიდარნი კაცნი, მორწმუნენი 10 ქრისტიანენი, მოიწინი ღმრთისანი, როველთაგან იშვა ნეტარი ესე. და უწოდეს მას სახელი ბოა. აღზარდეს იგი მშობელთა მისთა მრავლითა ფუფუნებითა და ასწავეს მას ღმრთის მეციერიებაჲ წიგნთაგან საღმრთოთა. და იყო საქმე მისი მარადის მისლვაჲ ეკლესიად, და ისჰენ სიტყუათა სახარებისათა და მო- 15 ციქულთასა.

II. და შემდგომად არამრავალთა ჟამთა შეისვენეს მშობელთა მისთა და დაუტევეს ნეტარსა ბოას მონაგები მათი, სიმდიდრე ფრიადი. დღესა ერთსა მისრულ იყო იგი ეკლესიად და ესმა მას სიტყუაჲ სახარებისაჲ, რომელსა იტყუეს: «რომელმან არა იჯჲმან ყოველთაგან მონაგებთა ამის სოფლისათა და არა- 20 ალილოს ჯუარი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირსა». მაშინ განუყო 20 ყოველი იგი, სიმდიდრე გლახაკთა, რომელი დაუტევეს მშობელთა მისთა. ჰგონებდეს მშობელნი მისნი, ვითარმედ სხუათა კაცთაგებრ ცხომდებოდის იგი [და] 25 ღუწიდეს ქუეყანისა საქმეთაჲს, ესე ვერ ცნეს, რომელსა საზომსა მიწევნულ იყო. ხოლო ჟამნი რაჲ გარდაცდეს, ჰასაკსა მამაკაცობისასა მიიწია [და] სისრულესა სიბრძნისასა და უჩინოჲსა მისგან საჩინოდ გამოჩნდა, რამეთუ არა ბუნე- 25 ბითა და წესითა კაცთაჲთა ცხომდებოდა იგი, არამედ კეთილად სლვითა მისითა განცხადებულად ყუნა საქმენი მისნი, განგებითა და წარბართებითა სულიერითა, და ემსგავსებოდა იგი ანგელოზთა სრბითა მისითა და კაცობრივსა ბუნებასა

მთ. 10,
38
140a

8 უბიწოდა—23 რომელსა ქა.—24 გარდაცდეს და.—26 იგხ+ამას

სძლო. არა ქუეყანისა სიბრძნისაჲ, არამედ ზეცისაჲ აქუნდა. ცხოვრებაჲ; შეუ-
 რაცხო სოფელი და ყოველი, რაჲ არს მას შინა. ზეცისასა ხოლო სიმდიდრესა
 და საუკუნეთა კეთილთა იწრაფდა დამკვდრებად და მამული იგი მონაგები გა-
 ნუყო ობოლთა და მშვიერთა და უღონოთა და განაზნია რომელი აქუნდა იგი
 5 საფასჲ და დაიშინა მკირედი რაჲმე, რომელი დღითი-დღედ ეყოფოდა საზრ-
 დელად. და უჩნდა იგი მას ბრალად, და თუ რაჲმე ნამეტნავი აქუნდა, იგიცა
 მისცა სხუთთა. და განკეენა იგი ყოველთა საქმეთა ამის სოფლისათა და მარა-
 დის მადლობასა, ვედრებასა და ლოცვასა შესწირავენ ღმერთისა. და აღმატებო-
 და იგი სიბრძნითა და სიკუდილსა მას, უკუდავებისა მომციმელსა, იწრაფდა გა-
 10 მოჩინებად და რაჲ იგი ყოფად იყო მისა ნებითა ღმერთისაჲთა.

III. და კულად მოვიდა იგი ელესიად და ისმინა სიტყუაჲ იგი მოციქუ-
 ლისა პავლსი: «ვინ განმამორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა, კირმან³⁶
 ანუ იწროებაჲმან, დევნაჲმან ანუ მახვლმან?» მიერთვან გულს-იდგინა და სურ-
 ვი[ელ] იყო სიკუდილსა წამებისასა ქრისტესსა სახელისათჳს და მწრაფლ თჳსნი
 15 იგი ჳორცინი მიცემად სატანჯველსა. რამეთუ რასა იგი მოაწევედეს მის ზედა
 უღმრთონი კირსა და იწროებასა, სისარულით დაითმენდა, რაჲთაჲცა ღირს.
 იქმნა იგი წმიდათა თანა მარტურთა გვრგვსა. ეგრეთ განმზადებულად დგა ყოვე-
 ლისა მისი კირისა დაითმენად და მოლუაწებად.

IV. ხოლო მათ ყამთა უშჯულომან აგრელიანოზ დაიპყრა მთავრობაჲ ჰრომი-
 20 თა მეფობისაჲ, რამეთუ აღადგინა იგი საციურმან მედგრობისაჲმან, ეშმაკმან
 მავნებელმან; უბრძანა: ყოველნი, რომელნი იყვნეს სამეფუფოსა მისსა ქუეშე,
 რაოდენნი იპოვნენ ქრისტეანენი, გებად კერპთა მოიყვანენით; უკუეთუ არა
 გერჩიდენ, წარწყმდიდენით იგინი». და მიწერა ყოველთა მიმართ მთავართა და
 გელმწიფეთა: «რაჲთა ყოვლითა კრძალულებითა ძიებაჲ ჰყოთ ქრისტეანეთათჳს და
 25 აიძულებდეთ მათ ჳორკად ღმერთთა». უკუეთუ იყვნენ ვინმე, რომელნი არა
 დაემორჩილნენ ბრძანებასა სიმკნისა ჩემისასა, მათი ვბრძანეთ, რაჲთა მიეცნენ
 სატანჯველთა იგინი, და განწოვრებაჲ მათი ამის ცხოვრებისაგან და ნაყოფისა
 მათისა იავარის-ყოფაჲ».

V. მათ ყამთა იყო მთავარი ქუეყანისა ბორგილთასა, ქალაქსა იარაპოლი-
 30 სასა, რომელსა სახელი ერქუა საკუნდოტ; მოილო ბრძანებაჲ იგი მეფისა მის,
 უღმრთოჲსაჲ, მწრაფლ წარემართა და რომელნი იყვნეს | მის ქუეშე ქალაქნი^{141a}
 და სოფელნი ძიებაჲ ყო ყოვლითა კრძალულებითა ქრისტეანეთა იძულებით გე-
 ბად კერპთა უსულთა. მირაჲვიდა იგი ქალაქსა მას იარაპოლისასა და იკით-
 ხა: «თუ არიან ვინ აქა ქრისტეანენი?» და ესმა მკვდრთაგან ქალაქისათა ვი-
 35 თარმედ მრავალ არიან აქა, რომელნი ვლენან მსახურებასა მას ქრისტეანეთა-
 სა». და ბრძანა განცხადებულად წინადაგებად ბრძანებაჲ იგი მეფისაჲ და წარ-
 წყმედაჲ სიკუდილითა ქრისტეანეთაჲ; უკუეთუ არა ისმინონ ბრძანებაჲ იგი მე-
 ფისაჲ, წარსაწყმედელსა მიეცნენ და მონაგები მათი იავარ იქმნეს. და რომელ-
 თა უარყონ ვითარმედ არა არიან იგინი ქრისტეანენი და კერპთა თავყუანისა

1 სძლო; სიბრძნესა. — 9 ისწრაფდა. — 12 ქრისტესა, — 24 ქრისტესანეთათჳს.
 — 29—30 იარაპოლისასა. — 30 მეფისაჲ. — 33 იარიპოლისასა. — 34 ქრისტესანენი.

სცენ და ღმერთთა წარმართთასა უგებდენ, ივინი ხოლო ცხომდენ, პატივსა და ნიჟსა ღირს იქმნენ მეფეთაგან. ამისთჳს შფოთი დიდი იყო ქალაქსა შინა ძიებისა მისთჳს ქრისტეანეთაჲსა ყოვლითა წრაფითა და რომელნიმე მათგანნი დაიმალოდეს და რომელთამე სივლტოლაჲ იწუმის და რომელნიმე მიდრკეს კერპთმსახურებასა მას უღმრთობისასა მწარისა მის სიკუდილისა ბილგითა. ხოლო ნეტარი ბოა გარდამატებულად განწურდა ღმრთისა მიმართ სიყუარულითა ქრისტეანობისაჲთა და ეციცხვედა იგი ამპარტეანებასა უღმრთოთასა. არა დამალა, არცა სივლტოლაჲ იწუმია შიშისათჳს და რისხვისა უღმრთოჲსა მისთჳს მთავრისა, არამედ უფრო[დ]სად იხარებდა და გალობდა. რამეთუ სურვილითა დილითა და სასიკეთითა კადნიერად იქცეოდა ქალაქსა მას შინა, | გულსმოდგი- 10 ნედ იწრავდა სიკუდილსა მას წამებისასა, რამეთუ სუროდა მისლვად უფლისა თჳსისა, სადა იგი სიმდიდრე საუკუნოჲსა მის ცხოვრებისაჲ განმზადებულ არს ქრისტეს-მიერი [და] განსასუენებელი წმიდათა და ღუაწლით შემოსილთა მარტურთაჲ დაუწჯებულ არს.

141b

VI. და ვითარცა შეიპყრეს ნეტარი, მიიყვანეს იგი წინაშე მთავრისა მის განსაკითხავსა მას სატანჯველისსა. ჰკითხა მსაჯულმან მან და ჰრქჳთ: «რამ არს სახელი შენი?» მიუგო ნეტარმან ბოა: «პირველი და პატიოსანი სახელი ჩემი არს ქრისტეანობაჲ, ხოლო მშობელთაგან ბოა წოდებულ არს». მიუგო მთავარმან და ჰრქჳთ: «შენ ბუნებით კაცი ხარ, ვითარ პირუტყუსა საცხოვრისა სახელი გრქჳნი?» მიუგო წმიდამან ბოა: «ართუ კაცობრივითა სახელითა ცხომდების კაცი, არამედ თჳსითა გორცთა ძლევეთა და სარწმუნოებითა და კეთილად მსახურებითა და შეუთორგულეზულითა გონებითა». ჰრქჳთ მას მთავარმან მან: «და შენ რომელსა სარწმუნოებასა მსახურებ?» მიუგო წმიდამან ბოა და ჰრქჳთ: «ქრისტესსა, მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა, მაცხოვარსა მოღუაწეთა მისთასა». ჰრქჳთ მას მთავარმან: «დაღაცათუ ვიდრე მოქამდე ქრისტეანი ხარ, 25 ხოლო აწ ამიერითგან არღარა გიბრძანებენ შენ წერღნი ესე და ბრძანებანი თვთმპყრობელისანი, არამედ ყოვლადვე რაჲთა არღარა სახელსდვა ქრისტეანობასა. რომელნი იპოვნენ სამეუფოსა მისსა ქუეშე ქრისტეანენი რაჲთა უგებდენ ღმერთთა [და] მსახურებდენ, ვითარცა იგი თვთმპყრობელი თავყუანის სცემს». მიუგო ნეტარმან ბოა და ჰრქჳთ: «თვთმპყრობელი იგი კაცივე არს მოკუდიანი, 30 და მცირეთაჲ ეჲმთა აქუს დიდებდა ქუეყანასა ზედა. რომელმან ნებითა თჳსითა ისმინოს უღმრთეებისა მისისაჲ, ძალ-უც შეპყრასაჲ მისი და კერპთა მსახურებასა მიყვანებაჲ. ხოლო მე ქრისტეანი ვარ ნებითა ღმრთისაჲთა, რწულითა და სამართალითა ქეშმარიტისა ღმრთისაჲთა და მხოლოდშობილსა ძესა მისსა თავყუანის ვსცემ, იესუ ქრისტესსა, რომელი მოვიდა სოფლად ცხოვრებად ნათესავისათჳს კაცთაჲსა, და სულსა წმიდასა მისსა. ამით ნათელმიდებეს და ესე მრწამს და მას ვესაჲ». მიუგო მსაჯულმან და ჰრქჳთ: «სამართლად გეწოდა შენ სახელი ბოა; ვითარ ვხედავ, გონებაჲ ურჩისა პირუტყუსაჲ გაქუს და უჯკერებლობაჲ, მიუგო ნეტარმან ბოა და ჰრქჳთ: «მე დაღაცათუ პირიტყუსა სახელი მრქჳ-

142a

1 მსცენ.—5 და მწარისა.—21 თჳსითა გორცითა.—25 ქრისტეანი.—27 ყოვლადვე] ყის დეე; მსღა.—29 მსცემს.—33 ქრისტეანი.—35 ვსცემ.—36 სულსა წმიდასა მისისა.

ან, არა პირუტყუ ვარ, რათამცა არა ვიცოდე შემოქმედი ჩემი და კერბთა უს-
 მთა და უსსულოთამცა თავყუნის ვეცი, ვითარცა თქუნენ წარმართნი; არამედ
 სიყრბით ჩემითგან ქრისტიანობასა შინა სწავლულ ვარ და მას შინა ყოველთა
 დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა მტკიცე ვარ და მიცნობია ყოველთა შემოქმედი
 5 ღმერთი». ჰრქუა მას მსაჯულმან: «ვიეთნი უკუე დაკლებულად და დაღონებუ-
 ლად ანუ დაწუნებულად ცხომდებოდინ: წარმართნი, რომელნი ჰმსახურებენ
 ღმერთთა, ანუ ქრისტიანენი, რომელნი თავყუნის სცემენ ჯუარკუმულსა ქრის-
 ტესა?» მიუგო წმიდამან ბოა: «უკუეთუ გნებავს ჭეშმარიტად ცნობად და სწავლად
 10 საქმით, თუ ვინ არიან შეცთომილნი და ვინ არიან, ვიეთნი ჭეშმარიტსა მისდე-
 ვენ, განიშორე პირველად უკეთურებდა და მედგრობად | უღმრთეებისად და ეგრე 142b
 მოვედი გამოცდად, თუ რამ არს ქრისტეს-მიერი იგი ყოფილი, და რამ არიან
 საქმენი დამცრთად თქუნეთანი, რათა მით გამოცხადებთა გამოსცადო ორთავე
 მათ ძალი და საქმენი და მით იხილო ღმრთეებისა ძალი. არა თუ სახელითა არს
 კაცად-კაცადისა გამოცდილებად, არამედ თითოეულსა გონების ძალი და საქმე
 15 გამოიქინების». ჰრქუა მას მთაყარმან: «ჩემდა სმენრლ არს ბრძენთა წარმართ-
 თაგან, ვითარმედ ყოველივე ღმერთთა ქმნეს: ზეეს ზეცისამყრობელ არს, პორ-
 დონოზს საზღვარნი ზღვსანი ჰქონან და კუალად პლოტონოზს ქუესკენელისანი
 უპყრიან». მიუგო წმიდამან ბოა და ჰრქუა: «არა ჯერ არს წარმართთა ყურისა
 20 პყრობად; აწ ისინე ჩემი, რამეთუ გარეწარგუჯდა ჩუნენ წარმართთა სწავლულენ-
 ბად გამოდიებად. არა მიგზხედავთ ესევეითარსა უშჯულოებასა, არამედ ზედამი-
 წეენით ვიეთი ესევეითარი წარწყმედლებად და შეცთომილებად წარმართთად.
 და შენ სმენით ოდენ გასმიეს, ვითარ იტყვან წარმართთასა მას ზღაპრობასა,
 რამეთუ კაცთა უგუნურებთა დაემტკიცა კერპთმსახურებად. ხოლო ქრისტე პირ-
 ველ შესაქმნისა ცისა და ქუეყანისა, ზღვსა და ნათლისა მზისა და მთოვარისა,
 25 ვარსკულაეთა და კაცთა ყოვლადე არს, და განუშორებელ არს მამისაგან თვისი-
 სა; და არარად არს ყოფილთაგანი გინა თუ ცათა შინა, გინა თუ ქუეყანასა ზე-
 და, რომელი ქრისტეს მიერ არა იქმნა, გინა თუ ხილულნი, გინა თუ უხილავნი.
 ყოველივე მის მიერ იქმნა და თვნიერ მისსა არარად იქმნა».

VII. ჰრქუა მას მთაყარმან: «ჩემდა | სმენლი არს ვითარმედ ქრისტე ორას 143a
 30 ორმოცისა წლისა [წინა] გამოცხადა სოფელსა და შენ ვითარ დაამტკიცებ
 ამას, თუ ყოველივე ზეცისად და ქუეყანისად [ქრისტემან] შექმნაო?» მიუგო წმი-
 დამან ბოა: «ეგრე არს, ვითარცა სთქუ: პირველ წინა ორას ორმოცისა წლისა
 გამოცხადა კაცთა და იქცეოდა მით შორის; არა არს ტყუელი, არამედ ჭეშ-
 მარტი შენ-მიერი ეგე თქუმული, რამეთუ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა იგი
 35 არს და იყო. განმრავლებითა უშჯულოებისადათა და ეგოდენითა მით მედგრო-
 ბითა უგუნურებისა მათისადათა არა ვითარმცა დღეთა მათ ნოესითა რღუნითა
 წყლისადათა კუალად სოფელი წარწყმიდოს, ანუ ვითარცა დღეთა მათ ლოთის-
 თა სოდომელთა მწარე წყალი მოაქცია და უშენებელ იყოს ქუეყანად ცისა ქუე-
 შე, ამისთვს მოაელინა ღმერთმან მხოლოდშობილი ძე თვის სოფლად და კორ-

ციოთა გამოჩნდა ქუეყანასა ზედა, და უზუენა კაცთა ცხოვრებაჲ და აღდგომაჲ. ესრე ჯერ იყო მაცხოვრისა მოსლვაჲ მამისა მიერ სოფლად, რამეთუ ჯორცნი შე-
 ისხნჲ წმიდისაგან ღმრთისშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისგან და ნა-
 თელ ილო წმიდასა იორდანესა იოვანსსგან; წინაშე თულთა კაცთასა მკუდარ-
 ნი აღადგინნა და ბრმათა თულნი აღუხილნა, მკელობელნი ავლინნა, კეთრო-
 ვანნი განწმინდა, ყრუთა ასმინა, ზღუასა ზედა ვიდოდა, ვითარცა ჳმელსა ქუე-
 ყანასა; ქართა შეპრისხნა და დაყუდნეს, და ხუთითა პურითა განაძღნა ხუთათას-
 ნი, და წყალი ღვრად გარდაქცია საკვრველებითა და ძალითა ღმრთეებისაჲ-
 თა; და ნეფსით ჯუარს ცცუა, მოკუდა ჯორცითა და | არა ღმრთეებითა, რა-
 მეთუ ღმრთეებაჲ უენებელ არს. და უკუდავი დაფელა და აღდგა მესამესა დღეჲ
 10
 სა, იქცეოდა მოციქულთა თანა, და აჯერა მათ ვითარმედ ჳქმმარბიტად აღდგა
 იგი მკუდრებით. შემდგომად თანს ყოვლისა თულთა წინაშე მათთა აღმაღლდა
 იგი ზეცად და დაჯდა იგი მარჯუენით დიდებასა ღმრთისა მამისასა. და კუა-
 ლად მოსლვად არს იგი დიდებითა თჳსითა ანგელოზთა თანა წმიდათა განკით-
 ხვად დაბადებულთა თჳსთა; რომელთა ჰრწმენეს მხოლოდშობილი ძქ ღმრთი-
 15
 საჲ, აქუნდეს მათ ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, ხოლო ურჩნი და უარისწყოფელნი და-
 ისაჯენ გეჰენისა ცეცხლისა».

143b

5.

10.

15.

VIII. ჰრქუა მსაჯულმან: ამიერითგან კმა იყავნ სულისა შენისა გულს-
 მოდგინებაჲ და დაყენებაჲ სიტყვსაჲ ენისაგან შენისა, არამედ ოდეს იხილო
 წინადაგებული იგი სატევანჯველი სიკუდილისაჲ, მაშინ უნებლიათ განემორო
 20
 სიყუარულსა მას და სასურველსა შენსა; მაშინ გამოგეცხადოს შენ წინადაგებუ-
 ლითა მით ცეცხლითა სიკუდილი და უარჰყო ქრისტქ იგი შენია. მიუგო წმი-
 დამან ზოა: «ნაკულუღვანებითა მაგით გონებისა შენისათა და განზრახვითა
 ზღაპართა შენთაჲთა დიდად დაჰირვება და წარწყმედულობა არს მათდა, ვით
 შენი ისმინონ, რამეთუ მოწევენულსა ამას სიკუდილსა გუაზრახენ სივლტოლასა
 25
 და საუკუნესა მას სიკუდილსა დაშჯად ჩუენდა იწრაფი და მცირისა ამის ე-
 მისა ცეცხლსა აღგზებულსა დაგუაყენებ და საუკუნესა მას დაუშრეტელსა ცე-
 ცხლსა მოაწეე ჩუენ ზედა. ამიერითგან ნულარა ელი ოდესმე | ჩუენდა მიმართ,
 ძალითა ქრისტსითა, რწმუნებად ჩუენდა განზორებად სიყუარულსა მას ქრის-
 ტსსა, გინა თუ ცეცხლითა სიკუდილსა გჳქადებ, გინა თუ ყოვლითა კაცო-
 30
 ბრივითა განზრახვითა განსაცდელითა განრყუნასა და წარწყმედასა მოაწეე ჩუენ
 ზედა. გარდაუქცეველად გუაქუს სიყუარული ქრისტქს მიმართ, და რომელ იგი
 მაყუედრე ნაკულუღვანებით ყოფად ჩუენ ქრისტეანეთაჲ და მდიდრად ცხოვრე-
 ბაჲ წარმართთაჲ და ფლ-ობაჲ.—წერილ არს, რამეთუ მცირქ ესე ჳირი ჩუენი
 35
 საწუთროსაჲ დადსა მას დიდებასა გარდარეულსა შეიქმს ჩუენ შორის. რამე-
 თუ ჩუენ ქრისტეანეთა გურწამს და მოსავ ვართ წმიდისა სამებისა და მოვე-
 ლით საუკუნესა მას ცხოვრებასა და დიდებასა მას დაუსრულებელსა სასუფე-
 ველისასა და კეთილთა მათ, რომელი თულამან კაცისამან არა იხილა და გულ-
 სა არა მოჰკდა, რომელი განუშხადა ღმერთმან მოყუარეთა. მისთა; შეურაც-

144a

25.

30.

35.

2 კორ. 4, 17

1 კორ. 2, 3

1 ეჩუენა.—18 იყვან.—22 ცეცხლისა სიკუდილითა.—26 დაჰშჯად.—28 ოდესმე.—32 გარ-
დაუქცეველსა.—33 ქრისტსანეთა.

გვყოფია საწუთროდ ესე სოფელი. არამედ თქუენ წარმართნი, რომელნი ამას ცხოვრებასა იხარებთ და გაქუს დიდებამ და სიმდიდრს, უსაწყალობელს ყოველთა კაცთა ხართ; და მერმესა მას საუკუნესა განზადებულ არს თქუენთს ბნელი იგი წყუდიადისა და ცეცხლი დაუშრეტელი და მაკლი დაუძინებელი 5 და სტანჯველი დაულენელი». ჰრქუა მას მსაჯულმან: «მრავლითა განზრახვითა მინდა დაჯერებამ შენდა, თუმცა უგე ღმერთთა და გამცაგიტევე; არამედ ვხედავ შენთანა მრავალსა პასუხებასა და ურჩებასა, და არა გნებავს | დამორ- 144b ჩილებამ ბრძანებასა თვთმპყრობელისა მეფისასა. და აწ ვბრძანო შენი ცეცხლითა დაწუეა». მიუგო წმიდამან ბოა: «უმჯობეს არს ჩემი ერთჟამ ცეცხლითა დაწუ- 10 ვამ ქრისტესთს, მეუფის ა ჩემისა და ღმრთისა, და ნუ საუკუნესა სტანჯველისა მიცემამ და დაშვამ ვიჭენისა ცეცხლისასა დაუშრეტელსა ეშმაკითა თანა და კერპთმსახურთა თანა».

IX. მაშინ შეიბყრეს წმიდამ ბოა განწესებულთა მით სტრატონთა და განიყვანეს იგი გარეშე ქალაქსა მას, და შეუდგა მას სიმრავლს დიდძალი ერი- 15 სა; და მოვიდეს ადგილსა მას კლდოანსა და შეკრიბეს ადგილისა მისგან სიმრავლს დიდძალი შეშისა. მაშინ დადგა აღმოსავალით ნეტარი ესე მოწამს ბოა და მოიდრიკნა მუჯლნი და აღიბყრნა ჯელნი ზეცად, ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და თქუა: «უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო! მოეც თხოვამ ესე სახელსა ამას პირუტყუსა ცხოვრისასა, ვითარ იგი მაყუდრთა უშჯულ- 20 მან და უღმრთობან მსაჯულმან. ყოველმან მოიგუნოს მამამ, ძმ და სული წმიდამ და სახელი ჩემი გლახაკისა ბოასის, მოეც მით სიმრთელს და სიხარული, სიცოცხლს და მხიარულებამ და ნაყოფიერებამ ქუეყანასა მათსა და სიმრეთლს და შეუბამ პირუტყუთა მათთა და ყოველი ვნებამ საეშმაკოდ და კაცობრივი და ყოველი დაკლებამ სულიერი და ჯორციელი განსდევნე სახლისა 25 მათისაგან შენითა მოწყალებითა, რამეთუ კაცსა და საცხოვარსა აცხოვენე შენ, უფალო. და საცნაურნი | ალავსენ შენმიერთთა კეთილითა და ნუ მოივსენებ შე- 145a ცოდებათა მათთა. და სადა იპოოს ნაწილი ძუალთა ჩემთამ, ნუ შეეხებინ მით სული ბოროტი, მავნებელი კაცთამ და პირუტყუთამ. გადიდებ შენ, უფალო, და გმადლობ და გაქებ და გაკურთხევე, რამეთუ ღირსმყავ მე სიკუდილსა ამას წამებისასა სახელისა შენისათს წმიდისა, რომელსა გუელი მიითქუმოდა სიყრმით ჩემითგან. აწ უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, ისმინე ჩემი, გლახაკისა მონისა შენისა, და მომმადლე თხოვამ ესე ჩემი დი მიითუალე და- 30 თხევემ სისხლთა ჩემთამ. რამეთუ შენ ხარ მფარველი ჩემი და ჯელთა შენთა შეეკვედრებ სულსა ჩემსა!» მაშინ ესმა მას ჯამ ზეცით, რომელი ეტყოდა მას: 35 «მოვედ, ბოა, სარწმუნოო და გონიერო მონაო, და შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა სასუფეველსა ცათასა, რამეთუ [მო]მმადლებიეს ყოველი, რომელი ითხოვე, და უფროსიცა ამისსა მიგმადლო; სადაცა ითქუმოდის სახელი შენი და იყოს ნაწილი ძუალთა შენთამ, ივლტოდეს მუნით ყოველი ვნებამ კაცთამ და პირუტყუთამ!»

3 კაცთასა. — 7 ურჩებასა | შენთანა. — 11 დაშვამ. — 19 პირუტყუსასა. — 31 ქრისტეს-
— 32 მომადლე.

4. «კიმენი II.

X. და ვითარცა დაასრულა წმიდამან ბოა ლოცვაჲ, მოიყვანეს იგი გან-
 მზადებულსა მას ადგილსა. და დაადგინეს წმიდაჲ ბოა ფერჯთა ზედა მისთა და
 გარემოაწყვეს მათ სიმრავლჳ შეშისაჲ და აღუდევს ცეცხლი ძლიერად, ვიდრემ-
 დის აღასრულეს დაწუჟად წმიდისაჲ მის. ხოლო წმიდამან ბოა დაიწერა სახლჳ
 ჯუარისაჲ ყოველთა ასოთა მისთა და აღმოუტევა სული და მისცა ჳელთა დამ- 5
 145b ბიდებელისა თვისისათა და | ყოვლითა გულსმოდგინებითა ჳმადლობდა იგი ქრის-
 ტესა ღმერთსა, რამეთუ ღირს იქმნა იგი სიკუდილსა წამებისასა სახელისა მი-
 სისათეს წმიდისა; სრბაჲ აღასრულა, სარწმუნოებაჲ დაიმარხა და მოიღო მან
 2 ტიმ. გვრჯენი ღიდებისაჲ ყოველთა თანა წმიდათა. და შემდგომად დაცხრომისა ცეცხ-
 4, 7 ლისა მის [და] დაწუჟისა წმიდისა მის შეკრბეს ყოველნი ქრისტიანენი, რომელ- 10
 ნი იყვნეს ქალაქსა მას შინა, და აღიხუნეს ნაწილნი იგი წმიდისა და ნეტარისა
 მოწამისა ბოაჲსნი და დაჰკრძალნეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან პურამის,
 და აღაშენეს სამარტურჳ წმიდათა მათ ძულთა მისთა ზედა, მეფობასა ავრე-
 ლიანოზისსა და მთავრობასა საკუნდოტისსა, ბორგილთა საბრძანებელსა, ქალაქ-
 სა იარაპოლისასა, თთუესა დეკენბერსა ოცდაათსა, ხოლო სუფევასა ჩუენ ზედა 15
 უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, [რომელსა]
 ჳშუენის ყოველთა; მიერ ღიდებაჲ და პატივი და თავყუანისცემაჲ თანა მამით
 და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე. ამცნ!

მარტვილობა არენი, პრომოსი და ელიასი

1. მასალები მათი აგიოგრაფიისათვის. არე, პრომოსი და ელია მოხსენებული არიან ევსები კესარიელის თხზულებაში „პალესტინის მოწამეთათჳს“ (περι τῶν ἐν Παλαιστίνῃ μαρτυρησάντων), სახელდობრ მის მეათე თავში, სადაც ლაპარაკია პეტრე მონაზონისა და ასკლეპიოსის შესახებ. აქ სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს მათ მიძღვნილი: ისინი იყვნენ ეგვიპტელები, სხვებთან ერთად კილიკიაში წარგზავნილნი და დაკითხულნი ასკალონში, სადაც არე ცეცხლით დასწვეს, ხოლო პრომოსსა და ელიას თავი მოჰკვეთეს¹. ევსების ეს ცნობა უნდა ედვას საფუძვლად მათი მარტვილობის სირიულ რედაქციასაც². ასეთივე მოკლე ცნობა შემოუნახავს მათ შესახებ კონსტანტინეპოლის ეკლესიის „დიდ სუნაქსარს“, რომელშიაც, გიორგი ათონელის თარგმანის მიხედვით, იკითხება: პრომოს, არე და ელია „იყვნენ მეგუბტელნი და მსახურებისათჳს წმიდათაჲსა კილიკიას მოვიდოდეს. ხოლო ვითარცა მოიწინეს ასკალონი, შეპყრობილ იქმნეს და წინაშე ფირმილიანოს მსაჯულისა წარიდგინნეს და თავნი თჳსნი ქრისტიანედ აღიარნეს. და ესრეთ წმიდაჲ არე ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა, ხოლო პრომოსს და ელიას მახვლითა წარეკუთნეს თავნი“³.

ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში მოიპოვება საკმაოდ ვრცელი მარტვილობა დასახელებული პირებისა, რომელიც შენახულია ერთადერთ „მრავალთავში“ (A 95) და რომელიც სხვა ენაზე ჯერ-ჯერობით ცნობილი არაა. გარდა ამისა იოანე-ზოსიმეს 956 წლის სვინაქსარში, 11 ივნისსა და 14 დეკემბერს დადებულია ხსენება პრომოთეოზისა, რაც იგივე პრომოსია, ხოლო „იერუსალიმის განჩინების“ ლექციონარის იმ რედაქციაში, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული, 14 დეკემბერს დადებულია ხსენება არესი, პრომეთეოზისა და ელიასი⁴. ქართული ფორმა სახელისა პრომოთეოზ — პრომეთეოზ, რომელიც ქართული ფოლკლორის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო უნდა

¹ Migne, PG. t. XX, col. 1496 CD.

² Cureton, History of the Martyrs in Paestine, 36—37; იხ. Bibliotheca Hagiographica Orientalis, 98.

³ ხელნაწერი საქართ. მუზეუმისა A 193, ფ. 99 ბ. ეს ცნობა გამეორებულია წინადადებათა ოდნევი გავრცობით „დიდი სუნაქსარს“ იმ რედაქციაში, რომელიც მიეწერება ბასილი იმპერატორს (Menologium Graecorum Basilii Porphyrogeniti, Migne, PG. t. 117, col. 214 CD).

⁴ H. Goussen, Über georgische Drucke und Handschriften die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalem betreffend.

იყოს, გვაჩვენებს, რომ არც საფუძველი არსებობს და არც საჭიროება „პრომოს“-ის მაგიერ დაწვევით „პრომოს“¹; პრომოს სულ სხვა მოწამეა და პრომოს სხვა.

2. მოკლე შინაარსი თხზულებიხა. დიოკლიტიანესა და მაქსიმიანეს დროს, როდესაც ეგვიპტეში სტანჯავდნენ ქრისტიანებს, არე, პრომოს და ელია თავისი ნებით გამოცხადდნენ არიანე მთავართან და განუცხადეს, რომ ისინიც ქრისტიანნი არიან. არიანემ ისინი ამხანაგებითურთ, რიცხვით შვიდი კაცი, ჩასვა საპრობილეში, საიდანაც გამოიყვანა 2¹/₂ წლის შემდეგ და უბრძანა კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირათ. რადგანაც ამაზე უარი მიიღო, ბრძანა ამოეთხარათ მათთვის ცალ-ცალი თვალი და გადაეჭრათ მკლავის ძარღვი. მოწამენი სიხარულით შეხედნენ სატანჯვეულს. მაშინ არიანემ ბრძანა მათი გაძევება ეგვიპტით; ისინი მართლაც გაძევდნენ პალესტინაში. როდესაც ქალაქ ასკალონში მივიდნენ, ერთი მათგანი, არე, შევიდა ქალაქში საქმლის სასყიდლად, სხვები კი ქალაქ გარე დარჩნენ. ქალაქში არე ტანისამოსით იცნეს, რომ ქრისტიანია, ამიტომ ის შეიპყრეს და ქალაქის მთავარს მიჰგვარეს. უკანასკნელი წინადადებას აძლევს მას კერპებს მსხვერპლი შესწიროს, მიგრამ არე უარს ამბობს. როდესაც ქალაქის გარე დარჩენილებმა გაიგეს, რომ არე შეიპყრეს, შევიდნენ ქალაქში და ქვით შემუსრეს მეფის ხატი, რომელიც ქალაქში იყო ამართული. ისინიც, რასაკვირველია, მაშინვე შეიპყრეს და მიჰგვარეს მსაჯულს; ამან პრომოსი და ელია საპრობილეში ჩასვა, ხოლო თენა და პედნუტი განდევნა ქალაქიდან. რამდენიმე ქრისტიანი, რომელთა შორის იყვნენ ანუბიან და ისქვირონი, მივიდნენ საპრობილეში პატიმართა სანახავად. ისინი შეიპყრეს და მიჰგვარეს ქალაქის მთავარს, რომელმაც, მოისმინა რა მათგან, რომ ისინი არიან ფილისტიმელი ქრისტიანები, მეგობართა სანახავად მოსრულნი, ბრძანა მათი ქალაქიდან გაძევება. ამის შემდეგ პრომოსი და ელია მან წარუგზავნა ქ. კესარიისში „დიდსა ჯელმწიფესა“. რამდენიმე დღის შემდეგ იქვე წარგზავნა მან არეც, ასე რომ სამი მეგობარი კვლავ შეუერთდა ერთიმეორეს კესარიის საპრობილეში. რვა დღე რომ გავიდა, მსაჯულმა ისინი გამოიყვანა დასაკითხავად. ამით მტკიცეთ აღიარეს ქრისტე, რისთვის ისევ საპრობილეში ამოყვეს თავი. ოცდაათი დღის შემდეგ მთავარმა ისინი წარგზავნა უკანვე ქალაქ ასკალონს და მისწერა იქაურ მთავარს სიკვდილით დასაჯოს ისინი, თუ უარს არ იტყვიან ქრისტიანობაზე. სამი დღე ისინი ასკალონის საპრობილეში იმყოფებოდნენ, შემდეგ 14 დეკემბერს, მთავარმა კიდევ დაკითხა ისინი. რადგანაც მან ვერ შეარყია მათი რწმენა, ბრძანა პრომოსსა და ელიას თავი მოჰკვეთონ, არეს შესახებ კი არაფერი უთქვამს. მაშინ არემ ხმაბაღლა ამხილა მისი უსამართლო დაბოროტი „ბჭობა“, რისთვისაც მას მიუსაჯეს ცეცხლში დაწვა. ამოთხარეს ორმო, ჩააყენეს შიგ მუხლამდე არე და შემოაწყვეს გარშემო შეშა იმ ვარაუდით, რომ ის უცხად კი არ დაიწვეს, არამედ ნელნელა, თანდათანობით. არემ მიმართათხოვნით იქ მდგომ „ძმებს“: მომაახლეთ მე შეშა, რათა ჩქარა მივიდე ჩემ უფალთანაო; მაგრამ ამის უფლება მხედრებმა „ძმებს“ არ მისცეს. მაშინ არე

¹ Migne, PG. t. XX, col. 1496, not. 68.

გადიწია, თავი ცეცხლს მიუახლოვა, მის გრძელ თმებს მოედო ალი, რომელმაც შთანთქა ის.

3. ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზი თხზულებისა. არე, პრომოსი და ელია ეკუთვნიან პალესტინელ მოწამეთა ციკლს; ამით აიხსნება, რომ მათ, როგორც დავინახეთ, მოკლედ ევსები კესარიელიც იხსენიებს იმ თხზულებაში, რომელშიაც პალესტინის მოწამეთა შესახებ ლაპარაკობს. თხზულებაში ნათქვამია, რომ ამათ წამებას ადგილი ჰქონია დიოკლიტიანესა და მაქსიმიანეს დროს. ზოგიერთი მათი აღსასრულის წლად 308 წელს სთვლის, მაგრამ, რამდენადაც ეს ამბავი დათარიღებულია დიოკლიტიანეს სახელითაც, 305 წელს ეს იმბავი ვერ გადასცილებოდა, ამ შემთხვევაში მაქსიმიანედ უნდა მაქსიმიანე გერკული (285—305) ვივარაუდოთ. ეგვიპტის მთავარს ან მსაჯულს, რომელმაც პირველად შეიპყრა მოწამეები, ეწოდება არიანოსი; ეს არიანოსი, მსაჯული თებაიდიდისა, გვხვდება, დიოკლეტიანეს დროს, ორი აგიოგრაფიული ძეგლის თარგმანში: ტიმოთესა და მაგარს¹ და ფილიმონ მენესტიესაში². ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი გარემოება. კობტურ აგიოგრაფიაში ცნობილია დიოკლეტიანეს დროს ვინმე არიანოს პრეფექტი ეგვიპტის ანტინოიდან, რომლის ხსენება დადებულია 14 დეკემბერს, ესე იგი, იმავე დღეს, როდესაც არეს, პრომოსის და ელიას ხსენება³. ეს არიანოსი მოთავსებულია აპოლონისა და ფილიმონის დასში⁴. შეიძლება დაისვას საკითხი: არიანოს მსაჯული, რომელიც თავდაპირველად ქრისტიანებს სდევნიდა, ხომ არ გაქრისტიანდა შემდეგში და შეიმკო მოწამებრივი გვირგვინით? ასეთი შემთხვევა აგიოგრაფიამ არაერთი იცის. როგორც არ უნდა იყოს, არე, პრომოსი და ელია არიან მოწამენი მესამე საუკუნის გასულის თუ მეოთხის დამდეგისა (285—305).

მათი მარტილობა, რომელიც ქართულ თარგმანს შემოუნახავს, სხვა ენაზე დღესდღეობით ცნობილი არაა. სამწუხაროდ, თხზულებაში არ გვაქვს მკვეთარი, ხელმოსაკიდი ფაქტი, ლექსიკური ან სხვა ხასიათისა, რომლის მიხედვით შეიძლებოდა მისი ორიგინალის გარკვევა. არცთუ ავტორის შესახებ შეიძლება რაიმე ითქვას. ის ორიოდვე საერთო ცნობა, რომელიც ევსები კესარიელს მოეპოვება ამ თხზულებიდან, აგრეთვე დასაწყისი სიტყვები მისი: „შეიპყრეს მამანი და ძმანი ჩუენნი“, რომელიც ევსების სტილს მოგვაგონებს, ევსების ავტორობის სასარგებლოდ, რასაკვირველია, არ კმარა, უკანასკნელს ეს თხზულება არ ეკუთვნის, ის დაწერილი უნდა იყოს ევსების „პალესტინის მოწამეთათვის“ შემდეგ. ქართული თარგმანი თხზულებისა მეცხრე საუკუნეზე ძველი არ უნდა იყოს; ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ამ მოწამეთა კულტი მათე საუკუნემდე არ გვხვდება.

ამ თხზულებაში არეს, პრომოსის და ელიას ხსენება დადებულია 14 დეკემბერს, რადგანაც ისინი, როგორც აქ ნათქვამია, 14 დეკემბერს აღესრულნენ. ბიზანტიურ-სირიულ სვინაქსრებში კი მათი ხსენების დღედ ითვლება 19 დე-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 696.

² იქვე, გვ. 697; Н. Марр, Агиографич. материалы по грузин. рукописям Иверы I, 66.

³ Bibliotheca Hagiographica Orientalis, p. 27, № 110.

⁴ Ibid. p. 20, № 80*

კემბერი. ეს სხვადასხვაობა აიხსნება ალბათ ევსები კესარიელის თარიღის თან-ვისებური ვაგებით; ევსები ამბობს: τὸν δ' ἐπιτίθει μὴν Ἰαννουαρίου τσεσραξ-
 αιδεακτῆ, πρὸ δεκαονεῖα Κελωνῶν Ἰαννουαρίων λέγει· ἄν (Migne, PG t.
 XX, col. 1496 C). ქართულ^{ად} თარგმანში შემონახული თხზულების ავტორს ეს
 გაუგია როგორც 14 დეკემბერი, ხოლო ბიზანტიურ-სირიული სენაქსრების ავ-
 ტორებს ante diem XIX Kalendas Ianuarias მექანიკურად გაუიგვებიათ 19 დე-
 კემბერთან.

4. ტექსტის ანალიზი.

1. ტექსტში გვაქვს: ა) ვადაწყვერის შეცთომები: და გეს (დადგეს), დაუწყეს (და აუწყეს), პროპოს (პრომოს).

ბ) განმეორებანი: „მაშინ ვითარცა იხილა, მაშინ განბჭო“.

2. ფონეტიკის მხრივ: მიიწინეს—მიიწივნეს; უ ხშირად გადმოიციემა ვ-თი.

3. მორფოლოგია. ა) მ არ არის ნათესაობითში (ქრისტესი), არც შედარებითის ხარისხში (უხეშთაესი, უმჯობესი, უმეტესი), არც ე-ნიან სახელობითში (ძე).

ბ) სამაგიეროდ მას ვხედავთ: გაუფორმებელ მოთხრობითში (არც) სახელში, რომელიც ზმანდა გამოყენებული („იყო ჯელმწიფც“), და სატყვებში: ქუეშც, გარეშც.

გ) „ქრისტე“ მიღებულია როგორც საკუთარი სახელი, ამიტომ ის არ ფორმდება მ-ით (სახელობითსა და მოთხრობითში).

დ) ყურადღებას იპყრობს ამ ტექსტში, ისე, როგორც სხვა მრავალში, რომ ოხ-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელი ნათესაობითში იძლევა მსა: პრომოს—პრომოსა (და არა პრომოსისა).

4. სინტაქსი. საყურადღებოა შემდეგ არაჩვეულებრივი თუ უკანონო შეთანხმებანი:

ა) „ვითარცა აღასრულეს მათზედა სატანჯველი უშუერი, ხოლო წმიდათა მათ შეიწყნარეს“.

ბ) „გვრგვსა, რომელსა ვეძიებდი, ვპოვე“.

გ) „უამთა უმჯულთთა მეფეთასა“ (ასეთი შეთანხმება ძველ ტექსტებში ხშირად გვხვდება).

5. ლექსიკა. აღენიშნავთ ზოგიერთ სიტყვას:

აღმოგვადოს—ამოელოს, ამოეგლიჯოს.	საკურთხი—მსხვერპლი, საკურთხი.
აღუდგეს (ცეცხლი)—მოუკიდეს.	უგეთ—შესწირეთ.
განისხნეს—განიდევნეს, გაძევებულ იქნენ.	უფლეს („არა უფლეს“)—არ აუფლეს.
განბჭო ბჭობა—დაადგინა, განჩინება	ნება არ მისცეს.

გამოითანა

უზმანი—უქმელნი.

მთხრები(ლი?)—ორმო.

შეყენება—საპყრობილემო ჩასმა.

მუნქუესვე—მაშინვე, იმწამსვე.

წარტდეს—წაიწყმიდოს, მოისპოს.

აზლა მოვიყვანთ მარტვილობის თვით ტექსტს.

წამებაჲ წმიდათა მოწამებთა პატსნი, პრომოქსნი, ელიაჲსნი და
ხსუათა მათთანათა მოწამეთაჲ

1158 b

I. დღეთა დევნულებისათა, რომელი იყო ჟამთა მათ უშჯულოთა მეფეთა-
5 სა დიოკლიტიანსსა და მაქსიმიანსსა, შეიპყრნეს მამანი და ძმანი ჩუენნი, წმი-
დანი მოწამენი, და მიიყვანნეს სატანჯველსა. მაშინ ვითარცა იხილეს არე, პრო-
მოს და ელია წმიდანი იგი, რომელნი იგუნიმებოდეს მცნებათათს ღმრთისათა,
მოიძსნენ სიტყუაჲ იგი წერილისაჲ ვითარმედ «ყოველინევე ურთიერთსა|ასოგბ-
ვართ». შეწუნნეს ფრიად და კანდიერ იქმნნეს იგინი და შევიდეს არიანოსისა,
10 რომელი იგი იყო ჟამთა მათ გელმწიფე ეგვპტესა ზედა, ლალად ყვეს და თქუ-
ეს: «ჩუენცა ქრისტეანნი ვართ, ში მთავარო, და მონანი ღმრთისა ჩუენისა
იესუ ქრისტესნი». და ვითარცა ესმა ესე მათგან მთავარსა მას, უბრძანა მიცე-
მაჲ მათი მოყუსებითურთ საპყრობილესა, და იყვენეს იგინი რიცხვთ შუდ. და
იყვენეს იგინი საპყრობილესა შინა მრავალჟამ ფრიადითა ჭირითა, იწროებასა
15 შინა და ღუაწლსა მიუწდომელსა, და ესე სიხარულად შეჭრაცხეს სახელისათს
ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. და შემდგომად ორისა წლისა და ნახევრისა
ბრძანა მთავარმან მან გამოყვანებაჲ მათი საპყრობილით და წარდგინებაჲ მათი
წინაშე მისსა.

1159 a
ქმს. IV.
25

II. და დაჯდა იგი ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან «განსაშიშულებელ».
20 და ვითარცა წარმოადგინნეს წმიდანი იგი წინაშე| მისსა, მიუგო და ჰრქუა
მათ: «დაემორჩილენით ბრძანებასა მეფეთასა და აღასრულეთ ნებაჲ მეთი
უკეთ ღმერთთა უკუდავთა და მე განგათავისუფლენ თქუენ კრულებათა ამათ-
გან და უზეშთაშისთა პატივითა პატივცემულ იქმნენთ ჩუენ მიერ ერსა ამას
შორის, რომელნი არიან. გელმწიფებასა ჩუენსა. ქუეშქ შეურყვევლსა». მიუგეს
25 წმიდათა მათ მოწამეთა და ჰრქუეს მთავარსა მას: «არა სადა გვსწავიეს ჩუენ
მამათა ჩუენთაგან პარველთა და არცა სადა გვაზონიეს საღმრთოთა შინა წე-
რილთა წიგნთა, ვითარცა ვინ გონიერთაგანმან დაუტევა ღმერთი, შემოქმედი
თქსი, და ჰმსახურებდა იგი კერპთა გელქმნულთა, რომელნი ვერ შეძლებელ
არიან ვერცა ვნებად ვისა და ვერცა სარგებელ ყოფად თავთა თქსთა, და არ-
30 ცა სადა უფარვეთი ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ, ყოვლი-
სა მპყრობელისაჲ, და ვჰმონოთ ბრძანებასა ორთა მეფეთა ქუეყანისათა,| არა-
მედ აღვიაროთ მეფულქ საუკუნომ და მცხნელი ჩუენი და მას ვჰმსახუროთ დღე-
თა ცხოვრებისა ჩუენისათა. ხოლო შენ გელმწიფებაჲ გაქუს ჯოჯოცთა ჩუენთაჲ და
არა სულთაჲ, იქმოდე, რომელი სათნო არს წინაშე თუალთა შენთა». და ვი-
35 თარცა ესმა მსაჯულსა მას წმიდათა მათგან მოწამეთა, ბრძანა მუნქუესცე, რად-
თა აღმოგადროს თითოჲ თუალი თითოეულსა მათგანსა და შეეკუეთოს ძარღუ
იგი დიდი მკლავთა მათთაჲ. ხოლო ვითარცა ესმა წმიდათა მათ სატანჯველი-
სა მისთს უმაღლოესსა, განიხარეს ფრიად და თქუეს: «წერილ არს ესე ჩუენთს,

1159 b

1160 a

- მთ. V, 29, 30 ვითარმედ უმჯობეს არს, რაათა წარცდეს რომელიმე ასოთა ჩუენთაგანი და შევიდეთ სასუფეველსა ცათასა, ვიდრე არა ყოველთა ასოთა ცოცხლად გებულთა და შთავრდომად ცეცხლსა მას ჯოჯოხეთისსა». და შიდალობდეს და აკურთხევდეს ღმერთსა სიხარულით. და აღასრულეს მათ ზღა სატანჯველი იგი უშუერი. ხოლო წმიდათა მათ მადლობით შეიწყნარეს და სულვრძელებით 5
- 1160 b მოთმინე იქმნეს მოწუნულსა მას.
- III. და შემდგომად მისა ბრძანა მთავარმან მან, რაათა განისხნენ იგინი საბრძანებელით მისით. და კულად ამისთესცა განიხარეს წმიდათა მათ და თქუს: «და მამადეა ჩუენი აბრაჰამ ღმრთისათეს გამოვიდა ქუეყანი თესით და ნათესავით და სახლისაგან მამისა თესისა და დაემკვდრა უცხოთა ქუეყანასა 10
- შესაქ. XII, 1,4 ბრძანებისაგებ ღმრთისა». მაშინ განისხნენ წმიდანნი ესე გეგვრით ქუეყნად პალესტინედ და მიიწინეს ქალაქად, რომელსა ჰრქვან ასკალონი. და დადგეს იგინი ვარეშე კართა ქალაქისათა. და შევიდა ერთი მათგანი, რომელსა იწოდეს არე, ქალაქად, რაათა საჯარდელი იყდოს. ხოლო რაჟამს იხილეს იგი მოქალაქეთა, იცნეს იგი სამოსლითა, ვითარმედ არს იგი ქრისტიანე, და შეიპყრეს იგი 15
- 1161 a და წარიყვანეს წინაშე მთავრისა მის ქალაქისა. და ვითარცა იხილა იგი მთავარმან მან, ჰრქუა მას: «ჰმონე ბრძანებასა მეფეთასა და უგე ღმერთთა ცხოველთა და განერე სატანჯველთაგან მომავლთა». მიუგო წმიდამან არე და ჰრქუა მთავარსა მას: «მაქუს მე ორი წელი და ნახევარი საპყრობილესა შინა და არა უგე კერპთა და ვერცა დამაჯერა მე გელმწიფემან ქუეყანისა ჩემისამან 20 და შენ მაიძულა მე ამას დაჯერებად? დაღაცათუ ნეშტნი ესე ასონი ჩემნი შენ წარსწყმინდენ სატანჯველითა, არა სადა უფარცყო უფალი ჩემი და ღმერთი იესუ ქრისტე და არცა უგო ეშმაკთა მაცთურთა».
- IV. და ვითარცა ეუწყა მოყუასთა მისთა, რომელნი იყენეს ვარეშე ქალაქსა, ვითარმედ შეიპყრეს წმიდად და მისცეს სატანჯველსა განკითხვად, განჯურდეს 25
- 1161 b იგინი შურითა საღმრთოთათა და მწრადლ შევიდეს ქალაქად და იწყეს სისრაღ ქეთა ხატსა მეფისასა, რომელი დგა შორის ქალაქსა პატივად და საგებელად, დაღადებდეს და იტყოდეს: «ჩუენ ქრისტიანენი ვართ და შეურაცხაპყოფთ კერპთა და ბრძანებასა მეფეთა უღმრთოთასა». მაშინ შეიპყრნეს ერთი 30
- კაცთა რომელნიმე მათგანნი და წარადგინნეს წინაშე მსაჯულისა და აუწყეს საქმე მათი. ხოლო მან ბრძანა შეყენებად მათი საპყრობილესა. ესენი იყენეს კრომოს და ელია, ხოლო თონა და პაფნუტი და მოყუასნი მათნი განდღენნეს ვარე კართა ქალაქისთა. ხოლო ანუბიაშ, ისქარიონ და მოყუასნი მათნი, რამეთუ იყენეს იგინი მის ქუეყანისანი, შევიდეს ქალაქად და მოვიდეს საპყრობილედ და იხილნეს ძმანი მათნი შეყენებულნი საპყრობილესა. და კულად შეიპყრნა 35
- 1162 a იგინი ერთმან მვედართაგანმან და წარადგინა იგინი წინაშე მთავრისა მის ქალაქისა. ჰრქუა მთავარმან მან: «ვინანი ხართ, ანუ რად არს საქმე თქუენი, რომლისათეს წარმოადგინნეს თქუენ წინაშე ჩემსა?» მიუგეს წმიდათა მათ და ჰრქუეს მთავარსა მას: «მოვედით ჩუენ ხილვად ძმათა ჩუენთა, რომელნი გუშინ შეყენ-

ნეს საპყრობილედ, ხოლო ვართ ჩუენ ნათესავით ფილისტიმელ და შჯუღითჲ ქრისტეანენი». მაშინ ვითარცა ესმა მთავარსა მას, ვითარმედ არიან იგინი მის ქუეყანისანი, ბრძანა განდევნა მათი გარეშქ კართა ქალაქისთა, და განასხნეს იგინი. ხოლო წმიდათა მათ დაყვეს საპყრობილესა მას შეყენებულთა ოთხი დღჲ

5 უზმათა, შეკრულთა ველით და ფერწით ლუედითა ფიცხელითა, და ილოცვიდეს იგინი მუნ შინა და ჰმადლობდეს ღმერთსა ლმობიერთა სულითა და მხიარუ-
ლითა გონებითა. ამისსა შემდგომად ბრძანა მთავარმან მან გამოყვანება მათი საპყრობილით და წარსცნა იგინი კესარია ქალაქად დიდისა ველმწიფისა. და შემდგომად წარსცა წმიდად არეცა მუნვე კესარიად. და შეყენნეს იგინი ერთო-

10 ბით საპყრობილესა კესარიას.

V. ხოლო შემდგომად რვისა დღისა დაჯდა მსაჯული საყდარსა| თუსსა 1162 h
და მოუწოდა წმიდათა მათ, რაათა ისმინოს სიტყუაჲ მათი. და ვითარცა იწყეს აღსარებად სახელსა ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, უბრძანა, რაათა უკუ-
ნაქცინენ იგინი კუალად საპყრობილედვე. და დაყვეს მუნ შინა კუალად ოცდა-

15 ათი დღჲ. და შემდგომად მისა კუალად აქცინა იგინი მუნვე ასკალონდ, შეკ-
რულნი ჯაჭუთა რკინისათა, ვითარცა ავაზაკნი. და მიწერა მთავრისა მის, რა-
თა მუნ განიკითხნეს იგინი სატანჯველითა, და, უკუეთუ არა აღიარონ მათ მსა-
ხურებად ღმერთთა, მიეცნენ იგინი სატანჯველსა სიკუდილისასა. ხოლო წმი-
დანი იგი მგზავრ გალობდეს და იტყოდეს ვითარმედ: «ვერ ღირს არიან ენება-

20 ნი ესე ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელ გამოცხადებდა არს
ჩუენდა მაცხოვრისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესსა». და ვითარცა მიიწინეს ას-
კალონდ, დაყვეს საპყრობილესა მას შინა ასკალონისასა დღჲ სამი. და შეათ-
ოთხბეტესა დღესა დეკნებერისასა, |განთიად დღესა კვრაიკესა, დაჯდა მსაჯუ-

1163 a
ლი იგი საყდართა თუსთა შუელამეს ოდენ და ბრძანა მოყვანება წმიდათა მათ
მოწამეთა. და ვითარცა წარმოადგინნეს წინაშე მისსა, ჰკითხა მათ კუალად—
უკუეთუ პირველსავე მას განზრახვასა ზედა არიან? ხოლო მათ კანდიერად უფ-
როს და უმეტეს აღიარეს სახელი ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და უფარ
ყენეს კერპნი და მსახურება მათი განემეს. მაშინ ვითარცა იხილა მთავარმან
მან ეგრსთვე შეუძრველად დამტკიცებულნი უნაკლულად სარწმუნოებასავე ზე-

30 ლი თუსსა, განბჭო მათ ზედა ბჭობად ესვეითარი, რაათა პრომეს და ელიას მოე-
კუეთოს თავი მათი.

VI. და არე დგა შორის მათსა, და არარად თქუა მისთუს მთავარმან მან.
მაშინ წმაციო მან წმითა დიდითა და თქუა: «ბჭობად შენი უმწავარო არს, ჳ მსაჯუ-
ლო, და საყდარი, რომელსა ზედა ჰზი, უსამართლო არს და ცრუ». ვითარცა

35 ესმა ესე მსაჯულსა მას, განრისხნა ფრიად და უბრძანა, რაათა დაწუან იგი
ცოცხალი ცეცხლითა. მაშინ გამოვიდა წმიდად იგი მხიარული და სიხარულით
იტყოდა «ნეტარ არიან, რომელთა მიეტყვენენ უშჯულოებანი და რომელთა
დაეფარნენ ცოდვანი. საწადელსა, რომელსა სურვილ ვიყავ, მივემთხვა, და გვარ-
გუნსა, რომელსა ვეძიებდი, ვპოვე, და დღეს ღირს ვიქმენ, რაათა ვიხილო უფა-

40 ლი ღმერთი ჩემი იესუ ქრისტე». მაშინ მოთხარეს მთხრები და შთაადგინეს იგი

რომ. VIII
18.

1163 a

რომ. IV
7

მას შინა მუჟღადმდე შეკრული და მოსდევს გარემოვს მისა მცირედ განზორებულადრე შეშად ფრიადი, რაათა არა მწრაფლ გამოვიდეს სული მისი, არამედ მცირე-მცირედ შეიწუეს სიცხისა მისგან, და ესრჳთ მოკუდეს ფიცხლად ტანჯული. და ვითარცა აღუდევს შეშასა მას ცეცხლი, აღევზნა საჯუმილი იგი ძლიერად და სიცხისა მისგან სიმჟურვალისა იტანჯებოდა წმიდაჲ იგი. მაშინ ჳმა 5

1164 a უყო ძმათა მათ, რომელნი იგი დგეს გარემოვს, | [და] ჰრქუა: «ყავთ სიყუარული და მომაახლეთ მე შეშად ეგე, რაათა მწრაფლ მივიდე მე ღმრთისა ჩემისა». ხოლო მჟედართა მათ არა უფლეს ესე ყოვად ძმათა მათ. მაშინ აღიპყრა ნეტარ- მან არე თავი თუსი და მოიღო ალი იგი ცეცხლისად თითთა თავისა თუსისაჲთა, რამეთუ მოგრძელებულ ესხნეს თმანი მისნი დღეთა მათ სიგრძისაჲგან, რომელ 10

დაეყო საპყრობილესა შინა. და ესრჳთ სიხარულით და მხიარულებით იჳმნა იგი საკუერთხ ღმრთისა და მსხუერპლ შეწირულ. და სრულ იჳმნა წამებად მისი ძმათა მისთა თანა პრომოსს და ელიას დღესა მას შინა, რომელ ჳემო ვაჟსენეთ, თთუესა დეკენზერსა ათოთხმეტსა, დღესა კურიაკესა. და მივიდეს წინაშე ღმრთისა ჩუენისა, რომელსა ჰშუენის პატივი და თაყუანისცემად და მისი 15

არს დიდებაჲ და ძლიერებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე. ამჳნ.

წამება ლეონტისი

1. მასალები ლეონტის აგიოგრაფიისათვის. ხსენება ლეონტისი; მისი მარტივობით, რომელსაც ახლა ვსცემთ; დადებულია 18 ივნისს¹. ამავე ხსენებას ჩვენ ვპოულობთ აგრეთვე იოანე—ზოსიმეს 956 წლის სვინაქსარშიც. მარტივობა მისი შემოუნახავს სამს ნუსხას: მეათე საუკუნის სინას მთის ხელნაწერს № 62 (B)², საქართველოს მუზეუმის A 95 ხელნაწერს (C)³ და Bodleiana Oxoniensis წიგნთსაცავისას⁴. რადგანაც სხვა ნუსხა ჩვენთვის ამთავად ხელმისაწვდომი არ იყო, ტექსტს ვსცემთ C ნუსხის მიხედვით, მხოლოდ B-დან მოგვყავს ვარიანტები იმ ამონაწერების მიხედვით, რომელიც ნ. მარს მოეპოვება თავის აღწერილობაში.

ბერძნულ ენაზე ცნობილია ორი რედაქცია ლეონტის შესახებ თქმულები-სა, რომელიც გამოკეზულია ბოლანდისტების მიერ Acta Sanctorum-ში⁵; ამ რედაქციებს ქართულთან ძალბან ცოტა აქვთ საერთო, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

2. მოკლე შინაარსი თხზულებისა. ლეონტი ტომით იყო ბერძენი, სამხედრო პირი—სტრატეგოტი. სამხედრო სამსახურში იყო გულმოდგინე, მაგრამ უფრო მეტს გულმოდგინებას იჩენდა როგორც ქრისტიანე, მიმდევარი პოპოლის მონაზონისა. მას გაუგეს ქრისტიანობა და დაუწყეს ძებნა. უფროსმა სტრატეგოტმა ფირმილიანოსმა განაცხადა, რომ ის ქრისტიანთა მონასტრებში იქნება დამალული. გაგზავნეს მძებნელები და მართლაც იპოვეს ქალაქის გარეთ პოპოლისთან. ეს უკანასკნელი გააძევეს იმ ადგილიდან, ლეონტი კი შეიპყრეს და მიგვარეს ქალაქში სამხედრო გუნდის უფროსს ფილოკრიონისს. დაიწყო დაკითხვა მისი, ლეონტიმ თამამად აღიარა ქრისტიე. ამისათვის ისე სასტიკად სცემეს, რომ ტანზე ტყავი დაავლიჯეს, მეოე ზღვის მარლიანი წყლით განბანეს იგი. ამის შემდეგ ძელზე ჩამოკიდეს. მეორე დღეს კიდევ განახლდა დაკითხვა; ლეონტი წინანდელად მდგარი და ურყევია, ამიტომ ხელმეორედ სცემეს მას, უფრო სასტიკად, იქამდის, რომ ის გარდაიცვალა.

¹ ქართულ ნუსხებში ნახევენბა 18 ივლისი, მაგრამ ეს ალბათ გადამწერთა შეცთობაა.

² H. Marr, Описание грузин. рукописей Синайского монастыря, № 62.

³ Ф. Жордания, Описание рукописей церк. музея, т. I, № 95.

⁴ P. Peeters, Analecta Bollandiana, t. XXXI, p. 309.

⁵ Bibliotheca hagiographica graeca №№ 986, 987.

3. თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა. ლეონტის სა-
მშობლო იყო „ელადა“—საბერძნეთი, საიდანაც ის მოყოლია ქ. ტრიპოლში
სამხედრო გუნდს. სამხედრო გუნდში თანამდებობით ის ყოფილა „უბტიონი“,
რაც, როგორც თხზულებაში აღნიშნული, ნიშნავს „როკიკის განწყოფელს“.
საბას თავის ლექსიკონში ეს სიტყვა არ მოუპოვება, Du-Cang-ი ასე განმარტავს
მას: *Optio: optiones vero proprie appellabant Erogratores militaris an-
nonae, qui annonas militibus distribuerant. Horum officium tacite licet nomi-
ne*¹. მისი გუნდი იმყოფებოდა ტრიპოლის, სადაც ლეონტი დროს ატარებდა
მეტწილად ქალაქ გარეთ ვიღაც პოპლიოს მონაზონთან, რომელიც მას ღვთის-
მსახურებას ასწავლიდა. ტრიპოლის სახელით ცნობილია ორი ქალაქი: ფინიკია-
სა და აფრიკაში. ბოლანდის ტები, მათი ტექსტის მიხედვით, გადაჭრით ამბო-
ბენ, რომ აქ ფინიკიის ტრიპოლი იგულისხმება, ქართული ტექსტის მიხედვით
ამისი თქმა ძნელია, რადგანაც ეს სახელი მხოლოდ ერთხელაა მოხსენებული
აქ; აქ ნათქვამია: აღესრულა ლეონტი ტრიპოლის „ქალაქსა ზღუსკიდესა“. ეს
კი ისეთი ნიშანი, რომ ერთნაირად შეგვიძლია მივაკუთნოთ როგორც ფინი-
კიის, ისე აფრიკის ტრიპოლის. ამასთან ერთად არც ისაა უგულებელსაყოფი,
რომ სომხური სვინაქსრის ტერ-ისრაელის რედაქციაში დასახელებულია აფრი-
კის ტრიპოლი². იქნება აფრიკის ტრიპოლის სასარგებლოდ ლაპარაკობდეს და-
კავშირება ლეონტისა ვიღაც პოპლიოს მონაზონთან! პოპლიოსის ან პუპლიოსის,
განა თუ პუბლიოსის სახელით აგიოგრაფიაში რამდენიმე პირი ვით (25 იან-
ვარს, 13 და 15 მარტს და 5 აპრილს); ამათგან „ღირსი“ (იგულისხმება მონა-
ზონი) პოპლიოსის მოღვაწეობის ადგილად „პოპოლოვი“ ნაჩვენებია ეგვიპტე³.
მხოლოდ ეს კია, რომ პოპლიოს მეგვიპტელი მეოთხე საუკუნეში, ივლიანე იმ-
პერატორის დროს, მოღვაწეობდა. მაგრამ ქართული თარგმანი ლეონტის მარ-
ტილობისა საეჭვოდ ხდის ბერძნული ტექსტის ცნობას, რომ ლეონტი ვესპა-
სიანე იმპერატორის (70—79 წ.) დროს ეწამაო. საქმე ისაა, რომ, ქართული
ტექსტით, ლეონტის მოსჭებნიან და იპოვნიან „მონასტრებსა ქრისტიანეთასა
პოპლიოსისა თანა მონაზონისა“. ჩანს, ამ დროს სამონასტრო ცხოვრება საეჭვოდ
განვითარებულია, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მეოთხე საუკუნეზე ადრე ამ ამ-
ბავს ადგილი ვერ ექნებოდა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულისა
და ბერძნული ტექსტების ლეონტი დიდად განსხვავდებიან ერთმეორისაგან
1) ბერძნული თხზულების ლეონტი ეწამა ვესპასიანეს დროს, ქართულმა ეს არ
იცის; 2) ბერძნული ტექსტი ლეონტის აკავშირებს იპატი და თეოდულესთან,
ქართული კი პოპლიოს მონაზონთან; 3) ბერძნული ტექსტით ის გაასამართლა
და აწამა ადრიანემ, ქართულით კი ფირმილიანოსმა და ფილოკრინოსმა; 4) ბერძ-
ნული ტექსტით ადრიანე საგანგებოდ მოვიდა ქ. ტრიპოლის ლეონტის, საქ-
მის გამო, ქართულით მოსულ პირებს კი არ გაუსამართლებიათ ის, არამედ
ეკაურ, ტრიპოლში არსებული სამხედრო გუნდის უფროსებს. მთავარი მსჯავსე-
ბა მდგომარეობს იმაში, რომ ორივე (ბერძნული და ქართული) ტექსტით ლეონ-

¹ Glossarium ad scriptores mediae et infimae graecitatis, I, 1050—1051.

² Patrologia Orientalis XXI, p. 606—609.

³ С е р г и й, Подвмй месяцеслов Востока, т. II, отд. 1, стр. 98, отд. 2, стр. 615.

ტის სცემენ უწყალოდ და ძელზე ჩამოკიდებენ. მაგრამ ეს ისეთი მსგავსებაა, რომ ხელს არ გვიშლის დავსვით საკითხი: ხომ არ მომხდარა ამ შემთხვევაში კონტამინაცია ორი ერთსახელიანი (სენა) მოწამისა? ყოველ შემთხვევაში ქართული რედაქცია ლეონტის მარტივობისა სრულიად დამოუკიდებელი, ახალი, დღემდე უცნობი რედაქციაა, ასე რომ მისი საშუალებით აგიოგრაფიაში შედის ახალი ძეგლი.

4. თხზულების ორიგინალი და ქართული თარგმანი. ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ბერძნული დედნიდან. ამას გვაფიქრებინებს ტერმინი „უბტიონი“ და საკუთარი სახელები: ფირმილიანოს, ფილოკრინოს, პოპლიოს. თუ აქ აღწერილ ამბავს, როგორც ზემოთ ვამბობდით, მეოთხე საუკუნეზე დადრე აღვიპი ვერ ექნებოდა, თხზულება, თავისთავად იგულისხმება, ამაზე ადრე ვერ დაიწერებოდა. ვინ უნდა იყოს მისი ავტორი? ბერძნული ტექსტის ეპილოგში ის მიეწერება ვინმე კვიროსს კომენტარისიოსს (საპრობილის უფროსს), რომელმაც ლეონტის მარტივობა აღწერა თითქოს კალის უირფიტებზე და მოწამეს საფლაგში ჩაატანა. ერთი სიტყვით, ის ლეონტის თანამედროვედაა ნაგულისხმები. თანამედროვედაა გამოყვანილი ავტორი, სახელის მოუხსენებლად, ქართულ თარგმანშიაც. აქ ნათქვამია: „ამთ სატანჯველთა შინა უკუე ცვანთ ქრისტეს სტრატიოტისა აღსრულებად“. თხზულების აღწავლა ქართულ თარგმანში საკმაოდ ძველ ელფერს აძლევს მას, ის მატარებლობა „მოწამეთა აქტების“ უძველესი ხასიათისა, არა უგვიანეს მეოთხე საუკუნისა, ასე რომ, თუ ბერძნულია და ქართული ტექსტების ლეონტი ერთი და იგივე პირია, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ თარგმანში შემონახულა ის პირვანდელი რედაქცია მისი, რომელიც კვიროსს შეუდგენია; ბერძნული ტექსტი კი, რომელიც დღეს ცნობილია, უნდა წარმოადგენდეს შემდეგი დროის გაგროვება-გადაკეთებას. ამ უკანასკნელის გამოცემელნი ბოლანდისტები ფიქრობენ. რომ ის შედგენილია თავდაპირველი მოკლე თქმულების ნიადაგზე. ქართულ თარგმანს საკმაოდ არქაული სახე აქვს, ის ყოველ შემთხვევაში მერვე საუკუნეზე უგვიანესი არ უნდა იყოს.

5. ანალიზი თხზულებისა. იმ ნუსხაში, რომლის მიხედვით ჩვენ ტექსტს ვსცემთ, გვაქვს გადაწერის შეცდომანი; მავალითად: მყოფებასა—მყოფობასა, სტრაპოლის—ტრიპოლის, უბტიონი—უბტიონი. ერთი და იგივე სახელი იხმარება როგორც ფილოკრინოს, ისე ფილოკრინონ. მორფოლოგიაში მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ყოველთვის არ არის: პოთ—პპოთ.

ლექსიკაში საყურადღებოა „უბტიონი“, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, და „სამძალი“; პროკოპი კესარიელის მარტივობაში, რომელიც; ქვემოთ იქნება დაბეჭდილი, ამ სატყვას უდრის ლათინური *compendium*; სიტყვა უნდა ნიშნავდეს საჩუქარს, სასყიდელს, სამაგიეროს, მონაგებს.

ახლა მოვიყვანოთ მარტივობის ტექსტს.

წამებაჲ წვილსა მოწამისა ლომონისი

- C 949 a I. მოსრულ იყო ელადადთ სოფლით ყოვლად სანატრელი მოწამს ღმრთისა ლეონტიოს. ერთი იყო ესე პირველთა სტრატოტოგანი და მერმე მიემთხვა იგი აზნაურებისა მყოფობასა. მკნს, და წინამსრბოლი სტრატოტი. ამან 5 თავიღმან თავი თუხი წარუდგინა ზეცისა სასუფეველსა; ყოვლითავე მშუდ იყო კაცი იგი და გონებითა ჭეშმარიტ. ხოლო მას გონებაჲ განმარტებული და შუბიწოდ მოეპოვა და მოსწრაფე იყო ესე ღმრთისმსახურებისა მოძღურებასა წმი-
- C 949 b დისა მოწამისა და მონაზონისა| პოპლიოაქსა რამეთუ გულსმოღვინე იყო იგი და სახიერ სტრატოტებისა ნაწილსა და ღმრთისმსახურებისა მოძღურებასა კე- 10 თილად იზრდებოდა.

- II. მას ჟამსა შინა ყძიებდეს გუნდსა მას შინა სტრატოტთასა მოწამესა ქრისტესსა და ვერ ჰპოებდეს. მაშინ ფირმილიანოს, უმთავრესმან სტრატოტთაჲმან, შესამინა იგი გუნდსა თუსსა და ჰრქუა: «უკუეთუ გინემს ლეონტისი პოენად, მონასტრებსა ქრისტეანეთასა ჰპოოთ იგი». და განვიდეს მეცხელად, რო- 15 მელთა იგი ბრძანებაჲ მოიღეს, გარეშე ზღუდესა ქალაქისასა, სადა იგი მარადის იქცევიან ნეტარი იგი მოწამს ქრისტესი, და პოეეს იგი პოპლიოაქს თანა მონაზონისა და განურსხნეს პოპლიოაქს და განაძეს იგი გარეშე საზღუარსა მის ქალაქისასა, რამეთუ იყო იგი უძლურ და მდებარე ცხედარსა ზედა. | ხოლო
- B 331 a ლეონტი უბტონი, რომელ არს როჭიკისა განმყოფელი, წარიყვანეს და შე- 20 იყვანეს ქალაქად და მისცეს იგი ფილოკინოსს ვისმე, ერისთავსა მისვე გუნდისასა.

- III. მაშინ ჰრქუა ერისთავიან მან მოწამესა ქრისტესსა: «რახასათს ესოდენ შურაცხვიყოფიან უძლეველნი მეფენი და არად შეჰრაცხე ღმერთთა მიმართ კეთილი მსახურებაჲ და ყოვლადვე თავი თუხი შინაგაეც მაცთურსა და 25 უმსახურებელსა შჯულსა ქრისტეანეთასა?». ხოლო ნეტარი ლეონტი პირველად დუმნალა, ხოლო მერმე ღმრთისა მიერ, განზრახვითა მიჰხედა მსაჯულსა მას და ჰრქუა: «ყოვლად კეთილი მსახურებაჲ ღმრთისა მიმართ შჯულისათს მრწამს». და შესძინა მას ზედა სიტყუაჲ და მაცხოვრისა აღსარებაჲ და განბრწყინდებოდა. ხოლო უშჯულომან მან მსაჯულმან, ვითარცა ვინმე უჯეროაქსა მოქმედი, 30 ნეტარი ესე მოწამს მრავალსა ტანჯვასა შეაგდო. ბოროტნი და ძნელნი სათემენელნი ყოველსა ზედა გუამსა მისსა მოაწინა ტანჯვანი და ზღუსა წყლითა
- C 950 b

1 იენისსა| ივლისსა BC.—3-4 ღმრთისაჲ<C.—5 იგი<B, მყოფებასა BC. მკნე<C. 6 ყოვლითავე| ყოვლითურთ B.—7 მას<C.—8 ესე<B.—10 სტრატოტობასა B.—12 მას ჟამსა შინა| მაშინ B.—14 თუსსა| ერთსა B.—15 ქრისტეანეთასა B.—პოოთ BC, და| მაშინ B.—16 მოიღეს| მოვლო B, გარეშე BC.—17 ქრისტესი<C.—18-19 საზღუარსა| მას ქალაქისასა| ქალაქისა საზღუართა B.—19 მდებარე B.—20 უბტონი C.—20-21 შეიყვანეს| შევიდეს C, ფილოკინეს B.—23 მან<C.—25 და<C.—თუხი| შენი B. შინაგაეც| გაეც B.—27 დუმნალა B, მიხედა| მიხედნა ლეონტი B.—28 და ჰრქუა<B.—29-30 და შესძინა... განბრწყინდებოდა| მრწამს სიტყუაჲ და შესძინა მან ზედა მაცხოვრისა (მაცხოვარსა B) აღსარებაჲ გამობრწყინდებოდა BC.—30 ვინმე| ვინ B.—31 ესე<B, ტანჯვასა| სატანჯველსა B.—31-32 დასათემენლნი B.—32 ტანჯვანი<B.

განწილი იგი მისგან ტყავი უბრძანა დაბანად. და მათ საღმობათა ნეტარი იგი მოწამმ მწენდ დაითმენდა. და მიყსეულად შეკრული იგი აღიღეს და ოთხითა მით სატანჯველითა ძელსა დამშქულული, და ლამით და დლით ფერვნი მისნი გან-
 რთხმულად განკრულ იყვნეს.

5 IV. და ხელისაგან მოუწოდა მას ფილოკარინოს მსაჯულმან და გებად
 კერბთა უბრძანებდა. ხოლო ნეტარი იგი მოწამმ არარას სიტყუასა მიუგებდა,
 არამედ მათ ყოველთა ქრისტესა უქადაგებდა მრავლითა კანდიერებითა. ხოლო
 რომელნი იგი წინაშე დგეს და გარემო მისა, უკურდა, რამეთუ იყო იგი მწენ
 და სრულ სულითა და ქაბუკ და ძლიერ გორციითა; დაღათუ ესევეთარსა შინა
 10 იყო ტანჯვისა, არამედ რჩეულსა მას ქრისტესს მიმართ აწუენებდა სარწმუნოე-
 ბასა. [რამეთუ ბირველი იგი ტანჯვად არღა დაეცადა და კუერთხითა ყოვლა-
 დვე გორცნი წმიდისა მოწამისანი] მოჰბძარნა და ესრეთ უკუანახსენელ ზღუსა
 წყლითა მის ზედა მოწვენული იგი გუემანი უბრძანა დაბანად და ამის უბორო-
 ტსითა ტანჯვითა ნეტარსა მას მოწამესა სტანჯვიდა, რომლისათჳს წმიდასა
 15 მას მოწამესა დათმენად ვერღარა ეძლო, ტანჯვისა მისგან საღმობითა, და გა-
 ნუტევა სული. ამათ სატანჯველთა შინა უკუე ვცანთ ქრისტესს სტრატოტიცისა
 აღსრულებად. და სული მისი ანგელოზთა ოანა ზეცისა სასუფეველსა მიიწია,
 ხოლო პატროსანნი იგი ნაწილნი მისნი ქუეყანამან შეიწყნარნა. და იხარებს უკუ-
 ნისადმდე, რამეთუ სძლო კეთილისა მის მოძულესა ბრძოლასა მწენმან ამან ტრი-
 20 პოლის, ქალაქსა ზღუსკიდესა, რამეთუ მუნ კეთილისა ღუაწლისა მომცემელმან
 ქრისტემან ძლევისა სამძალი იგი აღუსრულა, რომლისად არს დიდებად მამისა
 თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე. ამცნ!

C 951 a
 B 331 b

5 ხელისაგან] ხოლო ხელისა დღმ B; ფილოკარინონ BC.—6 სიტყუასა < B.—12 მო-
 ჰბძარანა უბრძანა მოკრად B.—15 მოწამსა B; სტანჯვად < B. სტანჯვიდა | მოყუარედ ჰა-
 ტიე ეცა BC.—რომლისათჳს რომლისაგან C.—16 წმიდასა] ნეტარსა B. მოწამესა < B. 16 სა-
 ტანჯველთა < B.—18 იგი ნაწილნი] კორცნი C.—18 უკუნისადმდე < C.—19-20 ტრიპოლის] სტრა-
 პოლის B.—20 მომცემელმან] მომღებელმან.

საკითხავი დღესასწაულთათვის

ეს „საკითხავი“, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე შენახულა, მეცნიერებაში უკვე ცნობილია: მისი რუსული თარგმანი, შესავალი წერილით, ჩვენ გამოაქვეყნეთ 1905 წელს¹. მან იძთავითვე დაიმსახურა სპეციალისტების ყურადღება, განსაკუთრებით მის გამოგებმაურა აწ განსვენებული აკად. ნ. მ ა რ ი². მისი მნიშვნელობა ორგავარია: ზოგადი კულტურულ-ისტორიული და წმიდა ქართველოლოგიური.

„საკითხავი“ ეხება ქრისტიანული სამყაროსათვის ერთ დროს სადავოსა და მნიშვნელოვან საკითხს, სახელდობრ—როდის უნდა სრულდებოდეს ქრისტეს შობის დღესასწაული? ეს დღესასწაული ჩამოყალიბდა დაახლოვებით მეორე საუკუნეში, მაგრამ სხვადასხვა ადგილას მას სხვადასხვა დროს ასრულდებდნენ. რომსა და მასზე დამოკიდებულს დასავლეთის ქვეყნებში იმას დღესასწაულობდნენ 25 დეკემბერს, ხოლო სამეგრეთისა და აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში—6 იანვარს, ნათლისღებასთან ერთად. ამ დღესასწაულს აქ ეწოდება „განცხადება“ (ἐπιφάνεια), რაც გულისხმობდა ქრისტეს განცხადებას, გამოჩენას, როგორც შობის, ისე ნაოლისღების ფაქტით. რომის პრაქტიკა თანდათანობით აღმოსავლეთისაკენაც იკაფავდა გზას; ეს გზა დღესდღეობით საკმაოდ გათვალისწინებულია მეცნიერებაში³. ამისი მიზეზი იყო უზარმაზარი რომის იმპერიის თანდათანობითი ქრისტიანიზაცია: 25 დეკემბერს, როგორც მზის მოქცევის დღეს, წარმართები დღესასწაულობდნენ „მზის დაბადებას“ (Dies natalis solis); ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ეპატრონებოდა წარმართულ დღესასწაულებსაც, მხოლოდ იმათში ის ქრისტიანულ შინაარსს სდებდა. ამიტომ მან შეითვისა ეს დღესასწაულიც და უწოდა მას დღესასწაული „ქრისტეს შობისა“, მით უმეტეს, რომ ქრისტეს მისი მიმდევრები აღეგორიულად „სიმაართლის მზეს“ უწოდებდნენ. ამავე მოსაზრებით „ქრისტეს შობა“ აღმოსავლეთშიც, „განცხა-

¹ К. Кекелидзе, К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви (Труды Киевской Академии, 1905 г., № 1). 1944 წ. ეს „საკითხავი“ გამოაქვეყნა ილ. აბულაძემ, ენიშკის შობამე XIV, 302—307.

² Н. Марр, Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен (Серповые Ведомости, 1907 г., № 3).

³ Н. Usener, Das Weihnachtstfest; проф. Ф. Смирнов, происхождение и значение праздника Рождества Христова, Киев, 1883 г. Проф. М. Скабалавинович, Толковый Типикон I, 296—303. Акад. Н. Марр, Ефрема Сирина—О днях празднования Рождества Христова (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, 1900 г.).

დებისაგან“ გამოყოფის შედეგ, 25 დეკემბერს იქნა გადმოტანილი, მხოლოდ სომხეთში იქნა შენარჩუნებული ძველი პრაქტიკა: აქ მორწმუნენი დღესაც 6 იანვარს დღესასწაულობენ „შობას“. 25 დეკემბრის დღესასწაული აღმოსავლეთში პირველად ჩნდება კონსტანტინოპოლსა (376 წ.) და ანტიოქიაში (386 წ.). ყველაზე მეტი კონსერვატიზმი გამოიჩინა „ქრისტეს აკანმა“—იერუსალიმმა. არსებობს ცნობა, თითქოს აქ 25 დეკემბრის დღესასწაული შემოღებულ იქნა მეხუთე საუკუნის ნახევარში, იობნალი პატრიარქის (420—458) დროსო. მაგრამ ამ ცნობას ეწინააღმდეგება მეექვსე საუკუნის პილიგრიმის ეთერიას შრომა *Peregrinatio ad loca sancta* (გამოცემანი *Gamurrini* და *Помяловский-ისა*), რომელშიც შობა და ნათლისღება ჯერ კიდევ განუყრელია და 6 იანვარს იეჟულისხმება. თუ ამ შრომის ავტორის ვინაობა ჯერ კიდევ საცილობელია და ზოგიერთი მას მიაკუთვნებს მეოთხე საუკუნის პილიგრიმს სილვია აქეიტანელს, კოზმან ინდიკოპლესტის „ქრისტიანულ ტოპოგრაფიაში“ (530 წლის მახლობლად) პირდაპირაა ნათქვამი: „მაშინ, როდესაც ქრისტეს შობას ყოველგან დეკემბერში დღესასწაულობენ, მხოლოდ იერუსალიმელები არამტკიცე მოსასრებით (ძოჯჯჲთჲს) მას ნათლისღებასთან ერთად უქმობენო“ (*Migne, PG. t. 85, col. 469*). კოზმანის ცნობას მხარს უჭერს და საბოლოოდ ამაგრებს ქართული „საკითხავი“, რომელიც მაჩვენებელია იმისა, რომ იერუსალიმში მეექვსე საუკუნეში ჯერ კიდევ იმდენად მტკიცე ყოფილა ძველი პრაქტიკა, რომ საჭირო გამხდარა სავანებო, იმპერატორის იუსტინიანის სახელით წარწერილი, ეპისტოლეს შეთხზვა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. „საკითხავი“ წარმოადგენს თავისებურ მეცნიერულ ტრაქტატს, რომელიც მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ შობა სწორედ 25 დეკემბერს უნდა ვიდღესასწაულოთ და არა „მექექუსესა მას თთუესა იანვარისასა“, როგორც ამას „შეცთომილნი ვინმე“ სჩადიანო. ამ მხრივ მისი ზოგადი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უდავოა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეს „საკითხავი“ ქართული კულტურის ისტორიისათვისაც. ცნობილია, რომ თავდაპირველი ქართული ქრისტიანობა მატარებელი იყო აღმოსავლური, კერძოდ იერუსალიმის ტრადიციებისა¹, მაშასადამე, ცხადია, ჩვენში ფეხმოკიდებული იქნებოდა იერუსალიმის პრაქტიკა ქრისტეს შობის დღესასწაულის ხაზითაც, განსაკუთრებით სომხებთან ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ურთიერთობის ხანაში. მართლაც, უძველესი ქართული ლიტურგიული ძეგლები, რომლებშიც 26 დეკემბერს დადებულია ხსენება დავითისა და იაკობისი, ხოლო 27 დეკემბერს სტეფანესი, მაჩვენებელია სწორედ ამ პრაქტიკისა. თავისთავად იგულისხმება, ეს პრაქტიკა მეექვსე საუკუნეზე ადრე ვერც ჩვენში შეიცვლებოდა. როდის შემოვიდა ჩვენში 25 დეკემბრის დღესასწაული, ზედმიწევნით ჩვენება ძნელია. პირველი ლიტურგიატურული ძეგლი, რომელშიც ნაჩვენებია განცალკევებულად უქმობა 25 დეკემბრისა და 6 იანვრისა, არის აბო თბილელის მარტვილობა შერვე საუკუნის მიწურულისა. აუცილებელი საგულებელია ეს „იერუსალიმის განჩინების“ გადმოთარგმნის ხანაშიც,

¹ К. Кекелидзе, К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви, Петроград, 1914 г.

ესე იგი მერვე საუკუნის ნახევარში. ჩვენ გვგონია, რომ 25 დეკემბრის დღესასწაულის შემოღებას ჩვენში ადგილი ჰქონდა მეშვიდე საუკუნის დამდეგს, სომხებთან სარწმუნოებრივ-ეკლესიური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ უმაღლ.

ძველი ნათარგმნი თხზულება; ამის გარანტია იმდენად იუსტინიანე იმპერატორის სახელი არაა მის სათაურში, რამდენადაც გადანაშთები რომაული კალენდრისა იმაში: „რვით დღით წინა თთჳსთავითგან იანვარისაათ, თთუესა დეკნებრსა ოცდახუთსა“, „რვით დღით წინა თთჳსთავითგან აპრილისაათ თთუესა მარტსა ოცდახუთსა“, რვით დღით წინა თთჳსთავითგან ივლისისაათ თთუესა იენისსა ოცდახუთსა“, „რვით დღით წინა თთჳსთავისაათ ოკტონებრისაათ თთუესა სეკუნდებრსა ოცდაოთხსა“. ეს უდრის რომაულს ante diem octavum Kalendam Ianuarias,—Aprilis,—Iulias. თხზულება რომ თარგმანია. ეს ჩანს აგრეთვე არწრუნთა ეპისკოპოსის გრიგოლის ეპისტოლედან სომეხთა მიმართ. ამ ეპისტოლედან ჩანს, რომ სომეხები იცნობდნენ ამ „საკითხავს“ და იყენებდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ შობის დღესასწაული 25 დეკემბერს არაა თავდაპირველი, რომ ის შემოღებულია იუსტინიანე იმპერატორის დროს 560 წელს, საკუთრივ მისი მეფობის მე-33 წელს¹. გადმოთარგმნილია თხზულება არა ზოგადი ეორტალოგიული, არამედ სომეხებთან და მათ პრაქტიკასთან პოლემიკის მიზნით; მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, იმავე მეშვიდე საუკუნეში. ამ მხრივ ეს თხზულება ერთ-ერთი უძველესი თარგმანის ნიმუშია. ამის მაჩვენებელია ენობრივი მხარე თარგმანისა, განსაკუთრებით კი ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილი მისი; ეს ბუნდოვანება შეიძლება არა უეგლის წარყენისა შემდეგი დროის გადამწერთა ხელში², არამედ მთარგმნელობითი ტექნიკის არასაკმაო განვითარებისა და დედნის შესაფერისი ადგილების გაუგებრობისა. სომეხებისაგან სარწმუნოებრივ-ეკლესიურად ჩამოშორების შემდეგ საკითხი შობის დღესასწაულისა და მასთან დაკავშირებით ორი სხვა დღესასწაულისა—მირქმისა და ხარებისა, რომელთა შესახებაც ლაპარაკობს ავტორი თხზულებისა, საბრძოლო ლოზუნგად იქცა ქართველთა და სომეხთა შორის³. ამიტომ საესებით გასაგებია გადმოთარგმნა ამ თხზულებისა, რომელიც ბერძნულად დაწერილი იყო საზოგადოდ ძველი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ.

იმავე დროს, რა დროსაც ითარგმნა ეს თხზულება, და იმავე მიზნებით გადმოღებული უნდა იყოს ორი ანალოგიური პატარა ნაწარმოები, რომელთაც ადგილი აქვთ იმავე ხელოვნებაში, რომლებშიაც აღნიშნულ „საკითხავს“⁴.

რაც შეეხება „საკითხავის“ ავტორს, თუმცა ავტორში ასეთად იმპერატორი იუსტინიანეა დასახელებული, მაგრამ არ გვაქვს საბუთი ვთქვათ გვდაქრით, რომ ეს მართლა ასეა. უდავოა, იუსტინიანეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანული ეკლესიის „წესების“ კეთილმოწყობასა და განკარგვაში, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს თხზულება მის კალამს ეკუთვნოდეს; შეიძლება ის დაწერილი

¹ Н. М а р р, Ефрема Сирина—О днях празднования Рождества Христова, стр. 21.

² ასეთ ადგილებს ეძღვნობთ თხზულების ორსავე ნუსხაში, რომელნიც სწავდასხვა არქტივიდან უნდა მომდინარეობდნენ.

³ კოხნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I² 451—452.

⁴ იქვე.

აყოს მისი ბრძანებით და მინდობილობით, და თუ ის უშუალო ავტორადაა გამოყვანილი, ეს იმიტომ, რომ თხზულებას მეტი ძალა, ავტორიტეტი და გავლენა მოეპოვება. ნაწარმოები კომპილაციური ხასიათისაა, აღებული საკითხი იმაში გადაწყვეტილი და დასაბუთებულია ეკლესიის ისეთი „მაჩვენის“ მოსაზრებებით და შეხედულებებით, როგორც არიან გრიგოლ ნიზინელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი და ნეტარი აგვისტინე.

თხზულება ცნობილია დღეს მეათე საუკუნის ორ „მრავალსავეში“ საქართველოს მუხეუძისა: საეკლესიო ფონდის № 19 (=A) და № 95 (=C), როგორც გამოცემის აპოკრიფი და ვინაიდან დაინახავთ, გადამწერთ ხელში მათ არაერთი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური ცვლილება განუცდიათ და ეს არც გასაკვირველია ოთხი საუკუნის მანძილზე—მეშვიდედამდე მეათე საუკუნემდე.

ახლა მოვიყვანთ თხზულების თვით ტექსტს მნიშვნელოვანი ვარიანტების ჩვენებით.

საკითხავი, თქუთული დღესასწაულთათვის, რომელი იგი მიიწერა A 71a
იქაუსაღვამდ ისტენიანს მიერ, მიჰისა მართლმორწმუნისა, C 65a
ხარამისათვის და შოზისა, მიგაგაგისათვის და ნათლისღებისა

- I. ყოველნი, რომელნი ხართ ქრისტეანენი და აღიარებთ სარწმუნოებასა კათოლიკე ეკლესიისასა, რომელი იგი, წმიდათაგან წიგნთა დაწერილი, წმიდათა მამათა [და] მოძღუართა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესათვის გუასწავეს, კრძალულად აღვასრულოთ და გულისწმავყოთ, რადენი რაჲ არს მისი იგი ჩუენდა მომართ სახიერებაჲ და კაცთმოყუარებაჲ. დასაბამად ესე, რამეთუ კაცი | შექმნა თავისა თვისსა ჯელმწიფედ და დაადგინა იგი სამოთხე- C 65b
- 10 სა და მისცა მცნებაჲ. და უკუეთუმცა დაემარხა იგი. იყომცა | უტოდველ და A 71b
 სამოთხისა მისგან არამცა გამოძებულ იყო; დაღათუ გარდაჰქნა იგი, ესრითცა არავე უგულვებელსყო იგი სახიერმან—კაცთაჲ ნათესავი. და მოსსს მიერ მოსცა ცხორებისა შჯული, და მისცა გარდავეჰქნეს. და მისა შემდგომად წინაღმართ-მეტყუელნი მოავლინნა, და მათიცა არავე ჰრწმენა. და სხუთა ვერეინ რაჲ შე- A 72a
- 15 საძღებელ იყო, რადათამცა ცხონდა ნათესავი კაცთაჲ, არათუმცა თუთ იგი თავადი მოსრულ იყო. და მოავლინა გაბრიელ ანგელოზი, ვითარცა იგი გუასწავებს ჩუენ ლუკა მახარებელი, ზაქარიასა, ქმრისა ელისაბედისსა. და ახარა მას მისა მისისა იოვანესათვის, რადათამცა წინამორბედ და მოწამე იპოვე მაცხოვრისა მოსლვასა. და ოდეს შევიდა ზაქარია ტაძარსა უფლისისა ეჰმასა მას კუჩუვისასა, A 72a
- 20 და ურწმუნოებისა | მისისათვის იყო იგი დაღუმებულ, ვიდრემდის შუა ელისაბედ C 66a
 ძმ იგი მისი, წმიდაჲ იოვანე, ვითარცა იგი ითქუა მისა მიმართ ანგელოზისა მიერ. და ელისაბედის მიდგომითგან; მოივლინა იგივე გაბრიელ ანგელოზი მე- A 72a
 ექუსესა თთუესა ღმრთისა მიერ ქალწულისა მარიამისა ხარებად, რადათამცა მუკლად იღო თავადი უფალი და შუა ჳორციელად.

1 საკითხავი < C; რომელ B. —მოიწერა C. —2 ისტენიანეს C; —მართლმადიდებლისა. —5 კათოლიკე C; ეკლესიასასა; იგი < A; წერილი C.—6—7 ქრისტესთვის C; რადენ A.—8 მართი C.—იყომცა | იგი C.—12 მისეს C.—13 რჯული; მისა C.—17 ზაქარიასსა C.—18 მოწამე A.—20 მისთვის A.—21 იოვანე C.—23 მექუსესა თუესა მოივლინა იგივე გაბრიელ : 5-გელაზი C.

II. და ჯერარს გულისწმის ყოფად დიდიცა ესე ღმრთისა საიდუმლოჲ-
 რამეთუ ოდეს იგი იოვანწსთუს ახარა, არათუ ელისაბედისა მოივლინა გაბრიელ
 ანგელოზი, არამედ ზაქარიაჲსა, რამეთუ იოვანე თესლისაგან ზაქარიაჲსა შობანდ
 იყო ელისაბედისგან. და კულად იგივე გაბრიელ ანგელოზი არათუ იოსებისა
 მოივლინა, არამედ მარიამისა, რაჲთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჯორციელ იქმნეს და
 იშვეს; ხოლო იოსებისა ბრძანებითა ღმრთისაჲთა თხოვილ იყო, რაჲთამცა თა-
 ვადსა უფალსა და წმიდასა მას ქალწულსა და დედასა [ჰმსახურა]. თავადი
 იგი, უწინარსს საუკუნეთა მხოლოდშობილი | სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მამისაგან
 შობილი [არს] დაუსაბამოდ არა ჯორციელად. ხოლო ჯერ-იჩინა ღმერთმან შე-
 მოხად ხატი მონებისა, ესე არს ბუნებაჲ კაცთაჲ. ქალწულისა მარიამისგან
 ყრმად იშვა და ბავასა შინა განისუენა და კაცთა თანა იქცეოდა | და არარაჲ
 შოაკლდა ამის ყოვლისაგან ღმრთებასა მისსა, არამედ ივსნა საცთურისაგან ნა-
 თესავი კაცთაჲ და საუკუნოჲსა მისგან დაშჯისა ყოველნი მორწმუნენი მისნი
 განათავისუფლნა. რამეთუ ქალწულმან მამაკაცი არ იცოდა, გარნა ჭურჭელნი
 იგი ჯორცთა მისთანი უფალსა ამსახურნა, და იშვა მისგან ბუნებით და არა
 ცოდვით. და ესეცა საკვრელი გულისწმის საყოფელ არს, რომელ ზაქარია ურ-
 წმუნოებისა მისისათჳს დადუმებულ იყო, ვიდრემდის იშვა ძმ იგი მისი იოვანე,
 ვითარცა იგი ითქუა მისა მიმართ ანგელოზისა მიერ. გარნა მარიამ სიტყუასა
 მას ანგელოზისასა არა ურწმუნო იქმნა, არამედ ჰკითხა მას, ვითარ მუცლად
 ილოს? და ვითარცა ისწავა საიდუმლოჲსა მის ძალი, ჰრქუა ანგელოზსა მის:
 | „მეყავნ მე სიტყუსაებრ შენისა“. და კურთხეულ და დიდებულ არს ღმრთის-
 მშობელი და ჯერ-არს მარადის ღმრთისა კაცთმოყუარებაჲ მოჰსენებად და სა-
 ხიერებასა მისსა დიდებაჲ! უმეტეს ყოველთა დღესასწაულთა | სარწმუნოთა
 [არს] რომელი მიემთხვივის დღეს აღსრულებად ღმრთეებისა მისისა საიდუმ-
 ლოჲ, რომელი იგი აღასრულა ჩუენისა ცხორებისათჳს.

III. გუესმა ვითარმედ იერუსალმს შეცთომილნი ვინმე არა შეუდგან წმი-
 დათა წერილთა და [სწავლასა] მამათა [და] მოძღუართასა და არა ჰყოფენ წმი-
 დასა ამას ჯორციელად შობასა ჟღელისასა ოცდახუთსა თთჳსა მის დეკენბერისა-
 სა, შობასა უფლისასა [ქსენებასა] დავით-იაკობისსა ჰყოფენ. და მეექვსესა მას
 დღესა თთჳსა იანვარისასა ნათლისღებაჲ არს, და შობასა და ნათლისღებასა
 ერთად ჰყოფენ. და ამას ცთომასა მით შეცვეს პირველნი იგი, რამეთუ არა
 ეკრძალნეს დღესა მას ხარებისასა, რომელი იგი იყო გაბრიელ ანგელოზისა მირ-
 ერ | წმიდისა მიმართ [და] მარადის ქალწულისა მარიამისა, რომელი იგი ჯორ-
 ცეულობით იყო მისა ღმრთისა სიტყუაჲ, რომელი იგი მუცლად ილო, რომელი-
 ცა იგი აღესრულა ოცდახუთსა თთჳსა მარტსა. და მით ცთომითა და უცბო-
 ბითა ვერცაღა მიგებებასა მართლ ჰყოფენ. ხოლო მე აწ არათუ მძლავრობითა,
 | არცა კელწიფებითა, არამედ საღმრთოთაგან წმიდათა წიგნთა და წმიდათა-

2 იოვანესთუს C; ვნარა A; მოივლინა მოვიდა C.—6 თხოვილ—ოდეს A.—9 შობილი.
 AC.—11 შინა შიდა A.—13 დაშჯისა დარჩისა C.—14 განათავისუფლნა < C; ჭურჭერნი C.—
 17 იოვანწ C.—23 უმეტესად C.—24 რომელი და AC; მიემთხვევის C.—28 უფლისასა < A.—
 30 თჳსა C.—35 აღსრულა A.—35—36 უცბობითა ცილობითა, A.

- ჯან მოძღუართა გამოძიებითა და სწავლითა ვისწრაფე ესე უწყებად თქუნდა და მათა, რომელი იგი გარდააქცევენ დღესასწაულთა მათ, [და] გამოჩინებულ უმეტრებათა მათთა, რადთა მოიქცენ ცნობად. ლუკა მახარებელი გუასწავებს ჩუენ ვითარმედ თთუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქა-^{I 26—27, 36}
- 25 ლაქსა გალილეასსა, რომლისა სახელი ნაზარეთ, ქალწულისა მარიამისა, რომელი იგი თხოვილ იყო ქმრისა, [და] ახარა მას უფლისთვს და ჰრქუა: ესე მე-
ექუსმ თთუშ არს, ვინათგან ელისაბედ, ნათესავი შენი, მიდგომილ არს სი-^{C 68a}
ბერესა თვსსა. და აკურთხა იგი ანგელოზმან მან და წაზრვიდა. ხოლო მათ დღე-
თა შინა აღდგა მარიამ და მწრაფლ წარემართა მზად ქალაქად იუდასა და
30 შევიდა სახლსა ზაქარიაჲსსა და მოიკითხა ელისაბედ. და ვითარცა წერილ არს, მოიკითხნეს ურთიერთას. და დადგრა მუნ მარიამ სამ თთუე. ამით ქეშმარი-
ტად ჩას, რამეთუ ექუსისა თთუჲსა | მიდგომილ იყო ელისაბედ იოანესთვს თთუე-^{A 1 39—41}
სა, რომელ არს მარტი. ამას თთუესა ახარა გაბრიელ ანგელოზმან მარიამს, ოცდამეხუთესა დღესა. და სამნილა თთუენი უკეთმოეთაღვიან და აღესრულე-
15 ბიან ცხრად თთუედ. თთუესა იენისსა ოცდახუთსა არს შობად იოვანესსი, რომელსა განჩინებულად ვჰყოფთ ყოველნი ქრისტეანენი შობასა მისსა. და მით
დღით უკეთმოეთაღვის და ჩას, რამეთუ ოცდახუთსა არს ხარებაჲ მარიამისი
გაბრიელის მიერ. და მითვე დღითა ჩას: შობითგან | იოვანესსით წამომართ წა-
მოითუალვის და აღესრულების ცხრად თთუედ ოცდამეხუთშ დღშ თთუჲსა დე-
20 კენბერისაჲ.

IV. და ამას წმიდათა წიგნთაგან და წმიდათა მამათა [და] მოძღუართა მიერ სწავლითა ჩუენ მართლმადიდებელნი აღესრულებთ პირველითგან და არა თუ ჩუენ რამეე ახლად მოვიძიეთ. და ჩას წმიდათაგან წიგნთა და სახარებისა-
გან ვითარმედ სხუაჲ დღშ არს შობისაჲ და სხუაჲ დღშ არს ნათლისღებისაჲ.

- 25 შობასა ქრისტესსა ანგელოზთა ერნი [იხილებიან] და ნათლისა გამოჩინებაჲ | და მწყემსთა საკვრელებაჲ და ვარსკულავისაგან აღმოსავალით მოგუთა მო-
სლვაჲ და ჰეროდსაგან ჟამისა გამოკითხება [იქმნების]. ხოლო ნათლისღებისა და განცხადებისათჲს სხუაჲ აქუს წიგნთაგან წამებაჲ წმიდათაგან მახარებელ-
თა. რამეთუ მათშ მახარებელი იტყუს ვითარმედ მათ დღეთა მოვიდა იესუ გა-^{A 74b}
30 ლილეათ იორდანედ იოვანესსა ნათლისღებად მისგან. სოლო იოვანე აყენებდა მას | და ეტყოდა: „მი მევს შენ მიერ ნათლისღებაჲ და შენ ჩემდა მოხვალა?“
და მერმელა მიუშუა მას იოვანე, ვითარცა წერილს არს. და ვითარცა აღმოჲდა მიერ წყლით. განეხუნეს ცანი და სული წმიდად გარდამოჲდა მის ზედა, ვი-
თარცა წერილ არს მოწყებით. და აწ ჩას, რამეთუ სხუაჲ დღშ არს ნათლისღე-
35 ბისაჲ და სხუაჲ დღშ არს შობისაჲ. ხოლო აწ ვითარცა წიგნნი და მოძღუარნი გუასწავებენ, ეგრეთა ვჰყოფდეთ თითოეულად და არა ორივე ერთსა დღესა

3 უმეტრებითა მათთა AC; [ცნობად] ვითარცა A.—5—6 რომელი... ქმრისა <C.—8 თვს-
სა] მისსა C.—9 აღდგა] ზედდგა C; მწრაფლ <A.—11 მუნ <C; თუშ C.—12 ექუსის თთუჲსა] შე-
ექუსესა თთუესა AC.—13 და მასვე თთუესა C.—14 უკეთმოეთაღვიან] უკეთმოერთან C.
—15 ოცდაოთხსა C; იოვანესი A.—18 იოვანესით C.—21 მამათა <A.—22 მიერ <C.—24 დღე C.
—24 დღე C.—25 გამოჩინებაჲ] გამობრწყინებაჲ C.—27 ერთდესამან A.—28 წიგნთაგან <C.
—29 მათ დღეთა] მაშინ C—31 მიერ <C.—36 დღშსა A.

A 75a აღვასრულოთ. და აწ ვაჩინოთ მრავლისაგანი მცირედ, რომელი იგი წმიდათა მამათა | წიგნთა შინა გამოიძიეს დღითი-დღედ და შემდგომითი შემდგომად და ჩუენ გუასწავეს.

V. გრიგოლი, ეპისკოპოსი ნაზიანზორეველი და ღმრთისმეტყუელი და საკრველთმოქმედი ქეშმარიტად იტყუს ვითარმედ სხუად დღჲ არს შობისად და სხუა დღჲ არს ნათლისღებისად, და ესრჱთ იტყუს ვითარმედ „შობისად გარდავივადეთ, ვარსკულაფისა | თანამორბედ ვიქნენით და მოგუთა თანა თაყუანის-ვეციით და მწყემსთა თანა გამოვლწყინდით და ანგელოზთა თანა დიდებამ მივეციით“. და ნათლისღებისათჳს ესრე იტყუს ვითარმედ „სხუად მადლი და სხუად საიდუმლოა. დაღათუ იოვანსესებრ ვერ ღირს ვიქმნე ქადაგებად, დღესა ამას პატივესკეთ და აღვასრულოთ, რადთა ნათელვილოთ მის თანა“. და ნეტარმან გრიგოლი ეპისკოპოსმან ნოსელმან, ძმამან წმიდისა ბასილისმან, თჳთა: „წარვიძღუნოთ თავადი დავით წინააღწარმეტყუელი, რომელი იტყუს: ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, მოვედით, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა“. | რამეთუ დღჲ ესე შობისად ამით ჩას ოცდამეხუთჲ თთუჯა დეკენბერისად, რამეთუ ნათელსა და დღესა შეემატების და ღამესა მოაკლდების. და ამითცა ჩას ვითარმედ შობად ქრისტჱსი ოცდახუთსა დეკენბერსა არს. და ნეტარი ავსტიწონს, ეპისკოპოსი აფრიკეთისად, შობისათჳს იოვანსსა ესრე იტყუს, და აჩუენებს ჟამსა და დღეთა და ხარებასა მარიამისსა და შობასა ქრისტჱსსა: „დღჲ ესე | იოვანსს შობისად გამოვაჩინო, დასაბამი და დასასრული, რამეთუ ორი ჯერი არს მზისა ქცევაჲ წელიწადსა და დასწორებაჲ დღეთად. ერთი ესე ქცევაჲ მზისად დღეს არს, ოცდახუთსა იენისსა, და ერთი იგი ქცევაჲ თთუესა დეკენბერსა ოცდახუთსა, რამეთუ რვით დღით წინა თთუსთავითგან იანუარისადთ, თთუესა დეკენბერსა ოცდახუთსა, იშუა ქრისტე მირიამისაგან ქალწულისა. და რვით დღით წინა თთუსთავითგან აპრილისადთ, თთუესა მარტსა ოცდახუთსა, ესარა მარიამს გაბრიელის მიერ. და რვით დღით წინა თთუსთავითგან ივლისისადთ, თთუესა | იენისსა ოცდახუთსა, იშუა წმიდა იოვანე. და რვით დღით წინა თთუსთავისადთ ოკტობრერისადთ, თთუესა სეკენბერსა ოცდაოთხსა, მუკლადროლ ელისაბედ იოვანე“.

VI. იოვანსს შობად დღეთა მოკლებასა იყო, ხოლო ქრისტჱსი დღეთა აღმატებასა; და ამას იოვანე თუთ იტყუს ვითარმედ „ჩემდა ჯერ არს მოკლებად, ხოლო მისა აღმატებაჲ“. | და ესეცა საკრველი გულისგმა ვყოთ, ვითარ იოვანე ღამეთა შემატებასა იშუა და ქრისტე დღეთა შემატებასა იშუა. და იგივე ნეტარი ავსტიწინე ნათლისღებისა და განცხადებისა დღეთა გამოაჩინებს და იტყუს ვითარმედ „ნათლისღებისა წინა ათორმეტი დღით იშუა“. და მით ჩას— იანუარსა ექუსსა ნათლისღებამ არს და განცხადებამ. და წმიდა იოვანე ოქროპირი ესრე იტყუს ვითარმედ სხუად დღჲ არს შობისად და სხუად დღჲ არს ნათ-

1 ვაჩუენოთ C.—4 გრიგორი ნაზი ნაზორეველი A.—5 დღე C; 6 დღე C; ესრე A.—8—9 და მწყემსთა... მივეციით და ანგელოზთა თანა დიდებამ მივეციით C.—8—9 მივეციით მივეციეთ A.—12 გრიგორი C; ნოსელმან ნოსაჲსამან.—13 რომელი რამეთუ AC; დღე C.—15 ესე იგი C.—16—17 ვითარმედ რამეთუ A.—21 ქცევისა C.—23 თჳსა C.—27 ოცდახუთსა ოცდაოთხსა C; იოვანს C.—33 და ქრისტე.. იშუა <A.—34 და განცხადებისა <A.—36 იოვანს C.—37 შობისად.. დღე არს <C.A.

ლისლებსიაჲ: „რად იტყვან და გუაცილობენ, ვითარმედ ახალსა რასმე მოიღებენ და გუაცილობენო? ესე კეთილად | დაირწმუნენ მაცილობელო, რამეთუ დღს A 76b ესე ძუელი არს, დასავალისათა და ჰრომთა გარდაუტყვევლად უპყრის დღს ესე შობისაჲ და ნათლისღებისაჲ და ხარებისაჲ და მიგებებისაჲ. ხოლო ჩუენ ათილა წელი არს და-რად-ვემყენით ძუელსა მას და აღვიხარდებით და ნაყოფი გვხილავს; უკუეთუმცა არა იყო ღმრთისა მიერ |, განმცაქარდებოდა. ხოლო აწ C 71a ყოველი სოფელი საესე არს და, შეიწყნარებენ დღითი-დღედ“. და ესეცა ჩას, ვითარ[მედ] ელისაბედისთვის ზაქარიას ეხარა კუმეფას საკუმეველისასა, რომელ არს თთუშ მემვიდმ, რამეთუ შემდგომად ხარებისა ნიუდგა ელისაბედ. და ამას 10 გამაჩინებს ლევიტელთაჲ და რიცხუთაჲ, რამეთუ ათხუთმეტით დღითგან ვიდრე ოცდამეორედ დღემდე ზატიკობედ თთუესა სეკლენბერსა და მერმელა შემდგომად ოცდამორის დღისა წარვიდა სახიდ თჳსად, ესე იგი არს ოცდამესამესა დღესა; და ოცდამეხუთსა დღესა მუცლად ილა ელისაბედ. და კულად იტყვს ვითარმედ „თქუნ შორის დგას, რომელი თქუნ არა იცით და არცა მე ვი- 15 ცოდ იგი. | გარნა რომელმან მომავლინა მე მრქუა ვითარმედ „რომელსა ზედა A 77a იხილო სული ღმრთისაჲ გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელგეცს თქუნ სულითა წმიდითა“. რომლისა მიზნისათჳს იყო იოვანესი იგი მოსლვად იორდანელ? ამისთჳს, რამეთუ ყოველი იგი ერი იორდანესა მიკრბა და ყოველნივე | იგი ველნი საესე იყვნეს მომავალთგან ქალაქები C 71b საან და დაბნებისა. და რაჟამს უფალი ჩუენი იესუ ქრისტელ მოვიდოდა იორდანედ, ყოველსა ერსა უჩუენებდა და ყოველსა გამოუცხდა მამინ დმერთი. არა-აჲ იოვანე კარად-კარად ვიდოდა და უთხრობდა და არცაღა საესებასა მას კაც-თასა კიდეთა იორდანისათა ჳელისპყრობით კრებულსა შორის შეიყვანებდა, არა-მედ შორის მათსა მდგომარქ უჩუენა, და მამისაგან წამებითა იოვანესი იგი ქა- 20 დაგებდა დამტკიცნა.

VII. აწ ამით ყოვლითა, რომელი წმიდათა მამათა და მოძღუართა წმი-
 დათაგან წიგნთა გამოიძიეს და დადევს და დაამტკიცეს, ჩუენ ყოველნი ვჰყოფთ
 ამით დღესასწაულთა: ოცდახუთსა | მარტსა ხარებდა წმიდისა ღმრთისაშობელი- A 77b
 საჲ, და თთუესა დეკენბერსა ოცდახუთსა შობდა ქრისტესი, ღმრთისა ჩუენისაჲ,
 30 ქალწულისა მარიამისგან, და წმიდაჲ იგი განცხადებდა მისი და ნათლისღებდა
 თთუესა იანვარსა ექუსსა |. და შობითგან მიეთუალოთ, ვითარცა ლუკა მახარე- C 72a
 ბელი გუასწავებს, მეორმოცესა დღესა, ოდეს იგი წმიდამან სემონ მიიქუა უფა-
 ლი, და მიხუდების იგი ფებრვალსა ორსა და ჩუენ ვჰყოფთ, და არა თუ ფებრ-
 ვალსა [ა]თითხმეტსა, ვითარცა იგინი, რამელნი სცთებიან. აწ არა თუ ახლად-
 35 რამე „გამოვიძიეთ ჩუენ, არამედ წმიდათაგან წიგნთა და მამათა მოძღუართა
 გამოიძიეს და მართლმორწმუნენი დასაბამითგან ჰყოფდეს და ჩუენცა ვჰყოფთ,
 და თქუნდაცა ჯერარს აღსრულებად, რაჲთა ერთობით ვადიდებდეთ მამასა და
 ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე. ამენ.

1—2 მოიღებენ| მიმოღებენ C.—3 არს| გუაქუს C.—7 საეს C.—9 მემუდგ A.—12 სა-
 ხილ| სახლად C; ოცდამესამესა A.—13 და ოცდამეხუთესა<C.—14 ვითარმედ| ვითარცა AC.—
 14 იგი A.—16 და<C.—47 იოვანესი C.—18 იორდანესა A.—19 საეს C.—20 მოვიდა C.—
 22 კაოდ კარად| კაცდაკაცად C; კაცთას| კაცთა A.—23 შეიყვანებდა| შეიყვანა C.—24 იო-
 ვანესი C.—27 ოცდახუთსა| თუესა C; წმიდისა<C.—28 თჳსა C.—31 თთუესა C.—34 ათ-
 სამეტსა C.—ვითარცა იგი რომელნი იგი სცთებიან A.—36 მართლმორწმუნეთა A.

გამოცხადება იაკობის, სვიმეონის და ზაქარიასი

ქალაქ იერუსალიმის ორს მორწმუნეს—ეპიფანესა და პეტრეს, მიუწერიათ წერილი ვილაც იოანესათვის, რომლის საცხოვრებელი ადგილი ნაჩვენებია არაა, —აცნობოს მათ, თუ როგორ, რა პირობებში მოხდა იქ, სადაც იოანე ცხოვრობს, „გამოცხადება“ იაკობის, სვიმეონის და ზაქარიასი. იოანეს საპასუხო წერილი წარმოადგენს განსახილველი თხზულების შინაარსს. იერუსალიმში გამზავრებული იოანეს „ძმებს“ იქიდან წამოუღიათ „ნაწილინი“ მოწამეთანი, ვისი სახელდობრ—იმათაც არ იციან. იქ რომ მოსულან, სადაც იოანე ცხოვრობს, იოანეს „სასწაულებრივი“ გამოცხადებია, რომ „ძმებს“ მოუტანიათ „ნაწილები“ იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის იაკობ მოციქულისა (რომლის „წამება“ ქვემოთ იქნება წარმოდგენილი), იოანე ნათლისმცემლის მამის ზაქარია მღვდელმთავრისა და მღვდელთმოდღერის სვიმეონისა, რომელმაც ქრისტე მიიჩქვა.

თხზულების მიზანია—დააჯეროს მკითხველი, რომ დასახელებული სამი პირი არის: 1) მღვდელთმთავარი, 2) მოწამე და ამიტომ 3) ერთნაირი პატივისცემის ღირსი, იაკობი, მმა უფლისა, როგორც ქვემოთყვანილი მარტივობიდან დაეინახავთ, მართლაც არის მღვდელთმთავარი-ეპისკოპოსი და მოწამე; იოანე ნათლისმცემლის მამას ზაქარიას, როგორც ებრაელთა ტაძრის „წმიდა წმიდათა“-ში შემეავალს, სთვლიან ებრაელთა მღვდელთმთავრად და იმ მოწამედ, რომლის შესახებ ქრისტე ეუბნება ურიებს: ღმერთმან იძიოს, ებრაელთაგან მათ მიერ დათხეული სისხლი „სისხლთაგან აბელისით, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, რომელი წარსწყმდა შორის საკურთხეველსა მის ტაძრისა“ (ლუკ., XI, 51). უფრო რთულია საკითხი სვიმეონის შესახებ: არც ბიბლიით, არც ვადმოცემით ის „მღვდელთმთავრად“ არ ჩანს; არსად ის არ იხსენიება არც „მოწამედ“. პირიქით, საგულეებელია, რომ ის გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული ბუნებრივი სიკვდილით, რომელსაც ის მოელოდა ქრისტეს ნახვასთან დაკავშირებით¹. აქ კი, თხზულებაში, მას ხაზგასმით ეწოდება „მღვდელთმთავარი“ და „მოწამე“. მის „მღვდელთმთავრობას“ ან „მღვდელთმოდღერობას“ ავტორი არაფრით არ ამტკიცებს, „მოწამედ“ კი მას სთვლის არა იმ მიზნით, რომ ის სტანჯეს ან წვალებით მოკლეს, როგორც, თუგინდ, იაკობი და ზაქარია, არამედ იმ აზრით, რომ ამაჲს, სვიმეონ, „წამა იგი (ქრისტე) თავად მაცხოვრად“, როდესაც „მიიჩქა მკლავთა თჳსთა ზედა და წამა მისთჳს, ვითარმედ ესე არს მაცხოვარი ის-

¹ გარდამოცემით ეს სვიმეონი იყო ერთ-ერთი იმ 70 თარგმანთაგანი, რომელთაც ებრაული ბიბლია ბერძნულად სთარგმნეს. მას თითქოს თარგმნის პროცესში ანგელოზმა აუწყა, ისაია წინასწარმეტყველის ერთ ადგილთან (VII, 14) დაკავშირებით, რომ ის არ მოკვდება მანამდე, სანამ საკუთარი თვლით არ იხილავს ქალწულისაგან უმამაკაცოდ შობილ ქრისტეს.

რაქსისაჲ“ (შდრ. ლუკ., II, 29—32). ასე რომ. თუ მარტივლები თავისი ტანჯვითა და სიკვდილით აღიარებდნენ და „სწამებდნენ“ ქრისტეს ღვთაებასა და მაცხოვარებას, სვიმეონმა ყველაზე ადრე წამა და აღიარა ეს სიტყვი, რის გამო ის იგი „არს პირველად მოწამეთა შორის მოწამე“. ამ შემთხვევაში მოცემული თავისებური და ორიგინალური გაგება ქრისტიანული ტერმინის *μαρτυρία*¹. მართალია, ტანით, ასაკით, ამბობს ავტორი, სვიმეონი უფრო დაბალია, ვიდრე იაკობი და ზაქარია, მაგრამ, როგორც მოწამე, „მათთანა შერაცხილ არს“ პატივითო. ასეთი დაქინებითი არგუმენტირება იმისა, რომ სვიმეონი, როგორც „პირველი მოწამეთა შორის“, ღირსია იმგვარივე პატივისა, როგორისაც ქრისტესთვის ტანჯვით აღსრულებულნი მოწამენი, მაჩვენებელია სვიმეონის კულტის ტენდენციისა.

იაკობის, ზაქარიას და სვიმეონის სახელობის განცალკევებული და არა გაერთიანებული დღესასწაულები შედარებით ძველია. იაკობის დღესასწაული უფრო ძველია, ვიდრე 25 დეკემბრის დღესასწაული ქრისტეს შობისა; იერუსალიმში 25 დეკემბერს, ვიდრე ამ რიცხვზე ქრისტეს შობის დღესასწაულს გადმოიტანდნენ, სრულდება იაკობის ხსენება. იოანე ნათლისმცემლის მამის ზაქარიას „ნაწილთა პოვნა“ დადებულია 11 თებერვალს ჯერ კიდევ „იდი ეკლესიის“ მეცხრე საუკუნის ტიპიკონში²; ხოლო სვიმეონ ღვთისმშობლის „ნაწილნი“ ჯერ კიდევ იმპერატორის იუსტინე იმპერატორის დროს (565—578) ესვენა კონსტანტინოპოლში იაკობის სახელობის ეკლესიაში და 3 თებერვალს პატივიცემებოდა³. გაერთიანებული, ერთს დღეს დადებული ხსენება სამივეს, — იაკობის, სვიმეონისა და ზაქარიას, დღესდღეობით ცნობილს აგიოგრაფიულს ან ლიტურგიკულს ძეგლებში არ ჩანს, მაგრამ ასეთი რომ მართლაც არსებობდა, ჩანს არა მარტო ამ „საკითხავიდან“, არამედ „იერუსალიმის განჩინებიდანაც“, რომელშიაც ასეთი ხსენება დადებულია 18 მისისა და 1 დეკემბერს⁴. დამოწმებულია ის აგრეთვე კონსტანტინოპოლის „იდი ეკლესიის“ მეცხრე საუკუნის ტიპიკონში, სადაც 23 ოქტომბრის ქვეშ ვკითხულობთ: „მასვე დღესა ვყოფთ ენკენიასა წმიდისა მოციქულისა იაკობისა, ხორციელად ძმისა უფლისსა, და წმიდისა მღვდლისა ზაქარიაჲსა და სუმენ მართლისასა. შევიკრებებით აპოსტოლიონსა შინა წმიდისა იაკობისასა, რომელი არს პატიოსანსა სახლსა შინა დიდისა ღმრთისა ეკლესიისასა⁵. ლათინთა მოგზაურს (მეცხრე საუკუნის?) თეოდოსის ასეთი დღესასწაული გამოყავს თითქოს თვით იაკობ მოციქულის დროიდან, როდესაც ამბობს: Sanctus Jacobus et sanctus Zacharias et sanctus Symeon, in una memoria positi sunt, quam memoriam ipse sanctus Jacobus fabricavit, corpora illorum ipse ibi recondidit et se ibi cum eis precepit poni⁶.

¹ ამ ტერმინის შესახებ იხ. პროფ. В. Болотова—Лекции по истории древней церкви II, 2—4.

² Проф. А. Дмитриевский, *Тупицъ* I, 49; Сергий, *Полный месяцеслов Востока*, т. II, отд. 1, стр. 41.

³ Сергий, *Полный месяцеслов Востока* II, 2, стр. 53.

⁴ К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*. VII века, стр. 114, 144.

⁵ А. Дмитриевский, *Тупицъ*, I, 15.

⁶ Tobler, *Itinera Hierosolymitana* I, 66, 356.

ყოველ შემთხვევაში ასეთი დღესასწაული ცნობილი იყო, თუ, როგორც ზემოაღნიშნულ ალენიშნეთ, იუსტინეს დროს (565—578) სვიმეონის „ნაწილი“ უკვე იაკობის სახელობის აპოსტოლიონში ესვენა.

თხზულება, რომელიც იოანეს წერილს წარმოადგენს, დაწერილად იგულისხმება იმ მომენტში, როდესაც მოხდა „გამოჩინება“ იაკობის, სვიმეონის და ზაქარიის. ძნელია გარკვევა, როდის მოხდა ეს. ავტორი სწერს თავის აღრესატებს: „ნეტარ არს წინამძღუარიცა ეგე წმიდისა ქალაქისა იერუსალმისაჲ, რამეთუ დღეთა მისთა ესე მარგალიტნი გამოცხადნეს“. მაგრამ ვინაა ეს „წინამძღუარი“ — იგულისხმება პატრიარქი — მღვდელთმთავარი, — იერუსალიმისა, ამის შესახებ ის ცნობას არ გვაძლევს. თხზულებაში გვაქვს ერთი მონაცემი, აქ ნათქვამია: როდესაც იოანეს ეუწყა, რომ სამ პირთა შორის ერთი არის სვიმეონი, იმას გაუკვირა: „ვინმე არს ესე სემეონ, ნუ უკუე იესუქრისტე იგი არს?“ მაშასადამე, ავტორმა იცის სვიმეონ მესვეტე. მაგრამ სვიმეონ მესვეტე ორია ცნობილი: ერთი მესუეთე საუკუნისა (გარდაიცვალა 459 წელს), მეორე მეექვსისა (გარდაიცვალა 596 წელს). თუ ავტორი გულისხმობს პირველს სვიმეონს, წმიდათა გამოცხადება და თხზულების დაწერა ნაგარაუდგევი იქნებოდა არაუადრეს მესუეთე საუკუნის მეორე ნახევრისა, თუ მეორე — არაუადრეს მეშვიდე საუკუნისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაგარაუდგევი პირველი სვიმეონი, ვინაიდან, როგორც ვაჩვენეთ, მეექვსე საუკუნეში. იუსტინეს დროს (565—578), სამთა დღესასწაული უკვე ცნობილია. ასე რომ თხზულება დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში.

ეს თხზულება არც ერთს ენაზე, გარდა ქართულისა, დღეს არ ჩანს, ამით გასაგებია მნიშვნელობა ქართული თარგმანისა. ეს თარგმანი შენახულია იმავე „მრავალთავებში“ (№ 19=A, № 95=C), რომლებშიც იაკობის მარტილობა, ის უკანასკნელს მისდევს უშუალოდ. ქართული თარგმანი უნდა იყოს ერთ-ერთი უძველესი თარგმანი, არაუგვიანესი მეშვიდე-მერვე საუკუნისა. ამას ამჟღავნებს ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილი, რომელიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს უძველესი თარგმანებისა, აგრეთვე ის ვარიანტები და დამახინჯებანი, რომელთაც ადგილი აქვთ დასახელებულს „მრავალთავებში“. ეს ვარიანტები და დამახინჯებანი ნაჩვენებია გამოცემის აპარატში.

ახლა მოვიყვანთ თხზულების თვით ტექსტს.

C 97a
A 103b

სამითხანი—გამოცხადებაჲ წმიდათა ჴაქარიახნი, სვიმეონისი [და] იაკობისი, ძმისა უფლისაჲ და პირველმეონისა

A 104a I. ღმრთისმსახურთა და წმიდათა მამათა ეპიფანეს და პეტრეს, მონათა ქრისტესთა, იოვანე, მონაჲ | უკმარი იესუ ქრისტესი, უფლისა მიერ გიკითხავ. ყოვლისა პირველად მგვიკითხავ ერთგულსა მგავს და სულიერსა სიყუარულსა 5.

1 საკითხავი <C>, წმიდათა AC.—2 ძმისა უფლისა და <C>.—4 ქრისტესი A.—5 მოვიკითხავ C.

თქუნსა, და გლოცავ თქუნ, რაათა მომიჯნენით მე ცოდვილი წმიდასა ლო-
 ცვასა თქუნსა. მერმე უწყებად თქუნდა მნებაეს თქუნისა მაგის ვედრებისა-
 თუს და თხოვისა, რომელი ჰყავთ ჩუნდა მომართ, მდაბალთა და ცოდვილთა,
 თქუნ, რჩეულთა მაგათ მონათა ქრისტუსთა. მორავეილეს ძმანი, მითხრეს ჩუნ
 5 მანდა იგი საქმე, რად იქმნა ნეტარსა მაგას და წმიდასა ქალაქსა იერუსალმ-
 სსა, და ღმრთისა-მიერი იგი განგებულეზად ყოვლად-ერისა კრებისა მის დღე-
 სასწაულსა და სიხარულსა სრბით შეკრებასა მას გამოცხადებასა წმიდათა
 ნაწილთასა. და რამეთუ გულოცევდით ჩუნ განკრძალულად და წრაფით ით-
 ხოვდით ჩუნგან, უჭმართა, თხოვით გამოცხადებასა მას მათსა |, გურწმენა C 96a
 10 ვითარმედ ესრჳთ არს კეთილისა მის გულისა თქუნისა სასობეზად და იცი: მო-
 წყალქ იგი ცოდვილთა რომელმან მდაბალთა მოსცის მადლი. ესე იქმნა | არა
 სიმართლისა ჩუნისათუს, რამეთუ არად ვქენით, არამედ წმიდათა მათ ნაწილ-
 თა ოხითა და წმიდითა თქუნითა ლოცვითა. რამეთუ მორავეილეს ძმანი, მო-
 იხუნეს ნაწილინი მაგათ წმიდათა ნაწილთაგანნი. ღმრთისა ქველისმოქმედებითა
 15 ღირს ვიქმენით, რაათა მოვიმნესცნა მათ კაცებან ღმრთისმოწმიძან, ვითარ ოხი-
 ლა მათი იგი ფრიადი წადიერება. ამით ვითარცა მოიხუნეს, სიხარულთ გა-
 მოვიდეს მიერ და შეითქუნეს ურთიერთას ძმანი იგი, რაათა არავის უთხრან,
 ვიდრემდის თუთ იგინი განიცხადნენ.

II. და ვითარცა იგინი მოიწეოდეს ჩუნდა დღესა კვირიკესა, ვხედვედ მე,
 20 იოვანე, ჩუნებასა ღამისასა და მეგონა მე რეცათუ ვიპოვე მე ტაძარსა რასმე
 შუენიერსა და დიდებულსა და ფრიად ნათულსა და საყდართა მას შინა დიდე-
 ბულთა და ნასლითა ბრწყინვალესა სიმაღლესა ზე მის ტაძრისასა. და ჰაბუჯი
 ვინმე მეყსეულად გამოჩნდა საყდართა მათგან, ჰასაკითა საშუვალითა; შუენიერ
 იყო, ვითარცა ნათელი მზისა, და გუამითა იყო | შიშულ, თქნიერ სამოსლი-
 25 სა. და მიჩუნებდა მე გუმერისა ლახურითა ახლად-წყულუსა და თქუა: „იხი-
 ლე; ვითარ იგი მწყლეს მე“. და ესე ვითარცა თქუა, მახარა ჩუნ მოსლვისა-
 თუს ძმათაჲსა, ვითარმედ მოვლენან, და დამეფარა. და აჰა ესერა ჰმაჲ იყო
 ღრუბელთა ზედა ვალოზისაჲ ჳმითა ძლიერითა და იტყოდეს: „დიდ არიან წმი-
 30 დათა მოწამეთა ნაწილნი; უფალო, ლოცვითა და ოხითა მათითა შემოწყალენ
 ჩუნ“. და ვითარ იყო ჳმაჲ ესე, არა ვიცი—ვითარ ვიპოვე მე და ვგალობდ მათ
 თანა. და განრამედჳდა, ვგალობდ ჳმითა მსვე ვალობასა. და ვიტყოდე მრ-
 ვალჳმ. და მოიწია ჳამი იგი კანონისა და აღვდეგით და აღვასრულებდით
 დაწყებულსა მას ჩუნსა ლოცვასა. და ვითარ დავასრულეთ კანონი |, მოვიგვ-
 35 ვიგვნე, განვიზრახვედ ვითარმედ რამე რად არს ჩუნებეზ ესე, რომელი მე-

1 ცოდვილი | ესე C.—1—2 წმიდათა ლოცვათა თქუნთა C; მაგის მას A.—5 და წმი-
 დასა და დიდებულსა C.—6 კრებისაჲ კაცებისა C.—8 გლოცევდით C; ჩუნ <C.—9 მას მათსა
 <A; გურწმენა | და გრწმენა AC.—10 ესრჳთ | ვერეთ A; მის მამის C; სასობითა C.—11 რომ-
 ელმან | და AC; მადლი | ვითარცა AC.—14 ქველის მოქმედებითა | ქველის საქმითა C.—15 რამ-
 თა | რამეთუ AC.—16 მოიხუნეს | მოიღეს C.—18 გამოცხადნენ C.—20 იოვანე <A; რეცათუ | ვი-
 თარმედ C; ტაძრისა | შინა C.—20 მას <C; და <C.—22 საშუვალითა | აღვენ C.—24 იყო <C.
 —24 გუამითა | გუამი მისი C.—25 ლახურითა | მახლითა C; წყულუსა C.—26 იგი | ესე C.
 —28 ღრუბელთა | ჰაერთა C.—29 შეგვწყალენ C.—35 რად <C.

ჩუენა, და ვგვონებდ, ვითარმედ რომელნი ესე ჩუენთანა ნაწილნი წმიდათანი არიან, ესენი იყვენენ. და დამიკვრდა მე | კულად სიტყუაჲ იგი კაცისა მის, რომელი იგი მეჩუენა მე და მეტყოდა: „იხილე, რავდენნი წყლულეზანი მოვიხუენ“. და ჩუენ ვერ გულისგმავყავით, რამე არს ჩუენებაჲ ესე.

III. და ვითარ ვიყვენით ამას სიტყუასა შინა და ვიტყოდეთ ძმათა მათ თანა ჩუენთა ჩუენებასა მას, მო-ხოლო-იწინეს ძმანი იგი ჩუენნი და გვთხოზმდეს ჩუენ რაჲ იგი იქმნა წმიდასა ქალაქსა იერუსალმს: ვითარ იგი წმიდანი გამოცხადნეს და იგინი მოელოდეს ჩუენგან რასამე სმენად, ვითარ იგი მათ კულად გვთხრეს უკუნადასკნელ. რამეთუ დაგვმალნეს ჩუენ, რომელ იგი მოეხუნეს წმიდათა ნაწილნი. ხოლო ჩუენ ვითარცა უთხარო ჩუენებაჲ იგი, მითხრეს მათცა ვითარმედ ჰქონან მათ ნაწილნი მათ წმიდათანი, რომელნი იგი გამოჩინდეს წმიდასა ქალაქსა იერუსალმს. ხოლო ჩუენ მოვიხუენით იგინი და, არა ვითარ იგი ჯერ იყო სარწმუნოებით, არამედ ვითარცა ორგულებით, დავსხენით იგინი საღიკონოსა ეკლესიისა, არა სხუათა თანა ნაწილთა, არამედ ზედა მოთხესა წმიდისა ჭურჭელისა სამსახურებელისასა. და | მოველოდეთ სრულიად გამოცხადებასა მათსა, რამეთუ იყოლა ჩუენთანა ურწმუნოებაჲ ზოგრაჲმე, ვითარცა ნეშტი მჭურვალობისაჲ. და ვითარცა მოიწია დამშ იგი, განთენებასა ორშაბათისასა მეჩუენა ვინმე და მრქუა მე: „უკუეთუშცა არა იყვენეს ნაწილნი წმიდათანი, ვერცა მიიწინეს ქუეთუ ფრთეთა ჯუარისათა“. და არცაღა ესრეთ გურწმენა. და კულად ვითარცა მოიწია მერმშ იგი დამშ, ვერევე განვიზარახევე-დით ვითარმედ რასათვის გავჩინებული და განმარტებული გამოცხადებაჲ არა გუტეს. და მესესულად მოვივსენით პირველისა მის ღამისა ჩუენებაჲ და მოვიხუენით ნაწილნი იგი წმიდათანი შემდგომად კანონისა აღსრულებისა და [ქამბორის უყოფდით. და მოვივსენით | თქუენიცა იგი ვედრებაჲ, სიყუარულით მონათა ღმრთისათაჲ, და ვითხოვდით მათგან მალსა, რაჲთა განჩინებული გამოცხადებაჲ გვჩუენონ, რაჲთა თქუენცა, საყუარელთა მამათა, წიგნითა სარწმუნოდ ჩუენ მიერ | გეუწყოს და ჩუენდა მომართ სრულიად სარწმუნოებაჲ იყოს. და ამისა შემდგომად მოვიხუენით წმიდათა იგი ნაწილნი და თაყუანის-ვეცათ და შევიტყებნით და გუეპყრნეს იგინი ჳელთა ჩუენთა, და დავსხენით და ვევედრებოდეთ მათ, რაჲთა უგანცხადებულსი გამოჩინებაჲ გუაუწყონ და სახე-ლებიცა მათი გვთხრან, რაჲთა ყოველსა ურწმუნოსა ემხილოს, და მათნი იგი ნაწილნი პატროსნად და ღირსად თაყუანის-იციებოლიანი.

IV. და ვითარ ამას ვიტყოდეთ და გუეპყრნეს იგინი ჳელთა მღუმრიად, რეცა თუ მიგუეძინა და ვხედვედ ვიეთმე სამთა კაცთა, რომელნი წარმომიდგეს მე დიდებულთა და განსაკვრებელითა ხილვითა [და] ბრწყინვალეობითა დიდითა. და ორნი იგი იყვენეს პასაკითა გრძელ და წულთა და სწორ, და ერთკერძოდღეს. ხოლო ერთი იგი იყო მოკლე და უმცირეს ორთა მათ. და რომელი

2. დამიკვრდა < A.—3 და მეტყოდა | და მრქუა C.—3—4 მოვხუენ A.—7 იქმნა | იყო C; იგი A.—8 სმენად | სმენასა C.—9 დაგვმალნეს ჩუენ | დაგვმალნეს A.—14 ეკლესიასა C.—15 ჭურჭელისა | ჭურჭელისასა A; ჭურჭრისა C.—16 მათსა < A; რამეთუ | და AC.—19 ქუემშ C. ესრეთ A.—20 მერმშ | მერმშ C.—21 რასათვისმე C.—24 იგი < A; სიყუარულით | საყუარულთა C.—28 მივხუენით C.—29 დავსხენით | დავსხენით C.—37 მოკლშ C.

იგი დგა შორის ორთა მათ, გრძელისა და მოკლისა, | მეტყოდა მე: „ჰხედავა, A 107a
 მანო, რამეთუ ვერ არს წმიდაჲ სჯემონ, ვითარ უფალი იაკობჲ. ხოლო მე ვი-
 თარცა მესმა მისგან ვითარმედ „წმიდაჲ სჯემონ“, განვიზრახვედ გულსა ჩემსა
 და ვთქუ ვითარმედ: ვინ არს ესე სჯემონ, ნუჟუჟე მესუეტჲ იგი არს და ესო-
 5 დენ არს იგი, და მათთანა ესრჲთ დიდებულ ესოდენითა დიდებითა? და ვითარ
 განვიზრახვედ მე ამას, მომეცა მე გამოცხადებაჲ, ვითარმედ ესე არს მღღელთ-
 მოძღუარი სჯემონ, რომელმან მიიქუა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მკლავთა თვს-
 თა ზედა და წამა მისთვის, ვითარმედ ესე არს მაცხოვარი ისრაჲლისაჲ. მეტყო-
 და მე კაცი იგი, რომელი პირველ მეჩუენა მე: „ჰხედავა, ვითარ ჰასაკითა მოკ-
 10 ლე არს წმიდაჲ სჯემონ, ხოლო ჩუენ არნი სწორ და ჰასაკითა გრძელ!“ მესმო-
 და რაჲ ესე, შიშითა და სიხარულითა ვერ ვიკადრე ახილვად ზე პირი ჩემი ქუე-
 ყანით და ხილვად პირთა მათთა. და ვითარ ამას შინა | ვიყვენით, განმეღკაჲ C 101a.
 და თაყუანის-ვეცით მათ და დავდგენით პირველსა მას ადგილსა. განვიზრახვედ
 და ვწუხდი, რამეთუ ვერ ღირს ვიქმენ ხილვად | პირისა მათ ორთაჲსა, გინა A 107b.
 15 თუ მოხუცებულ არიან, გინა თუ ჰაბუკ. ამას რაჲ ვიტყოდე, ვევედრებოდე მათ,
 რათამცა ვნახენ პირნი მათნი. და ვითარცა მოვიწიენით მერმესა მას ღამესა,
 განთენებასა ოთხშაბათისასა, და თაყუანის-ვეცით მათ, ეგრევე და დავიძინე. და
 ვხედვედ მეყსეულად ორთა კაცთა და ყრმასა მკირესა, ვითარცა ბრწყინვალე-
 20 ლისა მზისასა. და ვითარცა მოვიდეს, და იყენეს მოხუცებულ, ჰეშმარიტად ნათ-
 ლითა საღმრთოთაჲ შემოსილ იყენეს, და იწუევედეს წრაფით წარსლვასა. და
 ღირს ვიქმენ ხილვად პირთა მათთა: და თაყუანის-ვეც და წარვგზავნენ იგინი
 და მოვიღე მათგან ლოცვაჲ და განვიღძე მე. ეწამებთ ჩუენცა ცოდვილნი ესე
 და გლახაქნი და მდაბალნი თქუენ თანა მათსა მას გამოცხადებასა, ვითარმედ
 სარწმუნო არს და ჰეშმარიტ და მტკიცე და პირველმოქსენებულთა მათ წმიდა-
 25 თაჲ არს ნაწილები ესე | მღღელთომოდღუართა ღმრთისათაჲ იაკობისი, მისა უფ- A 108a
 ლისაჲ, და ზაქარიაჲსი, ნათლისმცემელისა მამისაჲ, წინამძღუარდ წმიდისა სჯე-
 მონისა, რომელი სახარებასა მოქსენებულ არს, რომელსა იტყუს ევანგელჲ: რამე-
 თუ იყო მისა ბრძანებულ ანგელოზისაგან „არა ხილვად სიკუდილი, ვიდრე იხი- ლკ. II, 26.
 ლოს ცხებული უფლისაჲ“. და იტყუს: მიიქუა სჯემონ მღღელთომოდღუარმან ყრმაჲ
 30 იგი იესუ და აკურთხა, და იტყუს: „აწ განუტევე მონაჲ შენი, უფალო, მსგავ- II, 28—30
 სად სიტყუსა შენისა მჰჯღობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებმა
 შენი“ და შემდომი ამისი.

V. არამედ თქუას თუ ვინმე—ვითარ ესე მოწამედ სახელდებულ არს თვ-
 ნიერ ვნებისა,—გამოვიცადოთ, მანო, რამეთუ ესე არს პირველად მოწამეთა
 35 შორის მოწამჲ. რამეთუ ამან წმიდამან სჯემონ | წამა იგი თვად მაცხოვრად C 102a.
 და ამისთვისა მათთანა შერაცხილ არს, რომელთა იგი დიდებისა ვნებითა წა-
 მეს. და ნუ ვინ კაცობრივითა გულის-სიტყუთა აზნობენ გამოძიებად გონებისა
 უფლისასა, ვითარცა იტყვის წინამძღუარმეტყუელი: ვინმე უკუე ცნა გონებაჲ უფ-

3 მისგან<A.—5 ესრეთ C; დიდებულ|+ამათთანა C.—7 ქრისტჲ C.—11 ზჲ C.—13 გან-
 ვიზრახვედ|+ამას C.—17 დავიძინეთ C.—20 სწრაფით C.—21 პირთათა C.—22 მე<C.
 —23 და გლახაქნი<C.—24 მტკიცე C.—25 ესე<C.—25—26 იაკობისი... მამისაჲ<A.—29 სჯ-
 მონ<A.—30 უფალო<A.—31 სიტყუთა| ზრახვითა C.

- A 108a ლისაჲ გურწმენინ აწ, ძმანო, შეუორგულეებელად, | და არა შეუძლებელად ვთქუათ წინაჲსწარცნობისა საქმს, იცით ესე, რამეთუ კაცთა მიერ შეუძლებელი ღმრთისა მიერ შესაძლებელ არს. და რაჲთა არა მრავალსა ვიტყოდით, ნეტარ ხართ, მამანო და ძმანო, რამეთუ დღეთა თქუენთა გამოჩნდეს და თქუენ მიერ ყოველთა გამოცხადნეს, რამეთუ ჭეშმარიტად ღმერთმან დაფარნა ცოდვანი ჩუენნი 5 და გამოაცხადნა მეოხნი სულთა ჩუენთანი საცხოვრებელად ჩუენდა. ყოველთა უკუე წრაფითა ტაძარი მათი აღაშენეთ და მრავლითა დიდებითა და სარწმუნოებითა ნაწილნი მათნი დადგენით. ნეტარ არს წინამძღუარცა ეგე წმიდისა ქალაქისა ქრისტესისა იერუსალშმისაჲ, რამეთუ დღეთა მისთა ესე მარგალიტნი გამოცხადნეს საწამებელად და განსამტკიცებელად მისისა მღვდელთმოდღუარებითსა. [გვეედრებით], რაჲთა აუწყოთ მას და წრაფითა და სარწმუნოებითა ტაძარი მათი აღაშენოს და მას შინა აღჰმართნეს ხატნი მათნი, — ვითარცა წერილ არს წიგნსა ამას, | მათ ეგრევე თქუეს, — რაჲთა მათითა ოხითა და ლოცვითა მე ცოდვილი შევიწყალო და ღირს ვიქმნე მარადის და ოდესვე მსახურებად და თაყუანისცემად წმიდათა ნაწილთა მათთა, რაჲთა ოხითა მათითა ეპოო წყალობად დღესა მას გამოცხადებისასა და ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე. ამენ. 15
- A 109a

7 აღაშენოთ A.—9 ქრისტესისა < A.—10 განსამტკიცებელად | განმანათლებელად C.—12 აღმართნეს A; აჰმართნეს C.—13 მათვე ეგრე თქუეს A; და ლოცვითა < A.—14 შევიწყალოვე A; და ღირს ვიქმნე მარადის და ოდესვე < A.—16—17 მამასა... სულსა | ერთობასა საყებისასა C.

წამება ევგენიასი

ევგენია მოწამე აგიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი, მის ხსენებას ჩვეულებრივ 24 დეკემბერს სდებენ. არსებობს ორი რედაქცია მისი მარტვილობისა: ერთი უნდა იყოს ძველი, „კიმენური“, რომელიც ლათინურ ენაზე დარჩენილია¹, მეორე კი მეტაფრასტული, სვიმეონ ლოლოთეტისა². ქართულ ძეგლებში ევგენიასი ხსენებას ვხვდებით იოანე-ზოსიმეს 956 წლის კალენდარში 3 ივნისს, 24 და 30 დეკემბერს. ქართულადვე გვაქვს მეტაფრასტული რედაქცია ევგენიასი მარტვილობისა³, რომელიც ისე იწყება, როგორც სვიმეონის შრომა: „კომპოდისა შემდგომად მარკოზ მამისა მისისა ჰრომაელდარისა სკიპტრისა მქონებელობასა“. მისი მთარგმნელია, როგორც ხელნაწერშია დამოწმებული, არსენი. გარდა ამისა ქართულ ხელნაწერებში გვხვდება მარტვილობა ორი ევგენიასი: ერთის (დეკემბრის 24 და იანვრის 13) იწყება ასე: „მეშუდესა წელსა მეფობისა კომპოდისა გედმწიფე იყო აღექსანდრიასა ზედა და ყოველსა ეგვტესა ფილიპე, საკუთარი მეფისაჲ“⁴. მეორესი (ხსენება 25 დეკემბერს) იწყება ასე: „მეფობასა ვალენტინიანუსსა და ლაღინოსისა აღდგეს ქრისტიანეთა ზედა სიმრავლჳ წარმართთაჲ პროს შინა“⁵. თუმცა მარტვილობა ამ ორი ევგენიასი ხელნაწერებში ერთიმეორეს მიჰყვება, მაგრამ საკუთარი, განსხვავებული მეღნით დაწერილი, სათაურით და „ხსენების“ სხვადასხვა დღის ჩვენებით. ამით აიხსნება, რომ პირველისათვის P. Peeters-ს, ბოლდეს ხელნაწერის აღწერისას, უჩვენებია ლათინური შესატყვისი, ხოლო მეორისათვის ვერავითარი შესატყვისი ვერ მოუძებნია და ის, მისასაღამე, უცნობ თხზულებად მიუღია⁶. ნამდვილად კი, როგორც ირკვევა, ეს ორი თხზულება წარმოადგენს ერთიმეორის ვაგრძელებას, ორ ნაწილს ერთისა და იმავე მოწამის ევგენიასი მარტვილობისას, რომელიც რატომღაც ქართულ ძეგლებში წარმოდგენილია როგორც ორი დამოუკიდებელი თხზულება. ეს რედაქცია დღეს ბერძნულ ენაზე არ ჩანს, მაგრამ შენახულია,

¹ Bibliotheca hagiographica Latina, № 2668.

² Migne, PG. t. 116, col. 609—652.

³ გელათის ხელნაწ. № 6, ფ. 2—8 (ბოლო აკლია).

⁴ A 95, გვ. 668—688, ბოლდ. ფ. 273—282, სინას მთის 11, ფ. 186—199.

⁵ A 95, გვ. 688—696, ბოლდ. ფ. 282—286, სინას მთის 11, ფ. 199—203.

⁶ De codice hiberico-bibliothecae Bodlesianae Oxoniensis, Analecta Bollandiana, t. XXXI,

როგორც ვთქვით, მისი ლათინურა თარგმანი¹. ქართული თარგმანიდან ჩვენ ვაქვეყნებთ მის მხოლოდ მეორე ნაწილს A 97 ხელნაწერის მიხედვით (ორი; დანარჩენი ნუსხა ამთავად ჩვენთვის ხელმიუწვდომელია).

თხზულების შინაარსის გადმოცემისა და მისი ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზისაგან თავს ვიკავებთ, რადგანაც ევგენიას შესახებ ბევრია დაწერილი, შეგჩერდებით მხოლოდ ქართულ თარგმანზე.

მარტვილობის ამ ნაწილის ქართული თარგმანით, ევგენია აწამეს „დღესა, რომელსა იშვა იესუ ქრისტე“, მაშასადამე, 25 დეკემბერს; ნეტარი იერონიმეს ცნობითაც ევგენია 25 დეკემბერს ეწამა. ქართული თარგმანი შეიცავს მეტაფრასტული მარტვილობის იმ ნაწილის შესატყვისს, რომელიც Migne-ს გამოცემაში იწყება 29 თავიდან². მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს ქართული და ბერძნული (მეტაფრასტული) ტექსტების ურთიერთობისას.

I თავი (ჩვენი გამოცემისა): კვიპრიანოსისა და კორნილიოსის შესახებ ბერძნულში არაფერია ნათქვამი, იქ კორნილიოსი მხოლოდ მოხსენებულია.

ბასილია (ბერძნულად—ბასილა) იყო მდიდარი ქალი, ევგენიას მიერ მოქცეული.

III თავი: ბასილიას საქმროს ქართულად ეწოდება ივბინიანოსი, ბერძნულად კი Παπυσις, მამამძებეს—ქართულად ივლიანოს, ბერძნულად Έλευσις; დედას—ქართულად კოლოდია, ბერძნულად Κλαυδία.

V თავი: აბრატოს და იაკინთოს იყვნენ განსწავლულნი საჭურისნი ბასილიასი და მოიქცნენ ქრისტიანობაზე. ბერძნულად პირველს ეწოდება Πρωξείας, მეორეს Ἰακινθίδης. ისინი „მოიყვანეს საკერპოდ, რაათა უზორონ კრასა ზეგის“, ან, როგორც ხელნაწერშია „ზოსს“; ბერძნულში ამას უდრის: მოიყვანეს *πρὸς τὸν ναὸν τῆς Δέας*. „ზოსს“ შეიძლება იყოს დამახინჯება Δέας-ისა. ვიპარკოზის სახელია ქართულად ნიკიტოს, ბერძნულად Νικησις.

VII თავი: „უბრძანა, რაათა მოიყვანონ წმიდა ევგენია არტემი კერპისა“, ბერძნულად ამას უდრის: *εἰς τὸν ναὸν ἀντὶ τῆς Ἀρτέμιδος*. „უბრძანა მეფემან, რაათა ჩააგდონ ევგენია მდინარესა“, ბერძნულში აღნიშნულია მდინარის სახელიც: *τὸν ποταμὸν Τιβεριδος*.

ქართული თარგმანი შეიძლება არაბული. დედნიდანაც მომდინარეობდეს³ ყოველ შემთხვევაში იმაში ორი არაბიზმი შეიმჩნევა:

1. ევგენიას ერთ-ერთ ძმას ეწოდება სერჯი, თუმცა არ შეიძლება ბრ მოვიგონოთ ისიც, რომ ასეთი ფორმით ეს სახელი ბერძნულიდან მომდინარე ტექსტებშიაც გვხვდება.

2. ბასილიას ერთ-ერთ საჭურისს ეწოდება ქართულად აბრატის, ბერძნულად Πρωξείας-Πρωξείας; აბრატის უნდა იყოს არაბიზირებული ფორმა: ორი თანხმოვნის წინ სახელს თავში დამატებია ა, π შეცვლილა ბ-დ, ა-ო, ი-ო (არა-

¹ Ibid., p. 311—312. ევგენიას მარტვილობა არსებობს აგრეთვე სომხურს, არაბულსა და ითიოპურ ენებზე.

² Migne, PG, t. 116, p. 641 B.

ბული დამწერლობის ნიდაღზე). ამის მიხედვით თხზულების გადმოთარგმნა მეცხრე საუკუნეშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ. მთარგმნელი არ ჩანს.

ლექსიკაში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „მოქრისტიანა“, რაც ნიშნავს გააქრისტიანა, ქრისტიანობაზე მოაქცია.

მოგვყავს თვით ტექსტი თხზულებისა.

[დღესა, რომელსა იშვა იესუ ქრისტე]

წამებაჲ წმიდისა ევგენიასისი

688

I. მეფობასა ვალენტინუსსა და ლალინოსისსა აღდგეს ქრისტიანეთა ზედა სიმრაველს წარმართთაჲ ჰრომს შინა და იღრტუნეს წინაშე მეფისა. მათ 5 თქუეს ვითარმედ «კვბრიანოს ეპისკოპოსმან გარდააქცია აფრიკიად და კორნელიოს ეპისკოპოსმან გარდააქცია ჰრომი». და დაწერა მეფემან წიგნი აფრიკიად ველმწიფესსა, რადთა მოკლას, კვბრიანოს ეპისკოპოსი, და უბრძანა კორნელიოსისიცა მოკლვად. და კვბრიანოს მიიღო ნაწილი მარტულობისა და იწამა. ხოლო კორნელიოს დაიმალა, რამეთუ საკუთარნი მეფისანი შემწე იყვნეს მისა და 10 ჰფარავიდეს საქმეთა მისთა.

II. და დღესა შინა ერთსა შემთხვა წმიდაჲ ევგენია ბასილიას დ. ჰრქუა მას ვითარმედ «უფალმან გამომიცხადა მე შენთვის, რამეთუ ქალწულებისა და მოღუაწებისა შენისათჳს გელის შენ გვრგვნი». ხოლო ბასილია ჰრქუა წმიდასა ევგენიას: «და მეცა ქრისტემან მარწმუნა შენთვის, ვითარმედ მიიღო გვრგვნი მო- 15 წამებისაჲ ორწილად: ერთი გვრგვნი ლუაწლისა მისთჳს, რომელი იღუაწე აღექსანდრიას, ხოლო მეორეს დათხევისათჳს სისხლთა შენთაჲსა». მაშინ განიპყრნა ჰელნი თჳსნი წმიდამან ევგენია და თქუა: «ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რომელი მოხვედ ჯსნად ნათესავისათჳს კაცთაჲსა და განჰჯორციელდი წმიდისა ქალწულისა მარიამისგან, დაიცვენ ყოველნი იგი ქალწულნი, რომელნი რწმუნებულ 20 იყვნეს ჩემდა, და ღირსყვენ იგინი სასუფეველსა მადიდებელად შენდა!» და ვითარცა დაჯდა წმიდაჲ ევგენია შორის წმიდათა მათ ქალწულთა, ჰრქუა მათ: «ჟამი | სთველებისაჲ მოიწია, რომელსა შინა მოისთვლოს ტევანი და დაიწინი- 689 ხოს ფერჯითა, და მიიღიან სისხლი მისი ტაბლასა მეფეთასა, რამეთუ არა შეიძვეის ტაბლად მეფეთად და მთავართად თჳნიერ სისხლისა მისისა. ხოლო თქუენ 25 იყვნით განწმადებულ და განძლიერდით მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა და დაიმარხეთ სიწმიდეს თქუენი, რამეთუ არარად არს უმახლობელს ღმრთისა, ვითარ ქალწულებად, და იგი არს მსგავს ანგელოზთა, და არა ჯერარს ჩუენდა ცხორებაჲ თჳნიერ მისა. და ნუმცა რას გამოვიჩვეთ უფროჲს მისა. და რად სარგებელ არს კაცისა განცხრომად და სიხარული ამის სოფლისაჲ, 30 რომელი მერმესა მას ცხორებასა მოატყუებს გლოვასა და ტირილსა საუკუნესა? ხოლო თქუენ, საყუარელნო ჩემნო, რომელნი შეითქუენით ჩემთანა მოღუა-

წებასა ქალწულებისასა, დეგით უკუე მტკიცედ სიყუარულსა ზედა ქრისტესსა; იყავნ სიყუარული მისი ვულთა შინა თქუენთა უფროჲს პირველისა მის და დანიონინეთ მცირედჲმ ჰირი, რადთა იხარებდეთ უკუნითი უკუნისადმდე. ხოლო მე მიგიუალენ თქუენ სულსა წმიდასა და სარწმუნო არს, რამეთუ დაგიცენეს თქუენ ყოვლისაგან შეგინებისა და მწიკულევანებისა, რადთა მოგიყვანნეს თქუენ ჩემთანა სასძლოსა მას ზეციასა, სადა იგი არს სიძმ ზუენი იესუ ქრისტე ქორწილსა მას და შეუბასა საუკუნესა. ხოლო ამიერითგან ნულარა ჰგონებთ, ვითარმცა იხილეთ პირი ჩემი გორციელად, არამედ იპყართ საქმს ჩემი და სლვაჲ ჩემი, ვითარცა სარქმ, თქუენ შორის და ჰზაძევედით შურსა ამას ჩემსა და მოლუაწუბასა, ვითარ იგი ვიქცეოდენ თქუენ შორის». | და ვითარცა დაასრულა წმიდა მამან ეგვენია სიტყუაჲ ესე, ჰამბორს-უყვეს ურთიერთას, და იყო ტირილი დიდი და ცრემლოვანებაჲ მათ შორის, და ნუგეშინის სცა მათ ეგვენია და განამტკიცნა ყოველნი, და ყვეს ლოცვაჲ და განეშორა მათგან.

III. ხოლო ერთი ვინმე მგველთაგანი ბასილიაჲსთაჲ წარვიდა იგზინიანთისისა, რომელი დაწინდებულ იყო ბასილიაჲსა ქმრად, და ჰრქუა მას: ჩუენ ვუწყით, ვითარმედ მეფესა ებრძანა დედოფალი ჩუენი ცოლად შენდა უწინარსს ექუსისა წლისა, ხოლო შენ ყოველთა ამათ წელთა მოელოდ, რადთა განიზარდოს და მოიწიფოს. და აწ უწყოდენ, ვითარმედ მამამძმძმ მისი ივლიანოს ქრისტეანე არს, ხოლო თუთ იგი ეგვენია მოქრისტიანა, რადთა არა ვეცოლოს შენ, და მიუკლნა მას ორნი ჰაბუეკნი, ვითარცა ნიჰებით. ხოლო იგი, ვითარცა უფალთა, პატევსცემს მათ და ყოველთა დღეთა შეუერდების ფერვა მათთა, ვითარცა დღერთთა, და იგინი ასწავლებენ გრძნებასა ქრისტეანეთასა. და ვითარცა ესმა ესე იგზინიანოსს, მეყველად წარვიდა ივლიანოსისა, რომელი იგი იყო განმგებელ ყოველსა ზედა საქმესა მისსა და ჰრქუა მას: «ამას სამსა დღესა მეგულეზის ქორწილი და რომელი მეფეთა მიბრძანეს, მიჩუენე დაწინდებული ჩემი, რადთა შევირათო იგი ცოლად». და ვითარცა ესმა ივლიანოსს, ცნა, რამეთუ უცნობიეს საქმს მისი. მიუგო ივლიანოს და ჰრქუა: «ვიდრემდის ყრმაღა იყო, ვიურვოდენ საქმესა მისსა, ხოლო აწ, ვინაჲთგან მოიწიფა, განმტკევებია და, ვითარცა უნდეს, იქმოდეს. ხოლო უკუეთუ ხილვაჲ მისი გნებაეს, ესე საქმს მისი არს და არა ჩემი». ვითარცა ესმა ესე იგზინიანოსს, აღატყაჲ გულისწყრომით და ჰივიდა სახლად ბასილიაჲსა და ჰრქუა მეკარესა: «აცნობე ბასილიას, ვითარმედ კართა ზედა | ვლგა და მინებს ხილვაჲ შენის!» და ვითარცა მივიდა მეკარს, უთხრა ესე ყოველი. მიუგო ნეტარმან ბასილია და ჰრქუა: «ესრე არქუთ მას ვითარმედ: ნუ ჰგონებ, ვითარმცა იხილენ პირი ჩემი გინა მომიკითხენ მე, ამისთვს, რამეთუ მე დაწინდებული ვარ ქრისტესს, ღმრთისა ჩემისაჲ».

IV. და ვითარცა ესმა ესე, ორნაწილად უფროჲს განრისხნა და წარვიდა და უთხრა ესე ვიპარქოზსა მიფისასა. და თუთ წარვიდა და დაეარდა წინაშე მეფისა, ვმობდა ვმითა მალლითა და ეტყოდა მეფესა: «განამტკიცე წესი ჰრომთაჲ და წარწყმიდენ ღმერთნი ახალნი, რომელნი მოიხუნა ეგვენია მისთანა ეგვატით, რამეთუ ქრისტეანენი ყოვლადენე წინააღმდეგომ არიან წესსა ჰრომიქსასა»

და მარადის საცინელ და საქიქელ და საკიცხველ და საკდემელ ზმენ მსახურე-
 მასა კერპთა ჩუენთასა და ყოველსა მსახურებასა მათა მიმართ შეჰრაცხენ ვი-
 თარცა ლმერთთა ცულთა მიმართ, და განსწვალებენ შორის ცოლისა და ქმრი-
 სსა და დაწინდებულისა და იტყუან ვითარმედ ანა შეუგავს დედაკაცსა, ვითარ-
 5 მცა ქმარი ესუა. და აწ რაჲ ვყოთ, მეფე, ოდეს ვპოვეთ ლმერთა, რომელი
 აყენებს შვილიერებასა, და ვინ განაძლიეროს მეფე, ოდეს კაცი არა იყენენ,
 ანუ ვის უბრძანებდეს მეფე, ანუ მტერი რაჲთა დაემორჩილნეს, უკუეთუ დე-
 დანი დაეყენენ ქორწინებისაგან? მაშინ უბრძანა მეფემან, რაჲთა წარიყვანოს
 ივბიმიანოს დაწინდებული თჳსი და, უკუეთუ არა წარჰყვეს, თავი მისი მოჰკუე-
 10 თონ. და უბრძანა წმიდისა ევგენიასიცა, უკუეთუ არა უზორვოს კერპთა, ტან-
 ჯონ იგი მრავალგზის ყოველითა სატანჯველითა.

V. ხოლო დაწინდებული იგი ბასილიასი | ფრიად აიძულებდა, რაჲთა- 692
 მცა წარჰყვა. ხოლო იგი არა ერჩდა, არამედ ჰრქუა მას: «მე დაწინდებულ ვარ
 მეფისა მეფეთაჲსაჲ, იესუ ქრისტესი, ძისა ღმრთისაჲ, რომელ არს ცათა შინა!»
 15 და მეყსეულად წარჰკუეთეს თავი მისი, და გვრგვინოსან იქმნა წმიდათა მოწამე-
 თა თანა. ხოლო აბრატის და იაკინთოს შეიპყრეს და მიიყვანეს საკერპოდ, რაჲ-
 თა უზორონ კერპსა ზევსს. ხოლო მათ განიპყრნეს ჯელი თჳსნი ღმრთისა მი-
 მართ და ილოცვიდეს. და ვითარცა აღასრულეს ლოცვაჲ მათი, მეყსეულად და-
 ეცა კერპი იგი ვერჯთა თანა მათთა, რომლისათჳს აიძულებდეს ზორვასა, და
 20 იქმნა იგი ვითარცა მტერი. და ესმა ესე ნიკიტოსს, ვიპარქოზსა მეფისა[სა],
 ვითარმედ შეიმუსრნეს კერპნი მათნი და თქუა ვითარმედ: «ამას ესე ვითარსა
 გრძნებითა იქმან და არა ღმრთისა ძალითა». უბრძანა მათი თავისა წარკუეთაჲ,
 და იმარტკლნეს წმიდანი იგი და მიიღეს გვრგვინი ძლევისაჲ.

VI. ხოლო შემდგომად ამათ ნეტართაჲსა მოიყვანეს წმიდაჲ ევგენია, ჰკი- 693
 25 თხვიდეს და ეტყოდეს გრძნებისათჳს. ხოლო მან სიმშუდით და სიმდაბლით ჰრქუა
 მათ: «მე ვითხრა, ვითარ არს. საქმე ჩუენა უპატიოსნესს და უფეროჲს და უზე-
 შთაესს და უძლიერესს არს საქმეთა გრძნებისათა, რამეთუ ჩუენსა მოძღუარსა
 მამაჲ უფის უღედოდ და დედაჲ უფის უმამოდ, და შვა მამამან თჳნიერად დე-
 დისა, და შვა დედამან თჳნიერად მამაკაცისა. და ამას ძესა მეუღლეს უფის ქალ-
 30 წული და უშობს შვილთა და უშობიან ნაშობნი, რომელთაჲ არა არს რიცხჲ,
 და სიყუარული მისი | მათა მიმართ არა განქარდების, და სიყუარული არს
 წმიდაჲ და უბიწოჲ, რომელსა შინა არა არს შეგინებაჲ და მწინეკლევანებაჲ».
 და ვითარცა ესმნეს ვიპარქოზსა სიტყუანი ესე წმიდისა ევგენიასნი, განლიგნა
 სიტყუათა მისთა ზედა და არარაჲ პოვა, რამცა მიუგო მას. და ვიპარქოზი
 35 შეშინდა გრძლად სიტყუავებისა მისისათჳს, ნუჟუეე მიიწიოს მეფისა და ეგო-
 ნოს, ვითარმედ ტკბილად ისმენს სიტყუათა მისთა.

VII. და უბრძანა, რაჲთა მიიყვანონ წმიდაჲ ევგენია არტემი კერპისა, დჳ
 იყოს მეგრძლეს გუერდით მისა და ეტყოდეს: «შეიწყალე თავი შენი და სიპატი-
 ოსნეს შენი და უზორე არტემისა!» მას ჟამსა წმიდამან ევგენია განიპყრა ჯელ-

ნი თვსნი ზეცად და თქუა: «უფალო, შენ უწყი დაფარული გულისა ჩემისაჲ, რამეთუ სიყუარულისა შენისათჳს დავიცევ ქალწულებჲა ჩემი, და შენ გარდა-
 ჰმატე ჩემ ზედა მადლი სულისა წმიდისაჲ. აწცა, უფალო, ყავ ჩემთანა მადლი
 იგი ეამსა ამას წამებისა ჩემისასა, რამეთუ სახელსა შენსა აღვიარებ, რაათა
 ჰრცხუნოდეს ყოველთა, რომელნი თაყუანისცემენ ჴელითქმულთა და რომელ-
 ნი იქადიან კრპებითა მათითაჲ. და ვითარცა ელოცვიდა წმიდა ევგენია, ლო-
 ცვასა ოდენ მისსა იყო ძრვად დიდი ფრიად ადგილსა მას და შეეშინა ყოველ-
 თა მუნ მდგომარეთა და შეიძრა საფუძველი საკერპოვსა მის და დაეცა კრპი-
 თურთ და არარად დაშთა ადგილსა მას, რომელი არა შეიმუსრა, გარნა ადგი-
 ლისა მის, სადა იგი დგა წმიდა ევგენია. და იყო ესე წინაშე ყოვლისა მის
 ერისა, რომელი მოსრულ იყენეს, რაათა იხილონ | მოლუაწებჲა მოწამისა მის
 ქრისტესისაჲ. და წარვიდეს ყოველნი სწრაფით ვიპარქოზისა და ეტყოდეს გმი-
 თა მადლითა ვითარმედ: «უბრალო არს ევგენია», და სხუანი იტყოდეს ვითარ-
 მედ «გრძნეული არს». ხოლო ვიპარქოზმან მიუთხრა საქმს ესე მეფესა; და უბრძა-
 ნა მეფემან, რაათა წამოჰკიდონ ქედსა ქვაჲ და ჩაავდონ იგი მდინარესა. და ვი-
 თარცა ესე ყვეს, მოსთქდა ქვაჲ იგი ყელისაგან მისისა და შთავარდა მდინარე-
 სა, და დაშთა წმიდა ევგენია წყალთა შთ ზედა მჯდომარს, და რომელთა
 ჰრწმენა ქრისტს, იტყოდეს ვითარმედ «ღმერთი არს ევგენიას თანა წყალთა
 მთ ზედა, ვითარცა პეტრს თანა, და არა უტევჲ იგი დანთქმად». და ვითარ-
 ცა გამოიყვანეს წმიდა ევგენია, მიიყვანეს აბანოდ და შეავდეს საგზეებელსა
 მას. ხოლო სახუმილი იგი მიყვებულად განგრილდა და დაივისო და დაიბრუნა
 ყოველივე, რად:ა იყო აბანოვსა, შემდგომად ამისა შეავდეს იგი საპრობილუ-
 სა ბნელსა და უბრძანეს, რაათა იყოს მუნ შინა ათდღს და არა უჩუენონ გე-
 მოჲ ჴამადისაჲ. ხოლო საპრობილს იგი განათლდა ფრიად და შემდგომად გა-
 მოსლვისა მისისა დარჩა ბრწყინებულბაჲ იგი ნათლისაჲ ადგილსა მას. და ეჩუენა
 წმიდასა ევგენიას უფალი ჩუენი იესუ ქრისტს და მისცა მას პური კელითა თჳ-
 სითა, უსპეტაკს თოელისაჲ, და აქუნდა სიტკბოებჲა უზომოჲ. და ჰრქუა უფალ-
 მან წმიდასა ევგენიას: «მიიღე პური ესე ჴელისაგან ჩემისა, ევგენია, და გემოჲ
 იხილე, რამეთუ მე ვარ მესწელი შენი, რომელსა ყოვლითა ძალითა შენითა |
 ქალწულებით მისახურე და ყოვლითა სარწმუნოებითა შემეყუარე, და მე ამას
 დღესა შინა შეგიწყნარო შენ ზეცას, რომლისაგან გარდამოვკნედ ქუეყანად». და
 შემდგომად სიტყუათა ამთ მიეფარა მისგან უფალი. ხოლო სიტყუჲ ესე მისა
 მიმართ იყო დღესა, რომელსა იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტს.

VIII. და მოავლინა მეფემან ერთი მკვდართაგანი და წარჰკუეთა თავი მი-
 სი. და მოვიდეს ნათესავნი მისნი და წარიდეს გუამი წმიდისა ევგენიასი და
 დაჰკრძალეს გარეშე ჴალაქსა, დაბასა ერთსა შინა მისსა, რამეთუ ადგილსა მას
 დაემარხნეს წმიდასა ევგენიას მრავალნი მოწამენი, რომელნი იწამნეს ცხორე-
 ბასა მისსა სწავლითა მისითა. ხოლო დედაჲ მისი კოლოდია ჯდა საფლავსა მის-
 სა ზედა და ტიროდა. და წმიდაჲ ევგენია გამოეცადა მას მღვდარესა შუჲალა-

691

მთ. XIV,
29

695

12 ქრისტესისა; ვიპარქოზისა.—18, 26 ქრისტე.—19 პეტრეს,—27 უსპეტაკეს.—33 კრის-
 ტე.—36 გარეშე.

შეს ოდენ, და ემოსა სამოსელი ოქროქსოვილი და თავსა ედგა გვრგვნი, და იყო მის თანა სიმრავლქ ქალწულთაჲ. და ჰრქუა დედასა თჳსსა: მზიარულ იყავ და იხარებდ, დედო ჩემო, რამეთუ უფალმან შემიწყნარა მე წმიდათა თანა და შენ მიგიყვანებს უფალი დღესა კრაიკესა სიხარულსა დაუსრულებელსა. არამედ შენ შეუთუალე შევითა შენთა, ძმათა ჩემთა, რადთა დაიცვან ბეჭედი ქრისტეანობისაჲ სარწმუნოებით, რადთა ზიარ იყვენ ჩუნეთანა მადლსა მას ქრისტესსა. და ამას რაჲ ეტყოდა, გამოჩნდა ნაწილი დიდებისაჲ, რომელი ვერ შესაძლებელ არს კაცთაგან ხილვად, და ანგელოზნი უგალობდეს ღმერთსა წმითა, რომელი ვერ შესაძლებელ არს მითხრობად. და საცნაურ იყო გალობისა მათისაგან | 696

მაზად და ძქ და სული წმიდაჲ, რამეთუ უგალობდეს სამებასა ყოვლადვე საგალობელსა, ერთარსებასა, რომლისაჲ არს ქებაჲ და დიდებაჲ, ძალი და პატივი, ძქ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე. ამჴნ.

ფესები კესარიელის ფრაგმენტები

ვესები კესარიელი. ან პალესტინელი, სხვანაირად ვესები პამფილი, resp. პამფილელი¹, მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწეა. მართალია, დეტალები მისი ცხოვრებისა გარკვეული არაა საბოლოოდ², მაგრამ ზოგად ხაზებში მაინც ცნობილია. დაიბადა ის 260—265 წლებში, 313—315 წლებში დადგენილ იქნა კესარიის (პალესტინაში) ეპისკოპოსად, ხოლო გარდაიცვალა 339—340 წლებში. თანამედროვე დეოკლიტიანე იმპერატორის დროის ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართული საშინელი დევნულებისა, რომლის სიმწვავე მანაც იგემა პირადად, ვესები, ქრისტიანობის ლეგალიზირების³ შემდეგ, მოწამე შეიქნა არიანული მოძრაობისა, თუმცა ამ მოძრაობაში ის არც არიანელთა მხარეზე იდგა, არც მართლმადიდებელთა, ის უფრო ორიგენის ქრისტოლოგიისაკენ იხრებოდა.

ვესები მეტად ნაყოფიერი მწერალია, განსაკუთრებით მან სახელი მოიხვეჭა საისტორიო ხასიათის შრომებით, ყველაზე მეტად ისეთებით, რომელნიც ქრისტიანობას ეხებოდა. მისი დამსახურება ამ დარგში იმდენად დიდია, რომ მან სამართლიანად „საეკლესიო ისტორიის მამის“ სახელი დაიმკვიდრა. ძველ-ქართულ მწერლობაში მას „ჟამთ-აღმწერელი“ ეწოდება. მართალია, ვესები არ იყო არაჩვეულებრივი, საგანგებო ნიჭის პატრონი, მაგრამ, როგორც განათლებულმა, ენერგიულმა, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერმა ადამიანმა, დაუფასებელი ანაგი დასდო ისტორიას. მის განკარგულებაში იყო კესარიისა და იერუსალიმის უმდიდრესი წიგნთსაცავები და არქივები, სადაც თავმოყრილი იყო მთელი ქრისტიანული და არაქრისტიანული ლიტერატურა უძველესი დროიდან. ამით აიხსნება, რომ ვესების საისტორიო შრომებში გადარჩენილა ექსცერპტები ისეთი თხზულებებიდან, რომელთაც ჩვენამდე აღარ მოუღწევიათ.

ვესების საისტორიო შრომათაგან უფრო მნიშვნელოვანია: I. „ქრონიკა“⁴ ორ ნაწილად (*Χρονικαγραφα* და *ἑρσιωνος ἱστοριαι*); ამ შრომის პირველს გამოცემას ადგილი ჰქონდა 312 წელს (Harnack-ით არაუგვიანეს 303 წლისა), ხოლო მეორეს 325 წლის მახლობლად⁵. ეს თხზულება შემონახულა ბერძნულს

¹ ამ სახელის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 431.

² მთავარი ლიტერატურა ვესების შესახებ: 1) A. Harnack, Geschichte der altchristlichen Literatur bis Eusebius, II Band. 2 Theil 1904. 2) F. Schwartz, Eusebius von Caesarea, Pauly-Wissowa. Realencyklop. der klass. Altertumswissenschaft VI, 1, 1370—1439, 1907; 3) Проф. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, I, 139—160; 4) O. Waldenbauer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 240—262, 1912.

³ A. Schöne, Die Weltchronik des Eusebius in ihrer Bearbeitung durch Hieronymus Berlin, 1900.

გარდა, უძველეს ლათინურს (იერონიმეს), სირიულსა და სომხურ თარგმანებში; იმაში მოყვანილია ფაქტები საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიიდან, აბრაამის დროიდან მოყოლებული.

II. „საეკლესიო ისტორია“ (*Ἐκκλησιαστικὴ ἱστορία*) ათ წიგნად. ამაში თავმოყრილია ცნობები მხოლოდ ქრისტიანობის ისტორიიდან 325 წლამდე; დაწერილია ის 312—325 წლებში (Harnack). ეს შრომაც, ბერძნულს გარდა, შემონახულა ლათინურს (რუფინუსის), სირიულს და სომხურ თარგმანებში.

III. „პალესტინის მოწამეთათჳს (Ἱεραὶ τῶν ἐν Παλαιστίνῃ μαρτυρησάντων). ეს თხზულება, რომელშიაც აღწერილია მარტვილობა დეოკლიტიანეს დროს უმთავრესად პალესტინაში აღსრულებული მოწამეებისა, ხელნაწერებში შეადგენს გაგრძელებას „საეკლესიო ისტორიის“ მერვე წიგნისას. ის ორი რედაქციით გამოუშვია მის ავტორს. ერთი მათგანი, რომელიც 13 თავისაგან შედგება, გამოუცია, სხვათა შორის, Migne-საც¹; მეორე რედაქცია, უფრო ვრცელი და რიტორული, მთლიანად შენახულა სირიულ თარგმანში², ხოლო ორიგანალურ ბერძნულ ენაზე ნაწყვეტების სახით³. ამ თხზულებაში ევსები გადმოგვცემს იმას, რაც ან მას თვითონ უნახავს, ან რაც გაუგონია უშუალოდ თვითმხილველთაგან. დაწერილია ის 313 წელს (Harnack).

IV. ცნობილი ყოფილა ევსების „კრებული ძველთა მოწამეთა“ (*Ἀρχαῖαι μαρτυρίαι συγγραφή*), რომელიც ერთი ცნობით, 20 წიგნიდან შედგებოდა, მეორეით კი 11-დან. ამ თხზულებას თვითონ ევსები ასახელებს (საეკლ. ისტორია IV. 15, V, 4, 15), იმაში ლაპარაკი ყოფილა იმ მოწამეთა შესახებ, რომელნიც ეწამნენ დეკიოზ იმპერატორამდე (249—251). მეექვსე საუკუნიდან უკვე ამ თხზულების კვალი აღარ ჩანს, ის მთლიანად დაკარგულია; დაწერილი ყოფილა 303 წლამდე (Harnack)⁴.

ევსების საისტორიო შრომები, რომელიც საფუძვლად დაედო საქრისტიანო ისტორიოგრაფიის განვითარებას, იმ სახით არ შენახულა, როგორც ისინი. ავტორის ხელიდან გამოვიდნენ. ამჟამად სწარმოებს მუშაობა მათი არქტივების აღდგენისათვის, განსაკუთრებით „საეკლესიო ისტორიის“ სახით, ამიტომ მეცნიერებაში მიმართავენ ხოლმე მათ თარგმანებსაც. ისინი, როგორც დავინახეთ, თითქმის ყველა ენაზე უთარგმნიათ შედარებით მალე მათი გამოქვეყნების შემდეგ. საინტერესოა ვიცოდეთ, რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ძველ ქართულ მწერლობაში?

ვერც ერთს ზემოაღნიშნულ თხზულებას ქართულ ენაზე ვერ ვპოულობთ. ჩვენ ერთხელ ვამბობდით, რომ ქართველები ძველად მაინც და მაინც არ ეტანებოდნენ უცხოელების საეკლესიო-ისტორიული შრომების თარგმანს, რადგან

¹ Patrologiae Cursus Completus, Ser. Graeca, t. XX, col. 1457—1517.

² W. Cureton, History of the Martyrs in Palaestine, London 1861; გერმანული თარგმანი ამისა—B. Violet, Texte und Untersuchungen XVI, 4 (1896): P. Bedjan, Acta Martyrum et Sanctorum I, Parisiis, 1890.

³ Analecta Bollandiana. t. XVI, p. 113—139, 1897.

⁴ რასაკვირველია, ეს თხზულება არ არის ის თხზულება, რომელიც აღნიშნული სათაურით გამოცემულია Migne-ს პატროლოგიაში (t. XX, col. 1520—1536).

მათ ისტორიულ ცნობისმოყვარეობას რამდენადმე ის მდიდარი აგიოგრაფიული ლიტერატურა აკმაყოფილებდა, რომელიც წარმოადგენს საკუთრივ ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგს და რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წმიდა ისტორიულ მწერლობას¹. ამ მოვლენას, შეიძლება, თავი ეჩინოს ეგვები კესარიელის თხზულებათა მიმართაც; მაგრამ არა მთლიანად, მხოლოდ ნაწილობრივ. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მისი შრომა, „საკელესიო ისტორია“, ქართულად ძველად ყოფილა თარგმნილი.

ეს ჩანს იმ წერილიდან, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელს გაუგზავნია ათონიდან საქართველოში, ერთი ცნობით, თეკლორე საბაწმიდელისათვის, მეორეთი კი „დიდისა ბერისა გიორგისათვის“ პასუხად მათი შეკითხვისა—რომელია ის წიგნები, რომელთაც ეკლესია არ შეიწყნარებს? აი ეს პასუხი ორი მისი რედაქციით:

ეგვები ჰამფილელისა წიგნი არს, მრავალთა რათამე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყუს თვთოსახეთა, რომელ მრავლითა ფილოსოფოსობითა დაწერილ არს იგი, არამედ წვალებანი მრავალნი ჩაურთავნ მასვე და ამისთჳს არ შეიწყნარებს ეკლესიამ. იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და, უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიცოცხლესა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესსა, მოეწერა ქართლით სტეფანესს, ეპისკოპოსსა ჰყონდიდისასა, და ეკითხა ვითარნედ: შესაწყნარებელ არსა კითხვაჲ წიგნისა ამის ანუ თუ არა? ხოლო ჩუენ მიუწერეთ მას ვითარმედ: არა შესაწყნარებელ არს, მაგრამ კარგნიცა საქმენი მრავალნი სწერიან, გარნა ლუარძლიცა წვალებასა თანა შთაურთავს და მით უგმარ არს იგი².

ეგვები ჰამფილია წიგნი არს და მრავალთა საქმეთა წარმოიტყუს და თხრობათა თვთოსახეთა, ფილოსოფოსობითა დაწერილი, გარნა წვალებანი ჩაურთავნ, ამისთჳს არა შეიწყნარებს ეკლესიამ. იგი ქართულად [ვისმე] უთარგმნია და, უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიცოცხლესვე მამისა ჩემისასა, მოეწერა მუნთ სტეფანე ეპისკოპოსსა და ეკითხა, თუ შესაწყნარებელ არს? კარგიცა მრავალი სწერია, გარნა ლუარძლიცა მრავალი ჩაურთავს და მით უგმარ არს³.

ეკლესიის მიერ „შეუწყნარებელ“ წიგნად ამ პასუხში, როგორც ვხედავთ, აღნიშნულია ეგვები ჰამფილია, წიგნი, რომელიც „მრავალთა საქმეთა წარმოიტყუს და თხრობათა თვთოსახეთა“ და რომელიც დაწერილია „ფილოსოფოსობით“. მართალია, იმაში „მრავალი კარგი სწერია“, მაგრამ, რადგან მასთან ერთად „ლუარძლიცა და წვალებანიც“ მრავლადაა ჩართული, „უგმარ არს“ და „ეკლესია არ შეიწყნარებს“ მასო. რადგანაც ეგვები ჰამფილის სახელი ექვთიმეს პასუხში უშუალოდ ორიგენის სახელს მიჰყვება და თან მისი წიგნი, ამ პასუხის მიხედვით, „მრავლითა ფილოსოფოსობითა“ ყოფილა დაწერილი, შესაძლებელია კაცმა იფიქროს, და ჩვენ ვფიქრობდით კიდევ ასე³, რომ ამ შემთხვევაში

¹ კ. ქექელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², 459—460.

² იქვე, გვ. 394.

³ იქვე, გვ. 431.

იგულისხმება თხზულება „აპოლოგია ორიგენისა“, რომელიც მთლად თუ არა, უკანასკნელ ნაწილში შინიც, ეკსეების ეკუთვნის. მაგრამ ამ პასუხის სიტყვები: „მრავალთა საქმეთა წარმოიტყვს და თხრობათა თვთოსახეთა“¹, ეკვს არ სტოვებს, რომ აქ საისტორიო ხასიათის შრომა იგულისხმება. მართლაც, გელასი პაპის (492—496) დეკრეტალში: „De recipiendis et non recipiendis libris“, რომლის უდავო გამოძახილი ისმის ექვთიმე ათონელის პასუხში, ნათქვამია: ევსებ კესარიელის „საეკლესიო ისტორია“, მისი მდიდარი შინაარსის გამო, ხელაღებით უარსაყოფი არაა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა თავის მოთხრობის პირველ წიგნში გულგრილობა გამოიჩინა; მაგრამ ამ სიტყვებს მისდევს განცხადება: „Historia Eusebii Pamphili apocrypha“². ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღებულა უთუოდ „საეკლესიო ისტორიის“ პირველი წიგნის არიანული ტენდენციები³.

ექვთიმეს პასუხიდან ეტყობილობთ, რომ ეს წიგნი ვილაცას, ქართულად უთარგმნია გაცილებით ადრე ათონის ლიტერატურული სკოლის შექმნამდე, ამიტომ ჭყონდიდის ეპისკოპოსს სტეფანეს, რომელიც არის მოღვაწე მეთავე საუკუნის უკანასკნელი მეხუთედის და მეთერთმეტის დამდეგისა⁴, ჯერ კიდევ იოანე ათონელის სიცოცხლეში, გაუგზავნია იოანესა და ექვთიმესათვის შეკითხვა: „შესაწყნარებელ არსა კითხვად წიგნისა ამის ანუ თუ არა?“ იმ შეფასების შემდეგ, რომელიც ათონელებმა მისცეს ამ წიგნს, მისი თარგმანი, რასაკვირვებელია, მოსპეს ჩვენში, ყოველ შემთხვევაში მისი კვალი ჯერჯერობით არ ჩანს. ევსები კესარიელის საისტორიო შრომები, თუ მთლიანი სახით არა, ფრაგმენტულად მაინც შემონახულა ძველ-ქართულ მწერლობაში. გადავავლოთ თვალი ამ ფრაგმენტებს და ვაჩვენოთ, რას წარმოადგენენ ისინი და რას გვაძლევენ ევსების ორიგინალური ტექსტის აღსადგენად?

სულ სამი ფრაგმენტი მოგვეპოვება. ერთია „წამებაჲ იაკობ მოციქული-საჲ“, მეორე — „ქებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ“ და მესამე — „წამებაჲ წმიდისა პროკოპისი“. ამთ გარდა ჩვენს ძველს მწერლობაში ცნობილია ასეთი შრომა: „ცხოვრებაჲ და მოკალაქობაჲ და სასწაულნი წმიდისა მამისა ჩუენისა სილიბისტროსისნი, ჰრომთა პაპისანი, რომელნი აღწერნა ევსებიოს პამფილელმან“⁵; ის ასე იწყება: „ევსებიოს პამფილიელმან საეკლესიონი წიგნნი აღწერნა მრავალნი“ (იერუსალიმის ხელნაწერები № 5, ფ. 1—17, და № 120, ფ. 1—52). მაგრამ დღეს უკვე გარკვეულია, რომ თხზულება ამგვარი სათაურით ნამდვილად ევსების არ ეკუთვნის⁶, ამიტომ მას არც ჩვენ ვეხებთ ამ შრომაში⁵.

ახლა განვიხილოთ სამივე ფრაგმენტი.

¹ A. Thiel, *Epistolae romanorum pontificum* I, p. 461, 466, Brunsvbergae 1868.

² O. Bardenhewer, *Geschichte der altkirchlichen Literatur* III, 242, Anmer. 4.

³ კ. კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია* I, 159—160.

⁴ *Bibliotheca hagiographica Graeca*, p. 287, 230.

⁵ ქართულ ენაზე შემონახულა თარგმანი არეს, პროპოსის და ელიას მარტივლობისა (იხ. ზემოთ გვ. 55—58), რომელთა შესახებ მოკლედ ლაპარაკია ევსების „პალესტინის მოწამეთათჳს“ მეთაი თავში; მაგრამ ეს შრომა ევსების არ ეკუთვნის, ამიტომ აქ არ შემოგვაქვს.

იაკობ გოციაშვილის წამება

ქართული ტექსტი იაკობის წამებისა დღესდღეობით ცნობილია საქართველოს მუზეუმის A ფონდის ორი ხელნაწერით. ერთი მათგანი, № 19, მეთექვსმეტის ე. წ. „სვანური“ მრავალთავი, ჩვენ მიერ აღნიშნულია A-თი, ხოლო მეორე, № 95, გადაწერილი ბაგრატ მესამის მეჯობაში (980—1014), აღნიშნულია C-თი.

ამ თხზულებაში აღწერილია მარტივობა იმ იაკობისა, რომელიც ქრისტეს ძმად ითვლება და რომელიც იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი იყო. მართალია, თავისთავად, დამოუკიდებელი, ასეთი თხზულება ევსების არ მოეპოვება, მაგრამ ამას ჩვენ მის შრომად ვსთვლით, რადგანაც ის, თითქმის მთლიანად ამოღებულია, ევსების „საეკლესიო ისტორიის“ მეორე წიგნის ოცდამესამე თავიდან (Migne, PG. XX, col. 196—205). ეს თხზულება არსებობს სომხურ ენაზედაც, როგორც „საეკლესიო ისტორიის“ თარგმანში, ისე ცალკე საკითხავის სახით (ცნობები სომხური თარგმანის შესახებ თავაზიანად მოგვაწოდა არმენისტმა ილ. აბულაძემ). ევსების თავის მხრივ ეს შრომა „საეკლესიო ისტორიაში“ შეუტანია მოციქულთა ერთ-ერთი უახლოესი მემკვიდრის ჰეგეზიპეს აწ დაკარგული თხზულებიდან. თავისი „Ἱστορικῶν ἱεροσολιμῶν“ მეექვსე წიგნში, შენიშნავს ევსები, ჰეგეზიპე მოგვითხრობს: „ეკლესიის გამგებლობა, მოციქულებთან ერთად, მიიღო ძმამან უფლისამან იაკობმან, რომელიც თვით უფლის დროიდან დღევანდელ დღემდე წოდებულ იყო ყოვლისაგან ერისა იაკობ მართალი, რამეთუ მრავალთა მოციქულთა უფლისათა ერქუა იაკობ“; ამის შემდეგ გადმოცემულია მთლიანად და თითქმის უცვლელად ჰეგეზიპეს ცნობა (Migne, t. XX, col. 197A—204A). ამის მომდევნო ციტატი იოსებ ფლავიოსის „არქეოლოგიიდან“ (col. 204B—205A, სიტყვებამდე თქმ *Δακρυῶσις ἰακώβου*) ქართულში გამოტოვებულია, ხოლო ბოლო, შვიდი სტრიქონი, მოცემულია ოდნავ შემოკლებულად. ხომ არ გვაქვს ქართულში უშუალო, ევსებისაგან დამოუკიდებელი, თარგმანი ჰეგეზიპეს შრომისა? ამისი თქმა არ შეიძლება, რადგანაც თარგმანში ჰეგეზიპეს ცნობების გარდა, ჩვენ ევსების ცნობებშიც გვაქვს. განვიხილოთ ქართული თარგმანი თხზულებისა.

ბერძნული წინადადების „*Διαβέχεται δὲ τῷ Ἑκκλησιαῶν ματὰ τῶν ἀποστόλων*“ (197A) უკანასკნელი სამი სიტყვა ქართულში გამოშვებულია, მათ მაგიერ აქ იკითხება: „ნებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“, ხოლო წინადადების პირველ ნაწილში *Ἑκκλησιαῶν* გაგებულია როგორც „ტაძარი“, შენობა, და ამიტომ განმარტებულია: „რომელი იყო იერუსალმს კათოლიკე ეკლესიაღ“. თან ერთი გარემოება: ხელნაწერში წინადადება იწყება სიტყვით „რამ-

ქამს“. თუ ეს სიტყვა დარჩება, მთავირი წინადადების უკუ ლობის გამო, აზრი დაუმთავრებელი რჩება, ამიტომ „რადჟამს“ შეცთომად მიგვაჩნია, მის მაგიერ უნდა იყოს „მას ქამს“.

„და ესე მარტოჲ შევიდოდა ტაძრად სიწმიდესა მას და არა შეიმოსის მას მატყლისა სამოსელი, არამედ ჰმოსიედ მას სელისა სამოსელი“. ასე იკითხება ეს ადგილი A-ში, ხოლო C-ში „სელისა“-ს მაგიერ იკითხება „სტევისა“. ეს უკანასკნელი სიტყვა იშვიათია, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია მხოლოდ ერთი შემთხვევა მისი ხმარებისა; ეს არის ჰაღინის ოთხთავში მარკ. I, 6, სადაც ვკითხულობთ: „იოვანე მოსილ იყო სტევითა აქლემისაჲთა“². ტბეთის ოთხთავში, რომელიც ვ. ნ. ბენეშევიჩის მიერაა გამოცემული, აგრეთვე გიორგი ათონელის ვულგატაში იკითხება: „ემოსა იოვანეს სამოსლად თჳსა თმისაჲან აქლემისა“³. ეს სევანური, ნ. მარით, წარმოშობის სიტყვა „ემოუნა-ხავს აღნიშნულ მუხლში ოთხთავის სომხურ ვერსიასაც. ყვესების თხზულების ქართულ თარგმანში გვაქვს, მაშასადამე. ორი წყითხვა: „სტევი“ (C) და „სე-ლი“ (A); რომელი უნდა იყოს უფრო სწორი? ბერძნულს ტექსტში ქართულის შესატყვისად გვაქვს *αυθίαις* (197A), რაც არც „სტევის“ უჭერს მხარს, არც „სელს“. სომხური თარგმანი თითქოს „სტევის“ უახლოვდება, აქ ნახბარია სიტყვა „ცვისს“, რაც „საკითხავში“ მოთავსებული სქოლიოთი ნიშნავს „თმი-ერს“. ჩვენის აზრით, „სტევი“ არ არის მისაღები ამ შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ იაკობის ტანსაცმელის რაობა, კონტექსტით, დაკავშირებულია იერუსალიმის ტაძრის (ებრაელთა) „სიწმიდემი“ შესვლის უფლებასთან. „სიწმიდემი“ შესვლისათვის კი სავალდებულო იყო „სელის“ (*αυθίαις*) ტანსაცმოსი; როგორც „წმიდა სამოსელი“, ეს რეკლამენტირებულია ლევიტ. XVI, 4-ში. აქედან, მაშასადამე, არც ბერძნული *αυθίαις*, არც სომხური „ცვისს“ შეიცავს ევსების თავდაპირველი ტექსტის ტრადიციას.

„და თქუეს ებრაელებრ ობლე“; ბერძნულში „ებრაელებრ“ არაა. ხოლო „ობლე“-ს იქ უღრის *ἄβλας*. სომხურ თარგმანში სულ არაა ეს წინადადება და სიტყვა. ზოგიერთ ფილოლოგთა სიტყვით, *ἄβλας* დამახინჯებულია, უნდა იყოს *ἄβλας* თუ *ἄβλας*, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მას მხარს უჭერს ქართული „ობლე“.

„რომელნიმე შდისა მის წვალებისაჲანი ჰკითხვიდეს მას“. ამ შემთხვევაში იგულისხმება შვიდი სექტა ებრაელებისა, რომელთა შესახებ ჰეგზიბეს ცნობები მოყვანილია ევსების მიერ „საეკლესიო ისტორიის“ მეოთხე წიგნის ოც-დამეორე თავში (Migne, PG. t. XX, col. 377-384). ამ სექტებს, ებიფანე კვიპრელის რედაქციით (Migne, t. 42, col. 387), იცნობს იოანე შავთელი⁴.

¹ Н. Марр, Из поэмки в Сванию, Христианский Восток, II, 25-26.

² R. P. Blake-ს გამოცემა; Georgian Version of the Gospel of Mark (Patrologia Orientalis, t. XX, f. 3). აკ. შანიძის გამოცემა, გვ. 110.

³ შეიძლება ეს სიტყვა გვეზონდეს აგრეთვე ლონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ერთს დამახინჯებულ სიტყვაში „სტეოდეს“: „საწმარსა ქუშუ სტეოდეს“ (მარიამ ღვთისმშობლის ღარიანტი, გვ. 46, ვახტანგის რედაქციაში „სტეოდესა“, ანა ღვთისმშობლის ღარიანტი არ იცნის სულ ეს სიტყვა) — „საწმარსა ქუშუ სტეოდესა“.

⁴ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 244.

„რომელი არს კარი ღმრთისაჲ? ეს ნიშნავს: რომელი კარით შეიძლება ღმერთთან შესვლა? ღმრთისაჲ“-ს ნაცვლად ბერძნულში არის ἵκησθαι. ასევეა სომხურშიაც; ქართულის წაკითხვა უფრო სწორი უნდა იყოს. ამას ამჟღავნებს პასუხი ამ კითხვისა: „და იგი მოასწავებდა მაცხოვრისასა“, ან, როგორც ბერძნულშია: εἰς τὴν Σαφῆα. ქრისტე, მაცხოვარი, არის კარი არა თავისი თავისა, არამედ ღმრთისა, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი: „მე ვარ კარი, ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, სცხონდეს“ (იოან. X, 9, შეად. საქმ. მოც. XIV, 27, 2 კორ. II, 12).

„და იყო შფოთი დიდრ შორის მწიგნობართა მათ და ფარისეველთა“, ასეც ეს A-ში; C-ში: „შორის მწიგნობებელთა მათ და ჰურიათა და ფარისეველთა“. უკანასკნელი წაკითხვა, თუ „მწიგნობებელთა“ მიღებული იქნება როგორც შეცთომით წაკითხული „მწიგნობართა“, უნდა მიჩნეულ იქნეს გამეორებლად ბერძნული რედაქციისა, სადაც ნათქვამია: „იყო შფოთი ურიათა, მწიგნობართა და ფარისეველთა“. ვფიქრობთ ქართული C-სა და ბერძნულის წაკითხვა სწორი არაა, რადგანაც ამ წაკითხვით გამოდის, თითქოს მწიგნობარნი და ფარისეველნი არ არიან ურიანი, ისინი დაპირისპირებული არიან ურიებთან. ეგვიპტის თავდაპირველ ტექსტში „ურიათა“ არ ყოფილა, ეს ჩანს ქვემოთხსენებულისაგანაც, სადაც მოქმედებენ და ლაპარაკობენ მხოლოდ „მწიგნობარნი და ფარისეველნი“.

როდესაც ტაძრის სახურავზე მდგომმა იაკობმა ქრისტე აღიარა, ძირის მორწმუნენი ყვიროდნენ, ბერძნული ტექსტით „ოსანა ძესა დაფითისსა“ (col. 200 C), ასეა სომხურშიაც. ფიქრობენ, რომ ეს სიტყვები მიმართულია თვით იაკობისადმი, რომელიც იყო ძე იოსებისა, მაშასადამე, შთამომავალი დაფით წინასწარმეტყველისა (col. 200, not. 4). კონტექსტით ეს მიმართვა გულისხმობს არა იაკობს, არამედ მის მიერ აღიარებულ ქრისტეს. ამას მხარს უჭერს ქართული თარგმანი, სადაც ვკითხულობთ არა „ძესა დაფითისსა“, არამედ „ძესა ღმრთისასა“, რასაკვირველია ქრისტეს და არა იაკობს.

როდესაც იაკობს ქვები დაუშინეს, მას გამოეკომაა „ერთი ვინმე მღვდელთავანი, რომელი იყო ძეთავანი რეჰაბისთა (ἸΡῤῥᾶβ), ძისა რეჰაბინისი (σὺν Παναβῆμ), რომელი მოიქცენა იერემია წინასწარმეტყველმან“. რეჰაბი და მისი სახლი მართლაც მოხსენებულია იერემიას წიგნში (XXXV, 2, 6, 8, 14, 16, 18, 19). პანსოფი აღექსანდრიელის „ცხოვრებაში“, რომელიც ქართულ ენაზე შენახულა მხოლოდ, ნათქვამია, რომ „ძენი რეჰაბისნი“ არიან ის „სანატრელნი“, რომელთა სიბრძნე აღემატება სიზილოსის, ტერენტოსის, სალოსტიოსის და კერენკიოსის სიბრძნეს¹. ქართული ლიტერატურული ტრადიცია მათ იცნობს აგრეთვე „შიშველ-მართალთა“ (ბრამანების) სახელით².

„და აღდგა ერთი მათგანი, რომელი იყო სამოსლისა მრცხელი (γυμφῆσας), აღილო ძელი იგი (ῥᾶσι), რომლითა განარაზიან სამოსელი (ἐν τῷ ἀναρῆσει

¹ კ. კეკელიძე, კიმენი, გვ. 53.

² რეჰაბის ძეთა შესახებ იხ. კ. კეკელიძე, გიმნოსოფისტები ძველ-ქართულ ლიტერატურაში (ცეცხუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 108—129, თბილისი 1945 წ.).

«*ἔξ ἑαυτῶν*»). ქართული თარგმანის წაკითხვა ამ შემთხვევაში მისდევს რუფინოზის თარგმანის რედაქციას: «*et unus ex ipsis fullo, arrepto fuste, in quo vestes exprimerent solent*» (Migne, PG. t. XX, col. 202, not. 9). სომხური თარგმანით «სამოსლის მრცხელი» კი არ დაარტყამს ძელს იაკობს, არამედ სხვა, რომელიც ამისგან, მრცხელისაგან მოიღებს მას.

«და დაჭულეს იგი ადგილსა მას მახლობელად ტაძარსა მას». უკანასკნელი სიტყვები ზოგს ბერძნულ ხელნაწერში არ ყოფილა, რადგანაც ისინი განმეორებულია მომდევნო წინადადებაში: «*არს ძეგლი მას ზედა მახლობელად ტაძარსა მას*». მაგრამ ქართული თარგმანი ადასტურებს, რომ არქეტაში ეს სიტყვები ორსავე წინადადებაში იკითხებოდა. ასეა სომხურშიაც.

«მათვე დღეთა შინა ვესპასიანოს ვინმე, განსაკვრეველი კაცი, მოვიდა და მოიცვნა ჭურიანი». ბერძნულმა დედანმა არ იცის სიტყვები «განსაკვრეველი კაცი», როგორც ეპიტეტი ვესპასიანისი.

აქ თავდება ჰეგეზიზეს თხზულებიდან მოტანილი ცნობა იაკობის შესახებ. შემდეგ მიდის ვესების ცნობები, ამოღებული იოსებ ფლაბიოსის «არქეოლოგიის» მეოცე წიგნიდან. ეს ცნობები ქართულ თარგმანში შემოკლებულადაა გადმოცემული, ხოლო ციტატიზისებიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სულ გამოშვებულია.

ბერძნულში ამ ციტატის შემდეგ ნათქვამია: «*აი ყველაფერი, რაც ცნობილია იაკობის შესახებ, რომელმაც, როგორც ამბობენ, დაწერა პირველი ევრეთეოლოგიური კათოლიკე ეპისტოლითაგანი*». ქართულ მთარგმნელს თუ მისი დედანს ეს ადგილი ვერ გაუკია და მოუცია უარო წაკითხვა: «*ესევეთარი ესევე შემთხვევა შეემთხვა ნეტარისა მისთვის და მართლისა იაკობისა ჭურიანთა, რომელიცა უწინარქს კათოლიკეთა ეპისტოლიეთა დაიწერა*». სომხურში ეს ადგილი სულ არაა.

ბერძნულ დედანში თხზულება თავდება მსჯელობით იმის შესახებ, ყალბია თუ არა იაკობისა და იუდას კათოლიკე ეპისტოლენი; ქართული თარგმანი, რომელშიაც ეს მსჯელობა არ არის, დაბოლოებულია როგორც დამოუკიდებელი აგიოგრაფიული ძეგლი, ამ ძეგლებში მიღებული შაბლინით.

თხზულება წარმოადგენს აგიოგრაფიულ «საკითხავს» იაკობ მოციქულის სახელობის დღესასწაულზე საჯარო ღვთისმსახურების დროს. ეს მისი სათაურიდანაც ჩანს. მართალია, დღესდღეობით ბერძნულ ენაზე, როგორც ვთქვით, ასეთი დანიშნულებისა და კომპოზიციის შრომა არ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი არასდროს არ ყოფილა: იაკობის სახელობის დღესასწაული ჩაისახა და განვითარდა სწორედ იერუსალიმის ეკლესიაში, ის ჩამოყალიბდა IV საუკუნეში კონსტანტინე იმპერატორისა და ეგვიპტე კესარიელის დროს; შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ იქ არ ეზრუნათ ასეთი «საკითხავის» შედგენისათვის. ასე რომ, ეჭვი არ არის, აქვე, იერუსალიმში, არის შედგენილი ეს შრომა ეგვიპტის «საეკლესიო ისტორიის» მიხედვით. საყურადღებოა, რომ ის ცნობილი ყოფილა ქართულსა და სომხურს ეკლესიებში, რომელთაც დასაწყისი სწორედ იერუსალიმიდან მოაქვთ.

საიდან უნდა იყოს გადმოღებული ქართული თარგმანი? მართალია, თხზულება დღეს ბერძნულ ენაზე არ ჩანს, ის სომხურ ენაზე შენახულა, მაგრამ ქართული თარგმანი სომხურიდან არ უნდა მოდიოდეს. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ის გარემოება, რომ ამ თარგმანში არ გვაქვს სომხური წყაროს მაჩვენებელი ხელშეახები არმენიზმები, არამედ უფრო ის განსხვავებანი¹ ტექსტუალური ხასიათისა, რომელიც გზადაგზა ვაჩვენებთ კიდევაც. ამიტომ ფიქრობთ, თარგმანი უშოალოდ ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იმაში იაკობის ხსენება დადებულია 26 დეკემბერს, სომეხთა მონოფიზიტურ ეკლესიაში კი ის 25 დეკემბერს იყო მიღებული (17 ქალოცს).

ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით მაინც გავარკვიოთ დრო თხზულების ქართულად გადმოღებისა. ამ მიზნით ყურადღება იმ გარემოებას უნდა მივაქციოთ, რომ იაკობის ხსენება ქართულ თარგმანში, როგორც ვთქვით, 26 დეკემბერსაა დადებული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბერძნული პროტოტიპი თხზულებისა მეექვსე საუკუნის გასულამდე ვერ დაიწერებოდა, რადგანაც იაკობის ხსენება 26 დეკემბერს გადმოტანილი იქნა 25 დეკემბრიდან მას შემდეგ, რაც იერუსალიმში მეექვსე საუკუნის ნახევარში ქრისტეს შობის დღესასწაული გადმოტანილ იქნა 6 იანვრიდან 25 დეკემბერს². შემდეგ, მერვე საუკუნის გასულისათვის, ეს პრაქტიკა შეიცვალა, იაკობის დღესასწაული 26 დეკემბრიდან მოიხსნა³ და მან დაიკავა კალენდარში დღევანდელი ადგილი. ასე რომ ქართული თარგმანი, ამის მიხედვით, არ შეიძლება ეკუთვნოდეს არაპც თუ მეხუთე საუკუნეს⁴, არც მეექვსეს; ის შესრულებულია ან მეშვიდე, ან მერვე საუკუნეში, უფრო კი მერვე საუკუნეში, როდესაც ჩვენში ჩამოყალიბდა „იერუსალიმის განჩინება“, რომელმაც, თანახმად იერუსალიმის პრაქტიკისა, მიიღო ამგვარი დღესასწაული და, მამასადამე, შესადერისი „საკითხავიცა“.

ასეთ დათარიღებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არც გრამატიკულ-ლექსიკური მხარე თარგმანისა, რომელიც საკმაო არქაიზმების მატარებელია. საჭიროდ ესთვლით ზოგიერთი ლექსიკური მოვლენის აღნიშვნას.

განართხიან—გაშლიან, გაკიმვენ.

იმუჯღავნ—იჩოქებდა.

განგულდების—გაგეშორდების.

მახული—სამართებელი (ჯაყბი).

გოდოლი—მაღალი კოშკი (πυρραγιο).

მოიცივნა—ილყა შემოარტყა.

დააყენ—შეაჩერე.

მრცბელი—მრეცხავი, მმურკენელი.

დაიდგნა მუქლნი—დაიჩოქა.

მუკლთდადგმით—დაჩოქით.

დაკანებული—დაბეგვილი, გამაგრებულ

მშენვეერი—სულდგმული.

ლი, კანად ქცეული.

უხეთქნა—დაარტყა, დაკრა.

ვნების დღესასწაული—პასექი, აღდგომა.

ქვის დაკრება—ჩაქოლება.

თაფლუქი (თაფრუქი C)—თაქერა.

წარმართნი—'Eλλης.

თუალთხუმა—მიდგომა, მიყრდნობა.

¹ К. Кекелидзе, К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви (Труды Киевской Духовной Академии за 1905 г. № 1). Проф. И. Карабинов, Из истории Иерусалимского Устава, Христ. Чтение 1912 г., март, стр. 368.

² Сергий, Восток христианский, I, 410.

³ პ. ინგოროყვი, ვნის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „შობაზე“, X, 138.

არქაული სახე აქვს ციტატს ისაიის წიგნიდან: „მოვედით და მოვეკაოთ მართალი იგი, რამეთუ განმამძნელებელ ჩუენდა არს; ამიერითგან ნაშრომსა ველთა მათთასა შქამდენ“ (III, 10); მოსკოვის ბიბლიაში ეს მუხლი ასე იკითხება: „შეკრათ მართალი, რამეთუ ძნელ საწუმეველ არს ჩუენდა; აწ სადმე ნაშრომთა საქმეთა მათთასა ჰამდენ“.

ეხლა მოვიყვანთ თვით თხზულებების ტექსტს.

ითუესა ღკკენბერსა ჰმ

საკითხავი და წამებაჲ წმიდისა იაკობ მოციქულისაჲ, იმარხსაღვკელ ეპისკოპოსისაჲ, ძმისა უფლისაჲ

- A 100 b
C 94 a I. და იყო, მასჟამს ნებითჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა სცვალებდა
- A 101 a ტაძარსა მას, რომელი. იყო იერუსალმს | კათოლიკე ჭკელესიად, იაკობ, რომელ წოდებულ იყო ძმად უფლისა, და ესე იყო პირველ ეპისკოპოს იერუსალმს და წოდებულ იყო ყოველისაგან ერისა «იაკობ მართალი», რამეთუ მრავალთა მოწაფეთა უფლისათა ერქუა იაკობ. ხოლო ესე იყო ძმად უფლისაჲ და
- C 94 b საშოფთგან | დედისა თუსისაჲთ წმიდა იყო, ღვინო და თაფლუქი არა ესუა და მშვენიერისაგანი არა ეჭამა, და მასხლი არა აღსრულ იყო თავსა მისსა, და 10 ზეთი არა ეცხო და ბანარდ არა შევიდის. და ესე მარტოა შევიდოდა ტაძრად სიწმიდესა მას და არა შეიმოსის მან მატყლისა სამოსელი, არამედ ჰმოსიედ მას სელისა სამოსელი და ესრტო შევიდის ტაძრად, მარადის მუკლთადღამით დგად და ილოცავნ ღმრთისა მიმართ მოტეგებისათჳს ყოვლისა ერისა, მარადის იმუკლავნ. ლოცვითა მისითა იქმნა ტყავი მუკლთა მისთაჲ დაკანებულ, ვითარ- 15 ცა მუკლნი აქლემისანი. და მარადის სიმართლისაგან მისისა წოდებულ იყო ყოველისაგან ერისა «იაკობ მართალი», და თქუეს ებრაელებრ ობლენ, რომელ
- A 101 b არს «სიმტიციქ ერისაჲ და განმართლებად». და რომელნიმე შვიდისა მის | წვალებისაგანნი ჰკითხუდეს მას და ეტყოდეს ვითარმედ «რომელი არს კარი ღმრთისაჲ?» და იგი მოასწაუებდა მაცხოვრისასა. და რომელთამე მათგანთა მრავალ- 20
- C 95 a თა ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტეს; | ხოლო პირველთა მათ განდგომილთა მწვალებელთა არა ჰრწმენა აღდგომად [ქრისტესი] და არცაღა მოსლვისა მისისაჲ მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ, ხოლო იაკობის ვაჟო ჰრწმენა მრავალთა მთავართაგანთაჲ.

II. და იყო შფოთი დიდი შორის მწიგნობართა მათ და ფარისეველთა და 25 იტყოდეს: «განგუადგების ჩუენგან ყოველი ესე ერი მოლოდებითა იესუ ქრის-

2 საკითხავი და <C.—4 მას ჟამს| რაჟამს AC.—3 ცვალებდა A.—5 იერუსალმისაჲ A; კათოლიქ C.—6 ესე იყო <A.—6 ეპისკოპოსისა A.—9 თაფლუქი C.—12 ჰმოსიენ A.—13 სელი-სა| სტევისა C.—15 მისითა| ვიდრემდის A.—16 სიმართლისაგან მისისა| სიმართლისა მისისა-გან C.—17 თქუეს| ჰრწმენს A.—18 რომელნი მეშვიდისა C.—20 მოასწაუებდა| მათ C.—23 მი-სისაჲ| და A.—25 შფოთი დიდი შორის მწვალებელთა მათ და ჰურიათა და ფარისეველთა C.—26 იტყოდეს| ვითარმედ A.

- ტსითა, და ეტყოდეს შემოკრებულნი იგი იაკობს: «გვედრებით შენ, დააყენე ერი ესე, რადთა არა შეუდგენ ქრისტესა; შეგივრდებით, დააყენე ერი ესე, მოსრული ღღესასწაულსა ამას ენებისასა; რამეთუ ყოველნივე გერჩით შენ და ჩუენ მოწამე ვართ, რამეთუ მართალა კაცი ხარ და თულთ ხუმით არარას»
- 25 იქმ. აწ დაარწმუნე სიწმინდესა ამას ერისასა, რადთა არა სციტებოდიან შედგომითა იესუ ქრისტესითა. და ყოველი ესე ერი და ჩუენ გერჩით სიტყუთა შენთა. და აწ აღვედ გოდოლსა ამას | ტაძრისასა, რადთა უაღრუა შინდე ყო- A 102 a
ველთასა და ადვილად | ისმინონ გმისა შენისაჲ სიმარაველმან ამან ერისამან, C 95 b
რომელნი პასექისა ამისათჳს მოსრულ არიან, ჰურიანი და წარმართნი!». და
- 30 დაადგინეს წმიდაჲ იაკობ ფარისეველთა მათ და მწიგნობართა ზედა გოდოლსა მას ტაძრისასა და წმაცყეს მისა მიმართ ერთბამად და თქუეს: «მართლისა მაგის, რომლისადა ჩუენ ყოველნი მოწამენი ვართ, დამორჩილებულ ვართ, ხოლო ერი ესე სციტების შედგომითა იესუმს ჯუარცუმელისადა, აწ გვთხარ განცხადებულად იესუსათჳს!» და მან აღიმაღლა გმება თჳსი და ეტყოდა მათ: «რად-
35 სა მკითხავთ მე იესუსათჳს, ძისა კაცისაჲსა, რამეთუ იგი თავადი არს იესუ ქრისტეს, ძეს ღმრთისა ცხოველისაჲ, და იგი ზის მარჯუენით მამისა და განზადებულ არს ღრუბლითა მოსლვად და მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ!» და მრავალნი მორწმუნენი ეწამებოდეს იაკობს, ღალადებდეს და იტყოდეს: «მსანა ძესა ღმრთისასა!»
- 20 III. მაშინ მწიგნობართა მათ და ფარისეველთა თქუეს | ურთიერთას: A 102 b
«ბოროტად ვყავთ საქმეს ესე, რომელ ექმენით, რამეთუ მან წამა იესუსათჳს; C 96 a
არამედ აწ მოვედით და აღვედეთ და გარდამოვაგდოთ იგი, რადთა შეშინდეს ერი ესე და არა ჰრწმუნეს მისი». და წმაცყეს გმითა ღიღითა და თქუეს: «ჲ ჰ, მართალი ესე სცობა!» და აღესრულა წერილი იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ,
- 25 რომელ თქუა: «მოვედით და მოველთ მართალი იგი, რამეთუ განმაძნელებელ ის. II, 10
ჩუენდა არს; ამიერიდით ნაშრომსა გელთა მათთასა შჳამდენა. მაშინ აღვედეს და გარდამოვაგდეს მართალი იგი გოდოლისა მისგან და იტყოდეს ურთიერთას: «ქება დაეჭკრიბოთ ყოველთა იაკობს მართალსა!» და ქვასა დაჰკრებდეს მას. ხოლო იგი გადმოვარდა სიმაღლისა მისგან და არა მოკუდა, არამედ დაიდგნა მუ-
30 ვლნი, ღალადებდა და იტყოდა: «გვედრები შენ, უფალო ღმერთო, მამო ყოველისა მჳკრობელო, მიუტყვე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან». და ვიდრე იგინი ქვასა დაჰკრებდეს მას, ერთი ვინმე | მღვდელთავანი, რომელი იყო ძე-
თავანი რეჳაბისთა, ძისა რეჳაბინისი, რომელი მოიგნენა | იერემია წინაწარმეტყუელმან, წმყო გმითა ღიღითა და თქუა: «დასცებრით! რასა გეე იქმთ? რამეთუ ილოცავს თქუენთჳს მარჯალი ესე». და აღდა ერთი მათგანი, რომელი
35

2 რადთა არა შეუდგენ... ერი ესე < A.—3 გერჩიან A.—4 მოწამე A.—4-5 არარას იქმ | არას ჰყოფ C.—5 სიმარაველსა ამას ერისასაჲ ერსა ამას A.—6 იესუ < C.—6 გერჩით | ევრჩით C, ვართ | + და A. C.—7 უაღრეს C.—8 გმისა შენისაჲ | გმება შენი C.—11 მისა მიმართ < A. 12 რომლისა A, მოწამე ვართ და < C.—13 გვთხარ | გვთხარას ჩუენ C.—16 ქრისტე ძე A.—17 კაცად-კაცადსა | თითოეულსა C.—19 ოსანა C.—21 ვყავთ, ექმენით | ვყავთ, ექმენით C.—24 ჲ, ჰ. ჰკრიბოთ ყოველთა | დაჰკრიბეთ A; მას < C.—30 ღმერთო < A.—31 იციანი | უწყან C.—33 რეჳაბინისი | რეჳაბინისთა C.

ლკ. 23,34
C 96 b
A 103 a

იყო სამოსლისა მრცხელი, აღიღო ძელი იგი, რომლითა განართხიან სამოსელი; და უხეტენა თავსა მის მართლისასა. და ესრით აღესრულა წამებთა ქრისტესითა, და დაჰფლეს იგი ადგილსა მას მახლობელად ტაძარსა მას. და არს ძეგლი მას ზედა მოდღენდელად დღედმდე, მახლობელად ტაძარსა მას. და ამან წამა ქეშმარიტად ჰურიათა მიმართ და წარმართთა იესუსსთეს, რომელი არს ლ. ქრისტეს.

IV. და მახლობელად მათვე დღეთა შინა ვესპასიანოს ვინმე, განსაკრებელი კაცი, მოვიდა და მოიციენა ჰურიანი. და ესრით გამოუცხადებდა სიმართლესა ნეტარისა იაკობისსა, და ჰურიათაგანნიცა ბრძენნი აღიდებდეს მას და
C 97 a იტყოდეს ვითარმედ «ამისთეს მწრაფლ მოიციენა | იერუსალმში ვესპასიანს მიერ, 10 და არათუ სხუთ ვინაჲ იყო მათა შემთხუევად იგი, არამედ მისთეს, რამეთუ მი-
A 103 b ცენეს კელნი | მათნი მართლისა მის ზედა წადიერებით». რომლისათეს იოსებცა წადიერ იქმნა და დაწერა ესრით: «ესევეთარიმცა შემთხუევად შეემთხუევის ჰურიათა შურის საძიებელად იაკობისთეს მართლისა, რომელი იყო ძმად იესუსის, რომელ არს ქრისტეს, რამეთუ მართალი იგი და მართლმადიდებელი მოკლეს 15 ჰურიათა». და ესევეთარი ესე შემთხუევად შეემთხვა ნეტარისა მისთეს და მართლისა იაკობისა ჰურიათა, რომელიცა უწინარეს კათოლიკეთა ებისტოლეთა დაიწერა. და ესე არს წამებაჲ იაკობისი, რომელი წინაჲთ იქმნა ეპისკოპოს და დაჯდა საყდარსა წმიდასა ქალაქსა იერუსალმს, რომელი წოდებულ იყო ძმად უფლისა და მართალ საქმითა თუსითა. რომლისაჲ არს დიდებაჲ, მამისა და 20 ძისა და წმიდისა სულისაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისა:ღმდე. ამჲნ.

2 ესრეთ C.—3 მას<A, ტაძრისა მის AC.—4 დღენდელად A, ტაძრისა მის C.—4 და ამაჲ ამაჲ A.—7 მათვე მათ A, ვესპასიანოს სპასიანოსი A, სპასიონესი C.—8 ესრეთ გაუცხადებდა C.—9 ნეტარისა<A.—10 ვითარმედ<A; ვესპასიანს| ვესპასიონის A, ვესპასიონეს C.—11 ვინაჲ რამთმე C; იგი| ესე C.—12 წადიერებით| წარმდებებით C, რომლისა C.—13 ესრეთ C; შემთხუევად<C.—14 იაკობისა C.—16 შეემთხვა<C.—17 იაკობასათეს შეემთხვა C; უწინარეს კათოლიკეთა C.—18 იქნა წინად C.—19 საყდართა C.—20 და<C.—21 სულისა AC.

შემაჲ წმილათა მოწამეთაჲ

ეს თსულემა, რომელიც ერთადერთი ხელნაწერით (A 95) შენახულა, წარმოადგენს „ენკომიას“, წმიდა სერგის ხსენების დღისათვის განკუთვნილს. წმიდა სერგი, რომელიც მოწამე ყოფილა, ამ ენკომიაში მხოლოდ ვაკერითაა მოხსენებული, მისი ხსენების დღე აქტორს გამოუყენებია როგორც საბაბი საერთოდ მოწამეთა ღვაწლის შესაქებად.

ვინ არის ეს სერგი? ის ის პირია, რომლის ხსენება, ბაქოზთან ერთად, დადებულია 7 ოქტომბერს¹. ის ეწამა სირიაში „სამას ოცდაათექუსმეტსა წელსა შემდგომად მოსლეთიდან მაცხოვრისაჲთ მაქსიმიანე ეშმაქთმსახურისა მეფისაზე“, ესე იგი 303 წელს, მაშასადამე, ის ეკუთვნის დეოკლიტიანეს დროის მოწამეთა ციკლს. აქ რომ მართლაც ეს სერგი იგულისხმება, ეს, სხვათა შორის, შემდეგიდანაც ჩანს. ენკომიაში ის შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ესე უფროჲს ყოველთა ბრწყინვალე იყო, ვითარცა მთოვარჲ, აღსავსჲ შორის ვარსკულაეთა, ესრჲთ გამობრწყინდა შორის ყოველთა წმიდათა“. ეს დახასიათება იმეორებს იმასვე, რასაც სერგისა და ბაქოზის მარტივლობაში ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ვითარცა ვარსკულაენი ვინმე ქუეყანისანი, შუენიერად გამობრწყინდეს ქრისტჲს აღმსარებელნი სარწმუნოებით სერგის და ბაქოზ“ (A95, გვ. 1047a).

მართალია, ევსები თანამედროვე იყო სერგის წამებისა, მაგრამ დასახელებული ენკომია მას არ უნდა ეკუთვნოდეს, ასეთი თხზულება ევსების შრომების, ნამდვილის თუ ყალბის, სიაში ჩვენ არ ვგვხვდება. მართალია, სირიულ ენაზე შენახულა ერთი „ქება მოწამეთა“ (Rede zum Preise der Martyrer), რომელიც ევსები კესარიელს მიეწერება და რომელიც ამთავად ჩვენთვის ხელმიწოდებულია², მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ წინამდებარე შემთხვევაში ამ შრომასთან გვეკონდეს საქმე.

ქართული ტექსტის სათაური იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს, სერგის ხსენებისათვის განკუთვნილი, ენკომია არის „თქუმული“ ევსები კესარიელის მიერ, არამედ იმას, რომ ის არის „თქუმული“ ან შეთხზული, ამოღებული ევსები ეპისკოპოზის, ჟამთაშწერლის საეკლესიოისაგან უწყებისა“ („თქუმული“ არა „ევსე-

¹ Acta Sanctorum III, Octob. 871—882, Analecta Bollandiana XIV, 373—395. Migne, PG. t. 115, col. 1005—1032. არსებობს ქართული თარგმანიც ამ მარტივლობისა, რომელიც რამუნადზე განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს და საკმაოდ ძველი უნდა იყოს (A 95 გვ. 1046b—1068b).

² სირიული ტექსტი მისი გამოქვეყნებულია W. Wright-ის (The Journal of Sacred Literature, N. S. V, p. 403 pass. 1864), ხოლო ინგლისური თარგმანი B. H. Cowper-ის (l. c. VI, p. 129 pass.) მიერ.

ბი ეპისკოპოსისაჲ^ა, როგორც ხელნაწერშია, არამედ „ევესები ეპისკოპოსისა-საეკლესიასაგან უწყებისა“¹). ასეთი სათაური სხვა ავტორზე მიუთითებს. უდა-ვოა, რომ თხზულება მართლაც ევესების „საეკლესიოსაგან უწყებისა“ ან ისტო-რიიდანაა ამოღებული. ის სომხურ ენაზედაცაა ცნობილი არა-მარტო ხელნაწე-რებით, არამედ ბექდური გამოცემითაც¹.

თხზულება ჩვენს გამოცემაში ოთხ თავად გავეყავით. პირველი თავი ამოღებულია ევესების „ისტორიის“ მერვე წიგნის მეათე თავში მოთავსებული-„ფილესის ტმუთელთა მიმართ ეპისტოლედან“, დაწყებული თავიდან და გა-თავებული სიტყვებით: „*ԷՎ չաբէ չաչի: ար չճտառ*“². ამ სიტყვების შემდეგ ქარ-თულში ვკითხულობთ: „ვითარცა წმიდამან სერგის თავს იღვა მსაჯულთაგან აღმოსავალისათა უშჯულთა და ექმნა ყოველთა კარ და გზა ზეცისა იერუსა-ლმს. ხოლო სხუანი რომელნიმე იელტოდეს სატანჯველთა მათგან და არღა-შევრდომილ იყენეს კელთა მტერთა მათთასა და სმენასა ოდენ სატანჯველთა-სა ვერ იტურთებდეს სასმენელნი მათნი“. ეს სიტყვები არაა არც ბერძნულში, არც სომხურში. ვარდა ამისა 1 იოან. IV, 18 ციტატსა და *ՄԵ չաչալէս: ԻՄ* (764 C) სიტყვებს შუა ქართულში ვკითხულობთ: „ხოლო მეორედ მოციქულე-ბასა აღასრულებდეს და ძალსა აუწყებდეს, რომელი ყოველსა შინა შეიწევის“; რაც ბერძნულს აკლია.

მეორე თავი ჩვენი გამოცემისა ამოღებულია ევესების „ისტორიის“ მერვე-წიგნის მეთორმეტე თავიდან, დაწყებული სიტყვებით: „*Τὴ φημι εὖ δὲ ἀνοίξαι*“ (Migne, t. XX, col. 772 C) ბოლომდე (col. 775 B).

მესამე თავი ქართული ტექსტისა იმეორებს უმეტესადაც ევესების „ის-ტორიის“ მერვე წიგნისავე მეთერთმეტე თავს მთლიანად (col. 768 C.—769 A).

მეოთხე თავს ქართული ტექსტი იწყებს განცხადებით: „სხუათაგან უწყე-ბათა ვიწყით ამირთაგან“, და ამით ის თითქოს ემიჯნება ევესები კესარიელს. უეპკელია, ეს „სხუა უწყება“ გულისხმობს სერგის მარტილობასაც, რადგანაც ის აქ გაკვრით მოხსენებულია და დახასიათებული მოკლედ იმ სიტყვებით, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. საერთოდ კი ამ თავში მოცემულია ზოგადი სურა-თი მარტივლთა ღვაწლისა, უმეტეს შემთხვევაში ევესების სურათების მიხედვით. ყოველ შემთხვევაში სიტყვები: „რომელნიმე შიშვილითა და წყურვილითა და-საჯნეს, ვიდრე სიკუდილმდე, და რომელნიმე თავდამოქცევით დამოჰკიდიან“, ამოღებულია ევესების „ისტორიის“ მერვე წიგნის მერვე თავიდან (col. 757 D). ეს მეოთხე თავი არ არის არც ბერძნულსა და არც სომხურში.

ვინ არის ის მწერალი, რომელმაც ევესების „ისტორიის“ საფუძველზე შე-ადგინა ეს ენკომია, ჩვენ არ ვიცით; შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის იყო მოწა-მე და თანამედროვე დეოკლიტიანესა და მაქსიმიანეს სასტიკი დევნულებისა-ამას გვაფიქრებინებს მისი სიტყვები: ეს დევნულება არის „მწარე უამი, რომე-ლი დაღვა ჩუენ ზედა“. როგორც დავინახეთ, თხზულება შედგენილია „საეკ-

¹ ანალიზი მისი, უმოკრესად ქართულ-სომხური ფილოლოგიის თვალსაზრისით, მოცე-მულია დოც. ი. ლ. აბულაძის ნარკვევებში: „ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები VI, 333—337).

² Migne, Patr. Graec. t. XX, col. 764 ABC.

ლესიო ისტორიის“ მერვე წიგნის მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე თავების საფუძველზე, ეს თავები მერვე წიგნისა კი შედგენილია ეგესების მიერ 312—313 წლებში¹. მაშასადამე, ამაზე აღრე ვერც ეს ენკომია დაიწერებოდა.

ქართული თარგმანი თხზულებისა არ არის უშუალოდ ბერძნულთან დაკავშირებული, ის სომხურიდან მომდინარეობს. ამის დამადასტურებელ ფაქტებს თვით ტექსტში ვგვხვდებით. ასეთია, სხვა ლექსიკურ მოვლენას რომ დავანებოთ თავი², სიტყვა „მაგისტრუთანი“. ამ სიტყვას ბერძნულში უდრის *μαγιστρός*; ქართული სიტყვის პირველ ნაწილში „მაგისტრ“ გვაქვს ბერძნული *μαγιστρός*; ქართული სიტყვის პირველ ნაწილში „მაგისტრ“ გვაქვს ბერძნული *μαγιστρός*, ხოლო მეორე ნახევარი—უთვანი, არის სომხური სუფიქსი *սլ-իւն* (ქართულ ტექსტში ვ-ნით სისტემატურად გადმოცემულია უ, ამიტომ შეიძლება ამ სუფიქსშიაც ის უ-ს უდრიდეს).

თარგმანი ყოველმხრივ გამართული არაა. არის შემთხვევა, როდესაც სწორად არაა გაგებული ბერძნული ტექსტის აზრი. სანიშნოდ ვაჩვენებთ შემდეგს ადგილს. „და იყო მუნ კაცი ერთი ჰრომი და პატივად აქუნდა მას დიკტოსობა. ხოლო კაცი იგი იყო წარჩინებულთაგანი იტალიას და ცხონდა იგი ყოვლითა წესითა პატივისადათა, რომელი მიცემულ იყო მეფისაგან, ზედადგომელობა ყოველთა, რომელი იწოდების მაგისტრუთანი და კათალიკოსობა თვნიერ ბიწისა აღასრულა“. ბერძნულ ტექსტში ამას უდრის: *Καὶ τὸς ἕξτερος Ἰωακίμη ἀξίως ἐπεισημαίνους, Ἀδριαναὺς ὄνομα, γένους τῶν πατρῴων Ἰταλοῖς ἐπισημαῖον, οὗτος πατὴρ διελεθῶν ἀνὴρ ἦν πατρῴων καλομαθῆν μαγιστρός τε καὶ καθολικός* (Migne, PG, t. XX, 768C—769A). ქართულში ყურადღებას იპყრობს: „პატივად აქუნდა მას დიკტოსობა“. ისეთი თანამდებობა („პატივი“), რომელსაც „დიკტოსობა“ ჰრქმევოდეს, რომის ცხოვრებაში არ იცის, საიდან გაჩნდა ის ქართულში? უნდა მივმართოთ სომხურ ტექსტს, აქ შესაფერი ადგილი იკითხება ასე: „და იყო კაცი ერთი პატიოსანი რომელთაგანი და აქუნდა მას პატივი იგი, რამეთუ ერქუა მას დიკტოსი“. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა პირდაპირ სომხურიდანაა ქართულში გადმოსული, თუმცა სომხურში ის აღნიშნავს არა „პატივს“, არამედ კაცის სახელს. აქედან ცხადია, ამ ადგილას ჩვენ გვაქვს ბერძნული საკუთარი სახელი „*Ἀδριανος*, რომელიც სომხურ თარგმანში (ბერძნულიდან თუ სხვა წინდან) ქცეულა „დიკტოსად“, ხოლო ქართულში კაცის სახელიდან ის თანამდებობის აღნიშვნელ ტერმინად გამხდარა.

ყოველთვის ზუსტად არც თუ სომხურია გაგებული; ეს „დიკტოსის“ გარდა შემდეგიდანაც ჩანს. მეორე თავში ვკითხულობთ: „სისხლითა სულთადათა“, რაც სრული უაზრობაა: სულის სისხლი არ შეიძლება. სომხურში ამის მაგიერ არის „სისხლითა ძეთათა“, ჩანს, სომხური „ორღვოც“ წაკითხულია როგორც „ოგვოც“.

¹ A. Harnack, Geschichte der altchristlichen Literatur bis Eusebius, B. II, Th. 2 S. 115.

² ისინი ნაჩვენებია ილ. აბუ ლადის ზემონაჩენებ ნარკვევში, გვ. 335—337.

იმ ხელნაწერში, რომელშიაც დღეს ვპოულობთ ამ თხზულებას (A 95), ის გადმოღებულია სხვა ნუსხიდან, ამას ნათელყოფს, სხვათა შორის, ბიბლიურ ციტატები (ფილ. II, 6, 7) სიტყვის „ნატაცებად“ დამახინჯება „ნეტარებად“.

თარგმანი საკმაოდ ძველია, არაუგვიანესი მერვე საუკუნისა, ამას ამქვანებს როგორც მორთოლოგიურ-სინტაქსური სახე მისი, ისე ლექსიკური. მორთოლოგიის მხრივ ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფორმები: „შეიწირნეს ყოველივე მამები და დედები ყრმებითურთ და ჭაბუქთათჳთ“, „წამებდეს თათა თჳსთა ქრისტიანედ ყოველთა წარჩინებულთათურთ“.

საყურადღებოა ლექსიკაც თარგმანისა. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ განსაკუთრებით სიტყა „გაზაკი“. „და გაზაკთა ბრპენი დადნობობი, მდულარე სასტიკად, გარდაასხიან ბეჭთა მათთა და ზურგთა“. რა არის „გაზაკთა?“ საბას ლექსიკონში, რომელშიაც მოტანილია ამ თხზულებიდან მთელი ეს წინადადება, „გაზაკი“ განმარტებულია ასე: „გაზავე ნაკუთლისა“; „გაზა“ კი განმარტებულია ასე: „ნაკუთლის დასასრული“. რაღაა „ნაკუთალი?“ ეს ლექსიკონიდან არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, საბამ არ იცოდა ნამდვილი მნიშვნელობა სიტყვისა. ბერძნულ-ლათინურ ტექსტში ეს წინადადება ასეა გადმოცემული: *ἄλλοι παρὲν αἰσίνθησθε ἀσπᾶξεντος... τὰ νῦντα ἀσπᾶξενθῆσιν*—*alii plumbo ignis viliquefacto... terga adurebantur* (col. 772 B). „გაზაკნი“ ამ წინადადებაში გამოდიან როგორც მომქმენდი პირნი, შემსრულებელი ტანჯვა-წამებისა. საფიქრებელია, რომ ამ სიტყვით გადმოცემულია რომელიღაც სომხური სიტყვა, მაგრამ ასეთი სიტყვა არც სომხურს მოგვაგება. სომხურ ტექსტში ამ სიტყვის მაგიერ არის *գիսոցն*, რაც ნიშნავს „ზოგთა“, მაგრამ „გაზაკთან“ მას არავითარი კავშირი არ აქვს¹. პროფ. გიორგი წერეთლის აზრით, რომელიც მან პირადად გავიზიარა, ამ სიტყვის საფუძველი უნდა იყოს სირიული ზმნა „გაზა“, რაც „მოკრას, მოპარვას, დაგლეჯას“ ნიშნავს². მაშასადამე, „გაზაკი“ ზოგადად ნიშნავს დამკრებს, დამკვეთელს, მწვალებელს, ჯალათს, ქონდაქარს.

გარდა ამისა მოვიტანთ სიას ძველის ან სხვა მნიშვნელობით ნასმარი სიტყვებისას.

არავეითვან—ოდნავადაც არა.

აღუღვეს ცეცხლი—მოუკიდეს ცეცხლი.

ბრპენი—ტყვი.

განმახვან—წვერს წაუთლიდნენ, აქედან მახვილი.

განწონიან—გაუყრიდნენ ხოლმე.

დაიყუნეს—დაიზარეს.

დაუმუსმარნიან—ლურსმნით აქედდენ (მუსმარი).

დაპქსნდინ—შეწყვეტილ, შეჩერებულ იყოს.

ემსგავსნეს—შური აიღეს.

ეწყებოდეს—ებრძოდნენ, ებმებოდნენ.

ზედამდგომელობა—უფროსობა, გან-

მკარგველობა, *νεοειρησεως, procuratio*.

თავდაქცევით—ძირს თავდაკიდებით.

კათალიკოზობა—*καθολικιστης, Dignitas Rationalis, Rationi praelecti, παρ-*

¹ იხ. ილ. აბულაძის ზემოდასახელებული შრომა, გვ. 357.

² აქედან ზომ არ მოდის ქართული სიტყვა „გაზი?“ აგიოგრაფიაში ზშირია შემოხვევა, როდესაც მარტვილისაგან ბაზით აღლეჯენ ხორცს. მაგალითად, ქეთევან დედოფლის წამების აღწერისას თვით საბა ამბობს, რომ, მასი ხორცის დგეჯისას, „გაზსა ჩქიფად“ ხმარობდნენო, ხოლო თეიმურაზ I გადმოგვცემს: „გაზით დაგლეჯეს ძუძუნი“ (ა. ბარამიძის გამოც., 66).

ყუძან პოციონუჯ მეთის, ეპარქიის ან პროვინიციის¹.

მაგისტრუთენი — Μαγιστρον, Magisterium, არქონტი, უფროსი².

მანკიერება — სიმკაცრე, მძიმბრეა.

მანქანა — იარაღი.

მოამედგრნა — მოაუძღურა.

ოხქანი — ბოლო, დასასრული.

პატიჟი — სასჯელი.

ახლა მოვიყვანთ თვით თხზულებას მთლიანად.

სამშუქალი — ლურსმანი.

სპარაზენი — Δυσσενδρις, satellites, ლახვარ-მოსილი, მეომარი.

სწავლა — სასჯელი.

შენადგამი — სახსარი.

წარმდებ იქმნებოდეს — სკდილობდნენ.

ხუეტად — ფხევა.

ჰდებოდეს — ეცილებოდნენ, ეჯიბრებოდნენ.

საკსენაველსა წმიდისა სერგისსა თჳსუფული წმიდისა ევსევი ეპისკოპოსისა შამთამწერლისა «სამაქლემილსაზან უწყებისა», ჟებაა წმიდათა მოწამეთა 1217

I. რამეთუ ესე ყოველი სახელ ჩუენდა და სახილველად შეენიერად რომელი მოგუეცა ჩუენ წიგნთაგან წმიდათათჳს მოწამეთა ქრისტესთა ნეტართა, რამეთუ ჩუენდა მიმართ არაეიეთგან დაიყუდნეს, არამედ აღიბილნეს თუალნი მათნი ღმრთისა მიმართ ყოველთაჲსა სიწმიდითა თავთა მათთაჲთა და სიკუდილი ღმრთისმსახურებით შეიწყნარეს და არა განეშორნეს წოდებისა მისგან მათისა. რამეთუ ხელვიდეს უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესსა, რომელმან შეიმოსნა ჳორცილი ჩუენთჳს, რამთა აღიხუნეს ცოდვანი და მისცეს საგზალი გზისა მისთჳს ცხოვრებისაჲსა. «რამეთუ არა ნატაცებად შეერაცხნა თავი თჳსი სწორებად თჳს ღმრთისა, არამედ დიმიდალბა თავი თჳსი და ხატი მონებისაჲ შეიმოსა, და იპოვა ხატითა ვითარცა კაცი, და მისცა თავი თჳსი და მორჩილ იქმნა ვიდრე სიკუდილადმდე სიკუდილითაღა ჯუარისაჲთა». ამისთჳსცა ემსგავსნეს დიდთა მათნიკითათჳს მოწამენი და შეიმოსეს ქრისტე და ყოველთა მათ სატანჯველთა და ვენებათა არა ერთგვის ოდენ, არამედ მრავალგვის დაითმენდეს; და ყოველნი ვენებანი არა სიტყუთ ოდენ, არამედ საქმით თავისისხნეს, რომელსა შესძინებდეს მათ ზედა სპარაზენი იგი, და იგინი განზრახვისაგან თჳსისა არა დასცხროდეს, რამეთუ «სიყურული იგი ქრისტესი გარეგანსდევნიდა შიშსა მას. ხოლო მეორედ მოციქულებჳსა აღასრულებდეს და ძალსა აღუწყებდეს, რომელი ყოველსა შინა შეიწყვის. და აქამომდე კმა იყავნ ჩუენდა სიტყუად ესე. რამეთუ კელმწიფებად აქუნდა მათ ზედა შეურაცხებისაჲ ვიეთუა ენების. რომელნიმე ძელსა მიეცემოდეს, და რომელთამე კურთხითა ჰგუემდეს, და სხუათა თავსა სცემდეს, და ღუედითა აჭირვებდეს და საბლითა შეჰკრვიდეს. და ხილვად იგი სატანჯველთაჲ ეგრად-ფერადი იყო და ბოროტნი მათ ზედა მრავალ იყვენს. იყვენს ვით-

1218

ფილ. II, 6-7

1 ინ. IV, 18

¹ Du-Cange, Glossarium I, 539, 1285.

² Ibid. I, 844.

1 ეპისკოპოსისაჲ.—2 შამთამწერლისაჲ.—4 ქრისტესთა.—10 ნატაცებად ნეტარებად.—11 შეემოსა.—18 ქრისტესი.—23 აჭირებდეს.

1219 ნიმი მთავანნი ჯელობა უკუმართ შეკრულ და ძელსა დამოკიდებულ, და მანქა-
ნითა დაეცემოდეს ასონი მათნი მას შინა; და ყოველთა ჯორცა მათთა ხუეტ-
დეს, ვითარცა ებრძანა ვისგანმე, არა ვითარცა ავაზაკთა მკლველთა, რომელ-
თა გუერდნი ოდენ იხუტებოდეს, არამედ უპენიცა მათნი და ბარკალნი, და
ლაწუთა მათთა ხუეტდეს სატანჯველად მათა, | ვითარცა წმიდამან სერგის თავს 5
იღვა მსაჯულთაგან აღმოსავლისათა უმჯულოთა და ექმნა ყოველთა კარ და
გზა ზეცისა იერუსალმს.

1220 II. ხოლო სხუანი რომელნი[მე] ივლტოდეს სატანჯველთა მთავან და არ-
ლა შევრდომილ იყვნეს ჯელთა ჩტერთა მათთასა და სმენასა ოდენ სატანჯველ-
თასა ვერ იტვრთებდეს სასმენელნი მათნი. რამეთუ კერძოთა პონტოხასათა ლერ- 10
წამნი განმახუნინან და მწუერვალსა თითთა მათთასა ფრცხილთა მათთა განაცუ-
მიდეს. და გაზაკთა ბრპენი დადნობილი, მღულარს სასტიკად, გარდაასხიან ბეჭ-
თა მათთა და ზურგთა; და ესრტთ დაითმენდეს რომელი მოიწეოდა მათზედა
ბრძანებითა მსაჯულთაგან. ხოლო უღმერთონი იგი მანკიერებასა. ესრტთ აჩუე-
ნებდეს და სიბრძნელ ჰგონებდეს, და წარმდებ იქმნებოდეს, ვითარცა ბრძოლა- 15
თა შინა, ერთი ერთსა ჰვლებოდეს. ხოლო ოხჰანი აღსრულებისა კირისად მის
ესრტთ იყო: რამეთუ წარმატებამან სიბოროტისამან მოამედგრა და დააშრვა
მოსრებითა და განძლეს და აღივსნეს [სისხლითა] კაცთა მათ მართალთათადა, და
მერმე სხუად სახედ აქციეს. ესრტთ ჯერიჩინეს გონებასა მათსა, რცა სოკებოე-
ბად და მოწყალებად და თქუეს თავით მათით ვითარმედ: «არაა შეგუცოდეს 20
ამით ესევითარი თქუმასა მას შინა მათსა, და არა ჯერარს, ვითარცა სისხლი-
თა სულთაგანა გელმწიფებასა ჩუენსა შევაგინენით ქალაქნი ჩუენნი, და არცაღა
სიფიცლოთა და გინებითა წარემართების აღმატებული მთავრობამე მეფეთა,
რამეთუ ყოველთა კაცთა მოწყალე და მლხინებელ არიან, და ჯერარს განვრცო-
ბად სამთავროდ მეფეთა მოწყალებითა ყოველთა კაცთაგან, რაჟთა არა თა- 25
ნამდებ იქმნენ სიკუდილსა. და აწ დაჰსწინნი პატიჟნი ესე, მოწეუნული | მო-
წყალებისაგან მეფეთაგან!» ამიერითგან აღმოეხუნენ თუალნი და მოეკუეთენ
ფერჯნი: ესრტთ ბრძანებულ არს და ესევითარი იყო მოწყალებად მათი და აღ-
სრულებად პატიჟთა ზედა ქრისტეანეთა. ხოლო რომელი იგი მოწყალებითა
უღმერთოთაგან იქმნებოდა, ვერინ მიგითხრას, სიმრავლს სახისად მის, რომელ- 30
სა დაითმენდეს მოწამენი. რამეთუ იყვნეს რომელთანიმე თუალნი აღმოკდილ
და მისა შემდგომად ცეცხლითა შემწუერ, და ზოგთანი მარცხენს ფერჯი ძარ-
ღუთაგან მოწყუედილ და ფერჯი მას შინა გამოდებულ. და ამისსა შემდგომად
ამით ყოვლითა სხუანი სხუთა ეწყებოდეს და სათნობათა მათთა არა მოაკლდე-
ბოდა, რომელთა ვერღარა ვის მოჰსენებად მათი შეუძლია, და თანწარჰკვებიან 35
სათნობანი მათნი სიტყუათა ჩუენთა. რამეთუ ესრტთ იდიდნეს მოწამენი და
მოდუაწენი ქრისტესნი, ყოველსა სოფელსა, და ამას შინა იხილევოდა დაფა-
რული ძალა ქრისტესი, სიმწენსა შინა მართსა ყოველთა ადგილთა განსაკრეველ
იყვნეს. და სახესა აჩუენებდეს ფარულად ძალისა საღმერთოთაგანა ქეშმარიტად
მკსნელისა მათისასა და წინაშე ყოველთაგანა ცხადად შეიწიროდეს. რაჟ უკუე 40.

5 სატანჯველად.—2 მათთასა.—12 მღულარე.—13, 14, 17, 19, 28, 36 ესრტთ.—30, სიმრავ-
ლე.—32 მარცხენე.—37—ქრისტესნი.—38 ქრისტესი.

ანის გამო სავმარ არს ჩუენდა მრავალი სიტყუა და შევსძინოთ უწყებად მათო-
 თს, ვითარ იგი ჰბრძოდეს მოწამენი და ეწყებოდეს ყოველსა სოფელსა, რა-
 მეთუ ყოველნი მსგავსად სასოებისა მათისა სასოებით მოსწყდებოდეს.

III. და იყო ქალაქი ერთი, რომელსა შინა იყვნეს ყოველნი ქრისტიანენი,
 5 ფრიგიასა მას შინა შეიწირნეს ყოველნივე მამები და დედები ყრმებითურთ და
 ქაბუკთაჲთ, რომელნი იყვნეს მას შინა. რამეთუ გარეშეიცვეს სპარაზენთა | ძალ- 1221
 თა და ცეცხლი აღუდევს ქალაქსა მას და დაწუვეს ყოვლითურთ. ხოლო იგინი
 ლალადებდეს წინაშე ღმრთისა და წამებდეს თავთა თჳსთა ქრისტიანედ, ყოველ-
 თა წარჩინებულთაჲთურთ, და ყოვლადღე არა თავსიღვეს მსახურებაჲ კერპთაჲ.
 10 და იყო ნუნ კაცი ერთი ჰრომი და პატივად აქუნდა მას დიკტოსობაჲ. ხოლო
 კაცი იგი იყო წარჩინებულთაგანი იტალიას და ცხრდა იგი ყოვლითა წესითა
 პატივისაჲთა, რომელი მიცემულ იყო მეფისაგან; ზედამდგომლობაჲ ყოველთაჲ,
 რომელი იწოდების მავსტრუთენი და კათალიკოზობაჲ, თჳნიერ ბიწისა აღა-
 სრულნ. და დაითმინნა ლუაწლნი ღმრთისმსახურებისათჳს და ამისსა შემდგომად
 15 შეიმკო გვრგვინთა წამებისაჲთა ქრისტეს მიერ, რომლისა არს სუფევთა უკუ-
 ნისადმდე.

IV. სხუთაგან უწყებთა ვიწყით ამიერითგან და ძრწოლით მიგიტბრ-
 ნე თქუენ ვნებანი, რომელ მოიწინეს ზედა წმიდათა, უფროჲს ხოლო წმიდისა
 ამის და წარჩინებულისა სერგისისა, რამეთუ ესე უფროჲს ყოველთა ბრწყინვა-
 20 ლე იყო; ვითარცა მთოვარს, აღსავსს შორის ვარსკულავთა, ესრეთ გამობრწყინ-
 და შორის ყოველთა წმიდათა მოკლებასა შინა ჰეშმარიტებისასა ჟამთა მათ
 უშჯულოთა, და განანათლა ყოველი სოფელი სათნობითა თჳსითა. რამეთუ მას
 ეამს იგავ ექმნეს და გინებანი ეტრთნეს ნათესავსა ქრისტიანეთასა და მიუ-
 თხოებლნი ქირნი. რომელ მოაწინეს ზედა სოფელსა, და მწარს იგი ჟამი, რო-
 25 მელ დადგა ჩუენ ზედა,—სატანჯველნი იგი განრისხებულთანი და სწავლაჲ იგი,
 რომელსა უწყალობით ჰყოფდეს სიმეცეს მეფეთა და მახული ჳრმალოთა. რამეთუ
 ბრძანებაჲ სასტიკი მეფეთაგან გამოვიდა ქრისტიანეთა ზედა და სიკუდილი | 1222:
 მიუთხრობელი, რომელ მოაწიეს ზედა ყოვლადძლიერთა მოწამეთა. ანუ რო-
 მელნი სატანჯველნი მწარენი დაუტევენს მტერთა მათ ჰეშმარიტებისათა და
 30 ძვრძვნი გუემანი ღმრთისა მბრძოლთა მათ? რომელნივე შიმშილითა და წყურ-
 ვილითა დასაჯნეს, ვიდრე სიკუდილმდე, და რომელნივე თავდამოტყევიდ დამო-
 ჰკიდნიან, და სხუათა შენადგამნი მვართანი დაჰქსნიან, ქუემდებარეთანი, და
 ესრე დაყარნიან. და სხუანი დაკლნიან, ვითარცა ცხოვარნი, და რომელნივე
 განხერხნიან შევაოდენ, და სხუათანი განჭურბიტნიან ბრჭული, და სხუათა
 35 დაუშუსმარნიან წვენი უროჲთა, და ესრეთ ძვრძვრად აღესრულებოდეს წმიდა-
 ნი იგი. და სხუანი ეკიდნიან ცერითა ფერჭთა მათთაჲთა, და რომელთამე სამ-
 შკუალნი თითთა განაწონიან და რომელთამე ჰუემდიან კუერთხითა ეკლოვა-
 ნითა, და სხუანი მოსრნეს მახულითა. და ესრეთ შეიმკვნეს წმიდანი იგი გვრ-
 გვინთა დაუჭნობელითა მადლისაგან და შეწვენისა ზეგარდამოჲსა მქსნელისა ჩუე-
 40 ნისა იესუ ქრისტესგან, რომლისა არს დიდებაჲ უკუნიითი უკუნისადმდე. ამჲს.

წამებაჲ წმიდისა პროკოპისი

ეს „წამება“ ამოღებულია ეგვიპტის კესარიელის იმ შრომიდან, რომელსაც ეწოდება *Περὶ τῶν ἐν Παλαιστίνῃ μαρτυρησάντων* (*De martyribus Palaestinae liber*). აღნიშნული შრომა ეგვიპტის დაუწერია 313 წელს¹ და ორი რედაქციით გამოუშვა: მოკლეთი და ვრცელით². ვრცელ რედაქციაში თავების რიცხვი, მოკლესთან შედარებით, ნაკლებია (მას აკლია მოკლე რედაქციის მეთორმეტე თავი და ბოლო ნაწილი მეცამეტისა), მაგრამ მას „ვრცელი“ ეწოდება იმიტომ, რომ ის სხვა თავებში ზოგიერთ მატერიალურ დამატებას შეიცავს³.

მოკლე რედაქცია გამოცემულია, სხვათა შორის, *Migne-ის* პატროლოგიაში (*t. XX, col. 1457—1517*), ვრცელი რედაქცია კი ცნობილია მეხუთე საუკუნის სირიულ თარგმანში, რომელიც გამოცემულია *W. Cureton-ისა*⁴ და *P. Bedjan-ის*⁵ მიერ. მეცხრამეტე საუკუნის გასულს აღმოჩნდა ამ ვრცელი რედაქციის ორიგინალური ბერძნული ფრაგმენტები⁶.

პროკოპის „წამება“ შეადგენს ეგვიპტის დასახელებული შრომის პირველს თავს. მოკლე რედაქციაში ის ასე იკითხება: „პროკოპი, პალესტინის პირველი მოწამეთაგანი, ვიდრე საპყრობილედ შეყენებამდე, როგორც ამბობენ, [ქალაქის] კარებიდან იმწამსვე მთავრის სამსჯავროსადმი იქნა მიყვანილი. აქ მას უბრძანეს წარმართთა ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვა. მან უპასუხა: მე ერთი ღმერთი ვიცი, რომლისადმი ჯერ არს მსხვერპლის შეწირვა, თანახმად მის მიერვე დადებული წესისა. როდესაც მას ამის შემდეგ მოსთხოვეს ოთხი იმპერატორისადმი მსხვერპლის შეწირვა, მან წარმოთქვა ჰომეროსის შემდეგი სიტყვები: არა კეთილ არს მრავალუფლება, ერთ უფად იყავ, ერთ მეუფე! ამისთვის მას თავი მოჰკვეთეს თვესა დესიოსისსა რვასა, ესე იგი, როგორც რომაელები იტყვიან, უწინარეს შევითა იდთა იენისისათა, დღესა ოთხშაბათსა“⁷.

რაც შეეხება „წამების“ ვრცელ რედაქციას, ის შემოუნახავს, სირიულის ჯგერდა, უძველეს ლათინურ თარგმანს⁸, აგრეთვე ძველ ქართულ მწერლობასაც,

¹ A. Harnack, *Geschichte der altchrist. Literatur bis Eusebius*, II B., 2 Th. 115.

² *Ibid.*, Anmer. 2.

³ E. Schwartz, *Eusebius*, Pauly-Wissowa, *Real-Encycl.* VI, 1408.

⁴ *History of the martyrs of Palaestine by Eusebius*, 1861, ინგლისური თარგმანით.

⁵ *Acta martyrum et sanctorum t. I.* სირიული ტექსტი გერმანულად თარგმნილია B. Violet-ის მიერ (*Die palästinenischen Märtyrer des Eusebius von Cäsarea, Texte und Untersuchungen XIV, 4*).

⁶ H. De Lagaye, *Analecta Bollandiana*, t. XVI, 1897.

⁷ *Migne*, PG. t. XX, col. 1460AB—1461A.

⁸ *Migne*, PG. t. XX, col. 1459 BCD, not. 5.

საკმარისია ერთი თვალის გადავლებაც, რომ დინახოთ, თუ როდენ განსხვავდება მოკლე რედაქცია ამ „წამებისა“ ვრცელისაგან. უკანასკნელში მრავალი ისეთი ფაქტიური ცნობაა, რაც მოკლეს არ მოეპოვება, თუ გნებავთ, პროკოპის ასკეტიზმის სურათით. ეს სურათი, როგორც შენიშნულია მეცნიერებაში¹, ძალიან ახლოს დგას თერაპევტთა ასკეტიზმის აღწერილობასთან, რომელიც მოყვანილია ფილონ ალექსანდრიელის ცნობილი თხზულებიდან ევსების „საეკლესიო ისტორიის“ მეორე წიგნის მეჩვიდმეტე თავში.

ქართული თარგმანი განსხვავდება, პირველ ყოვლისა, პროკოპის „წამების“ თვისა და რიცხვის ჩვენებით, რის შესახებ საგანგებოდ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, და ბოლოში მოწამისადმი პათეტური მიმართობით („ჟ სამეზის ნეტართა“). გარდა ამისა შუაში ერთი წინადადება ქართულად ბუნდოვანად, ან, უკეთესად რომ ვთქვათ, არასწორადაა გადმოცემული. პროკოპი, შეპყრობის შემდეგ, წარგზავნეს ქ. კესარიად; მივიდნენ თუ არა ამ ქალაქში, მისი კარიდანვე („მიერვე ბჭითგან—ab ipsis portis“) ვითარცა წინამძღუარი მიჰყვანდა“. აქ გაუგებარია—ვის მიჰყვანდა და რომელი წინამძღუარი? ლათინურ თარგმანში იკითხება: „ad praesidem ducitur“. ქართული „წინამძღუარით“ გადმოცემულია დედნის ორჯამაყ (წინამავალი, უფროსი, მმართველი)—praeses, ასე რომ თავდაპირველს თარგმანში უნდა ყოფილიყო: „მიერვე ბჭითგან ვიდრე წინამძღუარდმდე მიჰყვანდა“.

საიდან მოდის ქართული თარგმანი? დასაშვებია სამი დედანი: ბერძნული, სირიული და სომხური. უკანასკნელი, სომხური, გამორიცხულია, რადგანაც სომხურენაზე ევსების თხზულება „პალესტინის მოწამეთათჳს“, რომლის პირველს თავს პროკოპის „წამება“ შეადგენს, ცნობილი არაა, არც თუ ცალკე საკითხავის სახით, როგორც ქართულში, არსებობს ეს „წამება“. უნდა გამოირიცხოს სირიულიც, რადგანაც ქართულში არის თარიღი რომაული კალენდრით, რაც სირიულში არ იცის, სირიულში არ იცის აგრეთვე ბერძნულ-ქართული ორჯამაყ უფროსი—დღესა ოთხშაბათსაჲ. ასე რომ ქართული თარგმანი უნდა ბერძნულიდან მომდინარეობდეს. მთარგმნელის ვინაობის შესახებ, რასაკვირველია, არაფერი ვიცით, თარგმანი კი შესრულებული უნდა იყოს შედარებით ადრე, არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა. ამის საწინდარია, გარდა მისი ზოგადი ხასიათისა, თვეთა ძველი წარმართული სახელწოდება. მართალია, სათაურში ნახმარია რომაული სახელი თვისა („თთუესა ივლისსაჲ“), მაგრამ ეს არის შემდეგი დროის გადაშვრთა, ლიტურგიკულ-მინეოლოგიური პრაქტიკის გამოძახილი, შიგ ტექსტში კი ვკითხულობთ: „უწინარეს რვისა დღისა ქუელთობისსაჲ;“ დღეს ოთხშაბათი იყო. მიერვე ქუელთობისაჲ“, რაც უდრის სირო-მაკედონურ Δεσπ(ο)ς-ს. მართალია, ამის მომდევნო განმარტებაში ვხედავთ რომაულ სახელს, მაგრამ არა ქართველთა საუკვლავით, არამედ «რომელსა ჰრქვან ჰრომაებრ», ესე იგი—როგორც რომაელები იტყვიან—*λέγουσιν ὡς ἱερομαχίαις*—ut Romani dicunt. ეს რომაული სახელი ჯერ არ გაქართულებულა, ამას მისი ფორმაც ამტკიცებს: არა „ივლისი“, არამედ „იული“, თხზულების გადმოთარგმნისას ჩვენში ხმარებაშია ძვე-

¹ Migne PG, t. XX, col. 1459 BCD, not. 5.

² Проф. В. Болотов, Из церковной истории Египта. День и год мученической кончины евангелиста Марка, стр. 313, 315. прим. 1.

ლი წარმართული სახელები თვეთა, რომაული ესეცა შემოსულა, მას ჯერ კიდევ არ მიუღია ქართული სახე. თვეთა რომაული სახელები კი ჩვენში ხმარებაში შემოდის მეშვიდე საუკუნის დამდეგიდან¹.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი: როდის ეწამა პროკოპი? ორი თარიღი, ყველა ცნობით, ერთი და იგივეა: პროკოპი ეწამა 1) 303 წელს, 2) ოთხშაბათ დღეს. რაც შეეხება თვესა და რიცხვს, აქ სხვადასხვაობაა. ქართულ თარგმანში ორჯერაა თარიღი აღნიშნული; პირველად თავში: „წელსა პირველსა დღეწულბისა ჩუენისასა (=303 წ.), უწინარსს რვისა დღისა ქუელთობისასა“. მეორედ ბოლოში: „ესე დღე ოთხშაბათი იყო, მერვს ქუელთობისაჲ, უწინარსს რვათა ჟამთა იულისათა, რომელსა ჰრქჳან პროკოპერა“. „ქუელთობა“—ამ სახელით აღინიშნებოდა ჩვენში მეშვიდე საუკუნემდე ის თვე, რომელიც, რომაულთან შედარებით, ან უმეტესაწლებოდ ივლისს ემთხვეოდა, ანდა, წინაქრისტიანული ქართული სისტემით, 2—31 ივლისს მოდიოდა². მეორე თარიღით პროკოპის წამების დღე იყო დღე „ქუელთობისაჲ“, მოძრავი წლის ვარაუდით, ესე იგი 8 ივლისი. ეს იყო, ამავე თარიღით, „რომელსა ჰრქჳან პროკოპერა“, ესე იგი, როგორც რომაელები იტყვიან, „მერვს უწინარსს რვათა ჟამთა იულისათა“. სიტყვა „ჟამთა“ უდრის ბერძნული ტექსტის *Εξήμε-ს*, რომელიც პირველს თარიღში ვაღმოცემულია სიტყვიან „დღისა“ („უწინარსს რვისა დღისა ივლისისასა“). „უწინარსს რვათა ჟამთა“ ან „რვისა დღისა“ ივლისისასა უდრის 8 ივლისს. ასე რომ ქართული თარგმანის მონაცემებით, პროკოპი ეწამა 8 ივლისს. ეგვეე თარიღი „VIII Iduum Julii“, მოცემულია ისეთ ქველ კალენდრებში, როგორცაა ბედასი (VIII ს.), უზუარდის, რაბანის, ადონისა (IX ს.), ნოტკერისა (X ს.) და ქართულის იოანე-ზოსიმესი (X ს.). ეს თარიღი არ უნდა იყოს სწორი, რადგანაც 303 წელს 8 ივლისი მოდიოდა არა ოთხშაბათს, არამედ ხუთშაბათს, ბერძნული მარტვილობის მოკლე რედაქციაში ვკითხულობთ, რომ, რომაული ანგარიშით, პროკოპი ეწამა *πρὸς ἡμέραν ἑξήμεν Ἰουλίαν*, უწინარეს შვიდთა იდთა იენისისათა, რაც 7 იენისს უდრის; მაგრამ არც ეს თარიღი სწორი, რადგანაც 7 იენისს მოდიოდა ორშაბათს და არა ოთხშაბათს. ვრცელი რედაქციის ერთ-ერთი ნუსხით „*dies erat septima Julii mensis, quae VII Idus Julii dicitur apud Latinos*“ (Migne, PG. t. XX, col. 1461A, not. 8), მაგრამ VII Idus Julii უდრის არა შვიდ ივლისს, არამედ ცხრას, რომელიც 303 წელს პარასკევს მოდიოდა (ზედმეტია ლაპარაკი შესახებ *quarto Nonas Augusti*, რადგანაც ის უდრის 10 აგვისტოს). შედარებით მეტი სიმართლეა იმ ლათინურ თარგმანში, რომელიც შემონახულა სამი უძველესი ნუსხით და რომელსაც ჩვენ ქვემოთ ქართული ტექსტის პარალელურად ვბეჭდავთ. აქ ნათქვამია: *Desii septima, Julii mensis, quae Nonas Julias dicitur apud Latinos* (Migne, PG. t. XX, col. 1461A, not. 8). *Nonas Julias* უდრის 7 ივლისს; 7 ივლისი ოთხშაბათს მართლაც 303 წელს მოდიოდა. მხოლოდ ამ შემთხვევა-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XVIII, გვ. 22—23.

² იქვე, გვ. 18.

ში უნდა ვივარაუდოთ ქ. ტვიროსის სისტემა წელთაღრიცხვისა და Desii VII უნდა შესწორდეს Desii XX-ად, რადგანაც, ამ სისტემით VII ივლისს უდრის Desii XX. ამრიგად პროკოპის წამების დღე ყოფილა 7 ივლისი, როგორც ეს გვხვდება ზოგიერთ სხვა ეორტოლოგიურ ძეგლშიც¹. მაგრამ შემდეგში მომხდარა კონტამინაცია მისი მეორე პროკოპის, მთავრის, მოწამებრივი აღსასრულის დღესთან. საქმე ისაა, რომ ეს მეორე პროკოპი აწამა იმავე ეკსარიში და იმავე ფლაბიანოს მსაჯულმან 303 წლის 8 ივლისს². ამ პირობებში აღრევა ორი პირისა და მათი ცხოვრების ფაქტებისა ადვილად მოხდებოდა. ეს აღრევა შედარებით ადრე მომხდარა, ყოველ შემთხვევაში ბედა (Venerabilis) ინგლისელის (674—735) კალენდარში იმას უკვე აქვს ადგილი.

თარგმანის დასასახსიათებლად აღვნიშნავთ ზოგიერთ ლექსიკურ მოგონებას. სული თჳსი—თავი თვისი. „ყოველი შაბათი უზმაიან გარდაელის“; „შაბათი“ აქ უდრის არა დღეს, არამედ „შვიდულს“ (Septima), მთელ კვირას. „გარეშეთა წიგნთა“—წარმართულ წიგნებს. „სღვამე“—მოქალაქობა, ცხოვრება. „წარეცა“—გავზიენილ იქნა (transmissus fuisset). „ზორვა“—გება, მსხვერპლის შეწირვა. „სტრიქონი“—ლექსი (versum). „სიტყვსმოქმედი“—მგოსანი, პოეტი. „სამძალი“ („მიიღეს სამძალი“), ეს სიტყვა, რომელიც საბას ლექსიკონში არაა, ჩვენ გვხვდება კიდევ ლეონტის ზემოდაბეჭდილ მარტივობაში, სადაც ვკითხულობთ: „ქრისტემან ძღვევისა სამძალი აღუსრულა მას“ (A 95, გვ. 954a). უნდა ნიშნავდეს ის საჩუქარს, სასყიდელს (compendium).

თხზულება საყურადღებოა ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით იმ მხრივაც, რომ იმაში მოხსენებულია დიდი ჰომიროსი და მოყვანილია მთელი „სტრიქონი“ ან „სტიქონი“, ესე იგი ტაეპი მისი.

ქართულ ტექსტთან ერთად ჩვენ გვგვძღვავთ თხზულების უძველეს თარგმანს ლათინურ ენაზე, რომელიც ბერძნულიდან მომდინარეობს. ამ გზით ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ დამოკიდებულება ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან.

ქართული ტექსტი ი ეჭვდება სამი ხელნაწერის მიხედვით, რომელთაც შეიძლება ვთხზულება ჩვენამდე; ერთია A 95 (=C), მეორე—H 535, X-XI საუკ. ხელნაწერი³ (=D), და მესამე სინას მთის, X საუკუნისა № 62 (=B), საიდანაც ის მთლიანად გადმობეჭდილია აქად. ნ. მარის მიერ⁴.

¹ Сергий, Полный месяцеслов Востока II, ч. 2, стр. 260.

² მისი მარტივობა არსებობს ქართულ თარგმანშიც, A 1103, 382, ველოთ. № 3.

³ კ. კეკელიძე, კიშინი, გვ. XXXVII.

⁴ Описание грузинских рукописей синайского монастыря, стр. 120—122.

C 951 b

თთუქსა ივლისსა G

VIII Iduum Julii

წამებაჲ წმიდისა პროკოპისი

PASSIO SANCTI PROCOPII MARTYRIS *

D 175 b

წელსა პირველსა დენულებისა ჩუენისასა, უწინარს რვისა დღისა ქუელთობისასა, კესარიას პირველი მოწამეთაჲ პალესტინეს გამოჩნდა, პროკოპი, ღმრთისა კაცი ჭეშმარიტი. რამეთუ პირველადცა წამებისა გულსმოდგინედ სიბრძნისმოყუარებასა თავისა თვისსა ცხობრებამ მისცა. სიჩოფთავანვე სიყრმისადე სიწმიდით ცხონდებოდა და საზრდელისა კრძალულებასა ერჩდა. ესრეთ უკუე დააჭნო გუამი თვისი, ვითარმედ მკულრად ვიდრე აღსრულებადმდეცა საგონებელ იყო. და ესრეთ სული თვისი სიტყუათა ღმრთისაჲთა განაცხოველა, ვითარცა იგი გუამი თვისი უმჯობესითა ძალითა განაბრწყინეა.

C 952 a

რამეთუ პური იყო მისა საზრდელად და სასუმელად | წყალი, ხოლო მარტოდ იმსახურებდა მეორესა გინა მესამესა დღესა, მრავალგზის ყოველი იგი შაბათიცა უზმამან გარდაღლის. ხოლო საღმრთოთა სიტყუათა წურთაჲ დაუცხრომელად აქუნდა მას დღე და ღამე. სახითა იყო მოლუაწებისაჲთა და ცხობრებითა სიწმიდისაჲთა, ვითარმედ

D 176 a

სახიერებითა და სიმშუდითა ყოველთა თანამობაძავეთა მისთა წარმატებულ იყო. მოცემულ იყო მისდა სიტყუად მოლუაწებისაჲ საღმრთოა და ვარეშეთაცა მათ წიგნთა არამცირედ ზედაიწიგნულ იყო.

ნათესავით ელიონთა ქალაქით მოსრულ იყო. ხოლო სლვაჲ მისი და

Primus martyr, qui sunt in Pa-laestina, apparuit Procopius, vir caeles-tis gratiae, qui et ante martyrium sic 5. suam vitam disposuit, ut etiam a par-va aetate castitati semper et morum vir-tutibus studeret. Corpus quidem suum sic confecit, ut pene mortuum putaretur, animam vero ejus sic verbis confortaba-t 10. divinis, ut etiam corpori virtutem ex hujus refectione ministraret.

15.

Cibus et potus ei panis et aqua fuit, solis his utebatur; cum post bi-20. duum triduumque, diem interdum etiam post septimam ad cibum rediret. Sacrorumquoque meditatio sermonum ita mentem ejus obstrinxerat, ut nocte ac die in hac infatigabilis permaneret. 25. Clementiae autem et mansuetudinis tanquam caeteris inferior documentum, sui praebebat copiam. In verbis divinis ei studium erat. Illa vero quae extrinsecus sunt, mediocriter attigerat. 30.

Igitur genere quidem Aeliensis, conversatione autem vel habitatione 35.

3-4 ჩუენისა C.—4 უწინარეს C.—უწინარეს D.—7 ჭეშმარიტი+და DB.—9-11 თავისა თვისსა... ცხონდებოდა| სიჩოფთავანვე სიყრმისა მისისაჲთ თავი თვისი სიწმიდით ცხობრებასა მისცა CB.—14 ვიდრემე C.—16 თვის<C.—21 მარტოდ| მარხვად B.—25-26 მას<C, ღამე და დღე D.—27 სიწმიდითა CD.—29 მისდა| მისად.—31 საღმრთოთა C.—34 ხოლო ნათესავით C. ელიონთა C.—35 ხოლო+იყო CD.*

* ტექსტი IV Nonas Augusti შესწორებულია თანახმად სვა მონაცემებისა.

ყოფად სკვთელთა ქალაქსა იყო, სადა იგი ეკლესიასა საწმარსა სამსა მისცემდა მსახურებასა: ერთსა წიგნის კითხვასა, მეორედ ასურებრისა წმისა თარგმანე-
 5 ბასა, მესამედ უფროსილა გულსმოდ-
 გინედ აღასრულებდა ეშმაკთა განსხმასა.

ვითარმედ სკვთოპოლისით სხუთთა თანა მოყუსთა წარცვა კესარიად, და მიერვე ბჳითგან ვითარცა წინამძღუ-
 10 რი მიჰყვანდა; ვიდრე კრულებადმდე და საპყრობილესა გამოცლად, მეყსეუ-
 ლად, პირველსავე მას შესლვასა, თქუა ოდენ მსაჯულმან, ფლაბიანოს ვინმე იყო ესე, ვითარმედ «ჯერ არს მისა

15 გებდ კერპთა». ხოლო მან ჰრქუა მას დიდითა წმითა: «არა არიან კერპნი დემრთს», არამედ მხოლოდ ერთი, ყოველთა | შემოქმედი და დამბადებელი, წამა. ვიდრემდის სიტყუსა მის გუემითა
 20 იწყლა გონება მსაჯულისა მის და გულისხმა ყო კეწმარტებისა მის ბრძანებითა, და სხუასა გზასა მოვიდა და დაუტევა პირველი იგი, და რიცხვთ ოთხთა მეფეთა უბრძანებდა ზორვად.

25 მაშინ წმიდამან მან მოწამემან ღმრთისამან ესეცა სიტყუად | უფროს განვეციცხა ფრიად და პირველთა მათ უმეროსისთა წარმოიღებდა სტრიქონთა, რომელ იგი მათ ყოველთა მიერ
 30 სიტყუს-მოქმედთა განსაკვრვებელ იყო, და თქუა ესრეთ: «არა კეთილ არს მრავალუფლებად, ერთ უფალ იყავნ და ერთ მიუფე!» და სიტყუასა მას თანა, ვითარ თგი ქება მეფეთად არა თქუა, წარცვა
 35 იგი სიკუდილდ, და თავი მოჰკუეთეს

Scythopolitanus erat. Ibi ecclesiae tria ministeria praebebat: unum in legendi officio, alterum in Syri interpretatione sermonis, et tertium adversus daemones manus impositione consummans. C 952 a

Cumque ab Scythopoli una cum sociis in Caesaream transmissus fuisset, ab ipsi portis ad praesidem ducitur; et prius quam carceris vel vinculo- rum experiret angustias, in ipso ingressu suo a iudice Flaviano, ut diis sacrificaret, impellitur. At ille magna voce non esse deos multos, sed unum factorem omnium opificemque testatus est. Iudex autem plaga sermonis ictus et conscientia saucius, consensus ejus sermoni. Atque ad alia se rursum argumenta con- D 176 b stituit, ut vel regibus sacrificaret.

Sanctus autem Dei martyr sermonem ejus despiciens, Homeri inquit C 953 a versum, dicens: non est bonum multos dominos esse, unus dominus esto, unus rex! Itaque hoc verbo ejus audito, quasi qui infausto in regibus deprompsisset, jussu judicis ducitur ad mortem, et capite amputato ingressum vitae caelestis, vel compendium beatus invenit: Dessii septima Julii mensis, quae Nonas Julias dicitur apud Latinos,

1 ყოფად| ყოფობად D.—4 მეორედ| მეორესა D.—7 სკვთოპოლი C.—11 და<C, გამოცლად... შესლვასა<C.—12 შესლვასა|+ვითარცა CB, თქუა<D.—13 მსაჯულმან|+მან D.—15 მას<D.—17 ღმერთ<D.—17-18 ყოველთა| ყოველისა D.—19 ვიდრემდის სიტყუსა მის გუემითა| ვითარმედ გუემისა მისგან სიტყუსა D.—20 მსაჯულისა CD.—20-21 გულისხმა CD.—25 მაშინ| ხოლო D.—28-29 სტრიქონთა| სტიქონთა D.—31 თქუა| ჰრქუა C, ესრეთ<D.—33 ვითარი D.

- ნეტარსა მას, და მწრაფლ იპოვა იგი გზასა მას ზეცად აღსლვისასა. ესე დღს¹ ოთხშაბათი იყო, მერგს² ქუელთობისაჲ, უწინარს³ რვათა ჟამთა იულისათა, რომელსა ჰრქვან ჰრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისაჲ. | ესე პირველად აღესრულა კესარიის წამებაჲ.
- † ნეტართა სამგზის ქრისტს⁴ სუფევისა მარტულთა, რომელნი ოქროსა სახედ ღმრთისმსახურებისა სათნოებითა გამოიციანდეს, ზეცისაჲ და ანგელოზებისა ცხორებაჲ მოიგეს | ლუაწლითა, და მიიციანდეს გამოუთქუმელთა კეთილსკორ. II, 9
- თა აღთქუმელთა [და] ზეცისა ჩინებისაჲ მიიღეს სამძალი, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მიჰჭდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა, რომლისა არს სუფევად და ძალი და დიდებაჲ და სიმკიცს⁵, მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე. ამჴნ.

1-2 იპოვა... აღსლვისასა] იპოვა გზა ზეცის აღსლვისა *D*.—2 ესე *D*.—4 რვისა *BB*.
 —25 დღს... ჰრომაებრ] ესე იყო რვათა ქუელთობისა და დღეს ოთხშაბათსა უწინარეს რვისა იულისისასა *BC*.—5 პირველსა *C*.—7 ნეტართა სამგზით *C*.—8—9 ანგელოზებისა *D*, ცხორებაჲ + რომელ *BCD*.—9 მიიციანდეს *BD*.—10 აღთქუმელთა] აღთქუმელთა *BD*.

კირილე სკვითოპოლედი
ცხოვრება საბა პალესტინელისა

1. მნიშვნელობა თხზულებისა ზოგადად, კერძოდ ქართული კულტურის ისტორიისათვის

თხზულება, რომელსაც ჩვენ ვსცემთ, შეიცავს საბა პალესტინელის ან ფან-წმედლისა (ცხოვრებას) და თავგადასავალს.

საბა წარმოშობით იყო კაპადოკიელი, დაიბადა 439 წელს სახელოვან და კეთილშობილ დედამისისაგან. მას შემდეგ, რაც მისმა მამამ დიდი სამხედრო და-ნიშნულება მიიღო ალექსანდრიაში და ცოლით იქ გადასახლდა, საბა, გატაცებული ბერ-მონაზვნული იდეალებით, მიდის პალესტინაში და 532 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა, ფართო და მნიშვნელოვან მოღვაწეობას ეწევა იქ. მისი ბიოგრაფია დაუწერია ნაყოფიერსა და ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში ცნობილს ავიოგრაფს კირილე სკვითოპოლელს (პალესტინაში) ან ბეისანელს, რომლის ცხოვრების გზა და მომავალი თვით საბამ განსაზღვრა, როდესაც, სიკვდილის წინ, მან ინახულა ის ბავშობაში მისი დედამისის სახლში. შემდეგში კირილე მოღვაწეობდა საბას მიერ გაშენებულ სავანეებში („ახალი“ და „დიდი“ ლავრა), სადაც ცოცხალი იყო ხსოვნა საბასი და გარდმოცემანი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შესახებ. აქ ის გულმოდგინედ ჰკრეფდა ცნობებს საბას თანამედროვეთა და თვითმხილველთაგან და 555 წლის მახლობლად დაწერა ეს მეტად საყურადღებო თხზულება. რა გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობის შეგნებით წერდა ის ამ შრომას, ეს საკმაოდ ვრცლად ნაჩვენებია მისი მეორე თხზულების, ექვთიმე პალესტინელის „ცხოვრების“, ბოლოში¹.

საბა ერთ-ერთი საყურადღებო პიროვნებაა ბიზანტიის ისტორიისა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეექვსის პირველში. ეს ის აღაშინაია, რომელიც შეუდრეკელი ენერგიით იბრძოდა როგორც საეკლესიო-სამონასტრო, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, პოლიტიკურზე, რადგანაც საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწეობა იმჟამად იგივე პოლიტიკური მოღვაწეობა იყო. მისი პიროვნება და საქმიანობა ბიზანტიის იმპერატორებისათვის წარმოადგენდა ადამიანთათვის დიოცეზისა პოლიტიკის საიმედო საყრდენს, განსაკუთრებით იმ მწვავე მომენტში, როდესაც მონოფიზიტური მოძრაობა საგრძნობლად არყევდა და ემუქრებოდა იმპერიის მთლიანობას. ამით აიხსნება ის ავტორიტეტები, რომელიც საბას ჰქონდა ბიზანტიის ავტოკრატორთა სასახლეში. დღეს ყოვლად შეუძლებელია ბიზანტიის ისტორიის შესწავლა მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში საბას „ცხოვრების“ გარეშე. ამით აიხსნება, რომ მეცნიერებაში ეს

¹ ეს ნაწყვეტი შეიძლება ქართული თარგმანითაც გავიცნოთ აკად. ნ. მარის შრომაში: Описание гр.-в. рукописей Синайского монастыря, стр. 34—36. კირილე სკვითოპოლელის შესახებ იხ.: K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, S. 185-6. 2 Aufl.; K. Usener, Der heilige Theodosios. Schriften des Theodoros und Kyrillos, S. XI—XXIII; П. Сладкопевцев, Древние палестинские обители, вып. III, стр. 76—85, აგრეთვე „ცხოვრება“ ექვთიმე დიდისა, თავი 74, 81—85, გამოცემა И. Помяловский-ისა (Палестинский Патерик, вып. 2, Петерб., 1898 г.).

თხზულება მიჩნეულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირველწყაროდ აღნიშნული ეპოქის შესასწავლად. ვრცელი, დაწვრილებითი, ზუსტი ქრონოლოგიური თარიღებით შემკული, თან შეძლებისდაგვარად ობიექტური ვადმოცემა იმდროინდელი საეკლესიო და პოლიტიკური მოძრაობის ამბებისა ნამდვილ მატრიანედ ხდის ამ ნაწარმოებს.

როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ეს თხზულება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია აგიოგრაფიული ჟანრისა; ამ მხრივ ის მისაბამი შექმნილა ბიზანტიის აგიოგრაფიაში და, მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც მეტაფრასტს, ბოლანდისტების ცნობით¹, რასაც ქართული მასალები მხარს არ უჭერენ, სვიმეონ ლოვათელს², გადაკეთებისას ის გამოუსაკურისებია, თუ შეიძლება ასეთი ტერმინი ვიხმაროთ, მნიშვნელობა და მიმზიდველობა მაინც არ დაუკარგავს. თხზულება პირველად მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოიცა³.

კირილე სკვითოპოლელის აგიოგრაფიული შრომები ქართულად თითქმის ყველა თარგმნილი⁴, გადმოთარგმნილია, კერძოდ, საბას ცეხოვრება⁵. ეს არც გასაკვირველია: მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული საბას ლავრა მთავარი პუნქტი იყო, სადაც ლევიოდა ნაპერწყალი ჩვენი ძველი ლიტერატურისა და სადაც ჩვენი წინაპრები ეცნობოდნენ მოწინავე კულტურის მიღწევებს საშუალო საუკუნეთა მანძილზე. ასეთი მნიშვნელობა მას არ დაუკარგავს, ყოველ შემთხვევაში, მეთერთმეტე საუკუნემდე, როდესაც პალესტინაში შეიქნა მეორე, ახალ ქართული ცენტრი «ჯუჰარის» მონასტრის სახით.

გამოცემა ამ ნათარგმნი თხზულებისა ნაკარნახევია არა მარტო მისი ზოგადი მნიშვნელობით, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, არც იმიტომხოლოდ, რომ ის, როგორც ქვემოთ დაგინახავთ, არის ერთ-ერთი უძველესი თარგმანი, საყურადღებო გრამატიკული და ლექსიკური მოვლენებით, არამედ იმიტაც, თუ გნებავთ—უფრო იმიტაც, რომ მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ძველი ქართული კულტურის ისტორიისათვის, კერძოდ ლიტერატურის ისტორიისათვისაც, რამდენადაც მას ჩვენს ძველს მწერლობაში გარკვეული გამოხმაურება უპოვებს. საბას ლავრა, როგორც ვთქვით, იყო თმნიშვნელოვანისა და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურისა და მწერლობის. მეტად საინტერესოა ვიცოდეთ ის არც და პირობები, რომელთაც განსაზღვრეს შინაარსი, ხასიათი და მიმართულება ამ კულტურისა და მწერლობისა. ამისი გაცნობა და გათვალისწინება კი შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული თხზულებით.

¹ Bibliotheca hagiographica Graeca, p. 284, Bruxellis, 1909.

² მეტაფრასტული რედაქცია გამოცემულია K. Κοιμισιades მიერ: Βίος και πολιτεία π. 18101 πατερ. 18101 ἡμ. 18101, Βιβλιοθήκη της «Νέας Σίας» Hierosolymas, 1—56, 1905.

³ I. B. Cotelerius, Ecclesiae graecae monumenta, t. III, p. 220-376; Paris, 1686. ესარგებლობთ ამ ერთადერთი გამოცემით.

⁴ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 651.

⁵ ქართულად თარგმნილია აგრეთვე მეტაფრასტული რედაქცია ვფრემ მცირის თუ თეოდოსე ზუგნიძის მიერ; არსებობს რამდენიმე ნუსხა ამ თარგმანისა: საქ. მუხ. A 179. გვ. 365—485, გელათის № 5, ფ. 22ა—87ა, ათონის № 2 (ბლაკეს კატალოგი, № 63 ცაგარლის) 4—51.

II. ნუსხა თხზულებისა

დღესდღეობით კირილე სკვითობოლელის შრომის, — «ცხოვრება საბასია, — ქართული თარგმანი ორი ნუსხითაა ცნობილი. ერთი მათგანი ინახება ათონზე, მის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რაც გადმოუცია პრაფ. ა. ცაგარელს ხელნაწერის № 56 აღწერისას, სახელდობრ: ძველი ეკუთვნის მეთვე საუკუნეს, და ის ლამაზი ნუსხა-ხუცურიითა დაწერილი¹. ტექსტის გამოკვებისას, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა საშუალება ეს ხელნაწერიც გამოგვეყენებია.

მეორე ნუსხა ამ თხზულებისა, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს გამოცემას, ეკუთვნის ბრიტანეთის მუზეუმს, Addit, 11281 (2764). მოკლე ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ პირველად გამოაქვეყნა ა. ხახანაშვილმა², შტადარებით უფრო დაწვრილებითი U. Wardrop-მა³. 1914 წელს ამ ხელნაწერიდან ჩვენ გამოვეცით «ცხოვრება იოვანე ურპაელ კათალიკოსისა»⁴. ეს ხელნაწერი, რომელიც ეტრატზეა დაწერილი წვრილი ნუსხა-ხუცურით, შეუძენია ბრიტანეთის მუზეუმს 1837 წლის 11 ნოემბერს of an Armenian priest named Casanji, of Alexandria. ის წარმოადგენს ე. წ. «პალესტინის პატერიკს» და შეიცავს შემდეგ მოღვაწეთა «ცხოვრებას»: 1) ანტონი დიდის, 2) საბა განწმედლის, 3) ხარიტონის, 4) ექვთიმე დიდის, 5) თეოდოსი დიდის, 6) ეფრემ ასურის, 7) იოანე ურპაელის, 8) კვირიაკე განშორებულის, 9) სტეფანე და ნიკონის, 10) იოანე ქოზიბელის, 11) სვიმეონ სალოსის და 12) ჯერასიმე წიაღიორდანელის. ხელნაწერის გადწერის დრო ირკვევა იმ მინაწერებითა და ანდერძებით, რომელთაც იმაში ვპოულობთ. აი მთავარი მათგანი:

ხელნაწერის თავში: «ღმერთო, აღიდგენ სულითა მოძღუარნი ჩემნი სულიერნი იოვანე და მამა გიორგი და ყოველნი შვილნი მათნი სულიერნი, და მცა შეე-იოვანე მათითა ლოცვითა მიჰქენ ცოდვათა ჩემთაგან» (ფ. 1).

ბოლოში: «ღირს ვიქმენ გლახაკი და ფრიად ცოდვილი... შეე-იოვანე და წერად წმიდასა ამას წიგნსა წმიდათა მამათასა ბრძანებითა და ლოცვითა წმიდასა მამისა, სულიერისა მოძღურისა პროხოლისითა... კურთხეულმან მიხელ მეფემან ეგლოგია დაყო... გაეასრულე და შეემოსე და დაედევ წმიდასა ამას ადგილსა ჯუარისასა, რომლისა შენებას თანა ვშედეგობედ ურჩი ესე... სალოცველად ღმრთივ-შემკობილთა მოძღუართა ჩემთა იოვანეს და პროხოლი მამისა» (ფ. 369).

საბას «ცხოვრების» თავში ვკითხულობთ: «ქრისტე, მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო! აღიდგენ სულითა მოძღუარი და მამა ჩუენი გიორგი და ყოველნი შვილნი მათნი სულიერნი, რომელნი შემოგუკრიბნა წმიდასა ამას ადგილსა, რომელი დიდითა შრომითა მიჰმადლა ღმერთმან და აღამენა ყოველთა სულთა შესაკრებლად. და მე უღირსი და ყოველთა შვილთა მისთა უნარჩევებსა

¹ Сведения о памятниках грузинской письменности, I, стр. 84.

² ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, მოამბე, 1905, № 8.

³ Catalogue of Georgian manuscripts.

⁴ Христианский Восток, т. II, вып. 3, стр. 301—348.

კადნიერ ვიქმენ დაწერად თავისა სიგლახაყითა წიგნსა ამას, რომელსა ზედა მაქუნია გულსმოდგინებამ ფრიადი და ლოცვამ მოძღურისაჲ სრულიად, მით ჭელეყავ, ყოველთა ლოცვა ყავთ იოვან(ს)სთს» (ფ. 56b).

«ცხოვრების» ბოლოში: «დიდებამ შენდა, ძალისა მომცემელო ღმერთო, რომელმან ღირს მყავ და მომმადლე უძღურსა აღსრულებად საქმს ესე სადიდებელად სახელისა შენისათჳს წმიდისა და სალოცველად საწყალობელისა სული-სა ჩემისა, რომელსა არა მიქმნია დღმცა ერთი ნებაჲ ღმრთისაჲ. ჰ წმიდანო ღმრთისანო, ესე ჩემი ნაწერი, ვიცი რომელ უნდო არს, გარნა ჭელთსაქმარო სხუად არაჲ ვიცოდე და ლოცვისათჳს უდებ ვიყავ და მოწყინე. ღმრთივ-გან-ბრძნობილმან იოვანე მოძღუარმან მიბრძანა: წერდი უგუნუროო! ღმერთმან აღიდენ სული მათი, და აწ თქუენ ლოცვა ყავთ, რამეთუ ფრიად ცოდვილ ვარ და არა მაქუს სინანული საწყალობელსა და მოველი ცეცხლსა» (ფ. 144b). იქვე: «ქრისტე, აღიდენ მოძღუარნი ჩემნი სულიერნი: იოვანე და მამად გიორგი, «ქრისტე, შეიწყალენ სულითა ძმანი ჩემნი საყუარენნი: გიორგი, მიქიელ და საბა თულაჲ».

ამ ანდერძებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი დამზადებულია ჯუარის მონასტერში ვინმე იოვანე შავის (ბერის) მიერ მისი მოძღვრის იოვანეს ბრძანებით, ჯუარის მონასტრის მშენებლის გიორგი-პროხოზრეს დროს. თუ მხედველობაში გვექნება, რომ ანდერძში დასახელებულია იმპერატორი მიქელი (IV ან V), ხელნაწერის გადაწერა 1034—1042 წლებში უნდა დავდოთ.

დამზადება ამგვარი ხელნაწერისა გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ გარემოებით, რომ ჯუარის მონასტრისათვის, რომელიც ჩაება პალესტინის მონასტერთა ქსელში, აუცილებელ საჭიროებად იქნა მიჩნეული პალესტინის გამოჩენილ მოღვაწეთა, პირველ რიგში საბას, «ცხოვრებაჲ».

შავ იოანეს ამ ხელნაწერში შემაგალი თხზულებანი სხვადასხვა ნუსხებიდან გადმოუწერია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ენობრივი ნორმები საბას «ცხოვრებისა» შესამჩნევად განსხვავდება იმ ნორმებისაგან, რომელთაც ჩვენ ვმოულობთ, მაგალითისათვის, ჩვენ მიერ ამ ხელნაწერიდან გამოცემულს იოანე ურპაელის «ცხოვრებაში».

საბას «ცხოვრებას» ჩვენ ვსცემთ იმ როტოკოპიის მიხედვით, რომელიც ჩვენთვის დაამზადებინა 1916 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. ხელნაწერს ჰკლებია, ამოვარდნისა და დაკარგვის გამო, ერთი ფურცელი (თავი 89), ეს ხარვეზი ჩვენ შეევაესთ ჩვენი საკუთარი თარგმანით, რომელიც []-შია მოთავსებული.

III. როლის ითარგმნა თხზულება?

გამოცემისას ჩვენ ხელთა გვაქვს მეთერთმეტე საუკუნის ტექსტი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თხზულება ჩვენს მწერლობაში მეთერთმეტე საუკუნეში გაჩნდა. ის უამრავი დამახინჯება-შეცთომანი, ვულგარიზმები და ნეოლოგიზმები. რომელთაც ადგილი აქვთ თარგმანში, იმისი მაჩვენებელია, რომ ტექსტს გრძე-

ლი ისტორიული გზა გაუვლია; მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნის ნუსხა გადმოღებულია სხვა, უფრო ადრინდელი ნუსხიდან. მართლაც, ისეთი შეცდომები, როგორცაა, მაგალითისათვის, „ებეროს“ (= სებეროს), „გაჯოგა“ (= გაზოგა), „მოიცალეთ“ (= მოიხილეთ) მხოლოდ გადაწერის დროსაა შესაძლებელი.

თხზულება ქართულ ენაზე წარმოადგენს თარგმანს, რომელიც შესრულებულია ბერძნული დედნიდან. ასეთ დასკვნამდე აპრობორული გზითაც შეიძლება მისვლა. მართლაც, იმ აღმოსავლურ ენებზე, საიდანაც ქართველები სთარგმნიდნენ ან შეეძლოთ ეთარგმნათ, — სირიული, სომხური, არაბული, კობტური, ეთიოპური, — ეს თხზულება არ არსებობს, რამდენადაც ეს შესაფერისი სამეცნიერო ლიტერატურით შეგვიძლია გავითვალისწინოთ¹. არ არსებობს ის, კერძოდ, სომხურ ენაზე; სომხურად ცნობილია მხოლოდ მრკვე სვინაქსარული რედაქცია, რომელსაც დასაწყისი ტერ-ისრაელის სვინაქსრიდან (XIII ს.) მოაქვს. ეს შოვლენა გასაგებია. საბა, როგორც საზოგადოდ ცნობილია და მისი „ცხოვრებებიდანაც“ ჩანს, იყო იდეოლოგი და მეპაირობატურე ქალკედონიზმისა, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან მონოფიზიტობასთან ბრძოლას შესწირა. თავისთავად გასაგებია, რომ ანტიქალკედონიზმის ნიადაგზე საბოლოოდ დამდგარი მონოფიზიტები მის თაყვანს საეკლესიო კალენდარში ვერ შეიტანდნენ და მის „ცხოვრებას“ ვერ გადმოთარგმნიდნენ. და თუ სომხურს მოგვიანო სვინაქსარში შევიდა მოკლე ცნობა მის შესახებ, ეს იმით აიხსნება, რომ ეს სვინაქსარი აღმოცენებულია კილიკიის ლიტერატურულ წრეებში, სადაც, როგორც ცნობილია, ნიადაგი უნიონალური ტენდენციებით იყო გაკლენთილი. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ეს იმ მიზეზით მოხდა, რა მიზეზითაც, როგორც აკად. ნ. მარი ამბობს, მოგვიანო სომხურ ძეგლებსა და კრებულებში მოხვდნენ ისეთი წარმომადგენლები ქალკედონიზმისა, როგორიც იყვნენ პაპა გრიგოლი და გერმანე პატრიარქი, სომხების მიერ თაყვანთ „მოდურად“ აღიარებულნი, გინა თუ შეიდეგ მსოფლიო კრება².

ამრიგად, დარჩა ერთი მხოლოდ ბერძნული ენა, საიდანაც შეეძლოთ გადმოეღოთ ქართულად ეს თხზულება. და ეს რომ მართლაც ასეთ, ნათლად ჩანს თანდართული ლექსიკონიდან, რომელშიაც ვპოულობთ უამრავ წმიდა ბერძნულ სიტყვებს; ეს სიტყვები უმეტეს შეინახევაში სპეციალურად ამ თხზულების თარგმნის დროს გამოუყენებია, სხვადასხვა მიზეზის გამო, მთარგმნელს.

ხელმოსაკიდი, პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ როდის ითარგმნა თხზულება, მაგრამ ამის გარკვევა სხვა გზითაა მოსახერხებელი.

პირველ ყოვლისა, ყურადღება შემდეგს გარემოებას უნდა მივაქციოთ. ათონის ქართულ ხელნაწერთა შორის ცნობილია მეორე ნუსხა ამ თხზულებისა, რომელიც, პროფ. ა. ცაგარელის აღწერილობით, მეათე საუკუნეს ეკუთვნის³. მაშასადამე, მეათე საუკუნეში თხზულება უკვე არსებობდა ქართულად. არსებობდა ის აგრეთვე, უნდა ვიფიქროთ, მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარ-

¹ იხ. Bibliotheca hagiographica Orientalis, ediderunt socii Bollandiani, Bruxellis, 1910.

² Аркаун, Монгольское название христиан, Византийский Временник, XI, 2—3.

³ Сведения, I, 84, № 56.

შიც. ის იმდენად პოპულარული ყოფილა მაშინ ჩვენში, რომ გრიგოლ ხანძთელმა იერუსალიმში მიმავალ თავის მეგობარს «დაჰვეღრა საბა წმიდისა წესისა დაწერა და წარმოცემაჲ; რამდენიმე ხნის შემდეგ მეგობარმა მას მართლაც «მოართვა საბა წმიდისა განგებამ დაწერილი»¹. აქ, მართალია, იგულისხმება არა «ცხოვრება» საბასი, არამედ მის მიერ მონასტრისათვის გაჩენილი წესი, მაგრამ ამ „წესის“ შესახებ მის „ცხოვრებაშია“ ლაპარაკი.

მეორე—სინას მთაზე არსებობს ქართული ხელნაწერი მეთათე საუკუნისა (№ 65 ნ. მართ, 44 ა. ცავარლით), რომელშიც 155—157 ფურცლებზე მოთავსებული ყოფილა «ძუენლი ქართულნი» დასდებულნი «ამისა საბაჲსინა». ეს დასდებულნი, რომელია ტექსტი მთლიანად გამოცემულია ნ. მარის მიერ², წარმოადგენენ ქართველ ჰიმნოგრაფთა ნაწარმოებს და შედგენილი არიან საბას «ცხოვრების» ნიადაგზე, მისი ცნობების გამოყენებით. მაშასადამე, როდესაც ეს „დასდებლები“ ითხზებოდა, საბას „ცხოვრება“ უკვე ნათარგმნი იყო ქართულად. და თუ ისინი მეთათე საუკუნეში «ძუელად» იყო მიჩნეული, მათი შეთხზვა ერთი-ორი საუკუნით ადრე მიიწე უნდა ვივარაუდოთ, ხოლო მათში გამოყენებული «ცხოვრების» გადმოღება კიდევ უფრო ადრე.

მესამე—თარგმანს ახასიათებს ბიბლიური ციტატების დიდი თავისებურება. მრავალ ბიბლიურ ციტატათგან ვერ შეხვდებით თითქმის ვერც ერთს, რომელიც ზუსტად ემთხვევოდეს რომელიმე დღესდღეობით ცნობილ ვერსიას. სულ სხვანაირადაა გადმოცემული შემდეგი ადგილები: ფსალმ. 4, 41, 54, 67, 90, 9, 12, იგავ. VI, 28, XVII, 11, მათ. VI, 31—33, 1 პეტრ. III, 1, 1 ტიმ. III, 16, ფილ. 1, 2, 1V, 7, 12, 13, 14 ეფეს. IV, 14, განსაკუთრებით V, 6: «გარდავეყენ დიონი ჩემნი», რომელიც უდრის ვულგატურს «გამოიფრდიდით ემთა»—*ἐξἡγορευθησαν οὗτοι ἡμεῖς*. ეს თავისებურება იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ არ დაბადებულა იდეა რომელიმე ბიბლიური თარგმანის კანონიზაციისა, ხმარებაშია სხვადასხვა ადგილობრივი თარგმანი; ეს ის დროა, როდესაც გიორგი ათონელის ცნობილი „ანდერძის“ სიტყვები—«ჩუენნი ყოველნი სახარებანი (resp. საზოგადოდ ბიბლია) პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად—უბრალო დეკლარაცია და ისტორიულ-ლიტერატურული მონაგონარი კი არაა, არამედ ფეოდალურ-კუთხური პარტიკულარიზმის ლოზუნგია ლიტერატურაში.

მეოთხე—ლექსიკური მოვლენები ამ თარგმანს უძველესი პერიოდის ძეგლებს ანათესავებს. ასეთებია: «ზამთარი» (მღელვარება), «თავყანისცემა» და არა «თაყუანისცემა», «უფალი», როგორც სოციალური ტერმინი «უფალ-მონობის», თუ შეიძლება ასეთი ტერმინი ვიხმაროთ, ფორმაციისა: «უფალი იგი აქლემისაჲ» (106, 16), «ეევანგელს» (სახარება), «თავადი» — თვითონ (სახარების ტერმინია), «ერთშაბათი»—კვირა (ესეც სახარების ტერმინია), სიტყვები: წუს-წუთ, დიდადი, ლანქა, შიდა, რომელიც ადიშის ოთხთავშიაც გვხვდება, ქურჭერი, წრაფა (ხანმეტი ტექსტები), წინაწარმეტყუელი (და არა «წინაწარმეტყუელი»), მცირეაქი, სინას მთის უძველესი ხელნაწერების კერატი, კაპრაული, დიასპანი, იოპა-

¹ ნ. მარის გამოცემა ით 50—51, კ 1—2.

² Н. Марр, Описание грузинских рукописей синайского монастыря, 149—152.

ვის წესდებამაში საგანგებო მუხლიც კი შეიტანა ქართველების შესახებ. ამიტომ ეს უკანასკნელი მის «ცხოვრებას» ვერ სთარგმნიდნენ, ისე, როგორც ვერ სთარგმნეს ის ანტიქალკედონიზმის მიმდევარმა აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანებმა. მეშვიდე საუკუნიდან კი, როდესაც ქართველები საბოლოოდ ჩამოშორდნენ ანტიქალკედონიზმს და, ირაკლი კეისრის ლაშქრობასთან დაკავშირებით, ბიზანტიის ორთოდოქსიასა და კულტურას დაუახლოვდნენ, იმ პირებს, რომელნიც ქალკედონიზმის ცენტრად ქცეულს საბას ლავრაში მოღვაწეობდნენ, უეჭველია, უნდა ეთარგმნათ ეს «ცხოვრებაც».

ვინ იყო მთარგმნელი, ამის შესახებ ვერას ვიტყვით, მხოლოდ ეს საეჭვოდ არ უნდა იყოს, რომ საბას ლავრაში მოღვაწე ერთ-ერთი ქართველია.

IV. როგორია თარგმანი?

თარგმანი საერთოდ ვერ არის ზუსტი და გამართული; განსაკუთრებით მოიკოკლებს მთარგმნელი, როგორც ვთქვით, განყენებული, დოღმატიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ცნებისა და ტერმინის გადმოღებაში. ეს აიხსნება, ერთი მხრით, იმით, რომ მას ამ მიმართულებით წარსულისაგან არ უნდა ჰქონდეს მყარი, მტკიცე ტრადიციები მიღებული, ის თარგმნის იმ დროს, როდესაც მთარგმნელობითი ტექნიკა, განსაკუთრებით დოღმატიკური ტერმინოლოგია, საბოლოოდ ჩამოყალიბებული არაა. მეორე მხრით, ეს აიხსნება იმით, რომ მთარგმნელი ვერ არის დაუფლებული ჯეროვანად ბერძნულ ენას. ამისი მაჩვენებელია მთელი რიგი ბუნდოვანად გადმოღებული ადგილებისა, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას პირველისა და ოცდამეცხრე თავების შესახებ, აგრეთვე 38 თავის დასაწყისისა. არის შემთხვევები, როდესაც ბერძნული ტექსტი ერთს გულისხმობს, თარგმანში კი სულ სხვა რამეა მოცემული. ვაჩვენებთ ასეთ ადგილებს.

თ ა ვ ი 1: „რამა ვილუწიდე ბრძანებისაებრ, ვითარცა იგი ონესიფორე“. ამ წინადადებაში „ონესიფორე“ მოცემულია როგორც საკუთარი, ადამიანის სახელი. ბერძნულ დედანში შესაფერად გილას მოცემულია ბიუაფბაჲ (220 B), რაც ნიშნავს „სასარგებლო“ რამეს. ამ გაუგებრობის გამო თარგმანში დამახინჯებულადაა მოცემული მთელი ადგილი, რომელიც ჩვენ შევასწორეთ დედნის მიხედვით. ამ გაუგებრობას ჩვენ ვხვდებით აგრეთვე 21 თავში. აქ ბერძნულ დედანში ნათქვამია: *ὅτι ἔχοντες ἡμεῖς τὴν ἐνδοξίαν καὶ τὴν δόξαν τῆς ἐκκλησίας τοῦ θεοῦ* (248 AB), ამის შესატყვისად ქართულში ვკითხულობთ: „რომელი (ლაპარაკია იოანე შეყენებულის შესახებ) უფროს იყო ეფთუმისა და საბაჲსა; ონესიფორე თქუა: მე მომმადლე და მე აღეწერო სახელ მისი“. როგორც ვხედავთ, თარგმანი ძალიან დაშორებულია დედანს; აქ *ἡμεῖς* გადმოცემულია „უფროს იყო“, *ἐκκλησίας* გაგებულია როგორც საკუთარი სახელი, *τοῦ θεοῦ* „თქუა“; *καὶ ἡμεῖς* გადმოცემულია როგორც: „მე მომმად-

ლე“ „*κα ἀναγράφεται* როგორც „მე აღვწერო“, ხოლო „სახს მისი“ დამატებულია მთარგმნელის მიერ „აღვწერო“-ს გამო. ეს ადგილი ჩვენ შევასწორეთ შემდეგნაირად: „რომელმან გარდამომცნა მე მრავალნი სარგებელნი თხრობანი ეფთჳმისა და საბაჲსათჳს და მიიტულა აღვწერად მთლად“.

- თავი იგივე (პირველი): „აწ ვევედრები სიღირსესა შენსა, მამაო არისტე და შეილთმოყვარეო გეორგი“. აქ თითქოს ორი პირისადმი მიმართვა: არისტესა და გეორგისადმი; მაგრამ რატომაა „შენსა“ და არა „თქუნესა?“ იმიტომ რომ ბერძნულში ლაპარაკია მხოლოდ ერთი პირის, გეორგის, შესახებ. აქ ვკითხულობთ: *ὁ πατήρ ἀπὸ τοῦ ἀποστόλου* *Ἐσάριε* (221 B); *ἀπὸ τοῦ* მთარგმნელს გაუგია როგორც საკუთარი სახელი არისტე.
- თავი 15: „ხოლო ზინონ... მოკლა მეფე და წინააღუდგა ოცსა თთუესა“. ბერძნულში, პირველ ყოვლისა, არაა „წინააღუდგა ოცსა თთუესა“, იმაში არაა მერე არც „მეფე“: საქმე ისაა, რომ დედნის *Βασιλεῖον*, საკუთარი სახელი—ბასილისკო,—მთარგმნელს გაუგია როგორც „მეფე“.
- თავი 30: „რომელმან განწვალნა ყოველნი მონაზონნი, ეგოდენ შეუძლო“; ეს არის უხეირო თარგმანი შემდეგი სიტყვებისა: *ἀναρχία τις ἦ παλαιὰρχία ἐν τοῖς μοναχοῖς τὸ τηλικαῦτα ἐχάρτει* (26 A); სიტყვა *ἐχάρτει* გადმოუცია როგორც „ეგოდენ შეუძლო“.
- თავი 32: „კულად მესამედ იქმნა ისაურისა სამშქუალისათჳს ზინონის მეფისა ბრძანებითა იგივე საყდარი დაიპყრა არალირსმან მან“. სრული უზნობობა, ბერძნულ დედანში ასეა: „ზინონის მეფობაში, როდესაც ილოს ძალადობით იქმნა დუქსად ისავრიისა, მან, სამეფო ხელისუფლების დახმარებით, მესამედ დაიკავა იგივე საყდარი“ (265 A). საიდან გაჩნდა ქართულში „სამშქუალისათჳს?“ „სამშქუალი“ ნიშნავს ლურსმანს. აქედან ჩანს, რომ მთარგმნელს საკუთარი სახელი *Ἰλας* გაუგია როგორც *ἴλας* (ლურსმანი), ხოლო *ἐπὶ* შეცთომით წაუკითხავს როგორც *საქე*, აქედან „ზე“-ს მაგიერ „თჳს“. ეს ადგილი ჩვენ შემდეგნაირად შევასწორეთ: კულად მესამედ, რაჟამს იქმნა დუქსად ისაურისა ილოს, ზინონისზე მეფისა ბრძანებითა იგივე საყდარი დაიპყრა არალირსმან მან“.
- თავი 38: „რომელი მესმა მე წერილსა შინა ნეტარისა დიდისა ეფთჳმის თქმული“. ამ სიტყვებს ამბობს კირილე სკვითაპოლელი, რომელსაც, საბას ცხოვრების გარდა, დაუწერიო აგრეთვე ეფთჳმე დიდის ცხოვრებაც. მაშ რას ნიშნავს „მესმა მე?“ დედანში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: *ὃς ἤθη μοι ἐρεῖται ἐν τῶν περὶ Ἐβθῡμαστὸν τοῦ μαρχίας ἰσὺα* (278 A). აქ ὃς გაგებულია როგორც *ὅς*, ხოლო *ἐρεῖται* გადმოთარგმნილია როგორც „მესმა“, *ισὺα*—„წერილსა შინა“; „თქმული“—ან როგორც დამატება სიტყვისა „მესმა“ (რა მესმა?), ანდა იმავე *ισὺα*-ს გადმოსაცემად. ჩვენ მიერ შესწორებულია მთელი და-

საწყისი ნაწილი ამ თავისა, კერძოდ ზემოამოწერილი სიტყვები შემდეგნაირად: „ვითარცა გარდამოვეც მე ნეტარისა ღიღისა ეფუჟში-სათუხ თქუმულსა შინა“.

თავი 56: „უბრძანა ოლუმისი დუქსისა ფერჯისა მოკუეთაჲ“. „ფერჯისა მოკუეთაჲ“ ამ ადგილას სრულიად მოულოდნელია; ეს არის არასწორად გადმოღებული ბერძნული *ἐπαρθεν ὑψιστος* (311 A)—გარდაღვინებულ ყოფაჲ.

თავი 57: „თუნიტრად კანონთა შჯულისა გინა ტანჯვისა“ უღრის ბერძნულს: თენიერ *ἐπιτάχεια* *καὶ* *χαρισιακή* *ἐπίστασις* (319 C). ამ თავისებურ თარგმანში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ტანჯვა“; ბერძნული *ἐπίστασις* მთარგმნელს გაუგია არა როგორც „მსჯავრი“, არამედ როგორც „ტანჯვა“, ვინაიდან *ἐπίστασις* ერთ-ერთი მნიშვნელობა „ტანჯვის მისჯაც“ არის.

თავი 86: „განჯსნილმცა არიან და განიჯსნენ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიღისაჲთა რომელი ნათესავი არა სათნო იყოს ღმრთისა“. აქ ჩვენ გვაქვს ჯერ გრამატიკული შეუსაბამობა: „არიან“, „განიჯსნენ“—მრავლობითი, რიცხვი, სოლო „ნათესავი“ მხოლოლობითი, თან ღედანში „ნათესავი“ სულ არაა, იქ ამ სიტყვის ნაცვლად სწერია *მυζήματα* (366 C), რაც თითქოს უფრო ეგუება ზმნას „განიჯსნენ“. იქნება აქ უფრო გადაწერის პროცესში დაშვებულ შეცდომასთან გეჭონდეს საქმე; თავდაპირველად იქნებოდა: „განჯსნილმცა არს და განიჯსნა... რომელი ანათემაჲ არა სათნო იყოს ღმრთისა“; გადაწერმა „ანათემა“ ან ვერ გაარჩია, ან ვერ გაიგო და წაიკითხა „ნათესავი“ (ანათემა).

თავი 53: „და ანასტასია პატრიკიოსის ასული“. ღედანთან შედარებით თარგმანს აკლია პატრიკიოსის სახელი „პომპეოსი“ (*Πομπήσις*), რაც აღდგენილია ჩვენს გამოცემაში. თან ღედანში ანასტასია ასული კი არაა პომპეოსისა, არამედ ცოლი. როგორ შეიცვალა ქართულში „ცოლი“ „ასულით?“ ბერძნულ ტექსტში, რომელიც Cotelarius-ის მიერაა გამოცემული, ვკითხულობთ *ἐπιτάχεια* (303 A), მაგრამ ქართულ მთარგმნელს შესაძლოა ხელთა ჰქონდა ისეთი ნუსხა, რომელშიაც ამ ადგილას ეწერა *ὑψιστῆς*, რაც „ცოლსაც“ ნიშნავს და საზოგადოდ „ქალსაც“; ამ ნიადაგზე მოსალოდნელია ასეთი აღრევა ცნებებისა.

V. თხზულების გამოძახილი ქართულ მწერლობაში

თუ მხედველობაში გვექნება ის ავტორიტეტი, რომელიც საბას-მოპოებულის ჰქონდა ქართველთა საეკლესიო-სამონასტრო წრეებში როგორც თვით საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი პალესტინაში მღვდელმწიფე

საბა უშუალო მონაწილეობას იღებს იერუსალიმის პატრიარქების არჩევა-დადგინებაში, გრიგოლი—მცხეთისაში; საბა უშუალოდ წარუდგება ხოლმე ბიზანტიის იმპერატორებს, დიდებულებს და მმართველებს მხილებით არაჯეროვანი საქციელისათვის თუ სხვადასხვა თხოვნითა და უშამდგომლობით მის მიერ დაარსებული მონასტრებისათვის, ასევე იქცევა, როგორც ვიცით, გრიგოლ ხანძთელიც კლარჯეთის მეფეთა და დიდებულთა წინაშე. საბა ნებას არ აძლევს ჩაერიონ ეკლესიის მოძღვრებისა და კანონების საქმეში, მათგან მოითხოვს მხოლოდ ამ მოძღვრებისა და კანონების დამტკიცებას და განხორციელებისათვის ხელის შეწყობას; ასე იქცევა გრიგოლ ხანძთელიც. საბა თავგამოდებით ებრძვის მწვალებლობას და მართლმადიდებლობის შელახვას; მართალია, გრიგოლის მოღვაწეობა ამ მხრივ სრულს ანალოგიას არ იძლევა, ვინაიდან მისდროინდელ ქართლსა და პალესტინაში მდგომარეობა ერთნაირი არ იყო, მაგრამ თავის მოქმედებაში ისიც დაუღალავ გუშავად უდგა მართლმორწმუნოებას და საჭირო შემთხვევაში დაწერილებით არკვევდა მწვალებელთა ბუნებას და მათდამი მართლმადიდებელთა დამოკიდებულების საკითხებს, აგრეთვე დოღმატიკურ საკითხებს სამებისა და ღვთაებრივი ბუნების შესახებ საეკლესიო ავტორიტეტების მიხედვით (თავი 75). როგორც საბას „ცხოვრება“ ნავედელი ისტორია იმდროინდელი პალესტინისა და რამდენადმე ბიზანტიისა, აღსაქმე სულწარმავალი ყოფაცხოვრებითი სურათებით, ისე გრიგოლის „ცხოვრება“, მდიდარი ამგვარივე სურათებით, ნამდრია ისტორია იმდროინდელი ტაო-კლარჯეთისა და რამდენადმე ქართლისაც. გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“, როგორც ცნობილია, ფართო ადგილი აქვს დათმობილი სხვადასხვა სამიჯნურო მოვლენების აღწერილობას, რომელნიც შეფასებული არიან ასკეტიკური თვალსაზრისით. ასეთი მომენტების შეტანას თავის ნაწარმოებში გიორგი მერჩულს გააბედინებდა, სხვათა შორის, საბას „ცხოვრებაც“, სადაც 47 თავში შემდეგი ეპიზოდი გადმოცემული: ერთხელ საბა თავის მოწაფითურთ სადღაც მიდიოდა; გზაზე მათ შეხვდნენ ერისაგანნი, რომელთა შორის გამოირჩეოდა ერთი მეტად ლამაზი ქალი, როდესაც მგზავრები მათ გასცილდნენ, საბამ თავის მოწაფეს უთხრა: აფხუსი არაა, რომ ასეთი ლამაზი ქალი ცალთვალად არის! არა, მამო, თვასუხა მოწაფემ, ორივე თვალი აქვს! საბამ უთხრა: სცდები, შვილო, ცალთვალად არის! ის კიდევ თავგამოდებით უმტკიცებდა საწინააღმდეგოს და ქალის სილამაზეს აუწერდა. საბა ეკითხება: საიდან იცი შენ, რომ ეს ასეა? მოწაფემ უპასუხა: მე, მამო, ძლიან ქარგად დავინახე, რომ მას ორივე თვალი აქვს! საბამ უთხრა: ნუ თუ შენ დავავიწყდა „იგავთა“ წიგნში ნათქვამი: არ შეაჩერო თვალი შენი ქალზე და არ გაგიტაცოს მისმა წამწამებმა, რადგანაც ის შემწველი ცეცხლი არის? ამიერიდან შენ ჩემთან აღარ გეცხოვრება, წადი, მომცილდიო!

ერთი სიტყვით, გრიგოლის „ცხოვრების“ დაწერისა და გაფორმებისას გიორგი მერჩულს მისაბამ მავალითად უეჭველად საბას „ცხოვრებაც“ ჰქონდა.

მეორე „კრიტიკარული“ ჟანრის ავთოგრაფიული ნაწარმოები, რომელშიაც საბას „ცხოვრების“ გამოძახილი გვესმის, არის „ცხოვრება“ შიო მღვიმელისა, აქ გადმოცემულია შემდეგი ეპიზოდი. მხეტეებს, რომელნიც მონასტრის ნახირს დიდ ზარალს აყენებდნენ და რომელნიც, შიოს ლოცვით და ღვთის განგებით,

მის წინაშე შეიკრიბნენ, შიო ეუბნება: წადით აქედან, დასტოვეთ მხოლოდ ერთი თქვენთაგანი! ისინი მართლაც გადაიკარგნენ იქიდან, დარჩა მხოლოდ ერთი მგელი. შიო ეუბნება მას: შენ დარჩი ჩვენთან, წყევს მონასტრის ვირები და ქაბე ის, რასაც ჩვენ ვჭამთო. მგელი შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. დილით ადრე ის ავიდოდა მაღლა ბორცვზე და ყმულით უხმობდა ვირებს საძოვარზე გასასვლელად; საღამოს მორეკდა მათ და იმავე ბორცვიდან ბერებს აცნობებდა უკან მობრუნებას. ექვსი წლის შემდეგ მგელმა ვირები ჩვეულებისამებრ საძოვარზე გარეკა; ერთი მათგანი, რომელიც ბერს კონონს ეკუთვნოდა, კლდეზე გადაიჩეხა და მოკვდა. საღამოს კონონმა გაიგო, რომ მისი ვირი აღარაა. ის მივიდა შიოსთან და უსაყვედურა: სად ვაგონილა, რომ მგლსათვის საწყესავად ვირი ჩაებარებოის ვისმეს, აი რა მიყავი შენო! მგელი იქვე იღვა, ის თითქოს თავს იმართლებსო, წკმუოდა და ტიროდა, მერე მოჰკიდა კონონს კბილები ტანისამოსში და საღდაც მიეზიდებოდა. შიომ უთხრა: გაყევი და გაიგი, რა მოუვიდა ვირსო! ის კიდევ გაჯავრებით ეუბნება: არ კმარა, რომ მაგამ ვირი შემიჭამა, ახლა გინდა ჩემი თავიც შეაჭამო? შიომ გაატანა ორი ბერი, მგელი გაუძღვა წინ და მიიყვანა იმ ადგილას, სადაც მკვდარი ვირი ეგო. ყველა დარწმუნდა, რომ მგელი უბრალო იყო, შიომ მოუალერესა მას და მადლობის ნიშნად ერთგული, ხანგრძლივი სამსახურისათვის თავისუფლება მიანიჭა¹.

ეს ეპიზოდი ჩვენ მოგვაცონებს საბას „ცხოვრების“ შემდეგ ეპიზოდს. საბას ერთხელ გზაზე შეეხეჩა უხარმაზარი ლომი, რომელიც კოჭლობდა და მას, თითქოს, დახმარებას სთხოვდა. საბას შეებრალა ლომი, გამოულო ფეხიდან შერკობილი ეკალი და შეება მიანიჭა მას. ლომი გაჰყვა მას და ორმოცი დღის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა. შემდეგ საბამ მას დაავალა ბერის ფლასის ვირის მოვლა. დილით ადრე ლომი წაიყვანდა ვირს საძოვარზე, საღამოს უკანვე მოიყვანდა მონასტერში. რამდენიმე ხნის შემდეგ ფლასიმ რაღაც ცოდვა ჩაიდინა, იმავე დღეს მისი ვირი ლომმა შეჭამა. ფლასიმ რომ გაიგო, რომ მიზეზი მისი ვირის დაღუპვისა მისი ცოდვა იყო, დიდად აბრალებდა თავის თავს (თავი 49).

ეს ეპიზოდი, რომელსაც ქართულ ფოლკლორშიაც ვპოულობთ², გერასიმე იორდანელის „ცხოვრებაში“³ უფრო ენათესავება შიოს „ცხოვრების“ ეპიზოდს, მაგრამ, რასაკვირველია, საბას „ცხოვრების“ გავლენაც არაა გამორიცხული; ყოველ შემთხვევაში სიუჟეტი ერთია: მხეცის მიერ ვირის საძოვარზე გაყვანა და მოვლა. ქართულ თქმულებაში ლომი მგლითაა შეცვლილი, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ფაუნას ლომი იმდენად არ ახასიათებდა, რამდენადაც მგელი.

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 238—240; მეორე, უფრო ძველი და მოკლე ვერსია მისი გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ: ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტორიო კრებული, I წიგნის დამატება, გვ. 28—29.

² მ. ჩიქოვანი, ქართული ზღაპრები, I, 42—ლომის ერთგულება. შდრ. კ. ქეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 104—107. თბილისი 1945.

³ „Личе Духовный“ Иоанна Мосха, гл. 107, перевод Хитрово, стр. 129—132.

VI. განსხვავებანი დედანსა და თარგმანს შორის

განსხვავება ბერძნულ დედანსა და ქართულ თარგმანს შორის თავს იჩენს თხზულების თავებად დაყოფის ხაზით. თხზულებაში, როგორც ბერძნულში, ისე ქართულში, 90 თავია, მაგრამ მათი სათვალავი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმეორეს. ასე, მაგალითად: პირველი ორი თავი ბერძნულისა ქართულში უდრის პირველ თავს; მესამე თავი ბერძნულისა ქართულში უდრის მეორეს, მეოთხე—მესამეს, მეხუთე—მეოთხეს, მეექვსე—მეხუთეს და მეექვსეს. მე-18 თავი ქართულში იწყება ბერძნულის მე-17 თავის შემდეგი სიტყვებით: *ἐν ἄλλῃ ψαῖς ἢ μακρῶς* (242 C). მე-30 თავი ქართულში იწყება არა ისე, როგორც ბერძნულშია, არამედ 29 თავის ბოლოდან, სიტყვებიდან: *ἄψυ χυφωστῆρας* (260 C). 35 თავი ქართულში იწყება ბერძნულის 34 თავის შემდეგ, სიტყვებიდან: „როდესაც საბა დაბრუნდა თავის ლავრაში“ (268). 55 თავი ქართულში იწყება ბერძნულის შემდეგი სიტყვებით: *Μάμαρ ὁ δὲ πῶς* (306 B).

მეორე განსხვავება ბერძნულსა და ქართულ ტექსტთა შორის მდგომარეობს ზედმეტ ადგილებში, რომელიც ახასიათებს როგორც ბერძნულს, ისე ქართულს. ბერძნულში, ქართულთან შედარებით, მხოლოდ ერთი ზედმეტი ადგილია, სახელდობრ, მე-14 თავში შემდგომად სიტყვებისა: „თეოდოსისთანა მრავალეჟამ“, დედანი უმატებს: *ἐν τῇ τῆν Καθ' ἑαυτοῦ ἐκκλησίᾳ* (236 C).

უფრო ბლომადაა ზედმეტი ადგილები ქართულ თარგმანში; აი ეს ადგილები:

ზოგადი სარჩევი, თავების აღნიშვნით, თხზულების დასაწყისში.

- თავი 12: „კუდილას და რუბას“, „რუბას“ დედანში არაა.
 თავი 15: „თოჯსა თავსა იენისსა“.
 თავი 19: „თთუესა აპრილსა მეთათამეტესა“.
 თავი 34: „ორნი ძმანი მიიყვანნა მის თანა“.
 თავი 35: „რომელმან დაყო მრავალი წელი... უპყრიეს ადგილი იგი“.
 თავი 37: „და მოვიდეს იგინი ლავრადვე“.
 თავი 54: „და ვითარცა დაემტკიცნა სიტყვად ესე ამით შორის... რამეთუ იყო ესე თჳსი მეფისაჲ“.
 თავი 70: „ინდიკტიონსა შვლსა“ და „სოფრონიოს ვისმე ერქუა სახელი... მამასახლისობად დაიპყრა“.
 თავი 74: „უიტიგინ, მეფეჲ ჰრომისაჲ, და გელიმერა, მეფეჲ აფრიკეთისაჲ“.
 თავი 85: „ხოლო დომენტიანოს... განდევნეს იგი ქალაქით“.
 თავი 86: „განაცხადეს იგი თთუესა ფებერვალსა... მეთერთმეტესა წელსა“, „იოჰანე, კალისტონ, ანასტასი“, „გარნა ჯაკჳ... კურკრის სასყიდელი“.
 თავი 88: „თთუესა ფებერვალსა, ინდიკტიონსა ცხრასა“, „სკუთოპოლისს აღეშენა მონასტერი, რომელსა ჰქვან ზუგა“, „თთუესა ივლისსა, ინდიკტიონსა ოთასა“.
 თავი 90: „კრიაკოზ, მამასახლისი ლავრისაჲ, რომელსა ჰქვან პიგი, რომელი

„ითარგმანების წყარო, და პანკრატი ვინმე მესუეტს“.

„თთუესა ფებერვარსა ოცდაერთსა, ინდიკტიონსა ორსა“.

აღნიშნული სხვაობანი მაჩვენებელია იმის, რომ ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონია ისეთი დედანი, რომელიც უცვლელად არ იმეორებდა Cotelerius-ის მიერ გამოცემულ ტექსტს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ შემდეგი გარემოება: საბას სამშობლო სოფლის მეტალასკენის შესახებ ბერძნულში ნათქვამია, რომ ის, სიმცირისა და უმნიშვნელობის გამო, წინათ უცნობი იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც იქიდან წარმოიშვა საღმრთო ესე ჰაბუჯი, საბა, განითქვა ყველგანო (222 A). ამის მაგიერ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „წიგნის მკითხველ იყო დაწესებით სიყრმითგან სიმდაბლესა შინა და ყოველთა შორის გამობრწყინდა ღმრთისმსახურად ჰაბუჯი ესე“ (თავი 2, შენიშვნა). ამ სიტყვებში, რომელთაც ბერძნული ტექსტი არ შეიცავს, საყურადღებოა ცნობა, რომ საბა „წიგნისმკითხველ იყო დაწესებით სიყრმითგან“, ეს ისტორიამ არ იცის, ანგვარი რამე ნათქვამია ექვთიმე დიდი პალესტინელის და არა საბას შესახებ. უფველია, აქ აღრევასთან გვაქვს საქმე, თუმცა ეს აღრევა უფრო მოსალოდნელია ქართულ ნიადაგზე, საბას და ექვთიმეს „ცხოვრებათა“ ნაცნობობის შედეგად. ამ მოსახრებით ისინი ჩვენ გამოცემის ტექსტში არ შევიტანეთ.

რომ ქართველ მთარგმნელს განსხვავებული ტექსტი ჰქონდა ხელთ, ამას ისიც გვიდასტურებს, რომ ერთი და იგივე ადგილი ბერძნულსა და ქართულში სხვადასხვანაირადაა მოცემული. ჩვენ მოვიყვანთ აქ ასეთ ადგილებს.

თ ა ვ ი 21: „არამელ ღმრთისმოყუარებისა მისისა მოგუემადლა მცირედ რაოდენმე... დასაბამითგან ცხოვრებისა მისისათ“ . ბერძნულის მიხედვით ასე უნდა თარგმნილიყო: „გარჩა უკუეთუ მოგუემადლა ღმერთმან, შემდგომად სარულყოფისა საქმისა ამის, მცირედ რამე იმისაგან, რომელი ყოველთა საცნაურ არს და რომელი ენითა მისითა მოგუეობრა, თვისისაგან საქმენი მისნი გაუწყნე, მრავალნი ყოფილნი და ძალნი. და არცაღა საპართალ არს მისთა მათ საქმეთა დუმილით თანაწარსლვაჲ: რამეთუ ყოველსა შინა მოქალაქეობასა ჩუენსა ცხოვრებითა და სიკეთითა თვისთა ჩინებულ და დიდებულ არს“ (248 C—249 A).

თ ა ვ ი 31: ილიამ იერუსალიმის მთავარებისკოპოსობა მიიღო, ქართული თარგმანით, საბას ცხოვრების მე-58 წელს, ხოლო ბერძნულით — მე-58 წელს (262 B).

თ ა ვ ი 34: ქართულში „ეგმათის“, ბერძნულში „ეფუჯის“ (253 B), უკანასკნელი შეცდომაა.

თ ა ვ ი 41: „ვითარ, შევიდეს იგინი.. და იგი ჰკურნებდა მას“, დედანში ასეთი როდესაც იხილეს ტანჯვა მისი, ჰკურნებდეს მას“ (284 B).

თ ა ვ ი 46: ბერძნული დედნით გამოდის ორი გერონტი: გერონტი, საბას მეგობარი, მისი შვილი, თომა, თომას შვილი გერონტი, ეფთვიმის მონასტრის გამგებელი, რომელმაც თითქოს გადმოსცა აყიროს ამბავი (292 B). ქართულით კი ერთი გერონტია: საბას მეგობარი, ეფთვიმის მონასტრის გამგებელი, მას უამბონია აყიროს ამბავი; ხოლო ამ

- გერონტის შვილისშვილმა და თომას შვილმა, რომლის სახელი არაა აღნიშნული, უამბო დამატებითი ამბავი—აყიროთი ავადმყოფის განკურნების შესახებ.
- თავი 52: „თქვენნი იგი მთავარებისკოპოსი წინააღმდეგომად გამჩნდა და ნესტორის თქმულნი ურად შუპრაცხნა, არამედ კრებული ქალკილონისა დაამტკიცა“. ბერძნულში ეს ასეა გადმოცემული: „თქვენნი მთავარებისკოპოსი დამცველად გამოჩნდა ქალკილონისა კრებისა, რომელმან ნესტორის თქმულნი დაამტკიცა“ (300 C). აზრი იგივეა: თქვენნი მთავარებისკოპოსი გამოჩნდა წინააღმდეგომად ჩემდა (მეფისა), მან არ მიატყია ყურადღება ნესტორის თქმულს, როგორც წვალებას, და დაამტკიცა ქალკილონის კრება, რომელმაც შეიწყნარა ნესტორის თქმული.
- თავი იგივე: *ὁ πρῶτος ἐμὸν καὶ τὸν ἑ Χαλκιδῆσιν πεπραγμένα, διὰ τὴν γενόμενα δὲ ἀσπὴν τὰ ἀνὰ τὸν ἄλυσαν* (301 AB), ქართულში ეს არაა, ამის მაგიერ: განვაძებთ ყოველსა „რომელი არა ეზიარების კრებულსა ქალკილონისასა“.
- თავი იგივე: „რომელთა უნებნ, რაფთა დამტკიცა... შეკრებულთა მათგან ქალკილონს“. ბერძნულში (301 BC) სულ ამის საწინააღმდეგოა მოცემული.
- თავი 54: ხარკისაგან განთავისუფლდეს. ბერძნულით „ოცდაათი წლის წინათო“ (303 B), ქართულით—13 წლის; ეს უკანასკნელი უფრო სწორია.
- თავი 56: მეფემ „წარავლინა ოლჯმპოს კესარიელი პალესტინისა დუქსად“; ბერძნულში: წარავლინა ოლჯმპოს კესარიელი, რომელსა პატივი დუქსისად ეპყრა (310 A).
- თავი იგივე: „რომელსა წერილ იყო არა განშორებდა ქალკილონისა კრებასა“, ბერძნულში: *μη ἀποσπασθῆναι* (310 B)—არ შეწყნარება.
- თავი 57: „ამათთანამცა შეჩუენებულ არს ვეტჯქი... რომელნი წინა წერილ არიან“ არის შემოკლებული გადმოცემა დედნისა: *ἀγαθὰ καὶ... ἀγαθὰ πατρῶν ἡμῶν* (319 AB).
- თავი იგივე: „ნუ მტირე გგონიეს წმიდათა ამთ ადგილთა გინება და შეურაცხება“, ბერძნულში ამას უდრის: „რა სარგებელია იმაში, რომ ამ ადგილებს წმიდა ეწოდება, თუ ისინი ასე ოხრდებიან და ასე შეურაცხყოფილ იქმნებიან (320 A).
- თავი 61: ბერძნულში ნათქვამია: სილოვანე იმ დროს უზესთაეს აღჭურვილ იყო სამეფოათა პატივითა და ქრისტიანეთა შემასმენელ (327 C); ქართულად ამის მაგიერ ვკითხულობთ, რომ ის „შემძღებელ იყო ბოროტის ყოფად ისოდენ და სამეფოს ზენაცა ქრისტიანეთა შემასმენელ“.
- თავი 68. ბერძნულში ნათქვამია: „იმპერატორად გამოცხადებამდე იუსტინიანე იყო პატრიკი, ვიპატოსისა მხედართმთავარი და სახელმწიფო საქმეებს ძლიერად განაგებდა. ამრიგად, ის გამოცხადებულ იქნა იმპერატორად. სამი თვის შემდეგ კეთილხსენებული იუსტინე, რომელმაც ცხრა წელიწადი იმეფა, აღესრულა“ (337 A). ქართულში ესა

ასეა გადმოცემული: „ესე ოდეს იყო ჳბატოს, გინა თუ პატრიკოს, ქლაქისა განგებასა და სოფლისასა ძლიერად იქმონდა. ესე დადგა მეფედ, ვითარცა წერილ არს, თთუესა აპრილსა სუთსა, ინდიკტიონსა ზუთსა. ვითარცა ოთხი თთუქ გარდაჲდა, თთუესა აგუსტოსა, მეორესა დღესა, იუსტინე მეფე აღესრულა“.

- თ ა ვ ი 73: „უბრძანა ანტონის, ასკალონელ ებისკოპოსსა... ასისამეტი კენტენარი ოქროჲ. ეს ადგილი ბერძნულში ასეა გადმოცემული: „უბრძანა მოიხილონ სოფლები იგი, მომწუარი სამარიტთაჲან, პირველისა და მეორისა პალესტინისა, და ხარკისაგან მეცხრისა და მეთათსა ინდიკტიონისა, მსგავსად თითოეული ადგილის საჭიროებისა, აპატიონ ცამეტი კენტენარი ოქრო“ (345 BC).
- თ ა ვ ი ი გ ე ე: „რომელსა განიკვრებდეს კაცნი და აქებდეს უღმრთონი“; ბერძნულში ამას უღრის: *ἄνα ἡσαμᾶρῆσαι ἄνθρωποι καὶ ἰσχυραὶς μαθεῖν* „Ekklesia“ (347 A).
- თ ა ვ ი 78: ბერძნულს „ეს მე ვიხილე წარსულსა ინდიკტიონსა“ (355 A) ქართულში გადმოცემულია: ეს მე ვიხილე „წარსულსა მას მეთათსა ინდიკტიონსა“.
- თ ა ვ ი 86: „და ესევითარი სიტყუად დაევიჯეროთ და არა სხუად ნურაჲ“, „და არა სხუად ნურაჲ“-ს ბერძნულში უღრის: „თუქცა ის ოდნავდაც არ იქნება სასტიკი საპართლიანობის შემცველი“ (369 C).
- თ ა ვ ი 90: ეგვტოქი იერუსალიმის პატრიარქად დაადგინა, ქართული თარგმანით, „მეფემან“, ბერძნული დედნით კი „კონონმა და მისმა მიმდევრებმა“ (374 A).
- თ ა ვ ი 16: ბერძნულ დედნში ვკითხულობთ: „ღვთის მაღლით მისი (საბას) საზოგადოება გაიზარდა 70 კაცამდე, ყველანი ესენი იყვნენ ღვთივშთაგონებულნი და ქრისტემოსილნი. თუ ვინმე მათ უწოდებს ანგელოზთა გუნდს ანა და მოღვაწეთა ერს, გინათუ კეთილმსახურ ადამიანთა ქლაქს, ანდა სამეოცდაათ მოციქულთა ახალ წესს, ასეთ სახელწოდებაში მას შეცთობა არ მოუვა“ (240 BC). ქართულში ეს ასეა გადმოცემული: „მაღლითა ქრისტესითა შეკრიბნა ძმანი ვითარ სამეოცდაათ ოდენ, ყოველნივე ქრისტეს-მოყუარენი, დნერთ-შემოსილნი, რომელნი ღირს იქმნნეს განწყობილსა თანა ანგელოზთასა და არაწმიდათა სულთა განსდევნიდეს დილითა ღმრთისმსახურებითა. რომელნი გამოჩნდეს სამეოცდაათნი ახალნი მოციქულნი და არა იყო მათ თანა ცოდვაჲ“.

ამრიგად, თუ მხედველობაში გვექნება ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ქართული თარგმანი კირილე სკვითოპოლელის შრომისა განსხვავებულ, ჯერჯერობით უცნობ ვერსიად შეიძლება მიჩნეულ იქნეს.

VII. ტექსტის დახასიათება

A. შეცთონანი გადაწერის პროცესში

ტექსტში დიტოგრაფიულის გარდა („ნეტარი საბა“, შევევერუძლე), არის მრავალი სხვადასხვაგვარი შეცთომა, ალბათ გადაწერის პროცესში დაშვებული. ასეთებია: ებეროს—სებეროს, გაჯოგა—გაზოგა, უდურტყნელად, მოიცა—ლეთ—მოიხილეთ, მას—მან, ათორმეტსა—ათოთხმეტსა, ბერძილ—ბერძულ, ბისარი—პისარი, ესელა—ესერაა, განვლო—განველო, ლაქანსა—ლანქანსა, გამოუთქუმელისა თქუმული, უბრძანებთ—ებრძანებთ, არიაგნსა—არიადნსსა, ერთობასა—ერთსა, დამტკიცით—დამტკიცებით, სევერიანსს—სევეროსის, სახედ—შესახედავად, დამტკიცებულნი—დამტკიცებისათჳს, მათ—მას, მეოთხესა—მეოცესა, შოვა—შუა, დღენდღელად—დღენდღელად, მეოთხესა—მეოთხისა, რამეთუ—რომელ, რომელსა—რამეთუ, ათერმეტსა—ათერთმეტსა, ამობორს—ჰამბორს, შემვიგლო—შემვიგლო, გესმანისაჲ—გეთსემანისაჲ, აღება—აღვიდოდა, მიაქცია—მიიქცია, როუდენმე—როოდენმე, წელსა—თთუესა.

აღნიშნული შეცთომები გამოცემაში შესწორებულია და აპარატში ნაჩვენებები.

B. ფონეტიკა

1. ტექსტში არის შემთხვევები ხმოვანთა და ხმოვან-თანხმოვანთა შორის ვ-ს ხმარებისა: დაცული, მიეგებოდეს, ცრემლოვოდა, საწოლს, შოვრის (უქარაგმოდ, მთლიანადაა მოცემული ეს სიტყვა), ეშოვრა, განეშოვრნენ, განაშოვრნა [თუმცა არის „განუშოვრებელ“, ცხოვრება (არის „ცხოვრება“-ც). მაგრამ ეს მოვლენა სისტემად ქცეული ტექსტში არ არის.

2. ხმოვანთა შემდეგ ი სუსტდება ჯ-დ: სადღუმლო, ფლაჲანოს, მიახსა, ჰაჲლად, დაჲდე, შეჲკრიბა, მოჲწიე, მოჲწია, გამოჲყვანა, უქმოჲქცეს, დამჲყადრდა; არის ჲულა. ასეთს შემთხვევებში ჯ გამოცემაში შეცვლილია ი-თი.

საზავიეროდ სიტყვა „წინაჲსწარმეტყუელი“ და მისგან წარმოებული ზნის-ფორმები სისტემატურად, გამოუკლებლივ, გვერდს უვლიან ჯ-ს, რის გამო ყველგან მოცემულია „წინაწარმეტყუელი“, „წინაწარმეტყუელა“ და სხვ. ჩანს, უძველეს ტექსტებში ეს სიტყვა სისტემატურად გაურბოდა ჯ-ს; ყოველ შემთხვევაში ამ ფორმით გვხვდება ეს სიტყვა ხანმეტსა და ჰამმეტ ტექსტებში (უნვიეროსიტეტის მოამბე, II, 378, 380, III, 368, VII, 125, 133, 138, IX, 334, 335, 145, 149); ბევრ იხმარება იგი ადიშის ოთხთავში (მთ. II, 17, III, 3, IV, 14, VII, 15, VIII, 17, X, 41 და სხვ. თუმცა აქ ის ხშირად იხმარება როგორც „წინაჲსწარმეტყუელი“-ც). ის გვხვდება ტბეთის ოთხთავშიაც (მთ. II, 23, III, 3, VIII, 12, 22, X, 41 და სხვ. ბენეშევიჩის გამოცემით) და ოშკის ბიბლიაშიც. (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2, გვ. 182). ეს თავისებურება ამ სიტყვისა, რასაკვირველია, მიღებულია გამოცემაში.

3. სპირანტი ჰ ნახმარია სიტყვებში: კაჰრული და ჰრომი (მუღამ), აგრეთვე სახელში იოჰანე; თხზულების პირველ ნაწილში სისტემატურად „იოჰანე“-ა, მეორე ნაწილში კი—იოჲანე; ჩვენ ყველგან „იოჰანე“ დავიცავით.

4. დიფტონგი **ჱ**: იხმარება სიტყვის ფუძეში: ფსლლიკოსისგან; საყურადღებოა მისი ადგილი ბერძნული *ἱερισσᾶν*-ის გადმოცემისას: ის იწერება როგორც იშ^{ში}, ისე იშრუსალემი, იერუსალემი (შეუზოკლებლად). ჩვენს გამოცემაში მიღებულია „იერუსალემი“. არის შემთხვევები, როდესაც **ჱ** გამოყენებულია **ჰ**-ს მაგიერ: შეშრთნა (უნდა იყოს „შეჰრთნა“), შეშვედრნა — შეჰვედრნა, შეშკრებნ — შეჰკრებნ, შეშრაცხნა — შეჰრაცხნა, შეშკავს — შეჰკავს.

5. უ ჯგუფი ყოველთვის მოცემულია როგორც **ჳ**, გარდა ერთი შემთხვევისა: დამკუიდრდა (ტექსტში — დამკუიდრდა, იხ. ზემოთ § 2).

6. ტექსტში **ჱ** ხშირად წარმოდგენილია ეჲ ჯგუფით: იოჰანესა, მთოვარემ, მეუღაბნოესასა, მარკიანესი, ოროგინესსა, უმეტეს, უმრწემესსა, მეოასეთი შემთხვევები ჩვენ მიერ შესწორებულია და აპარატში აღნიშნული.

7. **ჱ** ზოგ შემთხვევაში ოს ჯგუფს სცვლის: მეთაცამეტესა, ათაცამეტისა.

8. დაალექტური მერყეობა:

ო|უ. უ გვხვდება იქ, სადაც ო უნდა იყოს: საჩინუ, მუართვა, მუართვნ, მუაბა, უმუვარება, მმუვარნი, განშურებული, უღაბუსა. ზინუნი, უსამართლუ, მუაკლო, რაუდენიმე.

უ-ს მაგიერ ო: იასაორელი, რობას, ოტევან, ფსალმონსა, შოვა, მოხოცებული, თეოდოროს, მკოდარი. ასეთი მოვლენები გამოცემაში შესწორებულია.

ნ|მ: ლომინე, ეს ფორმა ჩვენ შევინახეთ, ვინაიდან ის ძველ ხელნაწერებშიც გვხვდება (H. Marr, *Описание Синайск. рукоп.*, стр. 101).

ბ|ფ: გაფუტეფთ.

პ|გ: ებისკოპოსი (თხზულების პირველ ნაწილში), ეპისკოპოსი (მეორეში), ჩვენ ვიცავთ პირველ ფორმას.

რ|ლ: ფებერვარი, გრიგორი, მარტური, სამარტურე, ჭურჭერი (სისტემატურად, ამ ფორმით ეს სიტყვა გვხვდება ძველ ტექსტებში, მაგალითად: იპოლიტეს *ქება ქებათაისა*»-ში: XI, 4, XII, 6, 14). აგრეთვე იერემიას ხანმეტ ფრაგმენტებში (Blake, *Harvard theol. Review*, XXV, 238, 240). ჩვენ ამ მოვლენას ვიცავთ გამოცემაში.

ტ|დ: ხუასდაგსა, სეკდემბერი.

შ|ზ: უეესთავს.

ღ|ნ: ტექსტში ჩვეულებრივ იხმარება «შინა», მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც მის მაგიერ ნახმარია «შიდა». უკანასკნელი ფორმა გამოცემაში ჩვენ არ შეგვიცვლია, რადგანაც ამ ფორმით აღნიშნულ სიტყვას ჩვენ ვპოულობთ ისეთ ძველ ძეგლებში, როგორცაა ხანმეტი ტექსტები (უნივერსიტეტის მოამბე, II, 379) და ადიშის ოთხთავი (მთ. VII, 3, VIII, 22, 12, 40 და სხვ.).

9. **ჳ**: სიტყვა «ხრწნა» და მისგან ნაწარმოებნი გამოუკლებლივ იწერება «ჳრწნა», ამიტომ ჩვენც უკანასკნელი ფორმა მივიღეთ. მით უმეტეს, რომ ასე იწერება ეს სიტყვა ოჰკის ბიბლიასა და ტაო-კლარჯეთის არეში აღმოცენებულ ხელნაწერებში, როგორც **რ**. ბლეიკი აღნიშნავს (*Harvard theolog. Review*, XIX, 4, 33, 307).

10. სისტემატურად, გამოუკლებლივ მოცემულია «თავყანისცემა, თავყანი-

სცა» (უჭარავმოდ), «ფელისხმა», «აღსაარება», «უღმრთობება» (და არა „უღმრთებება“), «აპკოლებდა, დაბკოლა, დაბკოლება» (რ-ს გამოკლებით: შდრ. „დაპკოლდიან“, მთ. VIII, 21, 57, ბენეშევიჩის გამოცემა); ამიტომ ჩვენც ამ ფორმით ვლებულობთ გამოცემაში აღნიშნულ სიტყვებს.

11. სიტყვები „ფრინველი, ბრწყინვალე“ ტექსტში წარმოდგენილია მუდამ მ-ით თავში (მბრწყინვალე, მფრინველი, მბრწყინვალე 12-ჯერ გვხვდება); ეს გამოცემაში არ შეგვიცვლია, ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს მიმელობის წარმოებასთან, სამაგიეროდ შევსცვალეთ „მბრწყინვალე“, რადგანაც აქ მ ვერ გავართლებდა.

C. მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

1. ე-თი დაბოლოებული საკუთარი სახელები წრფელობითსა და მოთხრობითს ბრუნვაში მოცემულია ყოველთვის ე-თი, არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი, როდესაც მოთხრობითში ე გვაქვს: თეოქტისტს.

ე ერთს შემთხვევაში, რომელიც გამოცემაში უცვლელად დავტოვეთ, ნათესაობითში შეცვლილია ი-თი: გერასიმისსა. ე გაპარულა აქა-იქ მიცემითს ბრუნვაში: უმეტსსა, ქრისტსსა. ე-თი არაიშვიათად დაბოლოებულია ხოლმე მიმართებითი ნაწილაკი მდე, მაგალითად, «ჟამადმღს», აგრეთვე «დღს», «ღამს», დღისით, ღამით-ის აზრით.

2. მიმართებითს ბრუნვაში სახელის ფუძეს უშუალოდ ემატება დ: სიღონდა, იერუსალმდ (სისტემატურად) და სხვ. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც მიმართებითი ბრუნვის ფუნქციას ნათესაობითი ასრულებს; «წარვიდა სკვთოპოლისა», «წარვიდეს და მივიდეს სკვთოპოლისა», აღვიდა, წარავლინეს, მოიწინეს «კოსტანტინოპოლისა». ასეთი ფორმა გვხვდება ოშკის ბიბლიაშიც: «წარავლინა ესაია წინაწარმეტყუელისა» (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, გვ. 182).

3. ებ-იანი მრავლობითში სახელები საერთოდ იშვიათია, მაგრამ შაინც გვხვდება: ცულები, ჰამები, სათხრელები, კედები, კუერთხები, აქლემები, გოდრები, კიბეები, სოფლები.

4. ობიექტური პარქსი მესამე პირისა ხშირად ორმაგი ფორმითაა გამოხატული: ჰსცის (თითქმის სისტემატურად), ჰსწადოდა, აღჰსწურთიდა. პრეფიქსი ჰ ერთვის ხოლმე ხ-თი დაწყებულ ზმნებსა და მათ ფორმებს, მაგალითად: ჰხვიდოდი, ჰხედვიდა, ჰხუდა, თუმცა არის «ზეხდავთ», «ზეხდევედ».

5. თხზულებაში ძალიან ხშირია შემდეგი ფორმები ზმნისა: ითხოვდ, ვეძიებდ, ვხედვედ, მიემსავსებდი, იტყუედ, შურებიედ, ისწრაფიედ, თავყანისცემედ, ისწავებედ, იხარებედ.

საყურადღებოა არაჩვეულებრივი, თითქოს დიალექტური ფორმები ზმნისა: აღასრულნოდიან, ეზიარნოდიან, ყოდიან, განათოდიან (თ. 32). შდრ. „ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებოდიან“ („კიმენი“, I, გვ. 168, 27, ვაჟა-ფშაველა: „საფლავი გამითხაროდი, ქვიშანი მომაყაროდი“). შეიძლება მოხსენებულ იქნეს ფორმა «ვამოცხადნების» «ვამოცხადლების» მნიშვნელობით.

D. ს ი ნ ტ ა ქ ს ი

1. საყურადღებოა შეთანხმებანი: «ვანაღვა დეკანოსსა», «შეაშინა მას», «მიოხრა ჩუენ», «ჰხადა პურად ნეტარი იგი», «უნდეს მთავრობისა», «ყოველი ერი ლაღადდეს და იტყოდეს», თუმცა უკანასკნელი შეთანხმება ძველ ტექსტებში ჩვეულებრივია.

2. თანდებულები «წინაშე», «თანა», «ზედა» სულიერ საგანთან შეთანხმებისას თხოულობენ ნათესაობითს ბრუნვას, ხოლო უსულოსთან—მიცემითს.

3. არის ასეთი არასწორი შეთანხმება მსაზღვრელისა და საზღვრულისა: «მოხუცებულისაჲ მის სიწმიდჲ», «მამასახლისთაჲ წარვლინებაჲ».

4. ყურადღებას იქცევს ასეთი კონსტრუქცია: ნეტარი საბა ანთიმოსს «ევედრებოდა, რაჲთამცა მისცა მას სენაკი». ვის მისცა? მიმცემელი არის საბა, ხოლო მიმღები ანთიმოს; საბა ევედრებოდა ანთიმოსს, რომ მან, საბამ, მისცეს მას, ანთიმოსს, სენაკი.

5. საკუთარ სახელებს ემატება ხოლმე არაიშვითად ტიტული «აბბა», «პაპა»; რა ბრუნვაშიც არ უნდა იყოს საკუთარი სახელი, აბბა და პაპა უცვლელად რჩება ხოლმე. არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი: «აბბამან თეოდოსი».

6. მსაზღვრელი ყოველთვის არაა შეთანხმებულს საზღვრულთან: «ლავრად თუა».

7. ერთს შემთხვევაში «და» უღრის ნაწილაკ ც-ს, თუმცა ც-საც აქვს ადგილი: «და სილოამისა წყალიცა».

8. არის ასეთი წინადადებანი: ა) «ხოლო ნეტარსა მას უფროჲს, რომელი მოაქუნდა შესაწირავად, საშენებლად ადგილისა მის წარაგებდა; ბ) «ხოლო მოწაფენი მისნი... შემასენენნი, შევინმებირნეს სხვანიცა კრებულისა მისგანნი»; გ) «ხოლო თობის ვითარ უკვრდა სასწაული ესე, ევედრა ბერსა». ამ მაგალითებში ქვემდებარე არაა შეთანხმებული შემასენელთან. აღნიშნული წინადადებანი გამოცემაში ჩვენ არ შეგვისწორებია, რადგანაც აქ ჩვენ გვაქვს ძველი ტექსტებისათვის (მაგალითად: „სიბრძნე ბალაჰვარისა“, „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“) დამახასიათებელი „რეგრესიული ასიმილაციის“ შემთხვევები¹.

E. ლ ე ქ ს ი კ ა

ტექსტის გასათვალისწინებლად საჭიროა გავცნოთ მის ლექსიკას, სახელდობრ იმ უცხო ან ძველს, დღეს ხმარებიდან გამოსულს, გინათუ სხვა აზრით ხმარებულ სიტყვებს, რომელთაც თარგმანი ბლომად იძლევა. ლექსიკონს ვათავსებთ ტექსტის შემდეგ.

F. საკუთარი სახელები

საკუთარ სახელთა ვადმოცემაში ტექსტი დიდ მერყეობას იჩენს, ერთსა და იმავე სახელს ის სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენს.

¹ კროფ. კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსაგელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენ ი მ კ ი-ს მ თ ა მ ბ ე, V—VI, 329—336.

1. თვეების სახელები: სეპტემბერი—სექტემბერი, თებერვალი—ფებერვარი.

2. გეოგრაფიული სახელები: ცნობილი თეოდორეს ეპარქიას ეწოდება: მანქუესტიანისა, მამქუესტისა, მამქუესტეანი. საბას სამშობლოს: მიტალიკი, მეტალასკენ. არის „სამარიტელი—სამარიტი“, ბიტალიელი—ბიტანიელი. უმეტეს შემთხვევაში გვაქვს სწორი, ბერძნულის მიხედვით, ფორმა „ბიზანტიელი“, მაგრამ ორ შემთხვევაში—„ბიზანტიელი“.

3. ადამიანთა სახელები: ზინონ—ზენონ, კასიანოს—კასიანე, ანტიპატრო—ანტიპატრე, ერმიონ—ერმია, აფროდისე—აფროდისი, ლომგინოს—ლომგინე; საბას მოწაფე და მემკვიდრე: მელიტონ, მელეტი, მელეტე. პატრიარქი ფლავიანოს—ფლავიანე. ანტიოქიის ცნობილი პატრიარქი: სევეროს—სევერე—სებერე, სევერიანე; თხზულებაში სხვა პირნიც არიან, ამ სახელის მატარებელი: სებერიანოს, კაპარბარქოს მაშენებელი, სებეროს ნიკოპოლელი, სევეროს მთავარი.

გამოცემაში ჩვენ ვცდილობდით დაგვეცვა ერთი რომელიმე სახე აღნიშნული სახელებისა, ისეთი, რომელიც ბერძნულ ფორმასთან უფრო დაახლოვებულია.

ასეთია ზოგად ხაზებში ის სახე, რომელიც ჩვენს ტექსტს XI საუკუნის ხელნაწერში შერჩენია. ეკვი არაა, ის ვულგარიზმები და დამახინჯებანი, რომელთაც ადგილი აქვთ აქ, შედეგია გრძელი ისტორიული გზისა, რომელიც ტექსტს მეთერთმეტე საუკუნემდის გაუვლია, ყველაფერი ეს მას დართვია და შეზორცებია მრავალგზისი გადაწერის პროცესში.

ცხოვრება ნებაჩისა ჩუენისა საბაჲსი

მსა ტაგები წმიდისა და ნებაჩისა მამისა ჩუენისა საბაჲსი

თავი ა [დაწერილსათუხ ცხორებისა]. ბ. დაბისათუხ მისისა და მამულთა. გ. სადა იყოფო-
და. ვ. ვაშლისათუხ. ე. ვითარ იგი შევიდა ლუგმლად. ვ. შესლგა იერუსალჲმად და პასარიონ-
წმიდას ყოფაჲ. ზ. მისლვისათუხ ეფთუშისა და ვითარ იგი წარაგლინა თეოქტიტსსა. თ. ლუაწ-
15 ლისათუხ, რომელი შრომა იხილა მონასტერსა შინა. თ. წარსლვისათუხ აღექსანდრიად. ი. შემ-
დგომად აღსრულებისა თეოქტიტსსა დაყუდებისათუხ ქუაბსა შინა. ია. უდაბნოსა ზედა წყური-
ლისათუხ და ეფთუშის აღსრულებისა, იბ. მონასტრით განსლვისათუხ დიდად უდაბნოდ და გან-
საცდელთათუხ. იგ. შემთხვევისათუხ სარაკინოზთაჲსა. იდ. ანთოს მონაზონისათუხ. იე. რომლი-
თა სახითა მოვიდა ლავრად, იოღეს ზინონ მეფემან სძლო ბასილი და მარტური მთავარებისყო-
10 პოს იქმნა. ივ. მწნებისათუხ ლავრისა. იზ. წყლისა პოენისათუხ. იჟ. სუეტისა ცეცხლისა ზილგო-
სათუხ და ღმერთ-მწნებულისა ეკლესიისა. ით. აღსრულებისათუხ მარტურისა და წინა-ალ-ვინმე-
უდგეს და იქმნა ზუცეს. კ. პავლსითუხ და სომეხთა. კა. შეყენებულისათუხ. კბ. ოღეს შევიდა
ზღუად. კგ. ოღეს განვიდა აგაპის თანა. კდ. კუალად წარსლვისათუხ მისთანავე. კე. სიკუდილი-
სათუხ მამა-ღდისა მისისა. კვ. ღრუბლისათუხ წინაძღუანვისა ძმისა. კზ. კასტელისათუხ. კჟ.
15 მცირისა მონასტრისათუხ. კთ. არაშეწყნარებისათუხ მუნ უწუერულისა. ლ. ყოფისათუხ მთავარ-
მამასახლისობისა. | ლა. სიკუდილისათუხ სალრსტისა და ქენადუქისა მწნებისათუხ ქალკასა 55ბ.
შინა. ლბ. გელასისათუხ და აღმწნებისათუხ ეკლესიისა და განგებისათუხ სომეხთაჲსა. ლგ. წინა-
აღმდგომითათუხ, ოღეს წარვიდა სკვთაოლისა და ლომისათუხ. ლდ. ვითარ იგი მონასტერი
აღაწმნა ბუნ. ლე. წარსლვისათუხ ნიკოპოლისა და მუნ აღმწნებისათუხ მონასტრისა. ლვ. წი-
20 ნალმდგომითათუხ და ვითარ ნეა-ლავრა აღაშენა. ლზ. სილიონთა მონასტრისა აღმწნებისა-
თუხ. ლთ. სქოლარის მონასტრისა აღმწნებისათუხ. ლთ. შუად-პირისა ლავრისა აღმწნებისათუხ.
მ. იაკობისათუხ და ეგვილისა პისრისა. მა. იაკობისთუხვე, ვითარ იგი თავი თუხთ გამოისა-
კურისა. მბ. აღმწნებისათუხ ზანოას მონასტრისა. მგ. ქრისტს მიერ განსლუენებლათუხ ანთი-
მისა. მდ. აფრადისსითუხ. მე. გერანტისთუხ მედაბელისა მგ. თომასისთუხ ძისა მისისა. მზ. გან-
25 სწავლრისათუხ საბაჲს მიერ, თუალთა შეკრძალვისათუხ. მთ. აყიროჲსა მისთუხ მწარისა. მთ. ლო-
მისა მისთუხ მკელობელისა და ფლაბიანოს ასურისა. ნ. აღსლვისათუხ აბბა საბაჲსა კოსტანტი-
ნეოლისა. ნა. პირველისა შემთხვევისათუხ აბბა საბაჲსა მეფისა ანასტასისა და მუნ უბრძანა
დაზოთრებაჲ. ნბ. მიერედ სიტყუასათუხ, ილია მთავარებესკოპონისათუხ იერუსალჲმელისა. ნგ.
ივლიანასათუხ და ანასტასიასათუხ. ნდ. სიბოროტისათუხ მარინსისა. ნე. ზიარებისათუხ მამა-
30 სა ეკლესიისა. ნვ. განსწმისათუხ ფლაბიანოსისა და ილიაჲსა და დიდებისათუხ სებეროსისა და
დადგინებისათუხ იოანესსა და შესუმისათუხ | საყრობილედ და რა იგი ქმნა სტეფანე-წმი-
დისა სამარტვირგსა. ნზ. ანასტასი მეფის წიგნი თეოდოსისი და საბაჲსი. ნთ. შიმშილისათუხ, კო-
ლონოსისა შეიწრებისათუხ და ღმრთისა საყრველებისა საქმისა. ნთ. დაწვევისათუხ ლოტე-
თა საცხოვრათაჲსა და სძისა არაგამოსლვისა. ა. სიკუდილრისათუხ ილია მთავარებისყო-
35 სისა და ანასტასი მეფისა. აა. წარსლვისათუხ სკვთაოლისა. აბ. დედაკაცისათუხ, რომელსა აქუნ-
და დინებაჲ სისხლისა დაუცხორებლად. აგ. განკურნებისათუხ ქალისა. ად. მთავარებისყო-
ლისათუხ, ვითარ იგი საბჲს პურად მზადა. აე. სიუერულისათუხ თეოდოსისა და საბაჲსი. ავ. წყ-
მისათუხ სილიონისა. აზ. ლოცვისათუხ აბბა საბაჲსა წყმისა მოცემისათუხ. აჟ. სიკუდილისათუხ
იოანე მთავარებისყოლისა და იუსტინიანოსის მეფობისათუხ და დისათუხ მთავარებისყო-
40 სისა. ათ. საჭურისსითუხ და იელიანას სიკუდილისა. აი. სიკუდილისათუხ აბბა თეოდოსისა
და აბბა საბაჲს კოსტანტინეპოლისა აღსლვისა სამარტიტლათუხ. აა. შესლვისათუხ წინაშე მე-
ფისა და დედოფლისა. აბ. ზუთისა სათხოვარისათუხ, რომელ ითხოვა. აგ. ვითარ იგი მეფემან
ზუთივე იგი თხოვა აღსრულა. ად. აღსრულებისათუხ წინაწარმეტყუელებისა აბბა საბაჲსისა.

56ბ

ღმრთის მიერ და აღმშენებისათვის ღაღრისა იერემიამისა. ოგ. წარსლვისათვის აბბა საბაძისა სკვთოხოლისა. ოგ. მისლვისათვის სკვთოხოლის და აღსრულებისა. ოზ. ჟამთა მისთათვის. ოძ. მადლსათვის ღმრთისა, რომელი მოსცა | მას სულთა და ჯიჲრცთა. ოთ. ორთა მათ ძმათათვის ქუქყენისა-მოქმედთა. პ. სკვთოხოლელთა დედათათვის. პა. აღქმისათვის სარაკინოსელისა. პბ. გრმისათვის, რომელ დაქოლა. პგ. შემდგომად სიკუდილისა ნეტარისა საბაძა ნონოს და მის-
 თანათა წველებად განცხადეს და მრავალთა ავნებდენ და მელელეს მიერ უკუნცემელისა მის-
 თვის ოქროსა. პდ. გელასისთვის, ოდეს მამასახლისობად დაიპყრა და ოროგინელი განასხნა და ვითარ დასცნა უხილავობითა ლეონტიელნი. პე. ვითარ სახედ იქმნა ოროგინელთა ზედა კრებ-
 ბად იგი. პვ. რამეთუ კრებულისა მისგან წარწყმდეს და კჳალად უკმოიქცეს და ბრძოლად იგი, რომელ იქმნა. პზ. აღსრულებად გელასისი და უშჯულომასა გეორგის დადგომა. პტ. განძეგვის-
 სათვის გეორგისა და კასიანოსის დადგომისა და სიკუდილისა მისისათვის. პთ. დადგომისათვის კონ-
 ნონისა და დამდაბლებისათვის ოროგინელთასა. ჟ. აბბა კონონის კონსტანტინეპოლის აღსლვისა-
 თვის და მებუთისა კრებისა ჟოფისათვის და ოროგინელთა გამოსხმისათვის ნეა-ღაგრით და მართლ-
 მადიდებელთა დაპყრობისათვის.

1

57ა

კურთხეულ არს ღმერთი და მამად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რა-
 მელმან თქუენი გულსმოდგინებად აღადგინა სრულიად და მე ღირს მყო, არაღირ-
 სი, აღწერად [ცხოვრებად] ღმრთის-მოყუარეთა წმიდითა მათ მამათა წინააღსრუ-
 ლებულთად, ეფთჳმისთვის [კიტყვ] და საბაძისთვის, ზოგად-ყოფისა [თავთათვის]. რა-
 მეთუ მე საწყალობელსა სიბრავლითა მოწყალებისა მისისადთა ნაწუთით სიტყუ-
 თა მითთად დამწუთა, აღებთა პირისა ჩემისადთა რაბთა ვილუწიდე აღსრულებად
 ესევეთარისა სარგებელისა ბრძანებისა. ესე რაბ მესმა მე, ნეტარისა მამისა ჩუე-
 ნისა ეფთჳმისთვის მცირს ნუ-რაბ და შეუკადრებელი მისისა დიდებისა გამო-
 თქუმად უადრ შე-ვერა-უძლე, არამედ მეოთხემოცესა წელსა აღსრულებასა მისსა
 და ღმრთისა მისლვასა. და ესეცა, რაოდენი აღწერე მცირედ და შრომით, ვი-
 თარცა უფსკრულისაგან სიბრავლისა ჟამთაძასა, ეგრე შევეკრიბენ საქმენი და
 სიტყუანი მისნი, რაბთა შემდგომად ჟამთა ამით მისნი იგი სწავლანი სარგებელ
 ეყენენ სულთა ჩუენთა. აწ ესერა სრულიად მოვიწიე ჟამსა ამას ამისთვის, რაბ-
 თა მცირედ ნუ-რაბ ვთქუათ, და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაძის აღწერე;
 ვიზორუნ [და] დავშუერ გულს-მოდგინედ ქეშმარტითაგან და ღირსთა მამთა, თა-
 ნამყოფთა და თანამოღუაწეთა მისთა. და აწცა, ძმანო, მივემსავებოდით მისსა
 მას მოღუაწებასა, რაბთა წარგუემართენ ღმრთისა მიმართ სლვანი ჩუენნი. ესე
 ვთქვ წარსრულთა ჟამთა სიტყუად ამისთვის, რამეთუ უცებობად ჩემი და არაღირ-
 სებად მიცნობიეს და უმეტესსა მოველი მოყალობასა. არა თუ ეს გონებასა ვას-
 წავებ, არამედ შჯულისა გარდასლვისა მის მეშინის და საშინელსა მას განვი-
 ზრაბავ რისხვასა, რომელსა იტყვს: მონათა ბოროტო, შეპყვანდა ვეცხლისა ჩე-
 მისად დადებად სავაჰროსა». აწ გევედრები თქუენ, მოოცველთა, ამას შრომასა
 ზედა და სიღირსესა შენსა, მამო პატიოსანო და შეილთ-მოყუარეო გეორგი!

მთ. XXV
26, 27

20—21 ვილუწიდე... ბრძანებისა] ვილუწიდე ბრძანებისაებრ ვითარცა იგი ონისიფორე.—
 22 შეუკადრებელი] შეუძლებელი.—23 შევევერუძლე.—25 ჟამთაათა.—33 უმეტესსა.—37 პატი-
 ოსანო] არისტე.

პირველად ევედრე მეუფესა ღმერთსა შენდობისა და მოტყეებისა ჩემისათჳს, საწყალობელისა ამის და არალირსად | ცხოვრებულისა, მრავალთა ცოდვითა ში- 578-
ნა განფრდილისა, და ნუენ ჴრწმუნო ხართ ამით წინაფართქუმულთა და
რომელნი შემდგომად თქუმად არიან. ამისთჳსცა ჟამთა განწურთად და ადგილ-
5 თად და კაცთად და სახელთად ესე ყოველი მოვიქსენე და ამისთჳს ვყავ სიმართ-
ლით განკითხვად. რამეთუ ჩუენ შემწჳ და მწყალობელი ღმერთი გურწამს. და
აწ ნეტარისა საბაჲსი ვყოთ დასაბაჲსი სიტყჳსა.

2

ესე ნეტარი საბა, ზეცისა ქალაქისა მოქალაქჳ, მამულად იყო ქუეყანისა
კაბადუკიჲსაჲ, დაბისა მეტალასკენისაჲ, რომელი არს საბრძანებელსა ქუეჴე დე-
10 და-ქალაქისა კესარია კაბადუკიჲსაჲსა, ვითარცა ადგილი არმათეჲსი შეურაცხ იყო
და ჴწმარ და ამისა შემდგომად განითქუა ყოველსა ქუეყანასა, რამეთუ გამო- 1 მფ. I. ჳ.
ვიდა მიერ ღმრთისა-მიერი ყრმაჲ სამოველ, ეგრეცა აქა ნეტარი საბა. რამეთუ და სხვ-
მამა-დედანი ესხნეს მას ქრისტიანენი და აზნაურნი, რომელთა სახელი ერქუა
იოჰანე და სოფია. ვითარ გულის-ხმა ვყავთ შობისა მისისათჳს, იშუა იგი მე-
15 ფობასა თეოდოსისსა ათშუდჳტესა [წელსა]. და იყო მამაჲ მისი მკედარ და წა-
რაგლინეს იგი აღექსანდრიად გუნდსა თანა ისაურელთასა. წარიყვანა ცოლი
თჳსი თანა და განეშორა იგი ქუეყანასა კაბადუკიჲსაჲსა. და დაშთა ნეტარი 583
ესე, ნებითა ღმრთისაჲთა, სამღელეოჲ ჳაბუჴი; | და იყო ნეტარი იგი ჰასაკი-
თა ხუთის წლისა, იყო რაჲ დაბასა თჳსსა მეტალასკენს მამულსა თჳსსა ჴედა,
20 ხუასდაგსა და სახლსა დედის ძმისა თჳსისა თანა, რომელსა სახელი ერქუა ერ-
მიონ. და იყო ცოლი ერმიონისი სახითა მედგარ, და სიმბორტესა მისსა ვერ
დაუთმო ნეტარმან მან. და მივიდა იგი გრიგორისა, მამის ძმისა თჳსისა, რო-
მელი ეშოვრა დაბასა მისსა სამით მილიონით, სოფელსა, რომელსა ჳრქჳნ სკან-
ლო.

3

25 შემდგომად რაოდენისამე ჟამისა იხილნა, რამეთუ ილაღებოდეს დედის
ძმაჲ მისი ერმიონ და მამის ძმაჲ მისი გრიგორი სახლისათჳს და მამულსა,
ხუასდაგისა მისისა. ესე ნეტარი საბა, რამეთუ გამორჩეულ იყო ღმრთისა მიერ
ვიდრე შესაქმედმე მისა და შობად, ვითარცა დიდი წინაწარმეტყუელი იერემია.
ყოველივე შეურაცხუ და განიშოვრა ცხოვრებაჲ ამის სოფლისაჲ. და შევიდა-
30 იგი მონასტერსა, რომელსა ჳრქჳნ ფლაბიანოსისი; რომელი ეშოვრა დაბასა
მისსა მეტალასკენსა ოციით მილიონით, და შეიწყნარა იგი მამასახლისმან და
შეირაცხა იგი სხუათა ძმათა თანა თანა მონაზონთა ჴეცისა მოქალაქობასა. და შემ-

8 მოქალაქჳ|—ხოლ.—9 მიტალკისა.—10 კესარია კაბადუკიჲსაჲსა|—წიფის-მკითხველი.
იყო დაწესებით სიყრმიოთან სიმდაბლესა შინა. და ყოველთა შორის. გამობრწყინდა ღმრთის მსა-
ხურად ჳაბუჴი ესე.—19 მიტალიკს.—26 ერმია.—31 მიტალიკსა.

დგომად მცირედთა ჟამთა დაისწავა «დავითი» და ყოველი წესი მონაზონებია
 საა. ხოლო დედის ძმად მისი და მამის ძმად მისი, ვითარცა დამშუდნეს ურთი-
 ერთას, უნდა მათ გამოყვანებად ნეტარისა მის მონასტრისაგან, რადათამცა
 58ბ ლუწოდა სოფლებსა მას მამულ-დედულსა მისსა და იქმნამცა იგი ცოლიერ. ამას
 ფს. 83, 11 ჩია მივრდომად სახლსა ღმრთისსა, ვიდრეღა ერს-კაცობით ცხორებსა, და
 იურგოდა, რადათა არა განეშოვროს შეუნიერებით ცხორებასა მას მონაზონთასა
 ლკ. IX, და ზეცისა მოქალაქობასა, ვითარცა იგი სახარებასა შინა იტყუეს უფალი: «არა-
 60 ვინ დასდვის ჳელი სანვეელსა და უკუმაართ იხედავინ და წარემართოს მის სასუ-
 ფეველსა ცათასა». ამას რად განიზრახვიდა ნეტარი იგი, იტყოდა გულსა ში-
 10 თასა: «განეშოვრო ამათგან, რომელნი მატუთუნებენ მე გზათაგან საღმრ-
 თოთა, ვითარცა გუელთაგან, რამეთუ განჰქრწინან გონებასა სიტყუანი ესე
 ტკბილნი, რომელნი იტყუან მედგარსა». და მეშინის, ნუ-უკუე სიტყუთა მათითა
 დაეჭანდენ და წყევად მოვიპოო, ვითარცა იტყუეს წმიდად წინაწარმეტყუელი:
 ფს. 118, «წყეულ არიან, რომელთა ვარდააქციეს მცნებათაგან შენთა». ესრჳთ სიყრმი-
 21 თან აქუნდა გულსმოღვინებად ღმრთისა მიმართ ნეტარსა საბას.

4

ესე ნეტარი ოდესმე იქმოდა მტილსა მონასტრისასა და გულმან უთქუა,
 რადათამცა ჳამა ვაშლი პირველად პურისა ჳამისა, რამეთუ იყო შეუნიერ ხილ-
 ვითა ხილი იგი, და ვითარცა განჰურდა ნებითა გულისა მისისადათა, მოსწყვდა
 ხისაგან ვაშლი იგი, განიზრახა და არა ჳამა. არამედ, ვითარცა მწენმან, დაით-
 20 მინა, შეინანა თავსა თუსსა და თქუა: «შეუნიერ არს ხილვითა და კეთილ არს
 საჳმელად, არამედ რომელმან მე მოჰკლა ხილმან ადამის მიერ, შეურაცხ ვყო
 25 იგი, რამეთუ მან პატივ-სცა ჳორციელთა | თუალთა ახილვითა და განძლომი-
 თა მუტლისადათა შეუნიერი ფრიად კეთილი იგი და სულიერი განსასუენებელი
 უპატიეო ყო, რომლისაგან სიკუდილი სოფლად შემოვიდა. ნუ-უკუე გახვეშოვ-
 20 რო კეთილსა მარხეასა სულისასა და დაემძიმდე გონებითა, ვითარცა უფროდს
 შეუნიერ არს ყოველისა ნაყოფისა ყუავილი, ეგრეცა მარხეაჲ უმეტეს არს ყოვე-
 ლისა კეთილისა დამარხვად». და ესრჳთ უმჯობესად სძლო ნებასა გულისასა,
 დაადგო ვაშლი იგი ქუეყანასა და ფერჳითა დასთრგუნვიდა; და, ვითარცა და-
 თრგუნა ვაშლი იგი ნეფსით, დაიდვა შჯული ესევეითარი გულსა თუსსა და
 30 ვიდრე სიკუდილმდე არღარა იხილა გემოდ ვაშლისაჲ, და მოიღო ძალი მალღით,
 და მარხეასა თავი თუხი მისცა და განიშოვრნა მისგან გულისთქუმანი ბოროტ-
 ნი და ძილისა სიმძიმჳს და მარხეასა თანა ჳორციოთაჲ ფრიად შურებოდა. მო-
 იწესნა ღმრთისა მიმართ, ვითარ იგი იტყუეს დავით ვალობასა: «ხილე სიმდაბ-
 35 ლს ჩემი და შრომაჲ ჩემი და მომიტყევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი». ამით ყოვე-
 ლითა წრაფითა და გულსმოღვინებითა სული თუხი დაიმდაბლა მარხეთა, ხო-
 ლო ჳორცინი შრომითა დააქუნნა. და იყენეს მის თანა მონასტერსა მას შინა
 ფლაბიანოსისსა სამეოცი გინა სამეოციდაათი მოღუაწჳს და ამათ ყოველთა უმ-
 ჯობესად გამოჩნდა ესე სიმდაბლითა, მორჩილებითა და ღმრთისმსახურებითა.

ფს. 24, 13

5

და ესეცა მოსაგნებელ არს სიყრმისა | მისისა ლუაწლი, რომელი ქმნა. 598
 რამეთუ მეპურემან მონასტრისაჲან ჟამსა ზამთრისასა განაკიდა სამოსელი, რომელ დასოვლებულ იყო, სიტყოსა შინა ლუემლისასა, რადათამცა განაშრო სამოსელი იგი თვისი, რამეთუ მზმ არა ელდა, და დაავიწყდა ლუემელსა მას შინა. 5
 შემდგომად ერთისა დღისა პური მოაკლდა ვიეთმე ძმათა და იქმოდეს საპურესა მას შინა და იყო მათ თანა ნეტარიცა საბა. და ვითარცა ძმათა აღაგზნეს ლუემელსა, მოგვსენა მეპურესა მას სამოსელი იგი და შეეურვა და ვერვის ეძლო შესლვად ლუემელსა მას, რამეთუ იყო დიდ და უმეტეს განჭურვებულ. ესე ახალი მოციქული სარწმუნოებითა განძლიერდა და უშიშ იქმნა და 10
 ნიშითა ჯუარისაჲთა თავი თვისი შეიჭურა და შევიდა ლუემელსა მას და გამოლო სამოსელი იგი უენებოდ. ვითარცა იგი ბაბილონს საკრველი ქმნა ღმერთმან და ვარშამავით და სამოსლითურთ სამნი ყრმანი შეუწუველად დაიცივნა, ვგრევე სამოსელი იგი, რომელი იყო ლუემელსა მას შინა შეუწუველად დაიცივა მონისა მიერ თვისისა საბაჲსაჲნ ყრმისა, რადათა ბრწყინვიდეს და ახარებდეს ყოველთა სიხარულსა. ვითარცა იხილეს მამათა დიდებული ესე საკრველი, აღიღებდეს ღმერთსა და იტყოდეს: «ვითარმე იყოს ჭაბუკი ესე, რამეთუ ღირს იქმნა მადლსა და დიდებასა და ჰასაკითა თვისითა ესე ყოველი განვლო საწმილი!» 15
 ხოლო გრიგორისა მიერ, ხუცისა და ნათესავისა მისისა, ეუწყა ყოველთა სარწმუნოებაჲ მისი, ვითარ | იყო სიყრმითგან მორწმუნე და გონიერ და ყოველთა 60
 თა შემწყნარებელ.

6

საჩინო არს სათნოებისა მისისა წარმართებაჲ და წინაწარსწრობაჲ და განმარტებაჲ გულისა მისისაჲ ღმრთისა მიმართ. ათი წელი დაასრულა მონასტერსა მას შინა და ამისა შემდგომად ღმრთით სურვილი მოიწია მის ზედა, რადათა მივიდეს იგი ქალაქად წმიდად და დაეყუდოს უდაბნოსა ადგილსა. რამეთუ შეჰკავანდა მის მიერ ადგილისა მის უდაბნოჲსაჲ ქალაქ-ყოფად და გარემოჲს მისსა ვამაღლისა ესაიასი წინაწარმეტყულებად აღსრულებად. შეუერდა ის. 58,
 მამასახლისსა მის ადგილისასა და ევედრებოდა, რადათამცა განუტევა იგი ლოცვით, ხოლო მამასახლისმან არა ინება განტევებად მისი. და გამოეცხადა უფალი მამასახლისსა მას ღამშ და ჰრქუა: «განუტევე საბა, რადათა მმსახუროს მე 12
 უდაბნოსა!» ხოლო მამასახლისმან მოუწოდა თვისაჲნ ძარულად და ჰრქუა: «განგიტევე შენ, შეილო, ბრძანებითა ღმრთისაჲთა, რამეთუ ჩუენებით მეუწყა, ხოლო შენ ნუ ვის უთხრობ ამათ მამათაჲგანსა, რადათა არავინ ცნას, ვიდოდე მშვიდობით და ღმერთი იყავნ შენთანა!» და ესრტ წინამძღულებითა ღმრთისაჲთა შემოვიდა იერუსალმად მეთარვაშეტესა წელსა ლუაწლსა ჰასაკისა მისისასა, და 35
 სასრულსა ღმრთის-მსახურისა მარკიანოს მეფისასა, იერუსალმს მღვდელთმოდ-

60ბ

ღურებასა აუბნელისსა, და შე-ვინმე-იწყნარა იგი კაბადუქმან ბერმან ნეტარი-
სა პასარიონის მონასტრისამან, რომელი შერაცხილ იყო ელპიდის მიერ მთა-
ვარმამასახლისისა. ესე ნეტარი საბა დაადგრა ზამთარსა მას ბერისა მის თანა
და ეტყუნ მას ბერი იგი: «შვილო, დაეწეე აქა!» და მან არა ინება; და სხუა-
ნიცა მრავალსა დასაწესებელსა ეტყოდეს, ხოლო მან, მშვედობის მოყუარემან
სიყრმითან და ღმრთის-მსახურმან, არცა ერთისა ამითანისაჲ ვისი ისმნა ესე-
ვითარი სიტყუად.

7

61ა

ესმოდა რაჲ ყოველთაგან ნეტარსა მას ღმრთის-მსახურისა ეფთჳმისი ლუაწ-
ლი აღმოსავლით წმიდისა ქალაქისა უდაბნოსა და ბრწყინვალისა ვარკულაგი-
სა სინათლჲ და საკრველთა იგი საქმჲ, ვითარ იგი ნათელი ყოველთა მისგან მო-
ეფინებოდა, და ვითარცა ესმა ნეტარსა მას ესე ყოველი, ვითარცა მფრინველმან,
გული აღაღო და აღესურვა ხილვად წმიდისა მის და შეუერდა ნეტარსა ელპიდის
და ყოველი ნებაჲ გულისა მისისაჲ უოხრა; ხოლო მან კაცი მისცა და ლოცვით
და მშვედობით წარავლინა. და ვითარცა მივიდა ნეტარი ესე ადგილსა მას, ძმა-
თა თანა იყოფოდა. და დღესა შაბათსა, ვითარცა მოვიდოდა დიდი ეფთჳმი ექ-
ლესიად, შეემთხვა მას წინაშე ეკლესიასა და ევედრებოდა მას ცრემლით, რაჲ-
თა შეიწყნაროს იგიცა ძმათა თანა. ხოლო დიდი ეფთჳმი ასწავებდა მას და
ეტყოდა: «შვილო, არა სამართალ მიჩს, რაჲთამცა ქაბუქი იყო ლავრასა შინა
და არცაღა შეჭგავს ქაბუქთა ლავრასა შინა ყოფად და არცა ჯერ-არს განშო-
ვრებულთა თანა ქაბუქისა ყოფად. მივედ შენ, შვილო, ქუენასა მონასტერსა
აბბა თეოქტისტესსა და ფრიად სარგებელ გეყოს». ხოლო ნეტარმან საბა მი-
უგო და ჰრქუა: «ვიცი, პატროსანო მამაო, რამეთუ ღმერთი, რომელსა ყოველ-
თაჲ უნებს ცხორებაჲ, მომიძლუა მე მოსლვად წმიდათა ჳელთა შენთა; ვითა მი-
ბრძანო, ეგრეცა ვყო». მაშინ დიდმან ეფთჳმი წარავლინა ნეტარი ესე თეოქ-
ტისტესსა და მიამცნო მისსა, რაჲთა ლუწოდის მას, ვიდრემდის მოიპოვოს მო-
ნაზონთა ზეცისა მოქალაქეობაჲ. და ესეცა, ვითარ მგონიეს, არა უცნაურად ყო
დიდმან ეფთჳმი, არამედ ვითარცა წინაჲსწარმცნობელმან და წინავემცინებრმან,
იერუსალჲმისა განშოვრებულთა მამასახლისიად განჰმზადა იგი. არა ხოლო თუ
ესე, არამედ მრავალი ლავრანი და დიდი ესე ლავრაჲ, რომელი უფროს [არს]
ყოველთა ლავრათა პალესტინისათა, აღაშწნოს და იყოს ესე მთავარ და მოძ-
ლუარ ყოველთა განშოვრებულთა ამის სოფლისათა და ამან შჯული და დავას,
რაჲთა უწუერული არა შევიდეს ლავრად, და სხუათაცა ლავრათა ეგვევითარი
შჯული შეუთხრას; რამეთუ ძუელთაგან იყო ესევეთარი ესე წინათა მამათაგან
დამტკიცებული და ჯერ-არს წინაყოფილი ყოველი დამტკიცებად ღირსთა მამათაჲ.

35.

9 უდაბნოჲ.—22 ღმერთი... ცხორებაჲ] რამეთუ ყოველთაჲ ღმერთსა უნებს ცხორებაჲ.
—29—30 ლავრაჲ... აღაშწნოს] ლავრაჲ უფროს ყოველთა ლავრათა პალესტინისათა რომელი
აღაშწნოს.

8

იყო რაჲ ნეტარისა თეოქტიტოსს თანა მამამ ჩუენი საბა, მისცა თავი თვისი ყოვლადვე ღმერთსა; დაოათუ რაჲმე აქუნდა თავისა თვისსაჲ, მისცა იგი ქელთა მამასახლისისათა და განემზადა იგი ლუაწლსა, შრომასა ჯორცთასა| დლითი-დღე, უძილობით დიდებასა ღმრთისასა ღამე ყოველი სიმდაბლთა და 5 მორჩილებითა |; ესე იყო ძირი და საფუძველი მისისა მონაზონობისაჲ და იყო 10 იგი სავმარ კანონსა ზედნა და ღმრთის-მსახურებასა და გულს-მოდგინე იყო უყროჲსა ყოველთასა წინაშესლვად ეკლესიად და ყოველთა უკუანა ეკლესიით განმოვიდეს; რამეთუ იყო იგი სულითა ფრთხილ და გუამითა მწეს და ძლიერ და ყოველთა უფროჲს იყო იგი შშრომელ. რამეთუ სხუათა ძმათა თითოჲ ძნად მი- 10 ნიჭი შეკრბიან და შეიღიან შესაკრებელსა, ხოლო ამან ნეტარმან, რაჲცა დღე, შეკრბის და შეიღის სამი ძნად მინიჭი, და ამისსა უფროჲს, კულად შეეწევიან ძმათა, რომელნი შესაკრებელსა შინა არიედ მსახურნი, წყალსა იყებენ, შეშაჲ მოართეს და სხუასა ყოველსა შეეწევიან. მრავალ-ჯერ იქმნა ნეტარი ესე მეჯორეცა და სხუადცა მრავალი ჯელი, რომელი მოჰხუდა, უზაკუველად და უღრტუნ- 15 ველად გარდაიწადა, ვითარმედ უკვრდაცა ძმათა ყოველთა ესევეთარისა მის ჭაბუკისა გულსმოდგინებად და მშუდობად.

9

იყო ვინმე ძმათაგანი მონასტერსა მას შინა ნათესავით აღექსანდრიელი და სახელი ერქუა იოჰანე, რომელი მრავალსა ჟამსა ევედრებოდა და აწყინებ- 20 და ნეტარსა თეოქტიტესს, რაჲთამცა განუტევა იგი აღექსანდრიად, რამეთუ ესმა სიკუდილი მამა-ღედათა თვსთად და რაჲთა განაგოს მამულ-ღედული მისი, მონაგები კეთილად; და ევედრებოდა, რაჲთამცა განუტევა მის თანა ნეტარი საბა, ვითარცა ღირსი და სარწმუნოჲ და შემძღველი შრომისაჲ. | ხოლო ნე- 62a ტარმან თეოქტიტესს იოჰანესი იგი ევედრებდა ისმინა და განუტევა აბა საბა მის თანა აღექსანდრიად. და ვითარცა შევიდეს იგინი აღექსანდრიად და ეძი- 25 ებდეს მამულსა მას მონაგებსა იოჰანესსა, იცნეს მუნ ნეტარი საბა: სოფია, დედამან მისმან, და იოჰანე, მამამან მისმან, რომელსა გარდაუცვალეს სახელი კონონ. და ესენი, რამეთუ ბრძანებასა ქუეშე ისაურელთასა იყენეს, მოუძღდეს მას და ეტყოდეს: «იქმენ ხუტეს გუნდისა ამის!»: ხოლო მან განიშოვრნა იგინი და ჰრქუა: «მე მგელარ ქმულ ვარ ყოველთა ღმრთისა და მკედრობისა ჩემისა და- 30 ტევეზად ვერ ძალ-მიც. უკუეთუ ვინმე განიშოვრებდეს ამას მკედრობასა ჩემსა, გინათუ მშობელნი ჩემნი, გინა სსუაჲ ვინ, არავისი ვისმინო, რამეთუ დადგრო- მილ ვარ ამას აღსაარებასა, ვიდრე აღმოსლვადმდე სულისა ჩემისა». და რა- 40 ოდენი რაჲ უყვეს მას, ვერ შეუძლეს ნეტარსა მას დაჯსნად მისა და დაყენებად მათ თანა. მოსცემდეს მას ოცსა დრაჰკანსა საგზულად, ხოლო მან არა თავს- იღვა; იხილნა რაჲ იგინი ფრიად შეწუხებულნი, სამი დრაჰკანი მოიღო, რაჲ-

14-15 უღტრტუნვლად.—23 თეოქტიტოსს; იოჰანესი.—25 იოჰანესსა.

თამცა განკურნა ივინი. და გამოვიდა მწრაფლ აღექანდრიათ ნეტარი საბა და მის თანა მოუყისი მისი იოჰანე. და ვითარცა მრვიდეს ივინი მონასტრად, მისცნა სამნი იგი დრაჰკანნი დიდსა თეოქტისტეს.

10

628

და ვითარცა დაასრულა ნეტარმან მან მეათე წელი მონასტერსა მას შინა, მოიწია აღსასრული | სამეზის სანატრელისა ნეტარისა თეოქტისტესი სამ- 5
სა სეპტემბერისასა, ინდაქციონსა ოთხსა. და მოვიდა მუნ დიდი ეფთჳმი და დაჰკრძალა ძლევეთ-შემოსილი იგი გუამი მისი და დაადგინა მისსა ადგილსა მარინოს ღირსი და საკრველი მამასახლისად. ამან დაყო ორი წელი და ღმრთის- 10
შუენიერებით აღესრულა. და მოვიდა კუალად დიდი ეფთჳმი მონასტრად და დაჰმარხა იგი ნეტარისა თეოქტისტეს თანა ლუსკუმისა და ლომგინოს ვინმე პა- 10
ტიოსანი დაადგინა მისა ადგილსა. ხოლო მამამან ჩუენმა საბა მას ჟამსა ოდენ დაასრულა ოცდამეათე წელი და ყოველთა მოხუცებულთა მის ადგილისათა წარჰპაბა მარხვითა და მღვძარებითა, სიმშუდითა და სიმდაბლითა და სძენითა. 15
ევედრო იგი აბა ლომგინოსს, რაჟთამცა უბრძანა მას დაყუდებმა ქუაბსა მას, რომელი არს ვარემე მონასტერსა, სამხრით კლდესა შინა. ვითარცა ჰხედვიდა 15
აბბა ლომგინოს, რომელ აქუნდა შუენიერებმა დადგრომისა მისისა და სი-
წმიდეს სახისა მისისა და მოსწრაფებმა ლოცვისა მისისა დაუცხრომელად, მივი-
და ნეტარი იგი და აუწყა მისთჳს დიდსა ეფთჳმის. ესე ვითარცა ესმა ეფთჳმის, 20
ჰრქუა მას: «ნუ დააბკოლებ მას ლუაწლსა, ვითარცა უნდეს, ილუაწოს!» და უბრძანა მას, რაჟთა კურიაკესა შინა ხუთთა დღეთა ჯდეს ქუაბსა მას შინა. ხო- 20
ლო მამაშან ჩუენმან | საბა სურვიელად შეიწყანარა ბრძანებმა მისი და დაყო მუნ შინა ხუთი წელი ესევეითარითა კანონითა. მწუხრი შემდგომად კურიაკისა გამოვიდის. მონასტრით და აქუნ ჳელთსაჰმარად მისა ბაიაჲ, რომელი ეყოფინ 25
 ლა ბრძანებაჲ მისი და უნებლიად უთხრა მთავარებისკოპოსსა უშჯულოებაჲ
 იგი მათი და შეთქუმაჲ სამეოცთაჲ მათ კაცთაჲ გარდაქცეულთაჲ და არასარ-
 35 წმუნრებაჲ ვონებათა და გულთა მითთაჲ; უთხრა. ვითარმედ ესრით | ბორო-
 ტის-მოქმედ არიან. მაშინ მთავარებისკოპოსმან წიგნი მიუწერა ლავრისა მისი-
 40 სსა ძმათა ყოველთა და ესრე თქუა: «გაუწყებ თქუენ, ძმანო ჩემნო საყუარელ-
 ნო, რამეთუ მამაჲ თქუენი ცოცხალ არს, და ლომთა არა შეჰამეს იგი, რამე-
 თუ მოვიდა ჩემდა დღესასწაულსა ამას და მე უნებლიად დაეიყენე იგი ჩემ-
 40 ნა, რათათა არა დაუტეოს ლავრაჲ თუნი, რომელი ბრძანებითა ღმრთისათა

ამან აღაშშნა. მიითუალეთ ესე დიდითა პატივითა და დაემორჩილენით ამას. არა თუ თქუენ გამოიორჩიეთ ეგე, არამედ მაგან თქუენ გამოვიორჩინე, ამისთვის ნებელიად დაემორჩილენით მაგას. უკუეთუ ვინმე თქუენგანნი მზუაობარ არიან და ამპარტავან და არამორჩილ და არცა აწ უნდეს დამორჩილებად მაგისა, ნუმცა ვინ იყოფის მანდა, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, ვიდრე არა თუ სი ადგილი უკმოიპყრას. ხოლო ნეტარი მამამ ჩუენი საბა, ვითარ არა ურჩ ექმნა ბრძანებასა მას მთავარებისკოპოსისასა, ერთი მოწაფეთა მისთავანი, ნათესავით ნიკოპოლელი, რომელსა სახელი ერქუა [ს]ებეროს, იგი მამასახლისად განაჩინა მონასტერსა მას, რომელი ეშშნა ნიკოპოლისით კერძო, რომელმან დაყო მრავალი წელი მონასტრისა მის განგებასა და აღესრულა. და დადგა შემდგომად მისსა აღმონოს ადგილსა მას [ს]ებეროსისა | რაოდენმევეამ და აღესრულა და დაუტევა მისსა ადგილსა საბარონ, რომელი დაბერდა ფრიად და აქამოდე უპყრიეს ადგილი იგი.

36

ხოლო ნეტარმან საბა მოილო წიგნი იგი მთავარებისკოპოსისაგან და შთავიდა ლავრად თუსა და უბრძანა წაკითხვად წიგნისამ მის ეკლესიას შინა შეკრებულთა შორის ძმათა, ხოლო გარდაქცეულნი იგი, დაბრმობილნი გონებითა მათითა, განრჩხნეს და შფოთი აღადგინეს ერთბამად სამეოცთა მათ წმიდისა მამისა ჩუენისა ზედა და, ვითარცა ბრძოლად განზადებულნი რომელნიმე, სამოსელსა მათსა ყოველთასა აღჰმზადებდეს მათგანნი და ქურჭერთა. ხოლო სხუათა მათ ნემშთა აღიღეს ცულები და ჰამები და სათხრელები და კედები და აღვდეს იგინი გოდოლსა მას მის ნეტარისასა და დაარღვეს იგივე საფუძველადმდე დიდითა სიბოროტითა და გულის-წყებითა, ხოლო ქეა და ძელი გოდლისამ მის შთაყარეს ვევად; და ვითარცა დაარღვეს, დაუტევეს და წარვიდეს იგინი ლავრით. და მივიდეს იგინი ლავრასა სუკასა და ევედრებოდეს, რათამცა იყვნენ მუნ. და ესამ ნეტარსა აკვლონს, მამასახლისსა სუკაასასა, რამ იგი ყვეს მათ ბოროტი; | არა შეჰრაცხნა იგინი და არცა შეიწყინარნა. და წარვიდეს იგინი სამხრით კერძო დაბასა თეკუსა და ჰოვეს მუნ ვევი და წყალი და საფუძველი ძელთა სენაკთამ, რომელი ეშშნა მწვალბებლთავე, და მუნ იშშნეს სენაკები და ნეა-ლავრა დასდეს სახელი. ესენი ვითარცა გამოვიდეს ლავრისა მისგან ნეტარისა საბამსა, ხოლო სხუანი იგი დაადგრეს მშვიდობით და შესწირვიდეს ლოცვასა ღმრთისა მიმართ გულითა წმიდითა დაუცხრომელად და მღვძარე იყვნეს თავყანის-ცემასა და, ვითარცა იფქლი გამომარგლილი რამ აღორძინდებინ, ეგრე მხიარულ იყვნეს. მცირედი რამ ჟამი წარტნა, აგრძნა ნეტარმან საბა, სანა იგი იყოფოდეს სულმოკლენი იგი მოწაფე-ყოფილნი და მიიბნა კაპრაულნი კასტელისანი და ლავრისანი და აღჰვიდა საზრდელი და მივიდა მათა. და რომელთამე მათგანთა იხილეს. რამ ნეტარი იგი მიმავალი, იტყოდეს ურთიერთას: «იხილეთო, აჰა ესერა აქაცა მოვალს მრული იგი!» ხოლო ნეტარმან მან მღვდელმან იხილნა იგინი ფრიად შეიწრებულნი, რამეთუ არცა ეკლესიამ აქუნდა, არცა წინამძღუარი, არამედ ეკლესიასა წმიდისა წინაწარმეტყუელისა ამოსისსა.

მივიდიან რაევცა კვრიაკე და მუნ ეზიარნიან, და დაუწყნარებელობითა მათი-
 86ა თა და უჯერობითა გონებისა მათისადათა ურთიერთისა ილაღვიდეს და შფოთებ-
 დეს. შეეწყალნეს ივინი ნეტარსა მას და შევიდა წმიდისა მთავარებისკოპოსისა
 და უთხრა მათი იგი ცხოვრება და ევედრებოდა მას, რათამცა შეიწყნარნა
 5 იგი[ნი]. ხოლო ნეტარმან მთავარებისკოპოსმან მისცა ჯელთა მისთა ლიტრად ერთი
 ოქროს და ჯელმწიფებამ მის ადგილისა და მუნ მყოფთაჲ, რამეთუ იყენეს იგი-
 ნი კრებულისა მისისაგანნი. ხოლო ნეტარი ესე მღვდელი მივიდა მათა და აქუნ-
 და მისთანა ყოველი საქმარი და დაყო მათ თანა ხუთი თთუჲ და აღუშენა მათ
 პურის საქმარი და ეკლესია და შეაქყო იგი და საკურთხეველი დაღვა საქმე-
 10 ოცდამეტარესა წელსა ჰასაკისა მისისა ჟამთა. წარავინა და მოიყვანა ლავ-
 რისა თვისსაგან. ვითარცა ზემო წერილ არს, მეუღაბნოჲ იოჰანე ნათესავთი
 ელაღელი, რომელსა წინაწარმეტყუელებისა მადლი აქუნდა. ესე დაადგინა მა-
 მასახლისად ნეა-ლაერისა. ამან ნეტარმან იოჰანე ღმრთით-შემოსილმან წინაწარ-
 მეტყუელა რად იგი მოწყენად იყო ნეა-ლაერასა მათ ჟამთა, და აღსრულებდას
 15 მისსა ქრისტჲს მიერ თანა-უჯდა მას შემდგომი მისი. ცრემლნი გარდამოსთხივნა
 და თქუა: აჰა ღღენი მოვლენან და აღმაღლდენ ამის ადგილისა მყოფნი ფრი- 87ა
 და საწმუნობებას ზედა სიმართლისა და განეშოვრენ მას და დაამდაბლდეს
 სიმართლჲ მათი, და ამისსა შემდგომად განიდევნენჲ. და ესე რად თქუა, შეი-
 სუნა და ღმრთისა მივიდა. ამან, შემკულმან მადლითა, შვიდ წელი დაყო გან-
 20 გებასა მის ლავრისასა სათნოებით ღმრთისა მიმართ და ამისსა შემდგომად სას-
 წაულთა მოქმედად გამოჩნდა. ხოლო მუნ მყოფთა მათ თანა ზრახვითა მამისა
 ჩუენისა საბაჲსითა დაადგინეს ჰრომი ერთი წრფელი და უზაკუველი, რომელ-
 სა სახელი ერქუა პავლე, რომელი ღმრთისა-შეენიერად ბრწყინვიდა. ხოლო
 ნეტარმან პავლე ექუსი თოლჲ დაყო უნებლიად მამასახლისობასა ნეა-ლაერას
 25 და ივლტოდა მიერ ადგილით და წიაღჲდა არაბიად. და მერმე მოვიდა კაპარ-
 ბარიკად და მუნ აღესრულა, რომელი ზემო-კერძო მოვსენებულ არს, რომელ-
 მანცა მუნ მონასტერი აღაშენა. ხოლო ნეა-ლაერისა მამათა აუწყეს ნეტარსა
 საბას პავლსი იგი წარსლვად და დიდად ყვედრებოდეს მას და მოსცა მათ მო-
 წაფჲ თვისი, რომელი ზემო წერილ არს, რომელსა იგი ერქუა ავაპი. ამან ნე-
 30 ტარმან ავაპი რად მიითულა მამასახლისობად ნეა-ლაერისაჲ, პოვნა მუნ ოთხნი
 მონაზონნი კრებულისა მისგანნი, რომელნი შეეყვანნეს მუნ წრფელსა | პავლეს, 87ბ
 და არა იცოდა მან, რად იყენეს ივინი, რამეთუ იღუმალ იფურთოდეს შჯულსა
 ოროგინსსა. ამათა წინამძღუარ იყო კაცი ვინმე პალესტინელი, რომელსა სა-
 ხელი ერქუა ნონოს, რომელი მიზეზით რეცა ქრისტიანობასა და სიმდაბლესა
 35 აჩუენებდა. ხოლო ესვიდა იგი შჯულსა უღმრთოთა წარმართთა და პურითა
 და მანიჭეველთასა და ოროგინსსა [და ევაგრსსა] და დიდგმოსისა და ზღაპ-
 რობათა მათთა აღიარებდა. ესე რად ესმა ნეტარსა ავაპის მამასახლისსა, შეე-
 შინა, განიზრახა და თქუა: «ნუუკუე სხუანიცა მიერჩდენ მათსა მას მედგრად
 სწავლასა და სიმბოროტესა მამისა მათისა ეშმაქისასა!» და შევიდა ნეტარი ავა-
 40 პი მთავარებისკოპოსისა ელიაჲსსა და უთხრა საქმჲ ესე. ხოლო მან უბრძანა

გამოსხმა მათი ლავრით. და ვითარცა განვიდეს იგინი ლავრით, შთავიდეს ველის პირად და მუნ დასთენსეს ბოროტნი იგი ლუარძნი — სიტყუანი მათნი. და ვითარცა ჟამნი რაოდენნიმე წარჯდეს, მთავარებისკოპოსი შეასმინეს მეფესა, რომელი მცირედ შემდგომად ითქუას. და ვითარცა ესმა ესე განსხმულთა მათ, მოვიდეს ნონოს და მისთანანი იგი ქალაქად წმიდად და ევედრებოდეს მთავარ-⁵ებისკოპოსსა, რათამცა უბრძანა მათ შესლვაჲ ნეა-ლავრად. ხოლო მან ნეტარ-^{88ა}მან მოუწოდა წმიდასა | საბას და ნეტარსა საყუარელსა ავაპის. ჰკითხა მათ და ჰრქუა: «შესაძლებელ არს შესლვაჲ მათი ნეა-ლავრად?» ხოლო ნეტარმან ავა-¹⁰პი თქუა: «უკუეთუ ეგენი შევიდენ, ყოველთა ძმათა ჩემთა უფროდსით მავათსა ისწაონ შჯული ოროგინსი; უმჯობეს არს ჩემდა, რათა გამოვიდე მე ადგი-¹⁵ლისა მისგან და არა ეგენი შევჭრთნე კრებულსა ჩემსა». და ჰრქუა მის-მთავარ-ებისკოპოსმან: «სათნოდ და კეთილ ნებაჲ ღმრთისა განიზრახე!» და მათ ვითარ-²⁰ცა გულის-ხმა ყვეს, რამეთუ არას არგებს მათ მთავარებისკოპოსი, წარვი-დეს იგინი ველის პირადვე. ხოლო ნეტარმან ავაპი დაყო ხუთი წელი ნეა-ლავ-რას კეთილად განგებასა მამასახლისობით და აღესრულა, და დადგინეს მისსა²⁵ ადგილსა მამასახლისად ნეა-ლავრელთა, რომელსა სახელი ერქუა მამა. ვითარ-ცა ესმა ესე ნონოსს განდრეკილსა და მისთანათა, — აღსრულებად ნეტარისა ავა-პისი და მამაჲს მამასახლისობად, — აღმოვიდეს იგინი მამაჲსა და მან შეიწყნარ-³⁰ნა იგინი ლავრასა, რამეთუ არა იცოდნა იგინი. ხოლო მათ აქუნდა ბოროტი იგი სწავლად სულთა მათთაჲ მარადის და ვერ ძალ-ედვა ყოვლადვე სენად სახს³⁵ ღმრთის-მსახურებით მონაზონთაჲ. არამედ ეწინიდა ნეტარისა საბაჲსა, რამე-^{88ბ}თუ მის მიერ იყვნეს დამტკიცებულ ერთსა სარწმუნოებასა | ზედა ყოვენი-⁴⁰ უდაბნოჲსა მონაზონნი. ესე ყოველი რად ვთქუთ ნეა-ლავრისათჳს, ამისთჳს, რა-⁴⁵თა შემდგომითი-შემდგომად გაუწყო თქუენ ღმრთის-მსახურისა მის მღლეი-⁵⁰საჲ განგებაჲ.

25

37

და ვითხრა მბრწყინვალისა მამისა ჩუენისა საბაჲსი ღმრთისა მიერი იგი მისი ნიჭი. რამეთუ მოქალაქეობად იგი მისი იყო დიდებულ და ცხოვრებაჲ მი-⁵სი სანატრელ და სარწმუნოებაჲ მისი მართალ ღმრთისა მიმართ. ესე ყოველი [მცირედ-მცირედ გამოცხადებულ არს], მცირედ-მცირედ გამოცხადებების წარ-¹⁰მართებითა ღმრთისა სიტყუ[საჲ]თა. წმიდად ესე საბა, ახალი ნერვი, კასტელი-¹⁵სა მონასტერსა გამოჩნდა მძლედ სულთა ზედა მდგართა, ღმრთის-მსახურები-²⁰თა და შეწევითა სულისა წმიდისაჲთა უდაბნონი ქალაქ ყენა. პირველადვე უნ-²⁵და ეშმაქსა საფრჯისა დაგებაჲ მოწაფეთათჳს საბაჲსთა, ოდეს იგი გარდაიქცეს მისგან ნეა-ლავრისა აღშენებასა, არამედ მასვე დაედგა საფრჯე ნეტარისა სა-³⁰ბაჲს მიერ; და სხუად ძლევაჲ უფროდსი აღადგინა საბა მის ზედა. მო-რად-ვიდა³⁵ ნეტარი ესე ნეა-ლავრით. მცირედთა დღეთა დაეყუდა მარხვათა შინა. და ამის-⁴⁰სა შემდგომად წარიყენა პაველ ბერი მის თანა, რომელსა დიდადი განგებაჲ

- ექმნა, და მივიდეს ზვესა ერთსა მახლობელად დიდისა ლაერისა, რომელი ემოვ-
რა | ვითარ ათხუთნიეტ უტყვიან დასავალით კასტელისა. და პოვა ჩრდილოდ- 89ა
კერძო კლდესა შინა ქუაბი დიდი და შეუნიერი და დაყვნა მას შინა თავდანი
მარხვანი, ვიდრე ბზობადმდე, და მოვიდეს იგინი ლაერადვე. და შემდგომად
5- ადგესინა თანაწარიყვნა თეოდულე და გელასი და თუთ იგი პავლე და სხუა-
ნი მათთანა და მოვიდა ადგილსა მას. ხოლო შეწევნითა ღმრთისადათა ქუაბი
იგი ეკლესია-ყო და სხუად გარემო-ადგილი მონასტრად აღაშენა და დასდგა
სახელი ადგილსა მას «სპილეონთაჲ». და ნეტარი პავლე დაადგინა განმგებელად
ადგილსა მას და მისცნა მას ლაერისა მისგან სამნი ძმანი, გეორგი და კვირიკოს
10- და ევსტათი. და ნებითა ღმრთისადათა აღორძინდა ადგილი იგი და განწავლ-
დეს ძმანი ფრიად. და რისა უფროჲს ვიტყოდით მისთვის, რომელი ჩანს წინაშე
თუალთა ჩუენთა სპილეონისა მონასტერი, რომელი დიდითა შრომითა და იფ-
ლითა თვისთა ნეტარმან მამამან ჩუენმან საბა აღაშენა? ხოლო ნეტარმან პავლე
რად ქრისტეს მიერ შესუენა, მისსა ადგილსა დადგეს კვირიკე და ევსტათი; და
15- შემდგომად ამათისა აღსრულებისა სერგის დაიპყრა მამასახლისობაჲჲ, ხოლო
გეორგი წარავლინეს აღექსანდრიად და მთავარეპისკოპოსისა ზოგიელსთნა
ზრახვიდა. | ხოლო მთავარეპისკოპოსმან შეიპყრა იგი და აკურთხა ეპისკოპო- 89ბ
სად პილოსს; და ესე ღმერთმან განაჩინა მზრუნველად სპილეონისა მონასტრი-
სა. მარკიანოს ვისმე ერქუა ხუცესსა წმიდისა ანასტასიისასა და იყო იგი მამა-
20- სახლის წმიდასა სიონს; ესე წუს-წუთ მოუჯდის წმიდასა მამასა ჩუენსა საბას
და მრავალი საგმარი მოართუს მას და თვისთა ჯელითა სარწმუნოებით იქმნა
ყრმითა მისთა თანა, რომელთა ერქუა ანტონი და იოჰანე, და შეეწვიენ რო-
მელნი შურებიდელ შწნებასა მის ადგილისასა. ესევითარი დიდი სარწმუნოებჲ
აქუნდა კაცსა მას, რამეთუ ფრიად შეიყუარა იგი მთავარეპისკოპოსმან ელია
25- და ეპისკოპოსად დაადგინა იგი სებასტიას და ანტონი ასკალიონისა ეკლესია-
სა, ხოლო იოჰანე დაადგინა დიაკონად წმიდასა ანასტასიას; არამედ მღდელო-
ბისა მისისა ღმრთისა მიმართ ვერვინ შემძლებელ არს გამოთქუმაღ.

38

- ბორცვ, რომელი უმაღლეს არს ყოველსა უდაბნოსა აღმოსავალით—კერ-
ძო, [და მას ზედა] შწნებულნი გოდოლი ვედოკიადს მიერ ნეტარისა, ვითარცა
30- გარდამოვეც მე ნეტარისა დიდისა ეფთჳმისათჳს თქუმულსა შინა [დაიპყრეს] ვი-
ეთმე მონაზონთა. [რომელთა] გარდაიკვალეს წესი თუხი და იტყოდეს დიოს-
კორსსა და ევტუქსისსა; [წვალებასა] მანკიერებით; რამეთუ აქუნდა მათ ერთ- 90ა
გულეზაჲ გერონტის თანა და რომანსს თანა, რომელნი განსხმულ იყვნეს. და
[შემდგომად მათსა] სხუანი ორნი მონაზონნი [დაემკვდრნეს მუნ], რომელნი იტ-
35- ყოდეს წვალებასა ნესტორის მბრძოლისასა. და ესენი ვითარცა მივიდეს ყოფად
ადგილსა მას, არა აღიარებდეს მართლ ქეშმარიტსა წმიდასა ღმრთისმშობელსა

14 შესუენა]+და. 28—35 «ბორცვ რომელი.. კერძო შწნებულნი გოდოლი.. თქუმული
გარდაცვალეს ვითმე მონაზონთა წესი თუხი... და ევტუქსისა მანკიერებით... განსხმულ იყვნეს
და სხუანი ორნი მონაზონნი რომელნი იტყოდეს...».

მარადის-ქალწულსა მარიამს, არცა ერთარებასა წმიდისა სამებისასა, არცა მეოხად იტყვან ქრისტესა ჭეშმარიტსა ღმერთსა. ესენი რაჲ დაემკვდრნეს მუნ, დიდსა მამასა ჩუენსა საბას ფრიად, გულსა აკლდა და ეურვებოდა სამთავე მათთვის მონასტერთა. მათ ღღეთა შინა იხილა მან ჩუენებად ესევითარი: იხილა თავი თვისი წმიდასა ანასტასიის შინა ეამის-წირვისა აღსრულებასა ოდენ და 5 ვამოასხმიდეს [მათ] ვითემე და სცემდეს კუერთხებითა და მრავლითა რისხვითა სდევნიდეს. ხოლო იგი ევედრებოდა მათ, რომელთა აქუნდა კუერთხები იგი, რაჲთა შეუნდონ მათ ზიარებად. ხოლო მათ მიუღეს რისხვისა სიტყვათა და ჰრქუეს: «არა შეჰვაგს მგაათა ზიარებად, რამეთუ ურჩ არიან და არა აღიარებენ ქრისტესა ჭეშმარიტსა ღმერთად, არცა წმიდასა ღმრთისმშობელსა მარიამს». მიერ ესამითგან შეეწყალნეს იგინი ნეტარსა საბას | და ევედრებოდა ღმერთსა მათთვის ყოვლითა გულითა, რაჲთა მოაქციენეს იგინი სიმართლესა და რაჲთა განემოვრნენ ნესტორის შჯულსა. და იყო ნეტარი იგი მათთანა მრავალემ და ევედრებინ ღმერთსა მათთვის წუხ-წუთ და ნუგეშინის-ცემნ მათ, რაჲთამცა ღმრთის-მსახურებისა შჯულსა დაემორჩილნეს. და ესრეთ მამად 15 ჩუენი საბა დიდად დაშურა ლოცვითა და ნუგეშინის-ცემითა მათა მიმართ. და შეწყენითა ღმრთისაჲთა დააჯერა მათ ნესტორის შჯული შეჩუენებად და ზიარებად კათოლიკე ეკლესიასა წარიყვანნა იგინი. და მიუთვალნა ნეტარსა თეოდოსის. ერთი ვინმე ღირსი და კეთილი მოწავეთა მისთაგანი, ნათესავით ბუზანტიელი, რომელსა ერქუა იოჰანე, ესე სქოლარ ყოფილიყო ზედა ყოველთა სქოლართ; ამან ხატი მონაზონებისა შეიმოსა დიდსა ლავრასა და მონაზონებისა ხატითა აღასრულა მოქალაქეობად. ესე ნეტარმან საბა განმგებელად დაადგინა და მამასახლისად გოდლისა მის, ვითარცა სიბრძნითა შემოსილი და ადგილისა მის შემძლებელი განგებად. მისცნა მას ძმანი ლავრისანი და საჭმარი მათი. აღ-რაჲვიდოდა მუნ ზედა, შურებოდა და იღუწიდა და შეწყენითა ღმრთისაჲ- 25 თა | პირგონი იგი მონასტერ ქმნა. და შეკრიბა სქოლარმან მონასტერსა მას კრებული დიდძალი; რამეთუ იყო მუნ აბრაამ, კარტიასა ებისკოპოსი. ხოლო სქოლარმან ოცდაათხუთმეტი წელი დაყო მონასტერსა მას შინა და აღესრულა მონაზონებასა შინა დამტკიცებული და მართლმადიდებელი შჯულისაჲ. ხოლო ნეტარი მამად, ჩუენი საბა დიდად დაშურა შსნებასა და დამტკიცებასა მის მონასტრისასა- და, ვიდრე აღსრულებადმდე მისა, მოკითხვითა და შეწყენითა მას ადგილსა არა მოაკლო.

მონაზონი ვინმე ერთი იყო დიდისა ლავრისაჲ, იერუსალმელი ნათესავით, რომელსა სახელი ერქუა იაკობ. ამან ურცხვოებად შეიმოსა და, ვითარცა ნეტარი იგი განვიდა დიდსა უდაბნოსა მსგავსად ჩუეულებისა, ამან იაკობ შეიკრიბნა ძმანი ლავრისაგანი და იწყო შსნებად რომელ იგი წინა მოჰსენებულ არს წერილსა ამას, რომელსა ჰრქვან «მუდპირისა». ლაჟუად, და აღაშშნა მუნ 35

- ეგუტერი მცირე და სენაკები. ჰგონებდა, ვითარმცა ლავრად აღაშენა იგი. ხოლო მამანი ლავრისანი განრისხნეს და აპკოლებდეს საქმესა მას. ხოლო ვაე ტყუეა და თქუა ვითარმედ: «ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსითა ვაე ესე». ხოლო მამათა ვითარ ესმა ესე, გულკლებულ იქმნეს ფრიად, არამედ
- 5 საქმე იგი არა დააპკოლეს. ხოლო დიდი მამაჲ რაჲ მოვიდა დღესასწაულსა მას. იხილა შსნებული იგი, მოუწოდა იაკობს და ჰრქუა მას: «შვილო, არა არს საქმე შენი ღმრთისა მიერ, ვითარმცა სხუად ლავრად აღეშენა ადგოლსა ამას მახლობელად, უფროჲს ხოლო ამისთვის, რამეთუ ლავრისა მამათა არა ღირს უჩს ესე, არამედ უფროჲსლა შგოთ არიან მაგისთვის, რამეთუ გზისა ზედა არს
- 10 და ლაკუასა ჩუენისა. დაღათუ ვინმე თქუას, ვითარმედ ბრძანებასა ქუეშე ლავრისასა იყოს შსნებული ესე, არამედ მე უფროჲსლა არა მნებავს. რათამცა განვაგრძელებ ადგილი ლავრისაჲ ამის; ხოლო ისმინე წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყვს უმეცართა ამაჲრტავანთაოჲს, რომელნი ჰყოფენ უფროჲს პატივისა და ძალისა მათისა, და თქუა: დაჰრენით საჯნისნი თქუენნი მახლად და მან-
- 15 გალნი თქუენნი ლახურად. ანუ რაჲ სარგებელ არს მუშაკისა მის, უკუეთუმცა ბრძოლთ ქუეყანად ეპყრა? და შენცა აწ სულთა და კორცთა ვნებასა არღა გიძლევიეს და ვითარ სხუათა [ქ]წავლი, რომელი შეპყრობილ ხარ შენ გულის-თქმითა და ამაჲრტავანებითა?» ხოლო იაკობ, ვითარ წინააღუდგებოდა ნეტარისა მას და არა ეპრჩდა, ჰრქუა მას ბერმან: «მე, შვილო, ეგრე მოხიხეს, ვითარ-
- 20 მედ უმჯობესი | ვაზრახო შენ, რამეთუ ზედასდგა შენ ურჩებასა შენსა, ხოლო ოდეს გამოიცადო, მაშინ ისწაო, რამეთუ ჰეშმაჩიტად წერილი იტყვს ვითარმედ: «ცილობამან აღადგინოს ბოროტი, ხოლო უფლმან ანგელოზი მრისხანს მიუფლინოს მას». და ესე რაჲ თქუა ნეტარმან მან, წარვიდა გოდოლსა თქსა, ხოლო იაკობ შეიპყრა ძ[რ]წოლამან და მჭურვალემამან და შუდსა თთუესა სილ-
- 25 მობითა მით იტანჯებოდა ბოროტად. და განიწირა იგი იკუღიდლ თთუესა ნოემბერისასა და ევედრა იგი მამათა, რათამცა მიიღეს იგი ეკლესიასა ლავრისასა და დაავდეს იგი ფერკათა თანა წმიდისა მამისათა, რათამცა შენდობაჲ პოვა უწინარს სიკუდილისა მისისა. და ვითარცა ესე იქმნა, ჰრქუა მას წმიდამან მან: «გულის-ხმა ყავ, ვითარმედ ურცხუნობითა და წინააღდგომითა შენი-
- 30 თა დაისაჯე ბოროტად!» ხოლო მან იძულებით დიდისა მისგან ჭირისა აღადლო პირი თვისი და თქუა: «შემინდვე მე, პატიოსანო მამაო!» წმიდამან მამამან ჰრქუა მას: «ღმერთმან შევიინდვეს შენს» და უპყრა ჭელი მისი, აღადგინა იგი ერთბაშად მას, რათა ეზიაროს უკრწნელსა საიდუმლოსა ქრისტესსა. ხოლო იგი ვითარცა ეზიარა, მუნქუესვე მიიღო საზრდელი და განძლიერდა და უკვრდა
- 35 ყოველთა მეყსეულად განკურნებაჲ იგი იაკობისი. | მიერ ეამითვან არღარა მიიქცა შსნებულსა მას. ხოლო მთავარებისკოპოსსა ელიას ვითარცა ესმა ესე ყოველი, წარავლინნა კაცნი და შსნებული იგი იაკობისი დაარღვეს. ხოლო ნეტარმან მამამან ჩუენმან საბა თანაწარიყვანნა ძმანი ლავრისანი რჩეულნი და მივიდეს ადგილსა მას და ვითარ ხუთით უტევანით შორს დარღუეულისა მის,
- 40 ჩრდილოთ-კერძო, აღაშენა ნეტარმან ეგუტერი და გარემოსს სენაკები და და-

918.

ილევლ-
III, 10

92ა

იგავ-
XVII, 11

92ბ.

ადგინა მუნ დიდისა ლავრისაგანნი კაცნი განმგებლად მის ადგილისა, პავლე და ანდრეა, რამეთუ იყვნეს ივინი ნათესავით ელადელნი და ჭორციელად ძმანი, და სხუანიცა ძმანი, დაეშენეს მუნ, და ლავრად ადგილი იგი აღაშენა და სახელი დასდვა მას «შუღ-პირი». ხოლო ადგილი იგი მოიგო კაცისა ერთისა მიერ ბედბუდელისა, რომელსა სახელი ერქუა ზანაგო. და ლუწიდა ნეტარი საბა ადგილსა მას ფრიად; უკუეთუ ვინმე ყვის შესაწირავი დიდსა ლავრასა, მიუძღუნის მათცა ევლოგიაჲ მათი.

40

და ამისსა შემდგომად, ვითარცა წარჴდა როოდენიმე ჟამი, იაკობ, რომელ ზემო წერილ არს, აძას ჰხუდა ქსენადუქობაჲ ლავრასა შინა დიდსა. ამან უქმნის წუენი ძმათა, რომელნი განვიდიან და შეჴკრებდნენ მის ადგილისათჳს | მან ნიქსა. ამან ერთსა შინა დღესა შეაგბო პისარი; დაუშთა მისგანი ვიდრე ორად დღედმდე და გარდაყარა იგი სარკუმლით ქსენადუქისაჲთ ჳევად. იხილა ესე ბერმან ზეგარდამო სენაკით თჳსით და ფარულად შთაჳვიდა ჳევად და შეკრიბა წმიდად პისარი იგი და აღიღო სენაკად, განფინა და განაწმო იგი და, ვითარცა როოდენიმე ჟამი წარჴდა, მოუწოდა იაკობს მხილებად. ვითარცა დაასრულა 15 წელი თჳსი, წმელი იგი პისარი შექმნა კეთილად და დაუგო; და ვითარცა კამდეს, ჰრქუა მას ბერმან: «შემინდვე, მე, ძმაო, რამეთუ არა ვიცი მე, შენელგებაჲ წუენისაჲ; ვიცი, არა გაშუნდეს საჭმელი ესე!» ხოლო მან თჳთა: «ფრიად განვიხარე, პატროსანო მამაო, რამეთუ მრავლიჲ ჟამითგან ესევითარი გემოჲ კეთილი არა მიქამა!» მიუგო ნეტარმან მან და ჰრქუა მას: «გრწმენინ ჩემი, შვილო, 20 ესე იგი პისარი არს, რომელი შენ სარკუმლით ჳევად შთაჴყარე, და ესე უწყოდე, რამეთუ ერთი ქუაბი პისარი ვერ განაგე, რამთამცა აჴამე ძმათა, ხოლო ამის საწუენისაგანი წარ-არავერად-წყმდა». და მერმე თჳთა: «რომელმან მცირისა ამის განგებაჲ ვერ აგო, კრებულმცა ვინამდე იპყრა? ვითარცა იტყჳს ნეტარი პავლე: რომელმან სახლისა თჳსისა განგებაჲ არა იცის, ვითარმე ეკლესიასა 25 ღმრთისასა შეუძლოს განგებად?» | ესე რაჲ ესმა იაკობს, ფრიად სარგებელ ეყო და წარვიდა სენაკად თჳსა.

I ტომი,
III, 5
938

41

იგივე იაკობ ჯდჳ ოდენმე სენაკსა თჳსსა დაყუდებით და განსაცდელი მოუფლინა მას ეშმაქმან,—ფიცხელი გულის-თჳთუმაჲ სიძვისაჲ,—და მრავალჳმ ბრძოლასა მას შინა იყო და დიდითა მით ბრძოლითა შეაურუვა ეშმაქმან გულ-30 სა მისსა და უფროსს განარისხა იგი გინა უცბობითა, გინა დაბნელებითა ეშმაქსაჲთა. საღმრთონი კანონნი დაივიწყნა. მოიღო დანაკი და უწყალოდ სარცხ-ზნელნი თჳსნი გარდაიკუეთნა და მოუძღურდა სისხლისა დინებითა და ჭორცთა ტკაცვილითა, და ჳმა-უყო მახლობელთა თჳსთა და, ვიჴარ შევიდეს ივინი,

- იხილეს წყლულებად იგი მისი და განუკარდა და მოიყვანეს მკურნალთ ვინმე ლავრისად მის და იგი ჰკურნებდა მას. ესე აგრძნა ნეტარმან საბა და; ვითარცა განიკურნა იგი. გამოაძო ლავრით ამისთვის, რამეთუ თავი თუხი მოიკლა. ხოლო იგი ვითარცა განვიდა ლავრით, მიუღდა მონასტრად დიდისა ოვოდო-
- 5 სისსა დი აუწყა მას ყოველი, რად იგი შეემთხვა. და ვითარცა გამოიკითხა ესე ყოველი ნეტარმან თეოდოსი, შთაიყვანა იგი ლავრად და ევედრებოდა იგი ნეტარსა საბას, რათა შეიწყნაროს იგი და, რომელიცა პატივი უნდეს, იგი დასდევს მას. ხოლო ნეტარმან საბა უბრძანა მას, რათა ჯდეს იგი სენაკსა შინა თუსა და გარე არა გამოვიდეს, და ნუცამცა მისა ვინ მივალს, გინა ჰზრა-
- 10 ხავს, თვნიერ მსახურისა მისისა. ხოლო იაკობ შეიწყნარა ბრძანებად იგი ნეტარისა მანისა ჩუენისა საბადასი და ევედრებოდა ღმერთისა მრავალჟამ, რათა შეუნდოს ცოდვად მისი. და გამოეცხადა ნეტარსა მამასა ჩუენსა, ვითარმედ სინანული იგი იაკობისი შეისმინა ღმერთმან. ჰხედვიდა ნეტარი ესე კაცსა ბრწყინვალეთა შემოსილსა, რომელი უჩუენებდა მას; რეცა თუ მკუდარი იღვა წინაშე
- 15 იაკობისა ვიდრე იგი ილოცვიდა. და ჰრქუა მას კაცმან მან: «შეისმინა ღმერთმან ლოცვისა შენისაჲ, იაკობ, არამედ განაყვ ევლი შენი და აღადგინა რომელი ეგე არს წინაშე შენსა». და მან ვითარცა აღადგინა მკუდარი იგი, ჰრქუა ბრწყინვალეთა შემოსილმან მან ნეტარსა ბერსა: «აჰა მკუდარი იგი აიღვა, აწ შენცა განვსენ კრული იგი, რომელმან აღადგინა მკუდარი ეგე!» ხოლო ნეტარი
- 20 ბერი ვითარ მოეგო გონებასა თუსა, გულის-ხმა ყო სახილავი იგი და უბრძანა გამოსლუვად სენაკით იაკობს და მისლუვად ეკლესიად, და შეემთხვა იგი ნეტარსა ბერსა და ყოველნი ძმანი მოიკითხნა. და აღვიდა ნეტარისა თეოდოსისა და შეემთხვა მასცა და შემდგომად მუშედისა დღისა სახილავისა მის აღესრულა მშუდობის სიკუდილითა.

42

- 25 ორნი ძმანი იყვნეს კორციელად დიდსა ლავრასა, რომელნი ღმრთისათუს შეთქმულ იყვნეს ქუეყანით ქებრონით; რომელთა სახელი ერქუა ზანოს და ბენიაშენ, წარმატებულნი ღმრთის-მსახურებასა ფრიად. ესენი ერთად ევედრნეს წმიდასა ბერსა, რათამცა მისცა მათ განშოვრებულად ლავრასა ვითარ ათხუთმეტ უტევენ, რომელ იგი ბლუარით-კერძო მას თუთ აღეშენა სენაკი. ხოლო ნე-
- 30 ტარმან ბერმან უწყდა მათი იგი მუშაკობად ღმრთისა მიმართ, ანება მათ და მისცა სენაკი იგი, და იყოფოდეს მას შინა; ეპყრა მათ იგიცა სენაკი და ლავრისაჲცა. ხოლო ივინი უმეტეს შურებოდეს განშოვრებულსა მას სენაკსა და დიდითა მით შრომითა მათითა და შეწყევითა წმიდისა მამისა ჩუენისა საბადასითა აღგილი იგი მონასტერ ყვეს. რამეთუ საზრდელსა და სხუასა საგმარსა ნე-
- 35 ტარი მამად ჩუენი მისცემდა მათ. და აღვილსა მას შეკრბნეს ძმანი მრავალნი და აღაშენეს ეკლესიაჲ და სატფური ყვეს. და დაუღვა მათ კანონი ნეტარმან მან, ვითარცა სხუათა მონასტერთა, რომელნი მას ეშენეს. ხოლო აღგილი

95ა იგი ვიდრე მოაქადმდე წყალობითა | ღმრთისადათა ყუავის; და დასდევ ადვილსა მას სახელი ზანოსის მონასტერი.

43

იყო ვინმე ბერი ლავრასა შინა, რომელმან დიდსა მონაზონებასა შინა დაასრულა ცხოვრებად თვისი. ესე იყო ქუეყანით ბუთხნიელი, სახელი ერქუა ანთიმოს. ამან წინადაწარ იშენა სენაკი მცირე წიაღწევსა აღმოსავლით-კერძო 5 წინაშე სენაკსა წმიდისა საბაძსა. ესე იყოფოდა სენაკსა მას შინა ოცდაათ წელსა სიბერითა დახაშმდა და იყო იგი ზეაღუდგომ. ხოლო ნეტარი საბა ვითარცა ჰხედვითა მისსა მას უძღურებასა და სწეულებასა ვორცთასა, ევედრებოდა მას, რაათამცა მისცა სენაკი მახლობელად ეკლესიასა ადვილად-მსახურებისათვის. ხოლო ბერმან არა ინება და ჰრქუა ნეტარსა მას: «ამას სენაკსა შინა, 10 მელსა დასაბამითგან ღირს ეიქმენ ყოფად, მიერ განიყვანოს ღმერთთან სული ჩემი». და შემდგომად რაოდენისაჲმე ჟამისა უწინარეს რეკისა აღდგა ნეტარი საბა ჟამსა ღამისასა და ესმოდა ჟამობად დიდი ერისა მრავლისაჲ და ეგრე ეგონა, ვითარმედ ძმათგანი ვინმე აღესრულა და მისთვის შეკრებულ არიან ძმანი ყოველნი და გალობენ; და უჯკრდა და იტყოდა: «ვითარ მე არა მათუწყეს 15 ძმათა ესე?» | და წრათით გარდამოვდა ეკლესიოდ და პოვნა ეკლესიისა კარნი დაწვლენი. და აღვიდა სენაკადვე თვისა ნეტარი ესე და კუალად ესმოდა გალობად მრავლად ვმითა ტკბილითა; ამას გალობასა იტყოდეს: «რაჲეთუ განველო მე ადგილი საყოფელთად საკურველთად სახლსა ღმრთისასა ვმითა გალობისადათა და აღსარებისადათა და ვმითა ზატიკობისადათა. და ცნა, სადა იყო ფსალმუნე- 20 ბისაჲ იგი ვმად, განაღძა დეკანოსსა და ჰრქუა: «დაჰრეკე!» და ვითარცა დაჰრეკა, მივიდა ნეტარი იგი სენაკად ბერისა მის საკუმეველითა და კერიონითა; ვითარცა შევიდა შინა, არავინ პოვა, გარნა იგი ხოლო მარტოდ აღსრულებული. და დაუჯკრდა ყოველთა, რომელნი მოსრულ იყვნეს ნეტარისა ბერისა თანა და შემოსეს პატიოსანი იგი გუამი მისი და მოიღეს ეკლესიოდ და აღასრუ- 25 ლეს მის ზედა განწესებული კანონი და დაჰვლეს იგი საფლავსა ღირსთა თანა და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან აღიდნა წმიდანი მისნი.

95ბ
ფსლ. 41,5

44

ძმად ვინმე იყო ნეტარისა თეოდოსის მონასტრისაჲ, ნათესავით ასიელი, რომელსა სახელი ერქუა აფროდისი. ამას ხუედრებულ იყო ველი მეჯორეობისაჲ | და შემძლებულ იყო იგი თავადისა ტურთისა აღებად და ჯორსა ზედა და- 30 ლებად, რომელ არს ათორმეტი მოდი იფქლი. ხოლო ჰასაკითა უმაღლეს იყო უფროდს ყოველთა მონაზონთა მონასტრისათა. ამას შეჰხუდა ოდესმე გზასა ზედა და გული განუწყრა ჯორისათვის და გულისწყრომითა მისითა სცა პირსა ჯორისასა და შეჰპუსრა იგი, დეცა შეყსულად ჯორი იგი და მოჲდა. ხოლო

აფროდისე აიოკიდა ტვრით იგი ჯორისაჲ მის და პალანი მჭართა თუსთა ზედა და მოვიდა მონასტრად. და განაძო იგი ნეტარმან თეოდოსი მონასტრით მოკლესა მისთჳს ჯორისსა. და შთავიდა იორდანედ და უთხრა შეცოდებაჲ თუსი ნეტარსა იოჰანეს მეგვტელსა, რომელი იყო ქუზიბას, დიდებითა მპრწყინებაჲსა. ხოლო მან ჰრქუა მას: „უუუეთუ გინებს განმართლებად, მივედ ჰამისა ჩუენისა საბაჲსა და, რაჲცა გრქუას, იგიცა ყავ“. და ესე მივიდა მსწრაფლ და აღურა ცოდვაჲ თუსი და ევედრებოდა მას, რაჲთამცა ასწავა-სიტყუჲ ცხოვრებისაჲ. ხოლო მიამამნ ჩუენმან საბა მისცა მას სენაკი და ჰრქუა: „დაჯედ სენაკისა შინა შენსა და სხჳსა სენაკად ნუ შეხუალ, ნუცა ლავრით განხუალ, და შეიკრძალე ენაჲ შენი და მუცელი | და ამით სცხონდე“. ესე ბრძანებაჲ რაჲ მოინეტარისა მისგან აფროდისი, არცა ერთსა ბრძანებასა მისსა გარდაჰკდა და ვიდრე ოცდაათად წლადმდე არცა ლავრით განვიდა, არცა სხჳსა სენაკად შევიდა, არასადა მოვიგო ქოთანი, არცა სამაგიროჲსაჲ, არცა ქალადრი, არცა გემოჲ ღვნისსაჲ იხილა ევკრასი, არცა ორი სამოსელი მოიგო, არამედ პარესსა ზედა წუენ ერთსა ფსათსა და ჰამასა. და მიიღის ფურცელი დანაკის-კუდიისაჲ განმგებელისა მისგან ლავრისა და შექმნის ოთხმოცდაათი სფურიდი თთუესა შინა და მიუთუალეს იგი ქსენადუქარსა, და სხუად ნამეტაჲი, რომელ ქმნის, ნისცის იგი ქსენადუქარსა და მისგან მოიღის წუენი, გინა მხალი, გინა ოსპანი, გინა რომელივე წუენი. ესე ყოველი შეკრიბის და ლანკანსა შთაასნის, რომელ იგი დიდით-დღე მოაქუნ. ესე იყო საზრდელი მისი, გინა დაყროლდის, გინა მატლი დაესხის, არა დასთხიის იგი, არამედ ზედაურთავენ სხუასა მას წუენსა. და დიდითა ტირილითა მისითა და გულს-მოდგინებითა ლოცვისა მისისაჲთა არა უტევრს განსუენებად მოძმეთა მისთა. ესევეითარითა სახითა მონაზონებისაჲთა აღასრულა ოცდაათი იგი წელი; ვითარცა წერილ არს, არასადა დასნეულდა, არცა მწუხარე იქმნა, არცა სტომაჲი შეელმა, არამედ ესევეითარსა დიდებასა ღირს იქმნა, რანეთუ იხილა ერთით კვრიაკით წინა აღსრულებაჲ თუსი და მივიდა ეკლესიაჲ და ევედრებოდა ნეტარსა ჰამასა ჩუენსა საბას, რაჲთამცა განუტევე იგი ერთსა ხოლო დღესა, და მივიდა მონასტრად ნეტარისა თეოდოსისსა; ხოლო ნეტარმან ბერმან ცნა, ვითარმედ მოწეხუალ არს აღსრულეზაჲ მისი, განუტევე იგი და თანაწარაყვანა მის თანა თეოდოლოს ხუცესი, ძმად გელასისი და მიჰრქუა ნეტარისა თეოდოსისა: „ჰაკი შენი შევიწყნარე ოდენსე, რომელსა ჰრქვან აფროდისი, აწ სიხარულით ქრისტესს მიერ მიგავლინე შენ ანგელოზი“. ხოლო ნეტარმან თეოდოსი სიხარულით შევიწყნარა იგი და შეიმთხვა და სიყუარულით ჰურსა თანაირთო და განუტევე იგი მშუდობით. ხოლო აფროდისი, ვითარცა მივიდა ლავრად მცირედ, დასნეულდა და აღსრული მშუდობით. ესე დაჰმარხეს ნეტართა ჰამათა ხუცესთა თანა. ხოლო ნეტარმან საბა უბრძანა მცირედ თუსისაგანრე დადებად პატიოსანი იგი გუამი მისი, რაჲთა საცანაურ იყოს შემდგომად ჟამთა და შეემთხუევიდიან მას, რომელნი შთავიდლოდიან საფლავსა მის.

96b

97a

9 განხუალ.—11 აფროდისი.—19 ლანკანა.—32 აფროდისე.

978 ქალაქი ერთი არს, რომელსა ჰრქვან მედაბა, წილ-იორდანესა აღმოსავალით, საბრძანებელსა ქუეშე არაბიასსა. და მთავარი მის ქალაქისანი მოვიდიან ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსა და მრავალნი სულნი განაძლინან შესაწირავითა მათითა და მონასტერნი იუქლითა და საწუნითა. ხოლო ერთი მათგანი ბერი იყო, რომელსა სახელი ერქუა გერონტი; ესე სნეულ იყო გორ-5 ცითა და დაყო მრავალი ჟამი წმიდასა ქალაქსა, და გულმან უთქუა, რათამცა აღვიდა და ილოცა წმიდასა აღსამაღლებელსა, და აღსუეს იგი კაპრაულსა და აღჰყვანდა მსახურთა მისთა; და ვითარ აღვიდოდა იგი აღმართსა, დაჰფრთსა კაპრაული მისი და გარდმოავდო გერონტი და შემუსრჳ იგი, და მოჰვუარეს მას მკურნალი, ხოლო მკურნალმან განწირა იგი სიკუდილდ. პორფირი ერქუა 10 უმრწემსსა ძმასა მისსა; ამან არაგის რაჲ აზრახა, არამედ შთავიდა ლავრად და ევედრებოდა წმიდასა საბას, რათამცა მოვიდა და იხილა გერონტი, ხოლო მას ნეტარსა ვითარცა ესმა რაჲ იგი შეჰხუდა გერონტის, ფრიად შეწუხნა და 985 მექუსულად ქალაქად წმიდად აღმოვიდა და მოვიდა | გერონტისა. და განიჰყრნა ჯვლნი და ლოცვა ყო მისთჳს და ცხოველისა ჯუარისა ზეთი სცხო მას; და 15 განიკურნა იგი და უჯკრდა ყოველთა ესევეითარი ესე საკრველი საქმს მშჳლობით.

ამისჳ შემდგომად წარჯდა რაოდენიმე ჟამი. ძს გერონტისი, რომელსა სახელი ერქუა თომა, მოვიდა იერიქოდ დიდისა ლავრისა ქსენადუქსა მწუხრ, უჟამოსა ჟამსა სიმშლისასა, და პოვნა მუნ საბა და თეოდორე და პავლე, კას-20 ტელისა და საბილენისა განმგებელნი. ხოლო ნეტარმან საბა ვითარცა იხილა იგი, განიხარა და ჰრქუა ქსენადუქარსა: «მოგვმზადე ჩუენ სერი!» და ვითარცა დასხდეს, ჰკითხა ქსენადუქარსა: «უკუეთუ გიდგს ღვნი?» ხოლო მან ჰრქუა: «ყოველთადე არა გვდგს, გარნა აყიროსა მცირედ ძმარი მიდგს შესანლებულად წუენისათჳს». ხოლო ნეტარმან ჰრქუა მას: «მომართუ მე აყიროჲ იგი, და 25 კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ მისგან განვიხაროთ, რომელმან წყალი ღვნიოდ გარდაჰქცია, ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან, იგივე შემძლებელ არს ძმრისა ამისა გარდაჰქცევად ღვნიოდ». ესე ვითარცა თქუა წმიდამან მან, ასუა მათ აყირომასა მისგან, და იპოვა ძმარი იგი ღვნი კეთილ ფრიად; და განუჯრდა 988 თომას დიდებული ესე საკრველი. | და ჰრქუა ნეტარმან საბა ქსენადუქარსა 30 მას: «მოილე ცეცხლი ადრე და დაასხ საკუმეველი; რამეთუ მოხედვიან ღმრთისაჲ იქმნა ჩუენ შორის ჟამსა ამას», და ესოდენ იკურთხა აყირომასა იგი ღვნიოდ, რამეთუ სამსა დღესა სუმიდეს იგინი უხუეზით ყოველნი. ხოლო თომას ვითარ უჯრდა ფრიად სასწაული, ესე, ევედრა ბერსა, რათამცა მისცა აყიროჲ იგი

და წარიღო სახიდ თჳსა. ხოლო წმიდამან საბა მისცა აყიროდ იგი და თომა მიიღო და წარვიდა და სუმიდეს ღვინოსა მას, რომელი დაშთომილ იყო აყიროსა მას, თომა და მისთანანი იგი, ვიდრე მისლვადმდე მათა მედბად. ესე მითხრა ჩუენ აბბა გერონტი, რომელი განმგებელ არს აწ ნეტარისა ეფთჳმის მონას-
 5 ტერსა; არამედ გერონტის ძის წულმან, თომამს ძემან, ესეცა გუაუწყავე: «რამეთუ გუაქუნდა ჩუენ აყიროდ იგი სახლსა შინა ჩუენსა მრავალთა წელთა, და ოდეს ვინ დასწულდის, აღვაესით იგი წყლითა და გარდავასხით სწეულსა მას და მუნქუესვე მოჰქარდის სწეულებად იგი ჯორცთა მისთა.

47

ღმრთის-მსახურებისად ესე მოღუაწჳ მამად ჩუენი საბა შთავიღოდა იერი-
 10 ქით იორდანედ მოწაფისა თჳსისა თანა; და შეემთხვენეს ერისკებანი ვინმე, რომელითა თანა იყო ქალი შუენიერი. და ვითარ ივინი ვარეწარჰქედეს, გამოსცდი-
 და ბერი მოწაფესა თჳსსა და ჰრქუა: «ვითარ შუენიერ არს ქალი ესე, რომელ ვარეწარგუენდა, და არს იგი ერთ-თუალი». და ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: «არა, მამო, ორნივე თუალნი ასხენ!» ხოლო ბერმან მიუგო და ჰქუა: «სცეთ,
 15 შვილო, ერთ-თუალი არს!» ხოლო იგი დამტკიცებულად იტყოდა: «არა ერთ-თუალი არს, არამედ დიდად ხოლო თუალითა შუენიერ არს». და ჰრქუა მას ბერმან: «და შენ ვითარ-სახედ განიცადე ეგრესთ?» ხოლო მოწაფემან მან ჰრქუა: «მე, მამო, კეთილად განიცადე, რამეთუ ორნივე თუალნი ასხენ». ხოლო ბერ-
 მან ჰრქუა მას: «და სადა წერილ არს, რაათა „შენ თუალნი მიადგენ მას და წა-
 20 მითა შენითა იხილო იგი“, რამეთუ, ვითარცა ცეცხლი შემწუეველი, ეგრე არს; დაიჯერე, ძმო, არღარა იყო ჩემთანა სენაკსა შინა, რამეთუ არა შეიკრძალენ თუალნი შენნი, ვითარცა იგი შეჰვაეს». და წარავლინა იგი მონასტერსა კას-
 ტელისასა, და დაყო მუნ ჟამი რაოდენიმე და თავი თჳსი დიდად დაიტანჯა თუალთა დაცვითა და გულისა ზრახვითა. მამინდი შეიწყნარა იგი ნეტარმან
 25 საბა და მისცა მას სენჯი საყოფლად მისა.

99a

იგავ. VI. 15

48

მაგიროსმან ლავრისამან შევაბო ოდესმე აყიროდ ხუროთათჳს და ჟამსა
 | კამისასა იხილა გემოდ და პოვა, რამეთუ მწარე იყო. და შეწუნა იგი ფრიად,
 რამეთუ სხუად არღარად აქუნდა, რამცა დაუგო ხუროთა, და წარვიდა სირ-
 ბილით ნეტარისა ბერისა და უთხრა მას, რად იგი შეემთხვა. ხოლო წმიდად
 30 ესე მოვიდა და ქუაბსა მას დასწერა ნიში ჯუარისად და ჰრქუა მაგიროსსა მას: «ვიდოდე, კურთხეულ არს უჴალი, დაუგე ტაბლესა!» და მყის დატკენა აყიროდ იგი და კამეს ყოველთა და განძლეს და ადიდებდენ ღმერთსა.

99b

22 შეშვაეს.

12. «კიმენი», II.

ეგ წმიდა მღვდელი მივიდოდა ადგილით რუბაჲთ სალერწმესა იორდა-
 ნისა კიდისასა და შეემთხვა მას ლომი ფრიად დიდი და მკვლობელი. და შეუ-
 ერდა მას და უჩუნა ფერჯი იგი, რომლითა კელობდა, და თულთა წამის-
 ყოფითა ევედრებოდა მას, რათამცა ულხინა. ხოლო მამამან ჩუენმან საბა გუ-
 ლის-ხმა ყო მვეცისაჲ მის ტკიელი და აღუპყრა ფერჯი მისი და ჩნდჷ აღსობილი 5
 გამოჰჳდა მას. და მუნქუესვე დაუცხრა საღმობაჲ იგი ლომსა მას და ვიდოდა
 იგი მშდობით. მიერ ჟამითგან ორმოცთა მათ დღეთა მარხვისათა უკუნა
 100ა შეუღდა, ვითარცა მონაჲ. თანა ჰყვანდა | მას ჟამსა წმიდასა მღვდელსა მოწაფჷს
 ასური, რომელსა სახელი ერქუა ფლაიანოს. იყო რაჲ იგი რუბას ქუენა, ამას
 ედგა კაპრაული სამსახურებელად თჳსა. და ვითარცა წარავლინის ნეტარმან 10
 მან მოწაფჷ იგი, ნუ ვიდრე [დაბრუნებადმდე მისა] უბრძანის ლომსა მას, რაჲ-
 თა სკვიდეს კაპრაულსა მას მისსა. ხოლო ლომმან მან რაჲცა განთიად შეუპყ-
 რის სახელი კბილითა თჳსითა კაპრაულსა მას, წარბის და აძოვებნ დღე ყო-
 ველ და მწუხრისა ჟამსა წყალი ასჯს და მოიბის იჯსსავე ადგილსა. და წარგ-
 დეს რაოდენნიმე დღენი და ლომი იგი ამას საქმესა აღასრულებდა. მერმეცა 15
 წარავლინა ნეტარმან მან მოწაფჷს იგი ფლაიანოს საქმედ, ხოლო მან ცხოვერ-
 ბაჲ თჳსი უდებ ყო ამპარტეიანობით, რამეთუ შევარდა იგი სიძესა და დაეცა.
 ხოლო ლომმან მან მასვე დღესა შექუსრა ვირი იგი და საკმეოდ თჳსად და-
 იღვა. ვითარცა გულის-ხმა ყო ფლაიანოს, რამეთუ ცოდვითა მისითა მიეცა
 ლომსა საკმელად კაპრაული იგი მისი, მიერთგან ვერღარა იკადრა ხილვად 20
 ნეტარისა მის ბერისა. განიწირა თავი აჳსი მედგრად, წარვიდა და იყოფოდა
 თჳსსა სოფელსა და დაეგლოვდა თჳსთა ცოდვათა. ხოლო ღმრთის-მსახური იგი
 100ბ ბერი უფლისა კაცთ-მოყუარებასა | მიემსგავსებოდა და არა უდებ ყო ესე, არა-
 მედ დიდად ეძიებდა მას და პოვა იგი წყალობითა ქრისტესითა და ნუგეშინის-
 ცემდა და ასწავებდა და დაცემისა მისგან აღადგინა და აცხოვნა იგი. და შე-
 აყენა მან თავი თჳსი და შეინანა გულთიად და სათრი იყო ღმერთსა სრულიად.

სამეოცდარეათსამეტესა წელსა წმიდისა საბაჲსსა ჰასაკისა ჟამთა შთა-
 ვარებისკოპოსსა იერუსალმისისა ელიას უნდა მონასტრისა მამასახლისთა წარ-
 ვლინებჲჲ კონსტანტინეპოლისა და მოუწოდა მამასა ჩუენსა საბას, ევედრებო-
 და მას, რათამცა აღვიდა მათ თანა და, რაოდენ შემძლებელ იყოს, ილუწი- 30
 დეს, რათა იყოს შეუძრველად დედაჲ ეკლესიათაჲ. რამეთუ გარისხებულ იყო
 ანასტასი მეფჷს ფრიად ეკლესიათათჳს ყოვლისა პალესტინისათა და უნდა გარ-
 დაქცევაჲ მათი. ხოლო რომლისათჳს იყო რისხეაჲ და გულისწყრომაჲ მეფისაჲ
 მთავარებისკოპოსისა ზედა, მცირედითა სიტყუათ ვთჳუა. ნეტარმან ელია

იერუსალემისა მთავარებისკოპოსობაჲ რად დაიპყრა, მესამესა წელსა ანატასის მეფობასა, შემფოთნა წმიდა ეკლესიად და განიყო ამის სახისათჳს: ჰრომოთა მთავარებისკოპოსს გულსა აკლდა | და იურვოდეს ჰრომნი კოსტანტინეპოლელთათჳს, რამეთუ აქსეგბედეს ივინი საღმრთოთა შინა სახელთა აღწერილთა აკოსის ვისმე, რომელი ყოფილ იყო კოსტანტინეპოლის მთავარებისკოპოს: ხოლო კოსტანტინეპოლელი იურვოდეს ალექსანდრიელთათჳს, რამეთუ შეაჩუენეს მათ შეკრებაჲ იგი, რომელი იყო ქალკიდონს წმიდათა ებისკოპოსთაჲ, და მათგან რომელ განგებულ იყო, იგი აღიარეს წვალებად, რომელ იყო დიოსკორსი. ხოლო ნეტარმან ელია მთავარებისკოპოსმან იერუსალემისამან დასაუალით-კერძო სხუსად არავისი მოითულა შჯული და ზიარებაჲ, თუნიერ ეფთჳმის მთავარებისკოპოსისა კოსტანტინეპოლელისა. ხოლო პალადი ანტიოქელ მთავარებისკოპოსისი მიერჩნდა მეფესა და შეაჩუენა კრებაჲ იგი ქალკიდონისა და შეერთო იგი ალექსანდრიელთა. მაშინ ეფთჳმი მთავარებისკოპოსი კოსტანტინეპოლელი ქადაგებდა და აღიარებდა შეკრებასა მას ქალკიდონისასა და მათსა მას თქუმულსა, და ამისთჳს გარდაადგინა იგი მეფემან ებისკოპოსებისაგან ცილის-შეწამებით [და] შეთქმითა ალექსანდრიელთა და ანტიოქელთაჲთა. ელია, მთავარებისკოპოსისა იერუსალემისასა, არღა დაესრულა მეორჳ წელი | ებისკოპოქოსებასა, ესე ნეტარი ეფთჳმის გარდადგინებასა არა შეერთო, არამედ პოვი მართლმადიდებელი სამღვდელისა მისსა ქუეშე ებისკოპოსი, რომელსა სახელი ერქუა მაკედონი, და ესე თანაზიარად აქუნდა. ვითარცა ესმა ერთობად მათი მეფესა, განრისხნა ფრიად და არამიკირედ. და შემდგომად პალადის აღსრულებისა, ანტიოქელ მთავარებისკოპოსისა, ფლაბიანოს დადგა მისსა ადგილსა. და იყენეს ფლაბიანოს და ელია ერთობით მართლსარწმუნოებასა ზედა. ამით ვითარცა ესმა მეფესა ერთობად პირველადეე მძევარჳ იგი უფროჲს ხოლო განრისხნა და უნდა, რათამცა პატივი მიაწია მათ ზედა. წინაჲსწარი ცილი შესწაჲა მაკედონის და ცვალა იგი ებისკოპოსებისაგან და მისსა ადგილსა დაადგინა ტიმოთე; ფლაბიანოსს და ელისა მთავარებისკოპოსთა აწუეგდა მეფჳ, რათამცა ერჩდეს დადგინებასა ტიმოთსსა. ხოლო მათ ნებასცეს ტიმოთსს დადგინებასა, გარნა მაკედონის გარდადგინებასა ურჩ ექმნეს. და ორთავე მათ ზედა ფრიად აღიძრა მეფჳ და შიში დიდი იყო ორთავე მათ ზედა ეკლესიათა. ამის სახისათჳს ნეტარმან ელია მთავარებისკოპოსმან | წარავლინა ნეტარი მამად ჩუენი საბა, ვითარცა ზემო წერილ არს, და სხუანი მამასახლისნი მონასტრისანი და მიწერა მეფისა ესრეთ და თქუა: «გამორჩეული მონად ღმრთისაჲ, კეთილი და სარწმუნოა, და ყოველთა მეუღაბნოეთა წინამძღუარი საბა და ქალაქ-ყოფელი უდაბნოთაჲ, და ყოველისა პალესტინისა ბრწყინვალჳ ესე, სხუათა მამასახლისთა თანა მივალინე ვედრებად შენდა თუთმპყრობელისა. და ვითარცა მიწერა წიგნი ესე მთავარებისკოპოსმან ელია მეფისა, ნეტარი მამად ჩუენი საბა მღვდელთ-მოდღუარსა მას არა ურჩ ექმნა, არამედ აღასრულა ბრძანებაჲ მისი და გულს-მოდგინედ წარემართა; უნდა, უკუეთუმცა ვითა შეეძლო, კათოლიკე ეკლესიასა შეწყენად და მართლ-სარწმუნოებასა, რამეთუ იყენეს ჰირსა შინა ეკლესიანი. და

1028 ვითარცა წარემართა ნეტარი ესე გზასა მას, მეფე ანასტასი უფრომსად გან-
რისხებულ იყო გულისწყრომით ფლაბიანუს და ელიაძს ზედა მთავარებისკო-
პოსთა. და ბრძანა შეკრება ეპისკოპოსთაჲ, რომელნი არიან აღმოსავალით; და
პალესტინელთაჲ სიღონს ქალაქსა და მთავრად კრებულისა მის ბრძანა | მისლ-
ვად, რომელსა სახელი ერქუა სოტერიკოს, ეპისკოპოსი ქალაქისა კესარიი კა- 5
ბალუკიასაჲ, და ფილოქსენოს, ქალაქისა იერეპოლისისაჲ. ესენი იყვნეს, რო-
მელთა შეეჩუნა თქუმული კრებულისა ქალკიდონისაჲ და ეცუქჳის და დიოსკო-
რუს წვალეზასა ერჩლეს.

51

ხოლო ნეტარი საბა და მისთანანი; რომელ წარეველინეს მამანი, მიიწი-
ნეს კოსტანტინეპოლისა; და აუწყეს მეფესა, და ბრძანა შესლვად მათი. ხოლო 10
რომელმან ადიდნის მადიდებელი თჳსნი, ღმერთმან, უნდა, რაჲთა გამოაჩინოს
მონაჲ თჳსი საბა, ესრეთ განჰმზადა: ყოველნი ვითარ შევიდეს პალატად, მი-
იწივნეს ტაძარსა შინაგანსა, რომელსა ჰრქვან სელენტიართაჲ; და რაჲამს შე-
ვიდოდეს, სხუანი მამასახლისნი შეუტყვენს, ხოლო ესე დიდი მპრწყენვალჲ გა-
რეუქმოადგინეს, ვითარცა გლახაკი და შეურაცხი და ყოველთა უმცირესი. არა 15
შეუტყვეს იგი სამოსლისა მისთჳს, რომელ ემოსა, დიდად დაბეჭული და შეუ-
რაცხი. ხოლო მეფემან ანასტასი სიხარულით შეიწყნარნა მამანი და ვითარ აღ-
მოიკითხა წიგნი იგი, მოწერილი მთავარეპისკოპოსისა მიერ, და ქებულსა მას
ეძიებდა, წმიდასა საბას, მამანი ჰხედვიდეს აქა და იქი და არა უწყოდეს, ვი-
თარ განეშოვრა | იგი მათგან. ხოლო მეფემან ბრძანა მოძიებდა მისი წრაფით. 20
და შეწოდონეს ყოველნი წინაშემდგომელნი და გამოავლინეს სელენტიარნი და
პოვეს იგი ყურესა მდგომარჲ ტაძარსა ერთსა, რომელსა ჰრქვან კოსის ჭორიონ,
დგა და ფსალმუნებდა თჳსისაგან. წარიტაცეს იგი და შეიყვანეს შინაგანსა კარ-
სა; და ვითარცა ეზოჲ აღიპურეს, იხილა, მეფემან სახედ ანგელოზისა ნათლისა,
რომელი წინაუძლოდა მას, ზეადღვა და, ვითარცა ჯერ-იყო მისა, ეგრე შეიმთხა 25
იგი და უბრძანა მათ დასხდომიად, რამეთუ იყო მონაზონთ-მოყუარე, დაღათუ ურ-
წყუნოთაჲ გარდაქცულ იყო მარათლსარწმუნოებასა წინააღდგომად. და იყო
სიტყუად წინაშე მეფისა და თითოეული მამასახლისი აუხისა მონასტრისათჳს
იღუწიდა. რომელმანმე თქუა: «გარემოჲს მონასტერსა ჩემსა არს ადგილი და
მო-მი-შორე», და სხუამან სხუად ითხოვა. ხოლო მეფემან თითოეულსა მიანიჭა 30
თხოვისაებრ მათისა, ვითარცა ვინ ითხოვა. მაშინ მიუგო და ჰრქუა წმიდასა
საბას: «ყუთილო ბერო, არღარას ითხოვდ შენ, რომლისა სახისათჳს ესოდენი
შრომაჲ შეიმთხვე?» მიუგო ბერმან და ჰრქუა: «მოვედ პირველად თავყანის-ცე-
მად | ფერვათა შენთა და ღმრთის-მსახურებასა შენსა, ვიდრე ესე სული ჯოც-
თა ამათლა შინა-არს; მერმე გვედრებდი შენ წმიდისა ქალაქისა იერუსალჳმისა-
თჳს და მას შინა მყოფისა ღირსისა მთავარეპისკოპოსისათჳს, რაჲთა მშულობაჲ
მიჰვიწყო ეკლესიათა ჩუენთა და უზრუნველობაჲ საკურთხეველთა მის ადგილი-»

სათა. უკუეთუ ეკლესიანი ჩუენნი მშუდობით იყვნენ, ჩუენცა ყუდროვებით ვი-
ყოფოდით, და განმრავლდენ მოშიშნი ღმრთისანი, და დღჲ და ღამჲ უფროს
ეკოლცვიდეთ მშუდობასა შენსა და ღმრთის-მოყუარებისა შჯულსა შენსა გან-
ვისუენებდეთ». ხოლო მეფემან უბრძანა ათასისა დრაჰინისა მოღებად და ჰრქუა:
5 «მიიღე ესე, მამაო, და ლოცვა-ყავ ჩუენთჲს, რამეთუ მესმა, ვითარმედ მრავალ-
თა მონასტერთა უღაბნოვასათა ჰლუწი შენ!» და ნეტარმან საბა ჰრქუა: «მინებს
აქა დადგომად ამას ზამთარსა და ოდესეუ ღირს ვიქმნე შენსა ღმრთის-მსახურე-
ბასა თავიანის-ცემად». მაშინ მეფემან განუტევენა სხუანი იგი მამანი, რათაჲ
წარვიდენ პალესტინედ, და მისი ბრძანა, რათა მუნ დაიხამებოდა და, ოდეს
10 უნდეს შემოსლვად ჩემ წინაშე, ნუცა ვინ აყენებს მას.

52

და ვითარცა დღენი რაოდენნიმე წარცდეს, მოუწოდა მას | მეფემან და 104ა
ჰრქუა: «თქუენი მთავარებისკოპოსი წინაღღგომად გამოჩნდა და ნესტორის
თქუმულნი არად შეჰრაცხნა, არამედ კრებული ქალკილონისაჲ დაამტკიცა. არა
ხოლო თუ ესე, არამედ თანაღბაძეა ფლაბიანოს ანტიოქელ მთავარებისკოპო-
15 სი. ესე გულსა-ედვა ყოველთა, რომელნი შეკრებულ იყვნეს სილონს ქალაქსა,
რათამცა შეჩუენეს თქუმული კრებულთა ქალკილონისათაჲ, ამან დააყენა შე-
ყოფითა მთავარებისკოპოსისა ფლაბიანოსისთა და ეგრე ჰგონიეს, ვითარმედ გან-
კიცხა ჩუენი ესე მეფობად, რამეთუ მოჰრქუა თჲსითა სიტყუთა და თქუა ჩუენ-
და მომართ: «ყოველი წვალეზად, რომელი იყოს გარეშე მართლსარწმუნოებასა,
20 ამას განვაძებთ [და ყოველსა], რომელი არა ეზიარების კრებულსა ქალკილონ-
სასა». და ეგრე ჰგონებს, ვითარმედ სიტყუთა გუჯატუენს; რომელთა [უნებნ,
რათაჲ] დაემტკიცა შეჩუენებაჲ ქალკილონისაჲ, ამით არა უტევეს და განაბნი-
ნეს. და ესეცა არა დამეიწყებთ, არცა აწ და არცა წინაით, გარდადგინებულ-
თა მით ეფთჲსისი და მაკედონისი, რომელთა შჯული ნესტორისი არა შეიწყ-
25 ნარეს. ამისთჲს წინააღმდგომ იქმნა ესე თქუმულისა მისთჲს, რომელი ითქუა
ნესტორის ზედა შეკრებულთა მათგან ქალკილონს. და ამასცა ვბრძანებთ, ვი-
თარცა უშჯულოვასა ებისკოპოსებისაგან | განძებასა, და კაცი მართლმადიდებ- 104ბ
ლი და წმიდისა მის სამოციქულოვასა საყდრისა ღირსი დაესუთ, რათა არა
წმიდანი იგი აღვიღნი იგინებოდიან». ესე ვითარცა წართქუა მეფემან, მიუგო
30 წმიდამან მამამან ჩუენმან საბა და ჰრქუა: «დაჯერებულ იყავ შენი მშუდობაჲ,
რამეთუ წმიდისა ღმრთისა ქალაქისა ჩუენი მთავარებისკოპოსი პირველთა
მბრწყინვალეთა მამათა და სასწაულთა მოქმედთა ჩუენთა მეუღაბნოეთა და
ღმრთის-მსახურთაგან განისწავლა და ერთფერად განაძებს წვალეზასა ნესტო-
რისსა და ეეტქვისსა. ხოლო მართლსარწმუნოებითა ეკლესიისა შეუვაზასა ვალს
35 და «არცა მარჯულ და არცა მარცხლ» წერილისა მისგან «გარდაქცევაჲ უნებს»,
არამედ შეუდგეს იგი წმიდისა კვირილე ალექსანდრიელ ებისკოპოსისა თქუმულსა.
ხოლო წინააღმდგომთა მათ, რომელნი წინააღმდგებიან მას სხუთა შჯულითა,

მეორეჲ.
V, 32

შეაზუნებს. გვედრებით შენსა ღმრთის-მოყუარებასა, რაათა მშვედობით და ყულ-
როებით იყოს წმიდაჲ ქალაქი იერუსალჴში, რომელსა ზედა გამოჩნდა დიდი
ღმრთის-მსახურებისა საკვრველბაჲ, რაათა შეურყეველ იყოს მის ადგილისა
მღვდელმთავრობაჲ. და მეფემან გულის-ხმა ყო მოხუცებულისა მის სიწმიდჴს
და | სიწრფოებაჲ და სულისა მისისა ღირსებაჲ. მიუგო და ჰრქუა მას: «ქეშმა-
რიტად, კეთილო ბერო, კეთილად წერილ არს საღმრთოთა წიგნთა: «რომელი
ვიდოდის სიწრფოებით, ვიდოდის იგი სასოებით», არამედ ლოცვასა ხოლო
მოგვჴსენენ და ნურას ჰზრუნავ, არარაჲ შევამთხზო ბოროტი მთავარებისკოპოს-
სა თქუენსა შენისა სიწმიდისათჴს და ყოვლითა განკურნებითა განგიტევო შენ
მშვედობით წარსლვად.»

1055
იგზ. X, 9

106

53

და ესრჴთ გამოვიდა მეფისაგან მოხუცებული იგი და შევიდა დედოფლი-
სა არიადნჴსსა და აკურთხა იგი და ევედრებოდა მას, რაათამცა თანდაუდგა
მართლსარწმუნოებასა წმიდისა მამისა მისისა ლეონტის დიდისა მეფისასა. და
ჰრქუა მას დედოფალმან: «კეთილად იტყჴ, კეთილო ბერო, უკუეთუ არს ვინ,
რომელმან ისმინოს!» და ესრჴთ გამოვიდა მისგან და ევლტოდა შფოთსა ქა-
ლაქისასა და განვიდა ქალაქით და იყოფოდა ადგილსა ერთსა რუფინჴსსა და
დემოსტრატჴსსა. ხოლო ივლიანა პატრიკიაჲ, ვალენტიანჴს მეფისა ძისწული,
და ანასტასია, პატრიკიოსის [პომპეოსის] ცოლი, მოყუასი მისი, რომელი აქა-
მოდის მთასა ზეთის-ხილთასა საქმითა მონაზონთათაჲ ბრწყინავს, ესენი წუს-
წუთ მოუვლიან ნეტარსა მას, სადა იგი იყოფოდა, თავყანის-ცემედ და ისწავე-
ბედ საკვრველსა მას მოძღურებასა | მისსა და იხარებდ. ესენი იყენეს ფრიად
მორწმუნე და მართლმადიდებელ და სხუათა სიმართლისა საქმეთა მომპოვნებელ.

1056

20

54

შემდგომად მცირედთა დღეთა მოუწოდა მეფემან ნეტარსა საბას და,
ვითარცა შევიდა იგი მის წინაშე, წარმოიღეს სიტყუჲჲ წმიდისა ქალაქისა
იერუსალჴმისათჴს. ხოლო ნეტარი იგი ევედრებოდა და თქუა: «ყოველი სა-
ბერძნეთისა ქუეყანაჲ ჰმადლობს შენსა ღმრთის-მსახურებასა, გან-რაჲ-თავი-
სუფლდეს უწანარჴს ათსამეტისა წლისა ეამთა უჯეროჲსა მისგან ხარკისა,
რომელსა მოჴვდიდეს უმეტჴსსა. აწცა გვედრები შენ, რაათა აღუმცირო რო-
მელ იგი უმეტჴსი დასდევს წმიდასა ანასტასიასა და მკვდრთა წმიდისა ქალა-
ქისათა. რომელი მიზეზი არს, ვითხრა შენ: რამეთუ რაჲცა ხარკის მოჴვდა მნე-
თა პალესტინისათა დააკლდის, ვითარ ასი ლიტრაჲ ოქროჲ, მკოდოვთაგან და
მედგართა, და ესელა ვერ მოჴვადიან მათ, უნებლიად განუყვიან ხარკისა მომჴ-
დელთა თითოეულსა მსგავსად ძალისა, და მოჴვდიან და შეკრიბიან ასი იგი-
ლიტრაჲ ოქროჲ, რომელი ზედადასდვიან თითოეულთა ადგილთა, წმიდასა ანას-

30

2 იერუსალემი.—4 მოხუცებულისა.—12 არიადნჴსსა.—18 ცოლი ასული.—24 წმიდი-
საჲ.—25 იერუსალემისათჴს.—27 ათცამეტისა.

- ტასისა და სხუათა ეკლესიათა და ქალაქისა მკვდრთა, ამას უმეტეს. ხოლო გვედრები ხარკისა მოვდასა, რაჟთა აღიღო. ხოლო მეფემან ისმინა მოხუცებულისა მის და მოუწოდა ებარქოსსა, რომელსა სახელი | ერქუა ზოტიკე, და უბრძანა მას, რაჟთა აჭადლოს ნამეტნავი იგი ხარკი პალესტინელთა, და ესე 106ა
- 5 შენდობაჲ წმიდასა ქალაქსა მიანიჭა. და ვითარცა დამეტკიცნა სიტყუაჲ ესე ამით შორის, აღ-ვინმე-დგა, რომელსა სახელი ერქუა მარინე, საცს რისხვითა, და შენდობითა ღმრთისაჲთა სამეფოს შინა აქუნდა განგებაჲ და სიმაღლითა გულისა მისისაჲთა შეურაცხყოფდა ბრძანებასა მეფისასა. ამას ვითარ ესა შენ-
- 10 შენდობაჲ იგი, რამეთუ ესრე ჰრქუა მეფესა: «ნესტორიანნი და ჰურიანი არიან მყოფნი იერუსალმისანი და არა ღირს არიან ნიჭსა მეფისასა». ხოლო წმიდაჲ საბა აღიესო სულითა წმიდითა და ჰრქუა მარინეს: «ჴ მარინე, შემაწუხე! დასცხერ, რომელი ეგე არა უტეგებ კეთილის საქმედ მეფესა, დასცხერ, რომელი ეგე ჰბრძე ეკლესიათა ღმრთისათა, დასცხერ საფასის მოყუარეო ბოროტო
- 15 და დაიციე თავი შენი! უკუეთუ ჩემი არა ისმინო, შემდგომად მცირედთა დღეთა მოიწიოს შენ ზედა ბოროტი და მეფისა ზედა არამცირჲ ჭირი მოაწიო, და თავადსა ქალაქსა, და განაწმინდედ შენ ყოვლისაჲან მონაგებისა შენისა წამსა შინა თულისასა და სახლი შენი ცეცხლითა დაწუეს». ესე ვითარცა ჰრქუა წმიდამან საბა მარინეს წინაშე მეფისა; წარფელითა გულითა და გონებითა გან-
- 20 მარტებულითა ევედრა მეფესა, რაჟთამცა განუტევა იგი შთასლვად პალესტი-ნედ. და მოიღო ნეტარმან მან სხუად ათასი ღრაჰკანი ველთაგან მეფისათა და იჴმნა და შთავიდა პალესტინედ ნავითა | თთუესა მისისა, ინდიკტიონსა ხუთსა. 106ბ
- ხოლო ხარკისა მისგანი მცირედ ნურაჲ შეუნდო პალესტინელთა და სხუად რაოდენიმე შეენდო ღმრთის-მოყუარისა მეფისა ჩუენისა იუსტინეს ზე. ევდრებითა
- 25 და წიგნის წერითა მამისა ჩუენისა საბაჲსითა და სხუათა მამასახლისთა მეუღაბნოეთაჲთა, ხოლო სრულად შენდობაჲ ხარკისა მის ღმრთის-მსახურისა მეფისა იუსტინიანოსის ზე იჴმნა შუამდგომლობითა ჰაპა ეცებისითა და ესეცა უკუანადსკნელ. ხოლო მარინესთჳს რომელ იგი წინაწარმეტყუელებით თჳთა ნეტარმან მან მონამან ღმრთისამან, აღესრულა. და არა წარჯდეს მცირედნი დღე-
- 30 ნი, შეიღალნეს კაბუენი ქალაქისანი და სახლი მარინესი ცეცხლითა დაიწუა, და რომელ იგი წინავე ჰრქუა ბერმან, ყოველი აღესრულა. ესე მითხრა მე ანასტასია, რომელი არს მთასა ზეთის ხილთასა, რომელსა შეუმოსიეს სახჲ მონა-ზონებისაჲ და ბრწყინავს იგი წყალობითა ქრისტესითა და სიხარულითა, რამეთუ იყო ესე თჳსი მეფისაჲ. ხოლო ნეტარმან მამამან ჩუენმან საბა დიდადი
- 35 ოქროჲ განუძღუნა კოსტანტინეპოლისით თჳსსა დაბასა, რომელსა ჰრქვან მეტალასკენ, რაჟთა აღაშწნოს მუნ მამული იგი სახლი მისი ეკლესიად წმიდათა მარტურთა კოზმა და დამიანეს სახელისათჳს, რომელი აღაშწნა.

55

- 107ა მამა ვისმე ერქუა მთავარმამასახლისსა | მონაზონთა მწვალებელთასა
 ელეთერეპოლისით-კერძო, და სხუასა კაცსა, რომელსა სევერე ერქუა, იყო ესე-
 ვანმგებელი წვალებისა მის, რომელსა ჰრქვან «უწინამძღუროთაჲ». აჰან მამა
 წარიყვანა სევერე და აღვიდა კოსტანტინეპოლისა შესმენად მართლსაწმუნო-
 ბისა და დიდი ჯელმწიფებჲა პოვა წინაშე მეფისა. და შემდგომად მცირედთა 5
 ჟამთა განრისხნა მამა სევერსს ზედა ფრიად, ხოლო ნეტარმან საბა შეილი-
 ჳნა მამა და შთამოიყვანა იგი იერუსალმდ და ევედრებოდა მას, რაჲთამცა
 განემოვრნა იგი გარდაქცეულსა მას შჯულსა და კათოლიკე ეკლესიასა ეზიარა.
 და დიდითა შრომითა მისითა მოაქცია იგი და მიჰუარა იგი მთავარეპისკოპოსსა
 ელიას და მიითულა მან თქუმული იგი შეკრებულთა მათ ქალკიდონისათაჲ და 10
 ეზიარა იგი წმიდასა ეკლესიასა. და შეჩუნებად სცეს მას ეეტჯქისი და დიოს-
 კორსი შჯული და შრომითა თვისითა ასწავებდა მას სიმართლესა მას სარწმუ-
 ნოებისასა, ესე ვითარცა ესმა მეფესა ანასტასის, განრისხნა გულსწყაროთ
 ელიასა ზედა მთავარეპისკოპოსისა. ხოლო ნეტარმან მამამან ჩუნემან საბა
 შთამოღებული იგი ოქროჲ განუყო მონასტრებსა მისსა, ხოლო რომელნი 15
 107ბ იგი იყვნეს მის თანა მოწაფენი კოსტანტინეპოლისს, | გულკლებულ იქმნეს
 ოქროჲსა მის განყიდვისათჲს. მიუგო და ჰრქუა მათ ნეტარმან საბა: «დალათუ
 ჩუნენ ჳორციელად დაეშუერით, ხოლო ესენი სულეირად ილუწიდეს, და ლოც-
 ვითა მაგათითა მოგჳყვანან ჩუნენ ღმერთმან». ესე სახედ დავითისა ყო ნეტარ-
 მან აჰან: ვითარცა იგი, რომელნი ბრძოლასა შინა დაშურეს, და რომელნი 20
 მცველად დაეტევნეს, მათ ევრევე მისცა. დავით ნაწილი.

56

- ჟამი არს, რაჲთა ვთქუათ ნეტარისა საბაჲსი შრომანი და ლუაწლნი, რო-
 მელნი ქმნნა სარწმუნოებისათჲს აჰან და სხუათა მამათა ამის უღაბნოჲსათა.
 ხოლო ნეტარი ელია და ფლაბიანოს მთავარეპისკოპოსნი ვითარ მივიდეს სი-
 ღონდ ქალაქად, მიწერეს წიგნი მეფისა ვედრებით და ლიქნით, და რომელნი 25
 იგი შეკრებულ იყვნეს სიდონს სარწმუნოებისა ქცევისათჲს, განაბნიეს კრებული
 იგი, და წარიცხად თითოეული საყდარსა თჲსსა. ესელა ესმა სოტერიკოსს და
 ფილოქსენოსს, განბოროტნეს და განარისხეს მეფეს და ჰრქუეს: «ვაცთუნეს
 მთავარეპისკოპოსთა გონებითა მათითა და სახითა. და ამათ ჳელმწიფებჲა მო-
 ილეს მეფისაგან, ვითარცა უნდა, და ოქროჲ დაღძალი, და განუყვეს ერსა მას 30
 ჳაბუეთასა ანტიოქიას შინა. და ამით დიდადი ჳირი შეამთხვეს მთავარეპისკო-
 პოსსა ფლაბიანოსს, ვიდრე შეშობა[დ]ქმდე, | და აიძულებდეს მას, რაჲთამცა
 108ა შეაჩუნეს კრებული ქალკიდონისაჲ. და ვითარცა მან არა ინება, განაძეს იგი
 ეპისკოპოსებისაგან უჯკროჲთა საშჯელთა. ვითარცა ესმა ესე მეფესა, განიხა-
 რა ფრიად და სევერე, «უწინამძღუროთაჲ» განმგებელი, მწვალებელი, მოავლინა 35

ანტიოქიად ებისკოპოსად. და ვითარ დაჯდა იგი, მთავარეპისკოპოსად ანტიოქიას, დიდადსა ძვრსა შეამთხუევდა რომელნი არა ეზიარებოდეს მას. და მიაველინა კაცნი ელიაძსსა მთავარეპისკოპოსისა იერუსალჴმდ, რათამცა ეწამა მას ებისკოპოსებასა, ხოლო მან არა მიითუალნა ივინი. აუწყა ესე მეფესა და განარისხა, და კულად მიაველინა კაცნი და მღვდელნი თჳსნი და მოწყერა წიგნი შეწვენითა მეფესაათა თთუესა მისისა [ექუსსა ინდიკტიონსა]. ესე ვითარცა ესმა წმიდასა მამასა ჩუენსა საბას, აღვიდა წმიდად ქალაქად სხუათა თანა მამასახლისთა უდაბნოასათა და რომელნი მივლინებულ იყვნეს კაცნი სევერუსნი წმიდით ქალაქით განასხნა. და შეკრბა ყოველთა ადგილთაგან სიმრავლელ მონაზონთა წინაშე წმიდასა გოლგოთასა მყოფთა თანა იერუსალჴმისათა, დალაღებდეს და იტყოდეს: «შე-მცა-ჩუენებულ არს სევერე და რომელნი მს ეზიარებინა!» ამას ვითარ ვმოხდეს, უკმოქცეს მოციქულნი იგი და ისმინეს ვმა იგი დისპანთა, მთავართა | და მვედართა, მოვლინებულთა მეფისაგან. ესე სევერუს ამპარტავენებას შეეპყრა და ესვიდა ძალსა მეფისასა და კრებული ქალკიდონისა შეაჩუენა ბევრჯერ და ეცტჳქის მაცთურისა თქუმულსა და ამტკიცებდა: ერთსა მეუფისა ქრისტესსა შემდგომად ქალწულისაგან ვორცთა შესხმისა ესე ქადაგებდა ბუნებასა ვრწინილებისასა. რამეთუ შფოთის-მოყუარე იყო და მრავლი ცთომად ვამოაჩინა [წინააღმდგომი] მართლთქმულთა ეკლესიათა დამტკიცებულთა, და უღმრთოებად. და ავაზაკებრი ეფესოსასა იგი მორს კრებად ამან შეიწყნარა და ამსგავსა ესე პირველსა მას კრებასა წმიდათა მათ ნამათა ებისკოპოსთა მისვე ქალაქისა ეფესოსასათა. და ერთად მოძღურებასა იტყოდა კვირლეს ღმერთშემოსილისა, სანატრელისა აღექსანდრიელ ებისკოპოსისსა, და დიოსკორესსა და ეცტჳქისსა მწვალებელთასა, — ერთსარწმუნოებად ჰყოფდა [მათ]. და სიწმიდის-მოყუარეს და მართლმადიდებელი ფლამიანოს, სამეფუფოსა ქალაქისა მთავარეპისკოპოსი, გარდაადგინა და განაძო. და ესრით უღმრთოებასა შინა აღემატებოდა ესე სევერუს და აღილესა ენად თჳსი და გმობასა ღმრთისა მიმართ იტყოდა და განწვალა სიტყუთა მისითა ერთღმრთეებად, რომელ არს სამებას შოვრის, განუყოფელი, | რამეთუ იტყოდა და დაამტკიცებდა, ვითარმედ გუამი ბუნებად არს და ბუნებად გუამი. და არა იცოდა ამათ სახელთა შოვრის ვანყოფად არცა ერთი; და იკადრა თქუმად სამი გუამოვნებად ღმრთეებისად წმიდისა და თავყანის-საცემელისა ერთარსებისად სამბუნებად და სამ-ღმრთეებად და სამ-ღმერთად. ამას თანა მეფეს ანასტასი აძიულეზად ელიას მთავარეპისკოპოსსა, რათამცა სულთა განმწარწენლსა და წარმწყმედელსა ეზიარა. ხოლო ნეტარმან ელია ყოვლადვე არა შეიწყნარა სიტყუად იგი მეფისა; და აღდულნა გულის-წყრომითა მეფეს და წარავლინა რომელსა სახელი ერქუა ოლჯმოს, კესარიელი, პალესტინისა დუქსად და მისთანა მისცა წიგნი იგი, რომელი მოეწერა სიღონ ქალაქით, რომელსა წერილ იყო დამტკიცებად და არა განშოვრებად ქალკიდონისა კრებასა, და ბრძანა მწყავლ ვარდადგინებად ელიაძს ეპისკოპოსებისაგან. და ვითარცა მოვიდა ოლჯმოს ძა-

2 შეამთხუევდა | შეაჩუენებდა.—3 იმრუსალემდ.—6 მამსა.—10 იერუსალემისათა.—16 ერთობასა.—17 მოყუარეს.—22-23 კვირლეს ღმერთშემოსილსა სანატრელსა აღექსანდრიელ ებისკოპოსსა.—25 მთავარეპისკოპოსი | ანტიოქელი.—37-38 დამტკიცეთ.

1098 ლთა მეფისადათა დიდითა, ზაკუვითა და განზრახვითა წიგნი იგი წარუკითხა
 ელისა და ებისკოპოსებისაგან გარდაადგინა და მიაღწინა იგი ჰაილად ქალაქად,
 რაათა მუნ იყოფოდის. და მისსა ადგილსა დაადგინა იოჰანე, მარკიანსს ძმ,
 მთავარეპისკოპოსად იერუსალმს, რამეთუ სიტყუაჲ მისცა, | რაათა აღიაროს
 სევეროს და შეაჩუნოს კრებაჲ იგი ქალკიდონისაჲ. ხოლო დადგა იგი თუჯსა 5
 თავსა სეპტემბერისსა, ინდიქტიონსა ათსა. და ვითარცა ესმა ესე ნეტარსა
 საბას და სხუათა მამათა, უდაბნოსა მყოფთა, ვითარ იგი შეზრახულიყო მთა-
 ვარეპისკოპოსი იოჰანე სევეროსს, შეკრბეს და უწამებდეს მას და თქუეს: «იხი-
 10 წლე, ნუ შეიწყნარებ სევეროსისა ზიარებასა, ხოლო ქალკიდონისა კრებულთათჳს
 წინამოღუაწე ვართ შენსაჲ. მაშინ იოჰანე მთავარეპისკოპოსი გარდაექცა, დუქს- 10
 სს რაჲ იგი აღუთქუა, შიშითა ღირსთა მამათაჲდა. და ვითარცა ესმა ანასტა-
 სის მეფესა გარდაქცევაჲ იგი იოჰანსსი, განრისხნა ფრიად და უბრძანა ოლჳმ-
 პისი დუქსისაჲ ფერკისა მოკუეთად და მისსა ადგილსა მიაღწინა ანასტასი, ძმ
 პამფილსსი, დუქსად პალესტინისა, რაათა დააჯეროს იოჰანეს სევეროსის თანა
 ზიარებაჲ და კრებაჲ იგი ქალკიდონისაჲ მეაჩუნოს; უკუეთუ ესე არა ყოს, ების- 15
 კოპოსებისაგან განძობს იგი. და ვითარცა მოვიდა იგი იერუსალმდ, არა აც-
 ნობა მეფისა ბრძანებაჲ იგი და მეყსეულად შეაგლო იგი საპყრობილესა სამე-
 110 ფოსა. და განიხარეს ყოველთა წმიდისა ქალაქისა მყოფთა, რამეთუ იქმნა იგი
 მტერ და შინაგანმცემელ ნეტარისა ელიაჲსა. | ზაქარია ვისმე ერქუა სახელი,
 რომელსა აქუნდა კესარიის მთავრობაჲ; ესე იდუმალ შევიდა საპყრობილედ 20
 იოჰანსსა, შეეზრახა მას და ჰრქუა: «უკუეთუ გინებს, რაათა კეთილად იყოფო-
 დი და ებისკოპოსებასა არა გარდასდგი, ნუ შეიწყნარებ სევეროსის ზიარებასა.
 არამედ რეცა თუ ნება-ეც დუქსსა და თქუ ვითარმედ: «გყო ბრძანებისაებრ შე-
 25 ნისა. არამედ, რაათა არავინ თქუას, ვითარმედ უნებლიად ვყავ ესე, განმიტევე
 მე აქაჲთ და შემდგომად ორისა დღისა კურიაკს არს და სიხარულით ვყო ბრძა-
 ნებისა შენისაებრ». ხოლო დუქსსა ვითარმცა ესმენს სიტყუანი ესე. მიიყვანი
 იგი ეკლესიასა თუჯსა. და, ვითარცა განუტევე მთავარეპისკოპოსი, მწრაფლ წი-
 რავლინნა კაცნი და შეკრიბნა ყოველთაგან ადგილთა სიმრავლმ მონაზონთა
 იოჰანე ებისკოპოსისან წმიდად ქალაქად. და რომელთამე აღრაცხეს სიმრავლმ
 იგი კრებულისა მის და გვთხრეს, ვითარმედ იყო რიცხუ მათი ათი ათასი; და 30
 ვითარ ვერ იტევდა ერთი ეკლესიათაგანი სიმრავლესა მას, უბრძანა შეკრებაჲ
 ყოველთა კურიაკსა წმიდისა და პირველმოწამისა სტეფანსს ეკლესიასა, რა-
 მეთუ შესაძლებელ იყო ადგილი იგი სიმრავლისა მის დატევნად, და ამას თანა
 35 გულს-ედაჲ, რაათა მიეგებოდინან იგინი ჯატის, თუჯსა მეფისასა, რამეთუ მა-
 შინ განტევებულ | იყო იგი ტყუეობისაგან ნათესაეთა ბიტალიანელთაჲსა და
 მოვიდა იერუსალმდ ლოცვად. და ვითარცა შეკრბეს ყოველნი მონაზონნი და
 მოქალაქენი: წინამოკსენებულსა სანატრელისა სტეფანსს ეკლესიასა და შევიდეს
 მათ თანა ანასტასი დუქსი და ზაქარია მთავარი, და ვითარცა შეკრბეს შინაგან-
 მთავარი იგი და კრებული ყოველი პირველმოწამისა ეკლესიასა, ეგრე ეგონა
 დუქსსა, ვითარმედ იქმნას ბრძანებული მეფისაჲ. მაშინ აღწდა საფსალმუნსა 40

2 ჰაილა.—4 იერუსალმს.—6 სეკდემბერისასა.—9 სევეროსის სევერიანსს.—14 იოჰან-
 სს.—16 იერუსალმდ.—35 ბიტალიელთაჲსა.—36 იერუსალმდ.

ზედა მთავარბისკოპოსი და მისთანა აღიყვანა ნეტარი თეოდოსი და საბა, წინამძღუარნი მონაზონთანი და მამასახლისნი. ხოლო ყოველი იგი ერი ღალადებდეს და იტყოდეს: «მწვალებელნი შეაჩუენენ და კრებად იგი ქალკიდონისა და ამბტიკი!» მაშინ სამთავე მათ, ვითარცა ერთთა პირითა, შეთქუმით თქუეს:

5 «შემცაჩუენებულ არს ნესტორი და ევტუქი და სევეროს და სოტერიკოს კესარიი კაბადოკიაჲსა და ყოველნი, რომელთა არა მიითულონ კრებული ქალკიდონისაჲ. და ამით სამთა ვითარცა ესე უქადაგეს, გარდამოვცდეს მიერ, ხოლო აბა თეოდოსი გარე-უკუნ-იქცა და აღვდა მუნვე საფსალმუნესა მას, აღიმაღლა ვმაჲ თვისი და თქუა: «რომელჲმან არა მიითულენს ოთხნი ესე კრებანი, ვითარცა ოთხნი ევანგელენი, შე-მცა-ჩუენებულ არს». და ესე ვითარცა იქმნა, შე-შინა ღუქსა მას სიმრავლისა მისგან მონაზონთასა და ივლტოდა კესარიად:

10 ხოლო ვაბტი, მეფისა თვისმან, დააჯერა მამათა ფიცით ვითარმედ: «მოვედ აქა და არა ვეზიარე სევეროსს, არამედ ვიწრაფე, რათამცა თქუენთან ღირს ვიქმენ ზიარებად», და შეწირა ასი ლიტრაჲ ოქროჲ წმიდასა ანასტასიასა და წმიდასა გოლგოთასა და ცხოველსა ჯუარსა; და მისცა თეოდოსის და საბას ასი ლიტრაჲ ოქროჲ, რათა განუყონ ამის ქუეყანისა მონაზონთა. ხოლო მეფემან ანასტასი ვითარცა აგოჲნა, რაჲ იგი იქმნა იერუსალმს შინა, განეზადებოდა ძლიერად მთავარბისკოპოსისა იოჲანეს ზედა თეოდოსისთვის და საბარისთვის, რომელნი თანაჰყუეს საფსალმუნესა მას ზედა, რათამცა ესენი განასხნა ამის ქუე-

20 ყანისგან. ხოლო იერუსალმელთა ეუწყა რისხვაჲ იგი მეფისაჲ და ესე მონაზონებისა წინამძღუარნი და ღმრთის-მსახურებისა მოღუაწენი და მართლმადიდებლობისა აღმსარებელნი და წინამძღოლნი სარწმუნოებისათჲს, თეოდოსი და საბა, ამით შეიკრიბნეს ყოველნი მონაზონნი უდაბნოჲსანი, დასხდეს და ზრახვა-ყუეს ურთიერთას და ერთგონება-იქმნნეს, ვედრებაჲ და მოწამებაჲ მე-

25 ფისა მიწერეს, რომელსა წერილ იყო ესრე:

57

«მეფესა ღმრთის-მოყუარესა და ღმრთის-მსახურსა და ღმრთისა მიერ დაღინებულსა და თვთჳმპყრობელსა ანასტასის ქრისტეს-მოყუარესა ვედრებაჲ და შევერდომაჲ თეოდოსის და საბაჲს მიერ მთავარმამასახლისთა და ყოველთა მამასახლისთაჲ და ყოველნი, რომელნი წმიდისა ქალაქისა მონაზონნი არიან და გარეჲმან მისსა მეუღაბნოენი და იორდანისა მყოფნი! მეუფემან ყოველთამან ღმერთმან და უფალმან იესუ ქრისტემან, მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან, რომელმან მოჰმადლა ყოველსა ქუეყანასა მეფობაჲ და შესა ღმრთის-მოყუარებასა არწმუნა პყრობად, და დიდი მშკდობაჲ და კეთილი შენითა ღმრთის-მოყუარებთა ყოველთა წმიდათა მისთა ეკლესიათა, უფროჲს ხოლო დედისა ეკლესიათაჲსა სიონისაჲ მშკდობაჲ გინებს, რომელსა ზედა გამოჩნდა ქრისტეს ცხოვრებისათჲს სოფლისა და დამტიკიცნა სარწმუნოებაჲ, იწყო იერუსალმით მახარებელთაგან ქადაგებაჲ და ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა ნათელი ჰქმნა-

რიტი გამოზრწყენდა. ესე პატიოსანი და აღმოცენებული ქრისტეს მიერ საიდუმლოა, მძლჳ და პატიოსანი ჯუარი და განმაცხოველებელი აღსადგომელი, და მერმე ყოველთა წმიდათა და თავყანის-საცემელთა ადგილთაჲ სამართალთ და ქეშმარიტი აღსაარებთა და სარწმუნოებთა თავითგან და დასაბამით სანატრელთა წმიდათა მოციქულთაგან ვისწავეთ ყოველთა | წმიდისა ამის ადგილისა მყოფთა, შეუძრველად და გარდაუქცეველად ქრისტეს მიერ დაგვცავს და შეწვენითა ღმრთისათა დავიცვეთ და «არა გუეშინის არარად წინა-აღმდგომთაგან ჩუენთა», ვითარცა მოციქული გუასწავებს: «ნუ მიმოაქუთ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისსა ნებითა კაცთათა», რომელთა განჯრწნიან და აცთუნებინან და გარდააქციებინან გულნი უმანკოთანი და წმიდად და უბიწოდ სარწმუნოებთა მართთა მედგარდ დიდებითა შეაშფოთნიან. ამას წმიდასა და უბიწოსა სარწმუნოებასა ქრისტეს მიერ მეფობასა შენსა ღმრთისა მადლით იშვე და განიზარდე და ესოდენ მოიწიე, რამეთუ თუბუკრობელობაჲ ზეგარდამო მოიღე, და ესრეტა გურწამს, გარნა გკჯრს, ვითარ ღმრთის-მოყუარებისა შენისა ვამთა ესევითარი მოიწია შფოთი და ჯდომად და წმიდისა ზედა ქალაქსა იერუსალმსა აღდგა რისხვად შენი და განეფინა ვიდრე დედისადმდე ეკლესიათაჲსა სიონისა, და წმიდისა და მაცხოვრისა ჩუენისა აღსადგომელისა, რომელნი შევედრებულ არიან შესავედრებელსა ყოველთა ჭირვეულთასა და ყოველსა სოფლისათა, რომელთა უნებნ ლხინებთა, ესე იგი ადგილნი წმიდისი შეგინებულ ყვნეს; რომელნი სახედ და მსგავსად ღმრთიებისა შესწირვიდეს მამათთაიგარნი | და აწცა შესწირვენ, არა ზლოთ თუ ესენი, არამედ რომელნი მარტოდ-მყოფნი გამოიჩინებულ არიან, ესევითართა მამათა შესახედავდ წარმართთა, ჰურათა და სამარტელთა გამოიყვანებენ წმიდისა სიონისაგან და თავყანის-საცემელისა ანასტასიაჲსაგან და ცხადად შეურაცხყოფენ ქრისტიანეთა და ბილწთა და არაწმიდათა ადგილთა მიჰბიდვენ და ესენი განჯრწნად სარწმუნოებასა აწუვევენ. და ესეცამცა უწყი, რომელნი უტხონი შემოვლენ ლოცვად, სარგებელისა წილ და აღშნებისა დაპკოლებითა აღივსნიან და წარვიდნიან თუსსა ქუეყანასა. აწ ესე ყოველი აღიძრა შფოთი სარწმუნოებისათჳს წმიდისა ქალაქისა იერუსალმისა, რომელი არს თუალი და განმანათლებელი ყოველისა სოფლისაჲ, რომელი ანგელოზისა მიერ იქადაგა და წინაწარმეტყუელმან თქუა: «ღირსი თუ გამოვიდეს შჯუღი და სიტყუად უფლისაჲ იერუსალმითა; ამისათჳს ჯუღითა თუსითა იქმან სიმართლესა მკუდრნი წმიდათა ადგილთანი, რომელთა შინა განკაცებაჲ დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი,—საიდუმლოა,—იქმნა. და ვითარ აწ, შემდგომად ხუთასისა წლისა და უფროჲს ქრისტეს მოსლვითგან, იერუსალმელთა სარწმუნოებთა სხუად ვისწავით? ამის გამოთ საცნაურ არს, ვითარმედ მომავალი ესე და ახალი სარწმუნოებთა | არა ქრისტეს მიერი სამართალი არს, არამედ ანტქრისტის სწავლად არს ახალი, და მშუღობასა ეკლესიათასა შესძრავს და ისწრაფის. რათა უშჯუღოებითა მისითა ყოველი აღასრულოს. ამით ყოველთა ზედა წინამძღუარად ნებითა თუსითა დადგა დასაბამითგან მწველებელთა მათ «უწინამძღუ-

- როთ სევროს, ანტიოქიასა მჯდომი, წარმწყმედელი სულისა თვისისაჲ, რომელი ცოდვითა ჩუენითა დაჯდა საყდარსა მას. და ამან წმიდანი და ნეტარნი მამანი ჩუენნი შეაჩუენნა და წმიდათა მოციქულთა მიერ მოცემული ჩუენდა [სარწმუნოებაჲ], და წმიდანი მამანი ჩუენნი, რომელნი შეკრებულ იყვენს ნიკეას და
- 5 რომელთა დაამტკიცეს სარწმუნოებაჲ და ყოველნი განანათლნეს. ამისთჳს «უწინამძღუროთა» მათ ზიარებასა და მის თანა შერთვასა ყოვლადე უფარ ჰპოფთ, და ვევედრებით შენსა ღმრთის-მოყუარებასა, რაჲთა შეიწყალო დედაჲ ყოველთა ეკლესიათაჲ სიონი, რომელი შეეწევის ღმრთის-მოყუარებისა შენისა შეფობასა, და ესე გინებული ადგილი ადრდე და ბრძანე, რაჲთა დაიყენოს ყოვლად მო-
- 10 წვენული ღმრთისა ქალაქსა ზამთარი. ცხოვრებასა და სიკუდილსა შორის მიმართლისა სარწმუნოებისათჳს უმჯობესს არს ჩუენდა სიკუდილი, ხოლო რომელი მტერნი არიან ეკლესიათა ღმრთისათანი და გარემო მისსა მბრძოლნი, მათ შევაჩუენებთ. გინა სახითა, გინა სიტყუთა | არასადა ვეზიარნეთ, რამეთუ ღმრთი-
- 1138
სა მიერ გუაქუს სარწმუნოებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ, «რომელსა ზედა ვდგათ რომ. V, 2:
- 15 და ვიქბდით სასოებითა ღმრთისა მიმართ. ერთობაჲ გონებისაჲ და სარწმუნოებისაჲ გუაქუს ჩუენ ყოველთა ღმრთისა მიმართ წმიდისა ამის ქუეყანისა მყოფთა [და] ოთხნი ესე წმიდანი კრებანი, ვითარცა ოთხნი მახარებელნი, ქებულნი, ერთად დიდებულნი, ერთითა სულითა და სიბრძნითა და ბრწყინვალეებითა. ამითითა ოხითა და ვედრებითა ღმერთმან ჩუენ ყოველნი აღუადგინებთა
- 20 წინააღმდეგომისა ამისგან შჯულისა და საცთურისა, რომელთა სიტყუაჲ ხოლო აქუს და არა ძალი. ხოლო ჩუენ განგუანათლნა ამით ოთხთა მახარებელთა მიერ ხატითა და ძალითა. ესე წმიდანი კრებანი, რომელ შეკრბნეს მბრწყინვალენი და მართალნი მწვალებელთა ზედა ესრტთ: სამასათრეამეტნი წმიდანი, შეკრებულნი ნიკეას ქალაქსა უღმრთოჲსა არიოზის ზედა და რომელნი მას მიუდგეს;
- 25 და სხუანი კუალად შეკრებულნი სამნი ესრტთ: ასერგასისნი სულთა წარმწყმედელისა მაკედონის ზედა კოსტანტინეპოლისსა და ეფესოჲსანი ორასნი. შემდგომად მათსა უღმრთოჲსა და კერპთმსახურისა ნესტორის ზედა, ეგრევე შემდგომად ამათსა ქალკედონს ქალაქსა შეკრბეს დამტკიცებისათჳს წარწყმედელისა ნესტორის | ზედა შეჩუენებისა და განძებულისა და შეჩუენებულისა ეგრტქისა ზედა. და
- 1145
- 30 ამით ოთხთა წმიდათაგან შეკრებულთა ერთობითა მოციქულთა სარწმუნოებითა, ვითარცა მრავალჯერ თქუმულ არს, მოგვთუალავს ჩუენ ყოველთა, წმიდისა იმის ადგილისა მყოფთა და ამით შინა ღმრთისჲ მიერ დამტკიცებულთა. ხოლო რომელი ამას სარწმუნოებასა ზედა არა დგას და არა ესავს, ვერვის ძალ-უც ჩუენი მათთანა შეყოფაჲ, ბეერეულიდა თუ სიკუდილი წინაგუედვას. გარნა დაჯერებისა
- 35 შენისათჳს, თვთმპყრობელო, და ესეცა თქუმულსა ამას ზედა შევსძინო ვითარმედ: «შეჩუენებულმცა არს შჯულითურთ მისით ნესტორი სახელითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲთა და რომელი მისსა ზრახვიდეს, გინა რომელმან თქუას ერთი უფალი ჩუენი იესუ ქრისტეს, ძეს ღმრთისაჲ მხოლოდშობილი, რომელი ჩუენთჳს ჯუარს ეცუთ, ორად ძედ, რომელსა ესე გულსა მოუტდეს, შე-
- 40 ჩუენებულმცა არს! ერთისა ღმრთეებისა ძალსა რომელი ორად ბუნებად გან-

პოოდეს, ესევეთარი სულთა მიენებელი, გინა საქმითა, გინა თუ სიტყვითა, შე-
 მცა-ჩუენებულ არს! ამით თანამცა შეჩუენებულ არს ევტაქვი, რომელმან ღმრთე-
 ებად განწვალა სახითა თუსითა, ხოლო ღმრთისა განჯაცებად და ერთარსობად
 უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და წმიდისა სამებისად უარყო თანაყოფითა
 უღმრთოსა ნესტორისითა, რომელი შეაჩუენეს წმიდათა მამათა, რომელნი წი- 5
 ნა წერილ არიან. ესე წიგნი სარწმუნოებისად და ვედრებისად მიითუალენ მენ-
 მან ღმრთის-მოყუარებამან ჩუენ ყოველთაგან გლახკითა, შენთა მლოცველთა, და
 დაგაჯერენ ღმერთმან, რათა განაშოერენ და უკუნადგინენ, რომელნი იკადრე-
 ბენ ყოველსა ჟამსა და რომელნი მოწვეულ არიან უფონი წმიდასა ამას ზედა
 ღმრთისა ქალაქსა და ღირსისა მამისა ჩუენისა მთავარებისკოპოსისა იოჰანეს- 10
 თუს სახელითა შენითა, ღმრთის-მოყუარე. გარნა და-მცა-ჯერებულ არს შენი
 თუთაყრობად «ღმრთისა მიერ და რჩეულთა ანგელოზთაგან», რამეთუ არა თა-
 ნა-შეგებონთე რომლითავე სახითა, გინა სიტყვითა გარდაქცეულთა მათ მწვალე-
 ბელთა, არცა შევიწყნარნეთ თუნიერად კანონთა შჯულისა, გინა ტანჯვისა,
 ვერცა გარდავაქციეთ სარწმუნოებად და შჯული, გინა «უწინამძღუროთაგანი» 15
 თუ ვინმე იკურთხოს, ჩუენსა შჯულსა არა შემოვირთოთ ეგვიეთარი იგი უკუე-
 თუ უნებლნებით ესევეთარი ესე ცოდვითა ჩუენთათს შეგუემთხუედის ანუ
 მოიწიოს, ამას ვწამებთ წინაშე წმიდისა და ერთარსებისა სამებისა და შენისა
 ღმრთის-მოყუარებისა, რამეთუ ჩუენ ყოველნი განმზადებულ ვართ დათხევად სი-
 სხლთა ჩუენთა, და ყოველნი ესე წმიდანი აღილნი ცეცხლითა მოიწუნენ, ვიდ- 20
 რელა | წმადსა ამას ქალაქსა თუ ესევეთარი რამე ექმნეს. ნუ მცირე გგონიეს
 წმიდათა ამით აღგილთა გინებად და შეურაცხებად! ხოლო «მშულობამან ღმრთი-
 სამან, რომელი სცავს ქმნულთა თუსთა, დაამტკიცენინ» წმიდად ეკლესიად და
 დააცხერენ რომელი მოწვეულ არს მას ზედა საცთური მოხედვითა შენ, თუ-
 მპყრობელისადათა, დიდებად მისა და სიქადულად შენისა ღმრთის-მოყუარისა 25
 მეფობისა». ამისვე წიგნისა სწორი სავედრებელი მიუძღუნეს მამათა ჩუენთა
 ნეტარსა იოჰანესს, მთავარებისკოპოსსა კოსტანტინეპოლელსა, რომელი შემდგო-
 მად ტიმოთესა დადგომილ იყო. ესე სავედრებელი რად მთართუეს მეფესა ანას-
 ტასის, იგი შეძრწუნებულ იყო წინაღმდგომთაგან ნათესავისაგან ბიტალიანელ-
 თადას ბრძოლისათს მთეულთა. განიზრახა გულსა თუსსა და დადუმნა ჯერეთ 30
 და იოჰანე ებისკოპოსი არა გარდაადგინა საყდართა ჯდომისაგან იერუსალემი-
 სა. არამედ აწვე სათქუმელ არს, ვითარ იგი წმიდათა მამათა ლუაწლნი ყვნეს,
 ესოდენ ვერ შესაძლებელ არს, ვითარ ამის მარტოდას მამისა ჩუენისა საბაძის
 მოსაჯენებელ არს და დასამტკიცებელ და სარგებელ.

ქუეყანისა ანგელოზი ნეტარი საბა და ზეცისა კაცი, ბრძენი და სარწმუ- 35
 ნოდ მოძღუარი, მართლდიდებისა თანამზრახი და გარდაქცევისა შემასწენელი,
 სარწმუნოდ და ბრძენი | განმგებელი გამოჩნდა, რომელმან მცირედი ტლანტი 1156

4 უარყო ვითარ ამთ უარყვეს.—11 მოყუარლ.—21 არაწმიდას.—23 მსაცეს.—2წ მო-
 ყუარებისა.—29-30 ბიტანიელთადას.—31-32 იერუსალემისა.

- მიიღო და განამრავლა, რომელმან მალლით ძალი შეიმოსა ნებიითა ღმრთისა-
თა და შეწვევითა ქრისტესითა და ქართთა სულისა წმიდისადათა უდაბნოჲ კა-
ლაჲ ყო სიმრავლითა მონაზონთადათა და შუდი მონასტერი საქებელი აღაშენა,
რომელნი სიბრძნე: ღმრავათა შოვრის დიდი ესე ლავრაჲ პალესტინისა შოვ-
5 რის, და ამისსა შემდგომად ნეა-ლაკრად და რომელსა ჰრქვან «შედაბრი». ხო-
ლო მონასტერსა შოვრის: კასტელისი და სპილენთთა და სქოლარისი და ზა-
ნონისი. ყოველთა ამით ერთბამად ილუწიდა და ამითცა ორთა მონასტერთა
პირველთა წმიდათა მამათასა ილუწიდა: ეფთჳმისსა და თეოქტისტესსა. ამით,
მონასტერთა განგებასა და ლუაწლსა შინა იყო, არა მოუგო მათ დაბად, გინა
10 ქუეყანად, არამედ სარწმუნოებითა და სასოებითა ღმრთისადათა ილუწოდა და
არასად შევარდა ესე გულის-სიტყუასა ზრუნვისასა, არა ხოლო თუ ფიროთე-
ბასა, არამედ არცაღა ჟამსა სიყმილისასა. რამეთუ ვინათგან განაძეს მთავარ-
ებისკოპოსი ვლია, დაეგზა ცაჲ და არა წვახუ წელ, და უწუმრობასა თანა
მოვდა მკალი [და] ქუემბოვარი ფრიად და მოჰამა ყოველი პირი ქუეყანისაჲ.
15 და მეორესა წელსა შემდგომად მოსლვისა მის მკლისა მოვიდა სხუად მკალი | და 116ა
დაჰვარა ცაჲ. და შექამნა ყოველნი ხენი ქუეყანისანი. და იყო სიყმილი ძლიე-
რი და სიკუდილი. ესევეითარი რად იხილეს რისხუად მოწვეწული, იტყოდეს იერუ-
სალშემლნი, ვითარმედ რომელი იგი იქმნა საქმეჲ.—მთავარებისკოპოსისა ელიაჲს
მიმარბთ ცოდვად განძებისა მისისაჲ,—ამისთჳს მოიწია, ესე ყოველი ჩუენ ზედა.
20 მაშინ წმიდამან მამამან ჩუენმან საბა მონასტრისა მისისა მამასახლისთა ნუგე-
შინის-სკა და აზრახებდა მათ: «ნუ ჰზრუნავთ ჳორცთან საზრდელსა, და მოაწ-
სენებდა მათ სიტყუასა უფლისასა, რომელსა იტყუეს: «ნუ ჰზრუნავთ და იტყუთ,
რად ვჳამოთ, ანუ რად ვსუათ, ანუ რად შევიმოსოთ, იცის მამამან თქუენმან
ზეცათამან, რად გიჳმს ამათსა უფროქჲს. ხოლო უწინარს ამისსა ეძიებდით მთ. VI,
25 სასუფეველსა ცათას, და ესე ყოველი უმეტესი მოგმადლოს თქუენ». გარნა მო- 32-33
ხუცებულნი ესე ღმრთისა მიერ ესრსთ ესვიდა. ამას რად ასწავებდა ძმათა, ღმერ-
თი მისცემდა მას რად იგი უჳადა, რამეთუ უფროჲს ნაკლულევან იქმნეს რო-
მელნი ესვიდეს სიმდიდრესა, ვიდრელა მის ქუეშე განგებულნი მონასტერნი და
ლავრანი. მას ჟამსა ოდენ სიყმილისასა მოვიდა ნეტარისა მის ჳკონომოსი დი-
30 დისა ლავრისაჲ და ჰრქუა მას: «არარად გუაჳქოს, მამო, რადამცა დაურეკეთ
ამას შაბათსა. გინა კჳრიაკესა, არცაღა თუ შთარულენლად | მამათა, რომელნი 116ბ
შემოკრებენ». და ჰრქუა მას მოხუცებულმან მან. «მე ღმრთის-მსახურებად არა
დავაყენო, უჳეთუ ნაკლულევან რადთმე ხართ, არქუ» დეკანოზსა და ჳურ-
ქერი ეკლესიისაჲ გინა სამოსელი მისცეს მეზედაშესა, განყიდოს იგი და მოი-
35 ლოს საქმარი, გარნა ჩუენ მსახურებად ღმრთისაჲ აღვასრულოთ; ხოლო სარ-
წმუნო არს იგი, რომელმან თქუა: «ნუ ჰზრუნავთ ზეღლისათჳს». და ამისსა შემ- მთ. VI, 34
დგომად, დღესა პარასკევსა, მოვიდეს ვინმე წმიდისა ქალაქისანი ღჯნის მსყიდ-
ველნი, სოხაჲს ყრმანი, და აქუნდა მათ თანა ოცდაათი კაჳრაული, აღგებულნი
ღჯნითა და პურითა, იფქლითა და ზეთითა, თაფლითა და ყველითა, და აღაე-
40 სეს სახლი ჳკონომოსისაჲ ყოვლითა კეთილითა, და ყვეს დღესასწაული მამათა

დღი მას დღესა შინა. მაშინ ნეტარი იგი ბერი აყუედრებდა ჯკონომოსსა და ჰრქუა: «რასა იტყუ, უფალო ჯკონომოს, დავაყენოთა რეკად?» ხოლო ჯკონომოსსა დაედვა განკვრევბად და შეუვრდა ფერჯთა მისთა და ჰრქუა მას: «შემინდევ მე, მამაო!» ხოლო ბერმან აკურთხა იგი, ასწავებდა მას და ჰრქუა: «ნუსადა ფსლ. 54, შესძრწუნდები, არამედ სარწმუნოებითა განძლიერდი და «გულისზრახვად შენი 5: 25 მიუტევე ღმერთსა, რამეთუ იგი ზრუნავს შენთჳს».

59

117a მოვიდეს წმიდისა ამის ბერისა მამანი, რომელნი | იყოფოდეს სპილონი-
სა მონასტერსა და თქუეს ვითარმედ: «მწყემსნი მოვიდიან და გუაწყინებენ,
რამეთუ მოსახიან სამწყსოჲ მათი ადგილთა მონასტრისათა და ურცხვნილ რო- 10
კიკი მიგუჯადიან და არცაღა თუ მშჯდობით სხდომად გკრევებენ». და ესე ვი-
თარცა ცნა ბერმან, მიავლინა მათა რისხვთ და შჯული შეუთხრა მათ, რადთა
არა მიეახლნენ მონასტერსა. ხოლო მათ არა ისმინეს მისი და მყის ძუძუნი სა-
ცხოვართა მათთან დაიყვნეს და სძქ არა გამოუტევეს, და ამის გამო კრავნი
და თიკანნი მათნი მოსწყდებოდეს. ხოლო უცებთა მათ და უგუნურთა მწყემს-
თა გულის-ხმა ყვეს, ვითარმედ შეურაცხებითა მით ნეტარისა ბერისა სიტყუსა 15
სიკუდილი საცხოვართა მათთად მოიწია, და სირბილით მოვიდეს ბერისა, შეუვ-
რდეს მას და აღუთქუნეს, რადთა არღარა შეახლნენ რომელსავე მისსა მონას-
ტერსა. ხოლო ბერმან მან ვითარცა მოილო სიტყუად მათგან, ულოცა მათ,
აკურთხანა იგინი და განუტევან. და იგინი ვითარცა წარვიდეს, პოვეს სძქ გამო-
მდინარე დაუპკოლებელად და ჰკითხეს თანათა ვითარმედ—რადჳმ იწყო დინე- 20
ბად სძემან? ხოლო მათ ვითარცა ჟთხრეს, გულის-ხმა ყვეს ჟამი იგი, რომელ-
სა ულოცა ბერმან, მსვე ჟამსა სძემან იწყო დინებად, და აღიდებდეს იგინი
ღმერთსა.

60

117b მეოთხმოციგესა წელსა ჰასაკისა მისისა ჟამთა წარვიდა | წმიდა მამად ჩუე-
ნი საბა ჰაილად. დღეთა ზაფხულისათა. ინდიკტიონსა ათერთმეტსა; რამეთუ 25
ბრძანებითა ღმრთისადათა წარვიდა იგი ხილვად მთავარებისკომოსისა ელიასა,
თანა ჰყვანდეს სტეფანე, ეფთჳმის მონასტრისა მამასახლისი, და ევთალი, მამა-
სახლისი მონასტრისადა, რომელი ეშწნა ელიას იერიკოს. ესენი ვითარცა იხილა
ნეტარმან ელია, სიხარულით მიითულან და დაიყენნა მის თანა რაოდენმე დღე;
და არა იხილნის იგინი მწუხრისა ჟამისა განტევებითგან ვიდრე ცხრა ჟამდმდე, 30
ხოლო ცხრა ჟამს ოდენ გამოვიდის მათ თანა, იხილნის და ეზიარის და გემოჲ
იხილის მათ თანა, და მწუხრისა ჟამითგან კუალად არღა ეჩუენის მათ. და ვი-
თარ იგი ესრწთ ჰყოფდა, შეემთხვა მას თთუესა ივლისსა ცხრასა არა გამოსლ-
ვად ჟამსა თჳსსა, და იგინი ელოდეს მას, არცა ეზიარნეს, არცა გემოჲ რადსა.

- იხილეს. და ვითარცა გამოვიდა იგი მეექუსესა ეჟამა ლამისასა, ჰრქუა მათ: «აღ-
 ტვიგით, ეზიარენით და მიიღეთ საზრდელი, რამეთუ მე არა მცალს!» ხოლო ნე-
 ტარმან საბა შეიპყრა იგი და რეცა თუ აძალევედა მას და ჰრქუა: «რამათუ
 არა მოხუდე?» ხოლო ნეტარმან ელია ცრემლნი გარდამოსთხინა და თქუა:
 5 «ამას ეჟამა აღესრულა მეფე ანასტასი, და მეცა | წარსლად ვარ შემდგომად
 ათისა დღისა და საშჯელი ვყო მის თანა». და შჯული შეუთხრა მონასტერთა
 მათუკს, რამათა შემდგომად აღსრულებისა ევთალისსა ნესტაბოს და ზაქარია
 დადვენ ადგილსა მისსა მონასტერთა მისთა, და შეჩუენებადცა დადვა, რამათა
 არაინ განუყენეს ურთიერთას მონასტერნი მისნი. და ესე ვითარცა თქუა, შემ-
 10 დგომად მერვისა დღისა სახილავისა მის; არარაჲსა ვემო იხილა, გარნა ზიარე-
 ბად და წყალი ტვიგი ხოლო, და მცირედ დასნეულდა, და მის თანა დაადგ-
 რა სამ დღე ნეტარი მამად ჩუენი საბა, თთუესა ივლისსა მეოცესა დღესა ეზიარ-
 რა და ილოცა და, ვითარ თქუა: «ამჟნ», მშჯდობით მასვე ზედა დაწვა და დაი-
 ძინა ოთხმეოცდამერვესა წელსა. ხოლო ნეტარმან საბა დაისწავა დღე
 15 რაჟამს იხილა ნეტარმან ელია სახილავი ივი. და ვითარ მოვიდა იერუსალმდ
 ნეტარი საბა, ესმე მას, ვითარ იგი თთუესა ივლისსა ათსა იხილა სახილავი ივი
 ნეტარმან ელია, მასვე დღესა შინა პალატსა მეფისასა იყენეს ქუხილნი და ელ-
 ვანი ანასტასი მეფისა ზედა; და იგი ვითარ იურვოდნა და იელტოდნა ადგილი-
 თი-ადგილად და სახლითი-სახლად, საწვოლსა მისსა ეწია მას რისხვად, დაავდო
 20 და მოკლა იგი, და მცის იპოვა მკუდარი იგი. და ვითარ აღესრულა ანასტასი
 მეფე, დადვა მის წილ | იუსტინოს მეფედ და შჯული განთქუა ყოველთა ად-
 გილთა, რამათა ანასტასის განსხმულნი შემოკრბენ თუთა ადგილთა, და ქალ-
 კიდონისა კრებად დაწესებად საღმრთოთა შინა მოსაქსენებელთა სახელთა. და
 ვითარცა ბრძანებდა იუსტინესი მეფისად მოიწია იერუსალემდ, შეკრბა სიმრავ-
 25 ლმ მონაზონთად და ერისკაცთად და მათთანა შევიდა ნეტარი საბა და კრე-
 ბულნი ებისკოპოსთანი და ყვეს დღესასწაული რთუესა ავსტოსა ექუსსა და
 განაცხადეს ბრძანებდა იგი მეფისად და დაიწერნეს ოთხნი ესე კრებანი მოსაქ-
 სენებელსა საღმრთოთა სახელთასა.

61

- მაშინ მთავარეპისკოპოსმან იერუსალმისამან იოჰანე დააჯკრა წმინდასა
 30 მამასა ჩუენსა საბას, რამათაცა წარვიდა კესარიად და სკუთაოლისა და სხუა-
 ნი მამასახლისნი უდაბნოხსანი თანაწარაყვანნა მას, რამათაცა განაცხადეს მე-
 ფისა იგი ბრძანებდა, და ოთხნი იგი კრებანი დაწერად მოსაქსენებელსა საღმრ-
 თოთა სახელთასა. ვითარცა მიიწინეს იგანი კესარია ქალაქდ. შემეძინა მათ
 ნეტარი იოჰანე ქუხიბელი, რომელი ღირს ქმნულ იყო მღვდელთ-მოძღვრებასა;
 35 და მუნ წარიკითხეს და აღასრულეს მეფისა ბრძანებდა და მიერ წარვიდეს და
 მივიდეს სკუთაოლისა. და გამოვიდეს ყოველნი მოქალაქენი და მიეგებოდეს
 მათ და მათთანა წმიდად ებისკოპოსი მათი, რომელსა | სახელი ერქუა თეოდო-

12 მეოცესა | მეოთხესა.—15 იერუსალემდ.—24 იმდ.—29 იერუსალემისამან.

13. ყვიმენიო II.

სი, და შეემთხვნეს მათ ეკლესიასა წმიდისა თომა მოციქულისასა. და შევიდეს, ქალაქად ვალობით და ყვეს კრებამ პირველსა ეკლესიასა და მუნ წარიკითხეს ბრძანებამ მეფისად და დაწერნეს ოთხნი კრებანი მოსავსენებელსა საღმრთოთა სახელთასა. იყო ვინმე სკუთხოპოლის კაცი სქოლასტიკოსი, რომელ არს ბრძენი, რომელსა სახელი ერქუი იოჰანე, ნათესავით ხარკისა შემკრებელი, კაცი კეთილი და სულითა მბრწყინვალს. ესე მოვიდა წმიდისა მამისა საბაასა საეპისკოპოსოდ და სილოვანსთუს სამარტელისა შუა-სულტუად წარმოიღეს, ვითარმედ ესე შემძლებელ იყო ბოროტის ყოფად ესოდენ და საშეფოას ზენაცა ქრისტიანეთა შემასმენელ. გვთხრობდა ჩუენ იოჰანე ეპისკოპოსი ამისა სიმედგრესა და ღმრთისა მიმართ გმობასა; და ვითარცა ესმა ესე ნეტარსა მამასა ჩუენსა საბას, აღივსო სულითა წმიდითა და ჰრქუა ეპისკოპოსსა და რომელნი წინაშე დგეს: «აჲ ესერა დღენი მოვლენან, იტყუს უფალი, და აღესრულოს სილოვანს ზედა თქუმილი დავითის მიერ ერვასის და ერთსა ფსალმუნსა [და] ამასვე ქალაქსა შუა ცეცხლითა შემწუარ იქმნესა. ესე წინაწარმეტყუელა სილოვანს ზედა.

62

და არს მონასტერი ერთი, რომელსა სახელია ჰრქვან ენთენანეთ, ნახლო-
 1198 ბელად აღდგლითა წმიდისა იოჰანსთა, რომელსა შინა ჭიკო მარტოდ | მყოფი, რომელსა სახელი ერქუა იოჰანე, სულითა მბრწყინვალს; და აქუნდა მას ცნობამ ღმრთისა მიერ. მწუხარე იყო იგი თუალითა დიდითა ღამისთევითა მისითა და ცრეულითა და სიგრძითა სიბერისადათა, ესე გარდასრულ იყო ასსა წელსა, დაეყო მას მონასტერსა შინა ოთხმოცი წელი და გარეგამოუვალად ერგასისი წელი. ამის საკურველისა კაცისა მივიდოდა ნეტარი საბა, და ვითარ წარვიდოდა შუა ქალაქსა, მივიდა აღდილსა, რომელსა ჰრქვან კამარად წმიდისა იოჰანსთ; და იყო ვინმე დედაკაცი, რომელსა აქუნდა დინებამ სისხლისად და წრავალი ჟამი დაეყო სნეულებასა მას შინა, და ესოდენ სიმყარლესა მიწვენულ იყო, რომლითა ვერვის ძალედვა მიახლოებდ მისა, და წვა იგი დასავალით-
 1200 კერძო სტოვასა მის უზნისასა. ამას ვითარცა ესმა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაასი, წარმო-რამ-ვიდოდა უბანსა მას ერთსა მრავლისა თანა, იხილა იგი, ღალად ყო და თქუა: «შემიწყალე მე, მონაო ქრისტესო საბა, და განმარინე მე მოწვენულისა ამისაგან განსაცდელისა!». ხოლო ნეტარსა ამას ვითარცა ესმა ვამე ვამე მისი, შეეწყალა იგი და მოვიდა მისა სტოვასა მას და ჰრქუა მას: «რამცა მიგეც შენ, არარად მაქუს, გარნა რად იგი მაქუს, მიგეც; გელი ესე ჩემი მიიღე და დაიდევ | საღმობასა შენსა და ვესავ ღმერთსა, რომელსაცა ვჰმსახურებ, ვითარმედ განიქურნო» და მან ვითარცა მიიღო წმიდისა მის გელი, დაიდევ იგი მას ზედა და მუნქუესვე დადგა დინებამ იგი სისხლისა მის და განიქურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან. ესე სასწაული, ვითარცა თქუმულ არს, პატიოსანო მამაო, ჩანს ვიდრე დღენდელად დღემდღე ჩუენ შორის.

63

კაცი ვინმე იყო მასვე დედაქალაქსა შინა და ესუა მას ასული მტერისაგან
 ვნებული; ამას ჰრწმენა და მოიყვანა იგი ნეტარისა ბერისა მასვე მონასტერსა.
 რომელსა ჰრქვან ენათნანეთ, და უთხრა მას რომელთა ჭირთა შეამთხუვედა
 მას ბოროტი იგი ეშმაკი. და საკვრველთ-მოქმედმან მან ბერმან ვითარცა იხილა
 15 იგი, შეეწყალა მას და მოღებად სცა ჯუარისა ცხოველისა ზეთი და გარდაიყ-
 ვანა იგი მტილად თუსაგან, და მამამ მისი მის თანა, და უბრძანა განაჩარცუაჲ
 მისი, და სცხო მას ჯუარისა ცხოველისა ზეთი თავითგან ქერქთადმდე მისა,
 და განდევნა მისგან არაწმიდაჲ იგი სული, და განიკურნა ძალი იგი მიერ ჟა-
 შითგან. ხოლო მამასა ჩემსა იოჰანე ერქუა, რომელი ჰხედვიდა საკვრველსა საქ-
 20 მესა, რომელსა იქმოდა ნეტარი იგი, და შეუდგა მას მსახურად და მიერ დღით-
 გან არლარა: განეშოვრა წმიდასა ბერსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისა-
 თა, არამედ ისწავებდა იგი მონაზონებასა | და წურთასა. ვინათგან სახლი ჩუე 120ბ
 ნი მოსლავასა მისსა ღირს იქმნა და კურთხევასა, დედამან ჩემმან განიხარა მი-
 სითა კურთხევითა და მოსლავითა. და ნუ გიკვრნ ესე, ღირსნო მამანო, რომელი-
 25 საჲ ესე ჰეშმარითად იცით, რამეთუ აღწერილი ესე სამართალ არს და ესე
 აღწერეთ სარგებელად სულთა მათთა, რომელნი ამას იკითხვიდნ.

64

და ვითარ უკმოვიდეს სკუთოპოლისით და მოვიდეს წმიდად ქალაქად, ნე-
 ტარი საბა და მისთანანი იგი, მთავარებისკოპოსმან იოჰანე ჰხადა პურად ნე-
 ტარი იგი და სხუანი მამასახლისნი უდაბნოჲსა მონასტრისანი: თანანი მისნი,
 20 და ანტონი, თუნი ძმად, რომელი ასკალონს ებისკოპოს იყო. ხოლო წმიდასა სა-
 ბას ესეცა აქუნდავე სხუათა მადლთა თანა: ესოდენ მმარბუელ იყო, რამეთუ
 ყოველნი მარხუანი უპუროდ გარდავლის და არა მოუძღურდის, შურებინ სი-
 ცხესა მრავალგზის და ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა შვდელთა მარ-
 ხუთ აღასრულებდა. და უკუეთუ მო-ვინ-ვიდეს სტუმარი მისა და, თუ განესწიან,
 25 დღესა ორჯერ ჰამის და განძღის და გარდაერის სიყუარულითა და სტომამქსა
 არა ევინს. ესე ნეტარი დაისუა მახლობელად მთავარებისკოპოსმან და დაუდვის
 მის წინაშე პური და სხუად, რომელი წინაუვიც მას. და ეგრევე თანდაისუა
 მარჯუენით ანტონი, ებისკოპოსი ასკალონისა; ხოლო ნეტარი მოხუცებული
 ღმრთასა მიერ არარას განიკითხვიდა |, არამედ გულითა წრფელითა მიიღებდა, 121ა
 30 რომელსა მისცემდა მას მთავარებისკოპოსი, და ორთავე მათ შორის ძმათა და
 მღვდელთ-მთავართა ჯდა და წუევითა ვერ მოსცალდებოდა, რადთა კუალად
 ეთქუა მოკსენებისა მისისათუხ, რომელი ჰრქუა მათ: «მიტევეთ, მიტევეთ, მამა-
 ნო, მე, რომელი მე მივმდეს, იგიცა ეჭამო!» მაშინ დიდმან აბბამან თეოდოსი რუცა,
 თუ განცხრომით თქუა: «უფალსა საბას ესოდენ ჰჰიან, რამეთუ თქუნ ორთავე,

რომელთა შემდგომად ღმრთისა თავადი პალესტინის გამოჰზარდეთ ჟამსა სიყმი-
 ლისასა, მიკვრს თუ ეგე გან-ვითარ-აძლოთ საქმლითა!» ხოლო მთავარებისკო-
 პოსმან ჰრჭუა: «შემინდევით, მამანო, რამეთუ ჩუენ ვერცა სიმშვილა დაუთმობთ,
 ვერცა სიმაძღრესა, ხოლო ამას ღმრთისა კაცსა მოციქულთად იგი აქუს მად-
 ლი: «იცის დამდაბლებადცა და აღმაღლებადცა და ყოველსა ერთობით ემსგავ-
 სების; იცის მიძღრობად და სიმშვილი, გარდამატებად და ნაკლულევანებად, და
 ყოვლითავე განძლიერებულ არს ძლიერებითა ქრისტესითა».

ფილ. IV,
12-13

65

იყო ნეტარი მამა ჩუენი საბა გულის-ხმის-ყოფითა ბრძენ და მშუდ საქ-
 მითა და წრფელ სახითა და სავეე ყოვლითა სულიერებისა სიბრძნითა და ძა-
 ლითა. ხოლო სიყუარული აქუნდა შეუნებელი და სრული მამისა ჩუენისა მი-
 მართ თეოდოსისა; იგივე სამართალი სიყუარული აქუნდა ამას მამისა ჩუენისა
 მიმართ საბაჲსა. იყენეს ესე ორნივე ჭეშმარიტად შეილნი ნათლისანი და შევილ-
 ნი დღისანი და კაცნი ღმრთისანი, კეთილნი მორწმუნენი, ნათელნი სოფლისანი
 გამობრწყინდეს, რომელთა აქუნდა სიტყუად ცხოვრებისა, «სუეტნი დამტკიცე-
 ბულნი სიმართლისათჳს», კაცნი სასურველნი, ჭეშმარიტნი, ესე ორნივე, და
 წინამძღუარნი მონაზონთანი. წმიდა თეოდოსი წინამძღუარ იყო და მთავარმა-
 მასახლის ყოველთა მონასტერთა, რომელნი არიან გარემოჲს წმიდასა ქალაქსა,
 რომელნი აელენენ კანონსა მონასტერთასა, ვითარცა ზემო წერილ არს. ხოლო
 ნეტარი საბა მთავარ იყო და შჯულის-მდებელ ყოველთა მარტოდ-მყოფთა
 უდაბნოჲსათა და ყოველთა, რომელთა მარტოდ სენაკსა ყოფად უნებნ. ესე ნე-
 ტარნი მთავარმამასახლისად დაადგინნა ვედრებითა ყოველთა მონაზონთათა
 წმიდამან სალოსტი მთავარებისკოპოსმან, ვითარცა მეუდაბნოენი და ამის სოფ-
 ლისა არამზრახველნი, და წესი მონაზონებისა სამართლად გაჰმართეს და
 მრავალნი ღმრთის-მსახურებასა მოაქციენეს. და ოდეს მივიდიან ხილვად ურ-
 თიერთას და ზრახვასა სულისასა ზრახვედ, ამისთჳცა უმრავლეს ეტყუნ წმი-
 და საბა ნეტარსა თეოდოსის: «უფალო აბბა, შენ ყრბათა მამასახლისი ხარ,
 ხოლო მე მამასახლისთა მამასახლისი ვარ, ამისთჳს რამეთუ თითოეული, რო-
 მიელი ჩემ ქუეშე არს, თუთ-კელმწიფე არს და თჳსისა სენაკისა მამასახლის არს».
 და ამას ვითარცა ეტყუდა ნეტარი იგი, არა ფიცხელ მიჩს სიტყუად ესე, არა-
 მელ ტკბილ | და კეთილმოყუარისად მოყუარისა მიმართ, და ესე ამითჳს თქუა.

1213
1 ტომ.
III, 15

122ა

66

მეოთხისა წელიწდისა დასრულებასა მის უწუმრებისასა სპილენოსისა მყოფ-
 ნი მოწაფენი. წმიდისა მამისა ჩუენისანი მოვიდეს დიდსა ლავრასა და ჰრჭუეს:
 «განგატყვენ ჩუენ, მამაო, რამეთუ ვერ ძალ-გვც ჩუენ მონასტერსა შენსა ყოფად,
 რამეთუ წყალი ყოვლად არა გუაქჳს; და ესე უწყით, რამეთუ თთუესა მისა»

დასასრულსა წვმაჲ არა ყვის». ხოლო წმიდამან მან რომელთაჲმე ამითგანთა შე-
 ჰრისხნა და რომელთაჲმე ნუგეშინის-სცემდა და ეტყოდა: «მძნო, მაღლობით
 მივითულოთ ყოველივე მომავალი ჩუნ ზედა, გარნა ვესავ ღმერთსა ფრიად,
 შემდგომად სამისა დღისა აღივსნენ ყოველნი ლაქუანი თქუენნი, წარკვდით, გან-
 15 მზადგენით რუენი». და მესამესა დღესა გამორნდა ღრუბელი მას ხოლო მონას-
 ტერსა ზედა, და გარდამოჲდა წვმაჲ დიდი და აღივსნეს ყოველნი ლაქუანი მათ-
 ნი, ვითარცა წინაწარმეტყუელა წმიდამან, და გარემოჲს რომელნი იყვენეს მონას-
 ტერნი სპილენძისა მონასტერსა: აღმოსავლით კასტელისი და დასავლით სქო-
 ლარისი, რომელნი მახლობელ იყვენეს ვითარ ხუთ უტევეან, და სამხრით-კერძო
 20 დიდი ესე ლავრაჲ, ამითზედა არცადა თუ ცუარი წყლისაჲ გარდამოჲდა, და გულ-
 კლებულ იქმნეს მამასახლისნი მათ მონასტერთანი, მოვიდეს ბერისა და ჰრქუეს:
 «რად არს უშჯულოებაჲ | ჩუენი, მამარ, რამეთუ ესრეთ ვანმთხინე ჩუენ, რაჲთამცა
 არა ილოცე სხუათათესცა მონასტერთა შენთა?» ჰრქუა მათ წმიდამან მან: «რო-
 მელთა უტემა, ღმერთმან მოსცა კურთხევაჲ მისი და თქუენ ნუ შეიურვებთ, რა-
 15 მეთუ არა მოგაკლდეს თქუენ წყალი, ვიდრემდის მოსცეს ღმერთმან წვმაჲ ქუე-
 ყანასა»:

67

მეხუთესა წელსა მის სიყმილისასა ეგოდენი იწროებაჲ იყო წყლისაჲ, რომელ
 გლახაკნი წმიდისა ქალაქისანი დაყმებოდეს წყლის თხოვითა. დიდითა
 მით სიწმელთა და უწყმრობითა და სილოამისა წყალიცა დაჰკმა და ლუკი-
 20 ლიანაჲჲა. არა ხოლო თუ ამით, არამედ წყაროთაცა კოლონიასათა და ნეფ-
 თოჲსათა მოაკლდა. მაშინ მთავარებისკოპოსსა მას შეეშინა, რაჲთა ნუ უკუე ერი
 იგი აღდგეს მის ზედა. მომოდავიდოდა და, სადა იპოვის ნედლი ადგილი, და-
 თხრად სცის მრავალთა ჯელთა. ჰგონებნ, რაჲთამცა წყალი პოვა მუნ და არა
 პოვის. და შთავიდა ჯეგსა სილოამისასა მახლობელად სუეტსა კობან და და-
 25 მინე წმიდისასა, გზასა დიდისა ლავრისასა, და შთავიყვან მის თანა ქუეყანისა
 განმწონელი და ერი მრავალი მუშაკთაჲ და დათხრად სცა სიღრმე ვითარ ორ-
 მეოც კაც. და ვითარ არა პოვეს, ფრიად მწუხარე იქმნეს, რამეთუ მოახლოებულ
 იყო, დღესასწაული იგი ეკენცისაჲ. და ეზრახა მთავარებისკოპოსი კაცსა ერთსა,
 რომელსა სახელი ერქუა | ს უ მოს, რომელსა მრავალგზის ექმნა განგებაჲ ქალა-
 30 ქისაჲ, და ჰრქუა მას, შეურვებით: «აჲ ესერა შემოვალს თითუ სეკდემბერი და
 წყალი არა აქუს ქალაქსა, რამეჲ ვყო?» მოგესენა სუმოსს და ჰრქუა მთავარებისკო-
 პოსსა: «მესმა ნეტარისა საბაჲსი უწინარსს მცირედთა დღეთა წარსრულთა, ვი-
 თარმედ ერთსა მონასტერსა მისსა წყალი მოაკლდა, და გარდამოჲდა წვმაჲ დიდ-
 ძალი გარემოჲს მის მონასტრისა. ხოლო, რომელსა აკლდა წყალი, და ყოველნი
 35 ლაქუანი მათნი აღივსნეს, რამეთუ ევედრებოდეს ნეტარსა მას მყოფნი მის მონასტრისანი და მან ლოცვა ყო მათოჲსა. ესე ვითარცა ესმა მთავარებისკო-
 პოსსა, მოუწოდა ნეტარსა საბას საებისკოპოსოდ, რეცა თუ სხუათეს რაჲსა და

შეიყვანა იგი თვისსაგან და ევედრებოდა მას, რათამცა ევედრა იგი ღმერთსა და შეიწყალნა ქმნულნი თვისნი და წარწყმედულებიდა კაცთაჲ სიმშლითა და წყურვილითა. და მერმე ჰრქუა: მე თუ ვცოდე, რაჲსათჲს მოწყდების ერი ესე? ხოლო წმიდამან საბა მიუღო და ჰრქუა: მე ვინაჲ გარემოქცევად რისხვასა ღმერთისასა ცოდვილმან ამან და უძღურმან? რამეთუ წერილი იტყუჲს: „უკუეთუ 5. VIII, 35
ობდ. XI, 14
123ბ

ცანი დაჰქმნეს, ვინ განახუნეს იგინი? ხოლო მთავარებისკოპოსმან დიდადნი სიტყუნი შემოიხუნა საქნებელნი და, რათა ვთქუათ დასასრული, მიერდა ღმრთითშემოსილი საბა და ჰრქუა მას: «აჲ ესერა შთავედე მე სენაკად და ბრძანებისა შენისათჲს, ნეტარო, ევედრო პირსა ღმრთისასა, ვიცი, რამეთუ კაცთმოყვარე არს და მოწყალე და წყალობანი და შეწყნარებანი მისნი ყოველ- 10. თა ზედა საქმეთა მისთა, და ესე ძყადე სასწაულად შენდა: უკუეთუ სამნი ესე დღენი წარვდენ და არა ვქმის, უწყოდე, რამეთუ არა შეისმინა ჩემი ღმრთი- მან, გარან ლოცვა ყავთ თქუენ ჩემთჲს, რათა აქუნდეს ვედრებასა ჩემსა მი- ლი». და ესე ვითარცა თქუა, მესამესა დღესა თთუესა სექტემბერისასა წარვი- და იგი მისგან. და ხუალისა დღე იყო სიცხმ დიდი ფრიად და იყო სიმრავლმ 15. მუშაკთაჲ და წინათქუმულთა მათ, რომელნი თხრიდეს. ხოლო მწუხრ, ვითარცა დაასრულეს საქმმ მათი, დაუტევეს მუნ ყოველი ჰურჭერი მათი და გოდრები და წარვიდეს; ჰგონებდეს, ვითარმედ ხუალისა დღე მოვიდენ და იქმოდიან. და ვითარცა მოიწია ჟამი ერთი ღამისაჲ, ქარი მოჰბერა სამხრით, და აღდგეს ქუხილ- ნი და ელვანი, და წუმბაჲ გარდამოვდა ძლიერი, და ვიდრე განთიადმდე აღივსნეს 20. რუენი და ჳენი ყოველთაგან მდინარეთა. და ვითარ განმრავლდეს წყალი იგი ადგილსა მას, სადა იგი იქმოდეს ესოდენსა ჟამსა და შურებოდეს, და დიდი სა- ფხვსმ წარავეს, და ეგოდენი იგი მიწაჲ, რომელ აღმოედვა თხრილისა მისგან, ერთსა შინა ჟამსა წარლუნა ყოველი იგი და თვისავე ადგილსა შთადვა და 124ბ დაფარა, | კობეები და ჰურჭერი და გოდრები დაშთა შიდა ვიდრე დღენდე- ლად დღედმდე. და მოხედვითა ღმრთისაჲთა სიმრავლემან წყალთამან ადგილი იგი ნაოხარი მოასწორა და ვაკე იქმნა, და არავინ ცნა, სადაქუეს იყო ადგილი იგი, და აღივსნეს ლაქუანი წმიდისა ქალაქისანი და ყვეს დღესასწაული ენკე- ნისიჲ დიდითა სიხარულითა.

68

ოთხმოცდამეექუსესა წელსა მამისა ჩუენისა საბაჲსსა ჰასაკისა მისისა ჟამ- 30. თა იოჰანე მთავარებისკოპოსმან დაასრულა მეშვლმ წელი და შვიდი თთუმ მთა- ვარებისკოპოსებასა შინა და აღესრულა, და მისსა ადგილსა დადგა პეტრე, ნა- თესავით ელფეთეროვლი, მთავარებისკოპოსად წმიდისა ქალაქსა თთუესა აპ- რილსა ოცსა, ინდიკტიონსა ორსა. სამი ოდენ წელი დაეყო მეფობასა შინა დიდ- სა მეფესა იუსტინეს, მოხუცებულციჲ იყო იგი და საღმობითა ვორცთაჲ 35. თა დასნეულდა. ნებითა ღმრთისაჲთა და შეზრახვითა მთავართაჲთა და ყო- ველთა მოქალაქეთა და ეპიფანმს ნებითა და კელთდასნითა, მთავარებისკო-

პოსისა. კოსტანტინეპოლიონსაჲთა, იუსტინიანოს დაადგინეს მეფედ. და ესე იყო ღმრთის-მოყუარისა მეფისა ჩუენისა [იუსტინისა] დისწული. ესე ოდეს იყო ჳპატროს გინა თუ პატრიკიოს, ქალაქისა განგებასა და სოფლისასა ძლიერად იქმოდა !. ესე დადგა მეფედ, ვითარცა წერილ არს, თთუესა აპრილსა ხუთსა. ინ-
 5 დიკტიონსა ხუთსა. ვითარცა ოთხი თთუშ გარდაცდა, თთუესა აგუსტოსა, მეორესა დღესა, იუსტინე მეფე აღესრულა. არამედ, ვითარცა წინა მოვსენებულ არს, სამგზის ხანატრელმან პეტრე, ვითარცა დაყო სამი წელი საყუადარსა თჳსსა, იგივე წესი იპყრა, ვითარცა მისსა წინა აღსრულებულთა მთავარებისკოპოსთა. და პატიოსნად იპყრა ნეტარი საბა და სურვილით ისწრაფინ მისლვად მისა
 10 უდაბნოდ. ამას მთავარებისკოპოსსა დაჲ ესუა ვორციელიად, რომელსა სახელი ერქუა ისქაია; ღმრთის-მოყუარე იყო ესე ფრიად და ესე შევარდა სიღმობასა შწარესა და, ვითარცა განწირეს იგი მკურნალთა და ვერ შეუძლეს კურნებაჲ მისი, შეეწყალა ესე ძმასა მისსა ფრიად და მოუწოდა ნეტარსა საბას, ევედრებოდა მას, რაჲთამცა დაშურა და მოვიდა დისა მისისა ხილვად სახიდ მისა და რაჲთა
 15 ულოცოს მას. ხოლო ნეტარმან ბერმან არა გარეშეაქცია ბრძანებაჲ მისი, არამედ მივიდა და მკურნალთაგან განწირული იგი პოვა და ყო ლოცვაჲ მის ზედა და დასწერა მას სამგზის ნიში ჯუარისსაჲ და აღადგინა იგი ცოცხალი. და ვითარცა ესმოდეს ყოველთა გარემოჲსმოყოფთა წმიდისა ქალაქისათა საქმენი იგი მისნი, აღიდებდეს ღმერთსა.

69

20 ვითარცა წინა მოვსენებულ არს, პატრიკია, რომელსა სახელი ერქუა იელიანა, ესე დიდადსა ქველისსაქმესა ჳყოფდა თჳსსა ქალაქსა კოსტანტინოპოლისს 125ა და, ვითარცა აღესრულა იგი, ამისნი საჭურისინი მოვიდეს იერუსალმედ და ესენი მეცნიერ იყვნეს ნეტარისა საბაჲსა, ოდეს იყო იგი კოსტანტინოპოლისს. მიუხდეს იგინი დიდსა ლავრასა ნეტარსა მას და აქუნდა მათ საფასშ დიდძალი.
 25 ევედრებოდეს მას, რაჲთამცა შეიწყნარნა იგინი და შემკორნა კრებულსა მისსა ხოლო მოხუცებულმან ღმრთისა მიერ ჰრქუა მათ: «აქა არა არს წესი, რაჲთამცა უწუერული გინა საჭურისი იყოფოდა». რამეთუ სძულდა ნეტარსა მას ხილვად პირი დედაკაცისაჲ, მას და მისთა მონასტერთა და ლავრათა, გარნა, რამეთუ მეცნიერნი მისნი იყვნეს, უნდა განკურნებაჲ მათი და აღშშნებაჲ. და მი-
 30 სცნა იგინი ნეტარსა თეოდოსის და ესენი მცირედთა ჟამთა ისწავებდეს წესსა მონაზონებისასა და ევედრნეს მთავარებისკოპოსსა, რაჲთამცა მისცა მათ აღგილი კეთილი თჳსისაგან. ხოლო მთავარებისკოპოსმან მოუწოდა ალექსანდრეს, მამასახლისსა მონასტრისასა, რომელი ნეტარსა ელიას ეშშნა იერიქოს, და და-
 35 თისა დიდგომილ იყო ალექსანდრე. ევედრებოდა მთავარებისკოპოსი, რაჲთამცა შეიწყნარნა საჭურისინი იგი მცირედ ჟამ. ხოლო ალექსანდრე ეცბლისმოყუარებითა და ამპარტანებითა შეპყრობილ იყო, გარდაჳდა | იგი ბრძანებასა, რო- 125ბ

6 მოვსენებულ არს|+ნეტარი საბა.—13 მისსა| თჳსსა.—22 იერუსალმედ.—29 აღშენებაჲ.
 —33 ეშენა.

მელი დაედვა ნეტარსა მთავარებისკოპოსსა ელიას, და თავით თჳსით გონებად თჳსი დაითრგუნა და განყენა მონასტერნი იგი. მიერ ჟამითგან უწოდეს ერთსა მას საკურისთა მონასტერ.

70

მომავალსა ოთხმეოცდამეთრთმეტესა წელსა მამისა ჩუენისა საბაძსსა
 ჟამთა ნეტარმან აბბა თეოდოსი დაასრულა ცხოვრებად თჳსი და ღმრთისა მი- 5
 ვიდა თთუესა იანვარისისა ათერთმეტსა, ინდიკტიონსა შუდასა, მოხუცებული და
 საესს დღითა. სოფრონიოს ვისმე ერქუა სახელი და იყო იგი მონაზონებასა
 წარმართებული. ამან ღირსმან მამასახლისობად დაიპყრა. მეოთხესა თთუესა შემ-
 დგომად სიკუდილისა ნეტარისა თეოდოსისა პალესტინისა სამარიტელნი აღ-
 დგეს ქრისტიანეთა ზედა და დიდადასა უმჯულოებასა იქმოდეს, რამეთუ რომელ- 10
 სა მიემთხუოდეს ეკლესიასა, გამოტყუენვიან და ცეცხლითა დაწვან: და კაცი
 ქრისტიანს, რომელი შევარდის ჯელთა მათთა, ტანჯიან იგი უწყალოდ და მოკ-
 ლიან, და დაბნებსა ქრისტიანეთასა, რომელსა მიემთხუოდეს, ცეცხლითა დას-
 წუვიდეს, უმეტეს ხოლო რომელნი გარემოას იყენეს ქალაქსა ნეაპოლისსა. და
 ესეოდენ წინააღუდგეს ქრისტიანეთა, ვიდრემდე მეფესა დაისუეს, რომელსა სა- 15
 ხელი ერქუა ივლიანე, და ებისკოპოსი ნეაპოლისაჲ მოკლეს, რომელსა | სახელი
 ერქუა მამონა, და ხუცესნი, რომელნი შეიპყრნეს, დაჭრნეს და ცეცხლითა და-
 წუნეს, და მათთანა ნაწილნი მარტურთანნი, და დიდადასა ჰოროტსა შეაჩუენებ-
 დეს ქრისტიანეთა; და შეიპყრნეს გზანი სამეუფონი და ვერ ძალედვა ქრისტიან-
 ნეთა სლვად. და ვითარცა ესმა ესე ყოველი ნეტარსა და ღმრთისმოყუარესა 20
 მეფესა იუსტინიანოსს, უბრძანა თეოდორეს და იოანისს დიდებულთა, რამთა
 გუნდნი შეკრიბონ და მიუჭდენ სამარიტელთა. და ესენი ვითარცა მოვიდეს,
 მოსრეს სიმრავლეს სამარიტელთაჲ. და მოკლეს მეფეს იგი სამარიტელთაჲ ივ-
 ლიანე. მაშინ სილოანე რეცა თუ მშუდობისა სახითა სკუთობოლისა შევიდა თჳ-
 ნიერ ბრძანებისა მეფისა, და აღიტაცეს იგი ქრისტიანეთა და საშუალ ქალაქი- 25
 სა ცეცხლითა დაწუეს. და აღესრულა მისა ამმართ რომელსა ზრახვიდეს
 იოჰანე ხარკის-მომადელი და ნეტარი საბა, რომელიცა იგი წინაწარბეტყუელა
 მისთჳს ნეტარმან საბა. არსენი ერქუა სახელი დამწურისა მის სილოგანის ძე-
 სა და ესე იყო ელსტრიოს და დაეყო მრავალი ჟამი კოსტანტინეპოლისს და
 შევიდოდა ჯელმწიფებით მეფეთა წინაშე. ამას ვითარცა ესმა სიკუდილი მამისა 30
 თჳსისაჲ, შევიდა წინაშე მეფისა და დედოფლისა თეოდორასა და სხუად სა-
 ხედ დააჯერა სიკუდილი მამისა და განარისხა მეფეს ქრისტიანეთა ზე-
 და | პალესტინისათა. მაშინ პეტრე, მთავარებისკოპოსი იერუსალემისაჲ, და
 სხუანი ებისკოპოსნი, რომელნი მის ქუეშე იყენეს, ევედრებოდეს ნეტარსა საბას,
 რამთამცა აღვიდა კოსტანტინეპოლისა და ევედრა მეფესა და შენდობამცა ყო 35
 ხარკისაჲ პირველისა და მეორისა პალესტინისაჲ, სიკუდილისა და ტყუენისა-
 თჳს, რომელი იგი მოწვეწულ იყო სამარიტელთაგან. და თავს იღვა მდღელთ-

მოძღვართა მათ ბრძანებაჲ მოხუცებულმან მან და წარვიდა კოსტანტინეპოლისა თთუესა აპრილსა ინდიქტიონსა რვასა. ხოლო მთავარებისკოპოსმან წინაწარუძღუანა წიგნი მეფესა და აუწყა მილსვად ნეტარისად მის. ხოლო ღმრთისა მიერ დაცულსა მეფესა ვითარცა ესმა მისლვად ბერისად, განინაზრა ფრიად და ბრძანა სამეფოთა ნავთა მიგებებად მისა; და მათ თანა განვიდეს შემთხუევად მისა ეპიფანე მთავარებისკოპოსი კოსტანტინეპოლისად და პაპა ევსები და ჰატი, ეფესოჲსა ებისკოპოსი, და, ვითარცა იხილეს, შეიმთხზნეს ურთიერთას და შეიყვანეს იგი მეფისა. ხოლო ღმერთმან მადლი მონისა თჳსისად გამოუცხადა მეფესა, ვითარცა იგი წინაჲს, ანასტასის მეფესა.

71

- 10 ესე ვითარცა შევიდოდა მღვდელთ-მთავართა თანა მეფისა და შინაგანსა კარსა ვითარცა აღიპყრეს ეზოჲ, განუხუნა ღმერთმან თულნი მეფესა და იხილა მსგავსად გვრგუნისა თავსა ზედა მის ნეტარისასა ნათელი ბრწყინვალჲ, ვითარცა მზის თუალი. და მირბიოდა მეფჲ და თავყანისცა და სიხარულითა ცრემლით ჰამბორს უყრ თავსა მისსა და იკურთხა მისგან და მიიღო კელთა 1275
- 15 მისთავან წიგნი იგი სავერებელი, რომელ იგი მიეწერა მთავარებისკოპოსთა პალესტინისათა. და დაიჯერა მას მეფემან, რაჲთა შევიდეს და აურთობს დედოფალი თეოდორა. და ვითარცა შევიდა ბერი, აღდგა დედოფალი, თავყანის-სცა მას და შეიმთხვა იგი, სიხარულით ევედრებოდა მას და ჰრქუა: «მილოცე მე, მამაო, რაჲთა ღმერთმან მოწმადლოს ნაყოფი მუცლისა ჩემისაჲ». და ჰრქუა მას 20
- ბერმან: «ღმერთმან ყოველთა უფლებათამან დაიციენ მეფობად თქუენი!» და კუალად ჰრქუა მას დედოფალმან: «ლოცვა-ყავ მამაო, რაჲთა მომცეს უფალმან შეილი!» მიუყო ნეტარმან საბა და ჰრქუა მას: «ღმერთმან დიდებისამან ღმრთის-მსახურებით და ძლევით დაიციევენ მეფობად თქუენი!» და გულკლებულ იქმნა დედოფალი, რამეთუ არღა იგი მიითუალა თხოვად იგი მისი. და ვითარ გამო- 25
- ვიდა იგი მიერ, აბრალებდეს მას მამანი, რომელნი იგი თანაუვიდოდეს მას, და ჰრქუეს: «რაჲსათჳს შეაწუხე დედოფალი და ნებისა მისისაებრ არა ულოცე?» და ჰრქუა მათ ბერმან: «გრწმენინ ჩემი, მამანო, რამეთუ არა გამოვიდეს მუც-ლისა მისისაგან ნაყოფი, რაჲთა არა წოვოს სებერსს შჯულისაგან და უძვრს ანასტასისსა აღაშფოთნეს ეკლესიანი». და უბრძანა მეფემან ყოფად მისი პალატსა 30
- შინა. მაშინ ღმრთისა მიერ დაცულმან მეფემან ვითარცა მიიღო ვედრებად იგი მოხუცებულისა მისგან ყოველთათჳს ეკლესიათა პალესტინისათა, მიაქცია რისხვად იგი სამარიტელთავე ზედა და უბრძანა შჯული დადებად მათ ზედა, რაჲთა დასცხრენ სამარიტელნი კრებისა მათისაგან და ქალაქთავან განასხნენ და რაჲთა არა დაიმკვდრენ თჳსნიცა და ნუცამცა ეწლენწიფების მათ განსანი- 35
- ჰებად ვისა. და ესეცა შჯული ბრძანაჲჲ, რაჲთა მთავარნი მათნი და მშფოთებელნი მოსწყვდნენ. ხოლო არსენის ვითარცა ესმა ბრძანებაჲ ესე მოსრვისა-თჳს სამარიტელთაჲსა, უჩინო იქმნა რაოდენმე ჟამ. და ვითარცა ეგულებოდა

ნეტარსა საბას გამოსლგაჲ მიერ ქალაქით, მოვიდა არსენი და შეუვრდა მას და ნათელი მოიღო მან და ყოველთა მისთა.

72

და შეძღვომად მცირედთა ჟამთა მოუწოდა მეფემან ნეტარსა საბას და ჰრქუა მას: «მასმიეს მე, შამო, ვითარმედ მრავალნი მონასტერნი აღვიშენებთან უდაბნოს; უკუეთუ ჯერ-იზინო, ითხოვე სოფლები სამსახურებელად მონასტერთათს და, სადაცა ინებო, მიგცეთ ჩუენ, რაჲთა ველოცვიდენ ჩუენ იგინი». ხოლო ნეტარმან საბა ჰრქუა: «შენისა ღმრთის-მსახურებისა უფროჲს მლოცველნი [მონაზონი არიან], ხოლო მათ სოფლები არა უჭმს, რამეთუ ნაწილ მათა სოფლებისა წილ უფალი არს, რომელმან უდაბნოსა ზედა ერსა ურჩსა და წინაღმდეგომსა პური სცა და მწყერ-მარჯილი აღმოუცენა, იგივე უფალი არს მზრუნველი მათა. ხოლო ჩუენ, ღმრთის-მსახურო მებეგო, დამტკიცებისათს წმიდათა ეკლესიათა პალესტინისათა გვედრებით და შენდობასა ხარკისასა ვითხოვთ და აღშენებად, რომელნი სამარტელთა დაქციენეს წმიდანი ადგილნი და შეწენად, რომელნი დამცირდეს და წარიტყუნენეს ქრისტიანენი პალესტინისანი. და ამასცა ვითხოვთ, რაჲთა ერთი სასწულეოდ აღაშენო წმიდასა ქალაქსა უცხოთათს მომავალთა საზრდელად და სწულთა განსასუენებელად, და ამასვე ადგილსა დადებულ არს საფუძველი წმიდისა ღმრთისშობელისა ეკლესიისაჲ, რომელი წინაჟამთა დადგა მთავარებისკოპოსმან ელია, ესე აღაშენე შეამკვე, რამეთუ უფროჲს ყოელისა ესე შეჰგავს შენსა ღმრთის-მსახურებასა. და სარაკინოსთა წყინებისათს და ზედამოსლვისა ვევედრებით შენსა სიმშჯდესა, რაჲთა უბრძანო სუმოს დიდებულსა და აღაშენოს ციხს სამეფოთა [წარსაგებელითა] უდაბნოს ქუემო-კერძო მშენებულთა მათ ჩემთა მონასტერთა, და ვესაჲ, რამეთუ ხუთთა ამათ წილ ღმრთისა სათნოდ ქმნულთა შესძინოს ღმერთმან შენსა მეფობასა აფრიკეთი და ჰრომი და სხუად ყოველი, რომელი ონორის მეფესა ეპყრა, რომელი შენსა წინა სხუათა მეფეთა წარეწყძიდა. და შენისა ღმრთის-მსახურებასა ყულდროებითა ესეცა ყავ: არიანოსთად შჯული და ნესტორიანთად და ოროგინელთად დათრგუნე ქუეშე ფერკთა შენთა და ამათ სამთავან წვალებათა ძნელთავან განარჩინენ ეკლესიანი». | რაჲსა ანუ რომლითა სახითა ითხოვან შეფისავან სამთა ამთ შჯულთა განსხმად, აწ ვთქუა: რამეთუ არიოსის შჯული უპყრიეს ამთ გუთთა და სხუათა გუთთა და ვალანდთა და გილიათთ, ესენი ჰყოფდეს არიოსის წვალებასა და ეპყრა ყოველი დასავალითი ამთ, და ცნა სულითა, რამეთუ ზრუნავს მათთს მეფს. და ნესტორის წვალებასა ამისთს სახელსდგა, რამეთუ მის თანა ვინმე აღსრულ იყენეს მონაზონნი, რომელნი იყენეს თეოდორე მამქუსტიასანი და იპოენეს იგინი თანაშემწე სამეფოსა შინა ვარდაქეულთა მათ თანა ზრახვასა, და ოროგინე განვრწინილსა წვალებად და თქუმილი სხუათა მწვალებელთა განძებულთა თანა შერთო. რამეთუ იპოვა ვინმე მის თანა მონაზონი, ნათესავით ბიზინტიელი, სახელით ლეონტი; ესე შეიყვანა

ნეა-ლაერად ნონოსის თანა შემდგომად აგაპის სიკუდილისა. ამას ეპყრა შჯუ-
ლი ოროგინსი. ხოლო ნეტერი ესე ქალკიდონისა კრებასა ზედა დგებოდა, და
ამან ცნა, რამეთუ ოროგინსს თქუმულთა ესაეს. და ვითარცა ესმა სარწმუნოდ
მამასა ჩუენსა საბას, მაშინ ნეტარისა აგაპის სიტყუად მოიგნენა და განაძო ესე
5 და რომელნი თეოდორსს წვალებასა შეუდგეს, და არღარა უტევა თანამიახლე-
ბად მისა და აუწყა მიეფეს ყოველთა ამათ მწვალებელთა განძებად.

73

და რაოდენი რაჲ ითხოვა მამამან ჩუენმან საბა, ღმრთის-მსახურმან მეფე-
მან ჩუენმან | გარდაუქცეველად ყოველივე ყო, ვითარცა და ვით წინაწარმეტყუე-
ლა, კაცთმოყუარემან ღმერთმან ქმნა. და ესეცა კუალად გონიერად უწყოდეთ: 129ა
10 პირველად იქმნა ბრძანებაჲ მთავარებისკოპოსისა პეტრსსა და ყოველთა მიმართ
მთავართა პალესტინისთა; დაამტკიცა და უბრძანა ანტონის, ასკალონელ ებისკო-
პოსსა, და ზაქარიას, პელელ ებისკოპოსსა, რაეთა ამით მოიხილონ სოფლები
იგი, მომწუარი სამარტელთაგან, პირველისა და მეორისა პალესტინისაჲ და
შენდობაჲცა ხარკისაჲ მეცხრისა და მეთათსა ინდიქტიონისაჲ, მსგავსად დაჭირ-
15 ვებისა თითოეულისა ადგილისა, და შეუნდო ვითარ ათსამეტსა კენტენარი ოქ-
როჲ. და უბრძანა მათვე მოხილვაჲ ეკლესიათაჲ, რომელნი დაეწუნეს სამარი-
ტელთა, და ეგრსთვე მსგავსად ბრძანა მიცემად თითოეულთა წმიდათა ადგილ-
თადა ესე მისაცემელი გინა სამეფოჲსა ხარკისაგან, გინა საფაისისაგან სამარი-
ტელთაჲსა სტეფანსს მიერ, ბრწყინვალისა კოპოსისა, რომელსა ბრძანებაჲ აქუნ-
20 და წინამძღურობისაჲ ებისკოპოსთა მათ, რომელთა რწმუნებულ იყო აღხილვაჲ
სოფლებისაჲ მის დამწუარისაჲ. მესამს ბრძანებაჲ უბრძანა ღმრთისა მიერ მო-
ხუცებულსა მას აღმწმენად სასნეულოჲ შუა წმიდასა ქალაქსა და დადგმაჲ ასი-
სა ცხედრისაჲ; და განუჩინა რაჲცა წელიწად წმიდაჲ დრაჰკანი ათასრეასერ-
გასისი. და ამისა შემდგომად კუალად უბრძანა მასვე სასნეულოსა შინა | ასი 129ბ
25 სხუად ცხედარი და კუალად შეურთო სხუად ეგოდენივე რიცხვი დრაჰკანი; და
ესე კეთილად დაამტკიცა ვიდრე აღსასრულადმდე. შრომაჲ და ჭირი დიდი ყო,
რაეთამცა აღასრულა მეოთხს იგი თხოვაჲ ბერისაჲ. და უბრძანა წარმოსლვაჲ
იერუსალმსდ თეოდორეს საქმის აღმწონელსა, რაეთა აღაშწნოს ახალი ეკლე-
სიაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ და მარადის-ქალწულისა მარიაჲსი; და ბრძა-
30 ნებაჲ მოსცა ხარკის მკრებელთა მიმართ პალესტინისთა, რაეთა იგინი მისცემ-
დენ რაჲ იგი უწმდეს საშწნებელად, ხოლო მთავრობაჲ მის ადგილისაჲ მისცა
მთავარებისკოპოსსა პეტრეს და ბარაქოსს, ბაკათელ ებისკოპოსსა, უბრძანა ზე-
დადგომად საქმისაჲ მის. და ესრსთ მეათორმეტესა წელსა აღეშწნა ახალი ეკ-
ლესიაჲ ყოვლადქებულისა ღმრთისმშობელისაჲ, და შეამკვეს იგი ყოვლითა სა-
35 მკაულითა და სატფური ყვეს; ხოლო პატიონისა მის ქმნულებისაჲ სიდიდს და
ბრწყინვალეებისა დიდებაჲ და სიმრავლს შემკობისაჲ უფროჲს არარაჲ გუკვს მი-
თხრობად, რომელსა თუალითა ჩუენითა ვხედავთ, ესე უფროჲს აღმატებულ არს.

13 სამარტთაგან.—16-17 სამარტთა.—18-19. სამარტთაჲსა.—27 ბერმან.—28 იერუსა-
ლემდ; აღაშწნოს.—31 საშწნებელად.—36 მბრწყინვალეებისა.

130ა ძღელთა მათ შსწნებულთა და თქუმულთა, რომელსა განიკრვებდეს კაცნი და აქებდეს უღმრთონი. ესე მეოთხს, რომელი ითხოვა ნეტარმან საბა, მეოთხისა თხოვისა ნაყოფი არს! ხოლო ღმრთის-მსახურმან ჩუენმან მეფემან იხილა რაჲ მეხუთს ესე თხოვაჲ. მისცა ნეტარსა საბას და დაწერა ბრძანებაჲ სუმოსისა მიმართ და თქუა: «ათასი დრაჰკანი მიეც აბბა საბას, რაჲთა აღაშშნოს ციხეს» 5 და ესე ოქროჲ ხარკისაგან პალესტინისა მიეც და მცველად მვედარნი დაადგინენ და სცვიდენ მონასტერთა მისთა, და საზრდელი მიეცემოდის მვედართა სამეფოფოჲსაგან. ხოლო ღმრთით-დაცული მეფს ჩუენი უცალო იყო საქმითა ამით და განიყვანა თჳსისაგან ტრიბუნიანოს კესტორი ტაძარსა, რომელსა ჰრქვან მავანარა. ხოლო ნეტარი საბა გან-რე-დგა თჳსისაგან და იწყო ფსალმუნებად 10 და აღასრულა სამი ჟამი. ერთი ვინმე მოწაფეთა მისთაგანი, რომელსა სახელი ერქუა იერემია, დიაკონი დიდისა ლავრისაჲ, მოუტდა და ჰრქუა მას: «პატიოსანო მამო, აჲა ესერა მეფესა ესევეითარი სწრაფაჲ აქუს შენდა მიმართ და ნებასა შენსა აღასრულებს წადიერად, შენ რაჲმათჳს განემოვრე და თჳსისაგან სდგა?» ჰრქუა მას ბერმან: «შვილო, ივინი თჳსსა საქმესა იქმან, ჩუენცა ჩუენი 15 აღდასრულოთ».

74

130ბ ხოლო მეფემან ესე ყოველი დაამტკიცა და ყოვლისა ბრძანებისაჲ წერილი მისცა ნეტარსა მას მოხუცებულსა და განუტევა იგი მშვედობით. ხოლო ღმერთმან მოსცა მადლი მეფესა ბევრწილად და წინაწარმეტყუელება იგი ბერისაჲ აღესრულა. ვითარცა მცირედნი ჟამნი წარტდეს, მეფემან ორნი ნერგნი 20 დაჰწერგნა და ორნი ძალნი შეიმოსნა, რომელი არავის ეყო უწინაარსთა მისსა მეფეთა: აფრიკეთი და ჰრომი, რომელი წინააღმდგომთა ეპყრა, იგი უქმოიპყრა და ორნივე იგი მეფენი შემოყვანებად სცნა კოსტანტინეპოლისა, და იხილნა 30 უიტვიგნი, მეფს ჰრომისაჲ, და გელიმერა, მეფს აფრიკეთისაჲ. და ესრეს ქუეყანისაჲ და ზღუსაჲ ნახევარი უქმოიპყრა და მცირედთა დღეთა ბერძენთა მეფობაჲ უმეტს განადიდა. და განათავისუფლა ყოველი დასაუალითი, რომელნი მოჰსენებულ არიან, წინააღმდგომთაგან არიანოსთა მონებისა და თჳსსა სარწმუნოებასაჲ ქეშაბრტისა მართლმადიდებელთასა შოაკციენა, და ყოველნი ეკლესიანი არიანოსთანი მოუხუნა, რომელი წინავე ერქუა წინაწარმეტყუელებით ბერსა მას. არა ხოლო თუ ესე, არამედ ნესტორის წვალებათა ზედა და ოროგინს- 30 თა განძლიერდა და დაარღვინა და შეაჩუენნა, რომელი ქმნა თჳსითა ნებითა და შეკრებთა, რომელნი შეკრიბნა კოსტანტინეპოლისს წმიდანნი მამანი, რომელნი შეკრბეს მეხუთედ; და ესეცა უკუანაჲსკენლ იყოს! ხოლო მოხუცებულმან მან ღმრთისა მიერმან განიშოვრნა, ვითარცა თქუმულ არს, ლეონტი ბჳზანტიელი და თეოდორე მამქუესტისა მოსავნი, ესენი კოსტანტინოპოლისს დაუტევენა და 35 თჳთ შევიდა ნავსა მოწაფეთურთა და წარემართა იერუსალსმდ თთუესა სეპტემბერისასა ინდიკტიონსა ცხრასა. და ვითარცა მოვიდა იერუსალსმდ, ბრძანებანი

იგი მეფისანი განაცხადნა, ხოლო რომელ იგი ოქრომ მოეღო კოსტანტინეპოლისით განუყო იგი თუსთა მონასტერთა, ხოლო იერემიას, რომელ იგი ზემო წერილ არს, მოწაფესა მისსა, შეუძნდა განყოფიდა ოქრომასა მის, დაუტევეა დიდი ლავრაჲ და წარვიდა | და იყოფოდა იგი ჯეესა რასმე შიდა უდაბნოს, 131ა
 5 ჩრდილოეთ კერძო, სპილენძისა მონასტერსა მახლობელად ვითარ ხუთ უტევან ოდენ. ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი საბა მივიდა მისა და, ვითარცა იხილა ადგილი იგი, განიხარა ფრიად და წარიყვანა ხურონი და ჭურჭერი და ფასი და საზრდელი და მცირედთა დღეთა სწრაფით და გულსმოდგინებით აღაშშნა ეგუეტერი და რაოდენიმე სენაკნი და მისცნა მას ძმანი მის თანა ყოფად, და
 10 უბრძანა იერემიას განგებაჲ ადგილისა მის და კანონი დიდისა ლავრისაჲ დაუდვა. და ესრეთ წყალობითა ქრისტესითა ადგილი იგი ლავრაჲ აღაშშნა, ვიდრე აქამოდის დგას და ჰრქვან ადგილსა მას ლავრაჲ იერემიასნი.

75

ვითარცა წინა წერილ არს, ოდეს ბრძანებდა იგი მეფისაჲ განაცხადა იერუსალმს, მაშინ ევედრნეს მას მთავარებისკოპოსი და სხუანი ეპისკოპოსანი, 15 რაჲთამცა წარვიდა ეკსარიად და სკუთობოლისა, რაჲთა იგივე ბრძანებანი მეფეთანი წარკითხვად სცნეს მათ ქალაქთა; და ვითარცა მივიდოდა სკუთობოლისა, წინამოეგებოდა მას თეოდოსი, ეპისკოპოსი ქალაქისა, და ყოველი ერთი მის თანა. და მამაჲცა ჩემი იყო მათ თანა და ესე იყო განმგებელ ეკლესიათა მრავალ წელ და თანამზრახველ ეპისკოპოსისა. და ვითარცა განაცხადეს ბრძანებაჲ 20 ესე ქალაქსა მას, შეიყვანეს ნეტარი ესე ბერი საეპისკოპოსოდ, ხოლო საღვურად ეპყრა ეკლესიაჲ წმიდისა პროკოპისი; და განუშორებელ იყო მისგან მამაჲ ჩემი. ხოლო მე ვიყავე ყრმა და | თანაუვიდოდი მამასა ჩემსა და, ვითარცა 131ბ
 25 ვიხილეთ მღვდელი ესე ღმრთისაჲ, შემავდო მე ფერჯთა ბერისათა მამამან ჩემმან, ხოლო მან მაკურთხა და აღმადგინა, შემიტკბო და ჰრქუა მამასა ჩემსა: «ესე ყრმაჲ ჩემი მოწაფე არს და უდაბნოჲსა მამათა შეილი»; და ჰრქუა ეპისკოპოსისა: «უფალო დიდო, მე შენ მოვცემ ყრმასა ამას და შენ ეკრძალე, რამეთუ მივქს მე ეგე!» ხოლო მამამან ჩემმან მიუთხრა ესე ყოველი დედასა ჩემსა და, ვითარ ესმა ესე დედასა ჩემსა, უნდა, რაჲთამცა თავყანის-სცა წმიდასა მას. და ვითარცა მოვიდოდა ნეტარი ესე აბბა თომა შეყენებულისა, რომელი ჯდა 30 თომა-წმიდას, ესმა დედასა ჩემსა გამოსლვაჲ ბერისაჲ თომა-წმიდად. მიპყრა ჯელი დედამან და განიყვანა თომა-წმიდად, სადაცა იყო ბერი; და გარეიდგინა მამამან ჩემმან ბერი თუხისაგან და მოუწოდა დედასა ჩემსა თავყანის-ცემად მისა. და ცნა ბერმან, რამეთუ მგვეალი ღმრთისაჲ არს, აკურთხა იგი და, ვითარცა მიხილა მე, თქუა: «აჲა მოწაფე ჩემი კვირილ!» და მე თავყანის-ვეც, ხოლო მან 35 მაკურთხა და აღმადგინა და ჰრქუა დედასა ჩემსა: «დაასწავე ამას «დავითი», რამეთუ მივქს ეგე და ამიერიოგან მოწაფე ჩემი არს!» და ესე ვითარცა ჰრქუა, აკურთხა დედაჲ ჩემი და განუტევეა, ხოლო მე დამიყენა მამისა ჩემისა თანა და გან-

ველით აბბა პროკოპისა და მის თანა გჳამეთ, და მოვედით საეპისკოპოსოდ. ხე-
 1320 | ლისა დღე, ვითარ წარემართებოდა იერუსალმმდ. მოვიდა მამისა ჩემისა თანა
 და დედაჲ ჩემი და მე, და გამოვიდა სკუთხოლისით პატიოსანთა მამათა თანა,
 რომელნი იყვნეს მის თანა. მე ესრე მგონიეს, პატიოსანო მამაო ჩემო, რამეთუ 5
 ესე იცოდე, რამეთუ მეტყოდე მე და მიზრახებდ, რაჲთამცე ვიყოფოდე ლავრა-
 სა ნეტარისა საბაჲსსა; და მე რაჲ ვარქუე, რამეთუ ნეა-ლავრაჲცა მის მიერ აღე-
 შშნა უფროჲს ხოლო, რამეთუ მის ადგილისაგან განანსნეს ოროგინშს მოსაენი,
 და შენ მომიგე და მარქუე: «ჰე, ჰე, მეცა ვიცი, რამეთუ უმჯობშს ესე არს,
 რაჲთა იყოფოდი შენ ლავრასა; და ვიცი, რამეთუ ესეცა იყოს; რაჲთა გამო- 10
 ჩნდეს წინაწარმეტყუელი დიდი საბა და ესე თქუენი თქუმელი ჩემდა მომართ.
 ხოლო მე ღმრთისა მიერ განმზადებულ ვარ, რაჲთა თავისა ჩემისა სენაკი ვი-
 შშნო დიდსა ლავრასა და მას შინა ვიყოფოდი, რაჲთა აღესრულოს მისი იგი
 თქუმელი წინაწარმეტყუელებით და ბრძანებჲა თქუენი ღირსთაჲ». ხოლო ების- 15
 კოპოსი დედაქალაქისაჲ წუს-წუთ ბასრობით ეტყუნ მამასა ჩემსა: «ვითარ მრთელ
 არს მოწაფშ იგი აბბა საბაჲსი?» და უფროჲს ხოლო მაწუევედეს დასწავლასა
 «ღავეითისასა» და მოციქულისა წიგნთა. და მაკურთხა მე ებისკოპოსმან და აღ-
 მიკუეცა თმანი და დამადგინა მე ახლადკუეცილთა თანა ეკლესიისაჲთა. და ვი-
 1320 | თარცა განაცხადეს ბრძანებჲა იგი მეფისაჲ და რომელ იგი იყო გარკუენილე-
 ბჲა სამარიტელთაგან მოიხილეს რა ებისკოპოსთა მათ, | პირველსა პალესტი- 20
 ნესა, ვითარცა აქუს ყოველი სამარიაჲ, ათორმეტი კენტენარი აღუმცირეს ხარ-
 ხოლო ვარემოჲს რომელ არიან სკუთხოლისა მოხარკენი ერთი ხოლო კენ-
 ტენარი შენდობჲა უყვეს ებისკოპოსთა მათ, რამეთუ არა ეგოდენ ეყო განრყუ-
 ნილებჲა სამარიტელთა ადგილსა მას, ვითარ სხუთა ადგილთა. ხოლო რომელ- 25
 ნი დაეწუნეს ეკლესიანი, მოიღეს პალესტინისა ებისკოპოსთა დიდძალი ოქროჲ,
 და თითოეულმან ებისკოპოსმან ალაშშნა ეკლესიანი თუსსა საბრძანებელსა უხუ-
 ბით და მხიარულებით და შეამკუნეს იგინა შუენიერად.

76

ხოლო დიდი ესე ღმრთის-მსახურებისა მოლუჲაწშ საბა, ქრისტიანეთაჲს
 აღასრულა[რაჲ] მსახურებჲა, მოიქცა იერუსალმმდ, და სიხარულით შეიმთხზა 30
 იგი მთავარეპისკოპოსმან და პატიოსანთა ადგილთა თავყანის-სცა და რეცათუ
 იჯმნა წმიდათა მათგან ადგილთა და მოვიდა თუსსა მას დიდსა ლავრასა. და
 ვითარცა წარჯდა მცირედი ჯამი, დასნეულდა; და ესმა წმიდასა მთავარეპის-
 კოპოსსა პეტრეს და შთავიდა ხილვად მისა. და ვითარ იხილა, რამეთუ არარაჲ
 აქუნდა განსაფრთხოებელი სენაკსა შინა, გარნა მცირედ კერატი და ფინიკი 35
 ძუელი, შესუა იგი ლეკტიკსა და მოიყვანა საეპისკოპოსსა თუსსა და ლუწიდა
 მას და თუსითა კელითა მსახურებდა. ვითარ წარჯდეს მცირედნი დღენი, იხილა
 1330 | სახილავე ნეტარმან მამამან ჩუენმან, — აღსრულებჲა | თუნი შექდგომად მცირედ-

- თა დღეთა,—და უთხრა ესე მთავარებისკოპოსსა და ევედრებოდა მას, რაეთაჲ-
 ცა განუტევეა იგი და შთავიდა ლავრად და სენაკსა თვისსა აღესრულა. ხოლო
 მთავარებისკოპოსსა უნდა, რაეთაჲცა განუქრნა იგი; და წარავლინა თჳსა ლავ-
 რად და მისცა მას საჭმარი თჳსი. ხოლო ნეტარი ესე ვითარცა თჳსსა სენაკსა
 5 შევიდა და დაწვა გოდოლსა მას თვისსა, მოუწოდა მამათა ლავრისათა თთჳსა
 თაჳსა დეკემბერისასა და მისცა მათ მამასახლისი ვინმე, ბზრიტელი ნათესავით,
 რომელსა სახელი ერქუა მელეტს, და ამცნო მას და ჰრქუა: «იხილე, ვითარ
 მიითუალავ წესსა მონასტერთასა, და უქცევულად დაიმაზხე!» და ესე აღწერიტ
 მისცა მას. და დაყო ნეტარმან მან ოთხი დღს და არარაჲსა გემოჲ იხილა, არ-
 10 ცა ვისთანა ზრახვიდა. მწუხრი შაბათსა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად,
 მოითხოვა სიწმიდს და ეზიარა და თქუა დასასრულსა: «უფალო, ჳელთა შენთა. ფს. 30,6
 შეჰვედრებ სულსა ჩემსა!» და შეჰვედრა სული თჳსი.

77

- და ესრტ ნეტარმან მამამან ჩუენმან საბა აღუაწლი კეთილი მოიღუაწა, 2 ტიშ.
 სრბაჲ აღასრულა, სარწმუნოებაჲ დაიბარბა, სიმართლისა გვრჯვნი მოიგოა. ხო-
 15 ლო აღესრულა ნეტარი ესე დეკემბერისა თთუესა ხუთსა, ინდიკტიონსა ასა.
 დასაბამსა ვინაჲთგან იწყო სოფლისა შესაქმედ ზზისა სღუგაჲ, არიან წელინი ექუს-
 ათასოცდაოთხი, ხოლო ვინაჲთგან სიტყუაჲ ღმრთისაჲ ქალწულისაგან განკაც-
 20 ნა და ჳორციელად იშვა, წელინი | ხუთასოცდაოთხ. და ესე იქმნა ესრტ, [ვი-
 თარცა] აღწერეს წმიდათა მამათა ჩუენთა: ჳპოლიტე ტუელმან, რომელი თანა-
 25 მზრახველ იყო მოციქულთა, და ეპიფანე, რომელი მთავარებისკოპოს იყო კჳ-
 რელი, და ირონ ფილოსოფოსმან და აღმსაარებელმან. ხოლო ჟამნი ჳორციე-
 ლად ცხოვრებისა მისისანი ესრტ არიან: ოდეს მოვიდა პალესტინელ, იყო იგი
 ათრვაშეტის წლის; დაყო მონასტერსა შინა ათშუდმეტი წელი, ხოლო უდაბნო-
 30 სამეტი წელი ჰასაკისა მისისა ჟამნი შემდგომად მეფობისა ლამპადისა და ორეს-
 ტის მეორისა, მეექუსესა წელსა მეფობისა იუსტინიანსსა. და განითქუა ყოველსა
 ქუეყანასა გარემოჲს სიკუდილი ამისი, და შეკრბა სიმრავლს მონაზონთაჲ და
 ერისკაცთაჲ; და მოვიდა მთავარებისკოპოსი პეტრე და სხუანიცა ებისკოპოსნი
 მის თანა და წმიდისა ქალაქისა წარჩინებულნი და ესრტ[თ] პატიოსანი ნაწილ-
 35 ნი მისნი ლავრასა დიდსა დაჰკრძალნეს შუა სამთა ეკლესიათა, სადა იგი წი-
 ნაჲთ სუეტი ცეცხლისაჲ იხილა.

78

- ხოლო არა მოკუდა წმიდაჲ ესე, არამედ სძინავს; პატიოსნითა ცხოვრები-
 თა იყოფოდა და ღმერთსა სათნო ეყო, ვითარცა წერილ არს: ესულნი მართალ-სიბრ. III.1
 თანი ჳელთა შინა ღმრთისათა და არა შეეხოს | მათ სიკუდილია. ხოლო გუაჲი 134ა

7 მელეტს | მელიტდნ.—11 სიწმიდეჲ.—19 ტუელი.—24-25 ათვაშეტი.—26 იუსტინიანსსა |
 მისსა.—30 შუა.

მისი საფლავსა შინა ძეს განურღვეველად, ვიდრე დღენდელად დღემდე და-
 ცულ არს; რამეთუ ესე მე თუალთა ჩემითა ვიხილე წარსრულსა მას მეთათსა
 ინდოკტიონსა, რამეთუ განვალთ პატიოსანი საფლავი მისი, რათამცა დავჰმარ-
 ხეთ მუნ ღირსისა კისიანოსის გუამი, და შთავედით თავყანისცემად წმიდისა
 მის ძულათა და ვპოვეთ იგი ვებულად და განურღვეველად დაცული. და- 5
 მივკრდი და ვადილე ღმერთი, რომელმან ესრით დიდებულყო მონაჲ თჳს და
 უჭრწნელად დაჰმარხა, ვიდრე ყოვლისა სულისა აღდგომამდე. და ესე რად ვი-
 ხილენ ძუალნი მისნი წმიდანი, გულის-ხმა ვყავ, რამეთუ სული მისი დიდ არს
 წინაშე ღმრთისა და აქუს ველმწიფებამ. ვითხრა მცირედ სიტყუაჲ საკრველი.
 იყო ვინმე წმიდასა ქალაქსა ვეცხლის-მჭედელი, ნათესავით დამასკელი, სახელით 10
 რომილოს, ერთი წინათა დიაკონთაგანი წმიდისა ვეტსემანიისაჲ. ესე რომილოს
 მითხრობდა მე და თქუა, ვითარმედ ჟამსა მას, რომელსა აღესრულა ნეტარი
 საბა, მპარაენი შემეგდეს და განმპარეს ასი ლიტრაჲ ვეცხლი. ხოლო მე მუნ-
 ქუსესე განვედ სამარტურესა წმიდისა თეოდორტსსა და დავყავ მუნ ხუთ დღე
 და რადცა დღე კანდელი ეკლესიისანი მე აღუნთნი, და ღამს და დღს ვტირო- 15
 დი კართა წინაშე საკურთხეველისათა, შუალამესა ოდენ | მესხეთისა მის დღისა
 მიმერულა და დავიძინე. და ვიხილე წმიდაჲ ქრისტტს მარტური თეოდორე და
 მრქუა მე: «რად გაქუს ანუ რასა იურვი, რად ეგოდენ სტირი?». ხოლო მე მიუ-
 გე და ვარქუ მას: «რამეთუ წარმიწყდა ჩემიცა და სხუათაიცა, და ესოდენთა
 ამით დღეთა ვიურვი და არარად სარგებელ მეყო». მან მომიგო და მრქუა მე: 20
 «გრწმენინ ჩემი, არა აქა ვიყავ. რამეთუ ბრძანებამ გამოვდა და შევეკობით,
 წმიდისა საბაჲს სულსა წინაუძლოდეთ და მივიყვანეთ იგი ადგილსა მას გან-
 სასაუნებელსა; არამედ აღდგე და მივედ ადგილსა მას და ჰპოვენი მუნ მპარაენი
 და ვეცხლი შენი». და მე აღვდეგ მასვე ჟამსა შინა და წარვიყვანენ ჩემთანა 25
 სხუანიცა და, ვითარცა მივედით ადგილსა მას, რომელთ მიჩუნა მე წმიდამან
 თეოდორე, ვპოვეთ ეგრე, ვითარცა ჩუნებასა მოვიხილე.

79

ორნი ძმანი ვინმე იყვნეს ვორციელად ველის-პირისანი, დაბით-ბურირიელ-
 ნი. ამით აქუნდა სარწმუნოებამ წმიდისა საბაჲსა მიმართ. და ესენი ოდეს იყე-
 ნეს დაბასა თჳსსა, რომელი მივიდის მუნ მონაზონი წმიდისა საბაჲსი, ისწრა-
 ფიედ განჯურნებად და მსახურებად მათა, რათა მათიცა ნაშრომი სათნო ყყოს 30-
 ღმერთსა. და ესენი დასწულდეს ჟამსა ოდენ სთულისისა შემთხუევითა ეშმაკი-
 ნათა ფიცხლად. და განწირნეს იგინი სიკუდილ და იურვოდეს იგინი სთულისა-
 თჳს; მაშინ მოივსენეს წმიდაჲ საბა და ილოკვიდეს მისა მიმართ და ეჩუნდა მათ
 თითოეულსა თჳსაგან და ჰრქუა: «აჰა ესერა ვევედრე მე ღმერთსა განმრთელე- 35
 ბისა თქუენისათჳს | და ღმერთმან მომშადა თხოვამ ჩემი; აწ სახელითა იესუ
 ქრისტტს, ჰეშმარტიტისა ღმრთისაჲთა, აღდგით და განედით საქმესა თქუენსა!»
 ხოლო ესენი მუნქუსესე განძლიერდეს, აღდგეს და წარვიდეს საქმესა თჳსსა და.

უთხოვრებდეს სასწაულსა: ამას თუსთა მსოფლელთა. მიერ ჟამითგან, რომელსა იხილეს სასწაული ესე, დღე იგი დააწესეს და ყუან კრებად და ჰხადიან მსოფლელნი.

80

დღედაკაცი ვინმე, ჩუენისა დედა-ქალაქისა მოქალაქე, რომელსა იგი სახე-
 5 ლი ერქუა გენარუს, ამან ორისა ეზოსაიდ აღუთქუა ქსოვად, ერთი კასტელისა
 მონასტერსა და ერთი სპილენოსისა მონასტერსა. და მოემზადა ყოველი საწმა-
 რი, ხოლო რომელთა დედათა ეთქუა მის თანა ქსოვად, გარდაექცეს. ვითარცა
 არა მოვიდეს დედანი იგი, ფრიად გულსა აკლდა გენარუსს და იურვიდა. ეჩუე-
 10 ნა მას ძილსა შინა ნეტარი საბა და ჰრქუა: «ცისკარს მიუვლინე დედათა მათ
 და მოვიდენ და აღასრულენ საქმე შენი; ნუ გულსა გაკლს, არა დაპკოლდეს
 შესაწირავეი შენი». და ეჩუენა დედათაცა მათ მქსოველთა რისხვით დაპკოლე-
 ბისა მისთუს საქმისა. და ვითარცა განთენა, მიესყულად მოვიდეს სიხარულით
 გულსმოდგინედ და უთხოვრებდეს ურთიერთას ჩუენებასა მას და ესრეთ აღა-
 სრულეს საქმე იგი და ჰმადლობდეს ღმერთსა.

81

15 და ამისსა შემდგომად ებმი რაოდენიმე წარცდა, ჯკონომოსმან დიდისა
 ლავრისამან აქლემები იმიზდა სარაკინოსთავან, რადამცა მოილო იფქლი ზღუა-
 მკუდრისა კიდით, რომელი კარაპითა წიადმოელო მაქერონტადთ. მაშინ აღკვი- 135 ბ
 და აქლემებსა მას და მოილო ლავრად. ხოლო ერთი აქლემთა მათგანი, ვითარ-
 ცა აღვიდოდა ქსენადუქად, მიიქცა მარჯულ-კერძო მცირედ და გარდაიჭრა
 20 კლდესა მას კიდებულთ, ხოლო შიდა არს სიღრმე კლდისაიდ მის ვითარ ათ კაც
 ოდენ. და უფალი იგი აქლემისაიდ მის სარაკინოსი ღაღადებდა და იტყოდა:
 «ლოცვაო წმიდისა საბაასო, შეეწიე აქლემსა ამას ჩემსა!» და ვითარცა გორვი-
 და აქლემი იგი კიდებულთ, იგი უფროსს ხოლო ღაღადებდა და იტყოდა: «მა-
 მათ საბა, შეწვენა ყავ!» და იხილა ვინმე ბერი შუენიერი ზედაფლდომარს აქ-
 25 ლემსა მას მგორვალსა. და სრბით სხუთ გზით აღკვიდა ეწევად აქლემისა უფა-
 ლი და ბერი იგი აქლემსა მას მჯომარს არა იპოვა, ხოლო აქლემი იგი უფენ-
 ბელად დაცული პოვა კიდებულთ ტურთითურთ, აღადგინა და აღმოიბა იგი სხუთ-
 გზით ქსენადუქად და გარდაჰჭადა იფქლი იგი. ხოლო მთეულმან მან ვითარცა
 იხილა სასწაული იგი, მოვიდის იგი რადცა წელიწადი ლავრად და თავყანის-
 30 ცის საფლავსა ნეტარისა საბაესსა და მისცის ჯკონომოსსა ლავრებასა თუსისა
 ნაშრომისაიდან ტრიმისი ერთი შესაწირავეად.

19 აღვიდოდა აღება; მიიქცა მიაქცია.

82

136ა ამისა შემდგომად აღაშშნეს¹ ლაკუა დიდი გოდოლსა მას ქუეშე, სადა იყოფოდა ნეტარი მამა ჩუენი საბა ქუაბსა მას, რომელსა შინა სენაკად მისა აღვიდოდა გზა ღმრთით-შშნებულისა მისგან | ეკლესიისა; და მას ზედა იყო კლდმ ერთი დიდი, იგი სკებტორად აღაშშნეს მამათა, რათა მუნ დაწმინდებოდის წყალი და მიერ დაწმინდილი იგი ლაკუად მივიდოდის. მამა ვისმე ერქუა 5 ბეთლემელსა მგოზარსა; ამან აღაშშნა და განგოზა ლაკუად და სკებტორი. ამან იცოდა ხუროებად კეთილად და თანა ჰყვანდა ყრმად ერთი მოწაფმ, რომელსა სხელი ერქუა ავქსენტი. ჟამსა ზამთრისასა აღაშშნეს სკებტორი იგი და განსქდა, და მამა იგი, რამეთუ ძლიერ იყო, განიელტოდა და განერა, ხოლო ყრმად იგი შთაიტაცა ლუარმან შინაგზოდ და ნალუარევი იგი წყლისა მის ქვეითურთ ზე- 10 დადაეცემოდა ეზოსა მას შინა, რომელი არს შუა სამთა-ეკლესიათა, სადაცა ძეს პატრიოსანი გუამი ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაძსი. ხოლო არს სიმაღლმ კლდისად მის ვითარ ათ კაც ოდენ. და ვითარცა დასცხრა წვამად, იბოვა ყრმად იგი ქვითა ქუეშე ნალუარევისა წინაუკუნ ღმრთით-შშნებულსა მას ეკლესიასა და არარაა ეგნო ყრმასა მას. ამას საკვრველსა მე თვთ ვხედვედ, რამეთუ მოსრულ 15 ვიყავ მე ნეა-ლაკრით მათ დღეთა შინა დიდსა ლავრასა და ვეძიებდ ადგილსა, რათამცა ვიშშენ სენაკი. და ესე დიდთა მათ საქმეთაგანი მიკირედ რაოდენმე, გამოვილე და დაეწერენ, არამედ მაწუთეს მე ჟამი, რათა ვთქუა რომელი შეე-მთხვა მოწაფეთა მისთა და მამასახლისთა შემდგომად მისსა.

83

136ბ და ვითარცა დაიპყრა აბბა მელეტი მამასახლისობად ნეტარისა საბაძს 29 ლავრისად, რომელ გამოელო ათასი დრაჰკანი სუმოსისგან ბრძანებითა მეფისათა საშენებლად ციხისა, ესე მთართუა მთავარებისკოპოსსა პეტრეს გინა უცბობით, გინა გულის-კლებით, და დააპკოლა შშნებად ციხისად მის. ხოლო მთავარებისკოპოსმან პეტრე ვითარცა მიიღო ათასი იგი დრაჰკანი, განუყო იგი თითოეულსა მონასტერსა, სადა ვმდა. ამან აბბა მელეტი მიითულა ნეტარისა ბე- 25 როსა იგი სამწყსოდ განმრავლებული; და ესე სამწყსოდ ძგელთა განჭრად ედვა, უკუეთუმცა არა მწყემსთ მთავარი ქრისტმ ღმერთი ჩუენი შეეწია; ვითარ სახედ, ვთქუა. ყოვლადქებული მამა ჩუენი საბა [ვიდრე] გორცთალა იყო, ერთი სარწმუნოებად აქუნდა ყოველთა მონასტერთა უდაბნოვსათა. და იხილნა 30 შეკრებულნი შვილნი იერუსალმისანი, მთავალნი სახლსა ღმრთისასა უძღვეულნი 30 ის. 60,4 და გარდაუტყვევლად მყოფნი, რათა აღესრულოს წერილი: «დღიხილენ თუაღნი შენნი და იხილენ გარემოვს შენსა შეკრებულნი შვილნი შენნი». ხოლო კეთილისა ამის მწყემსისა აღსრულებისა შემდგომად სამწყსოდ იგი იურვოდა და

—2 ქუაბსა მას ქუაბი იგი.—3 შენებულისა. 10 შთადრაცა. შინაგზოდ| შიდაგზოდ.
—11 შუა.—17 რაოდენმე.—21 სუმოსგან.—23 შენშაბ.—27 ქრისტე.—30 იერუსალმისანი.

არა აქუნდა მწყემსი მაგარი. და ვითარცა იხილეს სიკუდილო მამისა ჩუენისა
 საბადისი ნონოს და მისთანათა მათ, სიღრმშ იგი უკეთურებისაჲ გულისა მათი-
 სსაჲ და არამართლმადიდებლობაჲ განაცხადეს და ასწავებდეს | უშჯულოებასა მის 137ა
 მახლობელთა მათთა, არა ხოლო თუ რომელნი ნეა-ლაერას მყოფ არიან მე-
 5 ტყუელნი კაცი მიიტყვივნეს მათსა მას სიცრუეგესა, არამედ მარტურის მონასტრი-
 სანიცა და ფერმინსს ლაერისანი, შემდგომად სიკუდილისა ნეტართა მათ მამა-
 თასა, ფერმინსსა და სოზომენსსა, რომელნი მკენ იყვნეს და თანამოღუაწე
 ნეტარისა საბადსა. არა ხოლო თუ ესე, არამედ დიდისა ლაერისანიცა და სხუა-
 თა მონასტერთა უდაბნოხათა შეუძლეს მცირეთა ჟამთა დათესვად ოროგინს-
 10 სი იგი მელგარი სარწმუნოებაჲ. მათ ჟამთა ოდენ დომენტიანოს ვინმე ჩამასახ-
 ლისად დგა მარტურისა მონასტერსა და თეოდორე, რომელსა ეტყუა ასკიდა,
 ესე ნეა-ლაერას მთავარგანმგებელად იყო. ესე ორნივე შეწყუელნი მწინჯულევა-
 ნისა ოროგინსს შჯულითა სავსე იყვნეს, და აღვიდეს იგინი კოსტანტინეპო-
 ლისა და მიზეზად რეცათუ კრებასა ქალკიდონისასა შეერთებოდეს; და ესენი
 15 მიუვდეს ლეონტის ბუხანტიელსა, რომელი ზემოკერძო წერილ არს. ამან შეიყ-
 ვანნა და შეაწყნარნა იგინი ჰაბა ევსების და ევსები შეიყვანნა მეფისა ჩუენისა
 ღმრთის-მსახურისა, და ტყუელითა ეშმაკისაჲთა აჩუენებდეს თავსა თუსსა ვი-
 თარცა წმიდანი და მართლმადიდებელნი მონაზონნი. და ამით სახითა შვედიო-
 დეს და გამოვიდოდეს წინაშე მეფისა, ვითარცა უნდა. მაშინ დომენტიანოს გა-
 20 ლათიასა ქუეყანასა ებისკოპოს იქმნა, ხოლო თეოდორე კესარიას კაბადუკიად-
 სასა იქმნა ებისკოპოს. | და ვითარ ესმა ესე ნონოსს და მისთანათა, განძლიერ- 137ბ
 დეს და სწრაფით და ღამისთევით სამეზის დაწყუელისა ოროგინსსი იგი ღუა-
 რძლი ყოველსა პალესტინესა დასთესეს.

84

ხოლო აბა მელეტი დაყო ხუთი წელი მამასახლისობასა ლაერასა აბბა სა-
 25 ბადსსა და აღესრულა. და ვითარცა აღესრულა ნეტარი აყოღულოს, რომელი
 წინა მრავალგზის მოვსენებულ არს, ამისმან მამან გელასი დაიპყრა მამასახლი-
 სობაჲ ნეტარისა საბადს ლაერისა დიდისაჲ დასაბამსა ათხუთმეტისა ინდიკტიო-
 ნისასა. რამეთუ ესე გელასი, ვითარცა დაემკდრა მამასახლისობასა მის ლავ-
 რისასა, პოვნა ვინმე ოროგინსს წვალებასა მივალნი კრებულსა მას შინა. და
 30 მივიდა იგი დიდისა იოჰანე დაყუდებულისა და ესრახა მას ამის სახისათუს,
 და ამას თანააქუნდა მოღუაწედ და შემწედ ევსტათი წიგნის-მწერალი, ნათესა-
 ვით ვალატელი, და სტეფანე იერუსალშმელი, და ტიმოთე გაბალელი, რომლისა
 მოძღურებაჲ მისი ბრწყინავს მოდღენდლად დღემდე. მაშინ გელასი უბრძანა
 მოღებად წიგნი იგი ანტიატროსის თქუმული, რომელი თქუა ოროგინელთა
 35 ზედა, და წარკითხვად სცა ეკლესიასა შინა, მაშინ აღიძრნეს და აღშფოთნეს
 და განრისხნეს სულითა განჯრწნილნი მწვალებელნი და აღაშფოთეს ეკლესიაჲ.
 ხოლო იყო შფოთისა მის წინამძღუარ იოჰანე მთავარ[დიაკონი და] დეკანო-

- 138ა ზი ლავრისა მის, ნათესავით ანტიოქელი, რომელი გამოეძო | მამათა საკურ-
თხეელით წვალებისათჳს და მას თანაშეყოფილ ეყო იოჰანე, რომელსა ერქუა-
ქუხილისა ეშმაკი, და პტოლომე; ესენი შეითქუნეს და გარდააქცევდეს მრავალთა-
სულთა. მაშინ მამათა ერთითა გონებითა და განზრახვითა ჟამად-ჟამად თი-
თოეული გამოასხეს, და იპოვნეს იგინი ვითარ ორმეოც კაც ოდენ. და კოველ- 5
ნი ესე მიკრბეს ნეა-ლავრად ნონოსისსა და ლეონტი ბჯანტიელისა, რომელი
კოსტანტინეპოლისით შთამოსრულ იყო. ესე აღბორებულ იყო და საესე გუ-
ლისწყრომითა ნეტარისა საბაჲს ლავრისათჳს და გელასის და სხუთა მამათა
შეასმენდა, და შეკრბეს მუნ ყოველნი მწვალებელთა მთავარნი, რამეთუ ლეონ-
ტის დიდი შური და გულისკლებჲა აქუნდა ძუელი ნეტარისა საბაჲსი. და შე- 10
ზრახეა ყო, რაჲთამცა დააქციეს დიდი ესე ლავრაჲ და არამცა იყო საყოფელი
კაცთაჲ მას ადგილსა; და შეკრიბა ერი მრავალი ნეა-ლავრად დაწყებულთა და
უბადრუტა მწვალებელთაჲ. და ესე შეკრებულნი და გამოსხმულნი ლავრით
წარვიდეს ნეტარისა თეოდოსის მონასტრად, ეგრე ჰგონებდეს, ვითარმედ შეე- 15
ზრახნენ იგინი მის მონასტრისა მამასახლისსა სოფრონის, კაცსა მოშიშსა ღმრთი-
სასა, და სხუთა მამათა, არამედ ღმერთმან დააბრმო გონებჲა მათი და სირ-
ცხელით გამოვიდეს მონასტრისაგან და აღივსნეს გულისწყრომითა დიდითა
ყოველნი, ლეონტი და მისთანანი იგი, გელასის ზედა და დიდისა ლავრისათჳს.
- 138ბ | და წარავლინეს მათგანნი თითოეულთა ადგილთა და შეკრიბეს სათხრელები
და ჰამები და კედები რკინისაჲ და სხუაჲ, რაჲ იგი უქმდა დასარღვეველად, 20
და ერი იკრიბეს გარეშოჲს სოფლებსაჲ და წარემართნეს, რაჲთამცა შთავი-
დეს და დაარღვეს დიდი ესე ლავრაჲ. ხოლო ღმერთმან საბაჲსმან დიდი საკურ-
ველი ქმნა; და ვითარ მივიდოდეს, იყო ორი ჟამი დღისაჲ, და დასდვა მათ ზედა
ღრუბელი და ნისლი და დღესა მას დაილევწვოდეს, შეტომილნი მიმოდარონი- 25
ნებდეს და, ვითარ მესმა კაცისა სარწმუნოჲსაგან, დიდითა ქირითა ხელისა
დღჳ მარკიანჳს მონასტრისა თანა იპოვნეს, და მაშინდა იხილეს ნათელი, და ეს-
რჳთ სირცხვილეთუნი თჳსად ადგილად უქუნვიდეს. ესე საკრველი ქმნა საკურ-
ველთმოქმედმან ღმერთმან, რომელი «შემუსრავს ამპარტავანთა, ხოლო მდაბალ- 30
თა. მოსცილ მადლი», რომელმანცა იგი ლოთის ზე და ელისჳს ზე წარწყმინდა უხი-
ლაგობითა.

გაგ. III,
34

30

85

მას ჟამსა ოდენ მოვიდა მთავარებისკოპოზის ანტიოქიისაჲ ევრემ იერუსა-
ლჳმდ და პაპა ეესები პავლჳსა, ალექსანდრიელ ებისკოპოსისა, გამოძებისა-
თჳს. და ვითარცა პაპა ეესები განუტევა კრებული იგი, რომელი იყო პავლჳს-
თჳს, ალექსანდრიელ ებისკოპოსისა, ამისსა შემდგომად მოვიდა იერუსალჳმდ.
მაშინ შევიდა მისა ლეონტი ბჯანტიელი და შეიყვანნა მის თანა გამოსხმულნი 35
იგი მწვალებელნი ლავრით. უდრტკნიდეს გელასის მამასახლისსა და თქუეს:
«ამან გაზოგა ლავრაჲ და ჩუნე გამოგუჲასხნა და მტერნი ჩუნენი შეიწყნარნა». ხო-
ლო 10—11. შეზრახეა.—31—32, 34 იერუსალჳმდ.—32—33 გამოძებულისა.—37 გაზოგა |
გაჯოგა.

ლო ლეონტი პაპა ეცხები ! აცთუნა და არა უთხრა მართალი, ვითარმედ წვალე-
 ბისათს გამოსხმულ არიან. მაშინ მოუწოდა აბბა გელასის და ჰრქუა: «ანუ შე- 139,
 იყვანენ ესენი, უკუეთუ არა, იგი, რომელ მტერნი მავათნი შინა არიან, ივინი-
 ცა გამოასხენ». ესე მისთს ჰრქუა, რამეთუ მშუღობაჲ უნდა ადგილისა მის. და
 5 ვითარ შეაკირვა მათ ესრეთ, მაშინ შეიზრახნენ მამანი და წარავლინნეს ლავ-
 რისაგანი კაცი ანტიოქიად: სტეფანე, ტიმოთე და სხუანი ოთხნი ძმანი, რომელთა
 ნებსით თუსით დევნულებჲა დაითმინეს. და ესენი ვითარცა მივიდეს ან-
 ტიოქიად, ყოველი, რაჲ იგი შემთხვა ადგილსა მას, აუწყეს მთავარებისკოპოს-
 სსა ეფრემს და მთარათუნეს მას წიგნი ნეტარისა ანტიპატროს ებისკოპოსისანი. 10
 და ვითარცა ესმა მთავარებისკოპოსსა წიგნთა მთავან ოროგინსთა პეტრისა მი-
 მართ გმობაჲ, რომელ იგი მათ მთარათუნეს, და გულის-ხმა ყო რაჲ იგი იქმნე-
 ბის იერუსალმს ოროგინელთაგან, მაშინ აღიძრა ძლიერად, და კრებულსა შოფ-
 რის შეაჩუენნეს ოროგინე და ბილწი იგი წვალეგბაჲ მისი და მრღვისა წვალე-
 ბისა მისისაგანი მრავალნი შერუენებულ ყენეს ეკლესიასა შინა. ესე ვითარცა 15
 ესმა იერუსალმს, განრისხნა ნონოს და მისთანანი იგი ყოველნი მყარლნი მწვა-
 ლებელნი და წარავლინეს ლეონტი ბზანტიელი კოსტანტინეპოლისა, რამეთუ
 აქუნდეს მათ ზურგად დომენტიანოს, გალატიასა ებისკოპოსი, და თეოდორე კა-
 ბადელქიასაჲ. ხოლო სხუანი იგი აქა შეუტდეს მთავარებისკოპოსსა პეტრეს და
 აწყუენებდეს მწვალებელნი იგი, რაჲთამცა აღკოცა მოსასვენებელთა | სახელი ეფ. 139b
 20 რემ, ანტიოქელ მთავარებისკოპოსისაჲ, და დიდსა წინააღდგომასა იქმოდეს
 და შფოთებდეს. მაშინ მთავარებისკოპოსმანი მოუწოდა სოფრონის და გელა-
 სის მამასახლისთა თუსისაგან და ჰრქუა მათ: «წარვედით და მომიწერეთ» წიგ-
 ნი, — შერუენებაჲ მწვალებელთაჲ, — ფიცით, რაჲთა არა აღკოცოთ მოსასვენე-
 ბელთაგან სახელთა ეფრემ მთავარებისკოპოსისა სახელი. და ამათ მამათა წიგ-
 25 ნი იგი შექმნეს და მთარათუნეს. ხოლო მთავარებისკოპოსმანი ვითარცა მიილო
 წიგნი იგი, მუნქუესევე წარუძღუნა მეფესა და მიწერა, რასა იგი ხენ მწვალე-
 ბელნი. და ვითარცა მიილო წიგნი იგი ღმრთის-მსახურმანი მეფემანი, მეყსულად
 უბრძანა წიგნისა დაწერაჲ რისხვით მწვალებელთათს და შერუენებაჲ; და წიგნ-
 30 სსა ამას ქუშე-კერძო წარწერა მენა, მთავარებისკოპოსმანი კოსტანტინეპოლისა-
 მან, და ყოველთა ებისკოპოსთა, რომელნი არიან მის ქუეშე, წარწერად სცა:
 და უნებლიად წარწერად სცა დომენტიანოსს და თეოდორეს ზემოჲ ყრძოდე
 იგი შერუენებაჲ მწვალებელთაჲ, და ყოველთაგან საცნაურ იქმნენს, ვითარ იგი
 მიზეზად ქრისტიანე იყვენეს. ხოლო დომენტიანოს ვითარცა კელი წარწერა და
 ცნა, რამეთუ სხუათა მწვალებელთა არა წარწერეს, გულის-კლებითა და ურვი-
 35 თა წუთერნი მოიჭუენცა და თაყადაღ განეშოვრა იგი კათოლიკისა ზიარებასა და
 წყლით მაკე იქმნა კოსტანტინეპოლის შინა და ესრეთ აღესრულა უზიარებელი.
 ხოლო თეოდორესი ვითარცა აგრძნეს ქრისტიანეთა, რამეთუ | შერუენების უკუა- 40a
 ნა მასვე ზედა დადგრომილ არს წვალეებასა, დიდითა პატივითა განდევნეს იგი
 ქალაქით.

და ვითარცა მოიღეს ბრძანებაჲ იგი მეფისაჲ იერუსალმს მწვალებელთა-
 თჳს. განაცხადეს იგი თითუესა ფებერვარსა, ინდიკტიონსა ხუთსა, შემდგომად
 სიკუდილისა მამისა ჩუენისა საბაჲსა მეთერთმეტესა წელსა. და ყოველთა ების-
 კოპოსთა პალესტინისათა და ყოველთა მამასახლისთა მონასტრისა უდაბნოჲსა-
 თა ჯელი წარწერეს, თჳნიერ აღექსანდრე, აბელისა ებისკოპოსისა. მაშინ
 განრისხნეს ნონოს და პეტრე და იოჰანე და კალისტონ და ანასტასი და სხუ-
 ნი მათთანანი მწვალებელნი და განეშოვრნეს კათოლიკისა წმიდისა ზიარებასა,
 დაუტევეს და წარვიდეს იგინი ველის-პირად. და [ვითარცა] ესე კონსტანტინო-
 პოლისის ისმა და სიკუდილიცა ჰაპა ევსებისი და ლეონტისი, თეოდორე, რომე-
 ლი კაბადუკიას იყო, პალატსა შინა მთავრობად აქუნდა, და მოუწოდა აპო-
 კრისართა წმიდისა ანასტასიასათა და ჰრქუა მათ დიდითა მრისხანებითა:
 «მიუწერეთ წიგნი მთავარებისკოპოსსა თქუენსა პეტრეს, რაჲთა დააჯგროს მა-
 მათა და უკუვიდენ იგინი თჳსსავე ლავრასა; უკუეთუ ესე არა იყოს, აწვე ამით
 დღეთა შინა გარდადებულ ვსცე ებისკოპოსებასა. მაშინ ნონოსეთ წიგნი მიუ-
 წერეს მთავარებისკოპოსსა პეტრეს სიტყუთა თეოდორსითა, რომელსა ერქუა
 ასკიდა, რომელსა წერილ იყო ესრე: «ვევედრებით შენსა ღირსებასა, მცირითა
 ნურაჲთ სიტყუთა განკურნენ გულნი ჩუენი, რაჲთა თქუენცა შინდით ყოველთა
 თანა გულსმოდგინეთ | და სიტუათ: განჯსნილმცა არიან და განიჯსნენ სახელი-
 თანა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა რომელი ნათესავე არა სათ-
 ნო იყოს ღმრთისა, და ესე ვითარი სიტყუად დაიჯგეროთ და არა სხუად ნურაჲ». 20
 და ვითარცა ესე ვითარი ესე ებისკოპოსსა შილი მთავარებისკოპოსმან, პირველად
 არა მიითუალა მათი იგი თხოვილი სიტყუად, რამეთუ საშფოთებელი იყო და
 არა მშუდობისად. არამედ შესმენისათჳს ასკიდაჲსა შეეშინა და თქუა: «გარდა-
 ვყვენ დღენი ჩემნი». მაშინ წარავლინნა ველის-პირად და მოუწოდა ნონოსს და
 მისთანათა და განიყუანნა იგინი თჳსისაგან და თხოვილი იგი სიტყუად აღუ-
 სრულა მათ. და ამით ვითარცა ესმა, წარვიდეს იგინი ნეა-ლავრადვე და იყო-
 ფოდეს მუნ და იღრქენდეს ბოროტად მამათა ზედა დიდისა ლავრისათა. ხოლო
 ასკიდა ვითარ აღვიდა კონსტანტინეპოლისა, მთავარებისკოპოსსა პეტრეს წიგნი
 მიუწერა რისხვით და აიძულა მას, რაჲთა შეიდგინნეს საქელოსად პეტრე
 აღექსანდრიელი და იოანე მრგუალი. ხოლო იოანე, საჭურისი მარტურის მონა-
 სტრისად, ახალსა ეკლესიასა მამასახლისად დადგინებულ სცა—წმიდისა მარია-
 მისსა. მიერ ჟამითგან უფროჲს ხოლო ფართობად ჰოვეს ნონოს და მისთანათა
 მათ და მათი იგი უღმრთობისა მყარლობად განაცხადეს და ყოველსა სახლებ-
 სსა და უბანთა ქადაგებდეს და დიდსა ბოროტსა და ძვრსა ზრახვიდეს ლავრი-
 სათჳს დიდისა და მუნყოფთა მამათათჳს. და თუ ვინმე იხილიან ქალაქსა წმი-
 დასა მონაზონი მართლმადიდებელი, ესენი ერისგანთა ჯელითა | გუემიან და სა-
 ბადეტლად ჰხადიედ მათ და განაძიან იგი ქალაქით. მრავალთა მართლმადიდე-

ბელთა მამათა სცეს და ბრძოლად აღადგინეს ღმრთის-მსახურთა ზედა. მაშინ
 ბესთა, იორდანესა მყოფთა, შური ღმრთისაჲ აღიშურეს და აღმოვიდეს ქალა-
 ქად წმიდად შეწევნად ქრისტიანეთა; და რომელნი იგი ჰბრძოდეს ქრისტიანე-
 თა მართლმადიდებელთა, განცხადებული ბრძოლად ყვეს ბესთა მათ ზედა და
 5 სხუათა მართლმადიდებელთა. და ესენი შეკვეცს ქსენადიქსა დიდისა ლავრისა-
 სა; და მიუვდეს მის მბრძოლნი იგი დიდითა გულისწყრომითა და უნდა, რა-
 თამცა მამანი წარწყმდინეს. და ვითარცა ქსენადიქსა კარნი დაჭმულნი პოვ-
 ნეს, სარკუმელნი ქვითა დაღვწენს და შინამყოფთა მათ ქვითა ესროდეს. და
 ვითარცა დიდად შეაურვეს მამათა, ერთმან ვინმე, თეოდოლოს სახელით, ბესი
 10 მონაზონი, შეწყუდობილთა მათგანი, ამან პოვა ნიჩაბი და აღიღო იგი და ქსე-
 ნადიქით გამოვიდა; ხოლო მბრძოლნი იგი იყვნეს ვითარ სამას ოდენ და ამან
 მარტომან ყოველნი განაბნინვა, ხოლო უხეტქნა არავის, ხოლო ამას უხეტქნეს
 მათ ქვითა და დაეცა და შემდგომად მცირედთა დღეთა აღესრულა. და მუნ-
 ქუესვე ღმრთის მსახურთა მათ ზედა ბრძოლად იგი განქარდა, გარნა ჯაჰჱ სარ-
 15 კუმლისაჲ მოდღენდელად დღედმდე ჰგიეს საწამებელად ბრძოლისა მის, სადა
 იგი სენაკი არს ჭურჭრის სასყიდელი.

87

მაშინ ყოველნი მამანი დიდისა ლავრისანი ევედრებოდეს გელასის, რა-
 თამცა აღვიდა კოსტანტინოპოლისა და ესე ყოველი ჰირი აუწყა | ღმრთისმოყუ- 1418
 არესა მეფესა. ხოლო აბბა გელასი ვითარცა წარემართებოდა, შეკრიბნა მამა-
 20 ნი დიდისა ლავრისანი ეკლესიად, მოიკითხნა და იჯვნა მათგან და ჰრქუა მათ:
 «აჲ მამანო, ბრძანებისა თქუენისაებრ აღვალ კოსტანტინეპოლისა და გზას რაჲ
 შემემთხვოს, არა ვიცი; გარნა გვევედრები თქუნ, თეოდორე მამქუესტისაჲ იყოს
 თუ ვინმე და გესმიეს, ნუ შემოუტყეებთ მას, რამეთუ იგი თვთ მწუვლებელი
 იყო და ნეტარმან მამამან ჩუნემან საბა ოროგინსს თანა იგიცა მოიძულა, ხოლო
 25 მე ფრიად ვინანი, [რამეთუ] ჰელითა წარავწერე რომელი ქმნეს მეუღაბნოეთა
 ბრძანებითა მთავარებისკოპოსისაჲთა, რამეთუ იგიცა არა შეაჩუენეს. ხოლო
 ღმერთმან შეიწყალა ეკლესიაჲ თჳსი და წიგნი იგი ქმნული შეურაცხყოფად სცა
 და თეოდორესი შეჩუენებაჲ ინება». ესე ვითარცა თქუა მამათა ნეტარმან გე-
 30 ლასი, იჯვნა და გამოვიდა და, ვითარცა აღვიდა კოსტანტინეპოლისა, აგრძნა
 ასკიდა და შჯული შეუთხრა, სადა უცხონი დადგიან, და საპატრიარქოსა და
 სამეფოსა კარსა, რათა იერუსალჴმისა მონაზონი არა შეუტეონ. ხოლო აბბა
 გელასი ვითარ არავინ შეიწყნარა და ასკიდასა ეშინოდა, რამეთუ ქალაქსა ყო-
 ველსა შჯული შეუთხრა მისთჳს, მაშინ გამოვიდა იგი კოსტანტინეპოლისით და
 35 წმელით წარემართა პალესტინედ და მიიწია იგი ადგილსა, რომელსა ჰრქვან
 ამორიონ, მუნ აღესრულა იგი თთუესა ოკდომბერსა, ინდიკტიონსა ცხრასა. და
 ვითარცა აგრძნეს დიდისა ლავრისა მამათა, აღმოვიდეს ყოველნი ერთბამად | ქა- 1422
 ლაქად წმიდად, რადათამცა მამასახლისი დაიდგინეს. და ვითარცა აუწყეს მთა-

ვარებისკოპოსსა, გონებითა და ჭენებითა გამოასხნეს იგინი ბრძანებითა სჯე-
 ლოსისადათა და შრავალნი ჭირნი შემოხვეწეს მათ ქალაქსა შინა. და ესრცთ
 არარად ყვეს საქმე მათი და წარვიდეს თუსსავე ლავრასა. მაშინ შრავალნი ერნი
 შეეძინებოდეს ოროგინელთა მყრალთა და თანალიბაძეგბდეს უმეცართა და
 გულსა უჭკევდეს და ლბილად სიტყვთა მათთა უმანკოთა და უკოდველთა აც- 5
 თუნებდეს და მართალთა გარდააქვედეს და უღმრთოთა ძალი და შიში აღე-
 მატებოდა, და ესრცთ ყოველი დაიპყრეს და საყოფლად მათა დიდი ლავრად
 უნდა დაპყრობად. რამეთუ ესვიდეს ისინი ძალსა თუსსა და დიდად შურებოდეს
 და ისწრაფდეს, რამათმცა მიემთხვეწეს ამას საქმესა. მაშინ დიდიდა შრომითა
 და სიციბილითა უღმრთოებისა მათისადათა და ზაკველებითა დაადგინეს მამასახ- 10
 ლისი მწვალბელი, რომელსა სახელი ერქუა გეორგი, და შთაიყვანეს იგი ლავ-
 რად დიდითა პატივითა და დასაყრსა იგი საყდარსა წმიდისა მამისა ჩუენისა სა-
 ბაჲსსა, თთუესა ფებერვარსა, ინდიკტიონსა ცხრასა. და იყო დევნულებად დი-
 დი და წმიდათა მამათა ჩუენთად განზნევაჲ შესლვითა მეგლთადათა. მაშინ იოჰანე
 ებისკოპოსი, პატიოსანი მამად ჩუენი, დაყუდებული, მრავლით ჟამითგან შეყენე- 15
 ბისა მისისადათ გამოვიდა და აღვიდა იგი მთასა ზეთის-ხილთასა და მის თანა ყო-
 ველნი ღმრთის-მსახურებისა შინა აღზრდილნი და მრავალნი მათგანნი ი განიზნინეს
 ყოველსა ჭუეყანასა. ხოლო ღმერთმან დიდი სასწაული ყო, ვითარცა იგი ოდეს-
 მე არიოსის ზედა. მათ დღეთა შინა დევნულებისათა, ოდეს განსდევნიდეს
 ღმრთის-მსახურთა მონაზონთა დიდისა ლავრისათა, მაშინ ბრძოლისა წინამძღუა- 20
 რი და უღმრთოებისა მთავარი ნონოს, ვითარცა კაცთაგან რეცა, აღიტაცა და
 მყის სულნი წარგდეს.

1428

88

ხოლო მძიმემან მეგლმან გეორგი დაყო შვიდი თთუე მდღელობასა წმიდისა
 საბაჲს სამწყსოსა ზედა, და ესე გამოაძეს თუსთა მოსავთა უშჯულოებისათუს
 და საძაგელად სლვისა. ხოლო მისი იგი საძაგელად სლვაჲ დავიდუმო და არა 25
 განვაცხადო, რამეთუ არცა სათქუმელ არს და არცა საჯსენებელ. ხოლო რო-
 მელნი იგი მცირედ დაშთომილ იყვნეს დიდსა ლავრასა მამანი ნებითა მთავარ-
 ებისკოპოსისადათა დაიდგინეს მამასახლისად კასიანოს სკუთოპოლელი, რომელსა
 სუკაჲს ლავრისა კრებული მრავალწელ კეთილად და მართლდიდებით განეგო,
 ესე ნეტარი ბრძენ იყო და ნათესავით აზნაური და წმიდისა საბაჲსაგან სწავ- 30
 ლული, და დიდსა ლავრასა ხუცეს ყოფილი, და რვაჲ წელი დაეყო სუკაჲს
 ლავრასა განმგებლობასა და სკუთოპოლისს აღეშენა მონასტერი, რომელსა ჰქვან
 ზუგა. ამან კასიანოს წმიდისა საბაჲს აღვილი და ღმრთისა სამწყსოჲ ათსა
 თთუესა დამწყსო და მშუდობით მსგევე ზედა დაწვა და დაიძინა თთუესა იე-
 ლისსა, ინდიკტიონსა ათსა, მეთექუსმეტესა წელსა შემდგომად სიკუდილისა 35
 მამისა ჩუენისა საბაჲსსა.

ფს. 4, 9

89

მაშინ აღდგეს მამანი დიდისა ლავრისანი ღმრთისა მიერ | და [დაიდგინეს] 143ა
 მამასახლისად აბბა კონონი, კაცი სახელოვანი მონაზონთა წესების აღსრულებით
 და მართლმადიდებლობის დოღმატებში სიმტკიცით. ის იყო კილიკიელი, ბევრო-
 ბიდან ცნობილი შეიქნა მონაზონთა ცხოვრებით და საღმრთო ღვაწლსა შინა
 5 წარემართებოდა. შემდგომად ნეტარი საბას გარდაცვალებისა მოვიდა იერუსა-
 ლიმში წმიდა ადგილთა თაყვანისსაცემლად და ღმრთის მიერ მოყვანილ იქნა
 დიდს ლავრაში. აქ ის განსწავლიდა მამებს სულიერი სიბრძნით და კეთილგო-
 ნიერებით. მან მიიღო თავის განმგებლობაში დამცირებული და დაკნინებული
 სამწყსო აბბა საბასი, მაგრამ განამრავლა და სახელოვან ყო იგი და მამები,
 10 რომელნიც სხვადასხვა ადგილას იყვნენ განზნუენნი, შემოკრიბა ლავრაში. ღმრთ-
 მა, რომელიც მუდამ ზრუნავს თავისი ეკლესიისათვის, დაამხო ოროგენიანთა
 ერთსულოვნება, ისე, როგორც ერთხელ, ებერის დროს, ენის განყოფით დაარ-
 ლვია თანზომობა ბაბილონის გოდლის მშენებელთა. როდესაც ნონოსი დაემხო,
 ფირმინესა და დიდი ლავრის მონაზონთა შორის ჩამოვარდა უთანხმოება მათი
 15 დოღმატების გამო, და დაიწყო მათ შორის ლაღვა. მათი მრავალნაირი უკე-
 თურება ძლავრად და გამოწველივით განქიქებულია ჩვენის სამწყსოს ზოგიერთ
 წევრთა მიერ. ვისაც უნდა დაინახოს უკეთურება მათი, ეს შესაძლებელია იმ
 სახელით, რომელიც მათ ერთიმეორეს დაარქვეს: ახალი ლავრის ბერები ფირ-
 მინეს ლავრის ბერებს უწოდებენ პროტოკტისტებსა და ტეტრადიტებს, ხოლო
 20 ისინი ახალი ლავრის ბერებს ისოქრისტად სახელსდებენ. სახელმწიფო მმარა-
 ველი თეოდორე კაბადოკიელი მიემხრო და იცავდა ისოქრისტებს; მრავალი
 მათგანი მან აკურთხა პალესტინის ეპისკოპოსად და დაადგინა მამასახლისად.
 თეოდორე, ახალი ლავრის მამასახლისი, დანიშნა ჯვარის მცველად და სკაპო-
 პოლის მიტროპოლიტად. ასეთი მღვდლვარება და ქარტეხილი ეწია არა მარტო
 25 ჩვენს სამწყსოს, არამედ იმათაც, რომელთაც პროტოკტისტთა დოღმატი შეიწ-
 ყნარეს; უკანასკნელთა ბელადი იყო ისიდორე. მან ვერ შესძლო წინააღმდეგო-
 ბა გაეწია ასკიდასა და ახალი ლავრის ბერთათვის, ამიტომ შეუერთდა ჩვენს სა-
 მწყსოს გამგეს აბბა კონონს. წმიდა სიონზე მან აღუთქვა მას, რომ აღარ დაი-
 ცავს არასდროს სულთა წინასწარმყოფობის დოღმატს, პირიქით—მედგრად იბ-
 30 ზძოლებს მის წინააღმდეგ. კონონთან ერთად ის გაემგზავრა კონსტანტინოპო- 143ა
 ლისსა ინდიკტიონსა ათხუთმეტსა.

90

და ვითარცა აღვიდოდეს აბბა კონონენი კონსტანტინეპოლისა, თითოსა-
 ხენი ჰირნი შეაჩუენნა მათ ასკიდა, ხოლო სულგრძელებითა მათითა ძლევითა
 შემოსილად გამოჩნდეს. და ვითარცა მცირედნი დღენი წარტდეს, პეტრე, იერუ-
 35 სალმელ მთავარეპისკოპოსი, აღესრულა და მაკარი დაადგინეს მთავარეპისკო-

პოსად უშველოთა კრებულთა ნეა-ლავერელთა. და ბრძოლაჲ იქმნა დიდი იერუსალმს შინა ქალაქსა. ესმა ესე ღმრთის-მსახურსა მეფესა და განარისხნა ფრიად ასკიდას ზედა და ოროგინელთა და მაკარისი ბრძანა გარდადგინებაჲ ებისკოპოსებისაგან. ხოლო ნეტარმან კონონ და მისთანათა ვითარცა პოვეს ესე ვითარი ჟამი, შევიდეს მეფისა და უთხრეს ესე ყოველი და ამისსა შემდგომად დაწერნეს წიგნსა ყოველნი იგი უღმრთოებანი ოროგინელთანი და გამოუცხადნეს და მიუპყრეს მეფესა. მაშინ აღესრულა ისიდორე. ხოლო ნეტარი კონონ უფროჲს ხოლო გულსმოდგინედ იღუწიდა ქრისტიანობისათჳს. და იყო კოსტანტინეპოლისს ეგსტუქი, ალექსანდრიელი ჯკონომოსი; ესე მეფემან იერუსალმს მთავარ-ებისკოპოსად განაჩინა. ხოლო ღმრთის-მოყუარებმან მეფემან ჩუენმან ვითარცა დაამტკიცა ეგსტუქი პატრიარქად, ბრძანა შეკრებაჲ ებისკოპოსთა ყოვლისა სოფლისათჳს. ხოლო აბბა კონონ ევედრა ეგსტუქის, ვითარ გამოვიდოდა მგი კოსტანტინეპოლისით, რაჲთა აღავლინოს აბბა თეოდოსის მონასტრისა მამასახლისი ევლოგი და იპოვოს კრებულსა მას. და ეგსტუქი ვითარცა მოვიდა იერუსალმდ, წარავლინა სამნი ებისკოპოსნი ზენა, რაჲთა ადგილი მისი განავონ, და წარავლინა მათ თანა ევლოგი და სხუანი ორნი მამასახლისნი: კურიაკოზ, მამასახლისი ლავრისაჲ, რომელსა ჰქვან პიგი, რომელი ითარგმანების წყარო, და პანკრატი ვინმე მესუეტს. და ვითარ შეკრბნეს წმიდანი იგი ყოვლისა სოფლისანი, — ესე მეხუთს კრებაჲ კოსტანტინოპოლისს შეკრბა, — და ყოველთა ერთბამად განცხადებულად შეაჩუენეს ოროგინე და მისისა მის მყარლისა წვალები-სა მავალნი, თეოდორე მამქუესტი და მისვე მწინეულისა წვალებისა მავალნი, ევაგრიოს და დიდემოს და ყოველთა მათ მრღჳს იგი და საძაგელი წვალები შეჩუენებულ ყვეს და დაწყვეს ოთხთა მამათმთავართა და თავადმან კრებულმან. ხოლო ღმრთით-დაცულმან მეფემან ჩუენმან წარუძღლუნა იერუსალმდ თქუმუ-ლი და ყოფილი, რაჲთა ესე ყოველთა ებისკოპოსთა პირითა და წელითა დად-ვიან და დაამტკიცონ, თჳნიერ ალექსანდრე აბელელ ებისკოპოსისა, და ამისთჳს-ცა ებისკოპოსებისაგან განვადგეს, და კოსტანტინეპოლისს ზენა ზრვასა სახლი დაიზულა და დაიპყრა და ესრტ განავარდა ამის ცხოვრებისაგან; ხოლო ნეა-ლავრასა მყოფთა თჳსითა სიციბილთა და უღმრთოებითა თავნი, თჳსნი განა-შოვრნეს წმიდისა კათოლიკისა ზიარებასა. ხოლო მთავარებისკოპოსი ეგსტუქი მრავალგზის ეტყოდა მათ და აწუევედა, რაჲთამცა მოიქცეს, ევედრებოდა მათ რვასა თთუესა და ლიქნით ეტყუნ მათ და, ვითარ ვერ დააჯერა მათ, რაჲთამ-ცა ეზიარნეს კათოლიკე ეკლესიასა, მაშინ ბრძანებაჲ მოღებად სცა მეფისაგან ანასტასის დეჳსა და ესრტ ნეა-ლავრით განასხნა და ადგილი იგი განათავი-სუფლა მათისა მისგან სულმყარლობისა, ხოლო მთავარებისკოპოსმან არა ინება-ცალიერად დგამად ადგილსა მას, არამედ ას ოცი მონაზონი გამოჩეული დაა-შსნა მუნ; სამეოცი დღისა ლავრისაგან გამოიყვანა და ერთი, რომელი სახე-ლი ერქუა იოჰანე, სქოლასტიკოს-ყოფილი, ესე მამასახლისად განაჩინა. და სხუად სამკოცი შეკრიბა უდაბნოჲსა მონასტერთაგან მართლ-მადიდებელთაჲ,

144ა

144ბ

1 უშველოთა. 1—2 იერუსალმს.—9 ისრუსალმს.—14—15 ისრუსალმდ.—18 მესუეტისა.—21 მამქუესტი მომქუესტიანი.—22 მრღვედ.—24 ისრუსალმდ.—37 გამოიყვანა.

რომელთაგანი ერთი მე ვარ, რომელი შთასრულ ვიყავ დიდისა ეფთვიზის მონასტრით დიდად ლავრად ნებითა მამათაჲთა და დიდისა იოჰანე შეყენებულისაჲთა. და ვითარცა ყოველნი შეგვერბით ქალაქად წმიდად, მიერ განვედით მთავარებისკოპოსის თანა და ახლისა მამასახლისისა ჩუენისა თანა და მივედით და 5 ბად თეკუად და ანასტასის მიერ განსხმულთა მათ მწვეალებულთაჲ ადგილი ჩუენდავიპყართ, ნეა-ლავრად, თთუესსა ფებერვარსა ოცდაერთსა, ინდიკტიონსა ორსა, შემდგომად სიკუდილისა მამისა ჩუენისა სნაბასსა ოცდამესამესა წელსა, ვითარცა აღესრულა. და ესრეთ დაესრულა ბრძოლაჲ, რომელი იყო წმიდათა ზედა და ღმრთის-მოშიშთა. და მე აქამდე დავასრულე სიტყუად წმიდისა სნაბას- 10 თჳს. | და კულად ვიტყვ მე სიტყუსაებრ წინაწარმეტყუელისა: «იხარებდინ უდაბნოჲ და ყუაოდინ, ვითარცა შრომანიჲ, რამეთუ შეიწყალნა უფალმან შეილნი თჳსნი»; და კულად ვთქუ სულსა ჩემსა: «ხილვით ვიხილე მონებაჲ ერისა ჩემისაჲ 145 ა. ის. 35,1 გამს. 3,2
საჲ», რომელი არს იერუსალმსს, და სულთქუმანი მათნი მესმეს და ვინებე ქსნად მათთა. და ოდეს უნდა, მოგუხედა და მოხედვითა მისითა გუაცხოვნნა და გჳსნ- 15 ნა ჩუენ მძლავრობისაგან ოროგინელთაჲსა და განასხნა პირისაგან ჩუენისა და დაგუაშჳნნა საყოფელთა მათთა და დაგემკვდრნა ნაშრომი მათნი, რაჲთა დავიცუნეთ სამართალნი მისნი და მოვიძიოთ შჯული მისი, რომლისა არს დიდებად და პატივი, ძლიერებაჲ და თავყანის-ცემაჲ, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, აწ და მარჯდის და უკუნითი უკუნისადმდე, ამჳწ.

ლექსიკონი საბას ცხოვრებისა

აბბა 211, 21—'Αββ̄α, მამა, ბერი, გამეგ მონასტრისა.
 ადგილობანს 152 45—ადგილობრივ.
 აღრე 176 31—ჩქარა, დაუყოვნებლივ, ციო-
 po.
 აღზლდა 155 21—ახტა.
 აღკდა 156 2—აღვიდა.
 აპოკრიხარი 214 10—26—αποκριταριος.
 არტოკოპი 162 31—ἀρτοκοπιος.
 აყიროჲ 177 26—ἄγιος κύβη, cucurbita,
 тыквa, კუბი.
 ბერი 160 1—ძველი, მოხუცებული, π̄α-
 λαι.
 ბუნება 185 29—φύσις, естество.
 ბლუარი 172 29—λίβη, africanum, სამხრეთი.

ზაზოგა 212 31—ორად გაყო.
 გამოჰკადა 178 6—გამოუღო, გამოადრო.
 განთქუა შჯული 193 21—გასცა ბრძანე-
 ბა, დაღვა კანონი (შდრ. „შეუთხრა“).
 განმგებელი 175 16—ეკონომოსი, მნე,
 οικονόμος.
 განმთხიენ 197 12—განთხევა, განგვაგ-
 დე, თავიდან მოგვიშორე.
 განმწონელი ქუეყანისა 197 23—26—μηχαν-
 νιστός, mechanicus.
 განსანიჰება 201 34—35—ჩუქება, გაცემა.
 განსაფრთხოებელი 206 32—ნუგეშისაცემ-
 ელი, საპიროების დასაქმყოფილე-
 ბელი.
 განსდუეს 165 11—გამოაცხადეს, გაავრ-
 ცელეს, ხმა დაყარეს.

ვანცსრომა 195 ³⁴—ხუმრობა.
 ვარდაერის—გარდაემატებოდა ხოლმე.
 ვარდაექცეს 209 ⁷—უარი თქვეს, ზურგი
 შეაქციეს.
 ვარდაექცა 186 ¹⁰—უარი თქვა.
 ვარდაქცევამ 186 ¹²—უარისთქმა.
 ვარდაქცევამ 178 ³²⁻³³—შეტენა, გარ-
 დაბირება, დამხობა.
 ვაშუნდეს 172 ¹⁸—მოგეწონოს, გესია-
 მოვნოს.
 ვილიანი 202 ³⁰—Γήπινες.
 ვოლოი—башня, სურვი.
 ვუამი 185 ²⁹—σπίρταρος, лиц.
 ვუთნი: ამთ ვუთთა 202 ³⁰—οι Γρθοι,
 სხუათა ვუთთა 202 ³⁰—(ο)σχοισθιοι.
 გული განუწყრა 174 ³³—გაჯავრდა, გან-
 რისხდა.
 გულკლებული 171 ¹—ნაწყენი, მოწყე-
 ნილი, გულმტკივნეული. აქედან:
 გულსა აკლდა 209 ⁸; გულსა გაკლს
 209 ¹⁰.
 გულისწყება 166 ²⁹—გამბოროტება, გა-
 აფთრება, მრისხანება.
 გუნდი—მხედართკრებული, ჯარი.
 ღაჭენვა 142 ³⁷—დააქცნა.
 ღაბებკული 180 ¹⁶—დაბეული, დამონ-
 ძილი.
 ღადებად შჯული 201 ³²—ბრძანების გა-
 ცემა. დაღვას შჯული 144 ³¹—დააწე-
 სოს დააკანონოს.
 ღაელოვდა 178 ²⁸—იგლოვდა, სწუხდა,
 ტიროდა.
 ღათა—შთანთქა, ჩაყლაბა.
 ღაიზულა 218 ²⁸—ღაინგრა (შდრ. ანა
 დედოფლის ქართლის ცხოვრება, გვ.
 204, სტრიქ. 19).
 ღამტკაცებული 185 ¹⁰—δόγμα, догма.
 ღამწუთა 140 ²⁰—სიტყვისაგან „წუთით“,
 დამეწუთა.
 ღანაკი 172 ¹—μάχαμα, დანა.
 ღანაკის კული—ფინიკი.

დასავალითი—დასავლეთი, запад.
 დასხმაჲ კაპრაულთაჲ 158 ³¹—მორეკა
 ვირებისა.
 დაუგო 172 ¹⁶—დაგება, —სუფრის გეშ-
 ლა, მაგიდაზე საჭმლის მოღება.
 დაუგე ტაბლებსა 177 ³¹—გაშალე სუფრა.
 დაუმებოდეს წყლისა თხოვითა 197 ¹⁸—
 შებე έπατείν, aquam mendicant,
